ბიოლოგი ფერეთელი

პირველი ნაბიჯი
პიპოლიპი, ჩიპოლიპი
და კუდაბზიკა
რუხი მგელი
მამიდა ასმათი

ახალგაზრდა გამომცემლობა
ტფილისი / 1926.

ტფილისი. ს. ს. ბ. უ. ს. პოლიგრაფტრ. I-ლი სტამბა. პლეხ. პრ. № 91.
21/IX—26. შეკვ. № 10372/1700 მთავარლ. № 1302. ტირ. 4000.

პირველი ნაბიჯი

პირველი ნაბიჯი.

იყო დრო, როცა ქალაქ ფოთის ნავთსადგურში პირველად იწივლა ცეცხლის გემმა. მისმა წივილმა პირველად განუფრთხო ძილი მტრისგან მოუძლურებულ საქართველოს ერს. ეს იყო ახალი დროის მამლის ყივილი დასავლეთ საქართველოში. ფოთი აღინიშნა შავი ზღვის კიდეზე კავკასიის ბოლოზათ. სამეგრელოში ატყდა დიდი ფაცა-ფუცი. დიდი და პატარა ყველა ფოთისკენ გარბოდა. იმ დროს ერთად-ერთი ფულის მოსაგები კუთხე ფოთი შეიქნა. მალე გაიკვერა კავკასიის შუაგულზე ქვეყნის სავაჭრო გზატკეცილი. დასავლეთით ფოთი შეიქნა კავკასიის სავაჭრო ყურე, ევროპისკენ მიქცეული. და აღმოსავლეთით ბაქო მეორე სავაჭრო ყურე. აზიისკენ მიქცეული. დადგა მეორე ხანა კაცობრიობის მოძრაობისა და კვლავ მოუბრუნდა იმედი კავკასიას: მასთან საქართველოსაც განუახლდა ძველიდგანვე დაკარგული სასოება, რომ ხელმეორედ გამსდარიყო კაცობრიობის განათლების გზათ და ხიდათ. იმ დროს უცხო ქვეყნების ნაწარმოებს დაშლა არ ჰქონდა კავკასიის ნიადაგზე შემოტან-გატანისა. ფოთში უცხო ტომის კაცები იმ დროს ჭიახ-ჭველასავით ირეოდენ. ისინი ყიდულობდენ კავკასიის ნაწარმოებს იაფ ფასად და გაჰქონდათ უცხო ქვეყნებში. იმ დროს თქვენ აქ. მდინარის რიონის შესართავთან, ბერძენსაც შეხვდებოდით, ინგლისელს, ფრანგს, გერმანელს, ამერიკელს, ოსმალელს და სლოვენის ტომის სხვადასხვა გვარობას. ამათ ჰქონდათ ევროპის სხვა-და-სხვა სახელმწიფოსთან, აგრეთვე სპარსეთთან ინდოეთამდის ვაჭრული დამოკიდებულება. გაჰქონდათ ზღვით და ხმელეთით ნიგვზის კუნძები, ბზა, ურთხელი, ყოველნაირი ხე-ტყე, მატყლი, აბრეშუმი, სიმინდი, პური, ღვინო. ბეწვეულობა, საქონლის ტყავები, თიეთიკი, ლეკის შალები. ნაბდები და ნუხური ხალები. მრავალი მათგანი ამ ნაწარმოებში სცვლიდა უცხო ქვეყნიდან მოტანილ ფართალს, აბრეშუმის ქსოვილებს, მაუდებს, სხვადასხვა კოლონიის საქონელს და წვრილმან საფაფუკო *). სადიდაცო ავეჯეულობას. ეს

*) საფაფუკო — галантерейный.

ის დრო იყო, როცა შავ ზღვაზე ახლად დაარსდა რუსის სავაჭ-
რო და ცეცხლის გემის საზოგადოება, როდესაც ახალ ფეხადგმუ-
ლი რუსის ინჟინრები ადგენდენ პროექტებს. სხვადასხვა საშუალე-
ბით გაეკეთებიათ ფოთში პორტი, მაგრამ პორტის გაკეთების მა-
გიერათ აუარებელი ხე-ტყე გამოახვრევინეს ზღვის ჭიას და თვი-
თონაც აუარებელი ფული გამოხრეს ხაზინაში. იმ დროს ფული
ბეჟირივით იყო. კაცის ხელი უფრო ძვირად ფასობდა. მაშინ მეგ-
რელისათვის რომ გეკითხა: „სო მეურქო" (სად მიხვალო)? — „ფო-
თიშა მეურქ, პატონი" (ფოთს მივდივარ, ბატონო) — მოგიგებდა:
„ეგება ჟირიოდე ფარა ივშუა" (ეგება ორიოდე ფარა ვიშოვოო).

ამ შესანიშნავ დროს ბახვა ფულავა იყო პაწია ათი წლის ბი-
ჭი. ის თეკლათის ტყეებში დატანტალობდა გაცვეთილი ხამის პე-
რანგის ამარა, თავშიშველი, ფეხშიშველი და წელ ქვემოთ დედითშო-
ბილა; ათიოდე თხა ებარა და მათ ერეკებოდა. ხელში ეჭირა მუ-
დამ კოდალ-ბზეკალი (შვილდ-ისარი). საღამოს შინ ისე არ და-
ბრუნდებოდა, რომ ორი, სამი ჩიტი, კოდლით მოკლული, უბეში
არ სდებოდა. ბახვა ყოველ მზის ჩასვლისას მორეკდა შინ თავის
თხებს, დაამწყვდევდა წნულ სათხებოში, მერე შეიჭრებოდა სახლ-
ში. იქ დედა მიაგებებდა ცივ ღომს. ბახვა თავის მოკლულ ჩიტებს
შამფურზე წამოაგებდა, ცეცხლზე დაუფიცხებდა, ცივ ღომს ნა-
კვერცხლებზე შეაფიცხებდა და მადიანად შეექცევოდა ვახშამს.

სანამ დედა-მისი თხებს მოწველიდა, ბახვას ერთი დიდი დო-
ქი წყალი უნდა მოერბენინებია: ესეც ბეგრათ ჰქონდა დადებული
ოჯახში. დღე-და-ღამის გაყრისას დედა დაუგებდა ლოგინზე მის
სიგძე ნაბდის ქეჩას, ხის სასთუმალზე დაწვირიანებულს შილის ყურ-
ბალიშს მიუგდებდა, მერე ეტყოდა ბახვას, დაწექიო, და ზედ და-
ფარატინებულს შილის საბანს წააფარებდა. სანამ სოფლის ვახშმო-
ბა შეიქნებოდა, ბახვას ერთი პირი ძილი გასრულებული ჰქონდა.

როგორც კი განთიადი მოაწევდა, ის ზეზე იყო, შემოირტყამ-
და პერანგზე თავის ძველ ქამარს და, დედა მისი რომ ქათმებს გას-
ძახებდა: „ررو, ررو. ررو!" ბახვა გამოხტებოდა სახლიდან და
მიწიწინებდა კოდის წყაროზე პირდასაბანათ; ეშინოდა მზის პირ-
ველმა შუქმა პირდაუბანელს, ნამძინარევს არ დამხვდოს და არ მა-
ჯობოსო, ჩხიკვმა ან გუგულმა პირდაუბანელს არ დამძახოს, თო-
რემ ის დღე უბედურათ ჩამიელისო: ან თხები გადმემალებიან, ან
ჩიტებს ველარ მოვკლავ, ან ვინმე გამლახავსო. ასე იყო დედისა-
გან შეგონებული. რაკი ღმერთი ისე შეეწევოდა, რომ პირდაბანის
შემდეგ გუგულის ხმას გაიგონებდა, მაშინვე სამჯერ მიაძახებდა:

„მიჯობნია, მიჯობნია. მიჯობნიაო!“ ამას შემდეგ სულ ხტომით აბოირბენდა კოდის წყაროდან გორაზე, სადაც მისი სახლი იყო გამოჭიმული.

დილის გამარჯვებით ბახვას გული ჰქონდა განებივრებული, საუზმესაც მხიარულად მიეგებებოდა და მეწველ თხებსაც სიამოვნებით დაუჭერდა დედას. ორტოტა ხელები რქებში ჰქონდა თხისათვის ჩაჭიდებული და საწველ ქოთანში ფეხის ჩაკერას არ გააბედვინებდა. ამგვარის ერთგულებისათვის დედაც არ რჩებოდა თავის ვაჟს უმადურად. დედა-მისს ყოველთვის ჰქონდა მომზადებული საგზლათ ნახევარი კეცის მჭადი და ახალ ამოყვანილ ყველის ჭიპი.

წნული სათხებო ოთხ მაღალ ბოძზე სახლს უკან იყო მიდგმული. სათხებოს ერთი დაჭდობილი ძელი კიბეთ ჰქონდა მიკეთებული.

დამწყვდეული თხები ცისიერზე იგრძნობდენ ბახვას მოსვლას და შორიდანვე მიეგებებოდენ „პეტელითა“ და „ფრუტუნით“. გააღებდა ბახვა თუ არა საგდულით ჩაკეტილს ლასტის კარს, თხები თითო-თითოთ გამოხტებოდენ სათხებოდან და კვინტრიშით ჩამოირბენდენ ძელის კიბეზე, მერე გაიფანტებოდენ ეზოში; ერკემლები ერთმანერთს დაეჯახებოდენ, თითქოს სურდათ, დედალი თხების წინაშე თავი მოეწონებიათ.

ამ დროს თხებს გარდა ეზოში იმყოფებოდენ მაყურებლებათ: თავმომწონე მამალი, რომელიც დეზებ-შემოსილი და ბიბილოებ-ჩამოშვებული მიაძახებდა გაბნეულ დედლებს: „ჰეიჰა! ჰეიჰა!! აქეთ წამოდით, თხები არ დაგეტაკოსთო!“ იხვები, რომელნიც ფრთების ფართქუნით თითქოს ტაშს უკრავდენ და მოწონების ნიშნათ იძახოდენ: „ეახ, ეახ, ეახ!!!“...

ამ დროს ბახვაც წვრილის ხმით შესძახებდა: „ბელაჰ, ბელაჰ“!.. ერკემლებს კარგათ ესმოდათ მისი ხმა და მაშინვე ჭიდილს თავს დაანებებდენ. ორი მათგანი, უფრო მორჩილი ერკემლები, გასწევდენ წინ გზის საკვლევათ, მოხუცებული ვაცი კი უკან ჩამორჩებოდა, შუაში დედალ თხებს ჩაიყენებდენ თავიანთ თიკნებიანათ. და ამრიგათ ჩაირბენდენ სერს, სადაც მიბურული იყო უზარმაზარი წიფლნარი.

ბახვა გადიგდებდა მხარ-თეძოზე თავის ბზეკალს (შვილდს). კოდალი (ისარი) ხელში ეჭირა, კალთაში საგზალი ჰქონდა გამოხვეული და სრულებით არ დარდობდა, რომ მისი ტოლი მწყემსი გოგოები ჩაუფარებელს წელს ქვემოთ მის სიმდიდრეს უცქეროდენ. ის ხტომით ჩაირბენდა ქოჩორა ტყით დაჩრდილულ სერსა, წინ თხები თიკნებიანთ მიკუნტრუშებდნენ. მის წკრიალა ხმას და „რირა-

ორირას" მღერას ხურმისა და თხმელის დობილოიანი *) ხეები ბანს აყოლებდენ. ჩიტები, თავის ვერაგის მტრის დანახვაზე გაოცებულნი. ცქრიალითა და ჟღივილით იწყებდენ გადაფრენ-გადმოფრენას. მომეტებულათ შაშვი უფრთხოდა ბახულიას. შეშინებული წამოიძახებდა: „უფუ! ვაი, დავიღუპეო!" ფრთქიალით ჩამოეშვებოდა ხიდან და შეგოგდებოდა ეკლიან ჩირგვ-ნარში, რომ თავი მოერიდებია იმის კოდალ-ბზეკლისათვის.

თხებმა კარგა ძალზე წაუსწრეს წინ ბახვას, გავიდენ მინდვრათ და მოედვენ ნეკრიანს თხილის ჯაგებს ლორთქო ტრტების საკვრეხათ.

ჩირგვებით გარემოცულ მინდორში დაუხვდენ ბახულიას თავის ტოლი გოგო-ბიჭები, რომელნიც ორ ხეს შორის გაბმულ ყურძნის ვაზზე ქანაობით თავს იქცევდენ. ბახულიამ დააგდო ხის ძირას კოდალ-ბზეკალი, იქვე ბალახებში ჩააწყო თავისი საგზალი, მერე შურიანათ გასწია საქანაოსკენ. ჩამოაგდო ზედ შემჯდარი მწყემსი გოგონა, შესკუპდა საქანელზე და დაიწყო თითონ ქანაობა.

I.

მდინარე ციცი მოშორებით მიშხუოდა. გაღმით თეკლათის კლდეში მოჩანდა უზარმაზარი ქვის სამტვრევი; იქ მუშები ჭიანჭველასავით ირეოდენ; დროგამოშვებით მოისმოდა ნაღმის გრიალი. იქიდან მოკიდებული შორს მინდორზე ორი ალმასის გველივით თანტოლათ მიიკლაკნებოდენ რკინის ზოდები.

ამ დროს მატარებლის მანქანამ იწივლა. ბახვა მაშინვე გადმოხტა საქანელადან, გავარდა მდინარე ციცს გაღმა და მიაშურა მუშებს. რომ მატარებლის მოსვლაზე იქ დასწრებოდა. ეს პირველი იყო მისგან რკინის გზის მატარებლის ახლოს ნახვა, თუმცა მისი სტვენისა და შორიდან მისი ვეშაპნაირი სრიალისთვის რკინის ზოდებზე ხშირათ ეყურებინა.

იმ დროს ამ ალაგას თეკლათის ქვის ცემენტი მზადდებოდა. ზედ ქვის სატეხში რკინის გზა იყო შეყვანილი, რომ აქედან ცემენტის ფქვილი და ქვის ლოდები წაეღოთ ფოთს პორტისათვის. კიდეც მივიდა ბახულია ქვის სატეხში და მატარებელიც გაჩერდა. მუშებმა გაჩქარებით დაუწყეს ზესადგრებს (პლატფორმებს) დატვირთვა. როგორც კი შეხედა გაკვირვებულს ბახვას ერთმა მუშამ, მაშინვე უთხრა:

*) დობილო მაღლარია, ხეზე შესული ვენახი.

— პაწია ბიკო, მოგვეხმარე ქვის ზიდვაში და მაშინაზე დაგსვამ.

ბახვამ გაიღიმა და კრძალვით დაუწყო პატარა ქვებს ბოკვა ორი საათის განმავლობაში რკინის გზის მატარებლის ზესადგრები ყველანი დატვირთულნი იყვენ. მუშამ მოავლო ხელი ბახვას და შესვა ზესადგარზე. მერე თვითონაც ზედ შეხტა. იწივლა მატარებელმა და პაწია მწყემსი გზას გაუყენა. ბახვას ძალიან მოეწონა რკინის გზაზე გასეირნება.

თეკლათიდან მოკიდებული დიდ გზამდის, შვიდ ვერსის სიგრძეზე, რკინის გზის ტოტი იყო გაკეთებული. იქ, დიდ გზაზე, დატვირთულ ზესადგრებს სხვა მატარებელს მოუბამდენ და გაისტუმრებდენ ფოთისკენ: მაგიერათ ცარიელი ზესადგრები ისევ ბრუნდებოდა თეკლათის ქვის სატეხში დასატვირთავათ.

ბახვამ დიდ გზაზე სხვა მუშებიც ბევრი ნახა და ერთი უფროსი ინჟინერიცა. ამ კაცს ძალიან მოეწონა ბახვას ცოცხალი სახე და უთხრა მუშას: იქნება, ეს პაწია ბიჭი დამიქირავო ხელზე მოსამსახურეთო. იმ დღეს ბახვას კარგად აჭამეს. ასვეს და მზე რომ გადაიხარა, ისევ თეკლათის ქვის სატეხში დააბრუნეს.

— ბიკო, ის აპელატებიანი ინჟინერი ხომ მოგეწონა? კითხა მუშამ.

— კი, მიუგო ბახვამ.

— იმას ბევრი ფული აქვს. — განაგრძო მუშამ: — თუ წახვალ და დადგები მასთან, კარგათ ჩაგაცმევს და დაგხურავს, კარგათ გასმევს და გაჭმევს, შვილსავით მოგივლის და ბევრ ფულსაც მოგცემს. ცივი ლომის ჭამას და ეგრე უნიფხოთ ტანტალს ის არ გირჩევნია, იმ ინჟენერთან ბატონიშვილივით იყო?

ბახვას მოაგონდა თავისი დედ-მამა, თხები, საყვარელი კოდალბზეკალი, ამხანაგი მწყემსები, მისი ტოლი გოგო-ბიჭები, „რირაორირას" გაძახილი, ჩიტების ყლივილი, მათზე ნადირობა — და საჩქაროდ თავი გაიქნია უარის სათქმელათ. მერე ჩაფიქრდა, ხმა აღარ ამოუღია, მაგრამ მუშის კითხვა მაინც თავიდან არ სცილდებოდა და, მეტი არ შეიძლება, ისე აღტაცებული და გახარებული იყო იმ დღის მგზავრობით. ისეთი საჭმელები აჭამეს, ისეთი ღვინო დალევინეს!.. ინჟენერმა ორი კამფეტიც აჩუქა. იმ დღის სადილის გემო ჯერაც არ გამოსცლოდა პირიდან.

ის ყოველთვის სითვალხარბით იგონებდა თავის ბიძაშვილის შვენიერ ტანსაცმელს და ვერცხლით გაწყობილ ქამარ-ხანჯალს... მისი ბიძაშვილი მართლაც ორ-სამ წელიწადს სახლს მოშორებოდა

და ფოთში ემუშავნა. შინ რომ დაბრუნდა, ბახვამ ვერც კი იცნო პირველ შეხედვაზე, ასე ეგონა, თითქო ვიღაც ბატონიშვილი მოსულიყოს იმის მამის ოჯახში.

ერთხელ, სააღდგომოთ, მისმა ბიძაშვილმა მედიდურათ შემოაღო მათი სახლის კარები. მას ტანთ ეცვა სირმიანი ჩოხა, სირმით მოქარგული წუღები, წელზე ერტყა ვერცხლით გაჭედილი ქამარ-ხანჯალი, მხარ-ბეჭზე ჰქონდა კოხტათ გადაგდებული სირმით გაწყობილი ყაბალახი. ეს ნახული სურათი უეცრად წარმოუდგა ბახვას გონებას თვალწინ და ამასთანავე უცებ ძირს დახარა თავი და დააცქერდა თავის ტალახიანს ფეხებს და შეჩუთრულ წვივებს: არ მოეწონა. მას თან-და-თან იტაცებდა მისი მომავალი ბედნიერების სურათი; მერე თითქოს კიდეც დაიწყო გულში ნანობა: მუშის ჩრჩევას ასე აჩქარებით უარი რათ ვუთხარიო?..

როცა მატარებელი თეკლათის ქვის სატეხში დაბრუნდა, მზე ჩადიოდა. ბახვა გადმოსვეს ზესადგრიდან. მას მხოლოდ ახლა მოაგონდა ღვთის ანაბარათ მიგდებული თხები, კოდალ-ბზეკალი და საგზალი. მაშინვე მოკურცხლა მინდვრისკენ, საცა ვაზის საქანელა ეგულებოდა. მაგრამ იქ იმას აღარც გოგო-ბიჭები დაუხვდენ და ვეღარც კოდალ-ბზეკალი იპოვნა. მან ერთ ლანდზე შემოირბინა ჩირგვები, მთელი ის არე-მარე, ბოლოს გადვიდა კლდიან ადგილებში, საცა მის თხებს და თიკნებს უყვარდათ პოტინი და მაღლიდან გადმოყურება. ბოლოს მორთო კივილი და ძახილი; ერთხანს თხებსაც უძახოდა: ბელაჰ! ბელაჰ!!! — მაგრამ ხმა არსაიდან აღარ მოესმა, ვეღარც თხების ფაჩუნი გაიგონა კლდიან ჯაგებში. ბახვა მიეცა სრულ სასოწარკვეთილებას, დავარდა იქვე მიწაზე და მორთო ხმამაღლა ტირილი.

აბა ტირილი რას უშველიდა? მზე კარგა ხანი ჩასული იყო. ბინდიც შემოიპარა. აი, ახლა კი გამოერკვა ბახვა. ის ჩავარდა ორ შიშს შუა, ცალი მხრით ღამის კუდიანების ეშინოდა, მეორე მხრით, შინ მისვლასაც ვეღარ ბედავდა ხელცარიელი. მაგრამ კუდიანების ხელში ჩავარდნას ისევ დედის კალთაში არჩია თავის მიყრდნობა. წამოდგა ზეზე და ბანცალით დაადგა გზას შინისაკენ. ამასობაში კიდეც დაბინდდა.

მამა-მისი დიდი ხანია შინ დაბრუნებულიყო მუშაობიდან.

— ბახვა სად არის ამდენ ხანს? — წამოიძახა დედამ გულგახეთქილმა. მამამ არა უპასუხა-რა, წამოდგა ზეზე, გავიდა გარეთ და მორთო ხმამაღლა ძახილი, იქნება, ხმა მაინც მივაწვდინოვო. ის სულ წინ მიიწევდა, ტყისაკენ, თან ყვიროდა, ბახვას უძახოდა.

მისი ძახილი თან-და-თან სუსტდებოდა, ამის გამო შინ დედას გული თან-და-თან უფრო უღელდებოდა. ის გახურებულ კეცებზე მჭადებს აკრავდა, ქმარ-შვილს ვახშამს უმზადებდა; მაგრამ ვაი ამ მომზადებას! ნახევრად თავის გონზედ აღარ იყო...

— ვაი შენს დედას, შვილო! ვაი. თუ რამე გიჭირდეს?!...

ამ დროს ბახვა შემოიპარა ქოხში უკანა კარიდან. მამის ძახილი იმ თავითვე გაეგონა, მაგრამ შიშისაგან პასუხს ვერ აძლევდა.

დედამ შეასწრო თუ არა თვალი, მაშინვე საკეცე გააგდო ხელიდან და შვილისაკენ გაექანა.

— ბახვა, შვილო, აქამდის სად იყავი? ცუდი ხომ არა დაგმართია-რა, თხები ხომ არ დაგკარგვია?..

ბახვა ხმას არ იღებდა. დედამ ჩაიკრა შვილი გულში. თხები კი არა, იმ წუთს სახლ-კარიც რომ დასწეოდა, მაინც არაფრად მიიმჩნევდა, რაკი მისი ბახულია შინ დაუბრუნდა უვნებლათ. დედის ალერსმა ბახულიას თითქოს სინდისი გაუღვიძა, და, რადგან თავის გასამართლებელი პასუხი ვერ ეპოვნა, მორთო ტირილი.

— ვაი შენს დედას, თხები დაკარგე განა?

ამ ლაპარაკზე მამამ შემოდგა ქოხში ფეხი და მწარედ შეწუხებულისა და ნაღვლიანის ხმით წამოიძახა:

— რამდენი არ ეუძახე, ვერ გავაგონე; უნდა წავიდე საძებრათ. მერე მოტრიალდა ცოლისკენ და, ბახულია რომ დაინახა დედის კალთაში სულგანაბული, მხიარულად შესძახა:

— აგერ არ ყოფილა!.. ბიჭო, სად იყავი აქამდის? შენმა ძებნამ მომკლა ამ უმთვარო ღამეში. მოკიდა ხელი სიყვარულით და წინ დაიყენა. ბახვა უნდობრათ მივიდა მამასთან. იცოდა კარგი არ დაემართებოდა-რა, როცა მამა შეიტყობდა თხების ამბავს. მამამ დაიდგა ცეცხლის-პირს სკამი, დაჯდა ზედ და შვილი კალთაში ჩაისვა. შვილის ნახვის სიამოვნებამ მამას თხების ამბავი იმ წუთას ჭადაავიწყა. დედამაც გაკრა სუნგალი, საკეცით გადმოდგა გახურებული კეცი ძირს და ზედ მჭადის გუნდა დააკრა. ცოტა რომ მოისვენა მამამ, მერე მიუბრუნდა შვილს და ჰკითხა:

— თხები ხომ ყველა მოდენე?...

ბახვამ ჩაღუნა თავი და ხმას არ იღებდა.

— ბიჭო, რატომ ხმას არ იღებ, თხები სად არიან?

— ბახვა ხელმეორედ აღრიალდა.

მამა დარწმუნდა, რომ თხები დაჰკარგოდა, და გაჯავრებულმა ერთი ლაზათიანად სტკიცა ბახვას ლოყაზე. დედა მივარდა უცბათ და გამოგლიჯა შვილი ხელიდან.

— რა ღმერთი გიწყრება? — შეუტია ცოლმა.

— ხანჯლით უნდა მოვკლა ეგ ეშმაკის შვილი!

— განა იმას არ მადლობ ღმერთს, რომ შვილი ცოცხალი დაგიბრუნდა?...

ბახვამ კარგა ხანს იტირა ლოგინზე განცართხულმა, სანამ ღრმათ არ ჩაეძინა. დედამ აიყვანა და თავის ქვეშსაგებში ჩააწვინა. მეორე დღეს ბახვა ცისიერზე ფეხაკრეფით გამოვიდა გარეთ და თეკლათის ქვის სატეხისაკენ გაუდგა. მიირბინა თუ არა, მაშინვე მოძებნა თავისი მეგობარი მუშა და უთხრა: ინჟინერთან წასვლა მინდაო... ახლავე გამგზავნე, თორემ დედ-მამა მომნახავს და აღარ გამიშვებსო.

ამ დროს რკინის გზის მატარებელიც დაიძრა. ბახვა შესვეს ზესადგარზე და ფოთს გაუყენეს...

II

ბახვა იყო ერთად-ერთი შვილი მარტოხელის გლეხისა. მამამისს მახლობელ სერზე ამოერჩია სამოსახლო, რადგან დაბლობში მის მეზობლებს ციებ-ცხელება არ აყენებდა; ის გამოყოფრდა თავის ძმებს და იქ დასახლებულიყო.

მისი ცოლი, ბახულიას დედა, თუმცა კარგი მეოჯახე ქალი იყო, მაგრამ რძლები გადაკიდებოდენ ერთმანერთს. სანამ ბახულიას მამა ძმებთან ერთად იყო, შვილი არ ჩრჩებოდა. თუმცა ის ძმებზე უფროსი იყო, მაგრამ ამათ ოროლ-სამსამი ვაჟი კარგი მუშა ბიჭები გაგზავნილი ყავდათ ფოთს ფულის მოსაგებათ. იმათგან თავიანთ დედ-მამებს ფულები მოდიოდათ. რძლები მუდამ საყვედურში იყვნენ: ჩვენი შვილების ფული ოჯახში მარტოხელა მაზლზე იხარჯებაო.

ბახვას მამა ამაყი გულის პატრონი იყო. რძლებმა ორჯერ-სამჯერ გააგონეს უნასი ლაპარაკი. ბოლოს იმან შეკრიბა უმცროსი ძმები და ასე უთხრა: მე თქვენთან დგომა აღარ მარგიაო, იქნება. რასმე მამადლიდეთ, და მე დამადლებული არა მინდა-რაო. ჩემი წილი უნდა გამოვიყო და გაგეცალოთო. უმცროსი ძმები ბევრს ეხვეწენ, მაგრამ იმან აღარ ქნა: ერთხელ გატეხილი პური აღარ გამთელდებაო. ამასთანავე გულშიც ფიქრობდა. იქნება, ახალ სამოსახლოზე უფრო ბედნიერათ ვიცხოვროთ, ერთი პაწია ვაჟი დამრჩენია. იქნება. ის მაინც გამეზარდოსო. აიღეს ძმებმა ბაწრები, დაჰკრეს მთასა და ბარს და გაშორდენ ერთმანეთს.

ბახვას მამას ერგო ხუთი ქცევა სახნავი მიწა, შვიდი ქცევა ჭოჩორა ტყე და ქცევა-ნახევარი დობილო (მაღლარი უენახი), სახ-

ლებს შორის ბოსელზე მიდგმული ერთი ფიცრული ოთახი, რომელსაც ორი საყენი სიგძე ჰქონდა და საყენ-ნახევარი განი, ერთი ხულა (პაწია ბელელი), ერთი პატარა საღორე, ერთი ხბოიანი ძროხა, ცალი ხარი, ხუთი თხა, ოთხი თიკანი, ერთი ბოტი (დაკოდილი ვაცი), ორი წლის ჭაკი კვიცი, ექვსი ქათამი, ერთი მამალი, ერთი ნეზვი ღორი, ორი ათ-ჩაფიანი ქვევრი, ორი ქოთანი, ხუთი ხის ჯამი, ერთი კარდალი (მორჩილი ქვაბი), ერთი კინთი, კბილებ ჩამტვრეული საჩეჩელი და ერთი ჩიხრიხი (ბამბის გასარჩევი). ამას გარდა რაც წლის ჭირნახული ჰქონდა, მესამედი გამოიყო, შეიწია ორი დღით მუშა ხარ-ურმიანი, სულ ათი კაცი, რომელთაც ეს მთელი მისი ხაბაკ-ხუბაკი გადაუტანეს და დაუდგეს სერზე. იმ დროს ბახვა იყო ოთხი წლისა, ექვსის წლის განმავლობაში ჯაფის ამტანის დედაკაცის წყალობით ეს ახალი განაყოფი ოჯახი მოღონიერდა.

ბახვას მამამ ცულის ხელი იცოდა, ფიცრებს ფიცრებზე ლამაზათ აკდობდა და ძელურს აშენებდა. ამით მეზობლები ძალიან შიმადლიერებული ჰყავდა, ასე რომ თავის სახლ-კარის გადმოტანა და სერზე გადმოჭიმვა ბევრად არ დაჯდომია. მეზობლებს, რომელნიც მუშათ ეხმარებოდენ, დაუკლა ერთი თხა და ორი ბათმანი მეკადი შეაჭამა.

მის სახლ-კარს ცალი მხრით უფარებდა ქოჩორა ტყე და მეორე მხრით დობილო (მაღლარი). შორიდგან ხორც-შესხმულ კაცს არ შეეძლო მისი სახლ-კარის დანახვა, რადგან შუაგულ ტყეში იყო ჩადგმული. ამით იმან ღამის მგზავრებს მოარიდა თავი.

სამეგრელოში არც სასტუმროები, არც რესტორანები, წამეტურ იმ დროს, არ იყო. თუ სადმე გზის პირათ სამიკიტნო იდგა, იქ მეგრელი მგზავრი მაინც არ შეუხვევდა, რადგან კაპეიკის დახარჯვა მეგრელს სიკვდილივით ეზარება. შემოაღამდებოდა თუ არა მგზავრს, მაშინვე გზიდან გადუხვევდა და რომელსამე მოსახლეს მიადგებოდა ღამის გასათევათ. ეს ჩვეულება თითქმის აქამდის დარჩენილა, ამ მგზავრებში ზოგი ცხენის ქურდი იყო; ზოგი საქონლისა, ზოგი ვაჭარი, ზოგი მებატონე. მთელი სამეგრელო ამისთანა ხტუმრობით იყო აკლებული. ვისაც სურდა, თავი მოერიდებინა ამისთანა ლიანგისთვის, უნდა გაშორებოდა დიდ გზას, მიუდგომელ ტყეებში და მთებში უნდა დასახლებულიყო.

ბახვას მამას სხვა განზრახვაც ჰქონდა, მდინარე ციეზე გადამდგარ სერზე რომ დაესახლა. თეკლათის მუშებს ხშირად სჭირდებოდათ ძელები, ხის ნამორები და ფიცრები. იქვე ქოჩორა ტყე

იყო. ზამთრობით ბახვას მამა რამდენიმე დღით ჩავიდოდა თავის სადურგლო იარაღითა. წაიყვანდა ორს თავის მეზობელს და გაჰქონდათ იმათ ცულდებს დღენიადაგ კაკუნი. თუმცა ცოლ-ქმარს წლის სარჩო მარტოხელობის გამო ვერ მოყავდათ, მაგრამ ზამთარში ნაშოვნი ფულით, რაც გაზაფხულის მიწურულში დააკლდებოდათ. იმას ყიდულობდენ და ასე გამოდიოდენ.

როცა ბახვა ათი წლის შეიქნა, მის მშობელს ყავდა თიკნიანათ ოცი სული თხა, ერთი უღელი ხარი, ერთი კვიციანი ჭაკი ცხენი, ერთი მეწველი ძროხა, სამი უშობელი, წლის მოზვერი, ოთხი დედა ღორი და ექვსი გოჯი. წვრილ-ფეხეულობა: ქათამი, ისვი და ბატი — ბლომათ. ძმობაში წარგები სახლი ბოსლათ გადაეკეთებინა; სადგომათ კი ახალი ძელური წამოეჭიმა თავის საკუჭნაოთი, საცა მის ცოლს ქვეშსაგები ჰქონდა შენახული; სახლს ხულა (ბეღელი) ჰქონდა მიდგმული, რომლის ზესხვენზე (ჭერზე) გაუცეხველი ღომი ეყარა; თვითონ ხულაში ხელით სატრიალებელი წისქვილი ჰქონდა მოწყობილი. ამ პაწია წისქვილს ბახვას დედა კვირაში ორ დღეს აგრიალებდა და საღომე სიმინდს *) ღერღავდა. იქვე ახლოს ოთხ ბოძზე წნული სასიმინდე იყო შესკუპებული; თვითონ ძელური გარშემო საბუდრებით იყო შემოჭედილი; ზოგი ამათგანი ჩამოკიდებული იყო გარეთა კედლებზე. ზოგი სამკაპალა ბოძებზე იყო დაწნული. ზევით ძელური ისლით იყო გადახურული; ძელურის შუაგულს კერა იყო გაჩარებული და, რომ ისლს კერადან ცეცხლი არ გასჩენოდა, სახურავიდან ზედ კერაზე იყო ჩამოკიდებული ოთხ ჭიგოზე ზესხვენი (ჭერი) ფიცრებ-გალაგებული. ისინი ჭვარტლისგან გაშავებული იყვენ და ჭვარტლიც ზედ ფარატინებათ ეკიდა. შუაგულ ზესხვენიდან კერაზე დასწვრივ ორი ხის კაკვი იყო ჩამოშვებული და ერთმანეთზე რიკებით დამაგრებული. ამას ეძახდენ საქვაბეს, მისთვის რომ ზედ სპილენძის კარდალი ეკიდა და შიგ მუდამ წყალი თბებოდა. თვითონ ზესხვენზე ბევრი რამ ეკიდა საქვაბეს გარდა: მაჭიკი, საკიდელი **), თხის ძვლები, თუთუნის ფოთლები, სხვადასხვა ბალახეულობა ძაფზე აკინძული, რომლისაგანაც ბახვას დედა ზამთრობით მხლის საჭამადს აკეთებდა; ეკიდა აგრეთვე სხვადასხვა სოკოები, განსაკუთრებით მრავალი იყო მანჭკვარა. ზესხვენს ზემოთ კი მრავალი ხურმა იყო გასახმობათ დაყრილი თავის ტოტებიანათ.

*) სამეგრელოში სიმინდის ღომსაც აკეთებენ.

**) საკიდელი — რძის დასაკვეთია.

ბახვას მამას კარგა ხანია ღვინო აღარ მოსდიოდა. შონურს *) ნაცარს აყრიდა; მაგრამ, რაც უნდა წამხდარიყო ყურძენი, ბახვას მამა ერთ ათ-ჩაფიან ქვევრს მაინც გაავსებდა. იმას ჰქონდა ორი მამაპაპეული ქვევრი, კაკალს ქვეშ ჩაფლული, ბადიმით დახურული და თიხის მიწით თავწაგლესილი. ამ ათჩაფიანს წელიწადში ორჯერ გადიღებდა. ჰაწია ღვინის ამოსაღები ორშიმო, რომელსაც ბახვას მამა „ხრიკას“ ეძახდა, იქვე კაკალზე იყო ჩამოკიდებული.

III.

იმ საღამოს, როცა ბახულიამ თხები დაკარგა, მამა-მისი ძალიან ჩაფიქრებული იყო: ერთი — რომ შვილი გალახა და მერე ნანობდა, მეორე — რომ ცოლი გააჯავრა, მესამე — თხების ბედ-იღბალიც ძალიან აწუხებდა. მის გარემო ტყეებში ტურები ისე გამრავლებული იყვენ, რომ დარიან ღამეში შიგ. ეზოშიაც შემოდიოდენ და კივილ-ყმუილით იქაურობას იკლებდენ. მათ ხელში თხებს კარგი არა დაემართებოდათ-რა. ის ვახშმის წინ დაღვრემილი სამფეხა სკამზე წამომჯდარიყო და შემდეგ ნაირს ფიქრებში იყო გართული: „დღეს დილითვე ვატყობდი, კარგი არა დამემართებოდა-რა. გამოვედი თუ არა კარზე, ჩემი ცულდი პირაღმა ამართული დამხვდა; ამ დროს ყვავმაც დამძახა. მალე კი შევძახე: შენი ნიკარტი ქვას, შენი გულ-ღვიძლი ძაღლს მეთქი, მაგრამ რას უშველიდა! იმ მამალის ტურის არჩევმა მაინც ცუდათ დამძახა. კიდეც იმიტომ არ მაძლევდა დღეს გული სამუშაოდ წასვლასა“.

— დარია, — უთხრა ხმამაღლა თავის ცოლს: თხებს შეულოცე, იქნება გადარჩენ ნადირის კბილისაგან.

დარიამ გამოიტანა ერთი მუჭა მარილი, აურია სიმინდში და ასე დაიწყო:

„ეკენია — ბეკენია!
ბეკეს ხატი სვენებია.
ბეუფეო, ჩამოაგდე
ხელბორკილი რკინისა.
ნადირს კბილი შეუკარი,
მეკობრესა ხელ-მხარი;
გადააგდე ზღვაში,
ნუ გაუშვებ გზაში“.

---

*) შონური — ერთნაირი ვაზია, რომლისგანაც ოჯალეში ღვინო დგება.

სამჯერ გაიმეორა დარიამ ეს ლოცვა, მერე დაყარა შელოცვილი მარილ-სიმინდი ჯამზე და შედგა თახჩაში, რომ მეორე დილას შინაური საქონლისათვის ეშმია.

იმ ღამეს ხახულიას — ასე ეძახდენ ბახვას მამას — არ სძინებია. როგორც ინათლა, მაშინვე ზეზე წამოვარდა, გამოვიდა გარეთ, გადიხედა საჩეხში და იქ პირველად ბებერ ბოტს შეასწრო თვალი, რომელიც აფუღული და მოწყენილი ღობეზე რქებს იხეხავდა, თითქოს ჯავრისაგან კედელზე თავს ურახუნებსო ცხოვრების მეგობრების დაკარგვის გულისათვის. დანარჩენი თხები ხახულიას დანახვაზე, ღამით ნადირისაგან დაფეთებულნი, წამოვარდენ და აქით-იქით გაიფანტენ. პატრონი ვეღარ იცნეს. თხებს აკლდათ ორი ერკემალი, სამი დედა თხა და ერთი თიკანი. დამფრთხალი თხები ერთად შეიხურხლენ საჩეხის კუნჭულში. მხოლოდ მოხუცებული ბოტი მამაცურად წამოდგა წინ, გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი ხახულიასკენ და რქები ამართა დასატაკებლათ. ხახულიამ მარილ-სიმინდით სავსე ჯამი გაუწვდინა, ბოტმა უხვია განზე.

— ბელაჰ, ბელაჰ, ბელაჰ! — ტკბილის ხმით დაუყვავა პატრონმა. ბოტი თითქოს ამ ხმაზე გონებას მოეგოვო, მოტრიალდა, შემოხედა გამოწვდილ ჯამს, მივიდა და კრძალვით ჭამა დაუწყო. შემდეგ ხახულია მივიდა სხვა თხებთანაც. ამათ რაკი შენიშნეს, რომ ბოტი პატრონს არ უფრთხოდა, ყველანი მოტრიალდენ საჩეხის კუნჭულიდან და დაუწყეს მარილ-არეულ სიმინდს კვრეხა. ამ დროს დარიამაც გამოიტანა საჩეხში ქოთანი და თხები მოწველა. იმათ ბევრი არა ედგათ რა ჯიქნებში: შიშისაგან რძე გაქრობოდათ. ცოლ-ქმარმა მოუარა საქონელს. მზე მოვლილი იყო ბაკებზე. დარიამ საკიდელი უქნა რძეს და ჩადგა ქოთანი ნელ-თბილ ღადარში. მარტო მაშინ მოაგონდა, რომ ბახვა აღარსად იყო.

— ეს ბიჭი სად არის ამდენ ხანს? — შემოდგა თუ არა შინ ფეხი. იკითხა ხახულიამ. საქონელს გარეკა დაუგვიანდა.

— აბა, გადაიხედე წყაროზე! — უთხრა ცოლმა.

ხახულია ისევ უკან გატრიალდა, ჩავიდა დობილოში, მივიდა წყაროსთან, სადაც შორიახლო ღომის საცეხველი იყო წყალზე მომართული და ხანგამოშვებით ისმოდა მისი რახუნი. იქ რომ არ დახვდა, გამოტრიალდა შინისკენ საჩქაროთ, ერთი კიდევ გადააცლო თვალი სახლ-კარის გარემოს; რომ ვეღარსად ნახა, გული აუჩქარდა, გაექანა ქოჩორა ტყისკენ და მორთო ძახილი. პასუხი არ იყო. მერე აზრი აიღო, მეზობლებში არ გადამალულიყოსო. ჩავარდა დაბლა, მდინარის ცივის პირად.

მიიკითხ-მოიკითხა, იქაც ველარა შეიტყო-რა. მერე გავიდა ცივს გაღმა, თეკლათის ქვის სატეხში. ნაცნობმა მუშამ უთხრა: ეს ერთი საათია, რაც ბახულია მატარებელს დაუჯდა და ფოთის კენ გააქანეს ინჟინერთან დასაყენებლათაო.

— ბახვას მამა იქვე ჩაიკეცა ჯავრისაგან.

— როგორ -გაფითრდი, რა დაგემართა, ვაჟკაცი არა ხარ?— შეუტია მუშამ. — შენი ბედნიერების დღე ახლა არის. შინ რას გაგიკეთებდა. რას ისწავლიდა კერიასთან ნაცარქექიაობის მეტსა? დღეის იქით შენი ბახულია პურსა სჭამს, ფულს იშოვნის, გამოიცდება, რუსულს ისწავლის, კაცი გახდება.

— არ მინდა, ჩემო ბიძია, არც მისი ფული და არც მისი კაცობა. მე გულდაჩაგრული კაცი ვარ: შვილი არ შემრჩენია. ეგ ერთი ღლაპი მყავდა და ეგეც დამეკარგა. რაღაა ჩემი სიცოცხლე?...

ხახულიას ცრემლები მოერია თვალებზე.

— არა, მამა: თუ არ გსურს, ძალას ვინ დაგატანს? — შებრალებით ანუგეშა მუშამ. — წადი, დიდ გზაზე გადი, იქ ინჟინერია, სთხოვე და საღამოდის უკან მოგიბრუნებენ.

ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, მალამო მოსცხეს მის გაფიცხებულ გულს: ის ადგა, დაიჭირა ჯოხი ხელში და გაუდგა დიდის გზისკენ: განიზრახა, უფროს ინჟინერს მუხლზე მოხვეოდა, რომ შვილი უკან დაებრუნებია.

შუადღე შეიქნა, როცა ბახვას მამა ინჟინრის ადგილსადგომთან მივიდა. საცა რამდენიმე ბამბის კარავი იყო გამართული. ინჟინერი ერთ კაკლის ძირში სამგზავრო სუფრას მიჯდომოდა და სადილს შეექცევოდა. ბახვას მამამ წინ დაუჩოქა და ქუდმოხდილი შეევედრა. ინჟინერი განათლებული, გულჩვილი კაცი იყო, სკამი დაუდგა ხახულიას და თავის გვერდით მოისვა. გულდაჩაგრული მამა ანუგეშა. შვილს ძალიან კარგათ გაგიზრდიო, ახლავე ჯამაგირს დავუნიშნავ. ოთხ-ხუთ წელიწადს ფულიც ექნება და გაბედნიერებული შვილი მოგივაო. მოსამსახურე ბიჭს უბრძანა, ხახულიას სადილი მოუტანეო; კახური ღვინით გამოაბრუშა. ერთი თუმანი უსაგზლა და უკან გამოუშვა.

ბახვას მამა სრულებით კმაყოფილი დარჩა თავის შვილის ბედისა. მხოლოდ ინჟინერს თვალ-ცრემლიანი შეევედრა, რომ შვილის ამბავი ხშირად ეცნობებია. ინჟინერი ამას გარდა დაპირდა ხახულიას, რომ საალდგომოთ და საშობოთ ბახულიას ყოველთვის გამოგიგზავნიო. მზის ჩასვლისას ბახვას მამა მხიარული შემოვიდა თავის ეზოში. ცოლი კარის წინ დახვდა თმა გაწეწული და საცოდავათ

ᲛᲝᲡᲗᲥᲕᲐᲛᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲐᲡ. ᲥᲛᲐᲠᲛᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲣᲗᲮᲠᲐ, ᲗᲣᲛᲜᲘᲐᲜᲘᲪ ᲛᲘᲣᲢᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲣᲒᲔᲨᲐ.

ᲒᲣᲚᲨᲔᲬᲣᲮᲔᲑᲣᲚ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲠᲐ ᲚᲝᲜᲔ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. ᲣᲜᲓᲐ ᲔᲜᲣᲕᲔᲨᲔᲑᲘᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲥᲛᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲐᲡ ᲐᲥᲔᲗ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲡ ᲡᲘᲮᲐᲚᲘᲡᲔ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲐᲚᲐᲠ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲐ.

ᲑᲐᲮᲕᲐᲡ ᲛᲐᲛᲐᲛ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡᲕᲔ ᲘᲥᲘᲠᲐᲕᲐ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲘᲡ ᲑᲘᲖᲘ ᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲔᲛᲡᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘᲪ ᲘᲛᲐᲡ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲬᲐᲛᲘ ᲘᲡᲔ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲕᲘᲓᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲮᲕᲐᲡ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲐᲠ ᲬᲐᲛᲝᲔᲫᲐᲮᲐ: „ᲑᲐᲮᲕᲐ, ᲡᲙᲣᲐ. ᲡᲙᲐᲜᲘ ᲒᲝᲚᲣᲐᲤᲘᲠᲝ ᲩᲥᲘᲛᲘ ᲓᲣᲓᲘ“ (ᲑᲐᲮᲕᲐ, ᲨᲕᲘᲚᲝ, ᲨᲔᲜ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲕᲘ)!...

ᲑᲐᲮᲣᲚᲘᲐᲡ ᲓᲔᲓ-ᲛᲐᲛᲐᲛ ᲐᲛᲘᲔᲠᲘᲓᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ᲩᲐᲛᲝᲚᲝᲪᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲐᲕᲔᲑᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝᲗ.

ᲗᲔᲙᲚᲐᲗᲘᲡ ᲛᲝᲨᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲩᲠᲓᲘᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡᲙᲔᲜ ᲒᲐᲔᲙᲕᲠᲔᲑᲐ ᲡᲔᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲰᲥᲕᲘᲐ ᲐᲑᲔᲓᲐᲗᲘᲡ ᲛᲗᲔᲑᲘ. ᲘᲛᲐᲗᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲒᲝᲠᲐᲐ, ᲘᲥ ᲘᲓᲒᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲣᲮᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲛᲣᲮᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲡᲮᲕᲐ ᲨᲔᲡᲐᲬᲘᲠᲐᲕᲔᲑᲘ. ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ Ს. ᲭᲐᲰᲮᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲗ, ᲢᲔᲮᲣᲠᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ, ᲡᲔᲠᲖᲔ ᲘᲓᲒᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲪᲐᲪᲮᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲔᲫᲐᲮᲓᲔᲜ „ᲘᲡᲙᲘᲝᲠᲓᲐᲡ“-Ს. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲪᲐᲪᲮᲕᲘᲡ ᲮᲔ ᲘᲓᲒᲐ ᲛᲗᲐᲖᲔ, ᲜᲝᲑᲣᲚᲔᲕᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲗᲐᲜ, ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ, ᲑᲐᲚᲓᲐᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲗ. ᲛᲐᲠᲢᲕᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲘᲥᲐᲛᲓᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲘᲐ. ᲐᲛ ᲡᲐᲛ ᲮᲔᲡ ᲑᲐᲮᲕᲐᲡ ᲓᲔᲓ-ᲛᲐᲛᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲡ ᲡᲬᲘᲠᲐᲕᲓᲐ ᲗᲘᲗᲝ-ᲗᲘᲗᲝᲗ ᲡᲐᲙᲚᲐᲕᲡ: ᲔᲠᲗ ᲮᲑᲝᲡ ᲓᲐ ᲝᲠ ᲗᲘᲙᲐᲜᲡ. ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲣᲨᲝᲑᲘᲡᲘᲗᲕᲔ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐ, ᲮᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲐᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐ ᲪᲘᲡᲘᲔᲠᲖᲔ ᲣᲑᲠᲐᲗ, ᲬᲐᲘᲓᲝᲓᲐ ᲐᲑᲔᲓᲐᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲖᲔ, ᲬᲐᲘᲚᲔᲑᲓᲐ ᲙᲕᲔᲠᲡ ᲓᲐ ᲝᲠ ᲚᲣᲠᲡᲛᲐᲜᲡ, ᲛᲣᲮᲚᲡ ᲛᲝᲘᲧᲠᲘᲓᲐ ᲬᲨᲘᲜᲓᲐ ᲛᲣᲮᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ, ᲛᲝᲘᲮᲓᲘᲓᲐ ᲩᲐᲑᲐᲚᲐᲮᲡ ᲓᲐ ᲐᲡᲔ ᲨᲔᲔᲕᲔᲓᲠᲔᲑᲝᲓᲐ: „ᲛᲣᲮᲐᲕ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲝ, ᲨᲔᲜ ᲨᲔᲑᲝᲠᲙᲔ ᲩᲔᲛᲘ ᲑᲐᲮᲣᲚᲘᲐᲡ ᲛᲢᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲬᲧᲔᲕᲐᲠᲘ, ᲘᲮᲡᲔᲜᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲜᲐᲘᲠᲘᲡ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡᲐ�გᲐᲜ, ᲒᲐᲜᲐᲠᲘᲜᲔ ᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲘ: ᲬᲘᲗᲔᲚᲐ, ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘ, ᲮᲕᲔᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲪᲔᲚᲐ (ᲧᲕᲐᲜᲐ), ᲓᲐᲐᲑᲘ ᲓᲐ ᲜᲣ ᲛᲘᲣᲨᲕᲔᲑ ᲛᲐᲖᲔᲖᲔ, ᲡᲐᲜᲐᲛᲓᲘᲡ ᲔᲡ ᲝᲠᲘ ᲚᲣᲠᲡᲛᲐᲜᲘ, ᲨᲔᲜᲓᲐ ᲛᲝᲫᲚᲕᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲜ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲩᲐᲫᲔᲓᲘᲚᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲐᲠ ᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲔᲡ“. ᲐᲛ ᲚᲝᲪᲕᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲐᲭᲔᲓᲓᲐ ᲛᲣᲮᲘᲡ ᲫᲘᲠᲖᲔ ᲝᲠ ᲚᲣᲠᲡᲛᲐᲜᲡ, ᲛᲔᲠᲔ ᲡᲐᲛᲯᲔᲠ ᲨᲔᲛᲝᲣᲕᲚᲘᲓᲐ ᲛᲣᲮᲐᲡ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲣᲑᲠᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲬᲔᲕᲓᲐ ᲨᲘᲜᲘᲡᲙᲔᲜ.

ᲘᲛ ᲦᲐᲛᲔᲡ ᲑᲐᲮᲕᲐᲡ ᲓᲔᲓ-ᲛᲐᲛᲐᲡ ᲨᲘᲜᲐᲪ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲚᲝᲪᲕᲐ ᲔᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲥ ᲜᲐᲡᲣᲥᲘ ᲮᲑᲝᲡ ᲑᲝᲡᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲔᲓᲔᲜ ᲫᲔᲚᲣᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲯᲔᲠ ᲨᲔᲛᲝᲐᲢᲐᲠᲔᲑᲓᲔᲜ ᲙᲔᲠᲘᲐᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲚᲝᲪᲕᲘᲗ: „ᲛᲣᲮᲐ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲝ, ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲘᲬᲘᲠᲐᲕᲡ ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲔᲡ ᲣᲨᲝᲑᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲑᲐᲮᲣᲚᲘᲐᲡ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝᲗ“. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲮᲑᲝᲡ ᲫᲘᲚᲣᲠᲨᲘ ᲓᲐᲐᲑᲐᲛᲓᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲡᲣᲥᲔᲑᲓᲔᲜ. ᲓᲘᲚᲐ-ᲡᲐᲦᲐ-

შოს ხბოს მარილსაც აკმევდენ. იმ დღეს ხახულია და მისი ცოლი ერთმანეთს ხმას არ გასცემდენ, უბრობა და მარხულობა დაწესებული ჰქონდათ. შობის წინადღეს ამგვარათვე ჩამოილოცავდენ, მოხდიდენ ათ-ჩაფიანს, დაკლავდენ წინადღით შეწირულს ხბოს; შობა დღეს მოიწვევდენ მეზობლებს სადილათ; პირველი ლოცვა ბახულიას სადღეგრძელოთ წარმოითქმებოდა, მერე შეუდგებოდენ საერთო მოლხენას.

ამგვარათვე მოიქცევოდენ ცოლ-ქმარი. როცა ხახულია აღდგომის კვირაში წაიღებდა „ისკიოდას" ცაცხვთან მის შესაწირავათ ორს აღდგომის წითელ კვერცხს და იქიდგან დაბრუნებული, დაკლავდა პატიოსანის ცაცხვისადმი შეწირულს თიკანს, და „ნობულევის" ცაცხვთან გაეშურებოდა მარიამობას. ეს ცაცხვი დღესაც შეხირხლულია ცხენის ნალებით, ლურსმნებით, ბამბის ძაფიანი თითისტრებით და გარშემოხვეულის ბამბის ძაფებით. ვისაც ცხენი, ან საქონელი დაეკარგება, თავის მოვალეობათ რაცხს, წაიღოს ცხენის ნალი და დააქედოს ცაცხვზე ამ სიტყვებით: „ცაცხვო პატიოსანო, შენ შეუკარი ხელ-ფეხი და ასე დააქედე ერთს ადგილაც ჩემის ცხენის ქურდი. სანამდის გულწრფელათ არ გატყდეს და არ შემოგპირდეს საწირავით თავის აშვებას, ნაპარავის ჩემთან მოყვანას, ნუმცა შეგისმენია მისი ვედრება".

IV.

მას აქეთ, რაც ბახულია ფოთს წაიყვანეს, დედა-მისი ყოველ კვირაობით ჩადიოდა თეკლათის ქარხანაში შვილის ამბის საკითხავათ. ის გააკეთებდა შვენიერ სულგუნებს (გადაზელილ ყველებს), მოუქსოვდა შვილს ჭრელ ლაზლის წინდებს, სულგუნებს ინჟინრის ცოლს უგზავნიდა და ჭრელ წინდებს თავის ბახულიას. ამიერიდგან დარიასთვის რკინის გზის მატარებლის სტვენა ჩიტის ძახილათ გადაიქცა, და, როგორც ჩიტის ძახილს, მატარებლის სტვენასაც ისე უპასუხებდა: „ჩიტო, ჩვენ კარგი ამბავი, შენ ოქროს ნისკარტი, გაშალე, ფთა, გადაიარე მთა".

როცა დარია შინაურ საქმეებს მორჩებოდა, ყველაფერს მიალაგ-მოალაგებდა, მერე წავიდოდა ქოჩორა ტყისკენ. იმ სერზე, ერთ ხის ძირას, დარიას ერთი პტყელი ქვა ჰქონდა ამორჩეული საჯდომათ. ყოველს კარგ ამინდში წაიღებდა იქ თავის ხელსაქნარს და საღამომდის სულ თეკლათის რკინის გზის მუშებს უცქეროდა, ქვის ტეხაზე და მატარებლის წინ და უკან ტარებაზე აყოლებდა

გულს. ასე ეგონა, ყველა — მატარებლიან, მუშებიან, ბახვაზე ელა-პარაკებოდენ, მის ამბავს ეჩურჩულებოდენ შორიდან მოყვარულ დედას. ხანდახან ვახშმობისას, როცა მოწყენილი ცოლ-ქმარი ოჯა-ხობის ამბავს მოლეკდენ, დარია გაუტარებდა სიტყვას ხახულის ფოთს გამგზავრებაზე და ბახვას ნახვაზე. ქმარი ამოიხვნეშებდა და იტყო-და: გაზაფხულზე უნდა წავიდე, როცა ჩემი ჭაკი ცხენი კვიცის მოგების შემდეგ ღონეზე მოვაო. გაზაფხულიც დადგა, მაგრამ ხახუ-ლიას ხან ყანის თესვა, ხან მეოთხედის გადახდა უშლიდა ხელს, ფოთს წასულიყო. ამ მზადებაში გავიდა ერთი წელიწადი.

ქრისტეშობის დღესასწაულის წინა ღამე იყო. ბახვას მამას შე-წირული ხბო დაეკლა და ატყავებდა. დარია კერას აჩაღებდა. ზედ დიდი ნალოები (ხის მორები) ედო და ცეცხლს აღუზღუზებდა. წყლით სავსე ქვაბი, საქვაბეზე ჩამოკიდებული, შიშინებდა. მოჯა-მაგირეს ხან ჩაფით წყალი მოჰქონდა, ხან ხმელი ფიჩხები. ამ დროს ნაცნობმა კონდუქტორმა შემოდგა ფეხი სახლში. დარიამ სიხარუ-ლით წამოიძახა: „უი, შენ ჩემო ღვთის ანგელოზო! ბახულიას კარ-გი ამბავი თუ მოგაქვს“!...

— ძალიან კარგი ამბავი, უპასუხა კონდუქტორმა: ინჟინერს უნდოდა გამოეგზავნა თვითონ თქვენი შვილი, მაგრამ დღესასწაუ-ლებზე მოსამსახურეები შინ გაუშვა და ბახვამ ვეღარ მოიცალა. მაგიერათ აი რა მოგიტანე! თვითონ ბახულიას დაწერილი წიგნი და შიგ ერთი თუმანიც გამოხვეული.

დარიამ უცებ ხელიდან ხამოსტაცა წიგნი და აღტაცებით იძა-ხოდა:

— „სკანი გოლუაფირო, ჩქიმი ბახვა, ჩქიმი ჭიჭე, ჩქიმი ან-გელოზი“!... („შენ შემოგევლე! ჩემი ბახვა, ჩემი პაწია, ჩემი ანგელო-ზი!...). დარია გაგიჟდა, გაგიჟდა სიხარულით: ხან გულში იკრავდა წიგნს, ხან კოცნიდა ბარათს და ზედ ცრემლების კურცხლებს აფრქ-ვევდა. ბოლოს გაშალა წიგნი და რომ ნახა ბახულიას ნაწერი, ერთი უნებურათ გადიხარხარა და სიცილი ტირილათ გადაექცა:

— „დიდა, ნანაი, ჩქიმი ბახვაშ ნაჭარი, ჩქიმი ბახვაშ ხე, მუში ჭირმა...“. (დედა, დედა, ჩემი ბახვას ნაწერი, ჩემი ბახვას ხელი. მი-სი ჭირიმე!) დაუწყო ბარათს კოცნა.

ხახულიამ მოიხადა ყაბალახი, თვალები ზეცას მიაპყრო და რაცხას ბუტბუტებდა, ეტყობოდა, ღმერთს მადლობას სწირავდა ბა-ხულიას კარგათ და ბედნიერათ ყოფნისათვის.

კონდუქტორი რვა დღეს არ გაუშვიათ. რაც კი რამე შეეძ-ლოთ, ცოლ-ქმარს არა დაუზოგავს-რა, რომ კონდუქტორი მოე-

ლხინათ, მეზობლები დაუპატიჟეს ახალგაზრდა ქალებიანათ. მუზიკა. ჰარმონიკა, დაირა, ჩონგური და სხაპვა-თამაში მათ ხელათ იყო. კონდუქტორმა ის დღეები ძალიან მხიარულებით გაატარა. დოლ-ბანდიანი ლამაზი ახალგაზდა გოგოები კეკლუცი ცელქობით და მოხდენილი თამაშით ერთმანეთს ეჯიბრებოდენ, რომ კონდუქტორის ყურადღება მიექციათ თავიანთ თავზე...

იმ რვა დღეს მუდამ ერთი განუწყვეტელი სიცილი, კიჟინა მეგრული სიმღერები და ჩონგურ-დაირის კვრა იყო გამართული ქალები ხშირად გააბამდენ ფერხულს. ნამეტურ ვახშმობისას, ჩაირევდენ კონდუქტორს და მანამდი უვლიდენ ანთებულ კერას სიმღერით, სანმამდის არაქათ-წართმეულნი აქეთ-იქით ტახტებზე არ დაეყრებოდენ.

ხანდახან კონდუქტორი სადღაც გაილალებოდა და მეორე დღეს სადილობისას ძლივს შემოვიდოდა სახლში. ხახულია და დარია არ დარდობდენ მის დაკარგვაზე, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ კონდუქტორს მეზობლებში ბევრი მოკეთე ყავდა; წინდაწინვე იყვენ დარწმუნებული, რომ იმას უსიამოვნო არა შეემთხვევოდა რა.

შობის მეორე დღეს დარიას ჩვეულებათ ჰქონდა, რომ ლორის ხორცით და ქონით გატენილი დიდი მჭადი გამოეცხო. ეს იყო შეთქმული და შელოცვილი ბახვას საბედნიეროთ. სადილათ რომ დასხდებოდენ, ამ მჭადს ერთი ლამაზი ქალი დაიჭერდა ხელში და მოიპატიჟებდა ახალგაზრდა ვაჟს ერთად გასატეხათ. მჭადს დასდებდენ დიდი ხის ნამორზე, რომელიც კერაზე იყო გაზოდვილი. ქალი ცალკე ცდილობდა, რომ მისკენ მჭადის უდიდესი ნაწილი გადამტყდარიყო, და ვაჟი ცალკე. ვისკენაც უფროსი ნატეხი გადვიდოდა, ის იყო მოგებული. იმ დღეს ლამაზმა ქალმა კონდუქტორი მიიპატიჟა მჭადის გასატეხათ და, რადგან მჭადი ბახვას საბედნიეროთ იყო გამომცხვარი, ლამაზმა ქალმა უფროსი ნახევარი კონდუქტორს არგუნა. გატეხვაზე სტუმრებმა დიდი კიჟინა დასცეს და მიულოცეს დედ-მამას ბახვას ბედნიერება, რადგან მჭადის უფრო დიდი ნახევარი ვაჟმა გადითრია თავისკენ.

V. VI. VII. VIII. IX.

X.

ფოთის პორტში დიდი ხნიდან მუშაობდა ერთი რუსი მჭედელი. სახელად ივანე. იმას ჰქონდა ჩაბარებული ერთი სამჭედური, მთა-

ვრობის ხარჯით გაკეთებული. კვირაში იღებდა თავის შრომის ფასად შვიდ მანეთს. თუმც ივანე კარგი და პატიოსანი მშრომელი კაცი იყო, მაგრამ ერთი ახირებული ნაკლულევანება სჭირდა, თვეში ერთხელ დათრობა ჩვეულებათ ჰქონდა და, თუ ვინიცობაა ამ რიგს ასცდებოდა, მაშინვე ავად გახდებოდა. ისე კი დათვრებოდა, რო იმ სამ-ოთხ დღეს მკვდრად ეგდო ლოგინზე. ივანეს რომ სალდათად სამსახურის ვადა გაუსრულდა, დაეთხოვა მთავრობას და ფოთში მოიწყო სახლ-კარი; მან ჩნიებულათ შეისწავლა ქართული და მეგრული, რადგან მეგრელის ქალი შეირთო ცოლად, თვითონაც ქართველობდა.

მისი ცოლი ერთი იმ მეგრელ ქალთაგანი იყო, რომელნიც ბედუკულმართობისგან მივარდნილან ფოთს და ერთ დროს გამვლელ-გამომვლელის ჟინის მოსაკლავად გამხდარახ. საზოგადოთ მომეტებული ნაწილი ამ გვარის ქალებისა სულით და ხორცით წაწყმენდილი არიან: მაგრამ სალომეზე. რომელიც ივანე რუსს ცოლად შეხვდა, ამას კაცი ვერ იტყოდა. ის მეტად კარგი და ჯერ კიდევ სულ-ხორცით წაუბილწველი აოსება გამოდგა.

სანამ სალომეს შეირთავდა, ივანე რუსი კვირაში ორჯერ თვრებოდა, ხანდახან სამჯერაც. ერთი სიტყვით, იმ დროებში ივანე თავის ნაშოვარს ყველაფერს არაყის სმაში ლუპავდა. სალომემ ისე გაშოაკეთა ეს ლოთი. რომ უწინდელი მისი მნახველები და მეგობრები ველარ ცნობდენ.

დაქორწინების შემდეგ სალომე შეუდგა ოჯახის თადარიგიანობას. ზოგი ქმრის ნაშოვნით, ზოგი თავის ყაირათობით შეგროვილი ფულებით სალომემ იყიდა ერთი ხბოიანი ძროხა. ამ სახით ცოლი შინ გამეცადინდა: თუ სარეცხებს იღებდა, თუ ძროხის რძეს ჰყიდდა; ქმარმა კი პორტში დაუდვა გული მუშაობას. ივანე რუსს, როგორც დამსახურებულ სალდათს, მისცეს ფოთში პორტის მახლობლათ ერთი ნაჭერი ადგილი. მან ზედ დაიდგა ერთი ფაცხური სახლი, შელესა შიგნით და გარეთ მიწით, მერე შეფეთქა კირით; სახლი სამ თვალად გატიხრა: ერთში სამზარეულო მოაწყვეს, მეორეში თავიანთი საწოლი ლოგინები. მესამე თვალი სასტუმროდ გახადეს.

რაკი ივანე რუსმა შენიშნა სალომეს სიყვარული და მომჭირნეობა, მერე ისიც სინიდისს მოეგო, გადაწყვიტა სიმთვრალის გადაგდება. მართლაც, თითო თვე ისე გავიდოდა, რომ არაყის წვეთსაც არ ჩაუშვებდა ყელში.

ერთხელ ივანე რუსს მოსვლოდა არაყის ხურუში, რომ იმ შაბათ-საღამოს პორტის საწვრილმანო დუქნისკენ გაქანებულიყო. შუადღემდის უცადა ქმარს სალომემ და, რომ აღარ მოვიდა, მაშინვე

იგრძნო, რაც უბედურება იყო მის თავსა. ნაშუადღევს ფარნით თვითონ სალომე წავიდა საწვრილმანო დუქანში და წამოიყვანა იქ გდებული გრძნობა-მიხდილი ქმარი.

ამას შემდეგ სალომე ყოველ შაბათ საღამოს თვითონ მიდიოდა პორტში და მის ხვედრ ფულს თვითონ იღებდა. პირველ ხანებში ივანე ძალიან კმაყოფილი დარჩა ამით. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, როცა არაყის ჟინი მოუვიდოდა ხოლმე, ივანე კიდეც გაკრავდა თითო ოროლა მუშტს სალომეს. ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო. სალომემაც, როგორც ჭკვიანმა დედაკაცმა, ქმარს პირობა დაადებინა, რომ ის თვეში მარტო ერთხელ დამთვრალიყო, ისიც შინ, და არა სამიკიტნოში. როგორც თვე მიიწურებოდა, მეოთხე შაბათს სალომე წავიდოდა პორტში ივანეს ჯამაგირის ასაღებათ და ამასთანავე ერთ შტოფ არაყსაც თან გამოიძღვანებდა ქმრისათვის.

მესამე წელიწადს. ქორწილის შემდეგ, სალომეს მიეცა ქალი, და დაარქვეს ესმა, ანუ შემოკლებით ესია. ეს ქალი იყო ერთადერთი ნუგეში დედ-მამისათვის. რაკი ქალი ეყოლა, ივანე რუსმაც ერთი-ორათ იკეთა და იწყო ოჯახში მომჭირნეობა. თითქმის იშვიათად თვრებოდა და შოვნითაც. უწინდელთან შედარებით ბევრს შოულობდა. პორტში განწესებულ მუშაობას გარდა კერძო სამუშაოსაც ბევრს იღებდა: ვის დანას გაუკეთებდა, ვის მოშლილ თოფ-დამბაჩას გაუსწორებდა. ამ გვარის მოქმედებით ივანე რუსმა ყველას თავი შეაყვარა. ცოტაოდენი ფულიც გაუჩნდა.

რვა წლის რომ შეიქნა იმათი ქალი, პირველდაწყებით სასწავლებელში მისცეს. ზრდასთან ესმას შვენიერებაც ემატებოდა. სკოლაში შეისწავლა ქართულ-რუსული წერა-კითხვა, სხვადასხვა ხელსაქნარი: კრუჟევების ქსოვა, ყასნაღის ნემსით ქარგვა, ჭრა და კერვა.

ცამეტი წლის რომ შეიქნა ესმა, დედამ სასწავლებლიდან გამოიყვანა და ერთს ფრანგის მკერვალ ქალს მიაბარა. თხუთმეტის წლის რომ შეიქნა. ესმა კოკრად გაფეთქილ მაისის ვარდს დაემსგავსა; ისეთი ააგდო ტანი, რომ დედა მხრებზე ვეღარ სწვდებოდა. ფოთში ივანე რუსის ესიას ყველა იცნობდა. მისი ლამაზი თეთრ-ყირმიზი სახე, შავ-თვალ-წარბიანი, გრძელ-წამწამებიანი გამვლელ-გამომვლელს, განსაკუთრებით ფოთის ნოქრებს, ცეცხლს უნთებდა გულში.

ესმა ხშირად მიდი-მოდიოდა ფოთის ქუჩებში მკერვალის ქალის სახლამდის. ვინც კი ამ დროს მის ლერწამს ტანს და ჯეირნის თავ-კისერს თვალს შეასწრებდა, უნებურათ წამოიძახებდა: „ნეტავი შენს დედ-მამას, რომ ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი ჩამოსვლიხარ!“ მაგრამ ჯერ გზაზე მას ვერავინ გახუმრებოდა და ურიგოთ

ხელის ხლება ჯერ მისთვის ვერაკის გაებედა. მისი თავდაჭერილობა ყველას უღვიძებდა გულში ღრმა პატივისცემას მისდამი. მისი დიდრონი თვალების, ნამეტურ ნოქრებს, ძალიან ერიდებოდათ.

ესმა მაშინაზე მიეჩვია ლამაზად კერვას, ტანისამოსის მოხდენით გამოკრას. ჯერ ერთი წელიწადიც არ გასულიყო, რაც ესია მიებარა მკერვალ ქალს, და ის უკვე სარგებლობდა თავის შეგირდის შრომით; მას ძალიან შეუყვარდა ესია მომჭირნეობისა და ბეჯითად შრომის გულისათვის. ის შოულობდა ახალ-ახალ მოდებს, ზოგს რუსულის, ზოგს ფრანგული ჟურნალებიდან, მოუტანდა ესიას და აჩვენებდა, თუ როგორ უნდა გამოეკრა ან შეეკერა იმათი ბადალი. თვითონაც რაც იცოდა, ყველაფერს ასწავლიდა და არაფერს შურავდა მისთვის.

XI.

ერთს კვირა დღეს ივანე რუსს პორტის სამკედურში ძალიან დააგვიანდა. რალაც ბევრი და საჩქაროდ საკეთებელი ავეჯეულობა მიებარებინათ. ივანემ ნაშუადღევამდის კვირაძალი გასტეხა. მუშაობას რომ მორჩენილიყო, კვირაძალის გატეხისათვის მიეცათ ორი მანეთი ქირა, ჯამაგირის გარდა, და შინ გამოესტუმრებიათ. მას ასდევნებოდენ გზაზე ამხანაგები და გადაეწყვიტათ იმ ფულით ქეიფობა.

სალომემ და ესიამ იმ დღეს გადაწყვიტეს წირვაზე წასვლა და ამის გამო დილა ადრიანათ სადილი გააკეთეს; იმათ იცოდენ, რომ ივანეს პორტში იმ დღეს ბევრი მუშაობა ჰქონდა და საღამომდის შინ აღარ მოვიდოდა.

კვირა დღეს დიდი ჯარი მოგროვილიყო წირვაზე. განსაკუთრებით ბევრი ახალ-ჩამოსული ცხენოსანის ჯარის კაცები ყოფილიყვენ. წირვა რომ გამოვიდა და საყდრის გალავანში ხალხი გამოეფინა, ესმას თავის სიცოცხლეში პირველად მოესმა შემდეგი სიტყვები, ბოხი ხმით წარმოთქმული: „ნეტამც ეს ლამაზი ქალი ვინ არის?"—ესმამ მოიხედა და ცხენოსანის ჯარის რამდენიმე ახოვანი კაცი (ვსადნიკები) იდგა მის გვერდით. ერთი მაინც იმათში ყველაზე უდიდესი შეუპოვარი შეხედულების იყო. ესმამ თავისი დიდრონი თვალები შეანათა ამ კაცს, მაგრამ მალე უცბათ ძირს დაუშვა, რადგან ის კაცი ცდილობდა, ესმასთვის თვალი თვალში გაეყარა.

— დედა, მოვშორდეთ ამ ალაგს; ეს კაცები უკმეხად გვიყურებენ, — წასჩურჩულა სალომეს ესმამ.

სალომე და ესმა გამოეშურენ შინისაკენ. იმათ ეგონათ. ცხენოსანი ჯარის კაცები საყდრის გალავანში დარჩებოდენ. შინ რომ მიახლოვდენ, იმავე ჯარის კაცებმა დედა-შვილს გზა გადაუკრეს, და ამ დროს ესმას კიდევ შეეფეთა წინ იმ უზარმაზარის ჯარის კაცის ცეცხლივით ანთებული თვალები; ქალს შიშისაგან კინაღამ გული წაუვიდა.

— დედა, ნეტავი აგი კაცი არ დამენახა! — გულგახეთქილმა ესმამ უთხრა სალომეს დაბალის ხმით.

რატომ, შვილო?... ის ძალიან მოხდენილი და ჯავარიანი კაცია, ვინც უნდა იყოს ის დედ-მამა-ცხონებული! — უპასუხა სალომემ.

— არა, ნანაია, *) მაგი კარგი კაცი არ უნდა იყოს, ფირალს**) გავს. ასე მგონია, ის კაცი რაცღა უბედურებას შეგვამთხვევს...

— არა, შვილო! ეგენი' ესადნიკები არიან, მოსამსახურე კაცები. მაგათში სულ ჩვენებური თავად-აზნაურის შვილები არიან. პატიოსანი კაცები. ცუდს რავა იკადრებენ.

— არა, ნანაია, მაგი ცუდია, ვინცღაა, ცუდი!..

— შენ რა გენაღვლება, შვილო, შენ რას დაეძებ?

— ნანაია, მაგ კაცმა გლახათ ყურება დაიწყო.

— მისი თვალი ქვას, მისი არჩიეი ძაღლს. შვილო!..

ამ ლაპარაკით დედა-შვილი შეეიდა თავიანთ სახლში, გაიხადეს სადღესასწაულო ტანსაცმელი და დასხდენ წინ-და-წინ დამზადებულის სადილის საქმელათ.

ესმას თვალიდან არ სცილდებოდა მაღალის, მოსულის ესადნიკის სახე, მის შუბლზე შეკრულს შავს სხვილ წარბებს და ცეცხლის მაფრქვევე თვალებს ესმას ნორჩი გამოხატულება საშინლად შეერყია. იმას ყმაწვილობისას ბევრი ზღაპარი ჰქონდა გაგონილი. საცა ავსული, შავ-რქიან დევები დედა-მიწას ანგრევედენ, ქალ-ვაჟებს იტაცებდენ და სჭამდენ. მისგან ნახული საშინელი „ესადნიკი" მისი აზრით სწორეთ იმ დევის მსგავსი უნდა ყოფილიყო. ამ „ესადნიკს" ფოთში ეძახდენ ერემია წარბას.

ჯერ ორი თვეც არ გასულიყო. რაც ქართველი ცხენოსანი ჯარი (Конно-иррегулярный полк) დააყენეს ფოთში და „ერემია წარბას" სახელი ყოველგან ისმოდა. მის ვაჟკაცობას. სიმარდეს და ამხანაგობას ყველა აქებდა. ის იყო თავის ამხანაგების ღმერთი. თუ რომელსამე ვაჭარს კონტრაბანდის გამოტანა ენდომებო-

---

*) ნანა მეგრულათ დედას ჰქვიან.

**) ფირალი ყაჩაღია.

და ზღვით. მაშინვე იერემიას მიმართავდა. იმისი დათანხმება და საქმის გაჩაღება ერთი იყო.

იმ დღეს სალომე და მისი ქალი ოჯახობაში გაერთვენ. საღამოს დედამ ძროხა მოწველა და დააბინავა, ხბო ცალკე ბოსელში შეაგდო. მერე დედა-შვილმა ვახშამი დაამზადეს და უცდიდეს ივანეს. მაგრამ ის არსად იყო. სალომემ მაშინვე გადასწყვიტა, ამხანაგები გააბრიყვებდენო, და გასწია პორტის სამიკიტნოებში. იქ რომ ვერა შეიტყო-რა, დაბრუნდა შინ გულგახეთქილი და დედა-შვილმა მთელი ის ღამე თითქმის უძილოთ გაატარეს.

მეორე დღეს დილით, მზის ამოსვლისას, რაღაც ხმაურობა გაისმა ქუჩაზე. სალომე უცბათ გამოიჭრა გარეთ. რას ნახავს მისი თვალები?.. მისი ივანე თავგათხლეშილი და მკლავებ-დამტვრეული ცხედარით შემოიტანეს შინ მუშებმა. იმათ უკან მოსდევდა ერთი ახალგაზდა მეგრელი, რომელიც ავი თვალით არ ინახებოდა, ისეთი მოხდენილი ჭაბუკი იყო. ეს იყო პორტის მუშების თავმდგომი და უფროსი. თურმე ამ ყმაწვილს იმ ღამეს უნდა გადაეცა სალომესთვის მთელი თვის ივანე მეედლის ქირა.

მომეტებულათ დამთვრალი ივანე შინისკენ წამოსულიყო იმ ღამეს და, რკინის გზის ლიანდაგი რომ ვეღარ გადაეევლო, ზედ რკინის ზოდებზე გაშოტილიყო და იქვე ჩასძინებოდა. ღამით მატარებელს გადაეევლო ზედ და გაეკულიტა.

თავგაპეკეული ქმრის დანახვაზე სალომემ საოცარის ხმით იკივლა, მორთო წივილი საცოდავათ. აგრეთვე ესმამაც. დედა-შვილის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. იმათ ისეთნაირათ მოსთქვეს, რომ ქვაც ატირდებოდა. ესმას უმანკო სახემ, სქლად გაშლილმა და მხარბეჭზე გადაყრილმა მისმა შავმა თმამ და მარგალიტის ნაკადულმა ცრემლებმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს პორტის მუშების თავდგურზე. თვით ამ ახალგაზრდას წარმოუდგა თვალწინ თავის საკუთარი სიობლე, მოაგონდა თავისი ახლად დამარხული მშობლები და ესმას საცოდაობის შემხედვარემ ცრემლის კურცხლები გადმოყარა თვალებიდან.

ტირილით რომ მოიღალა, სალომემ ზევით აიხედა და ხელმეორეთ მორთო საცოდაავი კივილი. მის მწუხარე გულს ცეცხლი ახლა კიდევ უფრო აენთო. თუმცა იმ ახალგაზრდამ სალომეს ვინაობა არ იცოდა. მაგრამ სალომეს დიდი ხანია შეეტყო ცხონებულის თავის ქმრისაგან იმ ახალგაზრდას ვინაობა და მისი სიკეთე. იმ დროს. როცა ეს შვენიერი ჭაბუკი თხებს უდგა, სალომე გასათხოვარი ქალი იყო. ის თურმე ხშირად დადიოდა ამ ჭაბუკის დედ-

მამის ოჯახში და მისთვისაც ბევრჯერ მოუვლია. იმ დროებში საწყალი სალომე რკინის გზის კონდუქტორებმა შეაცდინეს და გაუყვანეს ფოთს ერთ აფიცერთან საცხოვრებლათ. აფიცერი მალე გადიყვანეს რუსეთს. სალომე შეიქნა ქვეყნის ანაბარათ საცხოვრებელი.

ყოველივე ამბავი თავის ცხოვრებისა სალომემ მოთქმით უთხრა იმ მოხდენილ ჭაბუკს და ამასთანავე, როგორც მისი ქვეყნის ქალი, თითქმის იმის დედ-მამის ოჯახში გაზდილი. სთხოვდა იმ ახალგაზდას, პორტის მუშების თავდგმურს, შემწეობას და მფარველობას:

იმ კაცსაც, რასაკვირველია, გული აუჩვილდა და ბევრი იტირა. ამას შემდეგ ეს ახალგაზდა კაცი მართლაც პატრონი შეიქნა სალომესი. ივანე რუსი თითქმის თავის ხარჯზე გაასვენა და დაასაფლავა და მერე ხშირად იწყო სალომეს ქოხში სიარული. ეს მოხდენილი ჭაბუკი გამოდგა ბახვა ფულავა, რომელიც ერთ დროს თეკლათიდან ფოთს გაუყენეს.

XII.

ბახულია ფულავა ინჟინრის სახლობამ. როგორც შვილი, ისე შეითვისა. ინჟინრის მეუღლემ ლამაზად ჩააცვა, დაახურა და ყოველგან დაყავდა, როგორც ფარეში. სანამდის ბახულია თოთხმეტის წლის იქნებოდა, ინჟინრის ცოლი ფოთის პირველ-დაწყებითს სკოლაში ატარებდა ცხრა საათიდან თორმეტ საათამდის ყოველდღე. სკოლიდან რომ მოვიდოდა, შინაც ტყუილათ არ აჩერებდენ: ასწავლიდენ ხელზე სამსახურს, სტუმრის მიღებას. ინჟინრისა და მისი ცოლის წიგნების წამღებ-წამომღებიც ის იყო. პორტის მუშები ბახულიას ინჟინრის ლაქიას ეძახოდენ, და ყველანი პატივს სცემდენ. ვისაც ინჟინრის შინ ნახვა უნდოდა რაიმე საჭიროების გამო, ყველან მისგან იტყობდენ ამბავს, როდის ჰქონდა ინჟინერს დრო, როდის უფრო იყო მოცლილი, ან კარგს გუნებაზე. ბახულიამ სკოლაში კარგი წერა-კითხვა ისწავლა რუსულ-ქართული; ჩინებულათ ლაპარაკობდა რუსულათ და ანგარიშიც იცოდა ჩოთქზე.

ინჟინერს ყავდა მისი ხნის ქალი. რომელსაც ისე შეუყვარდა ეს ბახულია, რომ თვალიდან აღარ იცილებდა. ყმაწვილები მუდამ ერთად თამაშობდენ, თუ ბანქოს. თუ კეგლსა და რიკ-ტაფელასა, ან დეღოფალობიას. დედ-მამას პირველ ხანებში ძალიან უხაროდათ, რომ იმოდმა საყვარელმა ქალმა იშოვნა ამხანაგი, რაც შეეძლოთ. ბახულიას ყურს უგდებდენ და სუფთათ ინახავდენ; ინჟინერმა რამდენჯერმე ბახულიას დედ-მამაც მიიპატიჟა ფოთში და დასაჩუქრებული ისევ უკან გამოისტუმრა.

ინჟინერის ქალი ათი წლისა რომ გახდა, ქალაქს წაიყვანეს და იქ ერთს პანსიონში მიაბარეს. ყოველ კანიკულებზე დედ-მამას თავის ქალი მიჰყავდათ ფოთს და იქ ბახულია და ის სულ ერთად თამაშობდენ. ქალაქიდან რომ წიგნს მოიწერებოდა, ბახულიასთვისაც მოკითხვა რომ არ შემოეთვალა და კანფეტები არ გამოეგზავნა, არ იქნებოდა.

როცა ინჟინრის ქალი თხუთმეტ-თექვსმეტის წლის შეიქნა და კანიკულზე შინ მოვიდა, ბახულიაც გადადგა იმ დროს მეჩვიდმეტე წელიწადში და ძალიან დაშვენდა. ინჟინრის ქალს ყმაწვილური მეგობრობა რაღაც გამოუთქმელ გრძნობაზე შეეცვალა. იმათ ერთმანეთს გულისთქმით დაუწყეს ყურება. ინჟინერმა და მისმა ცოლმა შეიტყვეს ეს ამბავი და მაშინვე დააშორეს ქალ-ვაჟი. ქალი პიატიგორსკში ბიძას გაუგზავნეს და ბახულია პორტში განაწესა ინჟინერმა მუშების ზედამხედველათ.

ინჟინერმა აუხსნა ბახვას ანგარიშების წერა, ან კვიტანციები, ან ფულის მისაღები ტალონები როგორ უნდა ეწერა. ბახვა ფულავა მალე მიუხვდა ინჟინერს თავის განზრახვებს. როცა ღღიურს ანგარიშს უწერდა, მუშების საანგარიშო წიგნში ღღიური მუშები ხან ოცი მუშით მეტი გამოჰყავდა, ხან ოცდაათით, ხან ორმოცით. ყოველ შაბათობით ბახვა აღგენდა კვიტანციებს ამა-და-ამდენის მუშის ფასი ამდენი და ამდენი ფული მივიღეო; თითო კვიტანციაში იყო ხან ათი, ხან თხუთმეტი მუშა მომატებული. ბახვა ყოველ შაბათობით წარადგენდა ხუთს, თუ ექვს ამისთანა კვიტანციას. თითო კვიტანციაში ჰქონდა ინჟინრისაგან დანიშნული თითო მანეთი საჩუქრათ, ჯამაგირს გარდა.

ბახვა ყოველ შაბათობით უოიგებდა ფულებს ღღიურს მუშებს. ზოგს აძლევდა ღღეში ორ აბაზს, ზოგს თოთხმეტ შაურსაც. ეს გარემოებაზე იყო დამოკიდებული. ბახვამ გაიმართა თავისი საკუთარი კანტორა: ანგარიშის დავთრები ცალკე ჰქონდა და კვიტანციის წიგნები ცალკე. ღღე არ გავიდოდა, რომ ბახვას კონტორაში ოცი და ოცდაათი კაცი არ შესულიყო. ზოგი პორტში მუშაობას სთხოვდა, ზოგი პოდრიადის (იჯარის) გარიგებას ინჟინერთან, ზოგი ფულს ესესხებოდა თამასუქის ჩამორთმევით, ან გირაოს საშუალებით. ამგვარის დამოკიდებულებით იმან გაიცნო მთელი ფოთი. ყველას უყვარდა და ისიც ყველას პატივს სცემდა; განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა მეგრელებს და სხვებზე უფრო ისინი ებრალებოდა. სამი წლის განმავლობაში ბახვამ ათასთუმანს გამოკრა ხელი პორტში მუშაობით.

ერთს საღამოს ბახვას თეკლათიდან მოუვიდა ამბავი, რომ მამა მისს სახადი შეყროდა და სულზე მიგდებულიყო. ბახვა მაშინვე დაეთხოვა ინჟინერს რვა დღით; თავის მაგივრათ პორტში ბიძაშვილი დასტოვა. სახელად ნესტორა, ეს უდგა ბახვას მოჯამაგირეთ კანტორაში სხვა-და-სხვა საქმეებზე გასაგზავნ-გამოსაგზავნათ. მეორე დღეს დილით ბახვა რკინის გზის მატარებლით გაემგზავრა თეკლათისაკენ. საღამოს მივიდა შინ. მამა მისი იმ დღეს მომკვდარიყო. მის ეზოში მეზობლები და ნათესავები ხმა-მაღლა ტიროდენ. შევიდა თუ არა შინ, ბახვას ენა დაება, ვერა თქვა-რა და კალთაში ჩაუვარდა დედას. დარიამ მშობლიურის გრძნობით შემოხვია შვილს ორივე ხელი, მიიკრა მკერდზე და ნახევარსაათს აღარ მოუშორებია. როგორც საწყალი ხახულია დაასაფლავეს, მის მეორე დღეს დარია დაეცა ლოგინათ იმავე ავის სენით შეპყრობილი. ბახვა დარჩა შინ და არაფერი ლონისძიება არ დაუკლია, რომ დედა-მისი მაინც გადაერჩინა სიკვდილისაგან. მაგრამ ყოველივე ცდა მისი ამაო ყო. სამის კვირის განმავლობაში ბახვამ დამარხა თავის დედ-მამა, გადასცა სახლ-კარი და ადგილ-მამული ბიძას მოსაველელად. თვითონ დაბრუნდა საჩქაროდ ფოთს.

ინჟინერი ძალიან უკმაყოფილოდ დაუხვდა. აღარც კი უნდოდა მიღება. რადგან მის მაგივრათ ერთი ვინღაც სამსახურიდგან დათხოვნილი აფიცერი ასჩემოდა, რომელსაც შეეჩიელა თავის გაპირვებული ცოლ-შვილის მდგომარეობა. ინჟინერს დროებით გადაეცა მისთვის ბახვას თანამდებობის ასრულება. ამ დროს ბახვაც დაბრუნდა ფოთს. როცა ინჟინერმა დაწვრილებით შეიტყო მისი გაპირვება და დედ-მამის სიკვდილი, ისევ მოუბრუნდა გული, ნამეტურ ცოლმა და ქალმა აღარ მოუსვენეს, რომ ბახვა ისევ მიელო სამსახურში. ამის გამო სამსახურიდან დათხოვნილი აფიცერი თავის საკუთარ კანტორჩიკათ გახადა და ბახვას ისევ დაუბრუნა პორტის კანტორჩიკობა.

ამის შემდეგ ერთ წელსაც არ გაუელია, რომ მთავრობის კომისია დაესხა თავს უეცრად ინჟინერს პორტის მუშაობისა და ანგარიშების შესამოწმებლათ. კომისიამ დაწერილებით გამოიკელია საქმე და დარწმუნდა, რომ, თუმცა ინჟინერს ბევრი ჯაფა და მუშაობა გაეწია, მაგრამ მის ნამუშევარს დიდი წარმატება არ ეტყობოდა, როგორც სჩანდა, ეს ინჟინერი არ იყო თავის საქმის მტკიცეთ მცოდნე. რაც აქამომდე პორტის შენობაში ფული დახარჯულიყო, სულ უქმათ იყო გადაყრილი.

კომისიამ დაასკვნა, რომ იქ, საცა ინჟინერი პორტს აკეთებდა, მისი აგება შეუძლებელი იყო: ან სულ უნდა დახსნოდენ პორტის აგებას, ან, თუ მთავრობა არ მოიშლიდა, სხვაგან სადმე უფრო მოხერხებული ალაგი მოეძებნათ. ამგვარმა გადაწყვეტილებამ მაშინდელი პორტის მაშინდელი უფროსობა გააუქმა. ბახვა ფულავას მფარველმა ინჟინერმა ბარგი აიკრა და ცოლ-შვილიანათ ქ. თფილისს გადაესახლა; თვითონ ბახვამ პორტში მუშაობას თავი მიანება და შეუდგა სიმინდისა და ნიგვზის კუნძების ვაჭრობას.

XIII.

ივანე რუსის ქვრივ-ობოლს ყველაზე უფრო დიდი თანაგრძნობა ფრანგის ქალმა გამოუჩინა. იმან გადიყვანა ესმა თავის სამკერვალოში, დააყენა თავისთან და წილში მემესამედეთ გახადა. რაკი ესმამ თავი ობლათ იგრძნო და დედაც სარჩენი ეგულებოდა, მუშაობას ერთი ორათ უმატა; იმას ხშირათ უგზავნიდა თავის მოგებულ ფულებს და ქვრივ-ოხრობა სრულებით არ შეამჩნევია. ყოველ შაბათობით დედასთან მოდიოდა და ორშაბათს დილით ისევ მკერვალ ქალთან ბრუნდებოდა.

ერთ შაბათს საღამოს ესმა ჩვეულებრივათ) შინ მიდიოდა, ხელში გაუთავებელი საკერავები ეჭირა ფუთაში გამოკრული. რადგან იმ დღეს ბევრი სამუშაო ჰქონებოდა, შინ წამოსელა დაგვიანებოდა: რაც ვერ მოესწრო, ის შინ წამოეღო მოსათავებლათ. დღე და ღამე იყრებოდა. სახლს რომ მიუახლოვდა, რაღაც ნაბიჯის ხმა მოესმა: თითქოს ვიღაც მოსდევდა. მოიხედა თუ არა,ეოცა. მას გზა გადაუკრა იმ უზარმაზარმა კაცმა, რომელიც შარშან საყდარზე შეხვდა და ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა მის უმანკო გონებაზე.

— სად მიხვალთ აგრე გაჩქარებით, შენი გულისა?...— ჰკითხა აღელვებით იერემიამ.

— რას გეკითხება?... ვინ ხარ, ვერ გიცნობ; გზა მიტიე.

— აგრე ადვილად გზას როგორ გიტევ, ჩემო ოცნებავ!

— ვინ ხარ, კაცო, მაგისთანა უზრდელი?

— მე შენთან უზრდელობას რა მრჯის, ქალთამზე! — უპასუხა იერემიამ, — ნურც იფიქრებ, უპატიურობა რამე მოგაყენო. მე მინდა მხოლოდ შენი გაცნობა.

— რა საჭიროა!..

— ძრიელ დიდი, ენით გამოუთქმელი.

— მე ვინ ვარ, შენ ვინ ხარ!... — გაჯავრებით შესძახა ესმამ.

— ერთმანეთის შეყაფერი. ჩემო თვალის სინათლეე. — ამ სიტყვებით ხელი გაუწვდინა ჩამოსართმევათ.

— ხელი იქით, ორერემ ეს არის დავიყვირე.

— რათ დაიყვირებ, ხომ არა მიკადრებია-რა?

— გზა დამანებე, კაცო, მაგვიანდება.

— აქვე შენ თვალწინ მოვიკლავ თავს, თუ ყური არ მიგდე.

ესმა უნებურათ შეაჩერა ამ რიხიანმა სიტყვებმა.

თანდათან ბნელდებოდა და შიში კიდევ უფრო შეეპარა ქალს გულში; ტუჩებმა თრთოლვა დაუწყეს: ქალი გაჩუმდა, გაშტერდა; მაგრამ ეს გაშტერება არც გავდა თანხმობას: არც თანაგრძნობას. ესმა იმნაირმავე გრძნობამ აღიტაცა, რა გრძნობაზედაც დადგება ჯეირანი, როცა მის წინ ლომია გალურსული დასატაკებლათ. უნდოდა დაეკივლა, მაგრამ აღარც ლონე მოსდევდა, აღარც ხმა. იმან არჩია ისევ გაჩუმება ცოტაოდენ ძალისა და ლონის მოსაკრეფათ.

— ქალთა-მზევ! — დაიწყო იერემიამ. — უკაცრავათ, ამ სახელს რომ გიძახი, მაგრამ მე სხვა შენი სახელი არ ვიცი. გახსოვს, შარშან რომ საყდარზე გნახე? მას აქეთ შენი სახე ჩემს გულს მოსვენებას არ აძლევს.

მას აქეთ ჩემს გულში უშრეტი ლამპარია ანთებული შენი სიყვარულისა. იცი, მე ვინა ვარ? მე ისეთი კაცი ვარ, რომ შენისთანა მადლიან ქალს ხის წვერზე დავარჩენ. მე რომ მამის შენის საფლავზე გნახე თმა-გაშლილი, სულ აბედსაეით მომედო ცეცხლი. შენის ბარობით ის შენი მამაც ისე შემიყვარდა, თითქოს საკუთარი მამა მომკვდომოდეს. მისი კუბო მე და ჩემმა ამხანაგმა საფლავამდის არავის დავანებეთ. დავიჯერო, ამისთანა თანაგრძნობამ შენში ნაპერწკალიც არ გამოიწვია ჩემის სიყვარულისა?...

— ახლა რა გნებავს? ჰკითხა გულცივათ ესმამ.

— შენი სიყვარული, ჩემო მზეო, მიუგო იერემიამ.

— უწინამც სიკვდილი! — გამეხებით უთხრა ესმამ.

— ქალთა-მზევ. მე ნუ გადამიმტერებ, — დამუქრებით მიუგო იერემიამ.

— რა მაქვს შენი სამტრო?

— თანაუგრძნობლობა.

— მე შენ ძეზიზღები, უთხრა ესმამ.

— როგორ თუ გეზიზღები?.. თუ კაცი ვარ, თავს შეგაყვარებ. ამ სიტყვებით უცებ მოხვია ხელები ესმას და მიიზიდა მკერდზე.

ამ დროს გაისმა საშინელი წივილი, თითქოს ეისმე ყელში დანას უყრიდენო. უეცრად გაჩნდა ყოვლის მხრით პოლიციელების სტვენა.

იერემიამ იგრძნო, რომ იქ იმის დგომის დრო აღარ იყო. უშვა ხელი ესმას და გაქრა ამ სიტყვებით: „დღეს თუ ხვალ მაინც ჩემი იქნები“.

პოლიციელები მოვარდენ და ნახეს ესმა გზაზე მუხლებ-ჩაკეცილი. იმათ ძალიან ეოცათ ეს ამბავი და ჩაკითხავდენ, რა მოგვიდაო. ესმა შიშისგან ხმას ვეღარ იღებდა. პოლიციელებმა მოკიდეს ხელი და მიაცილეს სახლამდის. სალომე გამოვარდა შინიდან პოლიციელების ხმაურობაზე, დაინახა თუ არა თავისი ესმა, იკივლა, ფარსაგი არა ეგონა-რა და გულში ჩაითბო. როდესაც ესმა გონებას მოეგო, უამბო დედას თავისი გადასავალი. მას აქეთ სალომეს მარტო აღარსად გაუშვია ქალი. როცა სადმე წავიდოდა, ან თვითონ გაყვებოდა, ან მოჯამაგირე ბიჭს უკან დაადევნებდა. თუმცა ესმა მალე გამოერკვა შიშისგან, მაგრამ იერემიასგან წამონასროლი სიტყვები ბნელ ღამეში სულ ყურში უწივოდა: „დღეს თუ ხვალ მაინც ჩემი იქნები“. დიდხანს არ დავიწყებია ესმას ეს შემთხვევა და, როცა მოიგონებდა, ყოველთვის ტანში გააჟრჟოლებდა.

XIV

ბახვა ფულავას მრავალი კუთხის კაცები ჰყავდა გაცნობილი პორტში მუშაობის წყალობით. გინდ სიმინდის ვაჭრობა დაეწყო, გინდ კუნძებისა, სულ ერთი იყო, ყველა ხელს შეუწყობდა; ეისაც კი მიანდობდა საქმეს, ყველა დიდი სიამოვნებით იკისრებდა მასთან საქმის დაჭერას, რადგან ბახვა ნაღდი კაცი იყო. ბახვამ პირველ ხანებში გამართა ფოთში რკინეულობის მაღაზია. დუქანში დააყენა თავის ბიძაშვილი, ნესტორა, სავაჭროთ, თვითონ კი ხან სამეგრელოს წავიდოდა, ხან გურიას, ხან ქვემო იმერეთს, თავის გაგზავნილ კაცების ყურის საგდებათ. ეშინოდა, ფული არავის გამოეტყუებინა და მოუსაქმებლათ ჯიბეში არ ჩაედო. მას აქეთ, რაც სალომესა და მის ქალს ესმას გაეცნო, ბახვა, როგორც კი ფოთს მობრუნდებოდა ხოლმე, უსათუოდ მათ ნახავდა, გამოკითხავდა სალომეს მის ავან-ჩავანს, ჩაის დალევდა, მერე მოუყვებოდა თავის თავგადასავალს და სხვადასხვა ვაჭრულ ანგარიშებს. ამგვარმა მონაწილეობამ ბახვას მხრით და მისმა ყურის გდებამ სალომეს მალე გამოაგლოვინა ქმარი.

მისი აელა-დიდება და ცხოვრების ნუგეში იყო ლამაზი ესმა, რომელიც მუდამ ერთ ფრანგის მკერვალ-ქალთან იდგა და მასთან მუშაობდა. სალომე ყოველ შაბათ-კვირას სწორედ დღესასწაულსავით მოელოდა. რადგან ამ ორ დღეს ესმასთან იყო ხოლმე. კვირის კვირობამდე რასაც კარგს იშოვნიდა, ყოველსავე თავის ესმას უნახავდა.

თვითონაც ბახვამ ისე მორთო საქმე, რომ ორშაბათიდან შაბათამდის ვაჭრობდა, ან თუ სხვაგან იყო, შაბათ-კვირას შინ რომ არ დაბრუნებულიყო, არ მოხერხდებოდა. სალომეს ბახულია მიაჩნდა თავის ქვეყნის შვილათ და თითქმის თავის გაზრდილათაც. ერთ მის შეხედვაზე მთელი თავისი უმანკო წარსული დრო: — სამშობლო მხარე, დედა-მამა, ნათესავები, თავის ქვეყნის ქალი და კაცი, ხატობაზე სათემოთ შეკრებილნი, მომღერალნი, დაირისა და მუსიკის ხმაზე მოცეკვარნი თვალწინ გაუცოცხლდებოდა. ის წარმოიღგენდა თეკლათის გორაკებიან ველებს, უზარმაზარი ხეებით სქლად დაჩრდილულებს, სერებზე ლურჯი კლდის ბაქნებს. ქვეეით ცივის მდინარის ყვითელ წყალს, საცა არა ერთხელ თავის ამხანაგ გოგო-ბიჭებთან პაწია ღორჯოები და კიბორჩხლები უჭერია; წარმოიდგენდა ამათ და თვალ-ცრემლიანი წამოიძახებდა: „ნეტა იმ დღეს!...“ მას აქეთ ბევრი რამ ცუდი და ზნეობის შემწიკველი გამოუცდია, ბევრს მწუხარებას, გაჭირვებას, ვაისა და ვარამს გადაუვლია სალომეს თავზე. ბევრი ზნეობითი ჩირქი და კაცის შეუფერებელი უსიამოვნება მისდგომია მას და უდროოთ დაუჭკნია მისი ფუნთუშა გულ-მკერდი. აწ იმას ბევრი აღარა დარჩენია-რა ცხოვრებაში სამხიარულო; დღეს ის შესტრფოდა თავის ესმას. ბახულია მას მიაჩნდა წარსულის გაუჩირქიანებელ სიყმაწვილის სარკეთ. ის ხშირათ იხედებოდა გონების თვალით ამ სარკეში და სწორეთ ღვთისაგან მოვლენილ ნუგეშის მცემელ ანგელოზათ მიაჩნდა იგი.

პირველ ხანებში ესმა ძალიან მორცხვობდა ბახვა ფულაეას ნახვაზე. სანამდის ბახვა იმათსა იყო და სასტუმრო ოთახში იჯდა სალომესთან, ესმა არ გაეკარებოდა ხოლმე დედას. მხოლოდ ხანდახან, როგორც მოზარდ ქალებს სჩვეოდათ, გული არ მოუთმენდა და ჩუმათ მიიპარებოდა კარის ჭერიტიმალთან, რომ მოხდენილის ახალგაზრდისათვის თვალი მოეკრა; მაგრამ იმ წამსვე უკან გამოტრიალდებოდა, ეშინოდა, ბახვამ არ დამინახოსო.

დედა-მისი ყოველთვის სიამოვნებით ლაპარაკობდა თავის ქალთან ბახულიაზე, იგონებდა მის სიყმაწვილეს, რამდენჯერაც ის ხელში აუყვანია, ან რამდენჯერ დაურწია მისთვის აკვანი. მერე მოყვე-

ბოდა იმის ქკუაზე, გამოცდილებაზე, ან როგორ წამოეყვანათ ი-ფოთს თეკლათიდან, როგორ უვლიდენ მას ინჟირნის ოჯახში, რო-გორ მარჯვეთ სწავლობდა სკოლაში, ბოლოს მოყვებოდა მის სიმდი-დრეზე ლაპარაკს და აწინდელს იმის ბედნიერ ცხოვრებაზე. ესმა თან-დათან მიეჩვია ბახვას. როგორც ძმას, ისე დაუწყო მას ცქერა და ამა-სობაში მორცხვობაც დაეკარგა. შემდეგ ისე გათამამდა, რომ, როცა ბახვა იმათთან მივიდოდა. პირველათ ესმა შეეგებებოდა მცინარე სახითა და ატარებდა დროს მასთან. ყოველ შაბათობით იმან უფრო აღრიანათ იწყო შინ დაბრუნება, უფრო იმისთვის ისწრაფიდა მკერ-ვალიდან შინ მოსვლას, რომ უნდოდა ჩაი თვითონ გაეკეთებია და თავისი ხელით მიერთმია ბახვასათვის. იმასაც სწორეთ ნათესაურათ ეჭირა თავი. ხშირათ მოხდეობდა, რომ ბახვა ხან კამფეტს მოიტანდა, ხან დარაიას, ხან საკაბეს, ხან რაიმე საოჯახო სამკაულს. — ყველა ამაებს მისცემდა სალომეს და თან უბოდიშებდა: „შენმა მორდილმა (გაზრდილმა) მოგვართვაო. უკაცრავათ ნუ გახლდებით ასე მცირე მო-კითხვისათვისო“: სალომეს სიხარულის კურცხლები სცვივოდა ხოლ-მე თვალებიდან.

სალომემ ჩონგურის შვენიერი დაკვრა იცოდა, ზედაც ამღე-რებდა ლექსებს. ესმასაც ძალიან უყვარდა პატარაობიდან დედის ჩონგურის დაკვრა და იმის ლექსების დამღერების მოსმენა. როცა დედა თავის მწუხარებას ჩონგურის დაკვრით აშთობდა, პაწია ესმა იქვე გვერდით უჯდა და უკვირდებოდა თუ სიმების ყღერას, თუ თითების ჩონგურზე ხმარებას. მერე, როცა დედა-მისი საქმეში იქ-ნებოდა გართული, ესმა ჩამოიღებდა კედლიდან ჩონგურს და უბა-რტყუნებდა სიმებს თავის პაწაწინა თითებსა, ბოლოს, თითქმის დე-დის დაუხმარებლათ, შეისწავლა ყველა ხმების დაკვრა და სიმღერე-ბი, რაც დედამ იცოდა. შემდეგ ისე დახელოვნდა, რომ თვითონაც იგონებდა ახალ-ახალ ხმებსა. როცა ესმა დაუკრავდა და თან დაამ-ღერებდა, იმდენი შვენიერება გამოიხატებოდა მის სახეზე, იმდენი სიამოვნება ეძლეოდა მის მიერ გამონაყღერს ჩონგურის ხმებს, რომ გეგონებოდა, ქვეშიც ყურს უგდებენ და სიამოვნების ცრემლსა ღვრიანო.

ესმამ ჰარმონიკაზედაც კარგი დაკვრა იცოდა. უკრავდა ყო-ველნაირს საცეკვარ პიესებსა, რამდენიმე რომანსისა და ევროპიულ არიების დაკვრასაც მისჩვეოდა, სულ ზეპირ-გაგონებით. ჯარში, სა-ცა კი ის დაესწრებოდა, ყველას იმაზე რჩებოდა თვალები. თემო-ბაში ესმაზე უკეთ ვერც ჰარმონიკას დაუკრავდა ვინმე, ვერც ლეკურ-მეგრულ-აფხაზურ სხაპვას ითამაშებდა.

ერთ შაბათ საღამოს. ჩაის შემდეგ, სალომე ჩააცივდა ესმაეს, ჩონგური დაუკარიო. ბახვას ჯერ იმის ჩონგურის დაკვრა არ გაეგონა.

— განა ესმამაც იცის დაკვრა? — ჰკითხა ბახვამ სალომეს.

— არა, არ ვიცი; დედა ტყუილს ამბობს, — დაატანა ესმამ.

— ჩემო ნანაი, დაუკარი! — ეხვეწებოდა თავის ქალს სალომე.

— ვაი, ნანა, რა დაგემართა. ხომ არ გაგიჟებულხარ? მე რა ვიცი ჩონგურის დაკვრა?...

— ესმა, თუ დაუკრავ, იმისთანა ჩონგურს გიყიდი, ჯერ ჩვენში ქალს ხელში არ სჭეროდეს, უთხრა ბახვამ.

ესმამ კეკლუცათ ჩაღუნა თავი, ტუჩებზე ღიმილი ეპარებოდა და ისე ამბობდა:

— არა, არ ვიცი... არა — იმან ხელი ჰკრა ნაზად დედას, რომ თავიდან მოშორებოდა: მაგრამ სალომე არ ეშვებოდა და თავის ქალს ხან ეხვეწებოდა. ხან ემუქრებოდა და ჩონგურს მაინც კალთაში უდებდა.

ბახვამ შენიშნა. რომ ესმა იმასთან მორცხვობდა. ადგა და გავიდა დერეფანში ამ სიტყვებით: „თუ ჩემი გრცხვენიან, მე გავალ. ოღონდ შორიდან მაინც გამაგონე შენი დაკვრაო“.

ბახვა გავიდა თუ არა გარეთ, დედამ ქალს წასჩურჩულა:

— ესმა, გენაცვალოს ჩემი თავი, ბახვა ფულავასთანა ჩვენ ვინა გვყავს? ჩვენი პატრონი ჩვენი ყურის მგდებელი ეგ არის. თუ მაგას არ ასიამოვნე-რა, შენი ხელით დაგიკლავარ და ეგ არის!.

ესმამ მოჰკიდა ნაზად ხელი ჩონგურს, დაჯდა ტახტზე და დაიწყო მართვა. ბახვა სულ-განაბული დერეფნიდან გაღებულ ფანჯარაში უქვრეტდა ესმას შვენიერებას; ის კი დარწმუნებული იყო, რომ ბახვა იმას ვერ ხედავდა.

მან ჩამოჰკრა ჩონგურს და ზედ სირინოზის ხმით დაამღერა შემდეგი ლექსი:

„დამეთხოვე, თუ ღმერთი გწამს,
მაწუხებელი ბევრი მყავს.
არ მოვიშლი, რაც დამითქვამს:
საყვარელი მყავს და მიყვარს!
„დედამთილთან წამიყვანეს, —
სკამს დამიდგამს, ამბავს მკითხავს;
გავუტყდები, მასაც ვეტყვი:
საყვარელი მყავს და მიყვარს!
„მამასახლისს რა უნდოდა,
მას ჩემს ამბავს ვინა ჰკითხავს?

თუ არ დადგა, წვერს დავაგლეჯ:
საყვარელი მყავს და მიყვარს!
„რომ შემკოჭოს. ციხეს ჩამსვას! —
ქმარმა მომკლას, კუბოს ჩამდვას,
კუბოდანაც ამოვძახებ:
საყვარელი მყავს და მიყვარს!“

ესმამ ისეთი გრძნობით აატირა ჩონგური, იმისთანა ტკბილ-ხმით დაამღერა ზედ, რომ ბახვა ფულავა სანთელივით ჩამოდნა იმის ყურებით. ის უცქეროდა ესმას სარკმლიდან და იმ დროს თვალ-წინ ციური ანგელოზი ეხატებოდა, თითქოს ფრთებ-გაშლილი დატ-რიალებდა ესმას და იპატიჟებდა ზეცისკენ სანეტაროდ.

ბახვამ უნებურად გაიელო გულში: „ჩემს ბედნიერ ცხოვრებას ესმას მეტი არა აკლია-რაო“. ამასთანავე ისიც იფიქრა: „ეგ უნდა იჯდეს დიდებულის თავადიშვილის სახლებში, მდიდრათ მორთულ ტახტზე; აი, მართლაც მაშინ ჩამოიტანს ეგ დედამიწაზე ციურ სა-მოთხესო“.

ამ საღამოდან ბახვა სულ გამოიცვალა. მას ღრმად ჩაებეჭდა გულში ესმმას სიყვარული და გადაწყვიტა მისი ცოლათ შერთვა.

XV.

ამიერიდან ბახვამ განსაკუთრებით დაუწყო გაზეთებს თვალ-ყურის დევნება, რაკი მამულის ყიდვა გულში ამოიჭრა, „დროებაც“ დაიბარა. იმ დროს თფილისის და ქუთაისის საადგილ-მამულო ბან-კების განცხადებანი „დროებაში“ იბეჭდებოდენ. მოუვიდოდა თუ არა „დროების“ ნომერი, მაშინვე გაზეთის უკანასტარს ეცემოდა და ისე შემოყვებოდა კერძო განცხადებების კითხვას. მისი სანატრელი საკითხავი ბანკის განცხადებები შეიქნა. გასაყიდათ გამოცხადებულ მამულთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ქუთაისის მაზრაში მდებარე მამულები. დაიწყებდა თუ არა კითხვას: „ისყიდება ამა და ამ მებატონის მამული სარგებლის შეუტანელობის გამოო“, მერე კი საშველი აღარ ჰქონდა... ათჯერ მაინც ამოიკითხავდა სხვა-დასხვა გვარებს მებატონეებისა და თან ყოველს იმათ გვარს ასე დაა-ტანდა, „ისყიდება იმათი მამული“. ბახვას ამგვარ კითხვაში ოფლი პირზე ასკდებოდა, მაგრამ კითხვას მაინც არ იშლიდა, ეტყობოდა, რომ ამდენს აუარება გასაყიდ მამულებში არც ერთი არ მოსდიოდა ჭკუაში. ჩაათავებდა თუ არა ბოლომდის განცხადებების კითხვას, ისე დაიღალებოდა, რომ გაზეთი ხელიდან გავარდებოდა, მერე ერთს ღო-

ნივრად ამოისვნეშდა და ასე იტყოდა: „დაიღუპა იმერეთის თავადაზნაურობა!... ოცის წლის განმავლობაში ერთიც აღარავინ დარჩება იმათგანი ფარსაგი მამული მეპატრონე. ეს იყო ჩვენში, ამას ქადაგებდენ, ბანკი ააშენებს ქვეყანასაო“! თუმცა ბახვა ფულავა ამგვარ ყვედრებაში იყო ყოველთვის, როცა ბანკის განცხადებებს ჩააბულ-ბულებდა, მაგრამ ეს მაინც არ უშლიდა იმას, ერთი კარგი თავადის სეული მამული ჩაეგდო ხელში საყოველთაო ვაჭრობით. თუ კი რომ ღმერთი იპრიანებდა და ამისთანა საგულდაგულო რასმე წაატყდებოდა. იმას სურდა იმერეთში დასახლებულიყო, რადგან სამეგრელოში იქაური მებატონეების შურის ძიებისა ძრიელ ეშინოდა.

იმ ჟამად სამეგრელოში ისეთი დრო დადგა, რომ მეოჯახეს ოთხფეხი საქონელი აღარ რჩებოდა. ცხენებისაგან მაინც სულ გაანადგურეს იქაურობა. ბატონყმობა რომ მოისპო, იქაურ მებატონეებს ყმებიც გამოეცალენ. ქირით კაცი გაძვირდა; მამულების შემოსავალი სარჩოთაც არ ყოფნიდათ. ფული აღარსად იყო, მაგრამ უწინდებურს ცხოვრებას მაინც არ იშლიდენ. მეტი რა ღონე იყო, საიდგანმე უნდა აღმოეჩინათ მიუცილებელი საჭიროების დასაკმაყოფილებელი სახსარი. ამ მდგომარეობამ ისევ გამოიწვია გადავიწყებული ჩვეულება. თავა-აზნაურობის ახალგაზდობამ შეადგინა საიდუმლო წრეები. ერთი მხრით გამართეს დამოკიდებულება აფხაზეთთან, მეორე მხრით ოსეთ-ყაბარდოსთან რიონსა და ყვირილის ხეობით. იმათი მოქმედების ასპარეზი კი განსაკუთრებით სამეგრელო შეიქნა: თუმცა ხანდახან იმერეთსაც სწვდებოდენ, მაგრამ, მაგდენათ ვეღარ. დღეს აქ დაეცემოდენ, ხვალ იქ და აწიოკებდენ დიდსა და მცირეს. მთავრობამ ვერა გააწყო-რა, რადგან მძარცველ წრეებს ისე ჰყავდათ შეშინებული ხალხი, რომ იმათ გათქმას ვერავინ ბედავდა. პირველს შემთხვევებში ორი, სამი მაგალითი კიდეც მოხდა, რომ ქურდები დაასახელეს, ჩამოართვეს ნაქურდალი ცხენებიც; მაგრამ რა!.. გათავდებოდა თუ არა გამოძიება, ნამდვილს ქურდებს ისევ თავდებს ქვეშ უშვებდენ. ისინი ბრუნდებოდენ თავის წრეებში, და გამთქმელებს შავი დღე უდგებოდათ. ერთი კვირაც არ გავიდოდა მათ გამოშვების შემდეგ, რომ გამთქმელების სახლ-კარს ცეცხლი მოედებოდა. მათი ყოფაცხოვრება ამ საზოგადო ალიაქოთში ისევ ქურდებს მიჰქონდათ. ორი, სამი მაგალითი ამისთანა საკმაო იყო, რომ ხალხს ახალ სასამართლოზე გული აეყარა: „ღმერთო, უარესისაგან დაგვიცავიო“, — იძახოდა ხალხი.

ამიტომაც არაფრათ ეპიტნავებოდა ბახვა ფულავას სენაკისა და ზუგდიდის მაზრაში დასახლება, ის უფრო იმერეთის მებატონე-

ების მამულებს ათვალიერებდა განცხადებებში. ბოლოს აუხდა კიდეც თავის სურვილი. ერთ საღამოს ბახვამ ამოიკითხა გაზეთში შემდეგი განცხადება: „ისყიდება საყოველთაო ვაჭრობით თავადის თავქფილაძის მამული, მდებარე ეაკე იმერეთში: სამოცდაათი ქცევე ეზო, სამასი ქცევა სახნავი, ორმოცი ქცევა სახარდნე, ქვითკირის სახლი, ახლათ დამწვარი, თავის საოჯახო შენობიანათ და წისქვილიანათ. ვაჭრობა მოხდება 10 ივლისს 188... წელსა. მთელი მამული არის დაგირავებული ოცდა-ხუთი ათას მანეთში. მყიდველს შეუძლია ბანკის ვალი გადიტანოს. თუ ნედოიმკას სამას ორმოცდაათ თუმანს შეიტანს ბანკში". აი, ეს მამულია საჩემო! — წამოიძახა ბახვამ სიამოვნებით — ამ მამულის გარშემო ჩემს ესმას ქალთამზეს, უნდა დავაშვენებინო. —

XVI.

ვინ იცის, რამდენი დიდებული დრო ახსოვდა ამ მამულის გარემოს, მის განიერ ეზოს, მის ოდესმე დიდებულს ქვითკირის შენობას, რომელსაც ახლა კედლები ჩამონგრეოდა და ორი გატიტვლებული, ძეგლათ აყუდებული, თავგადანგრეული ბუხარი მწუხარებით დღე-და-ღამ თავს დასტიროდა დიდებული ოჯახის დამხობას. აბა, ვინ მოსთვლის, რამდენი წარჩინებული ლხინი გადახდილა ამ განიერ ეზოში! ისე დღეობა როგორ ჩაიელიდა, რომ აქ სამი, თუ ოთხი ძროხა მაინც არ დაკლულიყო, სამი თუ ოთხი საპალნე ღვინო ერთ იჯრაზე არ დალეულიყო!.. ნეტავი იმ დღეს, როდესაც ამ განიერ ეზოში ჯირითი, მარულა, ყაბახი იყო გამართული და ლხინი ცის კარამდის უწევდა თავის „ვალალსა". ნეტავი იმ წუთს, როცა დახატული მანდილოსნები მინდვრის ყვავილებათ გამოიფინებოდენ ამ განიერ ეზოზე. მათ შესტრფოდენ ჩერქეზულათ გამოწყობილი ახალგაზრდა ვაჟები. მათს ერთმანეთში მხიარულებას, ტრფიალებასა და ლაღობას, დრო გამოშვებით მათ წკრიალა ხმით კისკისსა რა სჯობდა!...

სანამდი ბატონ-ყმობა არსებობდა, ამ ოჯახს ასეთი ბედნიერი დრო არ მოშლია. სამასის კომლის ნაჭირნახულევი ამ დიდს ოჯახში დაუშრეტელ სიმდიდრის წყაროთ ქუხდა. მაგრამ ვაი წუთისოფლის სიმუხთლეს და ჟამთა დაუდგრომლობას! დღეს ეს სიუხვის წყარო დამშრალა.

გლეხები დიდი ხანია განთავისუფლდენ. რაკი მუქთი გლეხები და შინაყმები დიდებულ მებატონეს ხელიდან გამოეცალენ, იმან

სოფელში ვეღარ გასძლო ცხოვრება. მას გამოეზარდენ ქალ-ვაჟნი, რომელნიც დიდკაცობას არ იშლიდენ. სასწავლებელში გამოზრდილი მისი ქალები ახალ მოდებს აყოლოდენ. აბა, ბალებს, პიკნიკებს, მასკარადებს როგორ დააკლდებოდენ!... მარტო იმათის „ბათინკებისა“ და „პერჩატკების“ ყიდვით სული ჰქონდა მამას ამორთმეული. ეს კიდევ რა?..

ქალებს წამოეწიენ ვაჟები. იმათ სწავლას გული აუცრუეს და გამოხტენ მეოთხე, მეხუთე კლასებიდან. შესახედავათ და ჩაცმა-დახურვით მათ ახალგაზრდა არ სჯობდათ. მაგრამ, საუბედუროთ. მიეჩვიენ სასტუმროებში თრევასა და იქ ბანქოს თამაშს.

აი. ამისთანა საქმეებში აგებდენ მთელის მამულის შემოსავალს. ამდენ ხარჯსა და ვარამს მამამ ვეღარ გაუძლო. დაუწყო სანადელო გლეხებს ნელ-ნელა გათავისუფლება. გლეხების ფული რომ შემოეკამა, მერე ქუთაისის ურიებს მიმართა. ისინი დიდი სიამოვნებით უმართავდენ ხელს მოხუცებულ მებატონეს, აძლევდენ ფულს სესხათ, „ვექსილითა“ წლის ვადით და უწერდენ სარგებელს თუმანზე თვეში ორ აბაზს. მაგრამ ამასაც არ აჯერებდენ. როგორც გიპირდეს, ისე გიღირდესო. ურიები ართმევდენ აგრეთვე გულკეთილ მებატონეს „ნეუსტოიკის“ ხელწერილს იმდენისას. რამდენიც თამასუქით ესესხებიათ, უკეთუ ვადას გადაცილდებოდა. ამ სახით აუარება მიწა-წყალი და ადგილ-მამული გამოჩენილის თავადისა დაიტვირთა ვალებით. დიდებულ მებატონეს თავი მოაბეზრეს მოშამ და მანუქამ სასამართლოებში თრევითა, ის შიშითა და მწუხარებით მოელოდა დღედღეობით თავის მამულზე ვაჭრობის დანიშვნას. შესწუხდა, თითქმის ილაჯი გაუწყდა მებატონეს. აი. ამ დროს ასტყდა საზოგადოებაში დიდი სურვილი საადგილმამულო ბანკის დაარსებისა...

XVII. XVIII. XIX.

. . . . . .მაშინ ისეთი დრო იყო, რომ ყველას სწყურო-და საჩქაროდ ბანკის გახსნა, ადგილ-მამულის მიგირავება. იქიდგან სესხის აღება. ამას კი აღარავინ კითხულობდა: „მართალია, დღეს ჩემს ადგილ-მამულს ვაგირავებ, ფულს ვესესხულობ, მაგრამ შეუძლია თუ არა ჩემის მამულის შემოსავალს სესხად აღებული თაენის, სარგებლის და მრავალნაირის შტრაფების ხდაო?“..... ამ საზოგადოების ხმას აჰყვა ცნობილი, დიდებული მებატონე თავქფილაძეცა. ის ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ახალ გამართულს ბანკში გადააგირავა თავისი აგდილ-მამული, ეზო, სახლ-კარი და იმ წუთას ასე

ფიქრობდა: „ძლივს არ მეშველა?.. მადლობა ღმერთს, გადარჩა ჩემი ადგილ-მამული ურიების პატრონობას!“.

XX.

თავქფილაძეს მისცეს თავის მამულში ოცდახუთი ათასი მანეთი სესხათ. ბევრი ამბობდა, მისი მამული მაგ ფასათ არც კი ღირსო. რომ გაეყიდა, მაგის ნახევარ ფასსაც არავინ მისცემდაო. უსათუოდ ბანკს შეატოვებსო.

იმ დროს ბანკის გირაოს ფურცლები — ყოველი ას მანეთიანი — რვა თუმან ნახევრათ გადიოდა ბირჟაზე. ამას გარდა თავქფილაძეს დაუჭირეს დაზღვევის ფული და დაფასებისაცა. ამ სახით ის ყოველ ას მანეთში თითქმის თექვსმეტ მანეთს კარგავდა. რაც დაგირავებაში და დოკუმენტების შოვნაში დაეხარჯა, ესეც რომ სულ ერმანეთზე შეაკეცა, გამოვიდა, რომ ოცდახუთი ათას მანეთის მაგივრათ ხელში მისცეს თვრამეტი ათასი მანეთი; რასაკვირველია, ნახევარი წლის სარგებელიც იქავე დაათვლევინეს.

ამ ფულიდან თოთხმეტი ათასი მანეთი ურიებს დაურიგა. შვილების ტანსაცმლისა, ზოგი სახლის მორთულობისა, ზოგი პურის, ზოგი ღვინის, ზოგი სახლის ქირა კიდევ შედგა ხუთას მანეთამდის. დარჩა თავქფილაძეს ხელათ სახარჯო ფული სამას ორმოცდაათი თუმანი. ეს ორმოცდაათი თუმანიც ქალ-ვაჟებმა წაართვეს ახალ ტანისამოსისა და ბანქოს სათამაშო ფულათ. მებატონემ მხოლოდ სამასი თუმანი გამოიზოგა წლის სახარჯოთ. იმ ზამთარში მისი შვილები მაინც სულ გადარჯულდენ; კვირა არ გავიდოდა, რომ მამისათვის ძალა არ დაეტანებიათ, ან მასპინძლობა, ან მუსიკით საღამო არ გაემართვინებინათ. ამისთანებით, წელიწადიც არ გასულა, რომ შვილებმა ეს სამასი თუმანიც ხელიდან გამოაცალეს მამას. მოხუცებულმა ანგარიში დაკარგა და შეტოპა უჩვეულო მოუსვენარ ცხოვრებაში. სისხლის სამართლით დასჯილ კაცსაც ასე სჩვევია. თუმცა იმას თვაწინ სახრჩობელა უდგას, ნამდვილადაც იცის ხვალ მაზე ჩამოკიდებენ, მაგრამ დღეს, სინანულის მაგივრათ, იმას სურს თავის მწუხარება ღვინოში და ხვევნა-კოცნაში ჩანთქას. ასე დაემართა თავქფილაძესაც. იმას სრულებით აღარ მოაგონდა, რომ ერთ წელს შემდეგ ბანკში სარგებლის შეტანა უნდოდა და იმაზე უნდა ეფიქრნა. ის სრულებით წაიღო განცხრომის ბურანმა.

ერთ საღამოს ნოემბრის შუა რიცხვი იყო, თავქფილაძემ „დროების“ ნომერი მოითხოვა და დაუყვა უკანასტრიდან კითხვას. უეცრათ

თვალში შეეჩხირა ერთი განცხადება: „თავადის თავქფილაძის ადგილ-მამული, ეზო და სახლ-კარი ისყიდება ბანკში საერთო ვაჭრობით. სარგებლის შეუტანლობის გამო“.

იტკვლიცა თავში ხელი მოხუცებულმა მებატონემ: „გაზეთში გამომბეჭდეს, დარბაისელ მებატონეს თავი მომჭრეს, ვისლა დავენახო, ვისლა?...“ იძახოდა გამწარებული მებატონე. ბოლოს მაინც ისევ იმ თავის კარგ ნაცნობ ურიას მიმართა ფულის სასესხებლათ. ურიამ წინანდელზე უფრო მოუჭირა ხელი სარგებელს. იმან დაუწყო წლის წლობამდე მანეთზე თოთხმეტი შაურის თხოვა. მისცა კიდეც. მაგრამ მებატონეს მაინც ყოველ მეექვსე თვეზე ადგილ-მამულის სავაჭროთ გამოცხადებამ ზაფრის ქარები აუტეხა. დაავათმყოფდა და მესამე წელიწადს ბანკის დაარსებიდან სულიც განუტევა. დარჩენ ქალ-ვაჟნი ცარიელზე. ამათ სხვა რომ ვეღარა მოახერხეს რა, თავის ძველ სასახლეს ცეცხლი წაუკიდეს. იქნება. დაზღვევის ფულმა დროებით მაინც შეაჩეროს სახლ-კარისა და მამულის გაყიდვაო. მაგრამ ვერც ამან უშველა-რა. სახლ-კარი დაიწვა და მებატონის მამული დაგირავებიდან მეხუთე წელს მაინც გასაყიდი შეიქნა.

დეკემბრის 15 იყო. მწუხარებისგან სახე დაღრეჯილი თავად-აზნაურობა მიდი-მოდიოდა ბანკის დარბაზში. ამათ შორის ხან და ხან გამოჩნდებოდა ტანმორჩილი. პირხმელი, თვალცომცომა, შავწვერა, გძელ-კიკინებიანი კაცი. მის პირის სახეს ღიმილი დაკრთოდა. მას იმედი ჰქონდა, რომ ამ ორ საათში გახდებოდა ერთის რომლისამე ორსართულიანი სახლის მეპატრონე. ურიებს გარდა ბანკის ზალაში აქა-იქ თვალს შეასწრებდა კაცი ღიპგადმოგდებულს და ცხვირდიდა ვაჭრებს. ესენიც ადგილ-მამულის ვაჭრობას გამოეწვია. ზოგიერთი გლეხთაგანი. ახლად გამდიდრებულნი, მეორე გილდის ვაჭრებათ ჩაწერილებიც, მოსულიყვენ სეირის საყურებლათ. სხვათა შორის. ბახვა ფულავაც იქ იყო და გულის ძგერით ელოდა იმ წამს, როდესაც დაიძახებდენ თავადის თავქფილაძის მემკვიდრეების მამულის ვაჭრობას. იმას გადაწყვეტილი ჰქონდა ამ მამულის ყიდვა და ხმადაბლა ელაპარაკებოდა თავის მეგობარს: „ოცდახუთიათას მანეთამდის ვიელიო“...

ცოტა ხან იქით მოისმა ზარის რაკუნი; გამოჩნდენ ბანკის მოთავენი: გამგებელი და ორი დირეკტორი.

თავად-აზნაურობა დრტვინავდა, ზოგი ხმამაღლაც ილანძღებოდა, ზოგი გაჩუმებული იყო, მაგრამ იმათი დაღერემილი, პირკუშტი სახე საყვედურს გამომეტყველებდა... გავიდა ვაჭრობით ერთი მებატონის მამული, მეორე, მესამე... ასე ზედ მიყოლით ოცამდის. სა-

ზოგადოებას უფრო და უფრო მოსდიოდა გული. ბოლოს დაიწყეს თავქფილაძის მამულის ვაჭრობა. ეს მამული დარჩა ბახვა ფულავას ოციათას მანეთში. რადგან დანარჩენი სესხი დაზღვევის ფულს გაესტუმრებინა. მეტი აღარავინ შეაძლია. ნაღდი ნედოიმკების ფული წარადგინა სამასი თუმანი...

ამ დროს მოისმა საზარელი ყვირილი ბანკის ზალიდან: „ბატონებო, რას მერჩით, რა დავაშავე, რა გინდათ ჩემგან"...

— წაურთეთ, წაურთეთ! — ისმოდა მეორე ხმა — უბრალო ვაჭარმა როგორ გაბედა მებატონის მამულის ყიდვა! წაურთეთ მაგას, რომ მეორეთ მაგისთანა კაცებმა აქ ვეღარ შემობედონ. შეიქნა ერთი მიწევ-მოწევა, ხრიალი და ჩოჩქოლი. ბანკის მართველობამ დახურა ვაჭრობა და ყველანი აქეთ-იქით გაილალენ. ბანკის გამგებელმა მოითხოვა ეტლი, ჩაჯდა შიგ და გაუტია შინისკენ. იმას გაჰყვა ბახვა ფულავა, რომელიც მხიარულებისაგან აღარ იყო, რომ ამისათანა კარგი მიწა-წყალი, ერთი სათავადიშვილო მამული, ხელში ჩაიგდო.

გალახული ერთი ვიღაც ჩარჩი გამოდგა, რომელსაც ხეპრულათ დაეტრაბახნა ვაჭრობის დროს, რომ იმერეთის თავად-აზნაურობის მამულებს სულ ჩვენ ვიყიდითო.

XXI.

188... წელს ქ. ფოთში დღესასწაულობდენ პირველ მაისს. მთელის ქალაქის მცხოვრებლები, საგარეო ტანისამოსით შეპეპლულები, ბოედანზედ იყვენ გამოფენილნი. ამ დღეს ფოთში ყოველთვის კარგი დროს გატარება იციან. მუსიკა, დაირა, ჰარმონიკა, დაფა-ზურნა, მეგრულ-გურული სიმღერები, ცეკვა-თამაში და ხანდახან თოფის სროლაც აცოცხლებდა იმ არე-მარეს.

ერთგან ხალხი შეჯგუფებულიყო და იქ სათამაშო წრე გაეკეთებიათ. ერთი ქალი ჰარმონიკას უკრავდა, მეორე დაირას აყოლებდა ზედ. დანარჩენი ტაშს სცემდენ. ორი ახალგაზრდა ქალეაჟი ცეკვავდა. მათ სიმშვენიერეს და ბუნებითს კეკლუცობას საზღვარი არ ჰქონდა.

ვაჟი იყო შავათ გამოწყობილი, ტანთ ეცვა შავი მეგრულის შალის ჩოხა, შავი გიშრის ქილები, შავი რქის კოპლებიანი ქამარი, შავტარიანი ხანჯალი, შავი სამოგვის წუღები; მხოლოდ თავი ჰქონდა თეთრი ბაშლაყით შეხვეული; ვიწრო ყვითელი სირმით მოვლებული; ბაშლაყის წვერზე ყვითელი სირმის ფოჩი ეკიდა. ჭაბუკი იყო ოცდახუთის წლის მოხდენილი ვაჟკაცი. მისი ჟრუნი გამწვავი თვალები

და ქერა წვერ-ულვაში მის წითურ ლოყებს საუცხოოთ აშვენებდენ: პირი სახე ქერათ ეღინღლებოდა და მისი ლოყები სიმწიფით შეწითლებულ ატამს მოაგონებდენ კაცსა.

ქალს სახეზე ეხურა წმინდა აბრეშუმის ბადური დალბანდი. სქელი შავი თმები მის ლამაზ სახეს ყორნის ბოლოებათ შემოსდგომოდენ; მაყვლის თვალ-წამწამი, მაისის ვარდის კოკრებივით გაფეთქილი წითელი ტუჩები, მის თეთრ-ყირმიზს სახეზე, კაცის გულს იტაცებდენ. ისეთი წერილი წელი ჰქონდა; ცალ მუქში დაეტეოდა. მისი გულ-მკერდი ერთი შეკრული ვარდის კონა იყო. იმისი ერთი შეხედვა ოთხმოცდაათის წლის კაცის თვალებსაც გადაახალისებდა.

ქალ-ვაჟი ცეკვავდა, მაგრამ მათი თამაში დედალ-მამალი მერცხლების ჰაერში ტრფიალებას ემსგავსებოდა. ხან ერთმანეთს დაუახლოვდებოდენ ნაზის ტანის რხევით და შედგებოდენ ერთის წუთის ვადით; ვაჟი ამ დროს ცდილობდა, ქალისთვის თვალი თვალში გაეყარა. მაგრამ ქალი უცბათ მოტრიალდებოდა და გაშორდებოდა, თითქოს ვაჟს უტიფრობის გულისთვის გაებუტაო. მერე გაშორებული ისევ ვაჟის პირდაპირ დადგებოდა და დაუწყებდა ნაზის ტანის რხევით ჯავრობას. ვაჟი გაეშურებოდა მისკენვე, ქალი კატასავით განზე გაიხავარდებდა, მაგრამ ვაჟიც იქითკენ გახტებოდა. თითქოს ცდილობს მის დაჭერასაო... ეს იყო შემაქცევარი რაღაც კატა-თაგვობია. სხაპვა, ანუ მეგრულ-აფხაზური თამაში. ვაჟის რხევაზე მისი ბაშლაყის ფოჩიც თავის ჩრდილს ეთამაშებოდა. ქალი ვაჟს ემალებოდა თამაშობაში და ვერც დამალვოდა; შემდეგ ისევ გაშლიდენ ხელებს მერცხლის ფრთებივით და დაქროდენ წრეს გარშემო საამურათ. მათი სინარნარე. თამაშის შნო და ერთმანეთის კეკლუცობა ისე ართობდა მაყურებლებს, რომ არც დაირისა და ჰარმონიკის დამკვრელებს ეტყობოდათ მოღალვა და არც ტაშის მკვრელებს; ის კი არა, აქ შეგროვილ ხალხს თითქოს კიდეც ენანებოდა, ვაი თუ ქალ-ვაჟმა მოხდენილი თამაში მალე გაათავოსო; რაც შეეძლოთ, არ სწყვეტდენ ტაშის კვრას.

ამ დროს უეცრათ მოისმა რიხიანი ხმა: „ჩამოდექით, ჩამოდექით, გვაყურებინეთ ჩვენც თამაშს"! უეცრათ გროვაში ჩოჩქოლი შეიქნა. ერთი ვილაც ახოვანი „ესადნიკი" არღვევდა წრეს და შემოგლიჯა კიდეც. მას თან მოყვენ მისი ამხანაგები. ღვინით შეჟინჟღილებულ პირისახეზე ამ კაცს ეტყობოდა უტიფრობა. „ოჰ, ეს ვინ თამაშობს? — გაიკვირა სიამოვნებით „ესადნიკმა" — „შენ გენაცვალოს. ესმა, მთელი ეს ჯარი; შენი ფეხის გოგმანის ჭირიმე! როგორ თაგვებივით დახტიან, ერთმანეთს არ ეკარებიან!" ამ დროს მართლაც ქალმა იმას წინ გამოუქროლა. „ესადნიკმა" წელზე ხელი შეავ-

ლო. ქალმა იუკადრისა, წრემ ეს შეურაცხყოფათ მიიღო. უცებ შეს-წყვიტეს დაირისა და ჰარმონიკის კვრა. შეიქნა ხმამაღლა ლაპარაკი. ქალთან მოოამაშე ვაჟმა თავი გამოიდვა. იმას უქომაგეს მაყურებლებმა. მთელი გროვა გაიყო ორათ: ცალი მხრით იყვენ „ვსადნიკები", მეორე მხრით მოთამაშე ვაჟი, დანარჩენი ხალხიც ამას მიემხრო. ვაჟმა დაუწყო ამ ახოვან „ვსადნიკს" შერცხვენა და ლანძღვა. ამან უპასუხა: „გაჩუმდი, თორემ წიწილსავით თავს წაგწყვეტო". ვაჟი ელვაზე უმალ მივარდა და სილა გააწნა. „ვსადნიკმაც" მოსწრო ერთი მუშტი. შეიქნა ხელჩართული ცემა-ტყეპა. ქალებმა მოშორებით მორთეს კივილი. ამ არეულობაში ახალგაზრდა ვაჟმა ხანჯალი იძრო და აძგერა „ვსადნიკს" ბარძაყში ამის გამო გააფთრებულმა მისმა ამხანაგებმა იხმარეს იარაღი და ბარე ორს, სამ კაცს თავები გადააფრიწეს. ქალებმა კივილს უმატეს: „მოკლეს, მოკლესო!" ზოგი ქმარს ჩივოდა, ზოგი მაზლსა, ამასობაში მოიჭრენ პოლიციელები, შემოერტყენ ცხენოსნის ჯარის კაცებს და გააზავეს. დაჭრილები წაიყვანეს. ახოვანი „ვსადნიკი". თუმცა მძიმეთ დაჭრილი იყო, მაგრამ კიდევ ფეხზე იდგა და თავის ხელით იხვევდა ჭრილობას. „მე ბახვა ფულავამ დამჭრა. მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მის ცხედარზე დედა-მისი ავატირო. ტყუულათ არ დასდევს ის ესმას. ამბობენ. ირთავსო. მე იმას შევრთავ შავ მიწას"!..

შეიკრა თუ არა ჭრილობა, მოუყვანეს ეტლი, ჩასვეს შიგ. იქითაქით ორი პოლიციელი მოუსხდა და გაამგზავრეს პოლიციაში. ეს ახოვანი დაჭრილი კაცი გამოდგა იერემია წარბა.

დღესასწაული ჩხუბით გათავდა; მაგრამ ყოველ ავს კარგიც მოაქვსო. აქაც ისე მოხდა. დღემდის ესმას გული ყინულის ქერქით იყო გარემოცული. ამ ყინულს ქვეშ ანკარა წყაროთ სდიოდა მისი უმანკო გულის წადილი. ჯერ სიყვარულის სითბოს არ გაედნო ეს ყინულის ქერქი და არ აემღვრია მისი გულის თქმანი. დღემდის ის ბახვას ძმასავით უყურებდა და დაძმური გრძნობა ღვიოდა მის გულში. პირველათ ამ ჩხუბის შემდეგ დაადგა მის გულს მწვავი შუქი სიყვარულისა, უცებ შემოადნო ყინულის აბკი და აფუშ-დაფუშა მისი გულის ტალღები. ესმამ თუმცა დიდი შიში გამოსცადა ხანჯლების ტრიალში, მაგრამ მაინც გულმხიარული მიისწრაფოდა შინისკენ. თავი ძირს დაეღო, გვერდზე ვერ ბედავდა მოხედვას. გრძნობდა, რომ გვერდით მიყვებოდა მეტის აღელვებისაგან ხმაგაკმენდილი ბახვა. ესმა რაღაც არაჩვეულებრივს აღტაცებაში იყო გართული. თვალწინ ბახვას გმირული სახე ელანდებოდა, მისი თავგანწირულება ესმას შეურაცხყოფისათვის რაღაც ტკბილ ოცნებათ თავს დასტრიალებდა: იგი

ჩასჩურჩულებდა: მომავალს გამოურკვეველ ბედნიერებას: „დღეს მე ბახვამ დამიხსნა ვეშაპის კლანჭებისაგან; დღეის იქით მე მისი ვარ სიკვდილ-სიცოცხლით. ჩვენ ერთმანეთს სამარის მეტი ვერა დაგვაშორებს-რა“. სულ ამისთანა ფიქრებში იყო ესმა გარინდული, სანამ სახლში არ შედგა ფეხი და დედის შეძახილმა არ გამოარკვია ბურანიდან. ესმას ღიმილი მოუვიდა სახეზე, მაგრამ დედას არა უთხრა-რა. ბახვა კი გაფითრებული იყო. არც იმან გასცა სალომეს პირველ შემთხვევაში პასუხი. სასტუმრო ოთახში შევიდა, ქუდი სუფრაზე დააგდო, მერე ათრთოლებული ხმით წამოიძახა: „არა, არაფერი; მხოლოდ უსიამოვნობა შეგვემთხვა: იერემია დაეჭერი“. — სალომე ძალიან შეაკრთო ამ ამბავმა. იმან უნებურათ წამოიკივლა, მაშინვე მიხვდა, ესმას მიზეზით იქნებოდაო. მერე დაუწყო თავის ქალს გამოკითხვა: „რაო, შვილო, იმ წყეულმა შენ ხომ არა გაკადრა-რა?“...

— არა, ნანაი, არაფერი, — სიცილით უპასუხა ესმამ.

— განა მაგას რასმე აკადრებდა და მე ვიქნებოდი ცოცხალი?... უთხრა ბახვამ და უნებურათ ესმას თვალი შეასწრო.

ეს იყო პირველი შეხედვა, იმისთანა, რომ საუკუნო ბირკილს შეაბამდა მიჯნურსა. ესმას თვალების სხივიც პირველათ იმ წუთას მოხვდა გულში ბახვას და ისეთ ნაირათ შეუფრიალა, რომ თითქოს ბუდიდან ამოხტომას აპირებსო. აი, ამ შეხედვით მიუხვდენ ერთმანეთს გულის წადილსა. ბახვა წამოიჭეხა სახეზე, მხიარულებით შესცინა ესმას, ქუდი ხელში აიღო და უთხრა: „მე უნდა წავიდე, ჩემს კანტორაში საქმე მაქვსო“. ესმამ თვალები ძირს დაუშვა და ხელი უკან წაიღო. არ უნდოდა გამოთხოვება.

— ბახვა, შენ შემოგეელოს ჩემი თავი, სადილათ ჩვენთან დარჩი, მომიყევი დღევანდელი ამბავი, რა მოხდა ჯარიანობაზე, აგერ-აგერ გადვირეევი... რათ მოგვიდა ჩხუბი იმ არაწშინდა კაცთან? არ შემიძლია, ვერ გაგიშვებ, ვერა! — ქუდი დაუჭირა. — საღამომდის ჩვენთან დარჩი, თავი მოარიდე იმ წყეულს. ვინ იცის, იქნება მისი ამფსონები კიდეც გიყარაულებენ.

— არა, სალომე, ისინი ყველანი პოლიციაში წაიყვანეს; ფიქრი ნურაფრისა გაქვს. დღევანდელს ამბავს ესმა მოგიყვება. მე დღეს სტუმრები მყავს, რომ არ წავიდე შინ, არ იქნება. საღამოს ისევ შემოგივლით, თუ მოვიცალე.

— აბა, შენ იცი, თუ არ მომატყუებ. იცოდე, სანამდის არ მოხვალ, გული თავის ალაგას არ გვექნება, შვიდობით.

— შვიდობით, ესმა. — გაუწია ხელი ბახვამ.

— შეიდობით! — უთხრა გრძნობით ესმამ და თვალები მის სახეს დააშტერა.

ბახვა შეაკრთო ესმას დიდმა თვალებმა. საკვირველი იყო ამ კაცის საქმე! იერემიასთან ჩხუბში ოდნათ არ შემდგარა და ამ სუსტ არსებას თვალი ვერ გაუჩერა. როცა მის ახლოს იდგა, ყოველთვის ვერხვის ფოთოლივით კრთოდა.

XXII

ბახვა ფულავას იმ დღეს სტუმრები არ ყავდა, მაგრამ თავი უნდოდა გაეთავისუფლებინა. ესმასთან დარჩენა მაინც არ შეეძლო. ისეთ ნაირათ იყო აღელვებული. მას ორნაირი ცეცხლი სტანჯავდა: ერთი — რომ იერემიამ მის ციურ ანგელოზს თავის ბინძური ხელი შეახო, მეორე — რომ ქრისტიანს სისხლში ხელი გაისვარა. რადგან მრავალნაირი ფიქრებით იყო მოცული და გზა ვერ გაერკვია, ეშინოდა. თავმოჭრილი ქათამივით გაბურბუსალებული არ სჩვენებოდა ესმას. აი. ამიტომაც ველარ დადგა იქ. გამოეთხოვა სალომეს და ესმას, წამოვიდა თავის კანტორისაკენ; მაგრამ ვაი იმ წამოსვლას! მისთვის სიკვდილი იყო ესმას მოცილება, მაგრამ რა უნდა ექნა?.. მოცდა მაინც არ შეეძლო.

ბახვას ჰქონდა პატარაობიდან გაგონილი: „კაცს კაცის სისხლი არ შერჩებაო". ეს დედ-მამის სიტყვები გავარვალებულ შანთათ გადაექცა, რომელიც სწვავდა და დაგავდა მის მოსაზრებას. მის გამო მთელს მის გონებრივ აგებულებას ცეცხლი ჰქონდა შემოდებული. „ამიერითგან დაღუპული კაცი შევიქენიო — ფიქრობდა ბახვა, ქრისტიანის სისხლი კისრად ვიდე. კაენობა დამიმტკიცდა, რაღა პირი მაქვს საცხოვრებელი, რაღათ მინდა ბედ-იღბალი: ღვთის პირისაგან დაწყევლილი შევიქენი. ამიერითგან ჩემგან დათხეულის სისხლის უნდა მეშინოდეს; ყოველ დროსა და ჟამს უნდა ვიყო სამაგიეროთ გამზადებული. რა მოჯის, ჩემს უბედურებაში ის უმანკო ღვთის ანგელოზი რომ ჩამოვითრიო?... არა... მე ხელი უნდა ავილო ესმაზე საუკუნოთ!.. საუკუნოთ!.. მე მისი ღირსი აღარა ვარ". ამისი თქმა გულში და მის ტანში გაზრიალება ერთი იყო. ამნაირი შავი ფიქრებით შეცულმა ისე გამოიარა მთელი გზა კანტორამდის, რომ არც კი შეუტყვია. სანამდის კანტორის დაკეტილ კარს კინაღამ თავით არ დაეტაკა. მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, მიიხედ მოიხედა, მთელი ერთი წყება დუქნები მის კანტორასავით იყვნენ ჩაკეტილები, ქუჩები დაცარიელებულნი; მხო-

ლოდ შორს ბულვარიდან მოისმოდა საჯარო მუსიკის ხმა და ცამ-დის მორაკრაკე „კუჩხა-ბედნიერის" მღერა, მაშინ მოაგონდა მარ-ტო, რომ მისი ბიძაშვილი, ნესტორა, იმ დღეს სხვაგან იყო დაპა-ტიჟებული. ვინ იცის, იქნება იმ დროს თვითონ ნესტორაც მღე-როდა თემში, ან ლამაზ ქალთან თამაშობდა. ბახვა მხოლოთ ახ-ლა გამოერკვა. მოვიდა გონზე. დარწმუნდა. რომ მის კანტორაში არც არა თბებოდა-რა. არც არა უცხელდებოდა, რადგან წინადღით თვითონ იმას დაეთხოვნა საქეიფოთ მოსამსახურე ბიჭები, იმ გან-ზრახვით, რომ პირველ მაისს სალომესთან და ესმასთან აპირებდა დროს გატარებას.

იმ წუთას მაზედ უფრო უბედური კაცი ქვეყანაზე აღარ იყო. თვალწინ წარმოუდგა, თითქოს ყველანი მას ერიდებიან. მისგან გარბიან და, როგორც კაცის მკვლელზე. თითით უჩვენებენ. ამას-თანავე წარმოუდგა, ვითომც იერემია მისგან ფერდში ყოფილიყოს დაჭრილი და არა ბარძაყში, სულს ღაფავდეს. პოლიციაში განკარგულებას ახდენდენ მის დასაჭერათ; მერე წარმოუდგა. ვითომც ის დაეჭიროსთ და ციხეში მიყავდათ გაძაგრული; იქ ტუსაღის მა-ზარას (შინელს) ჩაცმევენ: კვირის კვირობამდის იქნება დამწყვ-დეული, მერე ყოველ კვირა დღეს ხიშტიანი რუსებით ბაზარში ჩაა-ტარებენ და ამ დროს ყველა მისი ნაცნობები პირს იქით მიიბრუ-ნებენ; ასე გასინჯე. ისინიც კი, რომელნიც ყველაზე უფრო თვი-თონ ბახვასაგან ყოფილან დავალებულნი, მისი ხელით სილარიბის ლექიდან ამოყვანილნი და კუჭგამძღარნი!... ესმა!?.. აკი იმანაც უმტყუნა!... ისიც შორიდან მოსჩერებია ბახვას გამხდარს. გაყვი-თლებულ სახეს, მის ფეხებში ბორკილის რაჩხუნი ესმის; ისიც იქი-თკენ მიიბრუნებს პირს, არ უნდა, თავის კარგი ნაცნობი, რომე-ლიც ახლა მას გვერდით უდგას, ბახვა ფულავას გააცნოს, არც თვითონ უნდა გამოეცნაუროს, რადგან ეშინიან. იმასაც კაცის მკვლელი არ დაუძახონ. ესმას რომ გვერდით უდგას. ის მშვენიერი ახალგაზდაა. კარგი ოჯახის შვილი და მდიდარი საქმრო; ის ზი-ზღით ბახვაზე უჩვენებს, როგორც კაცის მკვლელზე. ბახვა გასჯი-ლია. გულზე შავი ფიცარი აქვს დაკიდებული, ზედ დიდრონი ასო-ებით სწერია: „კაცის მკვლელობისათვისო", ტროიკაზედაც აჯდე-ნენ. ბახვა შედგება ტროიკაზედ, მიიხედ-მოიხედავს და დაინახავს, რომ იმის ესმას ხელი-ხელში გაუყრია თავის საქმროსათვის; ესმა იცინის. ხითხითებს და სრულებითაც აღარ აგონდება ბახულია...

ამისთანა ფიქრები ბახვას მოსვენებას არ აძლევდენ. თავს და-სერდენ, როცა თვითონ ის გარინდული, გამოშტერებული დადი-ოდა წინ--და-უკან კანტორის დერეფანში.

მზე გადაწეული იყო დასავლეთისაკენ. მისი შუქი ოქროსფრათ ღებავდა არე-მარეს, შორს ზღვის კანდელი და დასავლეთისკენ მიქცეული ფანჯრის შუშები ისე პრიალებდენ, თითქოს ცეცხლის ალი მოსდებოდეთ, შავი ზღვა ლაჟვარდის ფრათ იწვა თვის კალაპოტში და ბუმბერაზსავით ჩასძინებოდა. მის ძილს არ აკრთობდა. არც კაცების ხმაურობა, არც სამხედრო მუსიკის გრიალი, არც წოიოების ჰაერში ნავარდობა და კისკისი, როგორც არ შეაკრთობს სპილოს ძილს კოლოების წუწუნი.

მზე დაიწურა დასავლით, ცაზე ალისფერი ატლასი გაეკრა და ბუმბერაზის ქეჩო ნარინჯისფრათ შეღება. ბუნება დამტკბარი. დამყუდრებული იყო; მხოლოთ არ იყო დამტკბარი და დაყუჩებული ბახვას გულის თქმები. მის გულ-გვამში და ტვინში იყო საშინელი ქარტეხილი, აღძრული სხვა-და-სხვა შავის ფიქრებისაგან. მის გულს გაჰქონდა ბაგაბუგი; გაშმაგებული სისხლის ზვირთები ტანს რომ დაეტია, თავში ავარდნოდენ, იქ უპირებდენ კეფის ახეთქას და გადმოთხევას.

— „ეს არის გავგიჟდიო“! — წამოიძახა უნებურათ ბახვამ და თავისი კანტორის წინ მოტრიალდა ქუსლებზე.

ამ დროს ახალგაზდა მეგრელების გროვა გამოჩნდა მის დუქნის პირდაპირ. ისინი მხიარულებით ტაშს სცემდნენ და „ორორაშას“ იმღეროდენ. დამწყები იყო ნესტორა. იმან დაინახა თუ არა ბახვა, თავის კანტორის სვეტზე მიყრდნობილი შექმუხვნილი სახით, მაშინვე მიხვდა, რა ჭირიც სჭირდა. შესწყვიტა სიმღერა და მხიარული კიჟინით მოაშურა.

— ბიძია ბახვა, სად იყავი?... დღეს მაიდანში სულ შენს სიმარჯვეზე ლაპარაკობდენ ქალი და კაცი. ყველა იმ საძაგელს იერემიას ემუქრებოდა. არზა უნდა მივცეთ ღრუბენატორს, რომ აქ არ დააყენონო. შენთვის ყველანი თავგამოდებული იყვენ. პრისტავი რომ მოვიდა, ხალხი შემოესია და ერთი მეორის უმალ წინ ეტანებოდა, კითხავდა იერემიას ამბავს, მძიმეთ იყო დაჭრილი, თუ არაო?.. გამოდგა, რომ ბარძაყში ჰქონია ხანჯლის წვერი მოხვედრებული, არც კი დაწოლილაო. შენზედაც გამოეკითხეთ, საქმე დაიწყება თუ არაო?... — არაფერიო: — რამდენჯერ ჩხუბი მოხდება, თუ ყველას პოლიცია და სასამართლო გამოუდგა, მთელი სახელმწიფოს ხალხი პოლიციელებათ არ იკმარებსო. — მერე ვკითხე, იერემიას საჩივარი ხომ არ შეუტანია-მეთქი. — არა, და არც აპირებს საჩივარსაო. — მიპასუხა. ცოტა ხანს შემდეგ განზე გაეიხმო და მითხრა: — ბახვა ამ საღამოს ჩემთან შემოვიდესო.

ამისთანა ამბებმა ბახვას ალ-შემოდებულ გულს ცივი წყალი ვადაასხა და ერთ წამზე უმალ ჩააჭრო მისი შინაგანი მღელვარება. სახეზე სიხარულის ელვამ გადაკრა და გულდამშვიდებით დაუწყო შექეიფიანებულ ნოქრებს გამოკითხვა. ან თემი როგორი გაიმართა, ან ბურთის თამაში თუ იყო, ან სხვა ჩხუბი ხომ არა მომხდარა-რაო. ბოლოს მისცა ნესტორას ერთი თუმანი და სთხოვა, რომ იმ საღამოს კარგი ვახშამი შეემზადებინა, მისი ამხანაგები ყველანი დაეპატიჟნა, და დაპირდა, ვახშმათ მეც მოვალო. ბახვას ბიძაშვილი აღტაცებაში მოვიდა მისი სიუხვით. გადასცა მას კანტორის გასაღები და თვითონ კი განაგრძო ამხანაგებში მხიარულება.

ბახვა შევიდა დუქნის დერეფანში და გააღო კანტორის კარი: ზახლიდან ხუთი თუმანი ამოიღო, ჩაიდვა ჯიბეში, გამოიკეტა ისევ დუქნის კარები. გასაღები ნესტორას დაუბრუნა და წავიდა ბოქაულთან.

XXIII.

ბახვა როგორც კი გამოეთხოვა სალომეს, ის და მისი ქალი მოიღნაშენ. ორივე გრძნობდა რაღაც გამოუთქმელ უსიამოვნებას. იმათ აღარც იმდღევანდელი დღესასწაული ახარებდა, აღარც ორის, სამის დღის შემზადებული მასპინძლობა. თითქოს იმ წუთს მათი სახლი ისე დაცარიელებულიყოს და გლოვის ზეწარი გადაკროდეს, როგორც იმ დღეს, როდესაც სალომეს ქმარი გაასვენეს და დედა-შვილი შინ მობრუნდენ. მაშინ არ იცოდენ, რა ექნათ რა მოესაზრებინათ დღიურის ლუკმის სავარამოთ. ახლა სალომე კიდევ უფრო ჩამოქვეითდა; სანამ ბახვას და ესმა თემიდან მოელოდა, მისი ფეხი და ხელი არ შეჩერებულა იმედით სავსე იყო, რომ იმ დღეს ბახვა და ესმა მასთან ერთად კარგათ მოილხენდენ.

სალომე წინა დღითვე შეუდგა დღესასწაულისათვის მზადებას. გოქი ფურნე'ში შეაწვევინა, თვითონ ორი მოზდილი „დედოპური" დააცხო, ყველითა და კვერცხით გამოტენილი. ამისთანა პურს იმერეთში „ღვეზელს" ეძახიან. ერთი ღვეზელი ესმას სახელზე იყო გამომცხვარი, მეორე ბახვას სახელზე. ორსავე პურს ჩაუთქვა მათი პატრონების ბედ-იღბალი. თუ ორისავე ბედი კარჩი იქნებოდა, მაშინ სადედოპუროთ მომზადებული კვერცხებიც საღები გამოდგებოდენ. კვერცხები წინდაწინ ღვეღფში შეახვია. ისე უნდა შემწყვარიკო, რომ არც ერთი კვერცხი. ღვეღფში შეხვეული, არ უნდა გამსკდარიყო. სალომე ჰეტათ გამხიარულდა. რაცა დარწმუნდა, რომ ღვეღფში ჩასმული

ცვერცხები საღათ შეიწვა, არც ერთი არ გასკდა. ამას გარდა ერთი მთელი ინდოური საციცათ ჩასდვა თავის გაროსა და წვენში. რომელნიც იყო სანელებელით, ნიგზვით, ძმრით და პილპილით შეკაზმული. მეორე დღეს სალომე წირვაზე აღარ წასულა; ოთახის და ეზოს დასუფთავებას მოუნდა. თავს აღარ იზოგავდა თავის ძვირფასი არსებისათვის. ამისთანა დაუწყნარებელი შრომა მისთვის სანატრელათაც გახდა იმ დღეს და მეორე დღეს სადილობამდის არც მოღალვა უგრძნია, არც დასვენებულა იმ იმედით, რომ მაისობას სამნივე მხიარულათ გაატარებდენ. მეორე დღეს შუადღემ მოაწია; სალომეს სადილი გაჩაღებული ჰქონდა, მოშუშებული ღომი კიდეც დაზილა ჩოგნით და სუფრა გააწყო. ამ დროს ესმა და ბახვა თემიდან მოვიდენ; მაგრამ რა მოვიდენ?!... არც ერთს თავის ფერი აღარ ედვა, განსაკუთრებით ბახვა ყვითელ სანთელში ამოყლებულსა გავდა.

სალომეს იმათ დანახვაზე დარდები აეშალა და, როცა ნამდვილი ამბავი შეიტყო, მის გულს უცებ მწარე ნაღველი გადაენთხია. იმ წუთას მისთვის ყოველივე ჩაშხამებული იყო. მაშინვე იგრძნო, რომ კარგი არა შემთხვეოდათ-რა. ვაი თუ ბახვა გაება სისხლის სამართლის საქმეში კაცის დაჭრისათვის!... ვინ იცის, ჭრილობა როგორი იყო?... იქნება ჭრილობა მძიმე იყო, იქნება ის კაცი კიდეც მოკვდა!!.. მაშინ ხომ საუკუნოთ უნდა გამოთხოვებოდა ბახვას!.. მთელი მისი ოჯახი ხომ თავზე უნდა დანგრეოდა!... ამისთანა შავი ფიქრები სალომეს უცბაო თავზე დაეწვა და თავზარი დასცა. სანამდის ბახვა მის ქოხში იყო, როგორღაც თავი შეიმაგრა; მაგრამ წავიდა თუ არა, სალომეც სრულებით მოეშვა. იმ წუთას ესმა აღარც კი გახსენებია, ჩაევარდა სამზარეულოში, კარები მოკეტა და მორთო ტირილი.

ბახვას წასვლის შემდეგ ესმამაც მოიკეტა კარები და დაეცა ლოგინზე თავის საგარეო ტანისამოსით. ეხლა ახალი ტანისამოსის ჯავრი აღარ ჰქონდა. ან თუ დაიკმუკნებოდა, ან თუ მტვრით გაისვრებოდა. ისიც საეჭვო იყო, გრძნობდა თუ არა იმ წუთას თავის ტანისამოსს. „ნეტავ რათ აიჩქარა ბახვამ წასვლაო! — სთქვა გულში ესმამ. — ალბათ უტიფრობა დამწამა. რა ღმერთი გამიწყრა, მე დღეს იმასთან რომ ვითამაშე. არაფრით არ უნდა დავთანხმებოდი თამაშში გაყოლას; მაგრამ ან კი რა უნდა მექნა? ჰარმონიკა და დაირა როგორც დაუკრეს, ბახვა მაშინვე გამოხტა წრეში და აღარ მომცა საშველი. ხუთჯერ ჩამოუარა წრეს და ხუთჯერვე მე დამიკრა თავი; მაინც-და-მაინც უნდოდა, რომ მე გავყოლოდი თამაშობაში. ჩემს დღეში კაცისთვის თვალი არ გამიმართავს, ბახვამ პირველათ თვალი თვალში გამიყარა. გული ამიფრიალდა. მისმა შეენიერებამ ჩემი თვა-

ლები მოიტაცა. გულიც თან გაიყოლა.... ნანაია, მიშველე!.... ეს რა სიურცხვე მომივიდა! ახალგაზდა კაცს ისე უტიფრათ როგორ გავუ-ჩერე თვალები!!.. ვინ იცის, რას იფიქრებდა ჩემზე? ვინ მე. ვინლაც ლოთი სალდათის გომბიო, და ვინ მდიდარი, ყველასაგან პატივცემუ-ლი ბახვა!... ეს როგორ დამემართა, რომ მისი სიყვარული მე დღეს გულში გაეივლე!.. იქნება ამისთვისაც აღარ მოიცადა ჩვენთან სადი-ლათ. ვაი თუ აღარც კი მოვიდეს!..." ამ ფიქრებში რომ იყო ესმა გარ-თული, ერთი ისეთი საზარლათ დაიკვნესა, რომ სალომემ კედელს იქით სამზარეულოში გაიგონა.

დედა-მისი ზაფრა-ნაცემივით ზეზე წამოვარდა. ნამტირალევი თვალები უცბათ ამოიბანა, შეევარდა შვილის ოთახში და შესძახა: — შვილო, ესმა, ეგ რა მოგსვლია? საგარეო ტანისამოსით ლოგინ-ზე დაგდებულხარ, სულ დაგქმუქნია! უი, ჩემს თავს, როგორ დაგ-შტვერიანებია ყველაფერი! შვილო, შინ რომ შემოდი, რატომ არ გაიბერტყე? არ იცოდი, ქუჩის მტვერი შენს კაბას მოედებოდა? — ეგ ხომ უბრალო კაბა არ არის, აბრეშუმია, ახალთახალი მოვი! ერთ ჩაცმაზე როგორ უნდა გააფუჭო?... ადე. გენაცვალე, გაიხა-დე, საშინაო კაბა ჩაიცვი. სადილი დაგვიგვიანდა, ბარემც ვჭამოთ რამე. ესმა ლოგინიდან ზანტად წამოდგა და დაიწყო კაბის ღი-ლების ხსნა. სალომე ისევ სამზარეულოში შეტრიალდა. ესმა ხელ-შეორეთ ფიქრებმა წაიღო. ის სრულებით იმაზე არ ფიქრობდა. რომ ბახვა, შესაძლოა, სისხლის სამართლის საქმეში გაებასო. მისი დარდი და ვარამი სულ სხვა იყო.: „არა, მე.... არა...." — იმეო-რებდა გულში: „თუ ერთი დღე კიდევ დაიგვიანა, ბახვა ჩვენთან არ მოვიდა, მე თვითონ წავალ მასთან, ბოდიშს მოვიხდი. როცა ის ცოლს შეირთავს, შეეხვეწები, გოგოთ მე წამიყვანოს... არა!.. ასე გაძლება აღარ შემიძლია.... ეს რა ამბავია? ფიქრებს რომ თავი ვეღარ წავართვი?.... ჯოჯოხეთია!... რა დავაშავე ამისთანა, რომ ბახვა გაგვექცა დღეს. აკი, გუშინ დაგვპირდა, ხვალ მთელ დღე თქვენთან გავატარებო, დღეს რა მოუვიდა ამისთანა?... ნამდვილია. მე ვარ მიზეზი... მე... ვეტყვი შენ ძმა და მე და-მეთქი. დათ თუ არ მიკადრებს, გოგოთ ხომ მიკადრებს. ის კარგი გულის კაცია: დათანხმდება, კიდევ მოუბრუნდება ჩემზე გული.... მერე პირობას მივცემ, რომ თავის დღეში თვალში აღარ შევხედო. რომ უტიფ-რობა აღარ შემწამოს..." ამისთანა ახირებული ფიქრებით გარე-მოცულმა ესმამ გაიხადა თავისი საგარეო ტანისამოსი, მიაგდ-მოაგდო ლოგინზე, საშინაო კაბა ჩაიცვა და გულსაფარი უკულმა გაიკეთა.

სალომემ შემოიტანა ღომი და ყველი, დადგა სუფრაზე და დაუძახა ესმას, რომელიც ისევ თავის საწოლ ოთახში ყოყმანობდა: ეტყობოდა. გამოსვლა ეზარებოდა.

— შენ შემოგეევლოს დედის თვალები, ეგ რა ამბავია? ეგრე შენს დღეში არ მინახავხარ, რანაირათ დაგიყრია ტანისამოსი, ქალო!..... აბა, ზედა წელი სად გდია. ქვედა-წელი სადა?... უი, ჩემ: თავს!.. ეს გულსაფარი როგორ უკულმა გაგიკეთებია, სარკეში ველარ ჩაიხედე?! ამას პირველათ ვხედავ, შენს გონზე აღარა ხარ. შვილო! მართლაც, განსაკუთრებით ცუდი ხომ არა დაგმართნია-რა თემში?...

— არა, ნანაია!

— აბა, რათა ხარ დღეს ეგრე გარეწარი და გულმავიწყი!...

— დავიღალე, ძალიან დავიღალე, ნანაია.

მოდი, შვილო, დავსხდეთ სადილათ. მითხარი დაწვრილებით. რა ამბავი მოხდა დღეს? სად გაჩნდა ის წყეული იერემია? რანაირათ მოხდა, რომ ბახვა და ის წაიჩხუბენ? მძიმეთ დასჭრა, თუ არა ბახვამ ის არაწმინდა სული?

ესმამ უამბო დაწვრილებით და გულწრფელათ ყოველი ის დღის მომხდარი, რომ სალომეს მის სიმართლეში იქვი არ აუღია. მისმა ნაამბობმა სალომეს ძლიერ დაუმშვიდა გული. რადგან ჭრილობა დიდი არაფერი უნდა ყოფილიყო, სალომემ იფიქრა, იქნება სისხლის სამართლის საქმეც არ შესდგესო. ბახვა მოხერხებული კაცია, შეიძლება, საქმეს სასამართლომდინაც არ მიაწევინოსო.

ამას შემდეგ სალომეს თითქო მადაც მოუვიდა. დაისხა არაყი და გადაჰკრა. იმას ეს ჩვეულებათ ქონდა ქმრისაგან დანატოვარი. სულგუნის (გადაზელილი ყველია) ერთი ნაჭერი ღომში შეახვია. შემწვარ ქათამს ფრთა მოსტეხა და დაწიწკნა, თან ესმასაც ეხვეწებოდა. ეჭამა რამე.

— ნანაი. მადა არა მაქვს... უპასუხებდა ესმა.

— დედა-შვილობამ, კარგი შემწვარი ქათამია. აბა, ნახე, ეს ფრთა გაწიწკნე! მერე მადაც მოგივა. მჰჰ... მჰჰ! რა კარგია ეს ღომში შეხვეული სულგუნი! როგორ იწელება!... გემრიელია, დედა-შვილობამ. აბა, ახლა ღვინო დალიე. ნახევარი ჭიქა მაინც დალიე.

ესმამ აიღო ჭიქა ღვინო, მოწრუპა, სულგუნსაც ცოტა უკბინა, დადგა სუფრაზე და უთხრა დედას: — რა ვქნა, ნანაია, ახლა სულ არა მაქვს მადა. მერე ვჭამ. — ადგა სუფრიდან, შეევიდა ოთახში და კარები შეიხურა, თითქოს ძილს აპირებსო.

— კარგი, შვილო. დაიძინე, დალალულზე მართლაც არა იამებ-ა-რა კაცს. საღამოსთვის შეგინახავ.

XXIV.

სალომემ იჭვი აიღო ესმას სიყვარულზე. ეს უსიამოვნება. რომელიც ბახვას წასვლაზე ესმას დაეტყო, მერე ამნაირი გარეწრობა, გულმავიწყობა. კითხვაზე პირდაპირი პასუხის მოუცემლობა — უსათუოთ რასმე მოასწავებდა: ჯერ ამგვარი რამე ესმას უმანკო გულს არ შემთხვეევია. ერთის მხრით სალომეს ძალიან ეუცხოვა ეს ამბავი: ის კი არა, კიდეც ეწყინა. ის როგორ წარმოიდგენდა, რომ ბახვას მის ქალზე თვალი დარჩენოდეს.

ბახვას მისი ქვეყნის ღარიბი სახლობა მხოლოდ ეწყალებოდა. ეცოდებოდა უფრო მისთვის, რომ სალომესგან პატარაობისას ამაგი ახსოვდა.

უწყალო ბედს ის უბედური ქალი თეკლათიდან ფოთს გადმოეხვეწნა ღვთის ანაბარაზე. მისთვის არც ნათესავი, არც მეზობელი, არც არავინ მოკეთე. ერთი საწყალი ობოლი ქალი ხელზე ჰყავდა ატოტებული და სარჩენი. ვინც მათი ამბავი იცოდა, ქვეყნული უნდა ჰქონებოდა, რომ ამისთანა ყველასგან მოძულებული ლედა-შვილი არ შეწყალებოდა! მხოლოდ ღმერთმა არ მოიძულა და, როცა ბედმა უცხო ცას ქვეშ გადმოყარა ობლები. იმანვე მიუჩინა ბახვა პატრონად. მართლაც ბახვას იმდენი ამაგი ჰქონდა ქვრივ-ოხერზე, რომ სალომესათვის ცაში ღმერთი იყო და დედამიწაზე ბახვა მისი ნუგეში და შემბრალებელი. ესმას გატაცებულ გრძნობას ბახვასადმი მისთვის უბედურების მეტი არა შეეძლო-რა ექადებინა. იმედი ჰქონდა, იქნება ესმას თავისი წრის. თავისი შესაფერი საქმრო ეშოვნა, რომ სალომეს სიბერის დროს მაზედ მიეყრდნო ცხოვრების ქარტეხილობისაგან დანთქმული სიბერის დღენი. ბახვას რომ კიდეც შეენიშნა ესმას სიყვარული და თვითონაც გამოეცხადებინა თავისი თანაგრძნობა, ეს სალომესათვის მეხის დაცემა იქნებოდა. იმას კარგათ ახსოვდა თავისი უბედურება ვინღაც რუსეთელ აფიცერთან. ნუ თუ, რასაც ის ასე ერიდებოდა, რისგანაც ასე დასჯილი შეიქნა ცხოვრებაში, სიბერის დღენიც იმ შემარცხვენელ გარემოებას უნდა წაეწყმიდა!.. ამ შავმა ფიქრებმა სალომე შეაშინა, შეაძრწუნა, სასოება მოულო ღვთის სამართალზე...

— არაო, — უთხრა მერე მეორე გულმა! — ბახვა მისთანა კარგი კაცია, რომ ამას არ იკადრებს, ასე არ მომიძულებს, არ გამიმწარებს სიბერის დღესაო...

იმ დღის სადილი უბახვაოთ არც მისთვის იყო სადილი. მართლაც. სადილათ ერთი შემწვარი ქათმისა და სულგუნის მეტი არც არა მოუტანია-რა. ყველაფერი ვახშმათ გადასდვა ბახვას გულისთვის. და-

დგა საღამოც, დაღამდა. ბახვა მაინც არსად იყო. სალომემ დაახშირა კარისკენ ყურება. ვახშმობის ჟამმაც მოატანა. ბახვას დაგვიანებაზე სალომეს ეუტყდა გულის ფრიალი. იმის დაკვირვებით. ბახვა რასაც იტყოდა, კიდეც აასრულებდა. ამისთვის მისი დაგვიანება კარგს არაა მოასწავებდა. — ვაი, თუ კიდეც დაიჭირეს!.. ვაი, თუ იერემიას საქმეში ცუდი რამ აუტეხონ!.. ის დღე რატომ არ დაიქცა, ესმას რომ ახალკვირას საყდარზე წასვლის ნება მივეცი! რომ არ წასულიყო, იქნება, ეს ამბავიც არ მომხდარიყო. ეს უბედური შემთხვევა, უეჭველია, ესმას და ბახვას თამაშობამ გამოიწვია. მე კარგათ ვიცი, რომ ის წყეული იერემია ჩემს ქალზეა ატეხილი. მანამდის არ ააყენა ღმერთმა იერემიას გვერდები. სანამდის იმან ჩემი ქალი გასარყენელათ ვერ იშოვნოს. ეგ რომ მოხდეს. — მე ხომ სუსტი ქალი ვარ. — იმასაც მოვკლავ და ჩემ თავსაც მოვიკლავ. მადლობა ღმერთს. ქმრისაგან ერთი დაჟანგული რევოლვერი დამრჩა. ექვსი ტყვიით გატენილი. იერემია ისევ ატეხილი. რომ რევოლვერის ტყვიებს გამომტყუებს. — ასე ფიქრობდა სალომე და მეტის ჯავრისაგან ხელებს იმტვრევდა.

ბოლოს ადგა, ღვთისმშობლის ხატს სანთელი დაუნთო და წმინდის გულით შეავედრა ბახვას თავი.

ესმა ჯერ კიდევ თავის ოთახიდან არ გამოსულიყო. სალომეს უნდოდა მასთან შესვლა და ვერც გაებედნა: ეშინოდა, ბახვას ამბავი არ ეკითხა. აბა, რა უნდა ეპასუხნა, რაც არა იცოდა-რა. სალომემ კარგათ იცოდა, რომ ესმას ძილი არ უყვარდა. თუ აქამდის საწოლი ოთახიდან არ გამოდიოდა, ეს ალბათ იმის ბრალი იყო, რომ ესმა კარგს გუნებაზე არ იყო; შენიშნული ჰქონდა. როცა მისი ქალი დაღვრემილი იყო, ოთახში შეიკეტავდა კარებს და არავის ინახულებდა. მარტოობა ერჩია. სალომესთვის ცხადი იყო. რომ ესმასაც ბახვას მოუსვლელობა აწუხებდა. — ვინ იცის, იქნება ჩემი მოსაზრება სულ ცყვილი იყოს. შეიძლება. ისიც იმ მწუხარებით იყოს შეპყრობილი. როგორითაც მეო. გაივლო გულში სალომემ.

— ვაი თუ. მართლა ბახვამ იერემია სასიკვდილოთ დასჭრა და ამ საოცარ ამბავს ესმა მე მიმალავდეს! ამგვარი ფიქრი ტანში ცეცხლს უკიდებდა სალომეს. ის დაწრიალობდა უსაგნოთ თავის ოთახში, სამზარეულოში და ეზოში. როცა ან ფეხის ხმა მოისმოდა ქუჩიდან, ახ თუ დაგვიანებული ეტლის რიხინს გაიგონებდა, სალომე მაშინვე ქუჩის ბიჭივით გამოვარდებოდა გარეთ. გააღებდა ჭიშკარს და ღამის ბნელაში მიაყურებდა, იქნება, ბახვა იყოსო. მაგრამ ის არსად სჩანდა.

ამ დროს მისი ქალი ესმა კი სულ სხვანაირ დარდებს წაეღო: ვერას გზით ვერ წარმოედგინა, თუ ბახვას სხვა რამე საქმე

აბრკოლებდა. გარდა იმისა, რომ ესმასთან იყო შემომწყარალი. ის
დღის დაბადებული მწვავი სურვილი, ნდომა, განუსაზღვრელ-
გულის ქანება ესმას უმანკო სულს ვერ აეტანა, ვერ მოენელებინა.
ის იმ წუთას ასე ფიქრობდა, რომ არც იმის უბოროტესი, არც
ზნეობით იმაზე უფრო გაფუჭებული არ მოიძებნებოდა დედამიწის
ზურგზე. ნამდვილათ კი მისი დანაშაულობა მხოლოდ ერთი გუ-
ლის შეთამაშების მეტი არა ყოფილა-რა. მხოლოდ ეს ერთი ბუ-
სუსი ცოდვა მიუძღოდა ბახვას წინაშე. მაგრამ ბახვასათვის რომ
კაცს ეკითხნა. ეს ცოდვა კი არა. ცით მოვლენილი მადლი იყო.
მხოლოდ იმ დღეს შეესხა ფრთები ბახვას ბედნიერებას. მაგრამ ტრე-
დიციით უმანკო ესმამ რა იცოდა ამისი?... ის თავდაღმა იწვა თავის
ლოგინზე სულგანაბული. ცოტა ხანს შემდეგ უეცრათ წამოდგა. ეს
რა დაბნელებულაო! გაიკვირვა.— ნუ თუ ამდენს ხანს ვეგდე ლო-
გინში ფიქრებ-გამოურკვეველი! — თითქოს შეეშინდაო ბნელაში ყო-
ფნისა, გაკრა წუმწუმს, ანთო სანთელი, აიღო სუფრიდან თავისი
პაწია რგვალი სარკე, ჩაიხედა შიგ და სარკე იქით გადააგდო. კიდეკ
კარგი, რომ ბალიშებზე დაეცა, თორემ სულ დაიმსხვრეოდა. თავის
პირქუში სახე ჯოჯოს სახეთ ელანდებოდა. შემდეგ მოყვა ოთახში
წინ-და-უკან სიარულს. დიდი ღამე გავიდა, მაგრამ იმას ფიქრათაც
არ მოსვლია ღამეზე დრტვინვა; ის კი არა. ღამის დუმილი ხელსაც
უწყობდა იმ საოცარ შინაგან ბრძოლის მისამალავათ, რომლითაც
მოცული იყო მისი არსება. ეს სიბნელე თითქოს აშორებდა იმ დღის
უსიამოვნო ამბებს, ბახვასთან. მეგრულ-აფხაზურ ცეკვას, თამაშსა.
იმის გულის თქმით ანთებულ თვალების ცქერას, მის პირველათ გუ-
ლის შეთამაშებას. ღამეში ესმა გრძნობდა სრულს მარტოობას და ამ
მარტოობით უფრო მშვიდდებოდა მისი ტვინის ძაფები, მისი ამღვრე-
ული ფიქრები.

ამ დროს თავიც დაუმძიმდა, მთელი მისი ტანი რაღაც ნაი-
რათ დასუსტდა, მიიბნიდა, თითქოს მთელი ქვეყნის სიმძიმე მის
თავს დასწოლოდეს და უპირებდეს ქვესკნელში ჩატანას. ხელმეორეთ
დაეგდო ლოგინზე. ამ წუთას იგრძნო. რომ საძრაობის თავიც არ ჰქონ-
და, ეგდო ერთხანს ასე გაშოტვილი; ბოლოს ჩავარდა ბურანში: არც
იყო ძილში, არც ღვიძილში. მას მოელანდა ბახვას სახე. რომელიც
შორიდან თავს უქნევდა. ესაყვედურებოდა: — ესმა. მე მაგას შენგან
არ მოველოდი, მე დათ გიყურებდი, შენ კი ჩემზე არაწმინდა ფიქრები
გაგივლია თავშიო... ამისთანა ბურანში რომ იყო, უცბათ სალომეს
ხმამ შეაკრთო:

— შვილო, რა ამბავია აქამდის ძილი?... თითქმის შუაღამე შე-
მოვიდა და შენ კიდევ გძინავს!

ესმა წამოვარდა ლოგინიდან, ერთი მძლავრათ გაიზმორა; თმებ-აფუშული ჰქონდა. ეტყობოდა, მის მიბნედილ თვალებს სანთლის შუქი აჯავრებდა.

— დედა, სანთელი იქით გადადგი, თვალები ვერ გამიხელია-უთხრა ჭირვეულობით ქალმა. — უჰ, მართლაც რა ბევრი მძინებია! — ზანტათ წაიდუდუნა.

— ერთობ დაგვიანდა; მგონია, ბახვა აღარ მოვიდეს, — მწუხარებით წარმოსთქვა სალომემ.

— აღარ მოვა, ნანაია. სტუმრებთან შეყვებოდა ქეიფს.

— ეგ ხომ ეგრეა, მაგრამ ბახვამ სიტყვის გატეხა არ იცოდა?! — დაატანა სალომემ. ესმამ აღარაფერი უთხრა, ადგა სასტუმროოთახში გაიარ-გამოიარა.

— ცოტა კიდევ მოვუცადოთ და მერე ვახშამს შევიქცევ, უპასუხა ესმამ.

— მოგიკვდა, შვილო, ჩემი თავი! შენ დღეს პირში ორი ლუკმა არ ჩაგიკარებია.

— არა, ნანაია, მე ახლაც არა მშია.

— როგორ არა გშია, შვილო; დღეს შენს ქეიფზე არა ხარ. მეშინია, ავათ არ გამიხდე.

— არა, დედა, წელან დაღალული ვიყავი. ახლა კარგათა ვარ. ესმამ ერთხელ კიდევ გაიარ-გამოიარა ოთახში; წელი გამართა. თავი გადიქნია და სახეზე ჩამობურდული სქელი თმა უკან ბეჭებზე გადაიყარა.

ამ წუთს იმისთვის რომ კაცს შეეხედა, სწორეთ ივდითი მოაგონდებოდა, როცა ამ მხნე დედაკაცს ოლორფერნის თავის მოკვეთა ჰქონდა გულში ამოჭრილი.

ესმა სახეზედ შეწითლდა. მისი თვალები ცეცხლის ნაპერწკლებს ისროდა.

— „გათავდა", — წამოილაპარაკა მან, გაჯავრებული მივარდა თავის დაბურდულ ნაწნავებს და სწორება დაუწყო ისე ულმობელათ, რომ მაყურებელს ეგონებოდა, ნაწნავებს კი არ იწნავს, იგლეჯსო. ყოველ მის მოძრაობას ეტყობოდა გადაწყვეტითი მოქმედება.

— ნანაია, დროა, ვახშმათ დავსხდეთ. ბახვა აღარ მოვა.

— რატომ, შვილო, შეშინებით ჩაკითხა სალომემ.

— დრო გადვიდა, შუაღამეა, აწ რაღა დროს მოსვლაა!

— კარგი, შვილო, — უნებურათ დაეთანხმა სალომე. — აბა, დაჯედი და საჭმელებს შემოვიტან. — სალომე შეტრიალდა უცებ სამ-

ზარეულო ოთახში. შეჭამადები ლანგარზე, შემოიტანა და სუფრაზე დააწყო. თახჩიდანაც ერთი ბოთლი ღვინო გამოიღო. თან ჭიქებიც გამოაყოლა.

XXV.

დედასა და შვილს ასე სიამოვნებით. დიდი ხანი იყო, პური არ ეჭამათ. ესმა ვახშამზე სულ გამოიცვალა. ჩვეულებრივი სიმორცხვე და თავდაჭერილობა სრულიად აღარ ეტყობოდა. ქალი ცდილობდა, დედის შეშმუხვნილი შუბლი ფიქრებისაგან და დარდებისაგან გადეწმინდა. ვახშამზე მისი ენა არ დაწყნარებულა. .მოყვა სხვა-და-სხვა შემაქცევარ ამბებს. სალომე მართლაც გამხიარულდა. მთვარესავით გაბადრულ ესმას ხახეს რომ უცქეროდა, რომელიც წამის-წამს ლაპარაკში იღიმებოდა და ტუჩებზე მარგალიტს ისხამდა. ხან თემობის ამბავს მოუთხრობდა, ხან თავის ოსტატს ფრანგის ქალ', დასცინოდა. წარმოადგენდა საწყალ მოხუცებულ ქალს, იმის გვერდზე მოქცეულ ძველ ჩეფჩიკს, რომელიც თმისაგან გადაქეცილ თავზე აღარ ადგებოდა და, ოომ ცოტა შნოიანათ მაინც თავზე დაესკუპებინა. ერთ საათს მეტს იდგა ხოლმე სარკის წინ. ხან ცალ გვერდზე მოიგდებდა გახეხილ ჩეფჩიკსა, ხან მეორე გვერდზე.

ამისთანა ამბებმა მართლაც ძალიან გაართო დედა-მისი; ორივე კარგ მადაზე მოვიდენ და მოილხინეს. იმ ერთ წუთას სალომეს ბახვა სრულებითაც აღარ გახსენებია. მის სახეზე განუსაზღვრელი სიამოვნება იხატებოდა და ხითხითით დახაროდა თავის ქალს, ამ ერთად ერთს მის სიმდიდრეს და ცხოვრების სიტკბოებას.

— ნანაია, იცი. რა გითხრა? — განაგრძო მხიარულმა ესმამ:— მადამ სალის ძალიან ეუყვარეარ. მუდამ მეფერება, ხშირათ მკოცნის, თუმცა მისი უკბილო კოცნა არაფრად მეჭაშნიკება ხოლმე. ხან-და-ხან მაინც მისი შავი კბილის ფესვი ისე მომებლაუჭება, ასე მეგონება, თაგვმა გადამირბინა-მეთქი პირის სახეზე.

ჰა. ჰა, ჰა, ჰა!!!... გადიხარხარა სალომემ.

— არა, ნანაია, ღიმილით განაგრძო ესმამ, — ხუმრობა იქით იყოს და მადამ სალის აზრი მე ძალიან მომდის თავში.

— როგორ, შვილო, ჰკითხა მხიარულად სალომემ.

— იმან მითხრა, თუ ჩემთან იქნები. ჩემ სამკერვალოში, ნახევარ წილს დაგიდებო. ვიმუშაოთ ერთათ, მე დედა და შენ შვილიო. ეს, ნანაია, კარგი საქმეა. მე ჭრა და კერვა კარგი ვიცი. რა ნიმუშიც უნდა ვნახო, ყველაფერს ისე გამოვჭრი და შევკერავ, თითქოს

პარიზის სამკერვალოდან იყოს გამოსული. ამ ბოლო დროს მუშტრებიც გვემატება. მე აქამდის შინ ვიჯედი, საკერავებზე სულ საწყალი ბებრუკუნა დაწანწალობდა ოჯახებში. აწ მე თვითონ მინდა ვიარო ოჯახებში ზომების ასაღებათ და ტანზე კაბების მოსარგებათ. ნახავ, დედა, როგორ კარგათ წავიდეს ჩვენი საქმე! ერთი-ორათ მოვიგებთ. ცოტა ხანს იქით მოდი, დედა, ერთად დავიქირაოთ სახლი. ჩვენი ოთახები უფრო კარგათ მოვრთოთ, მოსამსახურე გოგოც ცალკე გვეყოლება. ღვთის მადლით, იმდენი შემოსავალი გვექნება, რომ შენ ოჯახში აღარას გაგაკეთებინებ. იყავი ქალბატონათ და გვიცქირე მარტო, როგორ ვიმუშავებთ.

ამ სიტყვებზე წამოვარდა სალომე გახალისებული, დაადვა მხარზე ხელი თავის ქალს, დააცქერდა სიყვარულით სახეზე და ჰკითხა:

— მერე, გოგონა, გათხოვება?....

ესმამ გველის ნაკბენივით იწყინა, სახე მოიღუშა, დაუჭირა ხელები დედას და უთხრა:

— ნანაია, გთხოვ, მეორეთ არ გამაგონო ეგ სიტყვები; გათხოვება არ მინდა და არც გავთხოვდები ჩემს დღეში.

— უი! გოგონა, მაგას რას მეუბნები!

— არა... მე... არა... — გაიქნია თავი და სახე გვერდზე მიიღო.

— შვილო, ნუ გეშინია შენც გამოგიჩნდება კარგი ბედი. შენისთანა ანგელოზს ღმერთი როგორ გასწირავს.

— სუ — მეთქი, ნანაია,.. — ტუჩებზე ხელი მიაფარა სალომეს და შემდეგ განაგრძო: — თუ გიყვარდე, ნულარ გამაგონებ მაგისთანა სიტყვებს.

— როგორც გენებოს, შვილო, ახლა ერთი მაკოცნინე მაგ ლამაზ თვალებში!... დედამ შვილი უცბათ მკერდში ჩაიკრა.

შემდეგ საჩქაროთ ადგენ. ესმა შეეიდა თავის საწოლ ოთახში ტანთ გასახდელათ. სალომეც ემზადებოდა მოსვენებას.

ნაშუალამევი იყო. სალომე გარეთ, გამოვიდა, შეხედა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას და სთქვა: „ნეტავი ვიცოდე, ამ ზეციურ მნათობებში რომელია ჩემი ესმას ვარსკვლავი?... ოჰ, ტანში გამაზრიალა! ის ერთი ვარსკვლავი როგორ ობლათ გაშორებია სხვებს და თავისთვის ბეუტავს, თითქოს აგერ-აგერ მიქრებაო!... ვაი, თუ ის ბახვას ვარსვლავია!... ამ დროს სალომე მიადგა ჭიშკარს, გაალო, მიიხედ-მოიხედა, თითქოს კიდევ ვიღაცას ელოდაო. ცოტა ხანს შემ[illegible]ეგ მიხურა ისევ ჭიშკარი ამ სიტყვებით: „შვილო ბახვა... სადა ხარ ახლა? ამალამ ლული არ მომეკიდება. ხვალ ღილით უთენიათ

გავგზავნი ბახვას კანტორაში ამბის შესატყობად. მოგიკვდა სალომეს თავი, თუ ახლა სატუსაღოში ხარ დამწყვდეული!... რაცლა ფარსაგი არა შემთხვევია-რა, იმან რომ თავის სიტყვა ვერ შეასრულა. სალომემ გულნაკლულათ დაკეტა ჭიშკარი. შემოტრიალდა შინ, სამზარეულოს მიხედა, პაწია მოჯამაგირე ბიჭს განკარგულება მისცა ხვალინდელის დღისა, უბძანა მალე დაწოლილიყო. მერე შევიდა ოთახში და ესმას დაუძახა:

— შვილო, გძინავს?...

ესმამ ხმა აღარ გასცა. სალომე მივიდა ესმას კრაოტთან ცერებით სანთელ ანთებული, დახედა თავის ქალს. რომელსაც ღრმათ ჩასძინებოდა.

ურჯულოსაც რომ ენახა ეს უმანკო სახის ნეტარი ძილი. ვგონებისიც მოქრისტიანდებოდა.

— მჰჰ!... ნელა ჩაიცინა სალომემ. — შენს დედას რათ უნდა ჰქონდეს რამე საჯავრო? შენ შემოგეელოს შენი დედის სიცოცხლე!... მერე დაიხარა, შუბლზე აკოცა და გაშორდა. ესმამ ამ დროს ღრმათ ამოიხვნეშა.

XXVI

მეორე დღეს დილით, მზის ამოსვლისას, ფოთის მოედანზე მირბოდა ერთი თავშიშველა და ფეხტიტველა ცხრა წლის ბიჭი. ტანზე ხამის პერანგი ეცვა, ცარიელ კალთაში მკლაკი ჰქონდა გაყრილი და ორირაშას მიიძახოდა. გადირბინა თუ არა მოედანი, ერთს განის ქუჩას ჩაუხვია და მიადგა კანტორას. აქ თვალების ფშვნეტით დაუხვედა ბახვას ბიძაშვილი, რომელიც კანტორის კარებს აღებდა. როგორც კი დაინახა პატარა ბიჭი, შორიდანვე დაუძახა:

— ბიჭო, თქვენი ლამაზი ესმა როგორ ბრძანდება?

— მერე შენ რა გინდა?... მიუგო წყრომით ბიჭმა.

— ჩემ მაგიერად აკოცე. — უპასუხა ნესტორამ.

— გაჩუმდი, თორემ ბახვასთან დაგასმენ.

— შენ სიმაღლე ტალახში გაუგორდი!.. თქვი, ჰო, რაზე მოსულხარ?

— სალომემ შემოგითვალა, ბახვას ამბავი შემატყობინეო.

— ასე უთხარი: ბახვა, ეს არის, რკინის გზით წავიდა ახალნაყიდ მამულში. წუხელი მოურავი მოვიდა: მუშები ფულს ითხოვენო.

პატარა ბიჭი გამოტრიალდა და უცებ მოკურცხლა ბაზრისაკენ.

იქ ყასბისგან ოყა-ნახევარი ხორცი იყიდა, ხუთიოდე კარტოფილი, კაპეიკის ხახვი და ნიახური, ორი კაპეიკის ბრინჯი. იქიდან შინ დაბრუნდა.

სალომე მოუთმენლათ ჭიშკართან უცდიდა ბიჭის დაბრუნებას. როგორც კი დაინახა, ჯერ ბიჭი არ მისულიყო, შორიდან უყვირა.

— რა ამბავი შეიტყვე?..

— ახალნაყიდ მამულში წასულაო. წუხელი მოურავი მოსელია. მუშები ფულს ითხოვენო.

გულდამშვიდებული სალომე შეტრიალდა სახლში. ესმა დიდი ხნის წასული იყო მადამ სალისთან.

ბახვამ წინა ღამეს ინახულა პოლიციის ბოქაული. სწორეთ იმ დროს შევიდა მასთან, როცა ის ათავებდა ბახვასა და იერემიას საქმის შესახებ მოხსენებას. „ოჰ, ომგადახდილო ვაჟკაცო! — მიაყვირა ბოქაულმა. რომელსაც „ჯგირიკოჩას“ ეძახდენ. — აქამდის სად იყავი?... რომ არ მოსულიყავი, ეს არის „ობხოდს“ ვგზავნიდი შენს დასაჭერათ. პოლიცმეისტერი მწერს, ბახვა ფულავას იერემია „ვსადნიკი“ სასიკვდილოთ დაუჭრიაო. ამ წამს მომახსენე ყოველიფერი და, თუ მართლა იერემია მძიმეთ დაჭრილია, ახლავე დაიჭირე ბახვა ციხეში ჩასვიო. ისემც უშველის ღმერთი იერემიას, ბარძაყში ხანჯლის წვერია ღიტინით ის მოკვდეს! მისთვის ეს ნემსის ჩხვლეტაა, მეტი არაფერი.— ჯგირკოჩამ თვალი უქნა ბახვას და მეორე ოთახში გაიყვანა. იქ მან მიიღო ბრძნული, თითქმის მრისხანე სახეც. მერე მიიპატიჟა ბახვა სკამზე და ასე დაუწყო:

— შენ კარგათ იცი, ჩემო ბახვა. რომ ჩვენები ძალიან მებრალებიან; მაგრამ რასა იქ, ძმაო?... პოლიცმეისტრმა საიდუმლო მოწერილობის ძალით მიბრძანა: „თუ ეხლავე არ დაგიჭირავს იერემიას დამჭრელი, „ატსტავკა“ შემოიტანეო. — აქ იმან გადაფურცლა რაცლა ძველი მწერლობა, რომელიც სრულებით არ ეხებოდა ბახვასა და იერემიას საქმეს; მაგრამ. ბახვა რომ არ დაკვირვებოდა, ოსტატურათ შორი-ახლოს მოაჩვენა პოლიცმეისტრის ბლანკი, მერე შეკეცა, ჩადვა შკაფის უჯრაში და ბახვას თვალის წინ ჩაკეტა ეს ვითომც საიდუმლო მოწერილობა. — იცი, ძმაო ბახვა, რა ანგარიშებია?... იერემია ყოფილა ს.... მ.... შორეული ნათესავი, რომელიც თავის საკუთარი წერილით ჩაუბარებია „დრუჟინის“ უფროსისათვის. ახლა დრუჟინის უფროსი იკლავს თავს, „ვსადნიკს“ „ვსადნიკზე“ გზავნის პოლიცმეისტერთან. ახლავე წარმოადგინეთ იერემიას დამჭრელი. პოლიცმეისტერი მე არ მაძლევს მოსვენებას: „სამსახურიდან დაგითხოვ, თუ ახლავე არ მოგიყვანია სისრულეში ჩემი ბრძანებაო“... .

ბახვამ უსიამოვნოთ ჩაჰკიდა თავი; ათასნაირი ფიქრი დაეხვია. ახალი გამოწყებული საქმეები არც ერთი გათავებული არ ჰქონდა. თავადის თავქფილაძისსეული მამული ბარე შვიდას თუმან ნაღდაო უჯდა და ჯერ კიდევ არც ეზო, არც სახლი გაკეთებული არ ჰქონდა. მუშები დიდი ხანია ზედ ეყენა; ისინი ფულებს ითხოვდენ. მეორეგან ორმოცი ათასი ქილა *) სიმინდი დაბეებული ჰქონდა: — ორას თუმნამდის გასვლოდა. მესამე ადგილს კაკლის კუნძებზე ყავდა კაცები გაგზავნილი. ერთი ასი თუმანი აქაც მიეცა.

„მე რომ ახლა დამატუსაღონ, ესენი სულ ერთათ დამეღუპება და დავიმსებიო.“ — გაიელო გულში ბახვამ. ამის გამო კიდეე უფრო შოიწყინა.

ბოქაული დიდი ნაბიჯით დასეირნობდა წინ და უკან თავის ოთახში. ხან-და-ხან გადმოხედავდა ბახვას, რომ შეეტყო მისი სახის გამომეტყველება. როცა შეატყო, რომ ბახვა ძალიან შეირყა, უცაე მოტრიალდა მისკენ, მიიღო მბრძანებლობითი შეხედულება, გძლად გამოუშვა პირიდან პაპიროსის კვამლი და ჰკითხა: „რას იტყვი. ბახვა?... ჰა... რა ვქნათ?“...

ბახვამ არა უპასუხა-რა.

— შენ კარგათ იცი, — განაგრძო ბოქაულმა ჯგირიკოჩამ:— მე შენი ქვეყნის კაცი ვარ; შენი ავი მეც გულს მითუთქავს, მაგრამ, აბა, რა ვუყოთ?... მირჩიე, როგორ უნდა მოვიქცე ამისთანა მდგომარეობაში?...

— რა ვიცი, ბატონო, თქვენ ხელთ არის ჩემი ბედი და იღბალი, მწუხარებით გამოკრინტა ბახვამ.

ჯგირიკოჩას სახე გაევსო სიამოვნებით. „სხვერპლი შემზადდა შესაწირავათ“, იფიქრა გულში და თითქოს მწუხარებით თვითონვე დაიწყო საჩივარი.

— ღმერთმა დასწყეველოს ჩვენი სამსახური!... — გაჯავრების ნიშნათ მოიქნია პაპიროსის ნამწვავი და შეაგდო ხუხარში. — პოლიციელისთანა ძნელი მოვალეობა არაფერს კაცს არა აქვს. აბა, რა მოვახერხო, რომ საძრავი აღარსაით მაქვს?... ავასრულო მთავრობის მოთხოვნილება, — ხომ საუკუნოთ დავიტანჯე სულითა და ხორცით: ძმას, მეზობელს გამოვუსვი დანა ყელში!... რას იტყვიან ჩვენები?... ბახვა ფულავა. პატიოსანი, მდიდარი, მარჯვე კაცი ჯგირიკოჩამ დაღუპაო! არ ავასრულო?... მაშინ თანამდებობაზე ხელი უნდა ავიღო: მეც და ჩემი ცოლ-შვილიც შიმშილით უნდა გავწყ-

*) ქილა—ერთი ფუთი. ორი ბალმანი.

დეთ! რაცლა ორი კვალი მიწა მაქვს, საუზმეთაც არ ეყოფა ჩემ: წვრილშვილებს. მითხარი, ბახვა, რა მოვახერხო?.. როგორ ვიხსნა. თავი ამ სახრჩობელადან ისე, რომ შენც არა გაგიჭირდეს-რა და მეც. ჩემი თანამდებობა არ დაკარგო?...

ბახვას ისე მოეჩვენა ეს საბუთები, თითქოს იმ წუთას მისი. ნამდვილი ღვიძლი ძმა ელაპარაკებოდა პოლიციის ბოქაულის ენით. ის გულ-ახდით გამოუტყდა ჯგირიკოჩას ყველაფერს: — ჩემი სიცოცხლე და სიკვდილი თქვენ ხელთ არის. რაც გინდათ, დამასაქმეთ, ოღონდ ამ გაჭირვებიდან გამომიყვანეთ. მე რომ ახლა დამიჭირონ, ჩემს დაბურდულ საქმეს მეტი არა უნდა-რა. ორი კვირის. განმავლობაში ისე წამიხდება საქმეები, რომ წყალში გადასავარდნი. შევიქნები. ხორციდან დაწყებული სულამდინ გამცლიან. ჩემი მონაგები, რაცლა ორი ფარაა, ქარში განიავდება.

— აბა, იცი, რას გეტყვი, ბახვა?... თუმცა ძალიან ძნელია, მაგრამ შენი გულისთვის გველის ხვრელში უნდა გაძვრე. საჭიროა ფული. უიმისოთ არა იქნება-რა.

— რამდენი?... მიბრძანე!..

ჯგირიკოჩა ჩააცქერდა ბახვას თვალებში. გაჩუმდა. დიდხანს. არა უთქვამს რა. თითქოს გამოცნობას აპირებდა, რამდენი უნდა. ჰქონდეს ბახვას დახლში, რომ არც მეტი, არც ნაკლები არ მოეთხოვო. მეტი თუ ეუთხარი. ეაი, თუ იუაროს, გაეინდეს, უგვარო. ძაღლივით კუდი ჯოხზე გადვას და აღარ ჩამოიღოს. ნაკლები თუ ეუთხარი, ეაი. თუ მოტყუებული დავრჩე, იმდენი ვერ ავიღო, რამდენიც შეიძლებოდაო. იყო ამ გამოუცნობელ მდგომარეობაში: არც „ჰოს" ამბობდა. არც „არას".

ბახვას სული კბილით ეჭირა. უნდოდა, მალე შეეტყო თავია. განკითხვის დღის ვარამი. ბძანეთ, — შესძახა ბახვამ მოუთმენლად. — რატომ არ ამბობთ, რამდენია საჭირო? თუ დახლში არ მექნა, თავი უნდა დავიგირაო, ვიშოვნო.

ბოქაულმა ეშმაკურათ გაიღიმა. იფიქრა, კარგი მოზდილი. ქაშაპია ბადეში შესაკდებიო, და. როგორც გამოცდილი მეთევზე. შეყვა ნელ-ნელა, ის აპარებდა ბადეს ცალ-კიდეზე, რადგან დიდი. თევზი ეგულებოდა. დასაჭერათ. ეშინოდა, ან ბადეს არ ასცდეს, ან. არ გაგლიჯოსო.

— მიბრძანეთ, ბატონო რამდენია საჭირო? — გადაწყვეტილად. განუმეორა ბახვამ.

— ღმერთო, შენ ამოაგდე, შენ დაეც მეხი ჩვენს პოლიცმაისტერს, — მოჰყვა ჯგირიკოჩა თავისებურ წყევლას. — მოგვინელა.

მაგ. არაწმინდა გაუმაძღარმა კაცმა. ჩვენს ეაჭრებს სინისილა აღარ დაუყენა სახლში: ვის ოცი თუმანი წაართვა, ვის ოცდაათი. ვის ორმოცდაათი. ეს იმაზეა დამოკიდებული, ვინ რა სამძიმო საქმეში გახვეული.

— მოდი, ბახვა. აქ! გადახვია ხელი ბახვას, მიიყვანა ოთახის კუნჭულში, საცა ცოტათ ბნელოდა, მაგრამ იმდენად კი არა, რომ ნაწერი ვერ გაერჩია.

— სანამ შენ ჩემთან მოხვიდოდი, — განაგრძო ჯგირიკოჩამ. — პოლიცმეისტერმა ეს პაწია შავი წიგნი გამომიგზავნა, მან გამოიღო უბიდან ორი ასპიდის შავი პაწია თაბახი, წიგნაკათ გაკეთებული. ერთ გვერდზე ციფრებით ეწერა ხუთასი მანეთი (500 მ.).

— ეს თვითონ მისი ხელით არის დაწერილი. თუ ამდენი არ მოგცეს, ახლავე დაჭერილი წარმომიდგინეთო. ჰა, რას იტყვი, ბახვა? როგორ ღვთის მტერი არ არის ის ურჯულო, ისა!?.. ღმერთო. დააქციე მისი ოჯახი. ამისთანა ბოროტ კაცს მაინც კარგი არა დაემართებაა-რა... რას ამბობ?.. მაგრამ დაიცა... შენ რომ კიდეც გაბედო, განა მე შენს დაქცევაში გავერევი?..: მერე ამდენი ფული რომ დაგახარჯვინო, სადღა გამოვყო თავი, შენმა ქვეყნის კაცმა, შენმა მეზობელმა?.... არასოდეს. რაც იქნეს, იქნეს. ეს არ შეიძლება.

ბახვამ იფიქრა: ეს ყოფილა ჩემი მამაცა და ძმაცაო. რა ღმერთი გამიწყრა, რატომ აქამდის არ ვიცნობდი ამ პატიოსან კაცსაო?

— ბატონო, დრო მიდის, წამოიძახა მოუთმენლათ ბახვამ — ჩემთვის ახლა თავისუფლება ისე ძვირფასია, ორი მაგდენიც რომ ეთხოვა, უნდა მეშოვნა, მეტი რა გზა იყო. მაგრამ ამ ჟამათ შენი რისხვა არა მაქვს, მე დახლში ოთხასი მანეთის მეტი არ მქონდეს. აქედან ათი თუმანი მე თვითონ მჭირდება: მუშები მყავს ხვალ გასასტუმრებელი.

— განა არ ვიცი! ეგეც რომ გქონია, ისიც ბარაქალა! სად არის ახლა ფული, ამისთანა დაცემული ვაჭრობის დროს?... რომ კიდეც გინდოდეს, თვითონ დაგიშლიდი მაგდენის მიცემას. დეე. მიაბერტყე იმ უსჯულოს, ქრისტეს გამყიდველს, ეგ ოცდაათი თუმანი. თუ არ დაჯერდა, ძალათ დავაჯერებ. მართლა მაგრე ახირებულათ კი ნუ მიყურებს ის, პოლიცმეისტრია თუ ვილაც ეშმაკი! მე ნუ გამაჯავრებს, თორემ იმის სახრჩობელა ბაწრის წვერები ხელში მიჭირავს. ბარე ხუთი ბარათი მაქვს მისი, ამისთანა საქმეებზე მოწერილი. რომ გამოვააშკარაო, მეტი, კი არა უნდა-რა, სადაც თავი აქვს, იქ ფეხს დავაკვრევინებ. შენ დარდი ნუ გაქვს, გული დაიმ-

შვიდე. მაგრამ, სანამ აქ საქმეს ჩავაქრობდე. შენ ფოთს თავი მოაბიდე.

— კი. ბატონო. ხვალ დილით მაინც იმერეთისკენ უნდა გიახლო. ახალ შეძენილ მამულში სახლს ვაშენებინებ, მუშები მყავს, ანგარიში უნდა გავუსწორო. ახლა, ჩემო მწყალობელო. ეს ხუთი თუმანი მიირთვი, მეტი თან არ წამომიღია. დანარჩენს ახლავ მოგართმევ. ან მე თვითონ მოგიტან. ან სანდო კაცი გამატანეთ და მისი ხელით კონვერტში გამოხვეულს მოგართმევთ.

— ძალიან კარგი. ფარნა! — დაუძახა მოსამსახურეს. ამ დაძახებაზე ერთმა ტანმორჩილმა მეგრელმა შემოყო თავი. წაყევი ბახვას. წიგნს გამოგატანს და მომიტანე.

— კი. ბატონო.

ბახვა სიხარულისაგან აღარ იყო, რადგან იმედი მიეცა. რომ ასე ადვილათ დაეწევდა თავს ხიფათსა. ის შევიდა კანტორაში; მეორე ოთახში მის ბიძაშვილს ლხინი ჰქონდა გამართული. სიმღერა ისმოდა. ბახვას მოსვლაზე სიხარულის კიჟინა დასცეს, უნდოდათ — შუაში ჩაესვათ. მაგრამ იმან უთხრა, საქმე მაქვს და ახლავე მოვალო. თავის ბიძაშვილს გასაღები გამოართვა, დახლი გააღო, იქიდან ოცდახუთი თუმანი ამოიღო, კონვერტში ჩასდო, ზევიდან დააწერა. პოლიციის ბოქაულს ჯგირიკოჩას საკუთარ ხელში მიერთვასო. მისცა ბიჭს კონვერტი და შევიდა თავის ბიძაშვილთან...

— ჯგირკოჩამ რომ ბახვა გამოისტუმრა. მერე მივიდა სარკესთან სანთელ-ანთებული. ჩაიხედა შიგ და წამოიძახა: „აი ბისმარკი. შუბლი!—მიიდვა თითი შუბლზე. ხელათ ოცდაათი თუმანი ავსწაპნე. Я Бисмарк, Бисмарк, Би — смарк! გამობრუნდა ღ ღ ინით და სანთელი ისევ სუფრაზე დადგა. მერე მოუკიდა პაპიროსს და დაიწყო ოთახში სიარული. ცოტა ხანს იქით ფარნაც შემოვიდა და კონვერტი მიართვა.

— საწყალი ბახვა!... — წამოიძახა მოსამსახურე ბიჭის გასაგონათ. — სულ უბრალოთ უნდოდათ დაეჭირათ. თავს დავდებ და იმას არავის დავაჭერინებ. მე ჩვენებური კაცის მამა ვარ, მამა!... ფარნა, წადი. თუ გიყვარდე, სუფრა გაშალე და ვახშამი მოგვიმზადე.

ფარნა გავიდა და გულში ასე ამბობდა: „ჩემი ბატონისთანა კარგი კაცი ქვეყანაზე არ დაბადებულაო!“.

XXVII.

ბახვამ თავის ახალ შეძენილ მამულს თვალი გადააცლო და იამა. მუშებს ბევრი რამ გაეკეთებინათ. ძველი, დანგრეული სახლ-

კარი განახლებული გამოიცქირებოდა. აღარც ჩამონგრეული სახლის კედლები იხედებოდა, აღარც გატიტვლებული ბუხრები, აღარც გაფოლორცებული გარემო. პირველ ნახვაზე ამ მამულში სოფლის ნახირი ჭიანჭველასავით ირეოდა. მას გადაეტკივრა ყველაფერი. ღორებს ეზო სულ გადაეჩიჩქნათ და გაეთხარათ. ჯერ ექვს თვესაც არ გაევლო მას აქეთ, რაც ბახვა ფულავა დაპატრონებოდა ამ თაქფილაძისეულ ადგილ-მამულს და სახლ-კარსა; მაგრამ ყველაფერს უკვე ეტყობოდა მზრუნველი მეპატრონის ხელი. ეს გაფოლორცებული არე-მარე ახლად გაშენებული დაუხვდა. მთელი ეზოსთვის შემოეევლოთ ღრმა თხრილი, ზედ მაღალი სარის ღობე მოეყოლებინათ. ღობეს შიგნით იხედებოდა გახარებული ტირიფისა და აკაკის ხის ნერგები. ახლათ შეფოთლილი და შემწვანებული. ეზოში იდგა გასათიბათ დამზადებული ბალახი, რომელიც მინდვრის ყვავილებით წითელ-ყვითლად შეჭრელებულიყო და მზიარულად ბიბინებდა ყოველ ნიავის შემოქროლაზე. მრავალ-ფეროვანი ყვავილებისაგან და ახლად გახარებული თეის ვარდებისაგან ისეთი შვენიერი სუნნელება იდგა. სამოთხის არეს მოგაგონებდა. ერთგან ჭიშკარი, ურთხელის ხის ანაგები. სისხლის ფრად ლაპლაპებდა. ხუთი თვალი ოდა შუა ეზოში ამართული, ახლად გადაქედილი და წითლად შეღებული უზარმაზარ სოკოწითელს მოაგონებდა კაცსა. ოდის მახლობლათ დაედგათ საჯალაბო სახლი, ბოსელი და ორი სასიმინდე; იქვე ძველი ჭა ამოეწმინდათ და თავზე თლილის ქვის გვირგვინი მოედგათ. პირველ ორ დღეს ბახვა დილიდან საღამომდის ადგა თავზე მუშებს და დიდ სიამოვნებას სცდიდა. როცა მის თვალწინ მისი მამული შვენიერდებოდა; ყოველივე დაათვალიერა და, რაც რამ აკლდა. იმის გაკეთებაც დაუბარა თავის მოურავს; მერე ფული გადასცა მუშების გასასტუმრებლად და წავიდა აბაშისა და ტეხურის ხეობაში ახალ-მოპრილი კუნძების სანახავათ. ახალმა ოჯახმა გული გაუნათლა. გზაზე მას იგონებდა და მხიარულებდა. რაც იქ იმან ნახა. მართლაც დიდებულ თავადიშვილს ეკადრებოდა. თავის ყმაწვილობაში ბევრგანყოფილა: დადიანების, მხეიძეების, წულუკიძეების ოჯახებში. მაგრამ არც ერთს იმათგანს არ ჩამოუვარდებოდა მოწყობილობით მისი ახლად შეძენილი სახლ-კარი და მიწა-წყალი. რაკი იერემიას საქმე თავიდან მოიცილა, თავის თავს ბედნიერად რაცხდა; მხოლოდ მის ბედნიერებას გვირგვინის ერთი მშვენიერი, ცაებრ განსხვავებული ძვირფასი თვალი აკლდა. რომლის შუქიც დღე-დაღამ იმის ოჯახის მნათობლად უნდა ყოფილიყო. ვინ უნდა ყოფილიყო. ან და რა. უნდა ყოფილიყო ეს პატიოსანი. თვალი? ვინც იმ წუთას ბახვას შინაგან ფიქრებს დაუკვირდებოდა, ყველა

მიხვდებოდა, რომ ის უნდა ყოფილიყო მისი ესმა, ამ ქალის ჯავრი ბახვას არ ასვენებდა. სადაც უნდა ყოფილიყო, მისი სახე ბახვას არ შორდებოდა. მისი ცოცხალი სურათი ბახვასათვის ის იაგუნდის კვერცხი იყო, რომელიც მზეჭაბუკს წინ უგორავდა, სდევდა და ვერ დასწეოდა. აი ამ წუთას ბახვა შედიოდა მდინარე ტეხურის პირად: ხშირი დობილო გზას უჩრდილავდა და სიცხეს არ აკარებდა. ცალი მხრით ტეხურის შხუილი ართობდა, მეორე მხრით ალვის ხის ტალავარი, რომელიც მესრად ჰქონდა შემოყოლებული ხშირ მოსახლეთა სახლკარს; იმათში რამოდენისამე თავადიშვილის ეზოებიც იყო. ზოგან შაშვის სტვენაც ისმოდა. ზოგან წყლის პირად თეთრი ყანჩა წამოუფრინდებოდა წინ, ხან მისი შავი მერანი დაიფრუტუნებდა. თითქოს ჩქარის ნაბიჯის სიარულით მოღალულიყოს და ღონის მოკრეფა სდომოდეს. ხან-და-ხან მის აფხაზურათ დაწნულ ტყავის მათრახს გაუხდებოდა ტკაცანი შავი მერნის გვერდებზე. ცხენი ყალყზე დგებოდა, წინ გახტებოდა და ამრიგათ ართობდა თავის მხედარს. მაგრამ არც ეს შვენიერი, დიდებული ბუნება, არც ტეხურის შხუილი, არც თვით მისი შავი ბედაურის ამაყი ტარება და შემაქცევარი გახტომ-გამოხტომა არ ავიწყებდა ესმას სინარნარეს, რომელიც ამ დროს მის გონების თვალებს თილისმის კვერცხივით წინ მიუგორავდა. მას მუდამ თვალ-წინ ედგა ესმას ლაზათიანი თამაში, მისი მერცხლისებური ნავარდობა, მისი მწყერული გოგმანი, მისი სირინოზის ხმა და ჩონგურზე განაზებით დამღერება. ამ ფიქრებში გართობილმა ბახვამ ცხენს სადავე სრულებით მიანება; იცოდა, რომ მის მერანს გზა არ დაებნეოდა, ამ ხეობაში ხშირათ იყო ნასიარულევი. ცოტა ხანს შემდეგ მის ხალისიან ფიქრებს შემოერია სამძიმოცა. ბახვა დაუკვირდა იმ დღის იერემიას უტიფრობას. „როგორ გაბედაო, — იფიქრა გულში, — ცეკვაში ხელის წელზე მოხვევა მისი? ვაი, დედაო, რატომ ფერდში არ ვკარი ხანჯალი!" ჯერ იმ ერთ ხიფათსაც არ გადარჩენილიყო და ახლა ისე გააბრაზა ამ წარმოდგენამ. რომ იმას ნანობდა, ცოცხალი რათ გადავარჩინეო. „ნუთუ იმას უფლება ჰქონდა რამე ესმაზე? ვინ იცის!.. იმ დღეს აკი ჩემმა ძმის-წულმა შიამბო, ესმა ერთხელ იერემიას დაუჭერია, როცა ის სახლში მინავალა. და უკოცნიაო. მე მაშინ ჩემ ძმის-წულს გავუწყერი, მეორეთ. ღარ სთქვა მაგისთანა სიტყვები-მეთქი. ეგ შეუძლებელია, რომ მომხდარიყოს-მეთქი, ჭორს ნუ აყვები-მეთქი. იმან ჩაიცინა და გაჩუმდა. ვინ იცის, იქნება, მართალიც იყოს, იქნება, იერემიას ესმასთან რამე კავშირიც დაეჭიროს!.. აბა, ასე უტიფრად როგორ მოეკიდებოდა ახალგაზდა, უცხო ქალს, იმისთანა სიტყვებს როგორ ეტყოდა, რაც იქ იერემიამ წამოროშა?!;; არა, არ შეიძლება! ესმას უმანკო სახეს

ამისთანა უზნეო მოქმედება არ ეკადრება და ვერც მოახერხებს. იერემიასთვის სულ ერთია, ვინც უნდა ნახოს, ნაცნობი, თუ უცნობი, თუ კი მოეწონა, ყველას აგრე უტიფრად ექცევა.... თუ ასეა, მაშ იმ შემთხვევის შემდეგ ესმასთვის კიდევ უფრო საჭიროა ჩემი მფარველობა. ვინ იცის, უკაცურს, ქვრივ-ობლის ოჯახს რა დაემართება! მეტადრე პირველ მაისობის ჯარიანობის შემდეგ, იერემია განზრახ ეცდება რამე სისაძაგლის მოხდენას. სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო ჩემი მტრობით იზამს რასმე უსინიდისობას!"... ამისთანა ფიქრებისაგან თან-და-თან უფრო შეეპმუხვნა სახე ბახვა ფულავას: მისი გონება აიმღვრა. შავი სიხსლი თვალებში ჩამოწვა და ახლო რომ შეეხედა ბახვასთვის კაცს, ასე იტყოდა, ან ვინმე მახლობელი უნდა მოკედომოდეს, ან დიდი რამ ბოროტება უნდა ექნასო. მზე დასავლეთისკენ დაიწურა, აგრილდა. შავს ქვიბიის მთებს ნისლი გაეკრა და ეს ნისლი თან-და-თან ქვეეით იწეოდა ჭაჩხურის სივიწროეეში, სიდგანაც ჭაჩხურის ხევი მოაჩხრიალებდა თავის ანკარა წყალსა. ამ დროს ბახვას ცხენიც ჩავიდა ტეხურში, გზაც იქით მიყვებოდა, მაგრამ ცხენმა ფონს ვეღარ უსწორა. ჯერ ისმოდა წყლის შხაპუნი, მერე ქვებზე ცხენის ფეხების გრიალი, უცბათ წყალმა ცხენს გვერდზე მოუსვა პირი; ამ დროს ცხენმაც მაგრად წაიფორხილა; ბახვა მხოლოდ ცხენის წაქცევის შიშმა გამოარკვია შავის ფიქრებისაგან. იმან სადავე მაგრად დაუჭირა, მათრახი შემოკრა, ცხენი მოსჭიმა და უცბად გააგდო მეორე ნაპირას. მერე კრა ქუსლი, ერთი ეწრიანი ბეგი შეარბენინა და ტყის პირად ლილო მინდორზე კარებთან მიაგდო. აქ ეყარა მრავალი კაკლის კუნძები. შორს „იშ", „იშის" ძახილი ისმოდა და აჩეჩა ურმების ჭრიალი. ეტყობოდათ, მუშები კუნძების ზიდვაში იყვენ. ბახვამ მიაგდო ცხენი ფაცხასთან, რომელშიაც ცეცხლი ენთო და კარდლით *) ღომი იყო კაკვზე **) ჩამოკიდებული. ეტყობოდა, ვახშამს ამზადებდენ.

ფაცხიდან გამოვიდა ერთი მუშა ბიჭი, რომელიც ვახშმის საკეთებლათ დაეტოვებინათ შინ.

— მოდი, ცხენი ჩამომართვი, — ბრძანების ხმით უთხრა ბახვამ — სხვები სად არიან?

— კუნძებს ზიდვენ, ბატონო. აგერ, კიდევ მოდიან, ურმების ჭრიჭინი და ხარების რეკა მოისმის.

— აქ მახლობლად თხის ჯოგი არსად დგას?

---

*) კარდალი—პაწაწა სპილენძის ქვაბი.

**) კაკვი—ხის საქვაბე.

— კი, ბატონო, მეგრელები გახლავთ ქვეეით ჭაჩხურის პირად დაბინავებული.

— აბა, შენს გაზდას, ეს სამი მანეთი მიეცი და ერთი კარგი ერკემალი ამოიყვანე, ამალამ დაგვიკალი, ზოგი მოხარშე, ზოგი შეწვი — მუშები მომშეული იქნებიან.

დაბინდდა. ის იყო ცხენიდან გადმოხტა ბახვა და მისმა ნოქარმაც შემოატანა.

— ოჰ, ბეკოიას გაუმარჯოს!

— ღმერთმა გაცოცხლოს.

— როგორი მუშაობა გაქვთ?

— დაეიხოცეთ, ბატონო, მეტი აღარ ვართ: ზოგან სულ არ არის გზა, ზოგან ისეთი დაღმართებია, რომ კუნძი გადმოგვიგორდა, ხარს წელზე დაეცა და წელი მოსწყვიტა.

— კუნძები თუ მაინც კარგები გამოვიდა?

— კუნძები კარგებია. ზოგი იმისთანა სხვილია, თითოს თითო უღელი კამბეჩი ვერ ზიდავს ბარის გზაზე.

— გაათავეთ, თუ ჯერ კიდევ ბევრი გაქვთ სამუშაო?

— ბევრი აღარა გვაქვს-რა. ჩამოვზიდეთ, მარა გვეყო, დავწყდით მეც და მუშებიც; ტყეში ფხლარწუნით ტანისამოსი აღარ შემრჩა. დაგვრჩა ერთი ოცი კუნძი ტეხურის ხეობაში, მაგრამ იმასაც მალე ამოვიტანთ. თუ დარები გვექნა, ამ ორ კვირას მათხოჯს ჩამოვზიდავთ. მერე კი უნდა მოგვაშველოთ ხარ-ურმები.

— მაგის დარდი ნუ გაქვს, ოცდაათ უღელ ხარ-კამეჩს დაგახვეღრებთ მათხოჯს.

— კარგი დაგემართოს, — დააბოლოვა ბეკოიამ.

ბახვას გულში იაძა ამისთანა სიმდიდრის ხელში ჩაგდება. თვითონვე ხედავდა, რომ კაკლის კუნძები ძალიან მოზდილები იყო. მოასწრო კიდეც ბნელაში ოთხმოც კუნძამდის დათვლა. ეს მთელი სიმდიდრე იყო მისთვის. — ჩავიტან თუ არა ამ კუნძებს ფოთში, მაშინვე მივყიდი ბერძნებს, ნახევარ ფასს წინდაწინ გამოვართმევ და მაშინვე ესმაზე დავიწერ ჯვარსაო, — თქვა გუნებაში და გამხიარულდა.

— აბა, ბეკო, ერთი კარგი ერკემალი დაგვიკალი ამალამ. უნდა მოვილხინოთ, მუშები დამშეული იქნებიან.

— ის კი არა, ბატონო, ტყაეი გაძვრათ ხელებზე საწყლებს. ძალიან ჯაფაში არიან და ფულიც დაუგვიანდათ.

ხვალვე დავუთვლი ყველას ჯამაგირებს. ამალამ არაყი ხომ გაქვს? ღვინო ხომ არ გამოგლეეია?

— ღვინო კი გამომელია. მარა არაყი მაქეს კიდევ ნახევარი ვედრა.

— არა უშავს-რა ვასვათ მუშებს ამაღამ. მე ხვალ წავალ და ამ კვირაში ყველაფერს ბევრს გამოგიგზავნი.

— კარგი დაგემართოს.

იმ ღამეს ძალიან კარგათ შეექცენ. მუშებმა ბახვას სადღეგრძელო დალიეს, „კუჩხა ბედნიერიც" ბევრი იმღერეს. ბახვა ცდილობდა მოლხენით ყოფილიყო, მაგრამ ხან-და-ხან სახეზე მოწყენილობა მაინც გადაკრავდა. იმას ძალიან ჩაებეჭდა გულში ესმა'. დარდი. რაც უფრო ხანი მიდიოდა, ისე უფრო აფიქრებდა ბახვას ერთი რამე: „ღმერთი არ გაუწყრეს იერემიას, იმ გაბრაზებულ გულზე ესმა არ მოიტაცოსო". იმ ღამეს თითქმის ჯავრით აღარ დაუძინია. მეორე დღეს ალიონზე წამოვარდა ზეზე. ბეკოც გააღვიძა, ცხენი შეაკმაზინა, მუშის ფულები დაუთვალა, საკუთარ სახარჯოთაც დაუგდო ორი თუმანი, შეჯდა ცხენზე და გამობრუნდა ისევ ფოთისკენ.

XXVIII.

სალომე ძალიან ყურადღებით კრებდა ყოველნაირ ამბებს. რაც კი ბახვას შეეხებოდა. მის წასვლის შემდეგ სალომემ თითქმის მთელი ფოთის ქალაქი შემოიარა. ნაცნობსა და უცნობს ყველას ჰერემიას ამბავს ჰკითხავდა. უნდოდა შეეტყო, ძნელი ხომ არა იყო-რა იმის ჭრილობაში, ან საქმე ხომ არ ატეხილა რა გამოსაძიებელი. ერთხელ პოლიციაშიაც შეიხედა და იქ ნაცნობ პოლიციელს საიდუმლოთ გამოჰკითხა იერემიას ჭრილობაზე. პოლიციას ხომ არაფერი მიზეზი გამოუძებნა-რა ბახვასთვისო.

— „რაებს მკითხავ, ქალო? უპასუხა აგდებით პოლიციელმა. — მას აქეთ მე კიდეც დავბერდი. ვის ახსოვს, ან ვის რა დარდი აქვს, სადღაც ესადნიას ჩინდარი შეესო ფეხში! იერემია ისე დადის დრუჟინაში როგორც უვლია! ეს კი, გავიგონე, ვითომ იერემიას დრუჟინაში აღარ აყენებენო; დამოჟნის მთავრობას აზრი აუღია, რომ, რაი იერემია ფოთში გაჩნდა, კონტრაბანდის შემოტანამ იმატაო. დამოჟნის უფროსს წინადადება მიუცია. ან ეგ ესადნიკი დაითხოვეთ სამსახურიდან, რომ მისი ფეხი ფოთში აღარ იყოს, ან ლაგირიდან ნუღა გამოუშვებთო. თვითონ დრუჟინის უფროსს უთხოვნია მისი გამორიცხვა, როგორც ცუდი ყოფაქცევის კაცისა. ვინ იცის, აწი საქმე როგორ გათავდება? ეს კია, რომ იმას

ფოთში აღარ დააყენებენ.“ ამისთანა ამბებით გახარებულმა სალომემ შეუხვია შვილის სანახავათ მადამ სალისთან და ეს შეტყობილი ამბები ყოველივე მოუყვა. ესმას იამა, რადგან თვითონ ძალიან ეშინოდა მისი; მეზობლებისაგან ხშირად მოსდიოდა რჩევა, მარტო ნუ დადიხარ ფოთის ქუჩებში, ნამეტურ საღამოობით, თორემ იერემიას დაუქადნია შენი მოტაცებაო. „ნეტაი მალე გადაიყვანდნენ აქედან ბაგ საძაგელ კაცს: როგორც სიკვდილი, ისე მეზარება მისი თვალით დანახვა, იმ ურჯულო-არაწმინდასი! საზიზღარია“... — გულის არევით ამბობდა ესმა. იმ ერთ კვირაში თითქო სულ გამოიცვალა. უწინდელი უმანკო და უდარდელი სახე სულ სხვანაირათ შეეცვალა. მის დიდრონ თვალებს რაღაც საიდუმლო ბრძოლა და ცხოვრების ჭირ-გადახდილობა დაეტყო; თვალის უბეები გარშემო უფრო მიებნიდა. თითქოს ფიქრისა და უძილობის გამო. მისი ტუჩები შეიკრა, ზედ ეარდი აღარ ეშლებოდა და აღარც მარგალიტებს ისხამდა. მთელ მის სახეს მოწყენილობის დაღი დაეკრა და ბრძნული გამომეტყველება მიიღო: მისი დაკრძალულნი ბაგენი უსიტყვოთაც თითქოს ამას გეუბნებოდენ: „რაკი გულში ერთი რამ ამოვიჭერი და ერთი ვსთქვი, იმას აღარ გადავსთქვამო.“ ისეთი სამძიმო რა მოხდა მის ცხოვრებაში, ან ისეთი რა იყო, რომ ამისთანა დიდი ცვლილების ბეჭედი დააჩნდა მთელს ესმას არსებას? ეს იყო მისი პირველი გულის შეტოკება, რომელსაც. მისი ფიქრით, არ თანაუგრძნეს. აი, ამის გამო მის სიყვარულის კუკურს მოხვდა მარტის ყინვა„ რომელმაც უდროოთ დასძრა და დართვილა იგი. ესმას ღრმათ აღძრული გულის თქმანი ძალიან მიემსგავსებოდენ ტყის ძღარბსა (ბუძგა), რომელიც, დიდის კრძალვით გამოყოფს თუ არა წინა ფეხებს სასიარულოთ, უეცრივ დაფრთხება მოულოდნელი ფოთოლთ შრიალითა და ისევ შეიკუმშება თავის ეკლიან სამოსელში...

მადამ სალი სიყვარულით და მოწიწებით გამოეგება სალომეს. თუმცა ის ძალიან ცუდათ ლაპარაკობდა ქართულს, მაგრამ მაინც გულმა არ მოუთმინა და ფრანგული გატაცებით აცნობა მას ის აზრი. რაც ესმას მისთვის გადაეცა. „ჩვენ ერთათ... ერთათ... ერთი ქვარტირა... ერთი მოსამსახურე: ძალიან კარგი, ძალიან... შენი ქალი ჩემი ქალი... შენ დედა, — მე დედა... ეს ჩვენი შვილი!“ — უჩვენა თითით ესმაზე.

სალომე ყველაფერს მიუხვდა, რადგან ესმას წინდაწინვე ჰქონდა ნათქვამი, რომ მადამ სალის შევუამხანაგდები კერვაში და ერთათ ვიდგომებითო. ამ აზრმა მაშინაც მხიარულების ჟრუანტელი მოგვარა სალომეს, როცა პირველათ უთხრა ესმამ; მაგრამ, როგორც

ჭირში გამოვლილ ადამიანს სჩვევია, არაფერი სჯეროდა. როგორ წარმოიდგენდა, თუ მადამ სალი, რომელიც ასე კარგათ სცხოვრობ და და კარგი შემოსავალიც ჰქონდა, მის საწყალ შვილს გაუზირებდა თავის საქმეს.

— მე ბებერი, შენი ქალი ახალგაზდა. მე შინ დაჯექი... — ეგ გარეთ იარე... ფული ბევრი... ბევრი... ჰა. ჰა, ჰა, ჰა!... — გადიხარხარა მადამ სალიმ სიამოვნებით. სალომესაც გაეცინა, ერთი იმის გამო, რომ წინ დამყუდრებულს ბედნიერ ცხოვრებას მოელოდა. კარგა ხანს დარჩა მადამ სალისთან, ერთი ფინჯანი ყავაც დალია, მერე გამოეთხოვა. გაკოცნა თავისი შვილი, მადამ სალიცა და დაბრუნდა შინისაკენ სრულებით ბედნიერი.

თუმცა ესმას გარეგანი სახე გაბრძენებული და დაწყნარებული ჰქონდა, მაგრამ მისი შინაგანი არსება სულ სხვანაირათ წარმოებდა; იმდენი განუსაზღვრელი უსიამოვნო, უჯერი წადილი და გულის თქმანი დახვეხდენ თავზე. რომ სულ გზა დაებნიათ. არ იცოდა, რა ექნა, რა გზა უნდა გაეკვლია მომავალ ცხოვრებისათვის; რაც უნდა წარმოედგინა, არაფერს არ ჰქონდა მის გონების თვალში ნამდვილი ღირსება და სიხალისე. „არ ღირს ცხოვრება", წამოიძახებდა თავისთვის ნაღვლიანათ. „რისთვის, რა არის ამ ქვეყანაში კარგი?.. არაფერი; მუდამ მტრობა. ერთმანეთის დაუნდობლობა! გულახდილათ ვერავისთან გილაპარაკნია. ვერავისთან გაგიმჟღავნებია შენი გულის წადილი. ასე გაგიგონია? ყველა შენ დაგცინის, უნდა შენი მარტივი გონების გულის პასუხი შეიტყოს და მერე უწყალოთ გაქელოს. რა ღირსება აქვს ჩვენს სიცოცხლეს, როცა ერთი გულითადი მეგობარიც ვერ გიშოვნია! სწორეთ არ ღირს ცხოვრება იმ ნემსის ყურწის სიფართო მხიარულებისათვის, რომელიც ჩვენს მწუხარე ცხოვრებას გამოერევაო". ამისთანა ფიქრები აღეძრა მას აქეთ, რაც გულში გადაიწყვიტა: „მე ჩემის შრომით და ხელსაქმით უნდა გავიტანო თავიცა და დედა-ჩემიცაო". მაგივრათ, ამ გადაწყვეტილების შემდეგ, უფრო გაუტკბა ესმას თავის დედის სიყვარული. დაუწყო დედას ალერსი და სიყვარული. ხშირათ გამოკითხავდა ხოლმე მის ვაისა და ვარამსა. მისთვის ერთათ-ერთი სანუგეშო ესღა დარჩენილიყო ცხოვრებაში: მშობლის პატივისცემა და იმის ბურჯათ ყოფნა. მაგრამ მისი ამისთანა მოქცევა დედას ძლიერ აჯავრებდა. იმას სიზმრათ გადაექცა ამ ბოლო დროს შვილის ასეთი ქალაჩუნობა. ცხოვრებაში კარგათ არ ჰქონდა დაცდილი ამისთანა ამბავი. „განა შენიანის სიყვარულის მომატება მის მალე დაკარგვას ნიშნავსო!". ამიტომაც დაუხშირა ღმერთს ვედრება; თავის ლოცვებში მუდამ ასე ამბობდა: „ღმერთო, უბედურება ამაშორეო".

მეორე ძვირფასი და მუდამ გულიდან ამოუცილებელი არსება იყო სალომესთვის ბახვა ფულავა. მუდამ იცოდა თავის მეზობლებში და ნათესავებში იმაზე ლაპარაკი; ნამეტურ ესმას რომ ნახავდა, არ შეიძლებოდა, ბახვაზე არ ჩამოეგდო ლაპარაკი. „შვილო ესმა! გახურებულის სახით მიმართა ერთხელ სალომემ, მადამ სალისთან რომ იყო, — ბახვას მთელი ერთი თავადიშვილის ყოფაცხოვრება და მიწა-წყალი ჩაუგდია ხელში!.. თურმე შვენივრათ მოურთავს ეზო — გარემო! ისეთი ოდა გამოუჯგიმავს, რომ არც ერთს დადიანს არ უდგასო მისთანა. ღმერთმა მისცეს". — იმას ეგონა. ესმას ძალიან აამებდა ბახვას სიმდიდრით; მაგრამ ესმამ კიდევ უფრო მოიწყინა; მის გულს ყოველი სიტყვა ბახვას შეძენაზე და მის ახალ სიმდიდრეზე მდუღარე წვეთებათ ეცემოდა. იმას ერჩია, ბახვას ტანმრთელობასა და მარჯვე ხელებს გარდა არაფერი ბადებოდა, მაშინ იქნებოდა ესმა ბედნიერი; მხოლოთ სამეგობროთ. ახლა რა! ბახვა მისთვის დაკარგულათ ითვლებოდა. ყოველი მისი მომეტებული მანეთის ქონება ბახვას უზომოთ აშორებდა ესმას. ამისი აზრით, არაფერი საერთო არ უნდა ყოფილიყო იმასა და მდიდარ ბახვას შორის. ის კი არა, ნატრობდა კიდეც, რომ ბახვას შეეწყვიტა დედა-მისთან სიარული. თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ მის თავს ბახვაზე ფიქრები მაინც არ სცილდებოდა. ეს იყო რაღაც განუკეთელელი სულის მტანჯავი შავი ფიქრები, რომელნიც ასე აცარიელებდენ და ამარტოვებდენ ესმას გულს და მის ცხოვრების შინაარს.

XXIX.

ღამის თერთმეტის ნახევარი იყო, როცა ფოთის მახლობლათ მატარებელმა დასტვინა. ბახვას კანტორაში ჯერ კიდევ არ ეძინა მის ძმისწულს. მატარებლის ხმა რმო გაიგონა, უნებურად წამოიძახა: „იქნება, ბიძა-ჩემი მოვიდაო!.. ძალიან დააგვიანდა, ამდენ ხანს ჯერ არ დაჰგვიანებია. ვინ იცის, რა უჭირს!... თუ ამალამაც არ მოვიდა, უსათუოდ უნდა მივაკითხო. ცოტა ხანს იქით დაიწყო ეტლების რიხინი. ერთი მათგანი უცბათ გაჩერდა კანტორასთან და თა თან მოისმა ხმა: „ბოშო!... ვინა ხარ შინ? — კარი გამიღე!" ბახვას ძმისწულმა ხმაზე იცნო თავისი ბიძა. ახტა უცბათ, გააღო კანტორის კარი და უპასუხა: „მადლობა ღმერთს, ძლივს არ მოხვედი? ამალამ კიდევ გიყურებდით და მერე მე თვითონ ვაპირობდი წამოსვლას შენ საძებრათ. ვინ იცის, ცუდი დროა, ეშმაკს თვალი არ უჩანს..."

ბახვა რაღაც გარეწრათ მოექცა თავის ძმისწულს, უთხრა სურჯინი შეატანინეო: თვითონ შევიდა კანტორაში, სუფრაზე დაუ-

წყო რაცლას ძებნა. ეგონა — წიგნი იქნებოდა სალომესი, რომელიც შეუცხადებდა მას რაიმე უბედურებას. მაგრამ წიგნი ვერა ნახა-რა. ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი სუფრის გარშემო. მერე კი გაბედა თავის ძმისწულთან საუბარი.

— ფარნა (ასე ეძახდენ მის ძმისწულს), როგორ ხართ?... ფოთში რა ამბავია?

— კარგი. ჩვენი სიმინდი მოვიდა, ასე. ათ ნავამდის. სხვებიც მოდიან.

— შენ ეს მითხარი. — მოუთმენლად ეუბნებოდა ბახვა. — უბედურება ხომ არაავის შემთხვეევია ფოთში, ან ხომ არაავინ მომკვდარა, ან თუ სხვა შესანიშნავი რამე ამბავი ყოფილა ჩემ შემდეგ მითხარი, ნურაფერს გამოტოვებ, ამოდენა ხანია არ ვყოფილვარ. ჩემთვის ყოველივე საინტერესოა.

— რა გითხრა, რაც არა მომხდარა-რა?

ბახვას უნდოდა სალომეს ამბის კითხვა. მაგრამ რაღაც ახირებული რამ აბრკოლებდა: უნდოდა კითხვა და ვერც ეკითხა; ცალკე ცუდი ამბის გაგონების ეშინოდა, ცალკე იმისი რიდი ჰქონდა. მე და მის ქალზე იქვი რა არ ჰქონდეს აღებული და არ დამცინოსო.

ფარნა კი თითქოს მიხვდა ნამდვილ მიზეზს და გაახსენა იერემიას დაჭრილობა: იფიქრა, ალბათ ბახვას უნდა შეიტყოს პოლიციაში და სასამართლოში იმისა და იერემიას ჩხუბზე საქმე ხომ არ არის დაწყებულიო და კითხვის პასუხად ასე მიუგო: „ერემიას გამო არასფერი ამბავი აღარ ისმის. ეშმაკსა და ქაჯს ჭრილობა რას უზამს! თურმე, მესამე დღეს სამსახურში წავიდა და. რომ ჰკითხეს. ჩხუბი რათ მოახდინეო. თურმე უარი სთქვა. — რომ დაგჭრესო?... — არც დავუჭრივართ და ხელიც არავის უხლია ჩემთვისო. — იმის გამო არაფერი ამბავი აღარ ისმის, პოლციასაც დავიწყებული აქვს.

სანამდის ამას ლაპარაკობდა მისი ძმისწული. ბახვას საშინელი გულის ძგერა მოსდიოდა. ეგონა. აი აგერ იტყვის. იერემიამ ესმა მოიტაცაო და აი აგერ...

რაკი ამაზე ფარნამ აღარა თქვა-რა, გული დაუამდა. — მადლობა ღმერთს. ყოველივე კარგათ უნდა იყოსო. — იფიქრა გულში. შემდეგ ჰკითხა ფოთის ვაჭრობის ამბავი. სიმინდის მაზანდა და სხვა ამისთანები. მისმა ძმისწულმა ყოველივე დაწვრილებით უამბო. აქ ლაპარაკში შუაღამე შემოეპარათ. ბოლოს მოისვენეს. მისმა ძმისწულმა ტკბილი ძილი გამართა, ხან-და-ხან ცხვირის ნესტოებიდ სტვირსაც უკრავდა. არ ეძინებოდა მხოლოდ ბახვას. იმ ღამეს ბახვა

სულ ესმაზე ფიქრობდა; სული მისდიოდა, სანამ სალომეს და ესმას ნახავდა; მის დღეში ამისთანა მოუთმენლობა მას არ შემთხვევია. სულ თვალწინ უდგა იერემიას ავკაცობა, მისი დამუქრება, მისი უზნეო გულის თქმანი. რომელიც ჟინის მოსაკლავათ საკუთარ დასაც არ დაინდობდა. — ვინ იცის, იქნება, ამაღამაც ჰქონდეს მას მოწყობილი საქმე ესმას მოსატაცებლათ! — ამისთანა ფიქრებით გაბოროტებულ ბახვას მხოლოდ მეორე მამლის ყივილზე მიეთვლიმა; სულ ძილში არ იყო, რაღაც ძილის ბურანი თავსდახვეოდა; გრძნობდა, მის გარშემო რაც ხდებოდა ოთახში, ან მისი ძმისწული სად იწვა, ან როგორ ხვრინავდა; მაგრამ ამასთანავე თავიც ისე დამძიმებოდა, რომ ვერ გამორკვეულიყო, ძილში იყო, თუ ღვიძილში. ამ დროს წარმოუდგა, ვითომც იერემია თავის ამხანაგებით მიიპარება ღამის ბინდში სალომეს სადგომისკენ. აი, აგერ მიუახლოვდა სახლს. პატარა ოთხ-შუშიან ფანჯარაში სანთელი ანთია; ფარდა ჩამოშვებულია; ფარდას იქით ლანდი ინძრევა. ბახვამ ცხადათ იცნო ამ ლანდზე ესმას წერწეტი ტანი. იერემია მივიდა ფანჯარასთან, ხელი დაუკაკუნა. ცოტა ხანს იქით გაიღო ფანჯარა. რას ხედავს ბახვას თვალები?!... ესმა გადმოიხარა ფანჯრიდან, იერემიამ შემოხვია გულ-მკერდზე ხელები, გადმოიყვანა და მოჰყავს ღამეში. ბახვა ხედავს ამას ყველაფერს, უნდა გამოეკიდოს, მაგრამ მუხლები ეკვეთება; რევოლვერი ამოიღო, შეაყენა ზედა ფეხზე, უნდა დააცემინოს. მაგრამ ჩახმახი არ ეცემა. რა ქნას?!.. ამაზე უფრო უბედური მდგომარეობა განა იქნება კიდევ? შენს თვალწინ შენი მოსისხლე მტერი გტაცებდეს საყვარელს, გატენილი დამბაჩა გქონდეს ზედა ფეხზე შეყენებული, გინდოდეს გასროლა, მტრის მოკვლა, მაგრამ დამბაჩა არ ვარდებოდეს!.. მტერს კი შენი საყვარელი მიჰყავს, გშორდება. სასოწარკვეთილებისაგან გინდა დაიყვირო: მჰ... მჰ!... ჰეი!... მართლაც ამ დროს ისეთი ამოიბღავლა ბახვამ სიზმარში, რომ თვითონაც გაიღვიძა და ძმისწულიც გააღვიძა. რომელიც წამოვარდა ზეზე გაფოცებული და შესძახა: „ბახვა. შენ ხომ არ დაგიყვირიაო?! ბახვამ დარცხვენილი ხმით უპასუხა:

— კი. მგონია. მე დავიყვირე!... ეს ოხერი სისხლი მომაწვა ყელში: კინაღამ დამახრჩო. მაჯლაჯუნას რომ იტყვიან, სწორეთ ეს უნდა ყოფილიყო. ფარნა გადაბრუნდა და ერთი წამიც არ გასულა, ისევ ხვრინი ამოუშვა. ბახვა კი ადგა, თითქო დასარწმუნებლათ, ის შავი სიზმარი მართალი იყო, თუ არაო. გავიდა გარეთ. ალიონი მოტანებული იყო. აღმოსავლეთისკენ დილის ვარსკვლავი სასიამოვნოთ გამოკიაფობდა; მამლები მესამეჯერ ყიოდენ; შორს ზღვის ქოთვა ოდნათ ისმოდა. კანდელის წითულ-ყვითელი სინათლე ზოლ-ზოლად

იბნეოდა რიონში და მრავალნაირათ პრიალებდა. — რა კარგი ტკბილი ღამეა, ღმერთო! შენს მოწყალებას კაცი არა ღირსა? — ამ სიტყვებით პირჯვარი დაიწერა ბახვამ და შებრუნდა ისევ ოთახში. მტკიცეთ გადასწყვიტა: „ხვალ დილით ადრიანათ უსათუოდ ვნახავ სალომეს, გამოვუცხადებ ჩემ გულის წადილს და ნიშანსაც გადავსცემო. მე თუ ასე არ მოვიქეცი, ფიქრები დამაბნევს. მეტი მოთმინების თავი აღარა მაქვს. ვინ იცის, კაცს მტერი არ მოეშლება. ამდენ ყოყმანში შეიძლება უბედურებამ წინ მიმასწროს. გადაწყვეტილია. ხვალ უნდა დავნიშნო ჩემი ესმა". ამ ფიქრებს შემდეგ უცებ ჩაეძინა და. სანამ მზემ კარგათ არ მოიარა, აღარ გამოღვიძებია; მისი ძმისწული კი დიდი ხანია ფეხზე იყო და საქმობდა.

XXX

ბახვას ნახვამ წარმოუდგენელი სიხარული გამოიწვია სალომესი. ის მეტის სიხარულისაგან ხელებს იცემდა გულში: „დედა. ნანაია, შენ შემოგეველოს სალომეს თავი! მე სასოებაც დამეკარგა. ვაი თუ ვეღარც ვნახო — მეთქი. ხომ მშვიდობით ბძანდებით, ხომ კარგათ მოიარეთ?... ნანაია, ნანაია, რა მხიარული დღე გამითენდა!... ერთი სიტყვით, სალომე სიხარულათ გადაიქცა და თვითონაც არ იცოდა, რას შვრებოდა, ხან ტაშს უკრავდა. ხან ხითხითობდა. ხან მარჯვენა ხელს თავზე ავლებდა, ვითომც იმის ნიშნათ, რომ შენი ჭირი წამიღიაო. როდესაც ამ პირველმა წამმა მათის შეხვედრისამ განვლო, ბახვა დაჯდა ტახტზე; სალომე მაინც ფეხზე იდგა მის წინ და ჭყარტალობდა.

— ესმა რასა იქს?... კიდევ მადამ სალისთან მუშაობს? — ჰკითხა ბახვამ.

— დედა, ნანაია! ჩემი ესმა ახლა ქალი შეიქნა. ქალი?

— როგორ თუ ქალი! — შეკრთომით გაიოცა ბახვამ.

— ქალი, აბა, ქალი! გაუმეორა სალომემ. — ის ახლა მადამ სალის ამხანაგია. იმათ სამკერვალო ერთათ აქვთ. სახლიც ერთათ გვინდა დავიჭიროთ. მადამ სალიმ ესმა, როგორც საკუთარი შვილი. ისე შეიყვარა. ესმა ივლის ზომების ასაღებათ; შინ ვინც მოვა. იმათგანაც ესმა მიიღებს საკერავებს, და რაც შემოუვათ, ერთათ გაიყოფენ. პირველათ ესმამ მისცა მადამ სალის ამის აზრი, და ისიც დათანხმდა. რომ ნახო, ვეღარ იცნობ ჩემს გოგონას, იმისთანა კარგი ქალი დადგა ამ ორ-სამ კვირაში. სულ გამოიცვალა, დაბრძენდა! დედაო. მეუბნება, მე შენ აღარაფერს გაგაკეთებინებ, შენ ქალბატონათ უნდა მყავდეო, მისი ჭირიმე, სულ ჩემ სიამოვნებაზე ცდილობს... მე აწი რაღა მიჭირს, ბახვა! ბედნიერი ვარ, ბედნიერი! — ბახვამ ცხვი-

ჩამოუშვა. თითოეული სალომეს სიტყვა ეკალივით ესობოდა გულზე. სრულებითაც არ მოსწონდა ესმას შეამხანაგება მადამ სალისთან. — რა კერვა, რის კერვა, ვინღაც გადმოთრეული ბებრუცუნა ფრანგის ქალი აგდია. სად მისი ამხანაგობა. სად ესმა? მე ჩემს ესმას დილის სინ არ მინდა მიეკარო და შუადღის სიცხე; თავადიშვილის ოჯახში მინდა ის გავადედოფლო, და ეს დედა-მისი რას როშავს! სულ გამოტვინებულა უბედური. უნდა ნემსითა და ლიანდაგებით ხელები დაუჩხვლიტოს, თვალებში სინათლე უდროვოთ გამოუშრიტოს!

— რას მოგეწყინა. ბახვა? განა არ გიხარია, ჩემმა გოგონამ რომ ამისთანა კარგი საქმე იშოვნა? თვითონაც ქალბატონურად იცხოვრებს. ფულსაც შეიძენს!...

— რას მელაპარაკები. სალომე? მაგას შენგან არ მოველოდი: საბედური ქალბატონი, კერვით უდროვოთ წელი უნდო მოიწყვეტოს, ხელები ნემსებით დაიჩხვლიტოს, თითებზე ბებერები გაუჩნდეს, უდროვოთ თვალების სინათლე დაიშრიტოს!... რას მეუბნები, ადამიანო? დედა ხარ: მიკვირს, როგორ არ გეცოდება შვილი! რათ გინდა. ის უბედური უდროვოთ საფლავში რომ ჩასდოს! დღეს რალაც ორი კაკალი მუშტარი უშოვნია მადამ სალის და, გგონია, ხვალაც ეყოლებათ. ორ წელს იქით შიმშილით მოკვდებით თქვენც და მადამ სალიც!

— რატომ. გენაცვალე, ბახვა! ჩვენ შრომის შვილები ვართ. შრომით უნდა დავრჩეთ. ღმერთი მოწყალეა, კარგ მკერვალ ქალს მუშაობა და მუშტარი არ გამოელევა. ნამეტურ ხელსაწყო სამკერვალო მაშინებიც თუ აქვს გაწყობილი; მოდების ანგარიშები და ნოხდენით გამოწყობა თუ იცის, მისი საქმე გაწყაზრებულია; ჩემი ქალი ამაში ძალიან დახელოვნებულია.

— კარგია, სალომე, თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს, მაგეებს ნუ გამაგონებ.

— მაშ რა? — გაკვირვებით ჰკითხა ბახვას სალომემ და სახეზე დააშტერა თვალები.

— რა და ესმა ჩემი უნდა იყოს.

— როგორ თუ შენი? — კიდევ უფრო განცვიფრებით გააღო თვალები.

— მე უნდა შევირთო შენი ქალი.

ამ სიტყვებზე უეცრათ ღაპა-ღუპით წამოუვიდა სალომეს ცრემლები თვალებიდან. იმან შემოხვია ორივე ხელი ბახვას კისერზე, მიეკრა, თავით გულზე და ტირილით ეუბნებოდა: „შენ შემოგევ-

ლოს, ბახვა, ჩემი სიცოცხლე! ესმა. ერთი უბრალო მჭედლის და ისიც სალდათის გოგო. შენი ღირსი როგორ გახდება? არა, არა. მაგას ნუ იზამ. შენისთანა კარგ ბიჭს, შენოდენი ქონებით, თავადიშვილი არ დაგიჭერს ქალს. ჩვენ ისე გვიყურე. როგორც ობლებსა და ტიალ-ოხრებს! შენს მფარველობას ნუ მოგვაკლებ, ჩვენ მეტი არა გვინდა-რა. ჩემი ესმა შენი საკადრისი არ არის და ნურც გინდა: ავია, თავისნება გოგოა, ის შენი სასიამოვნო არ იქნება.

— ეს ჩემი საქმეა. მე უესმაოთ ცხოვრება არ შემიძლია; თავს მოვიკლავ. ის თუ არ შეეირთე.

ამისთანა პასუხზე სალომემ ველარა უთხრა-რა, მხოლოდ ცრემლებით იხრჩობოდა. მაგრამ ეს არ იყო მწუხარების ცრემლი. ეს იყო ისეთი ნეტარი მდგომარეობა სალომესთვის, რომ. თუ არ ტირილით. სხვით ვერაფრით გამოსთქვამდა.

— კარგი, თავი დაანებე მაგ ტირილს! — უთხრა ბახვამ და მისი ხელები მოიშორა. — ახლა საქმეზე ვილაპარაკოთ. აი. ეს ნიშნები მიეცით ესმას ჩემ მაგივრათ. მან განიერი ჯიბიდან ამოიღო ერთი მოზდილი კოლოფი, გააღო და ამოიღო ერთი სამაჯური. იაგუნდებით მოწყობილი, ერთი ოქროს საათი, ბრილიანტებით მორთული. და ერთი გულის ქინძისთავი, რომელსაც თხილის სისხო ზურმუხტი ჰქონდა ჩასმული.

ეს ძვირფასი ნივთები ბახვას დიდი ხანია გირაოში დარჩენოდა ერთის პოლკოვნიკისაგან, რომელც წვრილი ცოლ-შვილის პატრონი ყოფილიყო. სამსახურიდან დაეთხოვნათ. რუსეთს მინავალიყო და. წასასვლელი ფული რომ შემოკლებოდა. ბახვასთან მისულიყო და გირაოთ მიეცა ეს ნივთები. ამ სამ ნივთში ბახვას ესესხებია მისთვის ოცდაათი თუმანი. თუმცა თითოეული ნივთი ღირდა იმ ფასათ.

— რა ვქნა, არ ვიცი: როგორ ვუთხრა ეს ამბავი ესმას! — იმეორებდა სალომე. საშინელი თავისნება გოგოა. რაკი მადამ სალის შეუამხანაგდა, გათხოვებას ველარ გაუმხელს კაცი.

ბახვას ესმოდა ეს სიტყვები, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. რადგან ამას სულ სხვა ნაირათ ჰქონდა წარმოდგენილი ესმას გულის პასუხი. იმას არ დავიწყებოდა პირველ მაისს მისი მწვავი და გულის გასაგმირი თვალების ჭვიტინი. იმ დღეს შემდეგ ბახვა ცხადათ დარწმუნებული იყო, რომ ესმას გული მას ეკუთვნოდა, მას აქეთ კი ისეთი არა მომხდარა-რა მისის აზრით ესმას ცხოვრებაში, რომ ცოტაოდნათ მაინც შერყეულიყოს ბახვას რწმენა.

— სალომე, გთხოვ, ახლავე წახვიდე მადამ სალისთან. ესმას აცნობე ჩემი მოსვლა. ამ საღამოს შენთან მოიყვანე. ნიშნები ჩემს

მოსვლამდის არ გადასცე, ნურც რასმე გაუმხელ. საღამოს მეც მოვალ და ერთად მოვილაპარაკოთ. ჩემი ახალი სახლ-კარი მზათა მაქვს. რადგან ბევრი საქმე მაქვს, ბარემც მეჩქარება — ჯვარი დავიწერო და შინ დაგაბინაოთ. მე იქ უთქვენობით ბევრი საქმე მიხდება.

— კარგი, ჩემო ცხოვრებავ, ჩემო მოუფიქრებლათ ნახულო შვილო; როგორც შენ მიბრძანებ, ისე ვიქ ყველაფერს.

— შვიდობით, ნანა!

— ღმერთმა შვიდობა ნუ მოგაკლოს, ჩემო ნანაია!...

ამას შემდეგ ერთი საათიც ველარ მოვიდა სალომე თავის გონზე.

ეს უცებ ბედნიერება იმას სიზმარი ეგონა. მადამ სალის შეამხანაგება ამ მოულოდნელს ბედნიერებასთან ისე დაიჩრდილა მის გონებაში, რომ კიდეც რცხვენოდა, ასე როგორ ვაცერცეტა ორი გროშის შოვნის იმედმა, რომ მართლაც ვიღაც უგვარო და უფესვო დედაკაცთან უნდოდა შეამხანაგება და მისი ალალ ბედზე ცხოვრების გაზიარება. „დაიკარგოს იქით", წამოიძახა გულ-გახეთქით სალომემ. — ახლავე გავიქცევი და მოვიყვან ჩემს გოგუცანის, ჩემს ქენქრეჯას. მე იმისთვის უკეთესი ბედი მაქვს ნახული. ახლა კი მჯერა, ზღაპარში რომ არის ნათქვამი: „ბედი მომეცი და თუნდ სანეხველაზე დამსვიო!" ბედია ყოველიფერი, ბედი! ღმერთო, არ ღირსვარ შენს მოწყალებას. ამ სიტყვებს შემდეგ, სალომემ სამჯერ გამოისახა პირჯვარი, აიღო ნივთებიანი ყუთი, ჩაკეტა თავის ზანდუკში. მოისხა შალი, ბიჭი შინ დასტოვა სამზარეულოში საჭმელების ყურის საგდებათ და თვითონ მოკურცხლა მადამ სალისაკენ.

შედგა თუ არა ფეხი სალომემ მადამ სალის სამკერვალოში, წინ მოეგება ესმა მხიარული სახით, რომელსაც, ის იყო მომრიგებელი მოსამართლის ცოლისათვის ტუნიკიანი კაბა გამოეჭრა და შეკერვას ერთ თუმნათ გარიგებოდა. — ნანაია!.. სად ყოფილხარ?... — რა მიამა შენი მოსვლა? უნდა გითხრა, როგორ გავიცანი მომრიგებელი მოსამართლის ცოლი. რა კარგი ქალია, რომ იცოდე? შეეედი თუ არა, მიმიღო, ისე მიმიღო, როგორც ერთი ვინმე პატივსაცემი ჩინოვნიკის ქალი. დამსვა დივანზე, გამომკითხა ჩემი ვინაობა, ყავა დამალევინა, მითხრა, რაკი შენ ამხანაგი გამხდარხარ მადამ სალის, ძალიან ბევრს მუშტარს გიშოვნიო. ოღონდ ეცადე, კარგათ გამიწყვე ჩემი ტუნიკიანი კაბაო. მეც დავპირდი. მეგონა, შვიდი მანეთის მეტს არ მომცემდა, ასე მქონდა დაბარებული მადამ სალისგან, მეტს ნუ გამოართმევო; მაგრამ მან პირაქეთ თუმანი დამინიშნა, თუ კარგათ გამიწყობო. ისეთ ნაირათ გავუწყობ ამ კაბას, ნანაია, რომ, როგორც ჩამოსხმული, ისე დაადგეს ტანზე.

სალომეს სრულებითაც არ ეპიტნავებოდა თავის ქალის ლაპარაკი. ის მოუთმენლათ ელოდა, როდის გაათავებდა ესმა კაბაზე ლაპარაკს. ბოლოს აჩქარებით უთხრა: „იცი, შვილო, ბახვა მოვიდა! შენი ნახვა სურს. ამ საათში თავი დაანებე ყოველისფერს და წამოდი". ამ ამბის გაგონებაზე ესმას ფერმა გადაჰკრა. ცოტა შეჩერდა. მერე თქვა: „ნანაია. მადამ სალი შინ არ არის. ვის უნდა დავუგდო სამკერვალო? ასე დამიბარა, ფოშტაში მივალ, წიგნებს მოვიკითხავ, იქნება, ცოტა შემაგვიანდესო, შენ ყური უგდე აქაურობასო.

— არა, შვილო, აჰ, რომ არ წამოხვიდე, არ იქნება. ბახვაა შენი ნახვა ძალიან სურს, ძალიან. როგორც მოვიდა, მაშინვე შენ გიკითხა.. მე ეუთხარი შენი შეამხანაგება მადამ სალისთან, იმან თავი მოიკლა.

— რატომ, იმას რა დარდი აქვს? — გაკვირვებით ჰკითხა ესმამ.

— ალბათ რომ დარდი აქვს და ბევრსაც ფიქრობს შენზე.

ესმამ არა უთხრა-რა; გაჩუმდა, ცოტა არ იყოს, დედას პირი მოარიდა.

— შვილო, ჩქარა წამოდი, მეჩქარება, სახლი ბიჭის ამარა დამიტოვებია.

— უმადამ სალოთ ამ სახლს ვერ დავტოვებ. წადი, ნანაია. მერე მოვალ.

— არა, არა, ახლავე უნდა წამოხვიდე.

— ახლა ვერ წამოვალ, საქმე მაქვს. ამ ახალ მობარებულ საკაბეს რამდენიმე განი უნდა გავუცუდო შაშინით. ძალიან საჩქაროა. ზეგისთვის უნდა მოვასწრო. წადი, ნანაია, სანამდის მადამ სალი მოვიდოდეს, ამ საქმესაც მოვრჩები და მერე წამოვალ.

— არა, შვილო, მე შენ აქ ვერ დაგტოვებ. ერთი რამ შენი გასახარებელი ამბავი მაქვს გადმოსაცემი; მაგრამ სანამდის შინ არ წამოხვალ, ვერ გეტყვი.

ესმას გულმა რაღაც ახირებულათ დაუწყო ტოკვა, ძალიან უნდოდა შეეტყო, რა ჰქონდა დედას მისთვის ამისთანა სასიხარულო რამ გადმოსაცემი. მაგრამ თავი შეიმაგრა, არც კი ჰკითხა.

სალომე, ცოტა არ იყოს, ესმას ამისთანა მოქცევამ შეაფიქრა: ვაი, თუ იუაროს ბახვას ნიშნებიო. შეფიქრდა, თითქოს იგონებდა სხვა რამ საშვალებას, რომლითაც შეეძლო გაოჩნებული შვილი თავის ნებაზე დაეყოლებინა.

დადგა დედასა და შვილს შორის მძიმე სიჩუმე. შვილი ვერც ბედავდა დედისთვის ეკითხა, რა იყო ამისთანა მისი გასახარებელი

აძპავი, და თავიდანაც არ სცილდებოდა კითხვის აზრი. დედასაც აღარ უნდოდა დაეჟინებინა შვილისთვის შინ წაყოლა, რადგან გამოცდილი ყავდა შვილი ურჩობაში. იცოდა მისი ხასიათი, რაკი ერთხელ რაზედმე უარს იტყოდა, მერე, რაც უფრო ჩააცივდებოდა კაცი, ის უფრო გაკერპდებოდა და თავისას არ დაიშლიდა. ამ სიჩუმეში რომ იყვნენ დედა და შვილი, უცებ შემოაღო კარი მადამ სალიმ. სიყვარულით მიესალმა სალომეს და ხელი ჩამოართვა. მერე ესმა გადაკოცნა და ჰკითხა მომრიგებელი მოსამართლის-ცოლის კაბის ამბავი. ესმამ უამბო ყველაფერი; მადამ სალის ძალიან იამა პირველი ნაბიჯი თავის ამხანაგისა, ასე კარგად გადადგმული. სალომემ აღარ აცალა იმათ ლაპარაკი, სთხოვა მადამ სალის ნება მიეცა ესმასთვის იმ დღეს შინ წაყოლოდა. ესმამ თავი ჩაჰკიდა და არაფერი უპასუხა. მადამ სალიმ უთხრა, თუ გინდა, წადი შვილოვო.

— ეს კაბა ზეგ უნდა მოვასწრო და, დღეს თუ კაბის განებასულ არ შევცუდე მაშინაზე, როგორ მოვასწრებ?

— არაფერია, შვილო, უთხრა მადამ სალიმ ფრანგულათ. მაგეებს მე გავათავებ დღეს, შენ წადი, დედა რაკი გთხოვს.

— დიახ, ვთხოვ. ძალიან საჭირო საქმეცა მაქვს, მადამ. დიდ მადლობას შემოგწირავთ, თუ გამოუშვებთ. უმაგისოთ არ შემიძლია შინ დავბრუნდე.

— წადი, შვილო, წადი.

ესმა ადგა და მოემზადა წასასვლელად.

სალომე მხიარულად გამოეთხოვა მადამ სალის და ბევრი ბოდიშებიც უთხრა; მაგრამ ამასთანავე ისიც გამოუცხადა, რომ მისი ქალი ხვალ დილამდის ვერ დაბრუნდებოდა.

— კარგი, ძალიან კარგი, — ღიმილით უთხრა გულკეთილმა ფრანგის ქალმა და შეიკეტა კარები.

ესმა მიდიოდა დედასთან შინ და მის გახარებულ საუბარს სრულებით არ აქცევდა ყურადღებას, ან თუ აქცევდა, გარეწრად. ხანდახან იმის კითხვაზე პირდაპირ პასუხსაც ვერ ეუბნებოდა. მისი გონება შეცვალა თავის ახალ გამოწყობილმა საქმემ. ის წარმოიდგენდა, თუ ზეგ რანაირი გულ-მხიარული სიამაყით წავიდოდა მომრიგებელი მოსამართლის ცოლთან, ჩააცმევდა თავის ხელით გაწყობილს კაბას. მომრიგებელი მოსამართლის ცოლიც სიხარულით აუყარტალდებოდა, როცა შვენიერათ გაწყობილ კაბას ტანზე მოირგებდა. დაუწყებდა ესმას ქებას; ათ მანეთს გარდა ერთ მანეთსაც საკუთრად აჩუქებდა; მერე გავარდებოდა ქ. ფოთში ესმას სახელი, როგორც მშვენიერი მკერვალისა; ყველა ამასთან და მადამ სალის-

თან მოიტანენ საკერავებს; ის კი არა, გურიისა და სამეგრელოს თავადიშვილის ქალებიც ქუთაისის მაგიერად, ფოთს გამოგზავნიდენ ესმას სახელზე საკაბეებს შესაკერავათ. ამ სახით მადამ სალი და ესმა შალე გამდიდრდებოდენ; თავის საკუთარ სახლებს იყიდდენ ფოთში; მერე, როგორც მადამ სალი ეუბნებოდა ხოლმე ესმას, საფრანგეთში წავიდოდენ, პარიზს ნახავდენ; იქ ადგილობრივ საუკეთესო ტანისამოსის მკერელებს და დიდი მაღაზიების პატრონებს გაიცნობდენ. შეისწავლიდენ უფრო დახელოვნებით მოდებს; მერე, როგორც მადამ სალი ეუბნებოდა, ქალაქს გადავიდოდენ ტანისამოსის მაღაზიის და დიდის სამკერვალოს გასამართავად. აქ კი ისინი იცხოვრებდენ დიდკაცურათ. ამას რომ იდგენდა თვალში ესმა, რასაკვირველია, დედა მისიც სულ სახეში ჰყავდა. იმას თუ რითმე ასიამოვნებდა ეს დიდებული ფანტაზია, მხოლოდ იმით, რომ ამ წარმატებით დედა-მისი საღამე იქნებოდა გაბედნიერებული.

ეს იყო ესმას უმანკო გულისათვის უმაღლესი ჯილდო ამ ქვეყნათ. მაგრამ რა!... ეაი, თუ ყველა ეს მომავალი ბედნიერება ერთმა უზნეო და თავისებურმა სიანჩხლემ სულ ცეცხლში ჩასწვას. ვინ იცის, იქნება მომრიგებელი მოსამართლის ცოლს მისი გაწყობილი კაბა სულ არ მოეწონოს, ყველაფერი დაუწუნოს, კაბა თავში ახალოს ესმას, აღარც ფული მისცეს და ცხვირის წინაც კარი წამოუკეტოს. მაშინ რაღაფერათ მიბრუნდება მადამ სალისთან! ისიც, რასაკვირველია, აღარ ინდომებს მის შეამხანაგებას. ესმა ისევ უნდა დაბრუნდეს თავის დედის სახლში და, ვინ იცის, ვისიმე იერემიასთანა ავაზაკის მსხვერპლი გახდეს და თავის დედასავით დაჩაგრული შეიქნეს ცხოვრებაში. ამ შავ ფიქრებში გამოერეოდა ბრწყინვალე სახე ბახვასი შორს, თითქო მფარველ ანგელოზათ, იერემიასთანა ავი კაცების ხელიდან დასახსნელათ. ის გაჰყვა პირველ მაისის შემთხვევის სურათებს, თავის საკუთარი გულის აფეთქების ამბავს და ამ დროს თავი გაიქნია, თითქოს ცუდი ფიქრების მოსაშორებლათ; გულში კი ასე ფიქრობდა: „ვინ მე, ვინ ბახვა, მდიდარი, გაკეთებული, პირველი ფოთის ეაჭარი! არა, მე არა... ან მადამ სალისთან უნდა შევამხანაგდე, ან თავს მოვიკლავ. მე გათხოვება არ მინდა, მე ჩემი ხელით უნდა დაერჩე და ვარჩინო საწყალი ჩემი დედა... ეჰ, რა იქნებოდა ბახვა, რომ ერთი შეუძლო, საღი, იმისთანა მარჯვე ყოფილიყო, როგორც ახლა არის, მაგრამ ღარიბი. მე მაშინ იმას გავუწევდი უღელს: მე და ის მართლაც მაშინ შევიყვარებდით ერთმანეთს. ახლა კი ბახვა, იქნება, ისე მიყურებდეს, როგორც იერემია, თავის ჟინის მოსაკვლელათ. არა, ღმერთმა დამიფაროს მაგისთანა უგულო კაცებისაგან. არა, მე, არა!... ჩემ ნანაიასთან მირჩევნია... ამისთანა ფიქრე-

ბით შეცული ესმა მხოლოთ მაშინ გამოერკვა, როცა სახლში შევიდა: სალომემ კი პირდაპირ სამზარეულოს მიმართა ბიჭის სანახავათ, უნდოდა შეეტყო, პატარა ბიჭს ხომ არა წაუხდენია-რა, ან არ დაუწვავს, და ან არ დაუქცევიაო.

ესმამ მოსასხამი და ქოლგა თავის კრაოტზე დადვა, შლიაპა პატარა სასამკაულო სუფრაზე, თვითონ კრაოტზე ჩამოჯდა ჩაფიქრებული. ფიქრებისაგან მიბნედილი მისი მაყვლის თვალები გამოშტერებულივით გაიცქირებოდენ პაწაწა ფანჯრისკენ, შორს-შორს. ვინ იცის, ვის უყურებდენ, ან რა სურათი ეხატებოდათ!

— ესმა, ჩემო ქენჯერავ, მოდი, სადილი ვჭამოთ!

— ნანაია, ძალიან დავიღალე და კიდეც მომშივდა; დღეს ბევრი ვიარე, სანამდის შენ მოხვიდოდი. მომრიგებელი მოსამართლის ცოლის სახლი შორს არის, ბუხტის მახლობლათ, — თქვა ესმამ ზანტათ და აიღო სულგუნის ნაჭერი.

— ჰა, ჩემო გოგუცანა, კიდევ სულგუნის ნაჭერი, გაახვიე ლომში. მე რომ ვიცოდი შენი მოსვლა, კარგი ახალი წიწილი შეგიწვი, ბროწეულ-გადასხმული, ლომი გავაკეთე; ჭამე, ჩემო გოგონა. მე რომ ამბები ვიცი, შენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს, ყორანიც არ დასძახებს.

— ნანაია, თქვი, რა ბედია, ან რა სასიხარულო ამბავი გაქვს ჩემთვის?

— არა, ჩემო ქენქრეჯო! მაგრე ადვილათ ვერ გადმოგცემ; თუ დამპირდები კარგ საჩუქარს და მუდამ ჩემი მორჩილი იქნები, არაფერში აღარ მიწინააღმდეგებ, რასაც გეტყვი, ყოველფერს თუ დამიჯერებ?...

— როდის არ დაგიჯერე, ჭკვიანი რამე თუ გირჩევია? — მხიარულად უპასუხა ესმამ.

— ჭამე, შვილო, სადილი; მოესწრები, ღმერთმა მოგასწროს ყველაფერი ბედნიერება, ჩემო ერთად ერთო სიცოცხლევ და სიტკბოებავ. ნასადილევს გეტყვი და გიჩვენებ ყველაფერს.

ესმამ აზრი ვერაფერზე აიღო, რა უნდა ყოფილიყო. მხოლოთ ფიქრობდა, იქნება ბახვამ რამე მოუტანა საჩუქრათ დედას და მეცაო, როგორც უწინ იცოდა ხოლმე.

სადილი რომ გაათავეს, სალომემ დაუძახა თავის პატარა ბიჭს, რომ ალაგებაზე მოხმარებოდა. ყოველივე უცებ ჩაზიდა სამზარეულოში, სუფრა კუთხეში მიდგა, ბიჭს იატაკი ჩამოახვეტინა, მერე ჩაიყვანა სამზარეულოში, საჭმელი მისცა, დაუბარა, ნასადილევს ჭურჭლები დაერეცხა, თვითონ შემოვიდა შინ, კარები მიკეტა და ესმას დაუძახა:

— ესმა, ახლა კი უნდა განახო სანახავები. გააღო ზანდუკი, ამოიღო ნივთებიანი ყუთი და შეიტანა ესმას ოთახში. ესმა მივარდა ყუთს, ახადა თავი და გაიოცა.

— უი, ნანაია?... ეს რა ამბავია! ეს რა ძვირფასი ნივთებია!... დედაია. დედაია, დედაია! დაუკრა ესმამ ტაში გაოცებით.

— ვინ მოგცა ეს ქვეყნის სიმდიდრე, ვინ?... ჰა, მითხარი! ეს რა ამბავია?... სალომე იდგა და მხიარულათ დაყურებდა შვილის სიხარულს.

ესმამ ამოიღო ოქროს სამაჯე, იაგუნდებით მორთული, ხელზე გაიკეთა და გაუწოდა დედას ხელი, თითქოს ახარბებსო; მერე ბრილიანტის საათი ამოიღო, ახადა თავი, ყურზე მიიდვა, მერე მისი ოქროს ჯაჭვი გადაიცვა თავზე. ზურმუხტის ქინძისთავი კი გულზე დაიბნია.

— მითხარ ნანაია, რითია ახლა ვინმე დადიანის ქალი ჩემზე უკეთესი?

სალომემ გადაიხარხარა.

— ნეტაი ჩემი იყოს ესენი! სთქვა ესმამ, ჩაიხედა სარკეში და მერე მიუბრუნდა დედას, თითქოს ნივთებს ახარბებსო.

სალომემ ჩაიკრა გულში თავის ქალი, დაკოცნა და ეუბნებოდა: „შენია, შვილო, შენი!... აბა, არ იცი, რომ შენია!"

— როგორ, დედა? ჰკითხა გაკვირვებით ესმამ.

— ესენი შენი ნიშანია; ბახვამ მოგიტანა და შენი თავიც მთხოვა.

„უიმე, ნანაია, რა მესმის! უწინამც სიკვდილი შენს ესმას!".. უცებ წაიძრო სამაჯური, მოიხსნა საათი, ამოიღო მკერდზე მიბნეული გულის ქინძისთავი, საჩქაროთ ჩაყარა ისევ ყუთში, თითქოს მოწამლული ყოფილიყოს, მიჯდა კუთხეში და იძახოდა: „არა.. მე... არა! ახლავე მიუბრუნე, ნანაია, ბახვას. მე არ მინდა.

— რას მელაპარაკები, ქალო! გაგიჟდი? ბედი ღმერთმა მოგცა და შენ უარზე დგახარ?... ჯერ შენი ხელით გამომჭერი ყელი და მერე მითხარი მაგისთანები!

— არა... არა... ახლავე მიუბრუნე, თორემ მე გავიქცევი მადამ სალისთან. — სალომემ იცოდა თავისი ქალის ხასიათი: რაც უფრო დაუჟინებდა კაცი, უფრო გაკერპდებოდა. მეტი ღონე არ ჰქონდა, ფერება დაუწყო.

— შვილო, ძალას მართლა ვინ დაგატანს! არ გინდა, ნუ გინდა. მაგით ბახვას თავის ბედი არ დაეკარგება. ბრალი ჩვენი, რომ ღვთის ანაბარათ უნდა ვიწოწიალოთ. ბოლოს ვინ იცის, ან შენ

რა დაგემართება, ან მე. — ამას რომ ლაპარაკობდა, თვალებზე ხელი მიიფარა სალომემ და ლაპალუპით გადმოყარა ცრემლები.

ესმა ადგა და თავის ოთახში შეიკეტა კარები.

წარმოიდგინა ის წამი, პირველ მაისს შინ რომ დაბრუნდა და უგულოთ გამოეთხოვა ბახვა, მერე შეპირდა და იმ ღამეს აღარ მოვიდა, მერე მთელს ორ კვირას სად იყო და სად არა, კაცს მისი ამბავი აღარ შეუტყვია. განა შეიძლება, კაცი გრძნობდე, რომ ვისმე უყვარდე, ნამეტურ იმისთანა ქალს, რომელიც შენ საუკუნო მეგობრად გინდოდეს გახადო, და ასე გულცივათ მოექცე, როგორც ის ჩვენ იმ დღეს მოგვექცა?... განა ეს, ამისთანა შემთხვევა, შესაძლებელია?... რამდენი არ ეხვეწა იმ დღეს დედა-ჩემი, დარჩიო, ქუდიც კი დაუპირა, მაგრამ იმან ყურადღებაც არ მიაქცია მის ხვეწნას. მერე მე შეეხვეწე... ნეტავი არ შემეხვეწა და მიწა გამსკდომოდა! ისე გავუტიფრდი, ხელიც არ მივეცი, როცა ეპირებოდა წასვლას. ის მიმიხვდა და შემომხვდა დაცინვით. მიმიხვდა, რომ მინდოდა მისი დარჩენა. მერე რა ქნა? ისე მომექცა, როგორც ურცხვ დედაკაცს ექცევიან. მისი ცივი გული, მისი დამცინავი პირისახე ამას მეუბნებოდა: მე ახლა შენი დრო არა მაქვს, მე ჩემს ამფსონებში მიმეჩქარებაო... მერე იყოს, როცა სურვილი მომივა, მაშინ მოვალ და მაშინაც მიმიღებ, მაშინაც მზათ დამხვდებიო. ალბათ გულში აბუობდა: „თაფლი იყოს, ბუზი იერუსალიმიდან მოვაო". აი, ასე გარყვნილი და უგულონი არიან კაცები! ბახვა გრძნობს, რომ ფულიანი, შეძლებული კაცია, გრძნობს, რომ ჩვენისთანა ღარიბის ქვრივ-ოხრის შვილებს ფულით, საჩუქრებით იყიდის და რა ენაღვლება, რა დარდი აქვს ჩვენი?... როცა იმათ სურთ, ჩვენც მაშინ ვიქნებით იმათი. აი, ამიტომაც, იმას არც კი უკითხავს ჩემთვის: არაფერი. დედაჩემისათვის დაუტოვებია ნივთები და კიდეც გადაუწყვეტია, რომ ჩემს გულს ამ ნივთებით იყიდის. უწინამც სიკვდილი ესმას, სანამდის მე ბახვას ეგ არ ვაფიქრებინო, როცა ჩემთან ითამაშა, როცა საზიზღარი იერემია შემოგვერია და, როგორც უნამუსო დედაკაცს, ისე წამატანა წელში ხელი... საროსკიპოში რომ დედაკაცებზე წაიკიდებიან მთვრალი კაცები, ისე წაიკიდენ ჩემზე. მერე მეც ისე უტიფრად მოვიქეცი, რომ ბახვას მარტო გამოვყევი შინ. რასაკვირველია, ამას შემდეგ ის ჩემზე გლახა აზრს შეადგენდა. იქნება, ისიც იფიქრა, რომ იერემია ჩემი კარგი დაახლოებული ნაცნობია. რატომ იმ დღეს მიწა არ გამისკდა, სანამდის თემში წავიდოდი. იმ დღის შემთხვევა რომ არ ყოფილიყო, მე მაგდენ შეურაცხყოფას ბახვა ვერ მომაყენებდა, ვერა. აწი რაღა

ვქნა? რით ვიპატიო ჩემი თავი, ჩემი სინიდისი, ჩემი გრძნობა? უბედური ქალი! რამდენი დაუმსახურებელი უპატიურება აქვს მოყენებული! რა ვქნა? რა მეშველება, რით უნდა დავუმტკიცო ბახვას ჩემი გულის პასუხი? ვაიმე, ვაიმე, ვაიმე! — ამას რომ ფიქრობდა უცებ გაისმა ტკაცანი. ესმამ შემოიკრა თავში ხელი და მოჰყვა სასოწარკვეთილებით ტირილს. იტირა, იტირა, იტირა იმდენი, რომ თავი ასტკივდა.

სალომე ამ დროს კარს უკან იყო მიყუდებული და ქალიშვილის წუწუნი ესმოდა. გულგახეთქილი და იმედდაწმენდილი, ის ფიქრობდა თავის უბედურს მომავალზე. არ იცოდა, რა ექნა? რა ნაირად უნდა ეთქვა ეს ამბავი ბახვასთვის? კაცის გულს რაღა გაამთელებს, ქალი რომ ამისთანა შეურაცხყოფას მიაყენებს., ერთი — რომ ჩემ შვილს აწ ბედი არ ეღირსება, მეორე — რომ დაეკარგე შვილზე უფრო შვილი, გაზრდილი, ჩემი პატრონი, ჩემი ყურისმგდებელი.

ამ სახით, შვილი რომ კედელს იქით სთვლიდა თავის თავს შეურაცხყოფილად და თავს იმტერევდა, დედას კედელს აქეთ ცეცხლი ედებოდა და ვერა მოეფიქრებია-რა, როგორ გამოსულიყო ამ უსიამოვნო მდგომარეობიდან.

ამ დროს მოისმა ქუჩაზე ფეხის ხმა. სალომემ უცბათ მოიწმინდა ნამტირალევი თვალები და შესძახა ესმას: „შვილო ესმა, ბახვა მოდის, ნამტირალევი თვალები არ შეგნიშნოს, თორემ ყელი გამომჭერი და ის იქნება". ესმამ მართლაც უცებ კარები გააღო, სახეზე წყალი შეისხა, თმა დაივარცხნა, გასწორდა და ამ დროს ბახვაც შემოვიდა.

სალომე მიეგება წინა კარებში.

— ნანაიას გაუმარჯოს! რას შვრები? ესმა აქ არის? — ჰკითხა ბახვამ.

სალომემ თავი დაუქნია. ბახვა შეაცქერდა სახეზე სალომეს, რომლის სასოწარკვეთილებამ ცოტა არ იყოს, ჩამოაქვეითა ბახვას სიამაყე.

— ხომ არაფერი გითქვამს-რა? — ჰკითხა ბახვამ.

სალომემ პასუხის მაგივრათ თავი დაუქნია.

— რაო?... ჰა?!...

სალომემ ხმა გაიკმინდა. ბახვა მიხვდა ყველაფერს.

— ნანაია, დარდი ნუ გაქვს. მე იმას გავაგებინებ ჩემს გულის პასუხს, ოღონდ შენ ცოტა ხანს იქით დაგვტოვე ორიენ მარტოდ მარტო. იმას, იქნება, არ სჯეროდეს ჩემი სიყვარული, ან რა ზო-

მამდის მივა ჩემი თავგანწირულება, მე იმას დავუმტკიცებ და კიდეც ჩემი იქნებით როგორც ესმა, ისე შენც, ჩემო ნანაია.

სალომემ კურცხლები ჩამოყარა და ბახვას გულში აკოცა.

ბახვა შემოვიდა ოთახში. ესმა გამოეგება.

— ესმას გაუმარჯოს! — ბახვამ ხელი გაუწოდინა. ქალმა ჩამოართვა და თვალები ძირს დაიღო. — რასა იქ! რამდენი ხანია აღარ მინახავხარ! მაგრამ ბევრი საქმე შემემთხვა, ველარ მოვიცალე. მე. ეს არის, წუხელი მოვედი მაშინით. მართლა, სალომე... უკაცრავათ, იმ დღით საღამოს ვერ შემოგიარეთ; მაგრამ იმისთანა საქმეები შემემთხვა იმ საძაგელ იერემიასთან ჩხუბის გამო, რომ შუა ღამემდის არ მომიცლია, პოლიციაში დამიბარეს. ვინ იცის, რაები არ მკითხეს. მადლობა ღმერთს, საქმე კარგათ გათავდა.

— ბახვა, შენ ნუ მომიკვდები, — სთქვა გრძნობით სალომემ, — კინაღამ შიშით გადვირიე! მთელი ღამე ისე გავათენე, ჩემს თვალებს ლული არ მოჰკიდებია. შენი ცხედარი არ მენახოს, სულ შენზე ვფიქრობდი. მეორე დღეს დილით ბიჭი ვაფრინე შენს კანტორაში და მომივიდა ამბავი, რომ ახალს ნაყიდს მამულში წასულიყავი.

მარტო მაშინ დამიცხრა გული.

— ოჰ, რომ იცოდე სალომე როგორ მოვრთე ჩემი ეზო, სახლი, გარემო! ოდესმე თუ გაგიგონია თავადის თავქფილაძის ოჯახობა, ხუთს სჯობს ახლა იმას ჩემი ოჯახობა. ყველაფერი ახალი გავაკეთე. სახლი ჯერ სულ მზათ არა მაქვს, მაგრამ ეგ არაფერია. შვიდი თვალი ოდა დავდგი. ჯერ მარტო სამი ოთახი მაქვს მზათ, თუნდ დღესაც გადავიდეს კაცი. ერთი პატარა ოჯახობა დაეტევა იმ სამს ოთახში, მერე კი სხვა ოთახებსაც მოვათავებ. ამ ლაპარაკში ბახვა ხანდახან გადახედავდა ესმას; მაგრამ თვალები ძირს იყო დაშვებული, სახე მკრთალი ჰქონდა და ამ სახეზე ბახვამ ერთი სამხიარულო ძარღვიც ვერ შენიშნა.

— ნეტა გაჩვენა, სალომე, ჩემი ახალი ოჯახობა, გული გაგინათლდება. ამ ზაფხულს წაგიყვანთ შენ და ესმას.

სალომე ადგა, დააპირა ოთახიდან გამოსვლა და გზაზე წაილაპარაკა: შვილო, შენ იყავი ბედნიერი, იცოცხლე და ჩვენი უნახაობით შენს ოჯახს არა დააკლდება-რა.

ესმას თავი აღარ აუღია, ისე ბახვას გასაგონათ სთქვა:

— დედა რომ წამოვიდეს, მე მაინც ვერ წამოვალ. ბევრი საქმე მექნება მადამ სალის სამკერვალოში.

ბახვა და ესმა დარჩენ ოთახში მარტო. რამდენიმე ხანი გავიდა, არც ერთს მათგანს ხმა არ ამოუღია. ესმა იჯდა, თავი ძირს

დაეხარა და თითებს ათამაშებდა, თითქოს საკერავებზე ვარჯიშობსო. მის სახეს ეტყობოდა შინაგანი ბრძოლა; თმა ცოტაოდნათ მიფუშვოდა და მის ფერმკრთალ სახეს კიდევ უფრო მომეტებულ ლაზათს აძლევდა. მისი სავსე გულ-მკერდი ისე იბერებოდა, როგორც ზღვა აიბერება, როცა ქარიშხალი ახლოსაა მოწეული. ბახვა უყურებდა ამ მიმზიდავს არსებას და მისი თვალებ-დახრილი სახე ერთი-ორად უფრო ლამაზი ეჩვენებოდა. ის გრძნობით გიჟდებოდა; მაგრამ ესმას ბუნებით უმანკოსა და მშვიდს სახეს ბორკილი შეება ბახვას გრძნობებისათვის და გააფთრებული ლომი რკინის გალიაში ჩაემწყვდია. ბახვა უყურებდა თავის ციურს არსებას, სტკბებოდა მისი ყურებით და არ იჩქაროდა ხმის ამოღებას. არც ესმას სურდა ლაპარაკი.

ბოლოს მაინც ბახვამ დაიწყო გრძნობით სავსე ნელის ხმით: „ესმა, შენ უწყალო, შეუბრალებელი ქალი ყოფილხარ. ეს ხუთიექვსი წელიწადია შენს ოჯახში დავდივარ. დედა-შენი საწყალი დედა-ჩემის სიკვდილის შემდეგ მეორე დედათ გამიხდია. თითქმის ჩემ ხელში ხარ გაზრდილი და აქამდის ისე მერიდები, როგორც უცხოს. რა დაგიშავე?....“

ამ დროს იმან შეატყო, რომ ესმა შეკრთა, მაგრამ სხვაფრივ კი არ განძრეულა, უწინდებურათვე იჯდა. — „განა ვერ მატყობდი, რომ შენი სიყვარულით თანდათან ვგიჟდებოდი“? — განაგრძო ბახვამ. ესმას უნებურათ გააჟრჟოლა, ბახვამ რომ „სიყვარულის“ სახელი ახსენა. იმას წარმოუდგა იერემია, რომელმაც ერთხელ გზა გადაუღობა და იმანაც ასე დაიწყო. „ღმერთო“! — გაივლო გულში ესმამ — „ყველა კაცები ერთნაირათ ლაპარაკობენ. ყველას ერთად უნდათ დაღუპონ უმანკო ქალის გული. იერემიას რომ იმ დღეს დაევმორჩილებინე, ვინ იცის, ახლა სად ვიქნებოდი და რა მდგომარეობაში? ბახვასაც სწორეთ ასე უნდა. იერემია მალვით მაინც დამხვდა. უფრო ეშინოდა: ეს კი უშიშრად ჩემსავე სახლში მიპირებს დაჩაგვრას და უბედურს დედა-ჩემს კი არა ესმის-რა. გულდანდობილათ უყურებს ბახვას“...

— რატომ არას მეუბნები? ესმა, გამეცი ხმა; მითხარი, თუ გძულვარ, თორემ მე ამის მეტი მოთმენა არ შემიძლიან. ლამის გავგიჟდე.

— რა ვქნა, რა გითხრათ?

— მაგის მეტი არაფერი?

— არა.

— ჩემს ამდენი ხნის გაგიჟებით სიყვარულს ეგ პასუხი აქვს მარტო?...

— თქვენ ცრუობთ, ეგ სიყვარული არ არის.

— აბა, რა ვქნა, როგორ უნდა მოვიქცე?

— მაგრე ყველა კაცები იქცევიან, ვისაც ჩვენი დაჩაგვრა უნდათ.

— მე შენი დაჩაგვრა მინდა? დაჩაგვრა რომ მინდოდეს, არც ნიშანს მოგიტანდი, არც შენს ცოლობას განვიზრახავდი.

— მე არ ვთხოვდები, უპასუხა ესმამ. — მე საქმე ვიშოვნე. მადამ სალი და მე ამხანაგები ვართ. მე ღარიბი, ობოლი ვარ, ერთი დედა მყავს. ჩემი შრომით უნდა ვირჩინოთ თავი ორთავემ.

— რჩენა რაღათ დაგჭირდება. თუ კი ჩემი იქნები და მე შენი. ჩემი ქონება ყველას გვეყოფა.

— არასოდეს! მე ვინ ვარ და თქვენ ვინ?... მე ერთი უბრალო რუსის მჭედლის შვილი ვარ. თქვენ მდიდარი კაცი ხართ, თქვენი ტოლი უნდა ეძიოთ.

— მე შენზე უკეთესი ტოლი ვერ მიპოვნია.

— მე არ ვთხოვდები.

— ხუმრობ, თუ მართლა ამბობ?

— მართლა.

— ეგ შენი სიტყვა გადაჭრილია?

— სწორეთ.

მაშ ყოველი ჩემი იმედი და ბედნიერება ასე ტყუილათ უნდა ჩამეწვას ცეცხლში? — მაშ რათ მინდოდა ერთი თავადიშვილის სეულს რომ ვყიდულობდი. თუ არ შენთვის, ჩემო უწყალო ოცნებავ? ნუთუ მაგას მოველოდი შენგან? გამეცი, ქალო, პასუხი!

— ჩემი გადაჭრილი სიტყვა მოგახსენეთ: თქვენ ძმა და მე და, თუ მიკადრებთ.

ბახვას ფერი ეცვალა. ის თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა, ესმა, თუ ასე გულცივად შეხვდებოდა. ის მართლაც სასოწარკვეთილებას მიეცა. იმ წამს მთელი მისი ავლა-დიდება, სიმდიდრე, ამდენი ხნის შრომა და დღე და ღამე ძილის გატეხა კეთილ-მდგომარეობის მოსაპოებლათ, ჩალათ აღარ მიაჩნდა. იმან წარმოიდგინა, რომ ესმას გული ნამდვილათ სხვას ეკუთნოდა. ვინ იცის, იქნება მისი დაუძინებელი მტერი უფრო ბედნიერი იყო ამ წუთას, ვიდრე ბახვა ფულავა! შემდეგ წარმოუდგა იმ ჭორების სინამდვილე. რომელიც მას ესმაზე ჰქონდა გაგონილი და რომლისთვისაც თავის ძმისწული კინაღამ გალახა. იმ წუთს ბახვასთანა უბედური კაცი ქვეყანაზე აღარ იყო. — განა ამისთვის მოვისწრაფოდი ფოთს, განა ამისთვის მიძგერდა გული. ჩემს ესმას არა გაუჭირდეს-რა—მეთქი,

და ცხენს მოვაჩქარებდი? უბედურო ჩემო თავო? რა მოტყუებული, რა დაჩაგრული ყოფილხარ ცხოვრებაში!... შემდეგ ის გაჰყვა კიდევ სხვა ფიქრებს. უცბათ გაუცოცხლდა წინა ღამით ნახული სიზმარი, როცა იერემია ფანჯრიდან ესმას იტაცებდა. სიზმარი მართლის წინამორბედია. ვინ იცის, იქნება იმისთანა სურათები ყოველ ღამეს ხდებოდეს! მე კი ამ გარყვნილი ახალგაზრდის მონა შეექნილვარ. ამისთანა ცხოვრებას განა სიკვდილი არა სჯობს? იქნება, ჩემმა ძმისწულმაც ეს ამბები ყოველივე დაწვრილებით იცოდეს, მაგრამ ვერ მიმხელდეს?!... ბახვას თანდათან უფრო ნაცრის ფერი ჩაედვა. მისი თვალები რაღაც საშიშრათ გამოიყურებოდენ. მთელი ზემოხსენებული ფიქრები ბახვამ სულ სიჩუმეში გაატარა.

ესმას, არ ვიცი, მოეწყინა ერთნაირს მდგომარეობაში ყოფნა, თუ უნდოდა შეეხედა ბახვასთვის, რომ გამოეცნო მისი აზრი, უცებ აიხედა და თავის დიდი თვალები დააშტერა ბახვას სახეს, რომლის საშინელმა სასოწარკვეთილებამ შეაკრთო. მისი გული და შეეპარა შიგ ბახვას სიბრალული.

— მეტს. აღარაფერს უნდა მოველოდე შენგან, ესმა? — თითქმის ფუჩუნით წარმოსთქვა ბახვამ.

ესმა სულ გაშტერდა, ვერაფერი უთხრა.

— ეჰ, ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს! — უცებ იყვირა ბახვას ხანჯალმა და, რომ უნდა მუცელში ჩაიცეს, უეცრად იკივლა ესმამ, სტაცა ორივე ხელი მაჯაში და მიაყვირა:

— ბახვა, რას შვრები? მე შენი ვარ!... შენი!...

ბახვას გავარდა ხანჯალი ხელიდან, მოხვია ესმას წელზე ხელი და ორისავე ნაღველი ერთმა ტკბილმა კოცნამ წაიღო.

როგორც კვილი მოესმა სალომეს, მაშინვე შემოვარდა და. ორივე შვილი ერთმანერთთან ჩახუტებული რომ ნახა, მხიარულებით დაუწყო ორთავეს კოცნა: „თქვენი პირიმე, შვილებო! მე აწი აღარ მოვკვდები. აი, ამას იქით მინდა ცხოვრება, ამას იქით!... თქვენ უნდა მაცხოვროთ, შვილებო! თქვენ!“.

ქალმა და ვაჟმა რომ იჯერეს გული, მერე დასხდენ ერთად. ბახვამ ამოიღო ჯიბიდან ორი ოქროს ბეჭედი და მისცა დედას. სალომემ რამდენჯერმე შეუცვალა ბახვასა და ესმას თითებზე ბეჭდები; ბოლოს ერთი ერთს წამოაცვა ნეკზე მეორე-მეორეს. იქვე იმ საღამოს გადასწყვიტეს, რომ ერთი კვირის შემდეგ ქორწილი უნდა ყოფილიყო და მეორე დღეს უნდა გამგზავრებულიყვნენ შინისკენ სამივე დედა-შვილი.

ქორწილი მართლაც მოხდა სახელოვან ერთს ფოთის სასტუმროში; თითქმის მთელი ფოთელი ნაცნობები იყვნენ მიპატიჟებულნი. მხოლოდ ჯვარის წერის ღამეს ესმა შეაკრთო ერთმა უსიამოვნო შემთხვევამ, რომელიც ქმრისთვის არ გაუმხელია.

როცა ჯვარისწერა გაათავეს, დედოფალი საყდრიდან გამოიყვანეს და ეტლში სვამდენ, ღამის ათი საათი იყო. ამ დროს ეტლთან ბოხი ხმა მოისმა: „ვერ წამიხვალ, ვერა; შენ მაინც ჩემი უნდა იყო!"

ესმა შეკრთა, უნდოდა დაყვირება, მაგრამ შიშით ხმა ჩაუწყდა. იმან მოჰკრა თვალი ერთს უშველებელ კაცს, რომელიც მალე გაქრა ღამის სიბნელეში. ის იყო იერემია.

ბახვა ესმას გვერდით დაჯდა და უბრძანა მეეტლეს, „სასტუმროსკენ გარეკეო".

XXXI.

ჯერ ოთხი თვეც არ გასულიყო, რაც ბახვა ახალს ოჯახში დაბინავდა. იმას ისე შეუყვარდა ეს ახალი ოჯახობა, რომ ვაჭრობას სრულებით თავს ანებებდა. რაც რამე ნისიათ ჰქონდა ფოთში გაცემული, ყველას ნელ-ნელა აგროვებდა. ორი საქონლის მაღაზია სხვას გადასცა; ათასი თუმანი ნაღდი აიღო, დანარჩენზე ვადა დაუთქვა და წამოვიდა. მის ოჯახობას ნუგეშის ფრთებს ასხამდა მისი მშვენიერი ესმა, რომლის ერთი შეხედვით ყოველი ქვეყნიური ზრუნვა ავიწყდებოდა. ის გადახვევდა წელზე ხელს თავის მეუღლეს მიიზიდავდა მკერდზე, ყელს ყელზე გადააჭდობდა და ერთ ხანს ასე იქნებოდა ხოლმე მოყვარული ცოლ-ქმარი, შემდეგ ტუჩებს შეაწებებდენ ერთმანთს და ბოლოს განშორდებოდენ ახალ შეხვედრამდის. ესმა შინ, ოჯახობაში, თვალ-ყურს ადევნებდა წვრილფეხობას: ქათმებს, იხვებს, ბატებს და ინდაურებს. მას ედგა ხელით სატრიალებელი საკერავი მანქანა. მის ხელქვეით იყვნენ ერთი გოგო და სამი ბიჭი, ყველანი თვიურად დაყენებულნი. ესმა მუდამ თვალ-ყურს ადევნებდა მათ სამსახურს და ერთ წუთსაც არ გააცდენდა; ამასთანავე მას ჰქონდა ტკბილი ქცევა და მოყვარული გული მოჯამაგირეებთან. თუ ვისმე შენიშნავდა დაზარებას, ან სიზანტეს, ესმა თვითონ მოჰკიდებდა ხელს მოსამსახურის გასაკეთებელ საქმეს და ამნაირი ქცევით თითქოს მოსამსახურეებს არცხვენდა და ხდიდა ოჯახის ერთგულათ. ისეთი მადლიანი სახე ჰქონდა იმ ღვთისაგან კურთხეულ ქალს, რომ მის შეხედვაზე არამც თუ კაცი, მხეციც მოთვინიერდებოდა. ესმა იყო მეტათ ბედნიერი თავის ახალი ოჯა-

ხით, სადაც ყოველივე მას ემორჩილებოდა. ქმარი ჰყავდა შვენიერი, მხნე შეძლებული კაცი, რომელთანაც თითქმის შეზდილი იყო. ღარიბ ოჯახში გაზდილი და შრომა-გაჭირვებაში განცდილი მით უფრო გრძნობდა თავის ბედნიერებას, როცა ყოველივე უზრუნველი ჰქონდა. ახლა მხოლოდ ბრძანება იყო მისი საქმე და ღვთისაგან მოცემული სიკეთის მოხმარება. დღე ისე არ გავიდოდა, რომ სამჯერ-ოთხჯერ მაინც არ შეხვედროდა ხოლმე ალერსი თავის საყვარელ ქმართან: მისი დანახვა და ბახვას ცეცხლივით ანთება ერთი იყო. ისინი ლალობდენ, ეხვეოდენ ერთმანერთს თავისუფალ დროს, და ამ ნეტარებაში გადიოდა მათი ახალი ცხოვრება. ქვეყანა იმათ სამოთხეთ მიაჩნდათ და თავის ახლად შეძენილი სახლ-კარი — ედემის ბაღათ; მათთვის აქ არა იყო-რა მოსაწყენი: არც შრომა, არც სიყვარული.

ბახვას ჰყავდა ოჯახში ერთად-ერთი დედის მაგიერი დედა. სიდედრი სალომე, რომელსაც ცხოვრების მწუხარება და ცრუ სოფლის ათასნაირი სიმწარე სიტკბოებათ გადაქცეოდა. რადგან ბახვა შეიქნა მისი ციდგან გადმოგდებული შვილი და სიძე, მას მეტი ბედნიერება ვერც წარმოედგინა, არც ენატრებოდა, არც უნდოდა; მხოლოდ ის ამ ბედნიერებაში სრულებით გამოიცვალა: იმას რაღაც ელდასავით უვლიდა, ნერვებიანი შეიქნა. არ სწამდა ამ ბედნიერების ხანგრძელობა, მუდამ სიზმარში ეგონა თავი და ყოველის წუთის ეშინოდა. სალომეს ისე არ შეხედებოდა თავის ქალს, რომ თავზე ხელი მაინც არ შემოეელო და არ ეთქვა: „შენი ჭირიმე, შენი სატკივარი შენს დედას“. დიდს ჯაფასა და წვალებას გამოვლილი დედაკაცი დღე-ნიადაგ ხვნეშოდა. თუმცა სამწუხარო მას არა ჰქონდა-რა, მაგრამ ის მაინც სწუხდა... ხან-და-ხან კიდეც ეტყოდა: „დედა-ჩემო, რა ამბავია; ყვავივით მუდამ თავს დასჩხავი ამ ჩემს ბედნიერებას! მგონია, გშურს ჩემი ბედი? რაი მე გავთხოვდი, შენ სულ გამოიცვალე: ერთი მხიარული სადილი აღარ გიჭამია. თუ არ გსურს ჩემთან ყოფნა, წადი ისევ ფოთს, შენს ფაცხაში, დადექი იქ.

— უწინამც მიწა დაყრია შენს დედას, სანამდის შენ მოგშორდებოდეს; მაგრამ რა ვქნა, შვილო!... ცუდი სიზმრები არ მასვენებს.— მერე მოუყვებოდა თავის ნახულ სიზმრებს. ესმა ყველაფერს კარგათ უხსნიდა, მოუყვებოდა თავის ოჯახობის ამბავს, ჰკითხავდა, ან რა ხორაგი და სამზადისები უნდა შეენახა, ან წნილები როდის და როგორ ჩაედვა, გაართობდა, გაამხიარულებდა შაეი ფიქრებით და უხეირო წარმოდგენებით დატვირთულ სალომეს, მერე კი წავიდოდა ოჯახის ყურის საგდებლათ. სალომე აღარაფერში ერეოდა; ის მხოლოდ

იწერდა პირჯვარს და მუდამ ავედრებდა ღმერთს შვილების ბედნიერებას; მერე გამოჯდებოდა აივანზე და მოჰყვებოდა ლაზლის ჭრელი წინდების ქსოვას თავის ბახვასათვის.

XXXII.

20 ენკენისთვეს 188... წელს ახალ-სენაკის დუქნების წინ ერთი ხრიალი და მიხლა-მოხლა შეიქნა. ის იყო, მატარებელს მოელოდენ ფოთიდან. ერთ დუქანში ისხდა სამი ჩერქეზულათ გამოწყობილი კაცი. სამივე ხმალ-ხანჯლებით იყო შეიარაღებული. უბრალო ფიცრის ტაბაკზე ედგათ ბოთლები და ღვინით სავსე ჭიქები, სულგუნის ნაჭრები და თეთრი პურის ნატეხები. ტაბაკზე ღვარად იყო წასული წითელი ღვინო. სამი ვაჟკაცი, წვერ-ულვაშებით დაშვენებული, პირისახეზე შეჟინჟღილებული იყო, ეტყობოდათ — ღვინო საკმაოთ ჰქონდათ დალეული. შუაში რომ ვაჟკაცი იჯდა, ის მართლაც შესანიშნავის და ახოვანი სახის გამომეტყველებისა იყო. შავი, სქელი წარბები, შუბლზე გაბარდნილი და ერთმანეთზე გადახლართული, მრისხანე გამომეტყველებას აძლევდა მის სახეს. წარბებს ქვეშ მოელვარე ცისფერი თვალები აქით-იქით ნაპერწკლებს ესროდენ იქ მაყურებელ მეგრელებს, რომელნიც თითქოს რაღაც მანქანებით შეგროვილიყვენ იმ დუქანში, მხოლოდ იმ მრისხანე ვაჟკაცის სანახავათ. ამ კაცის განიერი მხარ-ბეჭი და გრუზა თმით დაჩრდილული სხვილი თავი ძველი დროის გმირს მოაგონებდა კაცს. ის იჯდა წელ-გამართული, მაგრამ მჯდომარეც ბევრს იქ მდგომარე კაცზედ უმაღლესად ჩნდა. „მობრძანდით, ჩვენთან ერთი ჭიქა ღვინი მიირთვით", — წამოიძახა იმან ისეთი ბოხი ხმით, რომ სწორეთ ლომის ბრდღვინვა მოგაგონდებოდა. ის იპატიჟებდა სუფრაზე იქვე მდგომს მეგრელებს.

— მარდობელი გოხოლუ პარტენი (მადლობელი გახლავარ, ბატონო) საჩქაროთ თავი დაუკრა ერთმა იმათგანმა, თავი მოარიდა და გარეთ გამოვიდა.

— მოდი აქ, მეგრელო, თხაპარიავ! — შესძახა განმეორებით იმ ახოვანმა კაცმა. — ეს სიტყვები იქ დამსწრე მეგრელებმა დიდ შეურაცხყოფათ მიიღეს.

— რას გვერჩი ლანძღვას, ბინძურო ქორთუ (ქართველო)?

შეიქნა ხმა-მაღლა ლაპარაკი. ახოვანი კაცი ერთის თვალის დაფახურებამდის გავარდა გარეთ, სტაცა მეგრელს ხელი და ეზიდებოდა ისეე დუქანში. მეგრელები ყველანი იმ კაცს შემოესიენ

და დაუწყეს თავის ქვეყნის კაცს ქომაგობა. ზოგმა ხანჯალი ამოიღო, ზოგმა ლეკური (ხმალი), ზოგმა რევოლვერი. ეს რომ შენიშნა ახოვანმა კაცმა, ჩაერია მეგრელების გროვას და სულ პარტყაპურტყი აუყენა. იმათზე არც ხანჯალი დასჭირვებია, არც ხმალი: ყველა დალახა და გავარდა რკინის გზის სადგურზე, სადაც იმ დროს მატარებელი მიადგა; აიღო საჩქაროთ ბილეთი, ჩაჯდა ვაგონში და. სანამდის დალახული მეგრელები გამოერკვეოდენ, გმირი თავის ორის ამხანაგითურთ მიჰქროდა აბაშის სადგურისაკენ. ეს გმირი იყო ჩვენი რაცნობი იერემია წარბა.

დაცალიერებულს ახალ-სენაკის სადგურზე ხმაურობა და ხმამაღლა ლაპარაკი მაინც არ შეწყვეტილა. შეურაცხყოფილი მეგრელები გარს შემოხვეოდენ ჟანდარმს და სთხოვდენ ოქმის შედგენას. ამ დროს ვინ რას ამბობდა იერემია წარბაზე, ვინ რასა!

— ეგ ის იერემია არ არის, საჯავახოში რომ ღვდლის ოჯახს დაეცა, სახლობა გაუუპატიურა, ოც-და-ხუთი თუმანი წაართვა და ღვდლის ბურსეული ჯიბეში უნახეს? ამბობდა ერთი.

— დაიჭირეს კი არა, მეტიც უქნეს: წელიწად-ნახევარს ციხეში გამოალპეს. ვინ იფიქრებდა, თუ იმას მაშინ არ დაკარგავდენ: მაგრამ ისე გამოძვრა იმ საქმიდან, როგორც ხვლიკი კოშკის ხვრელიდან. ძალიან მოხერხებული და მარჯვე კაცია. ამხანაგობაც კარგი იცის. მაგას ყავს თხუთმეტი, ოცი ამხანაგი — ზოგი აზნაურიშვილი, ზოგი თავადიშვილი; მაგისთვის თავს დასდებენ, ამიტომ რომ. რასაც იშოვნის, ყველასია. ქეიფი, ღვინის სმა, ლხინი, სიმღერა მაგის ხელთ არის; ქალი რაღა მოგახსენო — არ გაეცდება, თუ სადმეა: წურბელას რომ იტყვიან, ის არის. რაც უნდა ძნელი საშოვარი იყოს, გველის ხვრელში გაძვრება და იშოვნის.. ძალადობა ფარათ არ მიაჩნია. რა ვაჟკაცია, რომ იცოდე!... მის შეხედვას არა სჯობია-რა. თითქმის ერთ საჟენია სიმაღლით. მის ბეჭებს ცულდის ტარი არ გადაწვდება, — სთქვა მეორემ.

თქვენ ეგ უნდა გენახათ ფოთში, დრუჟინაში რომ მსახურობდა! ვითომ მეკონტრაბანდეებს სდევდა, მაგრამ პირველი მეკონდრაბანდე ის იყო. ფული ბჟირივით ეყარა ჯიბეში. ყოველ ღამეს საროსკიპოში ეგდო. ამხანაგებს რომ მაგისი ეშინოდათ, უფროსებისაც არ ეშინოდათ ისე! ყველამ იცოდა, რომ მეკონდრაბანდეების ამყოლი იყო, მაგრამ ვის შეეძლო სულის დაბერვა?... რამდენჯერ მე თვითონ მინახავს, რომ ფოთელი ვაჭარი ხალხში დაუძახებდა: „იერემია, დღეს ორი თუ სამი საპალნე მაქვს გამოსატანიო; თუ ძმა ხარ მომეხმარეო“. იერემიას ვითომ არც კი ესმოდა; თვალს უქნევდა და

საქმე გაჩაღებული იყო. მეორე თუ მესამე დღეს ფოთში გავარდებოდა ხმა: წუხელის კონტრაბანდი შემოიტანესო, ჩხუბი ატეხილიყო, თოფებიც დაეცალათ, მაგრამ დაჭერით კი ვერავინ დაეჭირათ; იერემია ჰყოლოდათ გამყოლათ; უიმისოთ ცუდათ იქნებოდა მათი საქმეო, — თქვა პირველმა.

— შენ ფოთში არ იყავი, — უთხრა მეორემ, — მაგან რომ ერთ სალდათს ქალი მოსტაცა? ორ თვეს ჰყავდა, მერე ისევ უკან მიუბრუნა. ამ ერთი წლის წინათ ფოთში დიდი და პატარა სულ იერემიაზე ლაპარაკობდა. მგონია, ეს ექვსი თვეა, რაც დრუეინიდან დაითხოვეს და ფოთიდან ფეხი ამოაკვეთინეს.

ამ დროს ჟანდარმის უნტერაფიცერი გამოჩნდა სადგურის ქვაფენილზე და ხელში ეჭირა რუსულათ შედგენილი ოქმი: „დღეს, 21 ენკენისთვეს 188... წელს იერემია ფირალიძემ მოახდინა ჩხუბი და უწესობა ახალ-სენაკის დუქანში, რკინის გზის სადგურის გვერდით; რამდენიმე კაცი სულ უბრალოთ დალახა; ამის გამო თვით სადგურზე მოხდა ხმაურობა და ჩოჩქოლი, რომლითაც დაირღვა საზოგადო წესი. თვითონ იერემია ფირალიძე ჩაჯდა რკინის გზის მატარებელში და გასწია თბილისისკენ. მინდოდა გადმომესვა, მაგრამ ველარ მოვასწარ“.

— პატონი, ერთი წამი რომ კიდევ დაეცლია, ხანჯალს ვფუშავდი მუცელში, მარა ის წუწკის შვილი გველივით გამისრიალდა ხელიდან!—იძახოდა აღელვებული პირთხელა და ქერა წვერიანი მეგრელი.

— ის იყო კინაღამ ლევორველი დავახალე ფერდში, მარა უცებ მოტრიალდა, თავი დაღუნა და გვანუა მომახალა რევოლვერის ტუჩში; რომ დროზე არ შემეშვა ხელი რევოლვერისათვის, უბრალო კაცი მოვკალი კინაღამ. მადლობა ღმერთს, რომ არ გავისროლე! ჩიოდა ტანწვრილი მეგრელი.

— ბოშეფი! (ყმაწვილებო!) კიდევ მოვა იერემია ფირალიძე და თქვენ იცით, არ დაგავიწყდესთ. პირველათ ჩვენ ავტეხოთ ჩხუბი. იმას ერთი კარგათ უნდა ვადინოთ სისხლი! — თქვა მესამემ.

— მე ამ ჩემ კუდა ხმალს ვკეკვავ თავში, — თქვა მეოთხემ.

— მე იმას წელები თუ არ გადმოვაყრევინე, ღმერთმა ისე ნუ მომკლას! — დაიტრაბახა პირველმა და თან სიფრთხილით იწმენდდა ცხვირიდან წავარდნილ ნაკადულს. იერემიას მისთვის სახეზე დაერტყა.

— აგი რევოლვერი ოხრათ დამარჩინოს ღმერთმა, თუ იმას ეს ექვსი ტყვია ყველა მკერდში არ ჩავაქედო. რა მიქნა იმ შე-

ჩვენებულმა! წელს ვეღარ ვანძრევ. ისეთი ჩამკრა! — ამას რომ ამ-ბობდა, თან ჯოხ-დაკრული გველივით იკლაკნებოდა.

ასეთი ლაპარაკი და მიეთ-მოეთობა რომ ახალ-სენაკის საღ-გურზე ჰქონდათ მეგრელებს და რკინის გზის მოსამსახურეებს, იე-რემია და მისი ორი ამხანაგი გადმოხტენ მატარებლიდან სამტრე-დიაში და შევიდენ ნაცნობ დუქანში. სანამდის მეორე მატარებე-ლი ჩამოირბენდა თბილისიდან. იმათ კარგა ძალი დრო ჰქონდათ და-საძინებლათ.

XXXIII.

იმ საღამოს სამტრედიის სადგურზე ხალხი ბლომათ იყო მო-გროვილი. ზოგი ბილეთებს ყიდულობდა, ზოგი სასტუმრო ოთახ-ში ისხდა და ჩაის სვამდა. ყველა ელოდა თბილისის მატარებელს: ვინ ფოთს მიდიოდა, ვინ სენაკს, ვინ ქალადიდს. სხვანი კიდევ ქუთაისიდან ელოდენ თავის მეგობრებს და ნათესავებს. სადგურის გვერდით, დასავლით, სადაც ქვაფენილი თავდებოდა, კარგათ მოზ-დილი წრე გაეკეთებინათ ახალგაზდა გოგოებს და ჩამსხდარიყვენ. ზოგი ფეხზედაც იდგა. ზოგს შემწვარი ვარიები ედო წინ, ზოგს სხა-ლი და ვაშლი, ზოგს თბილი გამომცხვარი კეცის მჭადი. იმათ ესეოდა დაბალი ხალხი სავაპროდ. მოვაპრე ქალებს შორის ბევრი ძალიან ლამაზი იყო; მაგრამ მწვირიან თავსაფრებ-წამოხურულ სახეებზე კარგათ უნდა დაჰკვირებოდი, რომ აღტაცებაში მოეყვანე იმათ შვენიერებას. ტალახ-შემხმარი ტიტველა ფეხების დანახვა(ა ბევრს აკლებდა იმათ ბუნებითს სილამაზეს. ზოგიერთებს ისეთი შემოგლეჯილი კაბები ეცვათ, რომ მკერდზე ახალ აფეთქილ კო-კრებს ვეღარ ფარავდა, ძუძუებს იქიდან თავები გამოეყოთ და ლალისფრად ჭვიტინებდენ. ხალხი სიამოვნებით გარს შემოსდგო-მოდა გოგოებს. ზოგი შემწვარ ვარიებს ყიდულობდა, ზოგი მათ-განი, რომელიც უფრო დახელოვნებული იყო არშიყობაში, ვითომ სავაპროს ეშინჯავო, უნებურათ ხელს შეახებდა მკერდზე ამ თავ-გამოყოფილ ლალის კოკრებს. „უი!“ შეკივლებდა გოგონა გაწყრო-მით უტიფარ მოარშიყეს და ეტყოდა: „შენ, ეი! თუ ფინდა, ივაპრე, თუ არა, ჩაიარე. მკერდთან რა ხელი გაქვს!“

ამ სიტყვებზე დასცემდენ კიეინას სხვა გოგოები: შერცხვე-ნილი მოვაპრე და მოარშიყე ჩაივლიდა გაჩუმებული, ვითომც აქ არაფერიაო. სიცილ-კისკისი, ოხუნჯობა და დროს გატარება მართ-ლაც აქ იყო ყოველ მატარებლის გაელაზე. მიმავალი ხალხიც ძა-

ლიან ედებოდა ამ კუთხეს. მატარებლის ჩავლის ან ამოვლის შემდეგ ძვირათ თუ ვისმე დარჩებოდა გაუყიდელი რამე. მერე მოჰყვებოდენ ფულების თვლას, თითოეული მათგანი გამოჰკრავდა გროშებს და ვერცხლის ფულს თავსაფრის ყურში, შემდეგ ცარიელის კალათებით გაუდგებოდენ შინისკენ. იმათ დაედევნებოდა სოფლის ახალგაზდობა, სოფლის ბიჭები; მორთავდენ ერთად ქალ-ვაჟნი „ორი-რაშას" სიმღერას და ასეთის ამბით სტოვებდენ სადგურს მეორე მატარებლის მოვლამდის.

იმ დღეს თბილისიდან მოსულმა მატარებელმა გააქანა ფოთისკენ სხვათა შორის იერემია წარბა და მისი ორი ამხანაგი, მერაბ და გივი. ისინი ჩასხდენ ერთს მესამე კლასის ვაგონში, რომელიც სულ უკან იყო მოქცეული. იქ მგზავრები ცოტანი იყვნენ. იერემია მიჯდა ვაგონის კუნჭულში, გივი გვერდით მოუჯდა და მერაბ პირ-და-პირ. შუა ალაგს დაკიდებული ფარანი ბჟუტავდა. ვაგონის კუთხეებში სიბნელე იყო მიმდგარი. იერემია და იმის ამხანაგები ჩრდილში ისხდენ. თუ სულ ახლოს არ დააცქერდებოდი, იმათ სახეს ვერ გაარჩევდი.

— რომ იცოდე, გივი, რა მჭირს?... ესმას სიყვარულმა სანთელივით ჩამომადნო. თუ ის ხელში არ ვიგდე, ჩემი თავი ცოცხალი ნუ გაჩვენოს.

— ატყობ, რომ შენც უყვარხარ?... კითხა გივიმ.

— რამდენი ვეცადე, მაგრამ წყეული ქალის გული ვერ მოვიგე.

აბა, რომ კიდეც მოიტაცო, რათ გინდა? უფრო სიცოცხლეს გაგიმწარებს.

— ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ახლა არის დამწარებული, იმას რომ სხვის ხელში ვხედავ, ერთი მისი ნახვა იქნება ჩემთვის მკურნალი მალამო. მისგან სხვაზე გაცვლილი ცოცხალი აღარა ვარ. მე რომ ის ბახვასთან საყდარში ვნახე, მას აქეთ მზე ჩემთვის აღარ ამოსულა. ეს ჩემი გული წყვდიადის ბნელით არის გარემოცული. მასში აღარც სიცოცხლეა, აღარც სიხარული, გული უნათლოდ მკვდარია. მეტი რაღა დამრჩენია. ან რას უნდა შევუშინდე. ბახვა ფულავა ამაღამ ჩემი სხვერპლი უნდა გახდეს. რა კი ჩამოვიშორებ, მერე ესმას გულიც მოლბება მერე მეც გამინელდება გული, გავცოცხლდები, გავიხარებ. ოღონდ მისი ნახვა ნუ დამეკარგება, თორემ სხვას არაფერსა ვსთხოვ. მისი ერთი ღრუბლიანი შემოხედვაც ჩემთვის ამომავალი მზის შუქია, რომელიც გაფანტავს ამ გულის წყვდიადს. მე რა მინდა მეტი? მე მინდა მხოლოდ ეს ჩემი მაცხონე-

ბელი მზე გალიაში მყავდეს ჩამწყვდეული, რომ მინათლოს ყოველ დღეს, ყოველ საათს, ყოველ წამს და ამით ჩემ გულს ღამე არ შეამოეპარიოს.

— განა არ გაგიგონია რუსთველის ლექსი, — უპასუხა გივიმ „მძულს უგულო სიყვარულიო?..“

— ქალს რომ ქმარი მოუკვდება, მისი გული გახსნილია ახალი სიყვარულისთვის.

— ეაი, თუ ბახვას კაცები ჰყავდეს გაზრახებული! — ჩაურთო მერაბამ ლაპარაკში.

— უეჭველია, დიდი სიფრთხილე გვმართებს, — სთქვა გივიმ. — აბაშის სტანციაში რომ გადმოვხტებით, თვალი არავინ შეგვასწროს. იერემია, შენ მაინც ყაბალახით უნდა შეიხვიო თავი. ჩვენ შინ მისვლამდის ნახევარ საათს არ მოვუნდებით. იქ სამ ლაფშას *) შევკმაზავ და გავუდგეთ მთვარიან ღამეში.

ამ ლაპარაკში მატარებელი მივიდა აბაშას. სამი ამხანაგი გაქრა ღამის ბნელში.

XXXIV.

21 ენკენისთვეს 188... შვენიერი ალიონი ამოვიდა. ალმოსავლეთი წითლად აპრიალდა. მან შეღება არე-მარე ნარინჯის ფრათ. მისმა შუქმა შეანათა ბახვას საწოლ ოთახში და ჩაძინებულ ცოლ-ქმარს ნეტარების ნათელი მოჰფინა სახეზე, იმათ ერთმანეთის მკლავებზე ედვათ თავები, შავი თმა სქლათ დაყროდა ქალს თეთრ ყირმიზა სახეზე. მისი ზედა ტუჩი ნეტარების ნიშნათ ზევით ახრილიყო და გამოეჩინა ტყუპი მარგალიტი კბილები. მის მარჯვენა ლოყას ბახვას გაწკიპინებული ულვაში წურბელივით მოკიდებოდა. ამ სახით ორი სიცოცხლით და გულისთქმით საესე არსება დილის ძილში განისვენებდა. მათ სახეს დილის რიჟრაჟი დახაროდა. ამ დროს ძილში უეცრათ შეკრთა ესმა, იკივლა და გამოეღვიძა. მისმა ხმამ წამოაგდო ზეზე ბახვაც. იმან შემოხლართა ხელები კისერზე თავის ცოლსა და დაუკოცნა წამძინარევი თვალები.

— რა იყო, ჩემო გულის სიტკბოებავ?... რამ შეგაკრთო? შენ წამოიკივლე, განა?... — ესმამ შემოხვია ბახვას კისერზე ბროლის ხელები და მაგრათ დაუკოცნა ტუჩები. როცა ორმავე ალერსით გული იჯერა, ესმამ უამბო შეკრთომის მიზეზი.

---

*) ლაფშა — ბედაურია.

— რომ იცოდე, ჩემო კარგო, რა სიზმარი ვნახე! შიშით ახლაც კი მაკრიალებს ტანში. მადლობა ღმერთს, შენ კიდევ ჩემი ხარ, ჩემი, ჩემო გულის ვარდო. — დაუწყო ხელმეორეთ ხვევნა, კოცნა და მაგრათ გულში ჩაიკრა.

— მაინც მითხარი, ესმა, რა სიზმარი ნახე? — განმეორებით სთხოვდა ბახვა.

— ნანაია, რა ვნახე!... ოჰ. საშიშროებავ! ვითომ მე და შენ ჯარში ვიყავით მარიამობას. მთელი ჯარი კაცი და ქალი — შენატროდა ჩვენს ბედნიერებას! ყველანი გვილოცავდენ, ღვდლები გვიკმევდენ. პაწაწა ბავშვებს ეარდის თაიგულები და მინდვრის ყვავილების კონები მოჰქონდათ ჩვენთან. ამ დროს ერთი ვინღაც შეეთ ჩაცმული, შავწვერ-ულვაშიანი, შეკბილებიანი კაცი გამოვარდა ჯარიდან, მტაცა ხელი და მიმათრევდა. მე შენ ჩაგჭიდე ორივე ხელი და გეხვეწებოდი შველას; მაგრამ ამ დროს იმ წყეულმა შენ ხანჯალი დაგცა მკერდზე, მე ხელები დამისხეპა და წამიყვანა. საშინლათ დავიკივლე და კიდეც გამომეღვიძა.

— თავი გლახათ გდებია. ჩემო სიცოცხლევ, ან მკლავები დაგბუჟებია ჩემი ზედ წოლით... აწ აღარ დაგიწვები მკლავზე. — უთხრა სიყვარულით ბახვამ.

— ვინ მოგეშვება? ძალათ დაგიწვენ! უთხრა ცოლმა და მაგრათ შემოსჭიდა ხელები კისერზე. — დედავ, ვინ გაბედავს შენი თავის წართმევას? უმალ სიკვდილი შენს ესმას!...

ბახვა სრულიად დაათრო ამ მშვენიერი ქალის ალერსმა; მაგრათ ჩაიკრა გულში, ტუჩი ტუჩს შეუწება და ასე სიყვარულის ბურანში დაჰყო კარგი ხანი ცოლ-ქმარმა.

დილის რიჟრაჟი დღის სინათლეთ გადაიქცა. მზე ბაკეს გამოვიდა და მოედანზე ცხვარი ააბრწკიალა ათას ფრათ.

ბახვა და ესმა უცბათ წამოვარდენ ლოგინიდან.

— ჯერ მე და შენ ამდენ ხანს არ დაგეძინებია, ესმა!... ეს შენი ბრალია.

— ე!... ყველაფერს რომ მე დამაბრალებს! — უსაყვედურა ცოლმა: — როცა ხელი მომხვიე და ჩამაძინე. მაშინ ხომ არ გახსოვდა ეგეები?...

— კარგი, შენი გულისა... მე მაქვს დანაშაული! — გადაუწია თეთრი ბროლის ყელი და ზედ დააბეჭდა ცხელი კოცნა...

სალომე დიდი ხანია ფეხზე იდგა, შინ წვრილფეხი ფრინველი დაეპურებინა, თხისა და საქონლის მწყემსი გაესტუმრებინა, სამო-

ვარი მოემზადებინა და, სასტუმრო ოთახში რომ გამოვიდენ ცოლი და ქმარი, ჩაი კიდეც დასხმული იყო ჭიქებზე.

-- დედას ჯერ კიდევ სიმარჯვე არ აკლია, — სთქვა ბახვამ.

— შვილებო, თქვენ გამყოფოთ ღმერთმა მარჯვეთ და ბედნიერათ; მე თქვენი ჭირი წამიღია.

— არა, დედავ, ჯერ კიდევ ჩემი ეაჟი უნდა გაზარდო, — გაუმეორა ბახვამ.

ამ სიტყვებზე ცოლმა ცეცხლივით თვალები შეანათა ქმარს და დედის ნამალავათ გაუღიმა.

იმ დღეს ბახვა ფულავა უნდა წასულიყო აბაშის სადგურზე, -- ფოთიდან ას თუმანს ელოდა. ცოტა დაგვიანებულიც იყო. უცბათ შეაკაზმინა თავის ჩერქეზული ლაფშა, სიყვარულით გამოეთხოვა ცოლს, ჩამოვიდა კიბეზე. მოახტა ცხენს, გადაჭკრა მათრახი და გასწია თოხარიკით.

ესმა იდგა მოაჯირზე და თვალი არ მოუშორებია ბახვასთვის, სანამ შარა-გზის მიხვეულში სულ არ მიიმალა. ცოტა ხანს შემდეგ ესმას მოაწვა გულზე სევდა, გაიხსენა შავი სიზმარი და მთელი დღე უცნაურ ფიქრებში გაატარა. სალომე ცდილობდა რამენაირათ გაერთო თავის ქალი, ხან რას მოუყვებოდა, ხან რას; ბოლოს ბახვას ყმაწვილობის ამბავიც კი გამოაბა. ამ ყოფით გავიდა მთელი დღე. ძზე ჩავიდა; დღე და ღამე გაიყარა. ბახვა მაინც არსად იყო. ესმას სევდამ უმატა. „ეაი თუ ბახვას რამე შეემთხვა!...“ წამოიძახებდა წამისწამ.

ოთახში დიდი ხანია ლამპები და სანთლები აანთეს. სალომე სთხოვდა თავის ქალს შინ შესულიყო. — შვილო, არ გამიცივდე. ნანაია საღამოა! — ესმას აღარა ესმოდა-რა. ის იჯდა აივანზე და თვალები ჭიშკრისკენ ჰქონდა.

— შვილო, შემოდი შინ. ალბათ დროზე ვერ გაათავებდა საქმეს და მიტომ დაგვიანდა. აწი მოვა, სადაც არის.

— არა მიჭირს-რა, ნანაია, არ გავცივდები.

სალომემ მაინც არ დაუჯერა და, რა კი შეატყო, რომ შინ არ უნდოდა შემოსვლა, შალი გამოუტანა და ტანზე მოახურა. ესმას თითქმის არც კი უგრძნია შალის წამოსხმა, ფიქრებით იყო შეცული. ამ დროს ჭიშკარი აჭრიალდა. ბახვას ხმაც მოისმა: ბიჭს უძახოდა, ცხენი ჩამომართვეო.

საყვარლის ხმის გაგონება და ესმას წამოვარდნა ერთი იყო. თითქმის ფრთებ-შესხმული ჩაფრინდა კიბეზე და გაეშურა ქმრისაკენ.

— ვინ ხარ შენ?... ესმა?... რამ გაგაგიჟა!... ამ ღამეში რა გინდოდა?... რომ გაცივდე?... უცებ გადმოხტა ბახვა ცხენიდან, სადაც ეს უნაგირის ტახტზე შეაგდო და გაეშურა ცოლისკენ. ესმა შეიყვანა ოთახში.

— შვილო, შენი ესმა კინალამ გამიგიჟდა. რათ დაიგვიანე ამდენ ხანს? — მოაჯირთან ხმამაღლა უთხრა სალომემ.

— აბაშის სტანციაზე რამეები მქონდა; სიმინდები ვივაჭრე და ერთი სამოცი თუმანიც ბეთ დავურიგე, აი ამან დამაგვიანა.

— დედა, ახლა ბახვას სამოვარი უნდა, დაღალული იქნება, — თქვა ესმამ.

— სამოვარი. შვილო, კიდეც გაჩაღებულა ჩემს ოთახში; წამოდით, შვილებო! — ცოლ-ქმარი შეჰყვა სალომეს ოთახში, სუფრას მოუსხდენ. სამოვარი კვარჩხალობდა. ესმამ ჩაის კეთება დაიწყო. ბახვამ სამი ჭიქა დალია და მერე მოჰყვა თავის მომავალ პლანებზე ლაპარაკს.

— დღეს კარგ ფეხზე წავედი. აბაშაში შემხვდენ საქყონდიდლოს მებატონეები და მიქელაძეები, — დაიწყო ბახვამ ხელების გრეხით, თითქოს ქაღალდის ფულს კეცავსო. — ათი ათასი ქილა *) სიმინდი დავიბეევ. მოსავალს კარგი პირი არ უჩანს წლეულს. სიმინდი უნდა გაძვირდეს. ისე ვივაჭრე, რომ ბათმანი სამ შაურათ მიჯდება ფუთში ვიგებ ხუთ შაურს. ათი ათასი ხუთი შაური იქნება ორი ათას ხუთასი მანეთი. წლეულს ესეც კმარა. დანარჩენ დროს შინაურს ოჯახობას მოვანდომებ. ისეთნაირათ უნდა მოვრთო ეს ჩვენი გარემო, რომ სამოთხის მსგავსი შეიქნეს.

— შვილო, ღმერთმა ბევრი მოგაგებინოს. — უთხრა სალომემ — გეყოფა, რაც გაქვს, მეტი ნულარ გინდა, — ღმერთს ეწყინება. აწ დაჯექი შინ და ტკბილათ დრო გაატარე. ესმა არ გეცოდება? ყოველს წასვლაზე მაგას მოსვენება აღარ აქვს. სანამდის მოხვიდოდე, სული ელევა.

ჩაის შემდეგ ბახვა მუშებთან ჩავიდა სამზარეულოში, მუშაობის ამბავი გამოიკითხა, ან იმ დღეს რა გაეკეთებინათ, ან ხვალ რა საქმეს უნდა დასდგომოდენ. ყველანი ძმასავით მოიკითხა, გაამხნევა ჯამაგირის მომატებას დაჰპირდა, თუ უკეთ გაირჯებოდენ; მერე წავიდა თაღლაში, ცხენები დაათვალიერა, თავის თვალით უნდოდა დარწმუნებულიყო, დაღალულ ცხენს თუ მოუარეს. რა კი ყოველივე თავის რიგზე ნახა, ძალიან იამა, მერე მოსამსახურე ბიჭს უთ-

*) ქილა ერთი ფუთია.

ხრა ჭიშკარი დაუკეტავი არ დარჩენოდა, ყველას გამოემშვიდობა და ამოვიდა ოჯახში გამხიარულებული. იქ ვახშაში გაჩაღებული უცდიდა, დასხდომის მეტი არა აკლდა-რა.

— დედა, კახური ხომ არ გამოგლევია ჯერ?

— ორი ბოთლი დარჩა კიდევ, შვილო!

— არა უშავს-რა, ხვალ სადილობამდის ახალი ღვინოები მოგვივა. მოიტანე ამაღამ ორივე ბოთლი, ქეიფიანათ შევექცეთ. შენ და ესმამ ერთი ბოთლი დალიეთ, მეც ერთ ბოთლს გამოვცლი.

— უი, შვილო, ერთ ბოთლ კახურს რა დაგვალევინებს?

— მე ერთ ჭიქასაც ვერ დავლევ, თქვა ესმამ.

— არა, უნდა დაგათროთ! არ შეიძლება, რომ არ დალიო.

— ჟინიანია! უთხრა სიკეკლუცით ესმამ.

— სწორეთ უნდა დაგათროთ, —დაუჟინა ბახვამ და გულისთქმით შეხედა.

— არა, არ დავლევ, — ელაპარაკებოდა ცოლი.

— რომ არ დალევ, დაგახრჩობ, — უთხრა ბახვამ. ძალადობის ნიშნათ თავი დაუქირა და ჩაკოცნა ტუჩები.

— სვით, შვილებო, იქეიფეთ; ეს წუთისოფელი დიდხანს არავის შერჩება.

XXXV.

შემოდგომის ღამე იყო. გავსილი მთვარე დედამიწას დაქაჩქათებდა. არე-მარე მოვერცხლულ ჰაერის ზღვაში ყვინთავდა. უზარმაზარი კაკლისა და ცაცხვის ხეები ვაკეზე აქა-იქ შეჯგუფებულები სქელი ჩრდილით ფარავდენ მოსახლეებს. მთვარის შუქი რძესავით გადასხმოდა ცასა და ქვეყანას. ლაჟვარდი ცა მის გამო თეთრათ გამობლენცილიყო. კავკასიის ქედები, მუქ ტრედის ფრათ შეღებილები, უზარმაზარ ღობე-ყორეთ გაჰკროდენ ცის კიდესა. ვაკეზე ხეები აქა-იქ შავათ ამოფუღულიყვენ. ოდნავ სიოც არ აკრთობდა მათ ფოთლებს. არც ტურები კიოდენ, არც ღამის ფრინველი „ჭოტი" იძახოდა, არც აჩეჩა ურმების ჭრიჭინი, არც ბუზანკალის ბზუილი, არც კოლოს წუწუნი. ყოველ სულდგმულს და უსულოს თითქოს ერთად გაეშალათ იმ ღამეს ლოგინი და ღრმათ ჩასძინებოდათ. თვით ბუნება იყო იმ წუთს ხმა-გაკმენდილი თავის საიდუმლოებაში; არც იყო დღე, არც ღამე, არც იყო სიცხე, არც სიცივე, არც ბნელი, არც ნათელი; მაგრამ ორივე კი თეთრათ გაპენტილ მთვარეს ერთმანეთში შეეზავებინა. თვით მთვარე ისეთი მშვიდობიანი სახით დაჰყურებდა

დედამიწას, რომ მის გაელენის ქვეშ ბნელი ნათელს მერიგებოდა, ღამე ღამეს, მტერი მოყვარეს. და წყვდიადის დედოფალი სიკეკლუცით უცქერდა ყველას და მეფურის სიუხვით ნათელს აფენდა ამ საერთო ცის და ქვეყნის განცხრომაში და სიყვარულში, მხოლოდ სამი ცხენოსანი მგზავრი არ იღებდა მონაწილეობას. ისინი მიიჩქაროდენ გამტეერიანებულ შარაზე. იქით-აქით შარას ღრმა თხრილები ჩაუყვებოდა, ზედ ახალი ძეწნის ნერგები იყო მოყოლებული. ისინი იდგენ ყარაულებათ, რომ ყანები საქონელს არ წაეხდინა. ცხენოსნები ბაშლაყ-მოხურული და ნაბდებ-წამოხურული იორღით წინ მიისწრაფოდენ. ცხენთა ფეხების ბაკუნი, ხანდახან მათრახის ტკაცუნი განზე გახტომა მოკლე ვადით აღღვეედა საყოველთაო სიჩუმეს.

— კიდეე დიდი ხანი გვაქვს სასიარულო? — იკითხა მოუთმენლათ ერთმა მათგანმა, რომელიც მთვარის ჩრდილზე ორივეზე უდიდესი ჩნდა.

— საათ-ნახევარი. — მიუგო მეორემ.

— დროა დაწვრილებით მოვილაპარაკოთ, როგორ უნდა მოვიქცეთ, დაუმატა მესამემ.

უეჭველია, მკითხველი მიხვდება, ვინ იყო ეს სამი ცხენოსანი.

ბახვა ფულავას ეზო დიდია, დაიწყო გივიმ: — გარშემო ბროწეულის. ტირიფის და კოპიტის ხეებია შემოვლებული. ცხენები, ეზოს გარეთ რომ დიდი ცაცხვებია, იმათ ქვეშ დავაბათ. მერაბი ცხენთან დარჩეს. მე ჩავალ ეზოში. ბახვას ორი ნაგაზი ყავს. ძალიან ავები, მაგრამ ჩემთან შეჩვეულები არიან. უნდა ვეცადოთ პირველ ძილამდის მივიდეთ. ძაღლები დაიყეფენ, მაგრამ, რადგან პირველი ძილი ტკბილია, სანამ გაიღვიძებდენ, ძაღლებს დავამშვიდებ, წამოვიტყუებ ეზოს გარეთ და ორივე უნდა მოეკლათ ხანჯლებით. მერე უფრო ადვილათ მოვრთავთ საქმეს.

— ეგ კარგი რჩევაა, დაუმატა მერაბმა.

რა-კი ძაღლების შიში არ იქნება, განაგრძო გივიმ. — მე სახლის თავზე ავალ. იქიდან ჩავძვრები და ყველაფერს შევიტყობ, სად რა არის, ან ვინ სად წევს. შენ. იერემია, იქვე ოდის წინ აივანზე მომიცადე. თუ გავალო კარი, შიგ შემოვარდი და საქმე დავიწყოთ; თუ არა, ალბათ მოუხერხებელი იქნება რამე მიზეზის გამო, და მე იმავე გზით გამოვალ, რომლითაც ჩავიპარები.

— ყველას ის ემჯობინება, — თქვა იერემიამ, კარს რომ გააღებ, მე შემოვვარდები და კუთხეში მივიმალები. შენ საქმე ასტეხე; ბახვა შემოგიტევს, შენ გარეთ გამოვარდი; ის გამოგეკიდება; მთვარის სინათლეზე თუ ჩხუბი გაგიმართოს. ხანჯალს ნუ დაარიდებ.

მანამდის მეც მოვიტაცებ ჩემ საუნჯეს, გავსწევ მერაბისაკენ და შენ-თან დამედევნე: რაკი მერაბთან მივაწევთ, მერე მშვიდობით. ეშმაკიც ველარ შეიტყობს ჩვენს ასავალ-დასავალს.

— შშშ!!... ნელა გაიხმაურა გივიმ.

ცხენოსნებმა შეაჩერეს ცხენები და შეეფარენ დიდ ცაცხვის ჩრდილს. ამ დროს ისინი თითქოს წყვდიადს ჩაენთქას. ზედ შარაზე გამოჩნდა ფიცრული ჭიშკარი, ყავრით გადახურული და შიგნიდან საგდულით ჩაკეტილი. ეს განიერი ალაყაფის კარები ჩაქედილი იყო მაღალ თავწვეტიან მესრის ღობეში. ღობეს შიგნით ეზო მთვარის შუქზე ფირუზის ფრად ნათობდა და ხშირს დობილოს *) ზედ შავი ჩრდილის ლაქები დაებნია. მოშორებით ალვისხის ტალავერი შემორტყმოდა ოდას და სხვა სახლებს. მათ აჩრდილისაგან ყველა შენობები ჩაბნედილიყო. ეს იყო ბახვა ფულავას ოჯახი.

ღამის პირველი საათი იყო. ბადრი მთვარე მეფურის სულგრძელობით ჰფენდა ნათელს ბახვა ფულავას ეზოს და მის გარემოს. ერთი რაღაც შავი ჩრდილი უცებ აცოცდა ჭიშკრის ბოძზე, გადაფორთხდა და ჩავარდა ეზოში. ამ შავ ლანდს მოკრეს თვალი ძაღლებმა და გაბრაზებულებმა მოაშურეს ჭიშკარს. ისინი ისეთი მძვინვარი ყეფით მორბოდენ, თითქოს სურდათ ეს რაღაც შავი ნადირი ლუკმა-ლუკმა დაეგლიჯათ. მაგრამ უცებ მოისმა რაღაც უცნაური წრუპუნი და ნელი სტვენა. ძაღლებმა შესწყვიტეს ყეფა და კუდების ქნევით დაუწყეს ლაქუცი შავ ლანდს. ეს იყო გივი, კარგი შესული ყმა ბახვასი. ის ხშირათ დადიოდა მის ოჯახში: უკანასკნელი ჩხირიც სად იდვა, იცოდა. გივიმ გამოაძრო ჭიშკრის საგდული და კარები გააღო. მერე უცნაურად დასტვინა. ნაგაზებმა სიყვარულით დაუწყეს გივის შეხტომა. იმან წაავლო ხელი ორივეს საყელოებში. ერთი წამიც არ გასულა, რაღაც საზარელი წკნავილი მოისმა... მერე ცაცხვის ჩრდილიდან გამოვიდა ორი კაცი. ისინი ფეხ-აკრეფით გაეშურენ ბახვას ოდისკენ და მალე შეიმალენ ხშირს ალვის-ხეებში. ერთი მათგანი, როგორც ვთქვით, იყო გივი, მეორე — იერემია. გივი რომ ოდის კარებზე შევიდა, იერემა სამზარეულოსკენ გაეშურა. იქ ბიჭებს ეძინათ. იერემიამ ამ სახლის კარის რაზა გარედან გადააცეა რკინის მარყუჟზე: თუ, ვინიცობაა, ბიჭებს გამოეღვიძებოდათ, გარედან დაკეტილ კარს ველარ გააღებდენ.

ბახვას მხოლოდ ორი დიდი ოთახი ჰქონდა სადგომათ მომზადებული. ერთში იწვა სალომე და მოსამსახურე გოგო, მეორე — ბახ-

*) ხეზე გაშვებული ვაზი.

ვას საწოლ ოთახათ ჰქონდა გაკეთებული. ოთახის კარებს ჯერ არც ერთს არ ჰქონდა სარაზავი. იმათ შიგნით და გარეთ ჰქონდა რკინის კაკვები მარყუჟებით. ღამით კარებს შიგნიდან ჰკეტდენ. გარეთა რკინის კაკვები ყოველთვის თავისუფლათ ეკიდა. გივი შევიდა თუარა ოდაში, სალომეს საწოლი ოთახის კარები ყველა გარედან გადარაზა, მერე აცოცდა ოდის კედელზე და ჭერის ფარღალალით ჩაიპარა ბახვას საწოლ ოთახში. კედელზე პაწია ლამპა პატრუქ ჩაწეული ბჟუტავდა. ოთახში არც ძალიან სიბნელე იყო. არც ძალიან სინათლე. ცოლ-ქმარს მაგრად ეძინათ. გივიმ ბახვას კრაოტის თავით კედელზე სკკოიაჟს შეასწრო თვალი. მას ბევრი აღარ უფიქრია, სტაცა ხელი საკკოიაჟს, მერე მივარდა კარებს და რაზა გადმოუგდო. იერემია თვალის დახამხამების უმალ შევარდა საწოლ ოთახში და. კედლის კუთხეში რომ შკაფი იდგა, იქ ამოიმალა. რაზის გადმოგდებამ და კარების ჭრიალმა ბახვა გამოაღვიძა. იმან თვალი შეასწრო, რომ ვიღაც ბაშლაყ-მობურული დაფლეთილ კარებში გავარდა. „არიქა ქურდიო!...“ წამოვარდა ზეზე პერანგისამარა, გამოიღო ბალიშს ქვეშ რევოლვერი და გამოუდგა. ერთი ორჯერ რევოლვერის ხმა მოისმა. ესმა გაცოფებული წამოჯდა საწოლზე. —

გულ-მკერდ გადაღიაღებულს თმები ჩამობურდოდა და სქლად დაჰყროდა ბეჭებზე. მისი ბროლის გულ-მკერდი ლამპის მიმქრალ სინათლეზე მთვარესავით ანათებდა. ამ მშვენიერების დანახვამ იერემია ააღელვა. ის სწრაფად მიუახლოვდა და მთრთოლარე ხმით დაიწყო: „ესმა, მას აქეთ, რაც შენ დაგინახე, სიცოცხლე სიცოცხლეთ აღარ მიმაჩნია. შენ მეტს ჩემი ვაჟკაცობა არავის დაუჩაგრავს. მე დღეს ცოცხლებში აღარ ვურევივარ. კარგათ შემომხედე: შენის სიყვარულით სიგიჟე მომრევია. აი, ხომ ხედავ, მოვედი შენ წასაყვანათ: ან უნდა წამომყვე, სიცოცხლე დამიბრუნო, ან აქვე შენს კალთაში უნდა მოვიკლა ჩემი თავი.

— უიმე!.. ვინ ხარ შენ, სატანის მსგავსო?!... იერემია?!... აქ რა გინდა, შე ბოროტო?...

— გაოცების დრო აღარ არის, უნდა წამომყვე!

— უწინამც სიკვდილი მე!...

იერემიამ მაგრათ შემოხვია ხელები და ბაღშვივით გამოიყვანა გარეთ.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ესმამ ორივე ხელი ჩასჭიდა წვერებში და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ძირს დასწია.

იერემია წვერების ტკივილმა მეტად შეაწუხა, მაგრამ სხვერპლს მაინც ხელი არ უშვა, სიფრთხილით ჩამოვიდა და ჩამოიყვანა კიბეზე...

აქ რომ ეს ამბავი ხდებოდა, გარეთ ეზოში ბახვას გივისთან ჰქონდა ბრძოლა. გივიმ პირველათ მოკურცხლა, ბახვა უკან გამოენთო და დაახალა ორჯერ რევოლვერი. ეტყობოდა, დაეკრა, იმიტომ რომ ქიშკრამდის კიდეც მიეწია მას. გივი უცებ მოტრიალდა და ერთი იმანაც ესროლა. ბახვა წაიქცა, მაგრამ მაშინვე წამოვარდა ზეზე. რაკი დაინახა, რომ ქურდი დაფელილ ქიშკარში გაქრა, უცებ მოტრიალდა და გაიქცა სამზარეულოსკენ ძახილით. ბიჭებს ხმა ესმოდა, მაგრამ საკვირველი იყო, რომ არავინ გამოეკარა! გულს მწარე იქვი ეცა, „ვაი თუ შინაურებმა გამქურდესო!" ის მივარდა სამზარეულოს კარებთან. კარები გარედან დახვდა გადარაზული. მაშინ კი ყოველივე აიხსნა. იმან უცბათ გადმოაგდო მარყუჟიდან სარაზავი და შეგლავლა ბიჭებს: „არიქა, მიშველეთ, ქურდები დაგვეცენო!" მოტრიალდა თუ არა, მთვარიან ღამეში რაღაც შავს აჩრდილს მოჰკრა თვალი ოთახთან და ამ დროს საზარელი კივილიც მოესმა: „ბახვა, მიშველეო!" —

— არიქა, ესმა მომიკლეს! — დაიღრიალა ბახვამ. ყველანი შავს აჩრდილს გამოუდგენ.

ესმამ რომ ვეღარასფრით ვერ იხსნა თავი რკინის ხელებიდან, ჩაავლო იერემიას მარცხენა კლავში კბილები და სასოწარკვეთილებით მოუპირა. იერემია თან წვერების ტკივილით და თან მკლავზე კბენით მეტად გაბრაზდა. ამ დროს შენიშნა, რომ უკან მისდევდენ და, ის იყო მისწვდენ კიდეცა. იფიქრა, დამიჭერენო და ბრაზმორეულმა, რომ თავის განზრახვას ვეღარ ასრულებდა, მოისვა ხანჯალზე მარჯვენა ხელი და ჩაკრა გულში ქალს ამ სიტყვებით: „თუ ჩემი არ იქნები, ნურც მისი ყოფილხარ!" ესმა საზარელის კვნესით ძირს დაეშვა. ბახვა დაეკონა თავზე ესმას. ის სისხლში ცურავდა.

— არიქა, ბიჭებო, მომეხმარეთ! ესმა მომიკლეს!... ამის თქმა და მისი მიწაზე დაცემა ერთი იყო. მოსამსახურეებმა აიღეს ორიეე ცოლ-ქმარი და შეიტანეს ოთახში.

სალომე გარედან გადარაზულს ოთახში იყო და იქიდან ყვიროდა: „ვინ ხარ პატრონი?... კარები ჩაგვიკეტეს. რა ამბავია, შვილები ხომ არ დამიხოცეს?" თან გოგოს ტირილი ისმოდა. დამწყვდეულებს მაშინვე გაუღეს კარები. საწყალი დედა თმა-გაწეწილი შემოვარდა და, როცა თავის შვილები სისხლით გათხუპნულები ნახა, ჩაიკეცა და გულს შემოეყარა.

მოსამსახურეებმა ბახვას და მის ცოლს თბილის წყლით მოშანეს სისხლი და მაგრათ შეუხვიეს. ბახვას მარჯვენა მკლავში მოხვედროდა რევოლვერი. სისხლისგან დაცლილი ძალიან შესუსტებულიყო, მაგრამ ჭრილობის შეხვევის შემდეგ. როგორც იყო, მოსულიერდა, აფორხდა, გადაეხვია თავის ცოლს და ნუგეშმიხდილი ჩასძახოდა: „ესმა, ვინ მომიკლა შენი თავი"?... იმან თვალები გაახილა სახეზე ღიმილი მოუვიდა. ბახვამ დაუკოცნა ნაცრის ფრად ქცეული ტუჩები და მალ-მალ ჩაკითხავდა, ვინ იყო მისი მკვლელი... ესმას მოუვიდა მანჭვა და პირიდან სისხლი ამოაქცია. ცოტა ხანს შემდეგ არეულათ წამოიძახა: „იერემიამ მომკლა"...

— მიშველეთ, ექიმი!

— კი, ბატონო, კაცები კაი ხანია გავგზავნეთ.

— ესმა, ესმა!... — ჩასძახა სასოწარკვეთილმა ბახვამ... მაგრამ ესმა აღარ იყო ამ სოფლათ.

მეოთხე ნაწილი.

I.

მეოთხე დღეს ბახვას ოჯახიდან საზარელი ხმა ზარისა და მოთქმით ტირილისა გამოისმოდა. ეზოს ღობის ჩაყოლებით იდგენ ჩამწკრივებულნი უნაგრიანი და ასალ-უნაგრიანი ცხენები; ზოგი მათგანი რახტით იყო შეკაზმული. დროგამოშვებით ეზოში შედიოდენ ახალ-ახალი ცხენოსნები — კაცები და ქალები. თმებ-გაშლილნი. შავით შემოსილნი. ისინი ჯერ კიდევ ეზოში არ ჩასულიყვნენ, შორიდან მორთავდენ ხმა-მაღლა ტირილსა. გაიპოტნიდენ სახეს. მათ წვივილ-კივილს აჰყვებოდენ კაცები, გაჰქონდათ თავის ტყეპა და წვერების გლეჯა.

ბახვას ოჯახში ახლა თაოსნობდა მისი ბიძაშვილი ნესტორა, რომელსაც დაეპატიჟნა ტირილზე შორეულნი მოკეთენი, ნაცნობნი და მეგობრები. აგრეთვე გარემო სოფლის ხალხი გლეხი. აზნაური და თავადი. იმას ორას-სამასი კაცის ხარჯი და სანოვაგე დაემზადებინა. ათი საპალნე ღვინო ეყიდნა, რამდენიმე ფუთი ხმელი და ნედლი თევზი დაებარებინა. ზოგი ფოთიდან. ზოგი ქუთაისიდან. წელა. ხიზილალა და მრავალნაირი სამარხვო საჭმელი ხორათ ეყარა. ბევრი მისთანა მოტირალიც იყო, რომ დაუპატიჟებლათ მოსულიყო — მხოლოდ ტირილის დასაშვენებლათ უსაქმურნი და კარ-და-კარ მოსიარულენი. მათთვის ლხინი და ტირილი თანასწორი სასიამოვნო გასაგონია, რადგან ორივედგან კარგათ ჩაბრუჟდებიან, როგორც სანოვაგით, აგრეთვე ღვინით. ისინი სუნით ეძებენ ამისთანა შემთხვევას. ესმას ტირილსაც მრავალი მიატყდა ამისთანა მესადილეები. იმათ არა აქვთ ჩვეულება ხორცის დათმობისა. ჰირისუფლებზე კიდევ უფრო პატივისცემა იმათ უნდა, რადგან ისინი არიან მაგინებელნი და მაქებელნი, ოჯახის სახელის ავათ თუ კარგათ მომხსენებელნი. ამის გამო სამარხო საჭმელების გარდა იმ დღესა და მეორე დღეს ბახვას ოჯახს ორი ძროხა არ ჰყოფნია მოქელეხეებისათვის.

აივანზე თანდათან ემატებოდენ ახალ-ახალნი მომტირალნი, რომელნიც უცდიდენ თავიანთ რიგს. ეტირებოდათ თუ არა. სულ

ერთი იყო, მაინც თავში უნდა ეტყეპნათ და ეძახნათ წინდაწინ დაზეპირებული სიტყვები: „ვაი ჩემს უბედურებას! ამას რას ვხედავ? ვინ იყო ის ღვთისაგან წყეული, რომ ამ წმინდა ანგელოზს დღე ძოუსპო? ვინ გაბედა ბახვა ფულავას ოჯახის აფორიაქება“ და სხვა....

ბოლოს სახლის აივანი და თვით სახლი ისე გაიტენა მომტირალებით, რომ ტევა აღარ იყო. მრავალი ხალხი, რომელსაც ტირილი გაეთავებინა, ჭიანჭველასავით ირეოდა განიერს ეზოში. თვით სახლის დარბაზში, შუაგულ ალაგას, ესმა ესვენა. ძირს იატაკზე მოფენილი იყო ხალები და ფარდაგები. კედლის ჩაყოლებით ხალიჩებზე ისხდენ ჭირისუფალნი, სულ ჩაშავებულ-ჩაკუპრულნი. ქალებს ყველას თმა გაეშალათ.

კუბოს მახლობლათ ძირს საფენზე ჩამჯდარიყო დედა-მისი სალომე, რომელსაც პირისახე სულ დაპოტნილი ჰქონდა და სისხლი სდიოდა. შუბლზე უშველებელი კოპალი უჯდა. იმ უბედურს სიმწრისაგან შუბლი მაგრათ დაეკრა იატაკზე და კანი ლურჯათ ამობეროდა. მუდამ ხმამაღლა ტირილისაგან ტუჩები დასივებოდა, ხმა ჩახლეჩოდა, ცრემლისაგან გამშრალიყო. უსმელ უჭმელობით იმ სამს დღეში ისე გამხდარიყო, რომ კანისა და ძვლის მეტი აღარა იყო-რა. ოვალები ჩაცვინოდა; ისე იცქირებოდა, თითქოს თვალის სინათლე გამოშრეტოდეს და მისი გამობლენცილი შეხედულება ჭკუა-შერეულს ადამიანს მოაგონებდა კაცსა. ის მისვენებოდა კედელს და გარეტიანებულათ იყურებოდა აექთ-იქით. მის გვერდით მუთაქაზე წამოწოლილი იყო მხარაკრული ბახვა, სისხლის დენით დაცალიერებული, ფსვენასავით გაყვითლებული და მისუსტებული. ვისაც უწინ მისი დაშვენებული სახე და ლამაზი ტალავარი ენახა, ის როგორღა იცნობდა სამარიდან ამოღებულს ბახვას. ის ახლა ხშირად გულ-მოსაკლავად კრინავდა: „ვაი, ვაი!“ მას შემდეგ იჯდა ნესტორას ცოლი, რომელიც შეგრულს კილოზე ლამაზის, სამწუხარო ხმით მოსთქვამდა და ხან-და-ხან ისეთს გულსაწვავ სიტყვებს წამოიძახებდა ხოლმე, რომ მთელს იქ მყოფს ხალხს ააქვითინებდა. მისგან ამოკვნესილს „ვოვო, ნანა“-ს... ვინც გაიგონებდა, რომ არ ნდომებოდა, მაინც უნებურათ ცრემლებს გადმოჰყრიდა.

შესავალ კარებთან იდგა ხუთი მოზარე და, როგორც კი ახალი მომტირალი ხმამაღლა დაიწყებდა მოთქმას, მაშინვე გლოვის ზარს დაჰგუგუნებდენ, რომელზედაც მომტირალი წვრილად, ხმაშეწყობით დაჰგალობებდა. სამწუხაროთ და გულმოსაკლავათ.

სამტირალო დარბაზში ჭირისუფლებს შემდეგ ჩაჰყვებოდენ მეზობლები და ნაცნობები, ყველანი ძირს ხალიჩებზე დამსხდარნი. მათ

შორის ბევრი ახალგაზდა ქალი ჩნდა. ზოგს მათგანს სქელი შავი თმა და ზოგს მუქი წაბლის ფერი თმა მხრებს და მკერდ-კისერს უფარავდა. სქლად ჩამოშლილი თმებიდან გამოსცქეროდენ გრძელი წამწამებით შემოსარული ცეცხლ-მფრქვევი თვალები და გამოსჭვიოდენ ბროლის მკერდ-კისერნი. ამათი პატრონები კარგათ ჰგრძნობდენ, რამდენათ ჰშვენოდათ მათ ლამაზ სახეს ლაზათიანათ ჩამოშლილი გძელი თმები და, როცა ვინმე შესამჩნევი მომტირალი შემოვიდოდა ჭირისუფლის მისატირებლათ, ხან ერთი კუთხიდან მოისმოდა და ხან მეორე კუთხიდან კრიალა ხმით მოთქმა შვენიერის მანდილოსნისა. იმათ იცოდენ, რა დროს რა სიტყვები უნდა გამოეთქვათ მწუხარების ხმით, რით აღეძრათ მომსვლელების ყურადღება. მათი ტირილი მართლაც სევდით მკვესარს საგალობელს მიემსგავსებოდა. ეს იყო ერთი რაღაც გულის მომხიბლავი კაეშნის სიმღერა. ამისთანა მომტირალს თუ ვინმე ახალგაზდა ვაჟი თვალს შეასწრებდა, არ შეიძლებოდა მისი გული არ ადუღებულიყო; მტირალი მანდილოსანი ხან თანაგრძნობას, ხან შეცოდებას გამოიწვევდა ვაჟის გულში. მაგრამ, როცა შვენიერი მანდილოსანი გაშლილს თმას გაისწორებდა თავის ბროლის თითებითა და ამ დროს მის გრძელს წამწამებს მარგალიტებიეით შემოესხმოდენ ცრემლის ცვრები, აქ კი ახალგაზდა ჭაბუკის გული მწუხარების კარს უცებ დაჰხურავდა და სიყვარულის ისრით განისმეალებოდა. ასეთი შთაბეჭდილება აუცილებელი ხდება ხოლმე გრძნობა-მომღერალის ჭაბუკის გულისათვის.

მართლაც. იმერეთის ცხოვრებაში ორი შესამჩნევი დროა, როცა ლამაზ ქალებს სჩვევიათ ვაჟკაცის გულის ატოკება უმაღლეს ხარისხამდის: ერთი ლხინი, როცა ლამაზი ქალი ლეკურს თამაშობს, ან ტკბილათ დაამღერებს ჩონგურზე და გიტარაზე; მეორე ტირილი, როცა ლამაზი ქალი თმა-ჩამოშლილი გულ-გასაგმირალს სიტყვებს წამოაკრიალებს და თან მწუხარის, მაგრამ სასიამოვნო ხმით დაკვნესს, დაღიღინებს. ამ უკანასკნელ შთაბეჭდილებას ძნელათ თუ გაუძლებს ხოლმე ჭაბუკის მგრძნობელი გული. აი, ამით აიხსნება ხალხში ლექსად გამოთქმული ეს ღრმა შთაბეჭდილება და ვაჟკაცის გულის აფეთქება ლამაზის ქალის ტირილით:

ნეტავი მომკლა ხის ძირსა, ფოთოლი დამედინოსა;
მოვიდეს ქალი ლამაზი, გულს ცრემლი დამადინოსა...

ასეთი ჩვეულება ხალხის ცხოვრების ძარღვათ გამხდარა; ჭირი და ლხინი სწორეთ საზოგადოების დამაკავშირებელია. ამიტომაც გლოვა ტირილის დროს დაუპატიჟებლობა ნათესავებისა და მეზობლებისა ურთი-ერთობის დარღვევის მიზეზად ხდება. ამ დროს რომ ვინ-

მე გამორჩეს და თავისიანი არ დაპატიჟოს, სამდურავს ვერ ასცილ-დება. ეს გარემოება შეიქნება უმძიმესი მიზეზი ხანდახან მოსისხლე მტრობისაც.

ბახვა ფულავას იმ დღეს განუწყვეტლად მოსდიოდა ახალ-ახალი მოტირლები, ქალი და კაცი. ისინი რიგ-რიგათ შედიოდენ დარ-ბაზში მიცვალებულის სატირლად. თითოეულს მოტირალს ჯერ კუ-ბოსთან, საცა იგი შესაფერად შეიცხადებდა მიცვალებულის მდგო-მარეობას; შემდეგ მიიყვანდნენ მას ბახვასთან, რომლის წინაშე მუხ-ლი უნდა მოეყარა და თანაგრძნობის გამოსაცხადებელი სიტყვები გა-მოეთქვა; შემდეგ მიიყვანდენ ბახვას სიდედრთან, მერე ნათესავებ-თან და ბოლოს გამოიყვანდენ გარეთ. ახლა მეორეს შეიყვანდენ და ამასაც თავის რიგზე ატირებდენ. ამ სახით, დილიდან დაწყებული ნა-შუადღევის ორ საათამდის ძლივს მოლიეს მოტირალნი. შემდეგ სუფ-რა გაიშალა ყოველნაირი სანოვაგით და ტირილიც მიყუჩდა. სადილს რომ მორჩენ, მზე დაწეული იყო. ამ დროს მღვდელ-მთავარმა მიცვა-ლებულის წესის აგება დაიწყო და, როცა მგალობლებმა დასძახეს: „საუკუნოთ იყოს ხსენება....", უეცრად მოისმა საოცარი კივილი სა-ლომესი: „მიშველეთ; ჩემი ესმა ხრამში გადამიგდეს!... „იგი გიჟუ-რათ აფეთებდა თვალებს და ღონივრად არღვევდა ხალხს კუბოზე ღასატაკებლათ. ამ საზარელს წამს შესწყდა წესის აგება. ხალხში გაისმა, „უბედური დედა, მწუხარებისაგან გაგიჟდა!" ერთმა დაიძახა: „ხელი მოჰკიდეთ, კუბოს მოაცილეთ ეგ უბედური!" ექვსმა კაცმა ძლივს დაამაგრა გალომებული სალომე; ის გაიყვანეს მეორე ოთახში. გათავდა თუ არა წესის აგება, ბახვა მიიყვანეს მიცვალებულის გამო-სათხოვრათ.

— ესმა, ჩემო სიცოცხლის კავშირო! — დაიღრიალა საცოდა-ვათ ბახვამ, — მიხვალ?.. საუკუნოთ მეთხოვები?.. რა დაგიშავე, შე ქალო, ამის ფასი?.. ეგ იყო შენი დაპირება?.. ეგ იყო შენი მტკიცე ფიცი საუკუნო სიყვარულისა?.. ვინ წამართვა შენი თავი ასე უდრო-ოთ?.. შენ გგონია, შენს შემდეგ მე კი ვიცოცხლო?.. არა, ჩემო ლა-მაზო! ჩემო უმანკო თეთრო მტრედო!... არც მე მინდა უშენოდ სი-ცოცხლე. მეც მალე უნდა გამოგედევნო. განა შენ კი არ იცი, რის-თვის ვრჩები. მარტო იმისთვის რომ შენი ვალი ავასრულო, შენი უდროოთ დამმიწებელი დავამიწო. თუ ეს არ ავასრულე, აბა პირ-ნათლად როგორღა შეგეყრები?.. აბა, როგორ იფიქრე, შე ურწმუ-ნო, შე გლახა, რომ მე უშენოდ ცხოვრება შემეძლოს?.. ჩემთვის ეს ქვეყანა უშენოდ კუპრია, ჯოჯოხეთია. ან სახლ-კარი რაღათ მინდა. ან ქონება, ან მოყვარე და მეზობელი, ან ტოლი და ამხანაგი! შენმა

განშორებამ ჩემი სიეაქკაცე ჩააქრო; ჩემი მარჯვენა მოშალა, მე აწ მხოლოდ ერთიღა მოვალეობა მაწევს: მე უნდა მოვკლა შენი მკვლელი! ვფიცავ შენს ცხედარს, არ გიმტყუნო. შენ კი გეხვეწები ღმერთს შეეევედრო, რომ ეს ჩემი წმინდა მოვალეობა მალე ამასრულებინოს. რომ მალე მოვიდე შენთან. ვაიმე, ვაიმე, ვაიმე!..“ ამ სიტყვების წარმოთქმაზე ბახვა დასუსტდა და გულს შემოეყარა. „წყალი, წყალიო!“ გაისმა ხალხში. იგი ციმციმ აიღეს და ერეოე ოთახში გაიტანეს. ამ დროს კუბო გამოიტანეს დარბაზიდან. „განუსვენე. უფალო, სულსა ახალ მიცვალებულისა მხევლისა შენისა. ესმასი.“ დააგუგუნეს მგალობლებმა. შეიქნა საშინელი საერთო ხრიალი, კივილ-ჩხივილი. ბახვას გრძნობიერმა სიტყვებმა მთელი ხალხი აატირა.

ოჰ, რა ცოდვა დატრიალდა, რა ოჯახი დაიქცა! ოჰ, იერემია, იერემია, უღმერთო იერემია!... ისმოდა ხალხში, როცა მარხავდენ ესმას.

II.

იერემია იყო ერთი ხელმოკლე თავადიშვილთაგანი. მისი დედამამა ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, შვილი გიმნაზიაში გამოეზარდა. მამამ ჩამოიყვანა ცხრა წლის ყმაწვილი ქუთაისს და დააყენა ერთ ხაცნობ ღარიბ სახლობასთან, რომელიც მოწაფეთა მოვლით რჩებოდა. იერემია იდგა ქუთაისს ჩამოსახლებულ გლეხთან, რომელიც ქალაქზე იყო მიწერილი. ის სოფელს მხოლოდ იმისთვის გამოქცეოდა, რომ სახელმწიფო გადასახადისაგან თავი გაენთავისუფლებინა. თითო მოწაფის რჩენაში იღებდა თვეში რვა მანეთს. იერემიასთან რვა გიმნაზიელი კიდევ სხვა იდგა. მათ ჰქონდათ მიჩენილი ერთი პაწია ოთახი, წნული კედლებიანი, ჯერ მიწით გალესილი და მერე კირით შეფეთქილი. ოთახს აგურის იატაკი ჰქონდა დაგებული, ერთ მხარეზე, კედლის ჩაყოლებით, ფიცრის ტახტი იყო და ზედ გამოხუნებული, გამოცრეცილი ფარდაგი ეფინა. ლოგინზე ერთი კედლიდან მეორე კედლამდის გამწვირიანებული ჩითის ქვეშსაგები იყო ჩამწკრივებული. თითო ყმაწვილს იმდენი ალაგი ჰქონდა დაჭერილი მოხსენებულს ტახტზედ, რამდენზედაც თვითონ დაეტეოდა. ამ ცხრა მოსწავლეს ღამეში ერთი ქონის სანთელი ჰქონდათ მიჩენილი, რადგან იმ დროს ჯერ კიდევ კეროსინი არ იყო შემოღებული. ღამით იმ ერთ ქონის სანთელზე სწავლობდენ ყველანი; მაგრამ იერემია ისეთი ბეჯითი მოწაფე გამოდგა, რომ გაკვეთილების სწავლას დღის სულით ასწრებდა. სანთელზე თავჩაქინდრულს წიგნის კითხვას ძალიან ერი-

დებოდა. ის თავის მეხსიერების წყალობით სამი წლის განმავლობაში მეორე კლასში გადავიდა. ამისთანა წარმატება იმ დროს ჩვენებურის ახალგაზრდისათვის ძლიერ იშვიათი შემთხვევა იყო, რადგან გიმნაზიაში ქართველ ყმაწვილებს ისე აბარებდენ, რომ რუსულის ერთი სიტყვაც არ გაეგებოდათ. სანამდის თითო-ოროლა ფრაზების თქმას და გაგებას შეიძლებდენ, ისინი ყოველ კლასში ორ-ორ წელიწადს უნდა დარჩენილიყვნენ. მაგრამ იერემია ისეთი მეცადინე ყმაწვილი გამოდგა, რომ არც ერთ კლასში თითო წლის მეტი არ დარჩენილა. თუ რომელსამე რუსულს ფრაზას მოჰკრავდა ყურს, მისი დავიწყება შეუძლებელი იყო და ჩიქორთული რუსულის ლაპარაკში ცდილობდა ყოველთვის ახალი განაგონი ფრაზა ხშირად ეხმარა. ამნაირი ვარჯიშობით იერემიამ სამის წლის განმავლობაში იმდენი რუსული შეისწავლა, რომ მეხსიერებას ძალას აღარ ატანდა და თავის ჩიქორთული რუსულით უგებდა პასუხს. მასწავლებელნიც რა-კი მეცადინეობას და ნიჭს ნიშნავდენ იერემიას, მის რუსულ-ქართულ გამოთქმას კილში არ უდგენ და ახალისებდენ კარგი ბალების დასმით.

1870 წლიდან უბედური ხანა დადგა საქართველოს ახალგაზდობის განათლებისათვის. ამ წელს აღიძრა კითხვა, რომ ქართულის ენის საფუძვლიანი სწავლება გიმნაზიებში უნდა შემცირებულიყო, შტატის მასწავლებელნი უნდა მოსპობილიყვენ და ის დრო რომელიც ხმარდებოდა ქართულ ენას, ქართულის მწიგნობრობისა და მის ისტორიის შესწავლას, ლათინურისა და ბერძნულის ენის გაკვეთილებს უნდა მოხმარებოდა. რაკი ქართული ენის სწავლების შტატი მოსპეს, იმის მაგივრათ ლათინურისა და ბერძნულის სწავლება პირველი კლასიდან დააწყებინეს ქართველ შეგირდებს. ამათ მესამე კლასამდე რუსული ფარსაგათ არ ესმოდათ და, რადგან ბერძნულ-ლათინური რუსული ენის საშუალებით უნდა ესწავლათ, ამისთვის ქართველი შეგირდობა თითქმის სრულებით დამუნჯდა, სწავლისათვის მათი გონება დაიხშო. ლათინურისა და ბერძნულის ენის კანონებს რუსული ენის საშუალებით ასწავლიდენ და, ჯერ რომ რუსული არ იცოდენ, ბერძნულის გრამატიკის კანონებს საიდანღა გაიგებდენ?...

ერთი მრავალთაგანი მსხვერპლი ამგვარის სწავლებისა შეიქნა იერემიაც. ეს ქორფა გონების მოწაფე ცდილობდა შერიგებოდა ახალ წესს; იყიდა ბერძნული და ლათინური გრამატიკები და მოსდგა გაუგებარი სიტყვების ზეპირობას. კლასში ყურთა სმენათ იყო ის გადაქცეული, მაგრამ, რადგან რუსული ენა ჯერ კიდევ ზედმიწევნით ვერ შეესწავლა, ხშირად ეკარგებოდა თავი და თავი აზრი მასწავლებლის ლაპარაკისა. სანამდის კლასში გაფაციცებული ყურს უგდებდა, მა-

ნამდის თითქოს სჯეროდა, გაკვეთილები გავიგეო; მაგრამ, როცა სწავლა გაუთავდებოდა, შინ დაბრუნდებოდა და სადილს უკან ამოიღებდა თავის ლათინურს გრამატიკას, უნდოდა დაეწყო მეორე დღის გაკვეთილის შესწავლა, მაშინ რწმუნდებოდა, რომ, რაც მასწავლებელს კლასში ელაპარაკნა, იმისი აღარაფერი ახსოვდა. მეტი რა ღონე ჰქონდა, მოჰყვებოდა უაზრო ზეპირობას ლათინურის უღვლილებისა და კანკლედობისას. ამ ჭაპანწყვეტაში რაც უფრო დრო გადიოდა, ისე უფრო ეკარგებოდა სწავლის ხალისი იერემიას. ბოლოს sum, fui, esse-ს ზეპირობამ გონება დაუბნელა, ნერვები აუშალა და გააბრაზა. ყმაწვილი სრულებით გამოიცვალა, უწინდელი მშვიდობიანი სახის გამომეტყველება გაუქრა. ის მუდამ წარბშეჭმუხვნილი შეიქნა. შესძულდა მასწავლებლები, შესძულდა თვით დირექტორი და მისი მოსამსახურეები. მის კლასის ბალებს მოაკლდათ სიმხიარულე. „სამი“ და „ოთხი“ ძალიან ძვირობდა. მთელი კლასის ჟურნალი იერემიას სახელობაზე „ორით“ იყო აკრეფილი, „ერთებიც“ ხშირად ჰქონდა. მას შეძულდა თვით გიმნაზიაც, იქ სიარული აღარაფრად ეპიტანებოდა...

ამავე გარემეობაში ჩავარდა მომეტებული ქართველი შეგირდობა. მალე შესდგა თანამგრძნობელთა წრე და ამ წრეში მოხვდა თვით იერემიაც. თუ თითო-ოროლა კაპეიკს იგდებდა ხელში ვინმე მათგანი, მაშინვე გამართავდენ საერთო ლხინს და სხვადასხვა დუქნებში დახეტიალობდენ. ამისთანა „დღე-ხვალიობით“ ყმაწვილებმა სრულებით აუგდეს გული სწავლას. ზოგიერთებს დუქნებში ვალებიც დაედვათ და მედუქნეები დირექტორთან დასმენას ემუქრებოდენ, თუ ვალი არ გადაგვიხადეთო. ერთი მხრით შიშმა და მეორე მხრით ქეიფის სურვილმა მოსწავლეთა წრეს აფიქრებინა ქურდობა. ერთი მათგანი იდგა ბინად ლათინური ენის მასწავლებელთან.

— ყმაწვილებო, შესძახა იმან ერთხელ თავის ამხანაგებს,— რომ იცოდეთ, ლათინურის მასწავლებელს რამდენი ფული აქვს დაგროვებული!

— როგორ! ჰკითხეს ერთად ცნობის მოყვარე ამფსონებმა.

— ეს ერთი წელია, ლათინურის მასწავლებელი ყუთში ფულს აგროვებს. თავის საწერ სტოლზე უდგას და დღე ნიადაგ შიგ თეთრ ფულსა ჰყრის; ხანდახან ისიც შემინიშნავს, რომ ყუთის ამოჭრილში ქაღალდის ფულიც ჩაუქვრენია ხოლმე; ხშირად შეეიპარები მის სამუშაო ოთახში და ყუთს გავარიჩხინებ ხოლმე. ამ ბოლო დროს ყუთი ისე დამძიმდა, რომ ცალი ხელით ველარ ვიღებ.

— ბიჭოს!.... შესძახეს გაკვირვებით ამხანაგებმა.

— ხელდახელი ყოფილა! შენიშნა მეორემ.

— ჰაი. თუ გამოაცოცო?... შეეკითხა მესამე.

აჰ, როგორ იქნება! — იქვით უპასუხა პირველმა. — რომ შეგიტყონ, რალა ვქნა?

— რას შეგიტყობენ! გაუადვილა იერემიამ.

— მერე მე იქ დადგომა აღარ შემიძლია.

— ძალიან საჭიროა, თუ ვეღარ დადგები! უთხრა იერემიამ.

— წევე. ბევრს გასწავლიდეს! აუარება ფულს კი ახდევინებს მამაშენს. ჩვენზე უკეთ ვერც შენ სწავლობ. ნახევარი იმ კოლოფში სულ მამა-შენის ფულებია. წაართვი, კიდეც შეგერგება.

— ნამდვილათ შეგვერგება! დაკკრეს კვერი დანარჩენებმა.

— წამოიღე ის ფული და გადმოდი ბინათ ჩვენთან.

— გიმნაზიიდან გამომაგდებენ. — ჩაფიქრებით თქვა პირველმა.

— ჩვენ რომ კარგად ვსწავლობთ, იქ დიდხანს მაინც არ დაგვაყენებენ.

— რაც იყოს და იყოს, წამოიღე. ერთ თვეს მაინც გვაქვეიფებს, ვალებსაც გადაგვიხდის და კარგია; მერე ჩვენც ვიშოვით ფულებს, აღტაცებით წამოიძახა მეორემ.

— მაშ არ გამამხილოთ! — გადაწყვეტით თქვა პირველმა.

— ვინც გაგთქვას. რიონში გადავაგდოთ, დაასკვნა იერემიამ.

— ძალიან კარგი. ძალიან კარგი! მოიწონა ყველამ. ეს ამბავი მით უფრო იამათ ყმაწვილებს რომ ლათინური ენის მასწავლებელი სძულდათ და მისი მონაგარი ხდებოდა საქეიფო თანხათ. როგორც თქვეს. ისეც აასრულეს. მეორე დღეს ლათინური ენის მასწავლებელმა თავის ყუთი რომ სტოლზე ვეღარ დაინახა, ეოცა. ბევრი ეძება, ილრიალა. შინაური მოსამსახურე გოგო, რომელზედაც იქვი ჰქონდა შეტანილი, კიდეც გალახა, მაგრამ ყუთი მაინც ვეღარ აღმოაჩინა. ეს ამბავი შეიტყო დირექტორმა, რომელმაც სხვათა შორის ჩუმი განკარგულება მოახდინა, თვალ-ყური ედევნებინათ იმ გიმნაზიელებისათვის, რომელნიც ლათინური ენის მასწავლებელთან იდგენ. ამას გარდა დირექტორს არა ერთხელ ჰქონდა მოხსენებული, რომ ამ ბოლო დროს შეგირდები ხშირად ქეიფობენ დუქნებშიო. ზოგჯერ ღამის დარაჯებიც წაატყდებოდენ მათ თავზე რომელსამე დუქანში, მაგრამ მორიდებით ვერა გაებედნათ-რა. პოლიცმეისტერმა რამდენჯერმე შეატყობინა ეს ამბავი დირექტორს, რომ მას მოეხდინა ამ საგანზე საკუთარი განკარგულება.

მართლაც დირექტორმა გააფრთხილა ინსპექტორი და ზედამხედველები; აგრეთვე პოლიცმეისტერსაც მისწერა, თუ სადმე შეიტყვდიოთ გიმნაზიელები, ღამით რომ დუქანში ქეიფობდენ, ყველანი დაიჭირეთ და მე წარმომიდგინეთო.

მეხუთე დღეს ერთმა გიმნაზიელმა მოიტანა ყუთის ნამტვრევი. „სადაც მე ვდგევარ, ეს იმის მახლობლათ ვნახე აგურხანაში ჩაგდებულიო“, უთხრა ინსპექტორს. ლათინურის მასწავლებელმა მაშინვე იცნო თავის ყუთის ნამტვრევი და იქვე აღარ ჰქონდა, რომ ერთი იმის მდგმურ-მოწაფეთაგანი იყო ამის მომქმედი, რომელსაც იმ ხანებში აეკრა ბარგი და ცალკე გადასულიყო. მაგრამ შეგირდს მაინც ხელი არ ახლეს, მხოლოდ ზედამხედველებს მიანდეს ყმაწვილების მეთვალყურეობა.

ერთ ღამეს, როცა ჩვეულებრივათ პოლიციის დარაჯები დადიოდენ ქუჩა-ქუჩა, სადღაც ქალაქს გარეთ, ერთს დუქანში, მოესმათ შვენივრად შეწყობილი სიმღერები. დარაჯები ფეხაკრეფით მიუახლოვდენ ამ დუქანს. პოლიციის მეთვალყურემ გამოიხმო მიკიტანი და ჰკითხა სტუმრების ვინაობა. იმან უთხრა, გიმნაზიელები არიანო. პოლიციელმა უცბათ შეაღო კარი და გამოუცხადა ყმაწვილებს, დირექტორთან უნდა წამოხვიდეთო. შეიქნა საერთო ლაპარაკი: ზოგი ეხვეწებოდა პოლიციის მეთვალყურეს, თავი დაგვანებეთო. ზოგი ემუდარებოდა; მაგრამ ღამის მეთვალყურე ყურსაც არ იბერტყდა. აძ დროს უეცრად წამოიძახა ერთმა მოზდილმა გიმნაზიელმა: — რა ღმერთი გიწყრებათ? გინდათ, რომ ასე ცხვრებივით წაგვრეკონ დირექტორთან და ყველანი ერთიანად გამოგვრიცხონ გიმნაზიიდან?

— დაჰკარით, სანამ დრო გვაქვს, სანამ ჯერ კიდევ სხვა დარაჯებიც არ შოეშველებიან!.. — ეს ყმაწვილი იყო იერემია.

მის თქმაზე ერთბაშად ჩაერია თორმეტი გიმნაზიელი და შეიქნა საშინელი ცემა-ტყეპა პოლიციელებსა და გიმნაზიელებს შორის. პოლიციის მეთვალყურეს განსაკუთრებით ბევრი მოხვდა. იმან იცნო ლათინურის მასწავლებლის შეგირდი, ჩააელო მას ორივე ხელი ისე მაგრათ, რომ ვერას ღონისძიებით ვერ გამოგლიჯეს ხელიდან. იერემია მაინც მეტად გამწარებული იბრძოდა: ორი ხიშტიანი ჯარისკაცი დასცა და თოფები აქეთ-იქით გადაუყარა. ამ ხმაურობაზე და პოლიციელების სტვენაზე მობრიგინდენ სხვა დარაჯებიც. ყმაწვილებმა რომ შეატყეს, ცუდათ იყო საქმე, ყველანი აქეთ-იქით გაიფანტენ ღამის სიბნელეში; დარჩა ხელში პოლიციის მეთვალყურეს მხოლოდ ყუთის ქურდი, რომელიც ჩააბარეს დირეტქორს.

III.

დირექტორმა მეორე დღესვე მოიწვია მასწავლებელთ რჩევა, რომელმაც გადასწყვიტა შეგირდების გიმნაზიიდან გამორიცხვა. მაგრამ ამასაც არ დააჯერეს. დირექტორის თანხმობით ინსპექტორმა და

ლათინური ენის მასწავლებელმა კიდევ უფრო სასტიკი ზომა იხმარეს. იმათ წაიყვანეს სამი მოწიფული გიმნაზიის დარაჯი ბნელს ოთახში, სადაც ყმაწვილი სამი დღე და ღამე მარტო წყლითა და პურით იკვებებოდა, როგორც ტუსაღი, გააწვინეს შეგირდი და ორი კონა წნელი ზურგზე დაატეხეს, — იმ დროს გარეზგვა კანონით მოსპობილი იყო. შეგირდმა სირცხვილით არა გაამხილა-რა, თუმცა ნაცემზე სულ სისხლი სდიოდა. ამ შემთხვევის შემდეგ ლათინური ენის მასწავლებლის სიფიცხეს და ქართველი გიმნაზიელების შეძულებას საზღვარი არ ჰქონდა. იმის მოხსენებით დირექტორმა და პედაგოგიურმა რჩევამ წარადგინეს კავკასიის მზრუნველთან გიმნაზიის გაწმენდის პროექტი. „რადგან გიმნაზიაში ხანგადასული შეგირდი ბევრია, რომელნიც ძველს კლასიკურ ენებს ვეღარ ისწავლიან და სხვა ახალგაზდა მოწაფეებზედაც ცუდი გავლენა აქვთ, ამისათვის საჭიროა ყველა ხანგადასული შეგირდები ყოველ წლობით გამოირიცხოსო“.

ეს წარდგინება კავკასიის მზრუნველმა დაამტკიცა. ამის გამო იმ წელს, ეგზამენების შემდეგ, ორმოც-და-ათი ყმაწვილი გამორიცხეს, რომელთ შორის იერემიაც იყო. თვით ეგზამენებზე გადამტერებით კითხვას და შეგირდების ჩაჭრას ლათინურ-ბერძნულში საზღვარი არა ჰქონდა. ამ გარემეობამ გამორიცხული ახალგაზდები ისე გააბრაზა, რომ ლათინურისა და ბერძნული ენის მასწავლებელნი კეტებით დაბრიგეს.

ზემოხსენებულმა ფიცხელმა განკარგულებამ გიმნაზიის მთავრობისამ ბევრს ქართველს ახალგაზდა მოწაფეს გზა გადაუღობა განათლებისაკენ და დაარჩინა ცხოვრებაში ულუკმა-პუროდ.

ახალი გამორიცხული ყმაწვილები მოირთენ ჩერქეზულად და ჩასხდენ იარაღში; იმათ შეხედვას არა სჯობდა-რა. სანამდის ისინი სწავლაში იყვენ და მათ დედ-მამებს იმედი ჰქონდათ, რომ კურსს შეასრულებდენ და ბოლოს სწავლით ლუკმა-პური ექნებოდათ, მანამდის ისინიც არას ზოგავდენ; ასე გასინჯეთ, თითო-ოროლა ჩამოჭრილი ადგილი თუ კი სადმე მოეძებოდათ, იმათ ჰყიდიდენ, რომ თავთავის დროზე გიმნაზიაში სასწავლო ფული ეხადნათ და მათი ხარჯიც ესტუმრებინათ. მაგრამ, რაკი ახლა შვილები გამოურიცხეს სასწავლებლიდან, იმათს მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. თუმცა მშობლები არც გიმნაზიის მთავრობის კმაყოფილნი იყვნენ, რომ ასე უნუგეშოთ დააგდეს ცხოვრებაში იმათი შვილები, მაგრამ მომეტებულს ბრალს მაინც თავის შვილების ურიგო ყოფაქცევას სდებდენ. ამან გამოიწვია მშობლებსა და შვილებს შორის უკმაყოფილება. „თქვენ ვაჟკაცები ხართო“, — ეუბნებოდენ მამები თავიანთ შვილებს: — სანამდის

იმედი გექონდა, რომ ისწავლიდით და ბოლოს მოხუცებულობაში. როგორც ჩვენ, ისე თქვენს უმცროსებს უპატრონებდით. მანამდის არც ვზოგავდით თქვენის გულისთვის არაფერს, ასე გასინჯეთ, ადგილ-მამულს ვყიდდით და ისე გარჩენდითო. დღეს ეგ იმედი აღარ გვაქვს თქვენი და ჩვენ უთქვენოთაც წვრილი ცოლშვილი გვყავს საპატრონებელიო; გაიპირვეთ საქმე, შედით მწერლებათ, დადექით ადვოკატებთან, ნოტარიუსებთან, სამწერლო კანტორები გააღეთ და რამენაირათ იკვებეთ თავი, თორემ ჩვენ ვეღარას მოგაწვდენთ, — არც თქვენი ქმევა, არც თქვენი ჩაცმა-დახურვა ჩვენ აღარ შეგვიძლიანო". ყმაწვილ კაცებს არაფრათ იამათ დედ-მამების გულცივობა ზოგმა იმათგანმა გულიდან ამოირეცხა მამაშვილური გრძნობა.

იერემიამ, როგორც ფიცხელმა და გულ-ამაყმა, გადაუბრიალა თავის მამას თვალები, ჩაიკრა მუჭი გულში და წამოიძახა: „შენ მამა კი არა, მამალი მგელი ყოფილხარ, რომელიც ლეკვებს სქამს და არა ზრდის! ვინ გეხვეწებოდა ჩემს გაჩენას, ჩემი მოვლა და პატრონობა თუ არ შეგეძლო? ამიერიდან მე არც დედ-მამა მყოლია, არც ოჯახი მქონია, ერთი თავზე ხელაღებული გამოვსულვარ, გაჩვენებთ თუ თავს ვერ ვირჩენო". ადგა და კარი გაიარა. იერემიას დედამ ვეღარ გაუძლო ამნაირს სიტყვებს და შექნა ქვითინით ტირილი: „შვილო, იერემია, მობრუნდი, სად მიხვალ?". მამამ ცალკე გამოადევნა კაცები, მაგრამ იერემია მაინც აღარ დაბრუნებულა ოჯახში.

იმან აიყოლა სამი ამხანაგი, ჩამოვიდა ქუთაისს და დაიწყეს მუდამ ერთად ცხოვრება. თუმცა არავინ იცოდა მათი სახსარი, რა გზით ირჩენდნენ თავს. ეს კი იყო, რომ ამხანაგები ყოველთვის კარგი ჩაცმული გამოდიოდენ. თუ სადმე ლხინი, ან პატიჟობა იქნებოდა, იერემია თავის ამხანაგებიანათ ყოველთვის იქ გაჩნდებოდა. სიმღერა, ლეკური, ქალების არშიყობა მათ ხელთ იყო; ხან-და-ხან კერძო ოთახებში ბანქოსაც თამაშობდენ. ზოგჯერ ახირებული ხმებიც დადიოდა მათს უმართებულო მოქმედებაზე: ამა და ამ საზოგადოებაში იერემიას და მის ამხანაგებს ჩხუბი მოუვიდათ, ამა და ამ კაცს თავი გადააჯრიწეს; გუბერნატორმა აუკრძალა იმას და მის ამხანაგებს ქალაქის ადგილს ცხოვრებაო. მაგრამ ხანი გადიოდა; იერემია და მისი ამხანაგები თავისას არ იშლიდენ. პოლიციას ჰყავდა ისინი შენიშნული; მაგრამ მორიდებაც დიდი ჰქონდა იმათი, რადგან ბევრჯერ პოლიციის მოხელეებსაც მოხვედროდათ მათი მათრახი, თუმცა საბუთი ვერა ეპოვნათ-რა მაგრათ ხელის მოსაკიდებელი. იმათზე ჭორებიც ხშ ბევრი დადიოდა. მაგალითად, იერემიაზე ამბობდენ: ესა და ეს პატივცემული ქვრივი, კარგი ოჯახის ასული. იერემიას პატრონობს, აცმევს. ახურავს და ფულსაც აძლევსო. ბოლოს მათმა ქცევამ ქუთაისის სა-

ზოგადოებას თავი მოაბეზრა და მშვიდობის მოყვარე მოქალაქეები ასე გაიძახოდენ: „ვაი, როდის იქნება, იერემია და მისი ამფსონები რომ რაიმე სისხლის სამართლის საქმეში გაეხვიონ და მათგან განვთავისუფლდეთო.

ერთხელ გავარდა ხმა, რომ ს. ზეგანას ერთი მდიდარი მღვდელი ყოფილა, იმას ლამაზი ქალი ჰყოლია, ღვდლის ოჯახი გაუცარცვავთ და ქალი გაუუპატიურებიათო. ავაზაკების მოთავეთ ყოფილა იერემიაო. ამ საქმის გულისთვის იერემია რამდენიმე თვე კიდეც იყო დატყვევებული სატუსაღოში. თუმცა ბოლოს გამართლდა, მაგრამ საზოგადოებაში იქვი მაინც არ ამოფხვრილა მის ავაზაკურ მოქმედებაზე.

ამ გარემოებამ ისე ღრმათ იმოქმედა იერემიასა და მის ამხანაგებზე, რომ ყველამ ერთად განიზრახეს რომ უსაქმოდ აღარ დარჩენილიყვნენ და შევიდენ სამხედრო სამსახურში, ცხენოსანთ ჯარში, რომელიც იმ დროს ზღვის პირათ იყო სადარაჯოზე ჩამორიგებული. უმთავრესი ადგილ-სადგომი ამ ცხენოსნის მილიციისა იყო ფოთი. იმას ჰქონდა ნაბრძანები თვალ-ყური დაეჭირა, რომ ფოთში და საზოგადოთ ზღვის პირზე კონტრაბანდი არავის გამოეპარებინა.

ორი თვე არ გასულიყო მას აქეთ, რაც იერემია სამხედრო სამსახურში შევიდა და უკვე ეახმისტრობის თანამდებობას ასრულებდა. ესკადრონის თავ-ქერის ყიდვა მას ებარა. იერემია ფულის ჩამორჩენასაც შეეჩვია; მაგრამ ფულს მაინც ვერ ინახავდა. ლხინი, ქეიფი, ამხანაგების მასპინძლობა მის ხელთ იყო. ასეთი ხელგაშლილობით ძალიან შეაყვარა თავი ამხანაგობას. მისი გულისათვის ცეცხლში ჩადგებოდენ. ამ დროს მოვიდა ფოთს იერემიას ნაცნობი გივი, რომელსაც უნდოდა რაიმე საქმის შოვნა. ის ხშირად დადიოდა იმ დუქანში, სადაც იერემია და მისი ამხანაგები იკრიბებოდენ. გივი ერთი თვე თითქმის მათ ხარჯზე იყო. ერთი მხრით ადვილად თავის რჩენამ ნაცნობებსა და მეგობრებში. მეორე მხრით კონტრაბანდობის გავრცელებამ. რომელშიაც გივი სან-და-ხან მონაწილეობას იღებდა და თითოოროლა მანეთს შოულობდა. შეაჩვიეს ის უსაქმურად ცხოვრებასა და ქეიფს.

ერთ საღამოს გივიმ მოუტანა ამბავი იერემიას, რომ ტრაპიზონიდან ემზადებიან ხუთი ცალის აბრეშემეულობისა და მაუდის საქონელის გამოტანას მდინარის მალთაყვის მახლობლათო. ეს საქონელი მოსდიოდა ერთს ტრაპიზონელ ლაზსა, რომელიც დადიოდა, ვითომც სიმინდის სავაჭროთ. ზღვის პირებზე შეკვეთილიდან მოკიდებული სოხუმამდის. იმას ჰქონდა დანიშნული ალაგები კონტრაბანდის გამოსატანად. ის ძალიან კარგი გაცნობილი იყო სოხუმის,

ყულევის, ოჩამჩირის, ფოთის და ოზურგეთის ეაპრებთან, რომელ-თათვის იბარებდა ოსმალეთის ბოლოზებიდან საეაპრო საქონელს და აპარებდა კონტრაბანდით ჩვენს ქვეყანაში. მას აქეთ, რაც ქართველი მილიცია ზღვის პირად დააბარგეს კონტრაბანდის საყარაულოთ. ტრაპიზონელ ლაზს ძალიან გაუჭირდა კონტრაბანდის გამოპარება, რადგან არა ერთხელ დაიჭირეს მილიციონერებმა მისი კონტრაბანდა და დიდ ზარალში ჩააგდეს. იმან განიზრახა თვით მილიციონერების დაახლოვება. ლაზმა იცოდა იერემიას სიმარჯვე და სივაჟკაცე. უნდოდა უსათუოდ მოეყიდა იგი ფულით და მის გულისათვის გაუგზავნა გივი, ძღვნად გაატანა ათი ოქრო და უთხრა: „უკეთუ ხუთ ცალა გამატარებინებ გრიგოლეთის საზღვარზე, ოც ოქროს კიდეე მოგარომევ. გარდა ამისა ყოველ თვეობით ელოდე ჩემგან ათ-ათ ოქროსო“

ამ მოულოდნელმა შემოსავლის წყარომ იერემია მეტად გაახარა, რადგან იმედი ჰქონდა თავის ამხანაგებისა, რომ არ გასცემდენ. ამას გარდა იმასაც ფიქრობდა, რომ, რაკი კონტრაბანდის ზიდვაში მონაწილეობას მივიღებ, აბრეშუმის, მაუდის და ფეხსაცმლის საქონელი შუქთად მექნებაო. ის იყო ქალების დიდი მოარშიყე და სოფლად საყვარელიც აეჩინა იმ დროს. უცხო ქვეყნის საქონელი ბევრის ლამაზი ქალის გულს მომიგებსო, ჩემს საყვარელს მაინც ტანსაცმელით ავავსებო, — გაივლო გულში მან.

— გივი. უთხრა იერემიამ, — ეგ ამბავი ჩემს მეტს არავის უთხრა. რომ სადმე წაგცდეს, იცოდე, შევიტყობ და დაგღუპავ. მე ხომ ვიცი, რომ შენ ხანდასან კონტრაბანდზე დადიხარ, შენი სიცოცხლე ჩემ ხელშია, მიფრთხილდი.

— რას ლაპარაკობ, კაცო! გაკვირვებით შეუბრუნა სიტყვა გივიმ: — ჩემი თავის მტერი მე ვიქნები?!...

— მაშ კარგი. ის ლაზი პირადათ გამაცნე.

— ბატონი ხარ! — მხიარულებით დაეთანხმა გივი და გადასცა იერემიას ათი ოქრო ლაზისაგან გამოგზავნილი...

ერთი კვირის შემდეგ ფოთში გავარდა ხმა, რომ დიდი კონტრაბანდი გამოუპარებიათ გრიგოლეთისკენო. ამ ხმას იმასაც უმატებდენ. რომ ვითომც თვით იერემიას გამოეპარებინოსო. ყარაულებს თოფის სროლა ჰქონიათ, იერემია დაუჭრიათ, მაგრამ ამხანაგებს როგორც კი უცვნიათ. მაშინვე გაუთავისუფლებიათ და არ გაუთქვამთო; მხოლოდ საქმე სხვისთვის გადაუბრალებიათო.

ტამოჟნის მთავრობამ მოახდინა ამ საგანზე ფიცხელი გამოძიება და თვით მილიციონერების ჩვენებით აღმოჩნდა, რომ იერემიას თაოსნობით მილიციელები მეკონტრაბანდეებს შეჩვედრიან; ორი ქობულელი დაუჭრიათ, თუმცა ვერ დაურჩენიათ, სხვანი გაქცეულან;

კონტრაბანდი კი ისევ ზღვაში შეუცურებიათო. ამ საქმეში მეკონ-ტრაბანდეებს ჰყოლიათ მოთავეთ ვიღაც გივი იმერელი, რომელიც ფოთში უსაქმოთ და უპასპორტოთ დაეთრევაო. ამის შემდეგ ტა-მოუნის გამგეობამ მისწერა საიდუმლო ქაღალდი პოლიცმეისტერს, რომ უსათუოდ იმერელი გივი, რომელიც ფოთში უსაქმოდ დატანტა-ლობს, დაიჭირეთ და სატუსაღოში ჩასვით, რადგან კონტრაბანდის გამოპარება ბრალდებაო. იერემიას კი მადლობა მოუვიდა მთავრო-ბისაგან.

IV.

ცოლის მოკვლამ ბახვა ფულავა მიწასთან გაასწორა. ცხოვრე-ბის კავშირი ჯულიდან ამოგლიჯეს. იმის ესმას ამ ყველასთან უბრა-ლო არსებას, ამ ღვთის ანგელოზს, გული ხანჯლით გაუპეს. ვისგანაც ბახვას ცხოვრების ნაღველი შარბათად ჰქონდა გადაქცეული, ვის გა-მოისობითაც ტოლ-ამხანაგში თავი დიდათ მოჰქონდა, ის საუკუნოთ მოსტაცეს და მიწას მიაბარეს. ვინ რას ერჩოდა, ვისთვის რა დაეშა-ვებინა! ის კი არა, ჯერ სიკეთის მეტი მისგან არავის ახსოვდა-რა. სწორეთ ჯოჯოხეთიდან გამოსული ბოროტი ვინმე უნდა ყოფილი-ყო, რომ ესმას ცხოვრება შეშურებოდა და თავის წაბილწული ენების დასაკმაყოფილებლად ემსხვერპლა ეს უმანკო კრავი, რაც საყვარელი ცოლი მოუკლეს, ბახვას ცხოვრებას თითქოს შავი გლოვის ზეწარი გადაეფარა. მის თვალში აღარც მზეს ჰქონდა სინათლე, აღარც მთვა-რეს. მას მხოლოდ შავი კუპრი ელანდებოდა ამ წუთი-სოფელში; მის გულში მხოლოდ ნავთი და ცეხლი ღვიოდა და ზედ ზღვევის ალი დაჰგიზგიზებდა. — „სისხლი, სისხლი უნდა ამოვილოვო," — წამო-ძახებდა ხოლმე გაშმაგებული ბახვა ხანდახან.

ამისთანა შავი ფიქრებით რომ ბახვა იყო გაბოროტებული, გა-მომძიებელი საიდუმლოთ იკვლევდა ბახვა ფულავას ოჯახში მო-მხდარს მკვლელობას; უნდოდა, რამენაირათ აეხსნა ეს ახირებული ბოროტება, მიმხვდარიყო მკვლელობის ნამდვილს მიზეზს, შეშლილი კვალი ვისმეზე მიეტანა. იმას ჰქონდა ხელში ორი ერთმანეთის წი-ნააღმდეგ საბუთი. ერთი იყო პირველ-დაწყებითი ბოქაულის ოქმი. შედგენილი მკვლელობის ღამეს. მამასახლისმა და ბოქაულმა ესმას ჯერ კიდევ ცოცხალს მიუსწრეს. მკლავში დაჭრილი და სისხლისაგან დაცლილი ბახვაც ძალიან სუსტად იყო. სალომე კი თმაგაწეწილი თა-ვით უჯდა უბედურს შვილებს და მეტის სიმწარით კედელზე თავს ურახუნებდა. ბოქაულმა შეჰკრიბა ყოველნაირი ცნობა, რომლითგა-ნაც გამოიკვლია, რომ მკვლელობის ღამეს ბახვას მიხტომოდენ; ერ-

თი მიმხტომთაგანი ბახვას კიდეც დაეკრა. ის ამტკიცებდა, ორნი იყვენო. შემდეგ ბოქაულმა რამდენჯერმე ჩაჰკითხა ესმას, თუ ვინ იყო იმისი მკვლელი. ესმამ ძლივს, გაუგებრათ ამოიყრანტალა იერემიას სახელი და სული განუტევა. ბოქაულმა მაშინვე მოახდინა საჩქაროო განკარგულება, გზები შეაკვრევინა, მაგრამ მეტი კვალი დახაშაულების ვეღარა აღმოაჩინა-რა. ეს ოქმი წარუდგინა გამომძიებელს. პირველ-დაწყებითს გამოძიებაში ისიც კი იყო ჩაწერილი, რომ მკვლელებს სამგზავრო ბოხჩა (საკვოიაჟი) მოეტაცნათ და მასთან ოცი აუმანიც.

ამასობაში ყოველგან გავრცელდა ხმა ბახვა ფულავას ოჯახში მიხტომაზე. ყველა იმ აზრისა იყო, რომ ეს იერემიას მოქმედება არი-ს. იმას უნდოდა ბახვას ლამაზი ცოლი მოეტაცნა და რაკი მოტაცება ვერ მოახერხა, ქალი შემთხვევით შემოაკვდაო. გამომძიებელმა დაკვირვებით წაიკითხა პირველ-დაწყებითი ოქმი და გონება დააჯერა. რომ ბახვას ცოლის მკვლელობა გაცარცვის გულისათვის უნდა მომხდარიყოსო. გამომძიებელს სხვა საქმეებიც ბევრი ჰქონდა და, რადგან თვით ბახვა ჭრილობისაგან მძიმე ავათმყოფი შეიქნა, აგრეთეც ბახვას სიდედრიც ლოგინად ჩავარდა, ამისთვის ბევრი ვეღარა გააწყო-რა. ან კი ვისთვის უნდა ეკითხა? თავი პირები, ვისაც შეეხებოდა ეს საქმე, ისეთს მდგომარეობაში იყვენ, რომ აჩქარება არ გაეწყობოდა. იმან დაიწყო ჩვეულებრივი საქმის წარმოება, მაგრამ გამოძიება ნელა მიდიოდა.

ბოლოს, თუმცა ბახვამ დაახწია თავი სიკვდილს, მაგრამ მისი სიდედრი სალომე ამ უბედურმა შემთხვევამ თან გადაიტანა. ბახვას გული დაუჯავრიანდა და შიგ ზღვევის ცეცხლი თანდათან უფრო პრიალებდა. იმას ჟამივით შეძაგდა თავის სიყმაწვილის ნაშოვარი. რაკი ერთხელვე ფეხი გადმოდგა თავის ეზოდან, მეორეთ შიგ აღარ ჩაბრუნებულა. მის ოჯახს მისთვის უდროოთ კარი ჩაეკეტა; შვენიერი ეზოს და გარემოს მალე უდაბურება დაეტყო. ბოლოს მან თავის სახლკარსა და მამულს თავი მიანება. მისი მამული ნესტორამ აიღო ოჯარით წელიწადში ხუთასი თუმანი უნდა ეძლია. ამას შემდეგ ბახვამ დაიწყო აქეთ-იქით სიარული ერთი იმ განზრახვით, რომ გამომძიებელს მოხმარებოდა ახალი საბუთების კვლევით და მეორე იმისთვის, რომ, საცა რამე ჰქონდა ვექსილებით და თამასუქებით ასაღები. უდავიდარაბოთ აღარავინ აძლევდა.

გამომძიებელმა რამდენჯერმე მიიხმო ბახვა ჩვენების ჩამოსართმევად. ბახვამ ძალიან დაწვრილებით უამბო ყოველივე თავის თავგადასავალი, თუ რანაირათ იყო ესმა ფოთში გაზდილი, იერემია ივ ლროს სად იყო. იმან ის შემთხვევაც კი უამბო გამომძიებელს, ერთ

საღამოს რომ იერემიამ ესმას მოტაცება განიზრახა, მოუთხრო აგ-
რეთვე პირველ მაისობის ამბავი და ესმას შეურაცხყოფის გულის-
თვის რომ იერემია ხანჯლით დაჭრა.

ამ ჩვენების შემდეგ გამომძიებელმა სულ სხვა აზრი შეადგინა
ესმას მკვლელობის თაობაზე. იმისი მოსაზრებით ბახვას ჭრილობა
და ესმას მოკვლა უცაბედი შემთხვევა უნდა ყოფილიყო. ამ ბოროტ-
მოქმედებას სულ სხვაგან უნდა ჰქონოდა ფესვი გადგმული. გამომ-
ძიებელმა იფიქრა: „იერემიას რომ ესმა ჰყვარებია, ეს ჩემთვის ახლა
ეჭვს გარეშე არისო. მას განუზრახაავს ესმას მოტაცება, ამხანაგები
უშოვია; ისინი ბახვას ოჯახს დასცემიან და ბრძოლაში ესმა შე-
მოკვდომიათ: ფულიანი სამგზავრო ბოხჩა ალბათ ერთს ამხანაგთა-
განს წაუღია და არა იერემიას". მაგრამ ამისთანა დასკვნას თვალ-
საჩინო საბუთი აკლდა: გამომძიებელი კიდევ ხელმეორეთ დაუწერილ-

წინაშე იყო ატეზული. რასაც კი მოჰკრავდა ყურს, ყოველსავე გამომძიებელს მიახარებდა, ცდილობდა იერემიასთვის მაგრად მოეკიდებინა ხელი, მაგრამ გამომძიებელმა მის მეცადინეობას სულ სხვანაირი თვალით შეხედა. იმან იქვით დაუწყო ცქერა ბახვას საქციელს. „ეაი თუ მას წინანდელის უსიამოვნებისათვის ჰსურდეს იერემიას საქმეში გაბმა. ვინ იცის, იქნება მისი ბრალსადები საბუთები სულ პირადი მტრობის ნაყოფი იყოსო!“ ბახვას კი გულში თანდათან უფრო ბევრი ნაღველი უგროვდებოდა იმის გამო, რომ გამომძიებელი იერემიას ხელს არ ჰკიდებდა. „აქ თუ რაიმე გარეშე გავლენა არ მოქმედობდეს, ნუ თუ ქურდი და ავაზაკი, უმანკო სულების მკვლელი და მთელი ოჯახის პირქვე დამამხობელი, აქამდის ორთაქალის ბაღებში არხეინათ უნდა ატარებდეს დროს თვით იმ მთავრობის წინაშე, რომლის წმინდა მოვალეობა მისი განკითხვა და სასტიკათ დასჯა უნდა ყოფილიყოო?“ მისმა უბედურებისაგან გაბასრულმა გულმა ბოლოს გადასწყვიტა: „ალბათ გამომძიებელი ჩემგან ქრთამს ელის და იმიტომ საქმეს აგვიანებსო“...

გამომძიებელი ერთი ახალგაზდა, უმაღლეს სასწავლებელში კურს-დასრულებული ღარიბი ოჯახის შვილი იყო. მისი ნუგეში და მომავლის იმედი მხოლოდ სახელმწიფო სამსახური იყო. აქედან ელოდა იგი უზრუნველ ცხოვრების მოპოვებას. იმას ასე ჰქონდა თავის მოვალეობა გამოხატული, რომ თუ კი სინდისიანათ აასრულებდა თავის მოვალეობას სახელმწიფო სამსახურში, ბევრს დაჩაგრულს კაცსაც დაეხმარებოდა. იმას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ცხოვრების ჩირქი მოცხებული და ბახვა ფულავა, როგორც ვაჭრობით გამდიდრებული კაცი, რომელმაც ერთი სათავადიშვილო უკვე კიდეც შეისყიდა, არ მიაჩნდა კეთილ-სინდისიანად. მისი აზრით, ეს იყო ერთი ვინმე ჩარჩი, რომელსაც ჯარიმებით და უკანონო სარგებლის გადახდევნებით ბევრი ოჯახი ჰყავდა ცეცხლზე დადებული... ამიტომაც კიდეე უფრო გაუგრილდა გული მის საქმეზე.

ერთ დღეს ის სწერდა რაღაც საქმის ქაღალდს, როცა მის სამწერლო ოთახში შევიდა და ერთი მუჭა ას-მანეთიანები წითელ მაგიდაზე დაულაგა; ოთახში იმ დროს იმ ორის მეტი არავინ იყო. გამომძიებელმა რომ ამდენი ფული მაგიდაზე დაინახა, გულმა ძგერა დაუწყო, სახეზე გაფითრდა, წერას მოუჩქარა და ერთ ხანს თავი ზევით ვეღარ აიღო სირცხვილისაგან.

ბახვა გაილურსა და პასუხს უცდიდა.

ბოლოს, როგორც იქნა, გამომძიებელმა წერა გაათავა, კალამი დასდო და უთხრა, ეგ რა არისო?..

— მე, ბატონო, — დაიწყო მთრთოლვარე ხმით ბახვამ, — ქვეყანაზე წყალ-წაღებული კაცი შევიქენი. ისეთი უბედურება დამატყდა თავზე, რომ ან კი რაღათ ვარ ცოცხალი. ცოლი მომიკლეს, ბატონო, ურჯულო კაცებმა. აწ რაღაა ჩემი სიცოცხლე! მე მისთვის ვცხოვრობდი; ის მარტო იყო ჩემი სიცოცხლე. ჩემი ესმა, ეს უმანკო კრავი, ჩემსავე კალთაში დამიკლეს. ამის შემდეგ გული გამიტყდა ღმერთზე და კაცზე. მე აღარა მწამს-რა. ასე მგონია, ყველას ჩემ სამტროდ მოუცლია. ყველანი ჩემ დაჩაგვრას ცდილობენ. მას აქეთ თავ-ზარ-დაცემული დავდივარ ქვეყანაზე. არ ვიცი სად ვარ, რისთვის ვცხოვრობ ქვეყანაზე, რაღას ვუცდი? ჩემი მკვლელი ქვეყანაზე ხარობდეს და მე უსამართლოდ ვიწოდე ცეცხლზე; ეს რა სამართალია?.. გარშემო ცეცხლი მაქვს შემოდებული, მადლიანი აღარავინ გამოჩნდა. რომ ვისმე შეეეცოდო... ამ სიტყვებზე იმას გული აუჩვილდა, თვალში ცრემლები მოერია.

გამომძიებელს თანაგრძნობა გაეღვიძა.

— დამშვიდდი, ძმაო, დამშვიდდი, — უთხრა მან ტკბილათ. — ვიცი, რომ იერემიას მტრობას გაუშმაგებიხარ, არ იცი, რას ჩადიხარ.

ღმერთმა ხომ იცის, მე მისი მტრობა გულში არ მქონია, მაგრამ, როგორც ახლა მე თქვენ თვალით გხედავთ, ისიც ისე იმ უბედურს მთვარიან ღამეში დავინახე; ჩემი ესმა ბავშვივით ჰყავდა ხელში აყვანილი და იტაცებდა. ესმა ჰკიოდა. როგორც მისი კვილი მომესმა, თავი დამავიწყდა, გამოვუდექი, მაგრამ მუხლები მეკვეცებოდა. ის იყო მივწვდი, ხელი საყელოში უნდა მეტაცნა, აი, ამ დროს დასცა იმ არაწმინდამ ჩემს ანგელოზს გულში ხანჯალი!.. — ამ სიტყვებზე ბახვას სული ყელში ამოეყუჩა, ცრემლები გადმოჰყარა...

ეგ, იქნება, აგრეც იყოს, მაგრამ მაინც საქმეს საბუთები აკლია. მარტო შენს სიტყვებს სამართალი ვერ შეიწყნარებს, იქონიე მოთმინება. იქნება, უფრო ნამდვილ კვალს წავაწყდეთ სადმე. მანამდის გთხოვ, ჩემთან ნუღარ მოხვალ და ეს, რაც მოგიტანია, ისევ უკან წაიღე, თორემ ვინმე რომ შემოგვესწროს, შენვე პასუხის გებაში მიგცემი. ბახვამ უეცრად სტაცა ხელი ას-მანეთიანებს, ერთი რაღაც გიჟურათ დააბრიალა თვალები და გარეთ გამოვარდა. ის მირბოდა ქუჩაზე და ხშირად უკან-უკან იხედებოდა, თითქოს ვინღაც დადევნებოდეს დასაჭერათ...

გამომძიებელმა დაიწყო თავის სამწერლო ოთახში თავ-ჩაკიდებული სიარული. დიდხანს იარა მან წინ და უკან ასე ჩაფიქრებულმა. ბოლოს წამოიძახა: „მიუცილებლათ აქ ბოროტ-მოქმედება ტრიალებს. ბახვა მეტის მწუხარებით გაგიჟეულია. თვითონაც არ იცის. რას ჩადის. ან კი რა უნდა ექნა, თუ დარწმუნეულია,

რომ იერემია მისი ცოლის მკვლელია და სამართალი მას ხმას არა სცემს. რა გასაკვირველია, რომ იფიქროს: მეც, მთელი სასამართლოც. უმაღლესი მთავრობაც იერემიას ძლიერ მფარველებისაგან მოყიდული ვიყოთ. ამ გარემოებამ იმასაც ჩემი მოსყიდვა აფიქრებინა. არა, ის გასამტყუნარი არ არის. ეს ბოროტმოქმედება ადრე თუ გვიან უნდა აიხსნას“.

VI.

ბახვამ სულ სხვანაირი შთაბეჭდილება გამოიტანა გამომძიებლის მოქმედებიდან: „ამას ან უფრო მეტი ქრთამი აქვს მიღებული. ან სასამართლოს წევრების შეეშინდა, რომელთაც ალბათ ნაბრძანებით აქვთ, იერემიას საქმე ისე წაიყვანე, რომ მოისპოსო“. იმას ვერ წარმოედგინა, რომ სასამართლოში უქრთამოთ რამე გაკეთდებოდა: ამის მაგალითები თვალწინ ედვა. მისი წინანდელი ცხოვრება თუ ისე ფრთებშესხმული იყო, უფრო იმით, რომ მთავრობის კაცები მომადლიერებული ჰყავდა. მის სადაო საქმეებს ყველანი განსაკუთრებულს ყურადღებას აძლევდენ. მწერლებიდან მოკიდებული მაზრის მმართველამდე ყველანი მისი მეგობრები და პატივისმცემელნი იყვენ. ყველას აზსოვდა მისგან ხელის გამართვა და საჩუქრები.

„ეს გამომძიებელი რაღა იესო ქრისტე გამოჩნდა, რომ ფულზე უარი თქვა, თუ მეორე მხრიდან არ იყოს მოსყიდული; მაგრამ ღმერთმა ისე ნუ მომკლას, რომ ჩემს დამღუპველზე ჯავრი არ ვიყარო! რაც ქონება მაქვს, სულ ამ საქმეს გადავატან. თავშიშველი და ფეხტიტველი ვივლი, ძაძაში გამოვეხვევი, მიწას დავფხტენი. ქვეყანას ჩემი ცოდვით ავატირებ... თუ ამითაც არა გამოვიდა-რა, ერთს მოლესილს ხანჯალს განა ვერ ვიქონიებ?“... წამოიძახა ბახვამ თავგამეტებით.

ასეთი შავი ფიქრებით გარემოცული ჩაეშვა ერთ სასაქმო დუქნის სარდაფში, სადაც იმას დაუხვდა მისი ვექილი წუნკალა, გვარათ ჩაფხუტაძე.

— ცა და ქვეყანა მე მომდგომია, — შეჰყვირა ჩაფხუტაძეს ბრაზ-მორეულმა ბახვამ: — ჩემი ცოცხლათ დამარხვა უნდათ, მაგრამ არა! სანამ იერემიას ცივ სამარეში არ ჩავიტან, მანამ არც მე ჩავეშვები იქ.

— რა გითხრა? — არ მიიღო? — ჰკითხა წუნკალამ.

— არ მიიღო, — უპასუხა იმედმიხდილათ ბახვამ.

— ალბათ მოწინააღმდეგე მხრისაგან არის მოსყიდული, — ეანზრახ მის გამოსაჯაერებლათ დაურთო წუნკალამ.

შესწყდა ლაპარაკი. ბახვა თვალებ-ამღვრეული გამოიცქირებოდა. მის გულში ზღვევის ცეცხლი ტრიალებდა და არ იცოდა, ვისთვის რა ექნა. წუნკალამ შეატყო ბრაზმორეულობა, ცდილობდა რითიმე დაეშოშმინებინა და ნაღველი გულს გადაჰყროდა. ცოტა ხანს შემდეგ შემპარავი ღიმილით უთხრა:

— მე უფრო კარგი ამბით დაგიხვდი, ბახვა.

იმან თვალები წუნკალას დააშტერა.

შენი აღსრულებითი ფურცლები ფიცხლად მივაყენე ჭანჭურაიას, განაგრძო წუნკალამ: მთელი მაღაზია ავუწერე, მერე მივედით მე და სასამართლოს ბოქაული მის ოჯახში, თავი მოვქერი ტოლსა და ამხანაგში, ცოლ-შვილი ავუტირე. თურმე ნუ იტყვი, ცოლზე აპირობდა ყველაფრის გადაცემას, რომ ვალი თავიდან მოეშორებინა. უშველოს ღმერთმა ნოტარიუსს, ერთი დღით ადრე შემატყობინა. ეს ამბავი. მოგეცა სიცოცხლე, ქორიეით დავესხით თავზე მეორე დღეს. მეტი რა ღონე ჰქონდა, ფეხ-ქვეშ გაგვიწვა, ყველაფერზე ნება დაგვრთო, ოღონდ თავიდან მოვეშორებინეთ. ერთი-ორაც თამასუქი გამოვართვი, ზედ ერთი იმდენი ჯარიმის ქაღალდი დავამატებინე. შენი ხომ ათას ხუთასი მანეთი ემართა, სამი ათასი მანეთის ვექსილი გამოვართვი და ერთი ამდენი ჯარიმის წერილი. ვადა ექვსი თვე დაეუდევი. თუ გადააცილა, დღეში ოცდახუთი მანეთი აქვს შტრაფი.

— აგრე, აგრე, ნუღარავის განიკითხავ. მოუკირე ხელი. სისხლი ამოწუწნე, სული ამოართვი, მეც ეგ მინდა, — სიამოვნებით დაჰკრა კვერი ბახვამ. — მე ვინ გამიკითხა, სიკეთისთვის ვინ გამიტანა. აი, ხომ ხედავ, ძმაო წუნკალა, მინელებენ, მინელებენ; მაგიერათ მეც უნდა მოვინელო ყველანი. აბა, ვინ მომეშველა, როცა ჩემი ცოლის სისხლში ხელი გაურიეს. აწ მეც უნდა გავურიო ხელი მთელის ქვეყნის სისხლში. ცოდვა და მადლი სად არის, რომ შემაჩერო?... არა, მითხარი, შემატყობინე. მადლი იყო ჩემი ასე წახდენა?...

ამ ლაპარაკში ბახვას თვალები წამოეტეხა; მან მაგრათ დაჰკრა მუშტი მაგიდაზე, თითქოს იმ წუთას იერემიასთვის დაეცეს მკერდზე ხანჯალი.

— ეგ კიდევ რა არის!.. მე უკეთესებს გიამბობ, — განაგრძო სიამოვნებით ხელის სრესით წუნკალამ. აღსრულებითი ფურცლები ხომ მე დავიტოვე და მით მთელს მის სოფლის მამულს „ზაპრეშჩენიე“ დავადევი. იცი?... მისი სოფლის მამული ათას თუმანზე მეტად ღირს.

— ცეცხლი მინელდება. გული მიგრილდება. შენი სულისა, დამეხმარე, წუნკალა, აგრე დამეხმარე. ჩემს გამხმარს ყელს თითქოს ცივი წყაროს წყალი მოხვდა გასალბობათ.

— ლაპარაკი არ უნდა, ეგ მამული შენ დაგრჩება.

— მეოთხედი შენი იყოს, წუნკალა!... დანარჩენს კი იერემიას შურის საძიებლათ გადავდებ.

წუნკალას სიამოვნებით თვალი აუციმციმდა. მაშინვე გულში განიზრახა პირობის ჩამორთმევა ამ საგანზე.

ამ დროს ბახვამ იგრძნო, რომ მართლაც ყელი უშრებოდა. ენას უსიამოვნოთ დაუწყო წლაკუნი.

— მედუქნე! მძაფრად დაუყვირა ბახვამ. — ერთი ჭიქა ღვინო მომაშველე, ლამის წყურვილით დავიხრჩო; პირი გამიხმა. ენა სიმშილისაგან ხის ქერქათ გადამექცა.

ჭიქას ჭიქა მიჰყვა და, სანამ საჭმელს მოუტანდენ, ბახვამ და წუნკალამ ექეს-ექვსი გადახუხეს. ამის შემდეგ ბახვამ ტანში სითბო იგრძნო, გული დაუმშვიდდა და სოფლის ვექილიც თავაზიანათ შეჰყვა მას სუფრაზე.

სადილს რომ მორჩენ და წუნკალამ შეატყო, ბახვას ჯავრის ღრუბელი შუბლზე გადაეწმინდა, ამოიღო თამასუქები ჯარიმის ფურცლებიანათ და ბახვას გადასცა. ბახვამ ჯარიმის ფურცლები ვექილს აჩუქა და ხარჯს გარდა ოცდახუთ მანეთიანი გადაუგდო. ვექილმა მადლობა უთხრა და თან დაატანა: „ახლა ქუბელაშვილს უნდა მივაყენო ეს ფურცლები, თუ ამ ორ კვირაში ხუთასი მანეთი არ შემოიტანა“.

— არა, ის შეძლებული კაცია. შემოიტანს. — თქვა ფიქრებწაღებულმა ბახვამ.

— იცი, რას გირჩევ!... — შეეკითხა ეშმაკურათ წუნკალა: — მოდი, ვადაზე დაევმალოთ, იქნება ერთი დღით მაინც გადააცილოს შემოუტანლობა.

— მერე?... ჰკითხა ბახვამ.

— ამ ჯარიმის ხელწერილს ხომ ხედავ, თავნს გარდა ხუთას მანეთს კიდევ გადავაშვლეკინებ.

ბახვა ერთხანს ჩაფიქრდა, არას ამბობდა. თითქოს რაღაც უნდობლათ დაუწყო ყურებაო.

— რას მომჩერებიხარ? — შესძახა სოფლის ვექილმა: — განა ცოტა დაგკარგვია მაგისთანებზე? ერთი მითხარი, შენ ვინ დაგზოგა? — ამ სიტყვებმა ისევ აუმღვრიეს ბახვას დამშვიდებული გონება.

— ძალიან კარგი, აგრე ვუყოთ, — დასძინა ფულავამ. — აი, დარდი? მე ვინ მიდარდა?.. თუნდ ტყავიც გაგიძვრია.

— რომ გადავახდევინო, რას მოიცემ? — ეშმაკური ღიმილით შეეკითხა ვექილი.

— ეგ ჯარიმის ფული სულ შენთვის მიჩუქებია.

— აგაშენა ღმერთმა, — კმაყოფილებით უთხრა ჩაფხუტაძემ. — იცოდე ამიერიდან თავს დავდებ შენთვის, ბახვა, თავს დავდებ!

ბახვამ გაისტუმრა დუქანში ნახარჯი; ის და წუნკალა გავიდენ სარდაფიდან და გაემართენ თავთავიანთ სადგურისაკენ.

წუნკალა ჩაფხუტაძე ერთი იმ სოფლის ვექილთაგანი იყო, რომელსაც საზოგადო სახელი „აბლაკოტობისა" ჰქონდა მინიჭებული. ის წუწკ მეძებარსავით სუნით ეძებდა იმისთანა მოვაჭრეებს, რომელთაც ჯიბე სქელი ჰქონდათ და სასამართლოში სიარული აუცილებელი იყო იმათთვის, რადგან გასესხებითი წერილები მრავალი ეყარათ და მოვალეებისაგან საქმე ჰქონდათ გაჭირვებული, უსამართლოთ თავიანთი გასესხებული ფული ვერ აეღოთ. წუნკალას ჰქონდა საკვირველი ნიჭი სხვისი ხელწერილების გადაღებისა. რაც უნდა ეშმაკური ნაწერი ყოფილიყო, წუნკალას ერთი თვალის გადავლების მეტი არა სჭიროდა-რა, რომ ზედმიწევნით მიემსგავსებინა ნაწერისათვის თვისი ხელი. ამ ნიჭის წყალობით იგი ბევრს „პოდლოგებს" უკეთებდა სხვადასხვა უსინდისო კაცებს ფულით, მაგრამ ჯერ კიდევ სასამართლოს მისთვის კლანჭი ვერ მოეკრა, თუმცა ბევრი ცუდი საქმე ბრალდებოდა. მოსამართლეებს უმართებულო ამბები ჰქონდათ იმაზე გაგონილი და ამის გამო კერძო ვექილობის მოწმობას არ აძლევდენ. ამ მხრით რომ ვერა გააწყო-რა, მოურავობის ვექილობას მიჰყო ხელი. მხოლოდ ის ეძებდა ფულით ჩაქვირითებულს კაცსა. ბოლოს ის წაატყდა ბახვა ფულავას და ხელში ჩაიგდო. წუნკალამ გაივლო გულში, ოქრო-ვერცხლის ხაროს მივაგენო, და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ მისი ნდობა მოეპოვებინა. ბახვა ფულავა იერემიას დევნით შეპყრობილი იყო, სახლკარი დაეტოვებინა, ერთი თავზე ხელაღებული გამხდარიყო, მახლობელი აღარავინ ჰყავდა და ვინც ჰყავდა, იმაზედაც გულავარდნილი იყო, რადგან ატყობდა, რომ მისი უბედური გარემოებით თვით მისიანსაც სარგებლობა უნდოდა. ამისთვის წუნკალა ჩაფხუტაძემ ნაყოფიერი ნიადაგი იგდო ხელში და აპირებდა მის ყოფა-ცხოვრებას თავზე დახტომოდა.

ის მელიასავით შეეპარა ბახვას, რომელიც უმისოთ ნაბიჯს აღარ სდგამდა. წუნკალამ იცოდა, რომ მესისხლეობით ბახვას გონება ჰქონდა დაკარგული, ჰგრძნობდა, რომ რასმე საშინელ ბოროტმოქმედებას უნდა წატყდომოდა. ჩაფხუტაძესაც ისე მიჰყავდა მისი საქმეები, რომ ეჭვი არ იყო, ადრე თუ გვიან ბახვა რაიმე „პოდლოგის" საქმეში უნდა გაბმულიყო. აი, ამ წუთისათვის ემზადებოდა წუნკალა.

რომ რაკი ბახვას თავისიანი აღარავინ ჰყავდა, თუ ვინიცობაა სისხლის სამართალში თავს გაჰყოფდა და შველა-აღარსაით ექნებოდა, მისი ყოფა-ცხოვრება იმას დარჩენოდა ვექსილების ჩამორთმევით.

VII.

იერემია წარბა იმ ღამის ბოროტმოქმედების შემდეგ იმერეთიდან გაჰქრა. ის და მისი ამხანაგები მაშინვე მოახტენ ცხენებს და დილის რიყრაყამდის ჩოლაბურის წყალს გავიდენ, შეუხვიეს ტყეში და ერთ პაწია მინდორზე გადახტენ დასასვენებლათ. გვიან ჭრილობისაგან გულდასუსტებული იყო. ამ ადგილის მახლობლათ იერემიას ძეელურა'ზე ერთი ნათლიმამა ჰყავდა. დაჭრილი გვიან იქ დააგდო. ნათლიმამას მისცა ხუთი თუმანი და სთხოვა კარგათ მოევლო დაჭრილისათვის. იმ დღეს იქ დარჩენ და, დღე და ღამე რომ გაიყარა, ერთმანეთს გამოეთხოვენ. ირაკლიმ ობჩისკენ გასწია: იერემია დილიკაურისაკენ გაემართა; მეორე დღეს შუადღისას კოტრონი გადაიარა და სურამს ამოჰყო თავი, აქ ცხენი ერთ ოსს მიჰყიდა შვიდ თუმან-ნახევრად, ჩაჯდა მატარებელში და ღამის თერთმეტ საათზე თფილისს მივიდა. ის დაბინავდა ერთ იმერლის დუქანში.. მან მხოლოდ აქ იგრძნო თავის დაღალულობა. რომ დაეგდო ტახტზე, მესამე დღემდის აღარ გამოღვიძებია. გავიდა ორი კვირა. იერემიამ დაიწყო თფილისში სხვადასხვა ალაგას სიარული. დუქანში მხოლოდ საღამოობით მოდიოდა დასაწოლად. მედუქნემ იცოდა, რომ იერემია თფილისს ჩამოსულიყო და სახელმწიფო სამსახურში უნდოდა შესვლა.

ერთს კვირა დილას იერემია კარგათ გამოწყობილი, ჩქარა სიარულისაგან სულ-შეგუებებული იდგა ერთი დიდებული სამ-სართულიანი ქვითკირის შენობის კიბეზე. მის გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა. იმას ხელი ჰქონდა მიდებული ელექტრონის ფოლაქზე დასარეკათ, მაგრამ ჯერ არ რეკავდა, თითქოს ორ აზრს შუა იყო: დავრეკო თუ არაო. ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა და ფოლაქს ხელი დააჭირა. მაშინვე გაიღო კარები და მხედრულად ჩაცმული კარის დარაჯი გამოდგა შიგნით დერეფნიდან. იმან თვალი ააყლ-ჩამოავლო იერემიას, რომელიც ხმალ-ხანჯლით იყო მორთული და ცხენოსნის მხედარს მიემსგავსებოდა. დარაჯმა იფიქრა, გენერალთან ექნება საქმეო და ჰკითხა:

— ვინ გნებავს?

— მე მინდა გენერლის ქალის ნახვა, რომელიც შვილობილათ ჰყავს აყვანილი.

— არა მგონია. რომ ჯერ მისი ნახვა შეიძლებოდეს, რადგან მანდილოსანი ჯერ არა ბრძანდება მორთული, — უპასუხა გულგრილად დარაჯმა.

— მოახსენე, რომ მე მისი ნათესავი ვარ, იმერეთიდან მოსული.

— მაშ მოითმინეთ, წავალ, მოვახსენებ, — უთხრა დარაჯმა.

ცოტახანს შემდეგ იერემია ადიოდა დაფიქრებული მარმარილოს კიბეზე, რომელზედაც მაუდის საფენი იყო ჩამოგებული, ბრინჯაოს ჯოხებით დამაგრებული. შევიდა თუ არა ზევით დერეფანში, იმან უნებლიედ მიხედა დიდ სარკეს, რომელშიაც თავის თავი დაინახა და უნებურათ ხელი მოისვა შუბლზე, თითქოს ესმას სისხლის წვეთი ჰქონოდეს ზედ მოცხებული და მოწმენდას ცდილობდესო. რაღაც ახირებული კანკალი აუტყდა: „ნეტა ახლა დარბაზში არ შემიყვანაო", — გაივლო გულში და უკან დაბრუნებას აპირებდა; მგარამ გვიანლა იყო. იმან მოიხედა უკან, და, რომ დაინახა კარის დარაჯი მისდეედა, წადგა წინ ნაბიჯი და დარბაზის კარი შეაღო.

ქალი იჯდა ტახტზე და რაღაც ხელსაქნარს აკეთებდა. იერემიას დანახვაზე ის უცბათ წამოვარდა და მიაძახა.

— იერემია!.. შენ ხარ? რამ მოგიყვანა? — რა მიამა შენი ნახვა? — საჩქაროთ მიეგება და ხელი ჩამოართვა.

— ვალიდა! — დაიძახა იერემიამ და მდაბლათ თავი დაუკრა, — რა ბედნიერი ვარ, რომ თქვენ მაგრე გაკეთებულს გხედავთ, ბადრ მთვარეს არ ჩამოუდგებით. — ვალიდას მეტად იამა იერემიას ნახვა, გამოჰკითხა ყველაფერი თავის ქვეყნისა და ნათესავების ამბავი.

იერემიამ დაწვრილებით უამბო იმერეთისა და მისი ოჯახის ამბავი, რაც რომ იცოდა.

— რაზე ჩამოსულხარ? — ჰკითხა ღიმილით ვალიდამ.

— სამსასური მინდა და შენს იმედათ წამოვედი. საცხენოსნო ჯარში შესვლას ვფიქრობ.

— მაგაზე ადვილი რა იქნება! — უთხრა მხიარულებით ვალიდამ. — თვითონ იმ საცხენოსნო პოლკის უფროსი ლებოვი ჩემი კარგი მეგობარი კაცია. ერთი რომ ვუთხრა, მეტი არ უნდა, მაშინვე ჩაგრიცხავს სამსახურში. სად დგახარ, იერემია? — ჰკითხა ნათესაობრივი გულმტკივნეულობით ვალიდამ.

— აქ გახლავარ ჩამომხტარი, ერთს ჩვენებურის იმერლის დუქანში.

— უი, ღმერთო მომკალი! დუქანში რა გინდა? ახლავე ჩვენთან გადმოდი. ქვედა სართულში ვუბრძანებ ბიჭს ოთახი მოგიმზადოს. ახლავე ჩემს მამობილსაც გაგაცნობ.

ის მიტრიალდა მეორე ოთახში შესასვლელად და ამ დროს უცბათ გაიღო კაბინეტის კარი. იქიდან გამოვიდა ერთი მოხუცებული, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგათ მყოფი, მაღალი, განიერ მხარბეჭიანი გენერალი. წვერი მოპარსული ჰქონდა, ხელში გრძელტარიანი ჩიბუხი ეჭირა და სხვილს ჭაღარა ულვაშებზე ნიადაგ მიმზიდველი ღიმილი დასცემდა გულკეთილობის ნიშნათ.

— პაპა! მხიარულად მიეგება ვალიდა: — რა გახარო?... რა ბედნიერი ვარ?... ჩემი ბიძაშვილის შვილი მომივიდა!

გენერალმა გულღიათ თავი დაუკრა და ხელი გაუწვდინა იერემიას. იმანაც მდაბლათ, თავდახრით ჩამოართვა.

— ოჰ, გამარჯობა შენი, იმერელო! დაბძანდი. აბა, მოჰყევი იმერეთის ამბავსა. დიდიხანია იქიდან არა ვიცი-რა. თქვენი თავადაზნაურობის წინამძღვარი რასა იქმს?.. მართალია, თქვენს გუბერნატორს სულ სძინავსო?.. — ამ სიტყვებით დაეშვა ის სოფაზე, წუმწუმა გაჰკრა, მიმქრალი ჩიბუხი ისევ ააბოლა და შემდეგ ფეხი-ფეხზე შემოიდო.

— როგორც მოგეხსენებათ, ბატონო...

— მართლა ისეთი დიდი ხარჯი აქვს თქვენს გუბერნიის მარშალს, როგორც ამბობენ?

— დიახ, ბატონო, დღე ისე არ გავა, რომ მის სახლში ერთი ძროხა არ შეიჭამოს.

— ვინ მიდის ამდენი?..

— იმერეთში თავადი და აზნაური, ვინც კი ქუთაისში გაივლის, როგორ შეიძლება, რომ მას არ გამოეცხადოს, იმასთან პური არ ჭამოს და ჩაი არ დალიოს დილა-საღამოს.

— მერე მაგდენს ხარჯს რა ოჯახი გაუძლებს?

— დიდი მამულისა და ყმის პატრონი გახლავს. იმერეთში ახლა იმისთანა მებატონე არაევინ გახლავს.

— ან რა საჭიროა, რომ ქვეყნისათვის კარი გაუღია?

— უიმისოთ არ იქნება. თუ პურ-მარილით არ მოიმადლიერა იმერეთის თავად-აზნაურობა, ცუდათ იქნება არჩევანზე მისი საქმე ჩვენში, ბატონო, კაცი პურ-მარილით ფასობს.

— სანამდის გაქვს, როცა გამოგელევა?

— მაშინ გლახათ ჩამოიქვეითებს, ბატონო! გაიღიმა იერემიამ.

— ვაი ჩვენი ბრალი! — კაეშან-მოდებული ხმით წარმოსთქვა დარბაისელმა გენერალმა.

— პაპა! მე იერემიასთვის აქ ვუბძანე მოამზადონ ბინა. მაგას სხვაგან დუქანში როგორ დავაყენებ, სანამ სამსახურს იშოვიდეს.

— ძალიან კარგი გიქნია, შვილო. აი, მაგისთვის მიყვარხარ, რომ თაოსნობა იცი და, რაც ოჯახს მოუხდება, ისეთს განკარგულებას ახდენ.

— დედამაც მომიწონა.

— იმიტომ, რომ გონიერათ მოიქეცი.

— უჰ, პაპა, რა მიხარია, როდესაც სასეირნოთ გავემგზავრებით, მე და დედა ლანდოთი, იერემიას თან წავიყვანთ. საცა უნდა წავიდეთ, აღარსად მოვიცილებთ.

დარბაისელმა გენერალმა ერთი კიდევ ააცლო თვალი იერემიას მოყვანილობას და იფიქრა: „ნეტავ ყოველთვის მაგისთანა მხლებელი მყავდეს! მთავარ-მართებელსაც არ ეყოლება მაგისთანა გამყოლი“. მერე ხმამაღლა წარმოსთქვა: „ნამდვილია, იერემია ყველგან დაგაშვენებთ, თუკი არ დაიზარა თქვენი გაყოლ-გამოყოლა“.

— რატომ იკადრებთ, ჩემი თავი თქვენი სანაცვლო იყოს. — დარბაისელ გენერალს ძალიან იამა იერემიას ასეთი სიტყვები; წამოდგა დინჯათ, თითქოს თავი მოიწონა იერემიასთან და ღიღინით გაემართა ოთახისაკენ.

— პაპა, იერემია სულ კოზლაზე გვიჯდება! — მიაძახა ვალიდამ გენერალს.

— ჩინებული იქნება! — დაატანა გენერალმა და შეიკეტა კაბინეტის კარები.

— მე წავალ, მოვირთები, თორემ აწ ვინმე სტუმარიც მოვა, — წაილაპარაკა ვალიდამ იერემიას გასაგონათ, — ლებოვი დამპირდა პირველ საათზე შემოგიელი და კავალკადით გავისეირნოთ მუშტაიდისკენო. იერემია, შენ აქ მოიცადე, უნდა წარგადგინო პოლკოვნიკთან.

— რასაც წყალობას მიზამთ, თქვენ იცით, ჩემი სიცოცხლე აწ თქვენ ხელთ არის.

ვალიდა გავიდა მეორე კარიდან. მის სოსან ატლასის გძელკუდიან კაბას შრიალ-შრიალი გაჰქონდა.

VIII.

იერემია დარჩა მარტოდ-მარტო. ის ათვალიერებდა ზალის მორთულობას, რომელიც სულ ძვირფასი ხალებით იყო მოგებული. მაგიდაზე ათასნაირი მოოქრული და მოვერცხლული წვრილმანი ნივთები ელაგა. ერთ მხარეზე აღმოსავლეთის გემოვნებაზე განიერი ტახტი იყო წმინდა თექეს ხალებით გაწყობილი, ზედ შინდის ფერი ყურბალიშები, რომლებზედაც სახლის პატრონის სახელი და გვა-

რი ეწერა, ხავერდის მუთაქები ელაგა: შუაში ძვირფასი ფერადებით ნაკერი ოქრო-ქსოვილით გამოქათქათობდა. ერთ კუთხეში დიდი რგვალი მაგიდა იდგა. ფარჩა აბრეშუმ-ნარევი, სახეებიანი მატერიით გადაფარებული, ზედ ჩინეთის ფარფორის საფერფლე და სიგარის ჩასაწყობი კოთხოები იდვა. ამ მაგიდას გარშემო უდგა ჩაქსოვილი აბრეშუმ-ნარევი ხალებიო გადაკრული სელები. დიდრონ ფანჯრებზე და კარებზე ჩამოშვებული ფერადის ატლასის ფარდები ოქრო-მკედის ფოჩვებით ცისარტყელასავით ლაპლაპობდა. როცა მათ მზე მიადგებოდა. ასეთმა სიმდიდრემ მეტად დაჩაგრა იერემიას ფიქრები. „ამისთანა სიმდიდრის პატრონი როგორ უნდა დაბერდეს, ან მას მწუხარება როგორ უნდა მიეკაროს? — გაიფლო გულში იერემიამ. ჯერ მას ამისთანა სიმდიდრე არ ენახა. „რაკი აქამდის შოვატანე, აწ ჩემს ბედს ძალლი არ დაჰყეფს. ვალიდა ჩემი მფარველი იქნება, იმის გამო გენერალიც შემეწევა. თუ ვიშოვნე ჩინი, ახლა ვიშოვნე". მაგრამ ამ დროს უეცრად იცვალა ფერი მისმა ფიქრებმა: თვალწინ გამოეხატა იმ ღამის მკვლელობა და ტანში გააზრიალა. მას ვერ დაეფიწყებინა ესმას ანგელოზური სახე; მისი უკანასკნელი ამოკვნესა თითქოს ყურში ჩასწივოდა იერემიას შემდეგის სიტყვებით: „აკი მომკლა ამ ურჯულომო".... ამით დაიღრუბლა იმ წუთას მისი ნათელი გამომეტყველება. „ბედნიერი მაშინ ვიქნებოდი, ესმა რომ სულ თვალითაც არ მენახა. დღეს მე მისი მსხვერპლი შეკიქენი. იმ უბედურ ღამეს შემდეგ სულითა და ხორცით მეც დასჯილი ვარ საუკუნოთ. ვინ იცის, ხვალ რა დამემართება, ეს ჩემი პატრონები ხვალ როგორი თვალით შემომხედვენ? მაგრამ მაინცა და მაინც ხანჯალი მაგრათ არ დამიკრავს. არა მგონია, რომ სასიკვდილო რამე გასჭირვებოდეს. მე ვიცი, ბახვა გულგაშლილი კაცია, ჩემს დევნას სასამართლოს საშუალებით არ იკადრებს. რომ კიდეც იკადროს. მანამდის მე აქ კარგ ალაგს დავიჭერ, გავმდიდრდები რამენაირათ მოვრიგდებით... ესმა რომ ხელში ავიყვანე, ისე მაგრათ გამიკავა ხელები, რომ ასე მეგონა, შემკოჭეს-მეთქი. იმისთანა ლონიერი ქალი კი არა კაციც არ მინახავს. ნაბიჯი ვეღარ გადავდგი!.. ამ დროს ბახვა კინაღამ მომწვდა, მისი ქლოშინი ზურგს უკან მესმოდა... ესმამ ისე მწარეთ ჩამაფლო კბილი მკლავში, რომ მისი ნაკბენი ახლაც მატყვია. გავგიჟდი, არსებიდან გამოვედი. მეტი რა მექნა?.. მოვივლე ხანჯალს ხელი... ბახვას ხომ ვერ დავაჭერინებდი თავს?.. იმ ღამის შემდეგ ჩემი სიცოცხლე განახევრებულია. ჩემი გული კუპრის მორევია. გველ-ბაყაყით ავსებული. მე აწ რაღამ უნდა მანუგეშოს? ის ჩემი მკვლელი მას აქეთ ავსულივით თავს დამტრიალებს... მშვიდობით აწ მოსვენებავ, მშვიდობით სიამოვნებავ"...

ამ დროს მოისმა ზარის რაწკუნი გარედან. იერემიას წარმოუდგა პოლიციელები და ისე წამოხტა ადგილიდან, თითქოს ტყის ნადირი ბუნაგიდან ძაღლებს გამოეგდოსთ. იგი თრთოლამ აღიტაცა და უნებურათ ხანჯლის ტარზე ხელი დაიდვა... ერთმა ჩერქეზულათ ჩაცმულმა კაცმა შემოაღო ზალის კარები. მას მხრებზე პოლკოვნიკის პაგონები ეკერა. ის გაშლილი ნაბიჯით გაემართა იმ მაგიდისკენ, საცა ჩინური ფარფორის ტიკინები ეწყო, ჩამოჯდა სელზე და თვალები განის კარს მიაპყრო. მას იერემია არ შეუნიშნავს. ეს ნელ-ნელა კუთხისკენ მიიწია და დარჩა იქ ფეხზედ ატუზული.

უცბად განის კარი აიღო და ვალიდა შემოცქრიალდა ცისფერი მაუდის კაბით, რომელიც ცხენზე საჯდომათ იყო მოწყობილი. ვალიდას თავზე შავი ქუდი ეხურა და შავი პირბადე ჰქონდა ნიკაპამდის ჩამოფარებული. ამის გამო უმისოთაც თეთრი ნიკაპი და მაღალი ყელი კიდევ უფრო თეთრად მოქათქათობდა.

— სწორეთ ერთი წამიც არ გადაგიცილებიათ დანიშნულ ვადაზე, — უთხრა ღიმილით პოლკოვნიკს ლებოვს. და გაუწვდინა გძელი ნარინჯის ფერი ხელთათმანით შემოსილი ხელი ჩამოსართმევათ.

ლებოვი რწყილივით წამოხტა ზეზე. ეს იყო არაჩვეულებრივი მოქმედება პოლკოვნიკისა მის წლოვანობის შესადარათ

ნუთუ გულში გაივლეთ, თქვენთან მოვისწრაფოდი და დავიგვიანებდი? უთხრა ლებოვმა.

ერთობ მომეტებული ყურადღებაა თქვენი მხრით, — ალერსიანათ უპასუხა ვალიდამ.

ეგ კი არა, თავიც რომ შევსწირო თქვენს სიამოვნებას, იმასაც საკმაო ყურადღებათ არ მივიჩნევ. ამ წყეულმა ხელთათმანმა მაინც რაღათ მომაკლო თქვენი ბროლის თითების ხილვა!

ბატონო ლებოვ, ნუ პირფერობთ! — და უცბათ გამოსტაცა ხელი. მართლა, მე სულ დამავიწყდა... აი, ჩემი ნათესავი მეწვია სტუმრად, მინდა გაგაცნოთ, — მიუთითა კუთხეში მდგომარე იერემიაზე. ამ სიტყვებზე ლებოვი, თითქოს რწყილნაკბენი, ისე მოტრიალდა და თვალი შეასწრო იერემიას. იმას არ ესიამოვნა მჭირდავი თვალი მისის ტრფიალებისა ვალიდასთან.

იერემია წელში გაიმართა, ხელები ჩამოუშვა და მოწიწებით თავი დაუკრა პოლკოვნიკს.

— ბატონო ლებოვ, მე თქვენ გთხოვთ, მაგ ჩემს ნათესავს ყურადღება მიაქციოთ... იქნება თქვენს პოლკში ჩარიცხოთ, სამსახური სურს.

— რაც ჩემის ღონისძიებიდან მოხერხდება, მზათა ვარ თქვენი ნება და სურვილი ავასრულო.

ლებოვი გაემართა იერემიასაკენ ხელის ჩამოსართმევად. მისმა მოყვანილობამ გააშტერა პოლკოვნიკი. იგი დაუდგა პირდაპირ ამ უზარმაზარ კაცს და შეაქყიტა თავის პაწია თვალები. იმან შენიშნა ხმალზე ტემლაკი და გულზე ჯვარი.

იერემია პოლკოვნიკის დაკვირვების გამო აიბუძგა და აიგრუზა. „იქნება, ახლა ამას დეპეშითაც ჰქონდეს ქუთაისიდან მოწერილი ჩემი ამბავი!" — იფიქრა იერემიამ. იმან თვალი თვალში გაუყარა პოლკოვნიკსა და უნებურათ ხელი ხმალზე დაიდვა.

— ყმაწვილო კაცო, გინდათ ჩემს პოლკში სამსახური?.. .

— თუ კი თქვენი წყალობაც იქნება, — მოახსენა იერემიამ.

პოლკოვნიკი უცებ გამოტრალდა ამ პასუხზე და ალერსიანად წაულაპარაკა ვალიდას:

— თქვენი ნათესავი ნამდვილი გმირია შეხედულებით, მაგასთან თუნდ ერთი პოლკი მტერიც შემოესიოს, არა გამიჭირდებარა. მე მაგას სიამოვნებით ჩავრიცხავ ეახმისტრად, რადგან იუნკერია და ჯვარი აქვს. ერთ თვეს შემდეგ აფიცრობაზე წარვადგენ. იმედია, მალე მოუვიდეს.

— გულითადს მადლობას შემოგწირავთ მაგგვარის თანაგრძნობისათვის, დაატანა ვალიდამ.

ლებოვი მიუბრუნდა იერემიას და ჰკითხა:

— სად გიმსახურნიათ?

— სააზნაურო ცხენოსნის ჯარში, რომელიც თათრების საზღვარზე იყო დაყენებული.

— ეგ ჯვარი სად მიგიღიათ?

— თერთმეტ აპრილს კინტრიშის ბრძოლაში.

— ეგ კიდეე უკეთესი. ბრძოლის კვამლში გატარებული ყოფილხართ.

ლებოვი მიუბრუნდა ვალიდას:

— აბა, ქალთა შორის ქალბატონო! მშვენიერი ამინდია, დროს ნ'ულარ ვკარგავთ, წავიდეთ სასეირნოთ.

— დიდი სიამოვნებით. მე მზათ ვარ.

ლებოვმა ერთხელ კიდეე შეავლო თვალი ვალიდას შვენიერს მოყვანილობას, თავი ჩაღუნა და კისერი გადახარა. ის ფიქრებს წაელო, ამ ქალის გულისთქმიერ ხვნეშაში გაბოროტებულიყო მისი გონება.

ვალიდამ მოჰკრა თვალი ლებოვის უხეიროთ წაშვებულს ტუჩებსა და ტანში უსიამოვნოთ გააზრიალა...

— ბატონო ლებოვ, რაღაც ფიქრებს წაულიხართ. რას უცდით წავიდეთ!

ბინძურს გულისთქმაში ჩაღრმავებული ლებოვი ქალის სიტყვებმა გამოაღვიძა. იმან თავი გაიქნია, თითქოს ფიქრებს იშორებსო, და მოახსენა ქალს:

— მიბძანდით წინ.

ვალიდამ კეკლუცათ შეიკრიფა გძელი კაბის კალთები. გამოიჩინა მაღალ ქუსლებიანი მოელვარე ფეხსაცმელები და წინ წავიდა.

— ოჰ, ვინ იქნება ის ბედნიერი, რომელსაც ეღირსება მაგ ლამაზის ფეხების კოცნა და გულში ჩახუტება, — ნერწყვის ყლაპვით წაილაპარაკა ლებოვმა ვალიდას გასაგონათ. ქალმა მოჰხედა უკან. დაანახვა ბროლის კბილები და თითქოს წყრომით, მაგრამ უფრო ალერსით შესტუქსა:

დაატანა პოლკოვნიკმა. რადგან ვერ მიწდომოდა თავის გულის წამაწური ლაპარაკი არ მიამება.

ლებოვმა გულისთქმით ამოიკვნესა.

ამ დროს კიბეზე მოაყენეს ყარაბაღული ცხენები. ვალიდას საჯდომი ცხენი ოქროსფერი იყო, შვენიერი თავ-კისერი ჰქონდა, თითქოს განზრახ გამოურჩევიათ ვალიდას სილამაზის შესახამებლათაო.

ლებოვმა დაუჭირა ვალიდას უზანგი და ფეხზე ხელის მოქერით აგრძნობინა თავის გულის ცეცხლი. მერე დაუპირა ქალს წელზე ხელის მოვლება, რომ მოხმარებოდა შესაჯდომათ, მაგრამ ვალიდამ მოასწრო, ჩიტივით შეფრინდა უნაგირზე და ამით ჩაუფუშა პოლკოვნიკს ვნება-აღტყინებული განზრახვა.

— ჩერქეზის ქალივით მარდი ბრძანებულხართ, — დანანებით დაატანა პოლკოვნიკმა. რადგან ვერ მიწდომოდა თავის გულის წადილს. — თუ გინდათ, იერემია ჩემი მხლებელის ცხენზე შეჯდება და გამოგყვება.

ამ წუთს იერემია ვალიდასთან იდგა და ცხენის სადავე ეჭირა ხელში. იგი უნაგირზე ქალს კაბას უსწორებდა.

— ძალიან კარგი იქნება, — მხიარულებით უპასუხა ვალიდამ. იერემიას ეს მოულოდნელი ამბავი იამა, რადგან იგრძნო, რომ პოლკოვნიკს მოვსწონებივარო.

IX.

შემოდგომის ტკბილი დღე იყო. თფილისის არეს მზე აღარ სწვავდა, როგორც ზაფხულს სჩვევია, მაგრამ მისი შუქი გამაცხოველებელს სასიამოვნო სითბოს და ნათელს ჰფენდა გარუჯულს ქალაქის გარემოს. ახლად დაგვილი გალავინის პროსპექტი ყვავილებიანს

მდელოს მოგაგონებდათ. შემოდგომის ფერს ტანთსაცმელში გამოკანკლული ქალები მიდი-მოდიოდენ ქვაფენილზე, სხვადასხვა ფერად აპრიალებულნი, იმათს ხალისს ტანცმულობას შეენივრად ეხამებოდენ შავს და ქუფრს პალტოებში გამოწყობილი ვაჟები. ფუტკრის დასი რომ ყვავილებს შემოესევა და თავს დაბზუის, თფილისის კოხტა ვაჟებიც ასე უტრიალებდენ ლამაზს მანდილოსნებს ფეხაკრეფით სეირნობაში. ეტლებს და კალიასკებს გაჰქონდათ ქუჩაზე გრიალი. ზოგნი შიგ მსხდომნი საქმისთვის მიეშურებოდენ, ზოგი მხოლოდ სასეირნოთ გამოსულიყო. მდიდარი კაცები ინგლისისა და არაბის მოდგმის ცხენებით გაბმულს კაბრიოლოტებს მიაჭენებდენ სხვადასხვა მხრისაკენ, რომ მოსეირნეთ დასისათვის თავი მოეწონებინათ, ბევრის ლამაზის მანდილოსნისათვის გული აეძგერებინათ; თითქოს ყველანი ეშურებოდენ ამ საუცხოო ამინდით და წმინდა გრილი ჰაერით დამტკბარიყვენ, რადგან სუსხი ზამთარი კარზე მომდგარიყო.

ამ დროს სასახლის ქუჩაზე გამოჩნდა ვალიდა. იგი სარეცით იჯდა ოქროსფერ ყარაბაღულს ცხენზე, რომელსაც კოხტად მოჰქონდა თავ-კისერი და ოთხ-ამოღებული კვინტრიშით წინ მოჰქროდა, თითქო უხარიაო, რომ ქალთა-მზე ზურგით მოჰყავსო. პოლკოვნიკი ლებოვი თეთრს არაბულ ცხენზე იჯდა და ვალიდას გვერდით მოსდევდა. ქალმა და მისმა რაინდმა მიიქცია მოსეირნეთა ყურადღება.

— ვალიდა, ვალიდა!.. — გაისმა მოსეირნეებში. ქალი ჩვეულებრივის ღიმილით აძლევდა სალამს მარჯვნით და მარცხნით მოსეირნეთა.

— ბრალი არ არის, იმისთანა შეენიერი ქმნილება იმ ძველის მრუშის საბურთაოდ გამხდარიყოს? — წასჩურჩულა თავის მანდილოსანს ლებოვის ადიუტანტმა.

— ამბობენ, კიდეც უბულრავნიათო, — ეშმაკური ჭორიკანაობით შენიშნა მანდილოსანმა.

— ეგ ახალი ამბავი არ იქნება! — დაატანა ადიუტანტმა.

— როგორ?.. თქვენ ხომ არ შეგიმჩნევიათ? — ლაპარაკში გამოსაწვევათ ჩაჰკითხა მანდილოსანმა.

— არა, მაგრამ ასე ამბობენ.

— თქმით მაგაზე მეტსაც ამბობენ, დაჰკრა კვერი მანდილოსანმა.

— ერთ ღამეს საერთო დარბაზობიდან მესამე კადრილს შემდეგ პოლკოვნიკი ლებოვი და ვალიდა თურმე სადღაც გამქრალან.

— ეგ მართალი არ უნდა იყოს, — ეშმაკურათ შენიშნა ადიუტანტმა, რადგან უნდოდა მანდილოსანი გამოეწვია ვალიდას შესახებ ჭორების საუბარში.

— გეფიცები პატიოსნებას, კამენდატის ცოლმა ილაპარაკა: „იმ ღამეს ვალიდა და ლებოვი კარჩაკეტილ კარეტაში ისხდენ მარტოდ-მარტო და ნაშუადღევის ორ საათამდის სულ მუშტაიდის გარშემო ქუჩებზე დასეირნობდენო“.

— ეგ ტყუილი უნდა იყოს, — კიდევ უფრო გამოსაჯავრებლათ თქვა ადიუტანტმა.

— თვითონ მეეტლეს ულაპარაკნია, კოცნის ხმა მესმოდაო.

— ოჰ, ოჰ!.. ეგ მოგონილია.

— რა ეგ გინდა, იმ დღეს თურმე თვით იმათი ლაქია ეუბნებოდა ჩვენს მოსამსახურეს: „ჩემი ბატონები რომ დაბრუნდენ დარბაზობიდან, საათ-ნახევარს შემდეგ ვალიდა და ლებოვი მოვიდენ ერთადაო“. ჩვენმა ლაქიამ მეორე დღეს თვითონ მე მითხრა ეს ამბავი.

ამ სიტყვებზე ადიუტანტმა გადიგრიხა ულვაშები და ბრძნულად წარმოსთქვა:

— შესაძლებელია. ბევრი მაგისთანა ვარდები დაუჭკნია თავის სიცოცხლეში პოლკოვნიკ ლებოვსა.

კარგი სანახავია მუშტაიდის ბაღი შემოდგომაზე, ნამეტურ, როცა თბილი ამინდია. უხვად დაჩრდილული ხეები ფერის ცვლაშია. მართალია, მათ ყვავილი არ მოაქვთ, მაგრამ თვით ფოთლები იქცევა ყვავილებათ, ზოგი მიიღებს ყვითელ ფერს, ზოგი მწვანეს. ზოგი სოსანს, ზოგი სულ მოჭირებულ წითელ ფერს და ეს მრავალ-ფერად შეღებილი ხეები კაშკაშ-ლაჟვარდი ცის ქვეშ ედემის შვენიერებას წარმოუდგენს კაცს. ამ წითელ-ყვითელ ფოთლებში და თბილ მზიანს ტაროსში ხანშესულ კაცს ხშირად მოაგონდება თავისი ჭაბუკობის დრო, და, როგორც შემოდგომის ფოთლები სიოს შემოკვრაზე ალაჟღანდარდებიან, ისე მიმქრალი გულისთქმანი ხანდაზმული კაცისა დაიწყებენ ტოკვას და იწყებენ მოტეხილს გრძნობებს სამარის კიდეზე, რომ ერთხელ კიდევ გააბოროტონ კაცი სიყვარულის გვემითა. სწორედ ამავე მდგომარეობაში იყო პოლკოვნიკი ლებოვი, როდესაც მუშტაიდის გატკეცილს გზებზე ლამაზი ქალის გვერდით წყნარად მიატარებდა ცხენს და მის გულში ჰლვიოდა ვალიდას ტრფიალი.

იერიმია შორიახლოს მისდევდა მათ და სიამოვნების ღიმილით შეხაროდა თავის ახალ ბედს. ის გრძნობდა, რომ პოლკოვნიკი გა-

ტაცებული იყო ვალიდას შვენიერებით. „ნეტავი ვალიდას შეირთავდესო, — წამოიდუდუნა იერემიამ, — მაშინ ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. ორ-სამ თვეს პრაპორჩიკი გაეხდები, მერე, იქნება, სოტნაც ჩამაბაროს პოლკოვნიკმა. მაგას რა კითხვა უნდა, რომ ერთგული სამსახურით თავს შევაყვარებო". ის განზრახ ჩამორჩა კარგათ მოშორებულს მანძილზე, თუმცა თვალიდან არ ჰკარგავდა ცხენოსნებს. ამ ნათელს ფიქრებში რომ იყო იერემია, უცბათ რაღაც ბოროტმა ხმამ თითქოს ყურებში ჩასძახა: „აკი მომკლა ამ ურჯულომო". უცებ მას მოელანდა შავ-თმაგაშლილი მწყრომარე სახე ესმასი. იერემია ძლიერ შეკრთა. „რაღას ვეჩრები ამ წუთისოფელს! — გულგახეთქილმა წამოიძახა მან, — ესმას სიკვდილის შემდეგ მე სასიცოცხლო პირი აღარა მაქვს"...

ვალიდა და პოლკოვნიკი მოხვეულის ბუჩქნარით გავიდენ დიდ ხეების ტალავარში მტკვრის პირის მხარეზე.

— ვალიდა! — ათრთოლებული ხმით შესძახა ლებოვმა, — ვკვდები თქვენი ეშხით, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია.

— რას ბრძანებთ? ეგ სიტყვები არც თქვენ გეკადრებათ და არც ჩემს ქალწულობას, — პირქუშად უთხრა ვალიდამ.

— ნუთუ რაიმე უკადრისია ამ ჩემ მწვავე გრძნობებში! გიმეორებთ, მე თქვენ მიყვარხართ.

— ეგ სიტყვები ალბათ მეოცეჯერ არის წარმოთქმული ოცს სხვა და სხვა თქვენ მიერ შეყვარებულთან.

— მართალია, იქნება მეოცეც იყოს; მაგრამ ეს მეოცე ჩემი გულის პასუხი ოცჯერ უფრო გულახდილი და მწვავი გატეხილი პასუხია მაზედ, რაც სხვებისთვის მითქვამს.

— მერე!... — შეეკითხა ვალიდა.

— თქვენი გული უნდა დანებდეს ამ ერთ წუთს ჩემ ცეცხლმოდებულ გრძნობას.

— მე წუთიერი არა მწამს-რა, — გულგრილად სიტყვა ბანზე აუგდო ვალიდამ.

— თუ ამ წუთს თქვენის ტრფიალებისას შევწირავ ჩემ სიცოცხლეს, მაშინ?.. — ლებოვი ცხენ-და-ცხენ მიიწია ვალიდასკენ, რომ წელზე ხელი შემოეხვია.

— პოლკოვნიკო! ნურას უკაცრავად. მე არც მაგ წუთიერი სიყვარულისა მწამს რამე და არც მჯერა, რომ თქვენ რომელსაც აგრე გაგიტარებიათ თქვენი დღენი, შეგეძლოსთ უმანკო ქალის გრძნობა დააფასოთ... — ეს უთხრა და უცბათ ჰკრა ქუსლი ცხენს. რომ წინ გაეგდო და ხიფათს გადარჩენილიყო.

ის მალე დაეწია ვალიდას და გრძნობიერათ უთხრა:

— ნუთუ ჩემი ამდენი ხნის ტანჯვის მოსავოხებლად მეტი სამკურნალო მალამო არ ყოფილა თქვენს გულში დაგროვებული?

— მე მხოლოდ იმ კაცისათვის მაქვს უებარი გულის წამალი ვინც სიკვდილამდის ჩემი იქნება, — ღიმილით მოხედა უკან ლებოვს და უთხრა ვალიდამ.

ამ წამს ისეთი შნოიანი რამ იყო ეს ქალი, რომ პოლკოვნიკი კინაღამ გაგიჟდა.

იმან უცბად მიაგდო ცხენი ვალიდასკენ და უპასუხა:

— მოგცემ პატიოსან სიტყვას, რომ სიკვდილამდის თქვენი ერთგული ყმა ვიქნები.

— არა, ეგ სიტყვები მარტო არ კმარა; საქმით უნდა დაამტკიცოთ.

— როგორ საქმით? — ჩაჰკითხა სახეზე აპრიალებულმა ლებოვმა.

— წმინდა ცოლ-ქმრობის კავშირით.

პოლკოვნიკს თითქოს ცივი წყალი გადაესხა თავზე. გრძნობა მორეული სიწითლე უცბათ ჩამოეშალა და მკრთალმა ფერმა გადაჰკრა სახეზე. მან უსაყვედურა:

— თქვენ ეგოისტი ყოფილხართ. არ გცოდნიათ, რომ წმინდა ქორწინება სიყვარულის ყვავილს უცბათ აქკნობს და აქრობს.

ვალიდამ აღარა უთხრა-რა, მხოლოდ შეღლით შეხედა პოლკოვნიკს, ჰკრა ქუსლი ცხენს და ოთხამოღებით გამოაფრინა შინისკენ. ლებოვი გამოეკიდა ცხენ-და-ცხენ და, როცა დაუპირდაპირდა, რამდენიმე სატრფიალო სიტყვა კიდევ უთხრა ვალიდას, მაგრამ მას აღარც პირქუში სახე შეუცვლია და აღარც ხმა გაუცია. ლებოვი გრძნობა-დაქვეითებული დადუმდა და მოწამლული გულით მოსდევდა ვალიდას.

იერემიამ ცხენს შემოჰკრა მათრახი და, რაკი მოსეირნენი მუშტაიდის ბაღში ვეღარ ნახა, ჭენებით გამოსდია მათ უკან. ის მოსწვდა ვალიდას და ლებოვს მიხაილოვის ხიდზე და შინამდის აღარ დაშორებია.

ვალიდამ მიაგდო ცხენი მოაჯირზე და დაუძახა იერემიას:

— მოდი, გადმომსვი.

იერემიამ ერთი ნაბიჯით წინ მიასწრო პოლკოვნიკს და ციმციმ გადმოახტუნა ზედა კიბის საფეხურზე. ვალიდა აგოგდა მოაჯირამდის და ჩამოჰკრა ზარას. ლებოვი ზანტათ ადიოდა ქვის კიბეზე. გააღეს თუ არა კარები, ქალი უცებ მოტრიალდა, დაუკრა კოსტად პოლკოვნიკს თავი და შესძახა:

— გმადლობთ სეირნობისათვის, ბატონო ლებოვ! - შევარდა სახლში და მოიხურა კარები. ლებოვი ერთ წუთს თავჩაღუნული იდგა მოაჯირზე, შემდეგ მოტრიალდა კიბეზე. მის წინ იდგა იერემია, რომელსაც მისი ცხენი დაესადავებინა. ლებოვს იამა ეს სიმარდე იერემიასი.

— გმადლობთ, — უთხრა გრძნობით პოლკოვნიკმა. — თუ არ დაიზარებთ, სადგომამდის გამაცილეთ ცხენ-და-ცხენ.

— მზათ გახლავარ ყოველთვის თქვენი ბრძანება ავასრულო.

პოლკოვნიკმა ჰკრა ქუსლი ცხენს და გამალებულმა გასწია შინისკენ. იერემია ოთხამოღებით გამოუდგა უკან. მხლებელმა კი დაიშვირა სადავით ოქროსფერი ყარაბაღული, რომელზედაც ვალიდა იჯდა. და წამოიყვანა შინისკენ.

X.

ვალიდა იყო ერთი იმერლის თავადიშვილის ქალი, რომელიც ქუთაისის წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებელში იზრდებოდა. იმ დროს ბევრს არას ასწავლიდენ ამ სასწავლებელში. განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული გარეგან აღზრდაზე. ქალს უნდა ესწავლა კარგი ცეკვაობა, სხვათა შორის მაზურკაში მიხვრა-მოხვრა და ფეხების რიგზე აყოლება. აგრეთვე უნდა სცოდნოდა ზედმიწევნით კეკლუცათ თავის დაკვრა, რეტერანსი, კავალრებთან კოპწიაობა. თვითონ ვალიდა კარგი ტანადი იყო და მადლიანი მდიდარი სახე ჰქონდა. ის იყო კურსს ასრულებდა, როცა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორად ერთი წარჩინებული რუსეთის გვარის კაცი ჩამოვიდა. მისი მეუღლეც დიდი გვარის შვილი იყო და რუსეთის უმაღლეს წრდებაში ფრიად გაცნობილი. მან მოსვლისთანავე გამართა სალონი, საცა ყოველ შაბათობით იკრიბებოდენ მთელის გუბერნიის მაღალი ჩინოვნიკობა და თავად-აზნაურობა თავიანთ სახლობით. გუბერნატორის მეუღლემ მიიღო მფარველობა წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებლისა და ხშირად დაჰყავდა უფროსი კლასის შეგირდები თავის სალონში. ვალიდა მალე შეიქნა ამ სალონის უბრწყინვალესი ვარსკვლავთაგანი. ახალგაზდა ქალს მისთანა მიმზიდველი იერი ჰქონდა. რომ არ შეიძლებოდა საზოგადოებაში მისთვის კაცს ყურადღება არ მიექცია. გუბერნატორის მეუღლემ დაუწყო მას თავის ამხანაგებში გამორჩევა. ამ ბრწყინვალე საზოგადოებაში ვალიდა ძალიან გავარჯიშდა. იგი გრძნობდა თავის მომხიბლავს სილაზათეს და ხშირად ამხანაგებს ხუმრობით ეტყოდა ხოლმე: „როცა მე დედოფლად გავხდები, თქვენ ჩემ კარის მანდილოსნებათ უნდა დაგნიშნოთო". ისინიც მხიარულად

ქოქოლას აყრიდენ. ერთ დროს გუბერნატორს ეწვია ქალაქიდან ერთი ფრიად დამსახურებული და მდიდარი გენერალი, რომელსაც ისე შეეწონა ვალიდა, რომ იშვილა, რადგან უძეო იყო, და თან წაიყვანა.

ეს გენერალი თფილისში ერთი უწარჩინებულესთაგანი გვამი იყო თავის დიდებული ცხოვრებით. ისეთი წვეულება არ მოხდებოდა არც სასახლეში, არც საერთო დარბაზში, რომ ეს კაცი თავის ოჯახით მიპატიჟებული არ ყოფილიყო. ყველანი განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევდენ ამ კაცს, რადგან ძველი დიდებული გვარის ჩამომავალი, სასახლის კარზე პატივცემული იყო და მის მეუღლეს კარის დიასახლისობა ჰქონდა უმაღლესად მინიჭებული. ამ ოჯახში მთელი მაღალი წოდება საქართველოსი დაიარებოდა. ასე გასინჯეთ, შორეული ქვეყნებიდან მოსულებიც თავის მოვალეობათ რაცხდენ ამ ოჯახის ნახვას და პატივისცემით მოკითხვას. მაგრამ მისი ოჯახი კიდევ უფრო მიმზიდველი შეიქნა მას შემდეგ, რაც იქ დამკვიდრებულიყო იმერეთის ერთი მოციმციმე ვარსკვლავი.

ვალიდა თვრამეტი წლისა მაისის ვარდივით ნორჩათ გაფეთქილი ყვავილი შეიქნა. მაღალი, წელ-წერწეტი, წაბლისფერ სქელ-თმიანი მეტად შვენოდა. მისი პირისახე გაბადრულ სამი კვირის მთვარეს ემსგავსებოდა. როცა მის პირზე ვარდი გაიშლებოდა, ჩარაზმული მარგალიტის კბილები შუქს ჰფენდა მიდამოს. საოცარი გავლენა ჰქონდა ყველაზე ამ ქალის მადლიანს ღიმილს. რაც უნდა გულდაბნეულ კაცს მოეკრა თვალი იმ დროს მისთვის, მაშინვე გადახალისდებოდა. ვის ყურამდისაც იმის კრიალა სიცილი მისწვდებოდა, მისი გული მაშინვე კარს გააღებდა სატრფიალოდ. ამ ქალის ლაზათიანობა თანასწორად აგდებდა ეშხში სისხლ-გამშრალ მოხუცსა და გრძნობა-მომღერალ ჭაბუკს.

დიდებული გენერლის სახლში ვალიდამ პირველ ხანებში მორცხვობა დაიწყო. ბრწყინვალე საზოგადოებამ შვენივრად ჩაცმულ მხედართა, ეპოლეტ-ექსელბანტებით და სხვადასხვა ღირსების ჯვრებით აპრიალებულთა, ჯერ თითქოს მჩაგვრელი ზედმოქმედება იქონია მასზე. მაგრამ იმერეთის ქალწული სამეფო ტახტზედაც რომ დააბძანო, ბოლოს მაინც თავს არ შეირცხვენს. ორჯერ-სამჯერ გავლა-გამოვლა მაღალ-წოდების დარბაისელ მანდილოსნებში საკმაო იყო ვალიდასთვის, რომ მის ბუნების სილაზათეს მათი მედიდურობა შეელაგმა. საცა უნდა გამოჩენილიყო ეს ქალი, ყოველგან თანასწორად იპყრობდა მთელი საზოგადოების ყურადღებას. ახალგაზდა ადიუტანტებს, ინჟინრებს, პალატისა და ოლქის სასამართლოს წევრებს, სულ ყველას რჩებოდათ მასზე თვალები. არც ხანში შესული გენერლები და პოლკოვნიკები უყურებდენ გულგრილად მისს ნათელ შვე-

ნიერებას. ვალიდა მალე შეეჩვია ამისთანა ცხოერებას. ის გრძნობდა თავის მადლიან შნოს და, ვისაც როგორ მოსწონდა. ისე ექცეოდა. ივი გაეჩვია ყველასთან ალერსიანად ყოფნას. მაგრამ ასეთგვარ თანასწორ ტრფიალში ჯერ კიდევ არ ატოკებულიყო ნამდვილი გრძნობით მისი გული. საზოგადოებაში მალე გაითქვა ვალიდას სილამაზისა და სინარნარის სახელი. სასახლემდისაც მიაღწია ამ ამბავმა.

ცოტახანს შემდეგ მოხდა დარბაზობა. დიდი სალხინო ზალა ჩირაღდნებით და უზარმაზარი კანდელით იყო განათებული. მთელი თფილისის დიდკაცობა იქ იყო იმ ღამეს მიპატიჟებული. დარბაზობის გამგე ზალის კარებთან იღებდა პატივცემულ სტუმრებს და ყველას თავ-თავის ალაგს უჩვენებდა. ზალაში იყვენ სადღესასწაულოთ მორთულნი უმაღლესნი სახელმწიფო მოსამსახურენი სამოქალაქო და სამხედრო წოდებისა. ოქროთი ნაკერი ტანსაცმელი, ორდენებით შემკული. გაზის სინათლეზე ცისარტყელასავით ბრწყინავდა. დიდებულათ მორთული მანდილოსნები ღია მკერდ-კისრით და ტიტკელი ბროლის მკლავებით აღძრავდენ საზოგადოების გრძნობას. ბათს თმებში, მკერდებზე და თითებზე ბრილიანტები ვარსკვლავებივით მოკამკამობდენ.

ამ დარბაზობაზე იყვენ მოწვეულნი უმაღლესი ხარისხის გენერლები მათი ცოლშვილით. უცხო ქვეყნის წარმომადგენელნი და კარის დიასახლისები. ესენი, დარბაზს შემდეგ რომ ოქროს ოთახი იყო. იქ გროვდებოდენ. ამ ოთახში მთელი სახლის სამკაულს ყვითელი ფერი დასცემდა: კედლები, ჭერი და ფარდები ყვითელის ფერის იყო! თვით სკამები და მდივნები ოქროში დაფერილ ბრინჯაოთი იყო ნაკეთები. ამ ოქროს ოთახს იქით მესამე ოთახი ფირუზის კამარას მოგაგონებდათ თავის მორთულობით. აქ ავეჯი ძვირფასი შავი ხისა იყო და ყველაფერს მწვანე ფერი დასცემდა. აქ მთავარ-მართებელი თავის მეუღლით იმისთანა სტუმრებს იღებდენ, რომელნიც განსაკუთრებით მათი დაახლოვებულნი მეგობარნი და მასთან შესული სახელმწიფო მოხელენი იყვენ. დარბაზობის მეთვალყურემ მოახსენა მთავარ-მართებლის მეუღლეს, რომ დარბაისელი გენერალი თავის მეუღლით და მათთან ვალიდა ერთად გიახლენო.

— მობრძანდენ, —თავის დახრით ანიშნა მთავარ-მართებლის მეუღლეს.

კარის დიასახლისმა პირველად შემოდგა ფეხი ფირუზის ოთახში და მდაბლათ გაუკეთა რეევერანსი: შემდეგ წარადგინა ვალიდა, როგორც თავისი ქალი. ვალიდამ მეტად შნოიანათ და თავდაბლათ ნისცა პატივი. მთავარ-მართებლის მეუღლე ღიმილით მიეგება ვალიდას. ხელი ჩამოართვა და მიუთითა მწვანე ფარჩით გადაკრულს

პაწია დივანზე. ვალიდას შუბლს ზემოთ თმაზე აჯდა ბრილიანტის ვარდი. მისი გაღიაღებული მკერდ-კისერი სხვილი მარგალიტის გულსაკიდით იყო შემკული. ტანთ ეცვა ვარდის ფერი აბრეშუმის კაბა ძვირფასი ლიონის მატერიისა. მისი მხრებამდის ტიტველი მკლავები ბროლივით მოელვარებდენ; ზედ დიდი ბრილიანტების სამაჯურები ნაპერწკლებს ისროდენ. მისი მაღალი თავ-კისერი, გაბადრული სახე და მშვენიერი ტანადობა სწორეთ მომხიბლავი იყო. მთავარ-მართებლის მეუღლეს პირველ შეხედვაზედვე მოეწონა იგი და ალერსიანათ მოექცა. ამ დროს შემოვიდა ფირუზის ოთახში თვით მთავარ-მართებელი, რომელიც სტუმრებს ღიმილით მიესალმა. მისმა მეუღლემ წარუდგინა ვალიდა, რომლის შვენიერებამაც ძალაუნებურათ მიიპყრო მთავარ-მართებლის ყურადღება. მას უკან უდგა დარბაისელი გენერალი, ვალიდას მამობილი. მთავარ-მართებელმა ღიმილით ჩამოართვა ხელი ვალიდას, მერე მოტრიალდა გენერლისა და მის მეუღლისკენ ამ სიტყვებით: „მიამა თქვენი ქალის ნახვა. გმადლობთ ამის მოყვანისათვის". დარბაისელმა გენერალმა და მისმა მეუღლემ მდაბლათ დაუკრეს თავი. მერე ალერსიანათ უთხრა ვალიდას:

— გთხოვეთ ჩემთან კადრილი ითამაშოთ. ვალიდამ მდაბლათ გაუკეთა რევერანსი. ამ დროს შემოვიდა პოლკოვნიკი ლებოვი და სთხოვა მთავარ-მართებლის მეუღლეს კადრილში თამაშობა. იგი იყო თვით მთავარ-მართებლის მეუღლის ბიძაშვილის-შვილი. მთავარ-მართებელმა იქვე გააცნო ლებოვი ვალიდას და შეითქვეს ერთად თამაში. შემდეგ მან მისცა ხელი ვალიდას და გავიდა ოქროს ოთახში; მათ უკან გაჰყვენ ხელგაყრილნი მთავარ-მართებლის მეუღლე და პოლკოვნიკი ლებოვი. ოქროს ოთახში უცბათ გაკეთდა განიერი წრე, საცა მთავარ-მართებლისა და ლებოვს გარდა რვა ტოლი ქალ-ვაჟი იყვენ მოთამაშენი: გენერალ-ადიუტანტები და უცხო ქვეყნის წარმომადგენელნი თავიანთ მეუღლეებით. დანარჩენი სტუმრები სულ დიდ სადარბაზო ზალაში იყვენ მოთამაშეთ, რომელთაც გარშემო ადგენ სამპირად უმდაბლესი სამხედრო და სამოქალაქო სახელმწიფო მოხელენი. ისინი უცქეროდენ კადრილის თამაშს. მუზიკა ორპირად გრიალებდა. პოლკოვნიკი ლებოვი განაცვიფრა ვალიდას სიშვენიერემ. მესამე, მეხუთე და მეექვსე კადრილში, როცა კავალრები დამებს შესცელიდენ ხოლმე, პოლკოვნიკი ლებოვი რამდენსამე საალერსო სიტყვებს გადუგდებდა ვალიდას, რომელიც შესაფერ პასუხს უგებდა თავაზიანათ. ამან კიდევ უფრო მოხიბლა პოლკოვნიკის გული. როცა გათავდა კადრილი და კავალრებმა თავიანთ დამებს ჩვეულებრივად მადლობა გადაუხადეს, მთა-

ვარ-მართებელი და მისი მეუღლე დაბრუნდენ ისევ ფირუზის ოთახში. ამ შემთხვევით ისარგებლა პოლკოვნიკმა ლებოვმა, მიეიდა ვალიდასთან და მოწიწებით მისცა ხელი.

— კადრილის შემდეგ გეტყობათ დაგცხათ; გამხადეთ ბედნიერი, წამომყევით სანოვაგის ოთახში, ცივი სასმელით გული გაიგრილეთ. ვალიდამ მკლავი-მკლავში გაუყარა და ამრიგათ გავიდენ დიდი დარბაზიდან განიერს დერეფანში, საცა ყოველნაირი სანოვაგე იყო გაწყობილი. ლებოვმა მიიყვანა ერთ მარმარილოს რგვალ მაგიდასთან, რომელსაც გარს ორი ხავერდის სელი ჰქონდა შემოდგმული და დაუძახა მოსამსახურეს ლიმონადი და მასთან მარაჟენი მოერთმიათ.

— დღეევანდელს დარბაზობაში ყველაზე მნათობი ვარსკვლავი თქვენ ბრძანდებოდით, — უთხრა ლებოვმა.

— რას მიბრძანებთ?.. არ მეგონა თუ თქვენგან მაგნაირ დაცინვას დავიმსახურებდი, — ღიმილით უთხრა ვალიდამ.

— მერწმუნეთ, მე ის ნაკლუვანება არა მაქვს, რომ ჩემ სიტყვებს სხვა აზრი ჰქონდეს გარდა იმისა, რასაც თვით ჩემი სიტყვები პირდაპირ გამოხატავენ. ჩემი უაღრესი ნაკლულევანება გულახდით ლაპარაკია.

— გმადლობთ სიამოვნებისთვის, მაგრამ მე მაგ სიტყვებს ჩემს თავზე მაინც ვერ მივიღებ, რადგან აქ ბევრი ჩემზე უფრო ლამაზიც არის და უფრო მდიდრათ ჩაცმულიც.

— ჩემს თვალში თქვენ ხართ ნამდვილი მეფა ამა დარბაზობისა, სხვამ კი თავისი იცის.

— ნუ მიბრძანებთ მაგისთანებს, მე პირფერობა არ მიყვარს.

— ეგ თქვენი სიტყვები სასტიკი ლახვარია ჩემი გულისათვის. რადგან არ გჯერათ ჩემი შთაბეჭდილების გულახდილათ გამოცხადება.

— გმადლობთ თანაგრძნობისათვის.

— ამიერიდან, იცოდეთ, თქვენის სინარნარის ჯაჭვით შეეიქენი მუდამ შებორკილი.

— მე მაგისთანა ლაპარაკის მოსმენას არა ვარ ჩვეული. მე ერთი გულმარტივი ქალი გახლავარ და რა საჭიროა ჩემთან მაგისთანების ლაპარაკი.

— თქვენ, შეუბრალებელო შვენიერებათა ღმერთავ, ნება მაინც მომეცით ხშირად განვიცადო მამა-თქვენის ოჯახში შუქი თქვენის ჰაეროვნებისა!

ამ სიტყვებზე ვალიდას ვარდივით აუწითლდა ლოყები და მისმა სახემ გააორკეცა შვენიერება.

— ღმერთო ჩემო, რა სიტყვებია?.. თქვენისთანა წარჩინებულ კაცს ჩვენს ოჯახში ყოველთვის ღია აქვს კარი.

— მე მაშინ ვიქნები დაჯილდოვებული თქვენის ყურადღებით, თუ ხვალ თორმეტ საათზე ჩემს ხლებას უარს არ ჰყოფთ თქვენს ოჯახში, რადგან ვიცი, რომ ამაღამ ნაშუალამევის სამ საათამდის აქ დარჩებით და კიდევ განზრახ ვიცი, რომ ეს დრო ერთობ ადრეა თქვენ მიერ მისაღებათ სადარბაზოდ მოსულის სტუმრისა.

— დიდი სიამოვნებით, რომ მირძანოთ, თქვენი პატივისცემის გულისთვის ორ ღამესაც ზედიზედ არ მოვიკიდებ ლულსა.

— აღტაცებული შევიქენი მაგნაირი პასუხით, შვენიერო ვალიდავ.

— გმადლობთ მასპინძლობისათვის, — უთხრა ქალმა, დადგა რა ცალიერი ფარფორის ფინი მაგიდაზე. ვალიდა წამოდგა სელიდან. ლებოვმა მიართვა მკლავი და ასე მკლავი-მკლავში გაყრილი ისევ დაბრუნდენ დიდს დარბაზში, სადაც იყო ვალსის გახურებული ტრიალი.

ვალიდას იმავ წამში გაუჩნდა კავალრათ ფრანცუზის კონსული და გაიტაცა სათამაშოთ. ქალი სიხარულისაგან აღარ იყო. იმ ღამეს მას ერთი წამის მოსვენება არ ჰქონდა; მუდამ გადადიოდა ერთი კავალრიდან მეორე კავალრის ხელში საცეკვაოთ. ეტყობოდა. მას დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა მთელ საზოგადოებაზე. ეს დარბაზობა მისთვის სახსოვრად შეიქნა. მთავარ-მართებლის მეუღლეს მაზედ დიდი გავლენა ჰქონდა თავის დარბაისლური ყოფა-ქცევით. ვალიდამ მისი საქციელი სარკესავით გადილო, ასე გასინჯეთ. მისი ლაპარაკის კილო და გულღია სითავდაბლეც კი შეითვისა.

XI.

პოლკოვნიკი ლებოვი იყო ცხენოსანი ჯარის უფროსი და დაახლოვებული პირი სასახლეში. თუმცა მის დაშმუშვნილ სახეს წლოვანებისა და გადაჭარბებული ცხოვრების სიამოვნების დაღი ჰქონდა დასმული. მაგრამ ჯერ კიდევ მხნედ იჩენდა თავს. ის იყო ერთ დროს შვენიერი ვაჟკაცი. კარგი ცხენოსანი, სახელ-განთქმული მონადირე; ბეჯითი მსროლელი და დაუღალავი მოცეკვავე: მაგრამ იმ ხანებში მას ბევრი აღარა ეტყობოდა-რა ჭაბუკობის თვისებისა. თუმცა ვალიდას გულმა მაინც მალე მოიხარა თავი მის წინაშე. თვით პოლკოვნიკი ძალას ატანდა თავის წლოვანებას. რომ ვალიდას ყურადღება დაემსახურებინა. იგი. რაკი მშვენიერი ქალის სიყვარულით განიმსჭვალა. აღარც ცხენოსნობაში და აღარც კავალრო-

ბაში ახალგაზრდებს თავს აღარ უხრიდა. თუმცა პოლკოვნიკი ქეიფობისა და წლოვანების გამო ნეკრესის ქარებით იყო შეპყრობილ.,. მაგრამ ვალიდას ტრფიალებამ სულ გააყმაწვილა და წელში გახრილი ხელახლა გამართა.

პოლკოვნიკის გარდა სხვებიც მრავალნი იყვენ ვალიდას მოტრფიალენი: გენერლის შტაბის ოფიცრები. ოცდახუთ-ოცდაექვსი წლის კოკობ-ულეაშებიანები: მათ მოელოდათ მაღალი ადგილის სახელმწიფო სამსახური მომავალში. დიდკაცობა და ბრწყინვალება, მაგრამ ქალის გული სრულებით პასუხს არ აძლევდა ამ ბრწყინვალე ახალგაზრდობის ტრფიალებას. იმ ჟამად ვალიდას გულში მხოლოდ ქარებიანი პოლკოვნიკის სიყვარული ჰღვიოდა. ვინ გაიგებს ქალისა და ნამეტურ ლიხთ-იმერეთის ასულის პატივის მოყვარე ბუნებას?.. ვინ იცის, რა განზრახვები. რა წარმოდგენები ასხამდენ ფრთებს მის მომავალ ბედნიერებას. როდესაც მისი შნოიანი ღიმილი და ენება-მორეული თვალები პოლკოვნიკის გაცივებულ გულს ხელახლად აღვიძებდენ და ათბობდენ. ნეტავი რა. მოეწონა მას ამ ნეკრესის ქარებიანი პოლკოვნიკისა: ახოვნება, თუ გვარიშვილობა, გამოჩენილი სამხედრო ადგილი თუ მთავარ-მართებლის ნათესაობა?.. დაქმუქვნილი პირისახე. თუ კონიაკით შეწითლებული ცხვირის ნესტოები?.. ძნელია ამის გამოცნობა. როცა საგნათ აქვს კაცს ლიხთ-იმერეთის ასულის დაბუწული ანგარიშების გამორკვევა. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ დარბაზობას ხნიერმა პოლკის უფროსმა მოხიბლა ვალიდას გრძნობები. მისი დარბაისელი მამობილი არა ნაკლებ გატაცებული იყო ამ შემთხვევით. რადგან იმედი მოეცა ლებოვის დამოყვრებისა, ვალიდას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. როცა გაიგო, რომ მთავარ-მართებელს და იმის მეუღლეს უსიამოვნოთ არ რჩებოდათ ეს ამბავი. ვინ იცის, იქნება. ვალიდა მომავალ დაახლოებას მთავარ-მართებლის ოჯახთან უფრო მდუღარე გრძნობით უყურებდა; ვიდრე თავის ხნიერ მოტრფიალე პოლკოვნიკს.

ლებოვი იყო მაღალი წოდების შთამომავალი. უცხო ქვეყანაში აღზრდილი და ფრიად განათლებული. ყმაწვილობიდან სამხედრო სამსახურში შესულიყო. ადრე მიჩვეოდა ქეიფს და დროს გატარებას. როგორც მხედარი. ის იყო მხნე და გაჭირვებას არ ერიდებოდა. მაგრამ ჯაფის შემდეგ თავისუფალ დროს მომეტებულათ უყვარდა ღვინო და ქალი. მას ეს წუთიერი ცხოვრება ადრე მოყირჭებოდა. მისთვის სიყვარული მაისის ვარდის კრეფათ იყო გადაქცეული. როგორც ახალ მოწყვეტილ ყვავილს დიდხანს არ შერჩება სინორჩე და სურნელება. ისე არც მის გატაცებას ჰქონდა დღეგრძელობა. „ლამაზი-ქალი ინგლისის პუნში არისო“, იტყოდა ლებოვი. „კაცის დღიურ

ვარამში ის გაჩენილა მხოლო სისხლის ასაღელვებლათ, ლონის მოსაკრეფათ. ვარდიც კარგია, სანამ ნორჩია, სუნნელოვანი და ფერი არ წასვლია. როცა დაჭკნება, შემდეგ ახალი კუკური უნდა ეძებოვო". აი, ამ ახალ-ახალ თაიგულების მოპოებაში ჰქონდა იმას თავისი დრო გატარებული. რაც უფრო ხანში შედიოდა, ისე უფრო მომეტებულათ აღიძროდა მისი ვნება-დამქრალი გული საუკეთესო ვარდის გასაფუჩქნად. მას ააღელვებდა მხოლოდ არაჩვეულებრივი სინორჩე და სიშვენიერე ქალისა. რაკი ერთხელვე სიყვარულის ნაპერწკალი ჩავარდებოდა ლებოვის გულში, მერე აღარ იცოდა თავის დაჭერა. თუნდ სიცოცხლეც გადაეგო, უთუოდ ხელში უნდა ჩაეგდო ის, ვისაც აღეძრა მისი მოტეხილი გულისთქმანი. „ქალია ტკბილეულობა კაცისათვის გაჩენილი. მე მიყვარს ეს ტკბილეულობა და ისე გაუზნევებული ვარ, რომ არც ერთ უზნეო ბავშვს არ ჩამოვუვარდები ტირილში, ოლონდ კი ეს მურაბა ვიშოვნოვო", — გაიხუმრებდა ხოლმე ლებოვი ტოლამხანაგებში. იმას ბევრი შვენიერი ქალისთვის დაეწვა გული და გაეფუჭებინა სიცოცხლე. კიდეც ამიტომ დარჩენილიყო ის აქამდე უცოლოდ. მას არც სწამდა ცოლ-ქმრობითი ზნეობა, რადგან არ სჯეროდა არც ქალის სიმტკიცე, არც მისი გონიერება. „ქალისთვის ღმერთს მიუცია გული და არა ტვინი. ის არის ჯოჯოხეთის სანთელი, რომელიც მის აშიკ პეპლებს ფრთებს გვიტრუსავს; მაგრამ მისი ქმნილება იმდენათ მომხიბლავია ჩვენთვის, რომ ერთი წუთის სიამოვნებისათვის ფრთების შეტრუსვას აღარ ვნაღვლობთო". ქალში მას მოსწონდა ტანი, სახე და გულისთქმის ალი. არც ერთ ამ თვისებას ქალისას სიმტკიცე არა აქვს. ლებოვსაც ამ წუთიერი სიამოვნებისათვის უყვარდა იგი. ვალიდას ჩინებულმა მოყვანილობამ აღაგზნო ლებოვის ვნების ქარები უკიდურესობამდის. იმას აღარც დღე ჰქონდა მოსვენება, აღარც ღამე. რაც უფრო ხშირად ხედავდა ვალიდას, თანდათან უფრო ეკარგებოდა მოთმინება, რომ რამენაირათ იგი შექმნილიყო მისი გულის უფალი. ერთი მის მკერდზე დაკონებისათვის მზათ იყო სიცოცხლე შეეწირა. მაგრამ ვალიდა სრულებით სხვას ჰფიქრობდა. მართალია, ისიც გატაცებული იყო ლებოვისაგან, მაგრამ სულ სხვანაირად. იმას უნდოდა ლებოვი ქმრად და თავის გამოსაჩენად. მისი საშუალებით ვალიდა უნდა შესულიყო მაღალი წრის საზოგადოებაში და იქ პატივისმოყვარება მოეპოვებინა. ამიტომაც ლებოვის წუთიერ აშიყობას მალე დაუდვა საზღვარი და შორს დაიჭირა მისი ტრფიალება.

ლებოვის სიცოცხლეში ეს პირველი იყო, რომ ქალი ამდენათ გამაგრებოდეს მის მწვავე გულისთქმათ. მუშტაიდში სეირნობის შემდეგ მეტად დაიქვეითა ლებოვმა. ის ერთ თვეს აღარ გამოჩენილა

დარბაისელი გენერლის ოჯახში ვალიდას სანასაევად. ლიხთ-იმერეთის მნათობის პლანები ძალიან შეარყია ამ გარემოებამ.

— ნუთუ მართლა დავკარგე საუკუნოთ ჩემი ბედი?.. — ჩაჰკითხავდა ხოლმე იგი თავის გულს. ამ რამდენისამე თვის განმავლობაში, რაც ვალიდამ გაიცნო ლებოვი, იმ პირველს დარბაზობას აქეთ, მან ბევრი მწუხარება გამოსცადა. არა ერთხელ უნახავს იგი თვალებ-დაწითლებული გენერლის მეუღლეს, მაგრამ როგორც სჩვეოდა მის დარბაისლობას, თვალს არიდებდა და არაფრით ანიშნინებდა თავის შვილობილს, რომ ვიცი შენი გულის ნაღველიო.

XII.

იერემიამ ძალიან ისარგებლა ვალიდასა და ლებოვის შემდეგ-ურებით. პოლკოვნიკი თუმცა უწყრებოდა ქალს, რომ იგი არ დათანხმდა კოკობი ვარდი გაეფურჩქვნინებინა, მაგრამ იერემიას სამსახურში დაწინაურებით მაინც უნდოდა ვალიდასთვის ეგრძნობინებია, რომ იგი წინანდულათ მისი სიამოვნების მორჩილი ყმა იყო და უარს ვერ გაბედავდა ოქროს ულლის დადგმაზე.

ლებოვმა მოსთხოვა იერემიას უწინდელი სამსახურის საბუთები. გამოჩნდა, რომ ერთხელ კიდეც წარედგინათ აფიცრობაზე, ციხის-ძირთან რომ უკანასკნელი ბრძოლა იყო, და, თუ არ მოუვიდა ჩინი, ალბათ იმისთვის რომ არც სხვებს მოსვლიათ, ვინც კი იმ უხერხო იერიშში ერია. ამ გარემოებით ისარგებლა ლებოვმა და, ოთხი თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც იერემია ცხენოსანს ჯარში ჩარიცხეს. ხელმეორედ წარადგინა იგი ჩინზე. ეს ამბავი ლებოვმა გაუგზავნა ვალიდას თვით იერემიას ხელით, რომელსაც ოქროთი შემოვარაყებული კონვერტიანი წერილი ჰქონდა გამოტანებული. ქალს მეტად გაეხარდა ლებოვისაგან წერილის მიღება. ერთი რომ მისი ნათესავი იერემია მალე დაწინაურდა სამსახურში მისივე მეოხებით. მეორე— ამ საბუთით აშკარად დარწმუნდა ლებოვის გულ-შეუცვლელობაზე.

— ვალიდა, შენით დამემართა ეს, რაც ჩემს თავზე ბედნიერების დღეა მოწევნილი. შენ რომ არა, მე ან სამსახურში ვინ მიმიღებდა, ან ასე მალე როგორ წარმადგენდენ ჩინზე, — საღი გულით ეუბნებოდა იერემია. — რომ იცოდე, პოლკოვნიკს რანაირად მიაჩნიხარ? სულ შენი სახელი ადგას ენაზე. დღეში ოთხჯერ, ხუთჯერ მაინც მიმიხმობს საუზმეზე, ან ყავაზე, ან ჩაიზე, როცა მარტოდ მარტოა და თუ ჩვენ ორის მეტი არავინა ვართ მის კაბინეტში. აი, მაშინ გამომკითხავს ხოლმე შენის ყმაწვილობის ამბავს. თუ რანაირად ში-

ტარებიხარ წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებელ'ში. ან როგორი ხასიათის იყავი ბავშობისას, ან შენი ცხონებული დედ-მამა როგორ ცხოვრობდა და სხვ. სწორედ დავრწმუნდი, რომ შენ მისი ღმერთა შექმნილხარ და უნდა კიდეც წინადადება მოგცეს ცოლად შერთვაზე.

— უიმე. რას ლაპარაკობ იერემია?.. ეგ მეორედ არ გაამხილო. თორემ დაგემდურები. რომ ვინმემ გაიგონოს. თავი მომეკვრება. სად მე და სად ის?.. ერთი უცხო ქვეყნელი კაცია. დიდი კაცია, დიდი კაცის შვილი! მე როგორ შემირთავს?..

— ვალიდა. მაგის დარდი ნუ გაქვს. ოღონდ შენ უარს ნუ იტყვი. მე იმას შენ წინაშე სულ დამუხლისთაევებულს მოვიყვან. ეგ რომ მოხდეს, მართლაც ჩვენი ქვეყნის დედოფალი შენ იქნები. რამდენს შენიანს შეეწევი?.. მაგას დიდი ნათესავობა ჰყავს. დიდი გვარი აქვს; რასაც ინატრებ, ის იქნება შენს სამშობლო ქვეყანაში. ხომ იცი, ვალიდა. დღეს რომ ცხვირი წაუშვიათ და ჩვენთან გაცნობასაც არ კადრულობენ, შენ რომ ლუბოვის მეუღლე გახდე, მერე ბუზებივით შემოგედებიან. ყველა შენი მორჩილი და პატივისცემელი იქნება. ყველა ბატონათ გაგხდის და თავზე დაგისვამს.

— სუ. იერემია. სული ნუ შემიწუხე!.. დაანებე მაგეების ლაპარაკს თავი. — მოუთმენლათ შესძახა ვალიდამ.

— ვაიმე. ვაიმე!.. ვალიდა! არ დამღუპო. ბედი არ დაკარგო.

— ავათ ხომ არ არის? — სიტყვა ბანზე აუგდო ქალმა: — ეს რამდენიმე დღეა არ მინახავს.

— დიაღ, რაღაც ფეხები ტკიოდა. წინეთ გაცივებულიყო, მაგრამ ახლა კარგათ არის.

— ასე მითხრეს. ქარებით არის შეპყრობილიო. მართალია?...

— ტყუილი მოუხსენებიათ: მტერობაა ყველაფერი. ატყობენ. რომ შენ მოსწონხარ და არ სურთ ბედნიერება. იმას რომ ვერა მოუხერხეს-რა. ვერ ამოარეცხინეს გულიდან შენი სახელი. ახლა სხვა ღონე მოიხმარეს: შენ გასმენენ. გეუბნებიან. ქარები სჭირსო: ნურავის დაუჯერებ. ვალიდა. მტრებს უნდათ რამენაირათ დაგაშორონ იმ კაცს და გული აგაყრევინონ. განა ცოტანი არიან თფილისში, რომ მაგის წაყოლა უნდათ და შემთხვევას სანთლით ეძებენ?.. ეს ბედია ღვთისაგან მოვლენილი შენზე. ჩემო ვალიდა: ღმერთი არ გამიწყრომო. არ გაუშვა ხელიდან. თორემ მერე ბევრს ინანებ.

— რა ვუყო? პასუხი უნდა მივსწერო. რომ შენი ჩინზე წარდგენა მიმახარობლა და თავში არა მომდის-რა.

— მაგას რა ბევრი უნდა, რაც მოკლეთ და უბრალოთ გამოთქვამ შენი გულის პასუხს. ის ემჯობინება. მადლობა მისწერე შენს ნათესავზე ზრუნვისათვის და ბოლოს ასე ჩაურთე: რატომ დაგვი-

ვიწყეთქო. მეტი იმის არა უნდა-რა. სულ კოცნით აავსებს შენს ხელნაწერს და მაშინვე დაგვიხშირებს ნახვას. თუ იშვიათად დადის. შენი ბრალია. გულ მხურვალეთ ვერ ეპყრობი. გრძნობას ვერ უღვიძებ.

— კარგი. გაჩუმდი. ბევრის ლაპარაკის ნებას ნუ აძლევ თავს! — უთხრა წყრომით და შეევიდა თავის ოთახში.

„ღმერთმა ნუ ქნას. რომ ვალიდა ლებოვს ცოლად არ წაყოლოდეს. თავს დავსდებ და ამას მოვახდენ. აქ არის ჩემი ბედნიერება. თუ ეს ასრულდა. მე აღარა მიჭირს-რა. ჩემს ბედს ძაღლი არ დაჭყეფს. ქუთაისში საქმე შეუდგენიათ. გამომძიებელი ძალიან ჩაეინებულია თურმე. უთქვამს ბახვას ცოლის მკვლელობის საქმე უნდა აეხსნაო. ოღონდ კი ეს ამბავი კარგათ გათავდეს. ვალიდა ლებოვის მეუღლე გახდეს და მერე მე ვიცი. ჩემ მაგიერათ იქნება თვითონ გამომძიებელიც დაბრძანდეს სამსჯავროს სკამზე. სამართალი ჩემს ხელში არ იქნება?.. როცა ვალიდა თავის საკუთარ ოჯახში დაბინავდება და ლებოვის სახლი კარგაღებული იქნება მთელის დიდკაცობისათვის. მაშინ უნდა მიყურონ. რას მოვახდენ!..“ ფიქრობდა გულში იერემია. მისი საქმე აბ ბოლო დროს დიდ წარმატებაში შეევიდა და ამ წარმატებამ თანდათან გაანელა მისი შინაგანი სულის კვეთება და შიში. რომელიც იმ პირველ ხანებში მის გამოხატულებას თავზარს სცემდა. იმან ახლა სხვაგვარი ზნეობითი ღონე მოიცა. ბევრი რამ ახალი შეიტყო თფილისის დიდკაცობის ცხოვრებიდან: ზოგს ცოლის მკვლელობა ბრალდებოდა. ზოგს ყალბი ფულების მოჭრა. ზოგს ყალბი ანდერძით აურაცხელი ქონების მითვისება. ზოგს საიდუმლო მკვლელობა. რომლის გამო უბრალო კაცები დაუსჯიათ. თვით მკვლელებს კი საპატიო ადგილები ეჭირათ დღესაც საზოგადოებაში. ამისთანა ამბებმა დიდი შეღავათი მისცა მის შეშინებულ წარმოდგენას. ის განვითარდა თფილისის საზოგადოებაში. საეკრო კლუბის წევრად გახდა. შეიქნა მოწონებული სასიძო. ბევრი მზითვიანი ვაჭრის ქალი სურვილით უყურებდა მის თვალ-ტანადობას და ჯაეარიანობას: იმათ გაეგონათ. რომ იგი ჩინზე იყო წარდგენილი და ისე ეჭირათ თავი. რომ ერთმანეთს ექიშპებოდენ. ემუშტრებოდენ. ერთი კარგი მზითვიანი სოვდაგრის ქალი მაინც ძალიან დაუახლოვდა. იერემიამ გაიცნო მისი ოჯახობა და ხშირად დაიარებოდა. კლუბში როცა თამაშობა და ცეკვა გაიმართებოდა. ეს ქალი და იერემია სულ ერთად იყვენ. ხუმრობდენ. მასხრობდენ და ერთმანეთზე ეჭირათ მუდამ თვალი. ეაჟმა იცოდა. რომ ქალს ოცდაათი-ათასი მანეთი ნაღდი მზითვი ჰქონდა და მხოლოდ აფიცრობას უცდიდა. რომ ის ქალი დაენიშნა. თითქმის სიტყვაც ჰქონდათ ერთმანეთისთვის მიცემული. ამ გარემოებამ სრულებით გააქრო იერემიას თვალში მრისხანე სახე ესმასი. რომ-

ლის აჩრდილი უწინ წამის-წამს თავს დასტრიალებდა და მიხ დატახ-ჯულ სულს მოსვენებას არ აძლევდა. რაკი ახალ ცხოვრებაში ფეხი შედგა მანამდის მის გულში სინანულის კვალი დარჩენილიყო წარ-სულს ბოროტ-მოქმედებაზე, ესე ყოველივე გაჰქრა და მის გულის ფიცრიდან ამოიფხვრა. რაზედაც უწინ ალღოს იღებდა და რაც ში-ნაგანი სულის ტანჯვის მიზეზად გამხდარიყო, ახლა ის გონების დარ-ჯაკში გაავლო და დარწმუნდა, რომ ქვეყანაზე არც სამართალია, არც ცოდვა, არც მადლი. „ყოველიფერი სარგებლობას ექვემდებარება“! ამბობდა იერემია თავისთვის. „ოღონდ ძალი მოიპოვე, ან ფულისა. ან მთავრობის განმაელობისა და მაშინ, რაც უნდა მოიქმედო, შენს ნამოქმედარს უსამართლობის კვალი არ დააჩნდება. თურმე ცოდვა და მადლი დაჩაგრულებისა, ღარიბებისა და უღონოებისათვის ყო-ფილა მოგონილი იმ განზრახვით, რომ ისინი ამა სოფლის ძლიერმა, მდიდარმა და გავლენის მექონე კაცებმა კიდევ უფრო ხელში ჩაიგდონ და თავიანთ კეთილმდგომარეობის მსხვერპლათ გახადონ. აი, ბორბა-ლა აიღეთ, ნახეთ, როგორ ეპყრობა იგი ბუზს, როცა თავის ქსელში გააბამს და შემდეგ გულსიამით წვენს გამოსწუწნის. სულ ასე მოქმე-დებს ძლიერების მქონე კაცი უძლურ, დაჩაგრულ არსებასთან“.

ვალიდას გამოსვლამ გააწყვეტინა იერემიას ამნაირი ფიქრები; ქალს ხელში ეჭირა პაწია კონვერტი, რომელზედაც მოხატული იყო ერთნაირი ყვავილების თაიგული, ზედ მტრედი იჯდა და ნისკარტში ბარათი ეჭირა. ვალიდამ გამოთხოვებისას განზრახ დაატანა ეს სიტყვე-ბი: „იერემია, თუ გწამდე, ჩემზე ლებოვს არა ელაპარაკო-რა“ გაატა-ნა წიგნი და გაისტუმრა.

XIII.

თებერვალი იყო. ქუთაისში თოვლის შოლი იყო გამსკდარი და ქუჩებზე ღრმა წუმპე მიდიოდა. ცივი ქარი ხელებს ჰყინავდა. გამომძიებელი ეტლით მიეჩქარებოდა რკინის გზის სადგურისკენ. ის მიდიოდა სამტრედიას. იქ ორპირის მახლობლათ ყაჩაღები ერთ მოსახლეს დასცემოდენ და ოჯახის პატრონი მოეკლათ. რიონის რკი-ნის გზის სადგურზე ის გადვიდა მეორე მატარებელში, საცა მან ამოირჩია ერთი უკანა კლასის ვაგონი, რომელიც თითქმის სულ ცალიერი იყო. დაიგო ნაბადი გძელ სკამზე, თავით ყურბალიში მიიდ-ვა, წამოწვა, ზევიდან პლედი მიიხურა და უნდოდა სამტრედიამდის გამოეძინა. იმას მართლა ეგონა, რომ ვაგონში მის მეტი არავინ იყო, რადგან მატარებლის დაძვრამდის არც არავინ შემოსულა და არც გასულა. დახუჭა თვალები. მაგრამ მომავალი გამოძიების ფიქრებმა

ძილი არ მოგვარეს. მატარებელი უკვე მიჰქროდა ქვემოთკენ. ცოტა ხანს შემდეგ ვაგონში შემოვიდა კონდუქტორი, რომელსაც ლამის ფანარი ხელში ეჭირა, მიიხედ-მოიხედა, გადაავლო თვალი ყველა სკამებს და კუნჭულში ერთი ნაბად-მოსხმული კაცი დაინახა. რომელიც საეჭვოდ არ იმჩნევდა თავს.

— ბილეთი შენი? — ჰკითხა კონდუქტორმა.

მგზავრმა გამოჰყო თავი ნაბადიდან, ბაშლაყი გადიწია და უთხრა:

— გამარჯობა შენი, ნიკო.

— ოჰ, საბას გაუმარჯოს! — მიესალმა კონდუქტორი. ძეც არ გამიკვირდა! აბა, შენ თავის დღეში ბილეთი არ გქონია, ახლა საიდან მოიტანდი? — ღიმილით უთხრა კონდუქტორმა.

— ძმობამ, შენ რომ არ მყავდე ამ რკინის გზაზე. ცუდათ იქნება ჩემი საქმე.

— თუ მაგისთანებშიაც მეზობელს ხელი არ გავუმართეთ, რაღა კაცები ვიქნებით?

ამ სიტყვებით კონდუქტორმა ჩაიარა და დაათვალიერა წინა სკამები. იქ იმან შენიშნა ერთი მწოლარე ჩინოვნიკი, რომელსაც თვალები დახუჭული ჰქონდა. კონდუქტორმა იფიქრა, სძინავსო და, რადგან ქართველი კაცის სახე ჰქონდა, მოერიდა, აღარ გააღვიძა. ისევ უკან მოტრიალდა, დაჯდა საბასთან და ჰკითხა:

— თუ იცი, ის ჩინოვნიკი ვინ არის, იმ სკამზე რომ სძინავს?

— არ ვიცი, ძმობამ. ის შემოვიდა და მაშინვე დაწვა, ალბათ დაღალულია ვინმე. არც კი შეუნიშნავარ.

— სად ყოფილხარ?

— სად ვიქნებოდი? ქუთაისში ვიყავი, ეს სამი დღეა, იქა ვარ. საქონლის, სასმელების და სასაქმოს ყიდვა მინდოდა. დუქანი დამიცალიერდა.

— იყიდე რამე?..

— ვიყიდე, მაგრამ მამასისხლათ ყოველიფერი. დიდძარხვა დგება. ქუთაისიც ამ დროს გამოხიკნულია.

— შენ უფრო ნამდვილად გეცოდინება, რა ამბავი მომხდარა ორპირის მახლობლად ს. საჭ—ს? მართლა მოუკლავთ ყაჩაღები კაცი და გაუქურდავთ?

— მოუკლავთ, — უთხრა საბამ. — იმ დღეს წავედი ძე ქუთაისს. ეს ამბავი წინა ღამეს მომხდარიყო. ამბობენ თხუთმეტი თუმნის მეტი ვერ უნახავთ ოჯახშიო. საწყალი ოურმე საშინლად დაუსახიჩრებიათ იმ ურჯულოებს. ოცდაათზე მეტი ჭრილობა აქვსო ტანზე.

ეს ამბავი რომ გამომძიებელმა გაიგონა. უური დაუგდო. იქნება ისეთი რამ გარემოება თქვანო. რომ საქმის ასახსნელათ გამომომადგესო.

— ეჰ. ძმაო. ცოდვიან დროში ვცხოვრობთ. — დაატანა საბამ. თუ კაცის კელაზე. ქურდობაზე და მოტაცებაზე გაიგონებ რასმე ჩვენში, თორემ სხვა ახალი ამბავი აღარა არის-რა. ვინ იცის. იქნება ჩემს ქუთაისს ყოფნაში ჩემი დუქანიც აიკლეს. ღამე აღარ მძინავს შიშისაგან. ნამეტნად შარშან რომ უბედურება მოხდა აბაშის სტანციის მახლობლათ, საწყალი ბახვა ფულავას ცოლი რომ მოკლეს. მას აქეთია მოსვენებული აღარა ვარ.

— როგორ? — ჰკითხა ცნობის-მოყვარეობით ნიკომ.

— როგორ და ის სულიერები იმ დღეს ჩემ დუქანში იწვენ მთელი დღე და საღამოს გაილალენ. აბაშისკენ წავიდენ. მეორე დღეს გავარდა ხმა. რომ იერემიამ და გივიმ მოკლესო. — მაშინვე მიეხვედი. სწორეთ ისინი იქნებოდენ-მეთქი. აქ რომ იყვენ ჩემ დუქანში. კარი შეიკეტეს და იმ დღეს არ გამოჩენილან. კაცებს ერიდებოდენ, არავინ დაგვინახოსო. მე რა ვიცოდი. საღამოს როგორც თფილისიდან მატარებელმა ჩამოიარა. მაშინვე გამოშპენ ჩემი დუქნიდან და ისევ ფოთისკენ წავიდენ. ეჰვი კი ავიღე, რომ იმათ კარგი საქმე არ უნდოდათ. ამიტომ რომ დილის მატარებლით მოვიდენ აქ და საღამოს მატარებლით ისევ უკან წავიდენ. აქ ჩემს დუქანში ძილის მეტი არა გაუკეთებიათ-რა. თუ ისინი კარგი კაცები იყვენ, ან რათ მოვიდენ ფოთიდან, ან ისევ იქითკენ რათ წავიდენ? ალბათ ის ბოროტება ედვათ გულში და ვითამ კვალი დაკარგეს. ხმა დაეგდოთ აბაშის სტანციაზე, რომ ქალაქს მივდივართო.

— მეც აგრე მითხრეს. რომ იმ დღეს იერემია თფილისს მინავალა. ახლაც იქ არის. ძალიან მიღებული კაცია სამხედრო სამსახურში, დღეს თუ ხვალ აფიცრობა მოუვა.

ცოდვა კი არის, ძმაო. იმისთანა კაცის გაფუჭება. — თქვა ნიკომ. — მე იმისთანა თვალტანადი კაცი და მარჯვე არ მინახავს. ღმერთმა მოგცეს საამბანაგოთ. ფოთში ვიცნობდი, ბევრჯერ დავუპატიჟებივარ სმაში.

— მაგისთანა კაცები, ჩემო ძმაო, — განაგრძო საბამ, — სულ სხვისი ჯიბით გამოდიან. რა ესარჯებათ ქეიფის მეტი. რატომ არ ეპატიჟებენ?.. მაგნაირათ მეც დავპატიჟებ ყველას, თუ გაეცარცვაე და წაეგლეჯ ვისმე. ერთმა იმათგანმა შემომითვალა, ეს სამი თვეა ჭკა აქეთ, გაჩუმდი, ჩვენზე ხმებს ნუ ავრცელებ, თორემ დუქნიანა, ვადაგწვავო.

ვინ არის. თუ ღმერთი გწყალს მითხარი. ვინ შემოგითვალა. — ჩაჰკითხა ნიკომ.

— ვინ არის და გიკი. იმან ჩემი ამბავი არ იცის. ნუ გავიმეტებ. თორემ სანამდის ჩემს დუქანს დასწვავდეს ხუთჯერ დავაჭერინებ პროკურორს: ის კი არ იცის. რომ მე ისიც შეტყობილი მაქვს, იმ ერთ თვეს. როცა ის ზურგში დაჭრილი იყო. სად იმალებოდა, სად ირჩენდა თავს. რომ გამომძიებელს ტანს გავახდევინებ და ჭრილობის ნიშანს გადმოვაშლევინებ. აბა მაშინ გაითავისუფლოს იმან თავი.

ამ ლაპარაკზე გამომძიებელმა კიდევ უფრო გამოცქვიტა ყურები. წამოიწია ნელა და სკამის ხარიხას დაადგა თავი. რომ არა გამოპარვიდა–რა მათი ნალაპარაკევი: ვაგონში ბნელოდა: გამომძიებელი მოსაუბრეებს კარგათ ხედავდა და ისინი გამომძიებელს კი ვერა, რადგან წინ ფარანი ედგათ. რომელსაც შავი ჩრდილი ჰქონდა იქით მხარეზე მიფენილი.

— ღმერთმანი ახია მაგისთანა კაცები დაისაჯოს. — სთქვა ნიკომ

ამ დროს მატარებელმა დაისტვინა. ნიკო ადგა და წავიდა გამომძიებლისაკენ. რომელიც ამ დროს უცებ გასწორდა.

— თქვენი ბილეთი სადამდის არის? — ჰკითხა კონდუქტორმა.

— მე სამტრედიას მივდივარ. — უპასუხა გამომძიებელმა და გაუწვდიხა ბილეთი ჩასაკეცავათ.

ამ დროს მატარებელი გაჩერდა კოპიტნარის რკინის გზის საგზურთან.

ცოტა ხანს იქით მატარებელი ისევ დაიძრა. კონდუქტორმა ნიკომ ისევ ჩამოიარა ვაგონები და იძახოდა: „სამტრედიას მიმავალთა ბილეთები გვიბოძეთო". იგი შემოვიდა ისევ იმ ვაგონში. საცა გამომძიებელი იყო და მოსთხოვა ბილეთი გამოსართმევათ.

— კონდუქტორო. — მიიქცა მასთან გამომძიებელი. — ის კაცი ვინ იყო. თქვენ რომ გელაპარაკებოდათ წეღან. აი. იმ კუნჭულში?

— ის გახლდა საბაია გაპარიაშვილი. ის გახლავს სამტრედიის მედუქნე. ხშირად დავდივართ იმის დუქანში. ძალიან კარგი მოვაჭრე კაცია. ჩვენ კონდუქტორებისაგანაც კარგი შემოსავალი აქვს.

— თქვენ რა გვარი ბრძანდებით?

— მე გახლავარ ნიკო ბაინდურაძე.

— თქვენ რომელ მატარებელს დაჰყვებით ხოლმე?

— მე ამ მატარებელზე გახლავარ. ეს არის პირველი ნომერი.

— კარგი დაგემართოს. უკაცრავათ კითხვით შეგაწუხეთ, მაგრამ თქვენი გაცნობა მინდოდა.

. — თქვენ ვინ ბრძანდებით, — ჰკითხა სამაგიეროთ ნიკომ გამომძიებელს.

— მე სუდში ვმსახურობ სეკრეტრის თანაშემწეთ. აქ კულაშს ძივდივარ ნათესავებში.

— კარგი და პატიოსანი. — კმაყოფილებით დაატანა ნიკომ და ჩაიარა გულმხიარულათ მითი, რომ ფიქრობდა, ერთი კარგი ნაცნობი მაინც ვიშოვნეო.

გამომძიებელმა ყოველიეე დაწვრილებით ჩაინიშნა განაგონი და სიხარულისაგან აღარ იყო, რომ ამისთანა ძვირფას კვალს წაატყდა ბახვა ფულავას მკვლელობის საქმისას. როგორც კი სამტრედიის რკინის გზის სადგურს მიადგა მატარებელი, გამომძიებელმა უცებ ბარგი გადააღებინა მოსამსახურეს და გადახტა მატარებლიდან. ის გრძნობდა, რომ ამ დაფარულ მკვლელობას მშვენივრად გამოიძევდა, ყოველსაე დაწვრლებით ახსნიდა და ესეც იცოდა, რომ ეს შესანიშნაეი საქმე იმას თვალსაჩინო ნაბიჯს წაადგმევინებდა წინ. რა შესანიშნავ alibi-სა მოვსტეხ კბილსო — ტრაბახობდა გულში. თუ კაცი ვარ, პალატის თავმჯდომარემდი მიაღწევს ეს ჩემი შესანიშნავი გამოძიების საქმეო. ამისთანა ბრწყინვალე ფიქრებით გარემოცული მესამე დღეს ქუთაისისაკენვე მიჰქროდა რკინის გზით ახალგაზდა გამომძიებელი.

XIV.

ცოლის დასაფლავების შემდეგ ბახვას სიდედრს ბევრი აღარ უცოცხლია. ის გადაიტანა მისი შვილის უბედურებამ. ამ ხანებში ბახვაც ჭრილობისაგან ლოგინზე ეგდო. იმას ბევრი ფული დაეხარჯა თუ ცოლისა და სიდედრის დამარხვაზე, თუ გამოძიებებში. როცა ფეხზე წამოდგა და დაუწყო დევნა სამართლის წესით თავის ცოლის მკვლელებს, მისი საქმეები სულ უკუღმა დატრიალდენ, ვიზედაც ბევრი ჰქონდა გაცემული ან კუნძების საეაჭროთ, ან სიმიდების საყიდლათ, რაკი შეიტყვეს, რომ ბახვას უბედურება ეწვია, ყველამ უმტყუნა. ამ გარემოების გამო ბახვას ათას თუმანზე მეტი დაეკარგა. ვისთანაც თამასუქებით გასესხებული ჰქონდა, აღარც ისინი აძლევდენ უსაჩიეროდ. მეტი რა ღონე ჰქონდა, ფული რაკი სჭიროდა, ვისგანმე უნდა ესესხნა. აი, ამის გამო ის მიიქცა თავის ბიძაშვილ ნესტორასთან, რომელიც კუნძებისა და სიმიდის ვაჭრობაში მონაწილეთ ჰყავდა შეყვანილი. როგორც მოხსენებული იყო, იმას მიანდო თავის ახალ-შეძენილი სახლ-კარი და ბეებით დარიგებულს ფულში რაც თავის ბიძაშვილის წილი იყო, ისიც თავის თავზედ მიიღო ვალად, ნაღდათაც ორასი თუმანი გამოართვა, სამასი თუმანი

იმის წილში დაკარგული ზედ შესვა და ხუთასი თუმნის ვექსილი ვადით დაწერილი მისცა ხელში ნესტორას. როცა ვადა მოვიდა, ბიძაშვილმა, რასაკვირველია, თავის ფული სთხოვა; რადგან იმ დროს ბახვას ფული ხელში არ ჰქონდა, ვექსილი გამოუცვალა და ხუთასი თუმნის მაგიერათ რვაასი თუმნის ვექსილი დაუმტკიცა ნოტარიუსში. ამ ანგარიშით ნესტორას მოუდიოდა მანეთზე ექვსი შაური სარგებელი. ბახვამ, რასაკვირველია, იწყინა ეს ამბავი. ჩემმა გაზდილმა ბიძაშვილმა რო აღარ გამიტანა, სხვა ვინღა გამიტანსო. მაგიერათ, თუ კი ვინმე ჩაუვარდებოდა ხელში, განკითხვა აღარ იყო. ამასთანავე ის თანდათან მიეჩვია ღვინის სმას. თითქმის დღე-ნიადაგ მთვრალობდა, როცა კი მისი ვექილი ვისმე ქონებას ასწერდა და ვალს ერთი-ორად და სამად აიღებდა, მაშინ ხომ მის ლოთობას საზღვარი არ ჰქონდა. აი, ამის გამო ბახვა ფულავას დაარქვეს „ლოთი ჩარჩი“. ხშირად მომხდარა, რომ იგი სადმე დუქანში მთვრალობისათვის გაელახოსთ, განსაკუთრებით მის მიერ ტყავგაძრობილ მევალეებს, მაგრამ არც ის აკლებდა ხელს ცემა-ტყეპაში. ამის გამო იგი შეიქნა ქვეყანაზე ამოთვალწუნებული. ყველანი მაზედ აშვერდენ ხელს, ყველა ცდილობდა, რომ ის რაიმე საეშვო საქმეში გაეხვიათ. მაგრამ ვექილი ჩაფხუტაძე ჯერ-ჯერობით არავის ანებებდა ბახვას თავს. რაც დრო გადიოდა, თანდათან უფრო ერეოდა მას მესისხლეობის ბრაზი იერემიაზე. მისი საქმე ისე მიყრუვდა, რომ დარწმუნებული იყო, დღეს თუ ხვალ უეშველად მოსპობენო. ამის გამო იმან თანდათან შეიძულა გამგეობა, სამართალი, თვით საზოგადოება, რომელიც მას ეჩვენებოდა მგლების ხროვათ. ყველაზე ეშვი ჰქონდა აღებული. თითქოს ყველას მის სამტროდ მოეცალა. ამგვარმა გარემოებამ კიდევ უფრო აღძრა ბახვას გულში კაცების სიძულვილი. ამიერიდან იმან ამოირეცხა გული ადამიანზე. მასში აღარც სიყვარულის ნატამალი მოიძევებოდა, აღარც სიბრალული, აღარც ცოდვა და აღარც მადლი. ის გულ-გამეხებული დაუტრიალდა ქვეყანას. ვისზედაც ხელი მიუწვდებოდა, მრუდსა და მართალს ყველას ტყავს აძრობდა „ლოთი ჩარჩის“ სახელით.

ასეთი საქციელი ბახვასი მის ბიძაშვილს ნესტორას სრულიად არ მოსწონდა; მაგრამ რა უნდა ექნა?.. გაბრაზებულ კაცს წინ ვერ გადაეღობებოდა. ის შორიდან ადევნებდა თვალ-ყურს თავის ბიძაშვილის საქმეებს და ბოლოს დარწმუნდა, რომ მისი გამზდელი ბახვა ცოცხლებში აღარ ერია. ნესტორამ კარგათ იცოდა, რომ იგი აჰყვა ერთ სოფლის ვექილს, რომელიც ბახვას სახელით ბევრს ცუდ საქმეს ჩადიოდა: ნესტორამ იფიქრა, არ შეიძლება, რომ დღეს თუ ხვალ ჩემი ბიძაშვილი რაიმე სისხლის სამართლის საქმეში არ

გაერიოსო და დარწმუნებული იყო. რომ მას დაჰღუპავდენ. ამის გამო ისიც აღარ მოერიდა. სხვის წაღებას. ჩემი ბიძაშვილის სახლ-კარს და ადგილ-მამულს მეევ დაეპატრონო. უმჯობესი იქნებაო. იმან მისი ვექსილის შესახებ თადარიგი დაიჭირა. რეაასი თუმნის თამასუქს როგორც ვადა გაუვიდა. მაშინვე უჩიელა: აღმასრულებელის განჩინების ძალით აწერა ეს მამული. დაანიშვნია საჯარო ვაჭრობა და საბოლოოთ დაირჩინა. ამგვარმა უსინიდისობამ თავისიანისამ. თავის გაზდილისა და მის მიერ გადიდებულისამ გულის-წყრომის სისხლი მოჰგვარა ყელში. ამის გამოჯავრებული ბახვა კიდევ უფრო გამძვინდა თავის მევალეებზე. შეუძლებელი იყო არამც თუ ვალი. ჯარიმებიდანაც ერთი კაპეიკი ეპატივებინა ვისთვისმე. ამას გარდა. ვისაც მისი ფულის გადახდის ვადა მოუვიდოდა და შეატყობდა. რომ მოვალე თავის დროზე მზათ იყო თავის ფული მიეცა. ის იმალებოდა იმ განზრახვით. რომ ფულის შეტანის ვადა გადაცილებულიყო და ჯარიმის წერილით ორმაგი ტყავი წაერთმია. რამდენჯერმე კიდეც მოახდინა ამისთანა სამარცხვინო საქმე. მაგრამ ბოლოს ერთმა მევალემ დაუგო მახე. ფულის გადახდის ვადა რომ მოვიდა. ბახვა ჩვეულებრივათ დაიმალა. მევალემ ფული წარუდგინა ნოტარიუსს და კვიტანცია აიღო. ნოტარიუსმა უწყებით დაიბარა ბახვა და ფული ჩააბარა. სამაგიეროთ მევალის ვექსილების და ჯარიმის ფურცლის უკან დაბრუნება მოსთხოვა. ბახვამ წუნკალა ჩაფ-ხუტაძის რჩევით. განუცხადა ნოტარიუსს. რომ ქაღალდები თან არა მაქვსო. ბევრი ვეძებე და ვერც ვნახეო. მაგრამ წერილობითი ვალდებულება მისცა ნოტარიუსს. რომ ამა-და-ამ ნომრით შედგენილი ამა-და-ამ კაცზე ვექსილი და ჯარიმის ქაღალდი გადახდილათ მიცვნია და წარმოვადგინო სამი დღის განმავლობაშიო. ამასთანავე ნოტარიუსმა დაატოვებინა ხელწერილი. რომ მან მიიღო სრული კმაყოფილება. წუნკალა ვექილი იქ იყო და გულში ჩაიცინა. იფიქრა: „ბახვა აქ ჩაქერილია. მაგას კარგი აღარა დაემართება. ახლა ჩემი დროა. ისე უნდა მოვექალასუნო. ისე უნდა მოვექცე და შევაყვარო თავი. რომ მე დამრჩეს მაგის ყოფაცხოვრება. რაც გაჩნიაო. ეს ხომ ვიცი. მაგას ჩემს მეტზე გული აღარა აქვს დანდობილი. აღარც არავინ მიაჩნია თავისიანათ. მაშ რა დაუშლის. მე გამხადოს მემკვიდრეთ. როცა თვითონვე იგრძნობს. რომ საჩვენოსკენ მოსაბრუნებელი პირი აღარ ექნებაო“.

ამგვარად ფიქრობდა წუნკალა ვექილი და არც სტყუოდა.

XV.

ბახვა ფულავას აზრი და გონება მხოლოდ სისხლის ძიებაში იყო გართული. იმას-აზრათაც არ მოსდიოდა თუ ნოტარიუსთან

დაგდებული ხელწერილი ფულის მიღებაზე რას შეამთხვევდა. მას ჰქონდა ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად წარმოდგენილი, საცა კაცი კაცს სჭამდა და ვინც მოერეოდა, ცხოვრებაც იმისი იყო. რადგან ის თავის თავს სხვის მსხვერპლად და ლუკმათ ჰხდიდა, ამისათვის იგიც კანონიერად სთვლიდა ყოველი მისი მოვალე თავის ლუკმათ გაეხადნა და ტყავი გაეძრო. ის დღენიადაგ რწმუნდებოდა, რომ სამართალი ფუჭი ხმა იყო ქვეყნათ დაგდებული. ვინც მისის უმანკო ცოლის მკვლელად ითვლებოდა, მას კაცი ხმას არ სცემდა! თვითონ, კი რომელსაც ნათესავებისადმი, მეზობლებისადმი ბევრი ამაგი მიუძღოდა, დღეს ფესვ-გამხმარი შექმნილიყო, მის შეძენილს ქონებაზე და ადგილ-მამულზე დღეს სხვას გაეშალა ნადიმი და ზედ სტკბებოდა. თვითონ მას კი ყველა დასცინოდა, ემტერებოდა და თავ-პირში სცემდა. „თუ ასეა, მაშ მეც უნდა გავვარდე ყაჩაღად და მედგრად მეც უნდა ვკლა. ვკბინო და ვაწვალო ყველანიო". ის აშკარად ხედავდა, რომ მისი მიწასთან გამასწორებელი ეტლით ცაბძანდებოდა და ჯერ არ გამოჩენილიყო უმაღლესი ძალა, რომ იგი სამართალში მიეცა ბოროტ-მოქმედებისათვის. მაშ ღმერთმა ისე ნუ მომკლასო. — გაიელო გულში ბახვამ, — რომ ჩემი ესმას სისხლი მე თვითონ არ აეიღოვო. აი, ამ განზრახვით იმან დაიწყო ფულის გროვება იერემიას მოსაკლავათ. იმან დაიახლოვა ერთი ციმბირიდან გამოქცეული ყაჩაღი, რომელსაც უკვე შეეგროვებინა თავის მსგავსი ამხანაგები და ცარცვა-გლეჯით რჩებოდენ. ბახვამ ხშირად დაუწყო ძღევა ფულისა ამ კაცებს. ბოლოს იხელთა დრო და გაუტყდა ციმბირელს იერემიას მოკვლას. იმ კაცმა სიამოვნებით იტვირთა ამ განზრახვის ასრულება იმ პირობით, რომ ბახვას მიეცა მათთვის სამასი თუმანი. იმან წინდაწინ დაუთვალა ასი თუმანი და შეჰპირდა. როცა მკვლელობას აასრულებთ, ორას თუმანს შემდეგ გადმრგცემთო. იმან პირობა დაადებინა ამასთანავე ციმბირელს, რომ მკვლელობაში მეც გამირიეთო. „თუ მეც იერემიას ჩემი ხანჯალი ფერდში არ ჩავსცი, როგორც მან ჩემს ესმას დასცა, უამისოთ არც ჩემ სულს ეღირსება მოსვენებაო". — უთხრა მან ციმბირელს. ამგვარი მოლაპარაკება მოხდა ერთ დუქანში, საცა მათ ნაშუალამევის სამ საათზე ჰქონოდათ ღვინის სმა. მეორე დღეს ციმბირელმა წაიყვანა სამი ამხანაგი და გაუდგა თფილისის ქალაქისაკენ. იმან დაუდვა ბახვას პირობა, რომ. როცა საქმეს მოვრთავთ, ერთი კვირის წინათ შეგატყობინებთო. მაშინვე თვით ბახვაც უნდა წასულიყო თფილისს და მიეღო მკვლელობაში მონაწილეობა. ამის მესამე დღეს ბახვამ გადასცა ვექსილი და ჯარიმის ფურცელი წუნკალას საჩივრის დასაწყებათ. ეს ის დოკუმენტები იყო,

რომლებზედაც ბახვამ ნოტარიუსს განუცხადა, რომ დამეკარგენო, თუმცა ამ დოკუმენტების სამაგიეროთ ფული უკვე მიღებული ჰქონდა და კვიტანციაც დაეგდო ნოტარიუსთან ნიშნათ სრულის კმაყოფილების მიღებისა. ამ სახით ბახვა ფულავამ განიზრახა ორჯელ გადახდევინება ფულისა.

ეს იყო ისეთი ამბავი, რომ ბახვა ამ საქმიდან თავს ვეღარ დაახწევდა. მით უფრო დარწმუნებული იყო წუნკალა ამ საქმეზე, რომ იცოდა მისი მოვალე გადარაჯებული იყო ამავე საქმისთვის. რომ კიდევ უფრო მაგრათ მოეჭირათ მუხრუჭი ბახვასთვის, წუნკალამ ვითომ გასაფრთხილებლად შემდეგი საქმე ურჩია.

— ბახვა, ამ დოკუმენტების ასე წარდგენა სასამართლოში არ შეიძლება. შენ ხომ იცი, რომ ნოტარიუსთან კვიტანცია გაქვს დაგდებული, რომელშიაც ამ დოკუმენტების ნომერი და რიცხვებია მოხსენებული. მაშ ასე რომ წარადგინო, მაშინვე დაგიჭერენ, რადგან აღმოჩნდება, რომ შენ ორჯელ გადაგიხდევინებია მევალისთვის ერთი და იგივე თამასუქებიტ.

— აბა, რა ვქნა?.. მაშ დამეკარგოს ეს იმედი! შენ ყველაფერს მოახერხებ, წუნკალა, თუ მოინდომე, — უთხრა თითქმის ხვეწნით ბახვამ.

— მოხერხებით როგორ არ მოვახერხებ და მერე შენთვის? შენ რომ მითხრა, თუნდ წყალში გადავვარდები, იმდენი ამაგი და ძმობა მახსოვს შენგან, — უთხრა წუნკალამ.

— ზოგი აწი მიყურე, როცა ჩემ მემკვიდრედ გაგხდი.

წუნკალას თითქოს არ გაეგონოს ეს სიტყვები, ისე მიაყრუა. მაგრამ სიამოვნებისაგან ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

— იცი, ბახვა?.. ამ დოკუმენტების რიცხვებსა და ნომრებს გამოვცვლი. მხოლოდ ხომ იცი, არ გამამხილო არსად. არავისთან წამოგცდეს, მე თუ ეს ვქენი.

— არა, შე უბედურის დღისა. მერე ეგრე მიყურებ?.. მე უნდა გაგცე შენ ჩემი ჰირისუფალი, ჩემი ერთად ერთი ნუგეში ამ უბედურს ცხოვრებაში?.. ეგ როგორ თქვი, შე გლახა? ნაკუწ-ნაკუწაო რომ ამქნან, მე შენ გიღალატებ? მერე რაღა ვიქნები, მერე რას მეტყვის საიქიოს ჩემი ესმა?..

— კარგი, კარგი. ენათ ნუ გადაიქეცი. ახლავ შეევასწორებ და ისე გაეხდი, თითქოს სულ სხვა დოკუმენტები იყოს.

— ოჰ, შენი სულის ჰირიმე, ჩემო წუნკალა, — აღტაცებით შემოხვია ხელი ჩაფხუტაძეს და გულში მიიკრა.

— კარგი, კაცო, ლამის გამსრისო, — უთხრა წუნკალამ და ძლივს თავი დააღწია.

მეევალე გადარაჯებული იყო და, როგორც კი უწყება მოუვიდა ბახვას საჩივრისა, მაშინვე დაიმზადა თავის დოკუმენტები. როცა სხდომა დაინიშნა და ბახვამ თვით მოითხოვა ხუთასი მანეთის გადახდევინება, ამასთანავე ერთი იმოდენი ჯარიმის ფურცელიც რომ წარადგინა, მაშინ წარსდგა მეევალე, წარადგინა კვიტანციები, ნოტარიუსის საბუთი, რომლითაც მტკიცდებოდა, რომ იმ დოკუმენტებით ბახვას ფული უკვე მიღებული ჰქონდა ნოტარიუსის ხელით. მოსამართლეებმა შეამოწმეს ვექსილის რიცხვი, ნომერი და ნოტარიუსის მიერ დამტკიცებულს კვიტანციაში მოხსენებული რაოდენობა ფულისა. აგრეთვე უწინდელი ვექსილისა და ჯარიმის ნომრები და რიცხვები. გამოდგა, რომ ეს ორი დოკუმენტები სულ სხვადასხვა დროისანი იყვენ და სხვადასხვა ნომრებისა. დაუკვირდენ და აღმოჩნდა, რომ ოდნათ ამონაფხეკი ეტყობოდა ბახვას წარდგენილ დოკუმენტს. როცა სინათლეში გახედეს. მაშინ „ბაღლღი" ცხადათ აღმოჩნდა. მოპასუხემ განაცხადა, რომ ეგ შესწორებულიაო; მოსამართლეებმა შესწყვიტეს სხდომა და გავიდენ მეორე ოთახში. თვით სასამართლოს დარბაზში შეგროვებულიყო მრავალი ხალხი, განსაკუთრებით ბახვას მტრები. სხვანი, რომელთაც „ლოთი ჩარჩის" ამბავი გაეგოთ. მხოლოდ იმისთვის მოსულიყვენ, რომ ნამდვილათ დარწმუნებულიყვენ ბახვას უსინიდისობაში. თვით ბახვა იდგა ლოყებ-აწითლებული და ალმური ადიოდა; მაგრამ ეს არ იყო არც სირცხვილის გრძნობა. არც სინანული. იმას ამაყათ აეღო თავი და მთელს საზოგადოებას ზევიდან დასცქეროდა. მას ეტყობოდა სასტიკი სიმძულვარე იმ საზოგადოებისა, რომელიც იქ იყო მოგროვილი. 'ისეთი მრისხანებით გამოიცქირებოდა ბახვა, თითქო ყველას შემუსერა სდომებოდეს.

საზოგადოებაში აქა-იქ ისმოდა ჩურჩული. ზოგი ბახვას უპატიურად იხსენიებდა, ზოგი „ლოთ ჩარჩს" ეძახოდა. ზოგი ემუქრებოდა და იტყოდა: „ძლივს არ დაიჭირეს ეს გაიძვერაო. მოინელა მაგან ქვეყანა, მაგრამ აწ მაგასაც მოუვიდა დრო ციმბირისკენ გაგზავნისაო. ღმერთმა ყოველ მაგისთანა კაცს ნუ მოუშალოს ეს ბედი. კარგი არ იქნება. მაგის ვექილიც რომ აგრე გაებმებოდეს, როგორც ეგ გაებაო. სულ აი. იმის ბრალია ყოველიფერი, აგერ კუნჭულში რომ მიკრუნჩხებულა და ჩუმ-ჩუმათ იკრიჭება. ბახვა იმდენათ დამნაშავე არ არის, როგორც მისი გაიძვერა ვექილი. ეს გადასწორება ნამდვილათ მაგის ბრალი იქნება. მაგრამ ვინ დაუმტკიცებს?" — ისმოდა ამისთანა მსჯელობა ხალხში.

ამ დროს მოსამართლენი გამოვიდენ. ჩამოვარდა საყოველთაო სიჩუმე. იმათ გამოიტანეს შემდეგი განჩინება:

„რადგან სასამართლო სხდომამ განიხილა ბახვა ფულავას მიერ წარმოდგენილი საბუთები და 1 — ერთი, რომ თვით საბუთები დაწერის შემდეგ ამოფხეკილნი და შესწორებულნი არიან და 2 — მეორე, რომ ეს საბუთები, როგორც გადახდილნი, უკვე გაუქმებულნი უნდა იყონ, ამისათვის სასამართლო დარწმუნდა, რომ აქ ორნაირი ბოროტ-მოქმედებაა ამოჩენილი; პადლოღი (подлог) და ერთი და იგივე ვალის ორჯელ გადახდევინების წადილი. ამა და ამ კანონების ძალით ბახვა ფულავა მიეცეს პასუხის გებაში და დოკუმენტები გადაეცეს პროკურორს სისხლის სამართლის გამოძიების დასაწყებათ და ბრალდებითი ოქმის შესადგენათ“.

მთელი საზოგადოება გამხიარულდა ასეთის განჩინებით. ბევრი ლანძღვა და მუქარა მოხვდა ყურში ბახვა ფულავას; მაგრამ იმას ყურიც არ გაუპარტყუნებია. ასეთმა განჩინებამ კიდევ უფრო გააბრაზა ბახვა მთელს საზოგადოებაზე და მის სამართალზე. იმან ყველას კბილის ღრჭენით მიუგო პასუხი.

გამარჯვებულმა მევალემ კი ქოქოლა დააყარა თავზე ბახვა ფულავას.

XVI.

რაც უფრო მაგრათ იდგა ვალიდა კანონიერ დამოკიდებულებაზე პოლკოვნიკ ლებოვთან, იმდენათ უფრო მოედვა ეინის ალი მის გულსა, იმდენათ უფრო ძალმომრეკი შეიქნა ლებოვის ბუნებაზე მისი ვნებიანი სურვილი. მის ბიწიერს წარმოდგენას საზღვარი აღარ ჰქონდა. ვალიდას ტანს მშვენიერების ღმერთას ვენერისას ადარებდა, ხოლო სილამაზესა. და მგრძნობელობას ჰომიროსის მიერ გალექსული ელენესას. მით უფრო აღელდა და აზვავდა ლებოვის ნდომა. რაკი მისი გამოცდილი მანქანება ახალ აფეთქილის ქალების გასატაცებლათ სულ ამაოდ დარჩა ვალიდას შესახებ, შემდეგ სხვა ხერხი იხმარა. დემონმა ანგელოზის ნათელი ფერი შემოსა და ვალიდას ისეთის ჭაბუკის გრძნობებით შეპყრობილი დაენახვა, რომ ქალიც ამგვარივე გრძნობებით მოიხიბლა. იმას სწამდა პოლკოვნიკის წარსული ყოფაქცევა, რომელიც ასე გარეწარი იყო და გართულებაში მიმდინარეობდა, მაგრამ ძველს გაუზნევებულ არშიყს. უმანკო გრძნობით მოვაქცევო, — იფიქრა ვალიდამ და აი, ამ ნათელს გამოხატულებაზე ააგო მან თავის ბედნიერების კოშკი. ეს კი დაავიწყდა გატაცებულ ქალს, რომ მისი სიყვარულისა და ბედნიერების კოშკი ქვიშაზე იყო ანაგები და ფეხი მაგარ ნიადაგზედ არ ედგა. ოღონდ კი ლებოვს ვალიდას მკერდი საბურთაოდ ჩაეგდო და სულ ერთი იყო

მისთვის. გინდ ქორწინების კომედია ეთამაშნა, გინდ დაუქორწინებლათ აღესრულებინა თავის გულის წადილი. უეკველი იყო, რაკი ვალიდას სინორჩის ვარდს გაფურჩქვნიდა, მერე მის ვნებასაც და მასთან ცოლ-ქმრობითს ვალდებულობასაც ბოლო მოეღებოდა. პოლკოვნიკის აზრით, ღმერთს ქვეყანა მოულეველი გაეჩინა. თუ კაცის ზღვა გული ახალ-ახალ გემოვნებაზე გაწუწკდა, იმას აღარც გაზაფხულზე გაშლილი კოკორი დაელევა.

ასე იყო თუ ისე, ვალიდამ მაინც იმ პირველ ხანებში შეყვარებული პოლკოვნიკი თავის ზნეობის სიმაღლით დაიმორჩილა, მისი უკანონო განზრახულება ალაგმა, მაგრამ ასეთს ხელოვნებით შეკრულს კავშირს იმ თავითვე ეტყობოდა, რომ კარგი ბოლო არ მოელოდა. ამგვარი კატა-თაგვობის თამაში დიდხანს არ გაგრძელებულა.

დარბაისელმა გენერალმა და მისმა მეუღლემ თავისი საცადი მიიღეს, რომ ამ გადუწყვეტელს დამოკიდებულებას ვალიდასა და ლებოვს შორის კარგი ბოლო მისცემოდა. იმათ მიმართეს დიდებული ნათესავების შუამდგომლობას, რომელთაც აიძულეს ლებოვი, რომ ვალიდასთვის წინადადება მიეცა ცოლ-ქმრობაზე. ამ სახით პოლკოვნიკმა ნებაყოფლობით დაიდგა კისერზე ოქროს უღელი. მოხდა მალე დიდებული ქორწილი და იქ მთელი უმაღლესი წოდება თფილისის ქალაქისა დაესწრო. სხვათა შორის იერემია წარბაც მეტად შვენოდა ამ ქორწილზე თავის ახალი ეპოლეტებით. მისმა იმერულმა თამაშობამ განსაკუთრებული სიამოვნება გამოიწვია მთელის საზოგადოებისა. იგი ტაშისკვრით მიეგება მის ცერებზე ტრიალსა და ხანჯლებით თამაშსა.

მეორე დღეს ვალიდა და მისი მეუღლე საზღვარს გარეთ გაეშგზავრენ.

იერემია ამ ჟამად სოტნის უფროსად იყო დანიშნული და ლებოვისაგან დაბარებული ჰქონდა, რომ ორი თვის შემდეგ მოვალთო და ამ დროისთვის რვა-ოთახიანი სადგომი საუკეთესო თფილისის ქუჩაზე მოგვიმზადეო. სოტნის კამანდირობას გარდა იერემიას პოლკის კვარტირმეისტრობაც ჩაბარდა და ბაჯაღლო ოქროებში ხელის რევა დაიწყო. ამ ხანებში იერემია ძალიან გაერთო თფილისის საზოგადოებაში. არც მისთანა დახედნილს ცხენზე იჯდა ვინმე, არც მისთანა წამყოლ-წამომყოლი მოიძებნებოდა კავალკადაში. ღღისით ეიზიტებს უნდებოდა, ღამით სავაჭრო კლუბში ატარებდა დროს და შეექცეოდა ბანქოს თამაშს — ვინტს და პრეფერანსს. ერთ საღამოს, როცა კლუბში ბალი იყო, მის მიერ გატაცებულმა სოვდაგრის ქალმა ცეკვის დროს პატარა არშიყობის ბარათი ჩაუგდო იერემიას ჩოხის

უბეში. ამის შემდეგ კიდევ უფრო დაახშირა მან სოვდაგრის ოჯახში სიარული და ისე იქცეოდა, თითქო სასიძო ყოფილიყოს.

ქალის მამას ძალიან კარგათ შეეტყო იერემიას ვინაობა, ბოლოს ის სმაც ჩასწვეთოდა ყურში, რომ მაგას ბახვას ცოლის მკვლელობას აბრალებდენ. მას არაფრათ ეპიტნავებოდა ამგვარი კაცის ოჯახში შემოსვლა და მისი ქალის ადევნება; მაგრამ ან კი რა ექნა? იმ წუთას თვით სოვდაგარის ბედ-იღბალი იერემიას ხელში ჩავარდნილიყო. ქალის მამას იმ პოლკის თივა, ბზე, ქერი და საკლავი იჯარით ჰქონდა აღებული, საცა იერემია კვარტირმეისტრათ გამხდარიყო. ამის გამო თუმცა იერემიას ყოველს დანახვაზე ვარდი ეშლებოდა სახეზე, მაგრამ მის გულში რომ ჩაგეხედნა, იმავ დროს სულ სხვანაირათ ქოთავდა, წყევა-კრულვის მეტი შიგ არა მოიძევებოდა. ამ ხანებში იერემიამ მისი ქალი გაინავარდა კავალკადაში, საცა მათ ტრფიალებას საზღვარი არ ჰქონდა. თვით ქალის დედა აღტაცებული იყო ქალ-ვაჟის დაახლოვებით და სრულებით არ აქცევდა ყურადღებას თავის ქმრის ჩუმს მწუხარებას. იმას ეგონა, რომ სოვდაგარს სიძუნწით და ქართველების სიმძულვარით მოდიოდა ეს ამბავი. „დიაღ, როგორ არა! იტყოდა დედა — იქნება ჩემს გამოშტერებულ ქმარსა ჰგონია, რომ მე ჩემი კატო ვისმე სოვდაგრის შვილს მივცე ან შტატსკისა. უწინაც თვალი დაუდგება ჩემს უნიჭო ქმარსა!" წინათაც არ იყვნენ ცოლ-ქმარნი კარგს განწყობილებაში და ახლა, როცა იერემია მათს ოჯახში შევიდა, სულ აღვირი წაიხსნეს დედაშვილმა. რასაც უწინ ხარჯავდენ, ახლა ერთი ხუთად მეტი ეხარჯებოდათ, რომ კიდევ უფრო მდიდრულათ მოეჩვენებიათ თავი იერემიასათვის. საწყალი სოვდაგარი თავის გულს ასკდებოდა. მაგრამ ვერაფერი გაემხილა-რა იერემიას ხათრით. ამასობაში დედა აჩქარებდა ჯვარის წერის საქმეს. ერთი კი იყო, რომ სოვდაგარს ისე ეჭირა თავი, თითქოს არა იცოდა-რა შეყვარებულებისა და არც ცოლის განზრახვისა. როგორც კი თავის მეუღლეს შეატყობდა, აი, ახლა აპირებს ჩემთან მოლაპარაკებასაო, სოვდაგარი მაშინვე რაიმე პატივსადებ მიზეზს გამოძებნიდა, „ახლა სალაპარაკოთ არა მცალიანო". — ლრენით უპასუხებდა თავის მეუღლეს და გარბოდა სახლიდან.

პოლკოვნიკი ლებოვი და ვალიდა მალე დაბრუნდენ საზღვარგარეთიდან. მთელმა თფილისის მაღალის წრის საზოგადოებამ სასიამოვნოთ მიიჩნია ეს ამბავი. ბევრმა ახალგაზდა აფიცერმა გადიგრიხა ულვაშები. დარბაისელი გენერალი და მისი მეუღლე აღტაცებაში იყვენ სიძე-ქალის მობრუნებით. გახშირდა ვიზიტები. მისვლა-მოსვლა. მიწვევა-მოწვევა და ერთი დაუბოლოებული ლხინი ხან პოლკოვნიკის ლებოვის სადგომში, ხან დარბაისელი გენერლის ოჯახ-

ში, ხან სხვა დიდ-კაცობაში, რომელნიც რიგ-რიგათ იწვევდენ ახალ დაქორწინებულებს. ვალიდას დღითი-დღე ემატებოდა პატივი. თვით მთავარმართებელმაც კი გააბედნიერა ნახვით მისი ოჯახი. ვალიდას პირველ ხანებში ძალიან დაკრძალვით ეჭირა თავი. მაგრამ ამან კიდევ უფრო გაამრავლა წარჩინებულნი მოტრფიალენი მისის შვენიერებისა და ზნე-სიმაღლისა. მათ რიცხვში ერთი უმაღლესი წევრი სამოსამართლო დაწესებულებისა მაინც მეტად გაიტაცა ვალიდას შვენიერებამ. იმან ხშირად დაიწყო ვალიდას ოჯახში სიარული, არავითარს შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ განსაკუთრებითი ყურადღება არ დაემტკიცებინა ლებოვის მეუღლისთვის. მაგრამ ქალის ფიქრი ცოლ-ქმრობითს ვალდებულობაზე ისე მტკიცე იყო, რომ ვერავინ ვერ გაბედავდა მისი გულის დამორჩილებას. თუმცა მისი ოცნებები ცოტა არ იყოს ამ ბოლო დროს შეირყენ ქმრის უწესო ყოფაქცევით. ლებოვის მიერ დანთბული წშინდა სიყვარულის კანდელი უკვე ბჟუტავდა. ვალიდა ვერ შერიგებოდა ასე უცებ თავის მეუღლის გულის გაგრილებას. მის წინანდელს აღტაცებულს გრძნობას იქვიანობის ნაღველი უკვე ჰქონდა გადანთხეული. თუმცა მის გულის ჭრილობას ახლა წარჩინებული ახალგაზრდა კაცების ტრფიალებამ მალამოს ცხება დაუწყო, მაგრამ მისი ზნეობის ფარი ჯერ კიდევ არ იყო კუპიდონის ისრით განგმირული. პირბადე-ახდილს გრძნობის გამოცხადებას რომლისამე პატივცემულის მოტრფიალისას ვალიდა ეძახოდა უგულო კომპლიმენტს. მართლაც. ამ შემთხვევაში იგი სრულებით ურწმუნო გამხდარიყო. ჯერ იმას ნამდვილი გრძნობა, გულღია პასუხი თავის შინაგანის ვითარებისა ვერვისთვის შეენიშნა. ნუთუ ამ კაცებს ყველას გულის მაგიერათ გუდაფშუტა უცემთ მკერდშიო. — წამოიძახებდა ხოლმე თავმობეზრებული ვალიდა. „ოჰ, თქვენ ზნე-გაფუჭებულო კაცებო. უმანკო ქალის ფეხთა მტვრათაც არა ღირხართო!..“ მაგრამ მისი მოტრფიალენი ამისთანა გულდაკოდილს სიტყვებს კეკლუცობაში ართმევდენ და კიდევ უფრო დაჟინებით უფენდენ სიყვარულის ფიანდაზს. ამრიგათ რასაც ჯერ კიდევ წაუმხდარი გული ვალიდასი ეტრფოდა. იგი ყოველივე გაუცრუედა მას. აბა, რას იფიქრებდა, რომ ხან-გადასულ კაცს დაუმონავებდა მთელს თავის არსებას და ის კი ასე მალე ფეხით გაჯეგდა მის წშინდა გრძნობებს, მისი გული ასე მალე გაციდებოდა ცეცხლ-მგზნებარე გრძნობებისათვის?.. ამის გამო ვალიდამ იწყო სულ-მოძრავი ტანჯვა და მისმა სამართლიანმა გულის წყრომამ ადრე დააჩინა ფერმიხდილობის კვალი მისს სახეს. რაც საზღვარ-გარეთიდან დაბრუნდა, მისი ნათელი ღიმილი აღარავის უნახავს. ვისაც მისი უმანკო გულით კრიალა სიცილი გაეგონა, არ სჯეროდა, რომ მას მძიმე

მწუხარების ლოდი არ დასწოლოდეს. მართლაც, მეტი მძიმე ტვირთი რაღა იქნებოდა ახალგაზდა ქალისათვის, როცა ორი თვეც არ გასულიყო, მისი საყვარელი ქმარი აღარ ქმრობდა, მისს გულს საღი პასუხი არ ეძლეოდა მისგან, ვისგანაც ყველაზე უფრო ესიამოვნებოდა ტრფიალი. ქალს ისე არაფერი დაჩაგრავს, როგორც გრძნობის ოცნებაში თავის მოტყუება.

ლებოვმა წახსნა აღვირი თავის ცოლ-ქმრობის მოვალეობას. იმან იწყო ოჯახს გარეშე ქეიფი და დროს გატარება. ვალიდა რჩებოდა მარტოდ-მარტო მოტრფიალეთა ყბაში, რომელნიც ერთის წამის მოსვენებას აღარ აძლევდენ. აფიცრები, პოლკის ადიუტანტები და გარეშე სამსახურის კაცები დღენიადაგ მის სახლში ეყარენ. მათმა დაშაქრულმა სიტყვებმა ცხოვრებაც კი შეაძულა ვალიდას. უმაღლესი სასამართლოს დაწესებულების უფროსი მაინც დილა-საღამოს მასთან იყო; არც ერთს მის სეირნობას არ დააკლდებოდა. თუ კი სადმე შესანიშნავი რამე გამოჩნდებოდა, ან თაიგული, ან უცხო ქვეყნის ხილეულობა და შაქრეულობა, ვალიდას კაბინეტს არ ასცილდებოდა.

XVII.

ამ დროს თფილისს ჩამოვიდა პეტერბურგიდან ერთი მშვენიერთა მოთამაშეთა დასი, მათ შორის პრიმადონა მეტად ლამაზი და ნიჭიერი. თუმცა ვალიდას თეატრში სიარული და წარმოდგენების ყურება არ უყვარდა, მაგრამ ახალი პრიმადონის ქებამ მიიზიდა მისი გული. უიმისოთაც პოლკოვნიკი ლებოვი შინ არ რჩებოდა ხოლმე, იფიქრა ბარემც გარეთაც ერთად ვიყოთ, ისა სჯობიაო. ამის გამო მთელი ზამთრის აბონემენტი აიღეს თეატრში. მართლაც პრიმადონა შესანიშნავი მოთამაშე გამოდგა და ვალიდასაც შეუყვარდა თეატრი. ლებოვზე პრიმადონას თამაშს დიდი გავლენა ჰქონდა, მით უფრო, რომ ის ქალი გამოდგა სილამაზის გარდა ფრიად განვითარებული საზოგადოებაში. იგი იყო შეუდარებელი ოხუნჯი, წარჩინებული მომღერალი და ხელოვანი დამკვრელი როიალზე. პოლკოვნიკი ლებოვი უცებ აღენთო მისდამი ტრფიალებით. წარმოდგენა ისე არ გათავდებოდა, რომ ლებოვს ან ძვირფასი ყვავილებით შემკული გვირგვინი არ გაეგზავნა პრიმადონისათვის, ან რაიმე ოქროს იარაღეულობა, ან ბრილიანტით შემკული ნივთი. პრიმადონა ინსტინქტიურად ჰგრძნობდა ლებოვის სიყვარულს და, როცა სცენაზე გამოდიოდა. ხშირად ვალიდასა და ლებოვის ლოჟისაკენ ჰქონდა თვალები მიქცეული. ერთხელ ერთს წარმოდგენაში პრიმადონას პირველს მოქმედებაში ჰქონდა მარტო რაღაცა სათამაშო და შემდეგ თავისუფალი

იყო. მეორე მოქმედება რომ გათავდა, ლებოვმა ურჩია ვალიდას პრიმადონის გაცნობა და ნება აიღო ოლისაგან, რომ იგი მიეპატიჟებინა ლოჟაში. ვალიდა დასთანხმდა. ოტა ხნის შემდეგ ლებოვმა ხელიხელ გაყრილი მოთამაშე ქალი წარუდგინა თავის მეუღლეს. ვალიდას იამა მასთან საუბარი და მესამე, მეოთხე და მეხუთე აკტი ლოჟიდან აღარ მოუცილებია. პრიმადონა და ვალიდა წინ ისხდენ. ლებოვი მათ უკან. მაგრამ როდესაც მოქმედება გათავდებოდა, ლებოვი მეტად მხიარულად იყო პრიმადონასთან. ვალიდას ამ ქალის ოხუნჯობა და განუწყვეტელი მახვილი საუბარი მის ქმართან არაფრად ეკაშნიკა. იგი უფრო უკმაყოფილო მითი შეიქნა, რომ მას მოეჩვენა ვითომც ლებოვი მეტს ყურადღებას აქცევდა პრიმადონას. ვიდრე თავის კანონიერ მეუღლეს. ვალიდამ წარბი შეიკრა, რომ ქალისთვის ეგრძნობინებინა, ეგრეთი თამაშობა პირველ გაცნობასთანავე უმართებულოაო. პრიმადონა თითქოს მიუხვდა და მის გამოსაჯავრებლათ კიდევ უფრო აიყოლია ლებოვი. როცა წარმოდგენა გათავდა და ლებოვი გამოჰყვა ლოჟიდან, ამ დროს მათ შეხვდათ ლებოვის ადიუტანტი. რომელმაც მოწიწებით დაუკრა თავი ვალიდას და მიართვა გარეთა ტანსაცმელი. პრიმადონამ ჩაილაპარაკა: „ახლა მე მარტო უნდა წავიდე შინ, კავალერი არავინ მყავს". ლებოვმა მოკრა თუ არა ყური მაშინვე მიუბრუნდა თავის ადიუტანტს ამ სიტყვებით: „გთხოვთ ვალიდას გაჰყვეთ, მე პრიმადონას მივაცილებ სახლამდის და ახლავ მოვალო". ამ დროს პრიმადონა ღიმილით მიუბრუნდა ვალიდას და დიდი ალერსით გამოთხოვა მას. იგი სახეზე აენთო. მისთვის ეს წამი ისეთი საშინელი რამ იყო, იმ დროს მიწა რომ გახეთქოდა და შიგ ჩავარდნილიყო, ის ერჩია. ვალიდამ გულგრილად მისცა ხელი, მიუბრუნა ზურგი თავის ქმარს და გასწია წინ საჩქაროთ. ადიუტანტმა უბრძანა პოლიციელს ვალიდას ლანდო მოეძებნა. ვალიდა ჩაჯდა ეტლში, მიიკრუნჩხა ერთ კუთხეში და ისე იყო გაყუჩებული, თითქოს მთაწმინდის გორა მკერდზე დასწოლოდეს. მას გვერდით უჯდა ადიუტანტი, რომელმაც, რაკი შეატყო ვალიდას მოწყენილობა, სახლამდის ხმა არ გაუცია. მიადგა თუ არა ეტლი კიბეს, ვალიდამ თვით გააღო კიდობნის კარი და უცებ გადმოხტა. ადიუტანტმა ვერც კი მოასწრო ხელის მოკიდება; ქალმა აირბინა კიბეზე; დააჭირა ხელი ელექტრონის ფოლაქს. მერე უცბათ მოტრიალდა და გამოეთხოვა ადიუტანტს შემდეგი სიტყვებით:

— გმადლობთ პატივისცემისთვის. მეეტლევ! — ბრძანებლობის ხმით დაუძახა. — მიაცილე უფალი კაპიტანი სახლამდის.

ადიუტანტმა თავი დაუკრა ვალიდას, ჩაჯდა ეტლში და გაექანა შინისკენ.

რა ახირებული, მიუკარებელი ქალია ეს ვალიდა! — ჰფიქრობდა გზაზე ადიუტანტი. ნუ თუ მაგას ამდენი წარჩინებული კაცი თაყვანსა სცემს და ჯერ საქმე არავისთან დაუჭერია? რა მოეწონა ამ ბებერი უზნეო პოლკოვიკისა?!.. მაგრამ ვინ იცის!?.. მე რომ ასე ვყავარ აგდებული და ჩემს გრძნობას ყურადღებას არ აქცევს, იქნება ღიქრობს განზრახ ვიყო მაგის ქმრისაგან გამოსაცდელათ მოგზავნილი და მისთვის მეორდებოდეს! რა მშვენიერი დრო მქონდა ამ დახურულს კიდობანში!. რა ღმერთი გამიწყრა. რატომ ვერა გავუბედერა?.. მაგრამ გული ამიკანკალდა. ენა დამება... არა. გუნებაზე არ იყო ამაღამ. ისე შიეკრა ერთ კუთხეს. თითქო შიშობდა ახლოს არავინ მომეკარესო. სხვა დროს ძალიან მეგობრულად მექცეოდა. ახლა რა დაემართა?.. ქალი წყეულია. ვინ იცის? იქნება ჩემზე უფრო ის იყო აღელვებული. იქნება კიდაც ელოდა ჩემგან რასმე?.. იქნება იმას კიდევ ჩემზე უფრო უკანკალებდა გული. ელოდა ჩემს ალერსს, ჩემს ხვევნას და. რომ შემატყო, ლენჩსავით ვიყავი გარინდებული, ეგება. გულიც მოსდიოდა. ოჰ. რა დრო დაეკარგე!.. — გახდა ტკვლეცა თავში ადიუტანტსა. იმან სასოწარკვეთილებით შემოიკრა შუბლზე ხელი. — განა არ ვიცი, რომ ქალებს ყამივით შესძულდებათ იმისთანა არშიყი. რომელიც დროს შოულობს და სიგლახით ვერ ისარგებლებს. კაიმე. ვაიმე! რა წამი. რა ბედი დავკარგე!.. ღრმათ ამოიხვენშა ადიუტანტმა და გადმოხტა ეტლიდან, რომელიც უკვე მიმდგარი იყო მის სახლთან. ადიუტანტმა ერთი მანეთი აჩუქა მეეტლეს. ამ შემთხვევაში იგი ალბათ ისე მოიქცა. როგორც ყოველი წაწყმენდილი, რომელიც ღმეთსა და ეშმაკს თანასწორათ უნთებს სანთელს, სწირავს საკმეველს და თან ჰფიქრობს. ვინ იცის. რომელი როგორ გამომადგებაო.

ვალიდას ჯავრისაგან გულის ფრიალი აუტყდა. შინაური მოსამსახურეები დიდი ხანია დაითხოვა დასაწოლათ. თვითონ ქუჩაზე რომ ფანჯარა გადიოდა. ის გააღო. ფანჯრის წინ დაჯდა და ბნელს მიაპყრო თვალები. ამ მდგომარეობაში განვლო მან საათნახევარი. მისი ქმარი ჯერ მაინც არ მოსულიყო. შემდეგ დაჰხურა ფანჯარა და წავიდა საწოლ ოთახში დასაძინებლათ. მისი გული მეტად გაშფოთებული იყო. მას ახლა ეჭვი აღარ ჰქონდა, რომ ლებოვმა ფეხით გაჯეგა მისი უმანკო გრძნობები. ის ჩაწვა ლოგინში, მაგრამ ძილი მაინც არ ეკარებოდა. წამის-წამ შფოთავდა და ციბრუტივით ტრიალებდა ქვეშსაგებელზე.

მეორე დღეს ვალიდას უძილობისა და ღრმა შინაგანი ბრძოლისაგან ტანი დაეთეთნა, მოიავათმყოფა თავი და სტუმრებს არ გაჰკარებია.

ლებოვმა რამდენჯერმე უალერსა, მაგრამ ვალიდას მისი ალერსი არაფრად იამა. იგი მიუხვდა თავის ცოლის ეჭვიანობას და ყურადღება აღარ მიუქცევია, რადგან ჰფიქრობდა, ამითი გადავაჩვევ ამ უხეირო და უმართებულო თვისებასაო. პოლკოვნიკის ლებოვის თვალში იჭვიანობა რაღაც შეუფერებელი საქციელი იყო იმ საზოგადო წრეში. რომელსაც იგი ეკუთნოდა. „ეს უგვარობაა და სხვა არაფერიო“. იტყოდა ხოლმე ლებოვი ვალიდას გასაგონათ. ქალი კი თავის ქმრის აღვირ-წაძრობილ არშიყობას ზნე-წამხდრობას ეძახოდა და მისი გული თანდათან შორდებოდა ლებოვს. ვალიდა ამ საღამოს შემდეგ აღარ წასულა თეატრში, თუმცა ლებოვი კი ყოველ საღამოებით იქ იყო. მისი ცოლის მაგიერათ პრიმადონა გამოიყურებოდა ხშირად დაქირავებული ლოჟიდან.

ვალიდამ ერთხელ კიდევ შეიკრიბა ზნეობითი ძალა და ნაზად მიმართული საყვედურებით შეეცადა. მოექცია ქმარი თავის მოვალეობისადმი. როცა ამ მხრით ვერა გააწყო-რა, პაწია შინაური უსიამოვნებაც თან მოაყოლა. ლებოვმა ეს იუკადრისა და მას აქეთ მათ შორის თითქმის სრულებით შესწყდა ცოლქმრობითი კავშირი. ვალიდამ ეს ამბავი შეატყობინა თავის დარბაისელ გენერალს და დედობილს. წარმოიდგინეთ მისი გაშტერება, როცა დარბაისელმა გენერალმა და მისმა მეუღლემ. კარის დიასახლისმა აინუნშიაც არ ჩაიგდეს ვალიდას მწუხარება.

— შვილო, განა მარტო შენზეა მაგნაირი ამბავი? — უთხრა დედობილმა და კარის დიასახლისმა. — ცოლქმრობა და ნამდვილი სიყვარული შორი-შორს არის ერთმანეთზე. ქალისათვის ქმარი სახელია და ზნეობის ფარი. ამ მდგომარეობაში იგი მითია ბედნიერი. რომ სრულებით თავისუფალია; იგი საზოგადოების გულ-ამაყი წევრია, მის ღირსებას მქირდავი თვალი და ბოროტი ენა ვერას დააკლებს. მასა აქვს უზრუნველი მატერიალური მდგომარეობა და თვითონ კი, როგორც მას ესიმოვნება. ისე უნდა მორთოს თავისი ცხოვრება. კარგიცა და ავიც. პატივისცემა და უპატივცემულობა მის მოხერხებაზეა დამოკიდებული. თუ ქმარი არ შეეშნობს უმანკო გულის ერთგულებას. ეაი მის გუნებას! თავის თავს დააბრალოს, რაც შეემთხვევა. შენ რას დაეძებ, შენ, შვილო, მაგისთვის სრულებითაც ნუ შეიწუხებ თავს. შენ ხარ გვარიშვილობით და წარჩინებული დამოკიდებულებით — ლებოვის მეუღლე. საზოგადოებისაგან დაფასებული და მთავარმართებლის კარზე მიღებული. ამ მდგომარეობაში რომ შენისთანა მშვენიერებათა ღმერთამ ბედნიერათ ვერ მოაწყოს ცხოვრება. სწორეთ ჩასაქოლაეია. შენ გაქვს ლებოვის ცოლის სახელი. ეს ქმარა შენის პატივის მოყვარეობისთვის; დანარჩენი სულ

წრილმანი საქმეა. ამას შემდეგ თვით შენზეა დამოკიდებული შენი ბედნიერება. როგორც გესიამოვნოს, ისე მორთე შენი ცხოვრება. ლებოვმა, ნეკრესის ქარებით შეპყრობილმა ბებერმა კაცმა, რაც უნდა, ისა ჰქნას... შენ რა?.. შენ შემთვის იზრუნე, ეცადე შენს სიმოვნებას. ოღონდ ხერხიანად მოიქეცი, რომ საზოგადოების თვალში შენს გარეგანს ყოფაქცევას ჩირქი არავინ მოსდოს. ჩვენს შინაურ მოქმედებასთან და ჩვენს საწოლთან ვის რა საქმე აქვს?

ასეთი ზნეობრივი დარიგების შემდეგ ვალიდამ ამოირეცხა გული სიყვარულზე; იმან ხელიდან გააგდო ზნეობის ფარი, როგორც ერთი რამე გამოუსადეგარი ნივთი. ის ახლა შეუდგა თავის შეგინებულის წმინდა გრძნობის გულისთვის შურის-ძიებას. იმანაც წახსნა აღვირი თავის ზნეობითს მოვალეობას. მაგრამ გაიცხვის მაგიერათ კიდევ უფრო მოწონებული შეიქნა თფილისის უმაღლეს წოდებაში. აძიერიდან მას აღარ ჰქონია არავითარი რწმუნება აღარც სიყვარულზე. აღარც გულახდილს მეგობრობაზე, გარდა პატივის მოყვარეობისა. მისი გრძნობა და გული ეკუთვნოდა მხოლოდ მას, ვინც შეიქნებოდა განუსაზღვრელი მონა მისი ნებისა. ტრფიალებაში ის ეძებდა რაიმე ნივთიერს სარგებლობას. მისთვის სულ ერთი იყო პატიოსანი კაცი, გინდ ავაზაკი, მექრთამე, მრუში, ხაზინის ქურდი და სამართლის დამარღვეველი, მცხოვანი, გინდ ჭაბუკი, ოღონდ იგი მისი ნების მორჩილი ყოფილიყო და, რასაც დაასაქმებდა, აესრულებინა.

ლებოვმა ვეღარ გაუძლო ვალიდას მძინვარე მოქმედებას და საუკუნოდ გადასწყვიტა, თბილისის არეს მოშორებოდა. მართლაც. ამ დროს ზაფხული მოახლოვდა და თეატრის მოთამაშე დასმა გაათავა თავისი ხელშეკრულება. ლამაზი პრიმადონა გაემგზავრა ჩრდილოეთისაკენ. ცოტა ხნის შემდეგ ლებოვმა აიღო ოთხი თვის ნება სამსახურიდან დათხოვნისა და, ვითომცდა საზღვარ გარეთ მივდივარ წყლებზე საექიმოთო, გაეშურა პეტერბურგს.

მალე დაეარდა ხმა საზოგადოებაში, რომ ლებოვი განშორდა თავის მეუღლესო. მაგრამ ვალიდას თავისი ოჯახი და მაღალ წოდებაში წარჩინებული მდგომარეობა არ მოუშლია; იმან კერიას წყალი მაინც არ დაასხა. იგი წინანდულათვე ითვლებოდა ლებოვის მეუღლეთ, მოსდიოდა ქმრისაგან საკმაო ფული და წინანდულათვე ატარებდა ბრწყინვალე ცხოვრებას, როგორც ლებოვის კანონიერი მეუღლე.

აძიერიდგან ვალიდა შეიქნა ბევრის საეჭვო რომანიულის ყოფაქცევის ამბების საგნათ. იმას გარეგნათ ისე ეჭირა თავი, რომ მაღალ წოდებაში თავის შესაფერი გავლენა არც ახლა დაუკარგავს; უმაღლესი გამგეობის აღვირები ხელში ეჭირა და რასაც მოინდო-

მებდა, ყველაფერს ასრულებდა. ამ დროს დაესიენ მას თავის ქვეყნის კაცები, ნათესაობა და მეგობრები. ყოველ გაჭირვების დროს ისინი მიჰმართავდნენ ვალიდას და მის შემწეობით ბევრს მძიმე დამნაშავეს გამოუხსნია თავი ხიფათისაგან.

ვალიდას არ დარჩენოდა არც ერთი შინაური მეგობარი იერემიას გარდა, რომელიც შექმნილ იყო მის მესაიდუმლედ და ერთგულ აღმასრულებლათ ყოველი მისი ნებისა და განზრახვისა. ვალიდა სხვათა შორის ძალიან თანაუგრძნობდა იერემიას და მის დამოკიდებულებას სოვდაგრის ქალთან, უნდოდა ამ ქალის შერთვით გაებედნიერებინა და ცხოვრებაში უზერუნველი გაეხადნა. ამის გამო იმან დაიახლოვა სოვდაგრის ქალი და იმის მამის ოჯახი. მაგრამ მათს ჯვარის წერას კი რაღაც ახირებული, აუხსნელი დაბრკოლება უდგა წინ: არც თვით იერემია ჩქარობდა ჯერ-ჯერობით შეუღლებას და სოვდაგრის მხრითაც არა ისმოდა-რა.

XVIII.

გამომძიებელმა დაგზავნა უწყებანი კულაშს და რკინის გზაზე: დაიბარა მედუქნე საბაია გაპარიაშვილი და კონდუქტორი ნიკო ბაინდურაძე. ის დაუწვრილმანდა ესმას მკვლელობის საქმეს, განსაკუთრებით დიდათ საჭირო იყო მისთვის, ცხადათ, თვალსაჩინო საბუთებით დარწმუნებულიყო, რომ იერემია და იმისი ამხანაგები სწორეთ იმ დღეს, რომელსაც ჟანდარმის ოქმი იხსენებდა,—იერემიამ და მისმა ამხანაგებმა აბაშის დუქანში ჩხუბი მოახდინესო და რკინის გზის მატარებლით ქალაქისკენ გასწიესო. — კულაშს იქით არ გაცილებიან. თუ ეს საბუთი დამტკიცდებოდა, მაშინ ბახვა ფულავასი და მომაკვდავ ესმას ჩვენებაც მართალი იქნებოდა. აი. ამ გარემოების ასახსნელად დაიბარა გამომძიებელმა საბაია გაპარიაშვილი, რომელმაც ვაგონში დაასახელა კონდუქტორ ნიკო ბაინდურაძესთან ესმას მკვლელები. საბაიამ ისიც აჩვენა, მკვლელები რანაირათ ერიდებოდენ ნაცნობებს, როცა მის დუქანში შეიკეტეს კარები, და სალამოს მატარებლით როგორ დაბრუნდენ ისევ აბაშისკენ. გამომძიებელმა გაიხსენა კიდევ ერთი ამბავი: იმ ღამეს, ვაგონში რომ საბაია გაპარიაშვილი ელაპარაკებოდა ნიკოია ბაინდურაძეს, — საბაიამ წარმოსთქვა ამგვარი სიტყვები: „გაჩუმდეს, ნუ მემუქრება, თორემ გამომძიებელს იმასაც კი ავუხსნი. მკვლელობის შემდეგ გივი ერთის თვის განმავლობაში სად იმალებოდა თავის ჭრილობის მოსარჩენათ. თუ რომ გამომძიებელი კითხვით გამოიკვლევდა ამ გარემეობას გივისას, შეიძლებოდა მერე ის კაციც მიეგნო, ვისთანაც გივი წამლობდა. იქნება.

საბაიას არც გვარი, არც სახელი არ სცოდნებოდა იმ კაცისა; მაგრამ მისთვის საკმაო იყო სოფლის დასახელება. თუ სოფლის სახელს მაინც შეიტყობდა, მერე უეჭველად მიაგნებდა. საცა ერთი თვის განმავლობაში დაჭრილი უცხო კაცი იწვა და წამლობდა. მოუხერხებელი იყო და არც შეიძლებოდა მთელის სოფლის თვალიდან დამალულიყო ეს გარემეობა. უეჭველად იმ სოფელში იმისთანა კაციც ან ქალიც გამოიძებნებოდა, რომ ეს დაჭრილი ენახოს წამლობის დროს და ამ კაცისა და იერემის დამოკიდებულებაც სცოდნოდათ, რადგან ასე მძიმეთ დაჭრილი კაცი მარტო ვერ მივიდოდა იმ ოჯახში; უსათუოდ მიიყვანდა ვინმე და ამ ვინმეებს ან სოფლელი დაინახავდა გლეხისას მიმავალს, ან თვით გლეხი ეტყოდა ვისმე თავისიანს და შესჩივლებდა თავის საშიშს მდგომარეობას. ამ სახით, რაკი გამომძიებელმა ასე დაწვრილებითი პროგრამა შეადგინა თავის მომავალი გამოძიებისა ბოროტების ახალი საბუთების მისაკვლევათ, შემდეგ გულ-არხეინათ მიჰყო ხელი კითხვას. საბაია გაპარიაშვილი რამდენჯერმე დაიბარა ამ საქმისათვის. მერე ცალკე გამოჰკითხა კონდუქტორს ნიკო ბაინდურაძეს, რომლის ჩვენება მხოლოდ იმიტომ იყო საჭირო, რომ იმას უნდა დაემტკიცებინა ყოველივე. რაც საბაია გაპარიაშვილმა ილაპარაკა მასთან ვაგონში. ბევრი რამ ნალაპარაკევი საბაია გაპარიაშვილისა დაეიწყებოდა ნიკო ბაინდურაძეს; მაგრამ როცა თვითონ საბაია დაუყენა ნიკოს პირდაპირ და ის გაახსენებდა ხოლმე დავიწყებულ გარემოებას, შემდეგ ნიკო თანდათან უფრო ბევრსა და ბევრს ამბებს ასაბუთებდა, რაც საბაიას მისთვის სხვადასხვა დროს ელაპარაკნა ამავე ესმას მკვლელობის შესახებ. მხოლოდ გამომძიებელმა ბევრი ვერა შეიტყო-რა გივის ავადმყოფობაზე. ვერც ის შეიტყო, ვინ იყო ის კაცი, რომელთანაც გივი ამხანაგებს დაეგდოთ. საბაიამ თქვა და ესეც საეჭვოთ იყო, რომ გივი უნდა დაეგდოთო ამხანაგებს სოფ. ძევრულაში ვიღაც იერემიას ნათლიმამასთან.

თუ ეს ახალი ჩვენება საბაიასი მართალი გამოდგებოდა, გამომძიებელი დანარჩენს ყოველსავე ადვილათ გამოიკვლევდა. მხოლოდ მესამე ამხანაგისა კი ვერა თქვა-რა საბაია გაპარიაშვილმა. ის ამტკიცებდა ეჭვს გარეშე, რომ მის დუქანში იმ დღეს სამს კაცს ეძინაო: გივის, იერემიას და მესამეს. მაგრამ ეს მესამე ვინ იყო, საბაიამ არ იცოდა, ვერც მისი სახე შეენიშნა და არც მიექცია ჯეროვანი ყურადღება. როდესაც გამომძიებელმა გაათავა თავისი გამოძიება ამ ორის მოწმის შესახებ და იმათ უჩვენეს ყოველივე, რაც მისთვის საჭირო იყო, ახლა სხვა გზას მიჰმართა მან.

გამომძიებელს ჰყავდა ერთი ჩაფარი, რომელიც შორაპნელი იყო და ამ ჩაფრობაში დაბერებულიყო. იმას თავის სიცოცხლეში

ბარე ოცდაათამდის გამოეცალა მაზრის მმართველები და გამომძიებლები. ბოლოს, ახალი სამოსამართლო წესები რომ შემოიღეს, იმან ირჩია უფრო გამომძიებელთან ყოფილიყო და პატივ-სადები მიზეზებიც ჰქონდა. ამისა. მაშინ, როდესაც მაზრის მმართველები და მისი თანაშემწეები ხშირად უსამართლობას უშვრებოდენ: ხან ჯამაგირს არ მისცემდენ, ხან მწარე მათრახის წვერსაც აგემებდენ, გამომძიებელნი უფრო გულ-ლმობიერები და კაცობრიენი გამოჩნდენ. ისინი ზოგჯერ ამხანაგურათ და მეგობრულათ ეპყრობოდენ ამ ჩაფარს, იმას განსაკუთრებით ეს ახალი გამომძიებელი შეუყვარდა და, თუ რასმე დაასაქმებდა იგი, გველის ხვრელში გაძვრებოდა და შეიტყობდა. ის კარგათ იცნობდა ძევრის სოფელს, რადგან თვითონ ჩხარელი იყო და იქ იმ სოფელში ბევრი ნაცნობი და მეგობარი ჰყავდა. ერთ დილას, როდესაც გამომძიებელმა თავის ოქმები გაათავა და ახალი გამოძიების საქმე შეადგინა. მოიხმო თავის შორაპნელი ჩაფარი და ჰკითხა:

— სოფელი ძევრი იცი სად არის?..

— როგორ არ ვიცი, ბატონო! იქ დაებერდი და არ მეცოდინება?

— გყავს ვინმე ნაცნობი იმ სოფელში?

— ბევრი, ბატონო, — უთხრა ჩაფარმა.

— აბა, ერთს საქმეს მოგანდობ და ისე შემიტყვე. როგორც შენს გამოცდილებას შეეფერება.

— მიბრძანეთ, ბატონო, თუ კი რაიმე მოხერხდება. ჩემს საცადს, კარგათ მოგეხსენებათ. თქვენთვის არ დავშურავ.

— მაშ, წადი და შემიტყვე. ვინ ჰყავს იქ იერემია წარბას ნათლიმამა, და, თუ მიაგნო, მერე ესეც შემიტყვე, ამა-და-ამ ხანებში ხომ არავინ ჰყოლია მის ნათლიმამას ავათმყოფი: თუ ჰყოლია. ვინ წამლობდა მას. რა ერქვა იმ კაცს. ან თუ იცოან. რა სენით იყო ის კაცი შეპყრობილი, რა გვარი იყო, რა ერქვა მას სახელად.

— ბატონი ბრძანდები. დღესვე გიახლები. თუ მიბრძანებ.

ერთ კვირას შემდეგ შორაპნელმა ჩაფარმა მოუტანა გამომძიებელს ზედმიწევნით შეტყობილი ამბები. სოფელს ძევრს ყოფილიყო ერთი გლეხი. გვარათ ქარქაშაძე. მოხუცებული, რომელსაც ყმაწვილობაში ქურდობის სახელი ჰქონდა დავარდნილი და ხშირად გადაჰყავდა ნაპარევი ცხენები ს. ბანძიდან ყვირილის ხეობით ყორნისის ხეობაში ოსეთს. ეს გლეხი ყოფილიყო მართლაც იერემიას ნათლიმამა და იმასთან წოლილიყო მხრებში დაჭრილი რევოლვერის ტყვიით, სახელად გივი. წამლობდა მას თვით მოხუცებული ქარქა-

შაძე. გივი მიეყვანა იქ იერემიას. იმათ მესამე კაციც ახლდათო, რომელსაც იერემია ირაკლის უძახოდა.

იერემიამ ჩააბარა ავათმყოფი ქარქაშაძეს მოსარჩენათ. იგი დაეჭრათ, ვითომც წვეულებაში ჩხუბის დროს. იერემია და ირაკლი იმავ ღამეს ზემოთკენ წასულიყვნენ ცხენებით. ავათმყოფი ერთ თვეს წოლილიყო მასთან; საექიმო მიეცათ ხუთი თუმანი; გივი რომ მორჩენილიყო, ქუთაისისკენ წასულიყო და მას აქეთ აღარაფერი ვიცითო.

ესენი ყოველივე დაწვრილებით დასწერა გამომძიებელმა და შემდეგ ამ ჩვენების დასაბეჯითებლათ დაიბარა თვით ქარქაშაძეცა. ახლა მისთვის ეჭვს გარეშე იყო ბოროტ-მოქმედება იერემიასი. როდესაც ყოველივე ჩვენება სისტემით და კვალ-და-კვალ დასაბუთებით შეამზადა, შემდეგ დაიბარა უწყებით გივი და ჩააგდო საპყრობილეში. ის ჯერ უარზე იდგა, არაფრის ჩვენება არ უნდოდა, მაგრამ გამომძიებელმა დაუწყო ერთი-მეორეზე ზედმიყოლითი ჩვენებათა კითხვა, რაც საბა გაპარიაშვილს ეთქვა და აგრეთვე ქარქაშაძესაც. გივი ძალიან შეარყია ამ საბუთების კითხვამ, დაიწყო არევ-დარევით ლაპარაკი; მაგრამ მაინც ძალიან უარს ამბობდა ყველაფერზე; უარი თქვა აგრეთვე საბა გაპარიაშვილის ცნობაზე და მით უმეტეს ქარქაშაძისა. მაგრამ, როდესაც მან დაიბარა თვით საბა გაპარიაშვილი და ქარქაშაძე, წაუყენა იგი პირში, მაშინ კი გივი სრულებით მოეშვა. იმან ამოუშვა ტირილი, დაიჩოქა და მუხლებზე მოეხვია გამომძიებელს ამ სიტყვით:

— ნუ დამღუპავ, ბატონო, ღმერთმა ხომ იცის, მე მაგაში საკუთრად არა ვარ დამნაშავე. ეგ სულ იერემიას საქმეა, იმან გაშაბრიყვა, იმან გამრია ამ საქმეში. მე ცხოვრებაში მისი წერა შევიქენი. რაკი ერთხელვე ჩამავლო კლანჭი, ვეღარ დავაძვრე თავი მის გავლენას.— როცა ამგვარათ მოიტირა და აღიარა თავის შეცოდება, შემდეგ დაიწყო:

— ადრე უნდა მცოდნოდა. რომ იერემიას ბედისწერა ვიყავი. უსაცილოდ დამღუპავდა. კიდეც იმიტომ გადამეკიდა ის წყეული ადრიდგანვე. ნეტავი არც ის მენახა და არც ჩემს დედას ჩაკსახებოდი. ეშმაკმა ამატრუა, თორემ რა მინდოდა ფოთში?.. მისვლისთანავე იმან მომძებნა. მაშინ იგი ვახმისტრად იყო სადარაჯო ცხენოსანის ჯარში გაწესებული. ჯერ ამიყოლია დროს გატარებაში. მერე ისეთი გავლენა მოიპოვა ჩემზედ, ვეღარაფერში წინააღმდეგი ვეღარ გავუხდი. ერთხელ კონტრაბანდის საქმეში გამრია და კინაღამ დამღუპა. იმის ბარობით ექვსი თვე ვეგდე ფოთის სატუსაღოში. ძლივს ჩემმა სიმართლემ მიშველა, თავი დავიწყეველე იმასთან აღარ გავიაროთქი, მაგრამ ეშმაკს სად დაემალები, ან რანაირათ მოიგერებ?...

„იმ უბედურის წინა ხანებში ფოთში კიყავით და კონტრა-ბანდი გამოვაპარეთ ერთ თათრის ვაჭრის სახელობაზე. იმაში ავიღეთ ათი თუმანი. მეორე და მესამე დღეს ქეიფი არ გაგვისხლეტია; კლო-თობდით. როგორც უკანასკნელი სალდათი. იმ წყეულს ღვინო არ ეკიდებოდა, არ მახსოვს. რომ ფეხი შეშლოდეს. მაგრამ გინდ ფხი-ზელი ყოფილიყო. გინდ მთვრალი, ესმას სახელი მაინც ენაზე არ სცილდებოდა, საოცრად უყვარდა ის მადიანი. როცა ესმა გათხოვდა, მას აქეთ იერემია გაცინებული არ მინახავს. სულ ასე იძახოდა, ბახვას ესმა თუ არ მოვსტაცე, ჩემი სიცოცხლე არ მოხერხდებაო.

„მე ხშირად ვიყავი ჩემს სახლში, ბახვამ რომ ჩვენს სოფელში თავადისშვილის სეული იყიდა, მერე. მეტი არ შეიძლება, ისეთი კარგი მეზობლობა დაგვიწყო. ჩვენ ოჯახობაში ბევრჯელ გვისესხნია მისგან ფული, სარგებელსაც არ გვახდევინებდა. ჩვენი სახლის კა-ცებიც მომადლიერებული ჰყავდა. ჩვენს სოფელში ვერავინ ვერ იტყოდა მის ცუდს. ცოლი და სიდედრი მაინც ღვთისნიერი ადამია-ნები ჰყავდა. არ შეიძლებოდა ვაჭირვებული კაცისგან ხელი არ გაემართათ. ჭირში და ლხინში არ გამოგვაკლდებოდენ. მათგან ყო-ველთვის შესაწევარი მოგვდიოდა ხოლმე ამ შემთხვევაში. ესმას-თანა მადლიანი ქალი მაინც არ მინახავს. როგორც ჩემს საკუთარს ოჯახში. ისე ვიყავი მათთან მიღებული...

„გადამეკიდა ის წყეული იერემია და აღარც მომცა საშველი. ერთხელ მისგან წიგნიც მიეუტანე ესმას; მაგრამ იმ მადლიანმა სი-ახლოვესაც არ მიიკარა. ბარათი ცეცხლში ჩაწვა და მე ასე მითხრა: „თუ ჩემი ოჯახის დაკარგვა არ გინდა, მეორეთ არ გაბედო იმ აბრა-გისაგან წიგნის მოტანაო. მართლაც რომ ნამდვილი აბრაგი და ყა-ჩაღი იყო ის წყეული იერემია. რასაც გულში ამოიჭრიდა, საშველი აღარ ჰქონდა, უსათუოდ უნდა აესრულებინა. გლახა პასუხი რომ მივუტანე, სულ გადირია. რამდენჯერ უთქვამს ჩემთან: „ღმერთმა ნუ ქმნას, თუ ბახვას გულ-ღვიძლი არ გადმოვაყრევინე და ესმა ცო-ლად არ წამოვიყვანეო". გადამეკიდა, საშველი არ მომცა, არავითარი უარის თქმა არ გამივიდა. ამ გზით რომ ვერა მომიხერხა-რა, შემდეგ დამემუქრა: „თუ არ დამხმარებიხარ, როგორც ძაღლი ისე დაგახჩობ და ზღვაში გადაგაგდებ კისერზე ქვა-შებმულსაო. ბახვას სამგზავრო ბოხჩაში (საკვოიაჟში) ათასი თუმანი ფული აქვს და მუდამ თან ატა-რებსო. იმ ფულს მოვსტაცებ და სულ შენ გადმოგცემ: ესმა მე დამრ-ჩება, ფული შენაო. მეც ხშირად ვნიშნავდი, რომ სამგზავრო ბოხჩა მუდამ მხარზე ეკიდა. ღმერთო, შეგცოდე. მუდამ თვალი მრჩებო-და ზედ. შინ რომ იყო, საცა ცოლ-ქმარი იწვენ, ბოხჩაც იქვე კედელ-ზედ ეკიდათ. მე იმან უფრო გამაბრიყვა; ამდენის ფულის შოვნის

სურვილმა თავი დამაიწყა. ბოლოს გადავწყვიტეთ წასვლა და ერთი ამხანაგიც თან წავიტანეთ. იერემიამ პლანი დაგეიწყო: „რომ აზრი არავინ შეიტანოს ჩვენზე. ფოთში უნდა დაეყაროთ ხმა, ტფილისს მივდივართო". წინა ღამით მივედით აბაშას სადგურზე: იქ ერთ ჩემს ძეზობელს თავლა ჰქონდა. სამი ცხენი—ჩემი ირაკლის და იერემიასი ერთ კვირას იქ გვება. რაკი ამ საქმის ასრულება გადავწყვიტეთ. მეორე დღეს აბაშაშიაც უნდა გაგვეეცელებინა ხმა, თფილისს მივდივართ, მატარებელს ვუცდითო. შემდეგ სამიკიტნოში სადილი გვექამა. იქ ჩხუბი აგვეტეხა მეგრელებისათვის, რომ ჟანდარმს უწესოების მოხდენისათვის ჩვენთვის ოქმი შეედგინა. როცა მატარებელი ამოივლიდა ფოთიდან. უნდა ჩამსხდარიყავით და თფილისისაკენ გამგზავრებულვიყავით: მაგრამ სამტრედიაში უნდა გადამხტარვიყავით შეუნიშნავათ. იქ საბაია გაპარიაშვილი კარგი ნაცნობი იყო ჩვენი. იმის დუქნის უკანა ოთახში დავბინავდით. საქმელი იქ მოვათხოვინეთ. შემდეგ იქვე დავიძინეთ საღამოდის. იმ დღეს იქ გარეშე კაცს აღარავის გამოეჩენივართ. როცა თფილისიდან მატარებელმა ჩამოიარა ფოთისკენ წასასვლელად. ჩვენც მაშინვე შეედით ერთს უკანა ვაგონში. საცა ცოტა მგზავრები ისხდენ. ამნაირათ იმავე ღამეს აბაშას მოვბრუნდით, შევსხედით ცხენებზე და ის უბედურება შეგვემთხვა. საქმით აღმოჩნდა, რომ მკვლელობის წინა ღამეს იერემია თფილისს გამგზავრებულიყო. აბა, ვინ რა ექვს აიღებდა ჩვენზე ესმა ფულავა მკვლელობაში. რომ კიდეც აელოთ, ვინ დაიჯერებდა? ესმას სიკვდილი სულ უცაბედი შემთხვევა იყო, ღმერთმა ხომ იცის. მისი სიკვდილი არავის უნდოდა. იერემია გაგიჟებული იყო მისი სიყვარულით. აბა, როგორ მოჰკლავდა? ის კი არა. თავის თავი უნდოდა მოეთვის შეეწირა. მას უნდოდა მხოლოდ მისი მოტაცება და არა სიკვდილი. მერე თვითონაც ნანობდა, თვითონაც ვერ აეხსნა კარგათ ეს ამბავი. გავგიჟდი. ბნედა მომივიდაო. არც მახსოვს. რანაირათ გავწირე ის უბედურიო. სულ ყველაფერს იმ შემთხვევას აბრალებდა, რომ ესმა ვერ დაემორჩილებინა. იმას საშინლად ეკბინა მკლავზე იერემიასთვის და ბახვაც დასწოდა. რომ ისე არ ექნა, ბახვა უსაცილოდ მოკლავდა იერემიას. მეც ბახვამ დამჭრა იმ ღამეს".

გამომძიებელმა დაწვრილებით დასწერა ეს ამბავი. აღუთქვა გიეის შეღავათი სამართლის მიერ: შემდეგ მესამე ამხანაგის ერეკლეს ამბავი გამოჰკითხა. ის ყოფილიყო საჩინოელი აზნაური. ნამსახური ცხენოსან ჯარში და იერემიას მეგობარი. ისიც დაიბარა გამომძიებელმა. მაგრამ მისი კვალი ეეღარსად მიაგნეს. როცა შეიტყო გიეის დაჭერა, მაშინვე გადავარდნილიყო. გამომძიებელმა გიეი ისევ სატუსაღოში გაგზავნა. თვითონ კი გამოსაძიებელს ოთახში დაიწყო

წინ-და-უკან სიარული. მის განიერს შუბლს რაღაც ნათელი აზრი დაჰკრთოდა, სახეზე გადახალისდა და ულვაშებში სიამოვნების ღიმილი მოსდიოდა. ის გრძნობდა. რომ ამ დახლართულის ბოროტ-მოქმედების ახსნით შესამჩნევ ნაბიჯს წარსდგამდა წინ სამსაუ-ბურში. მას მოელოდა კარგი ადგილი.

XIX.

ერთს ავდრიანს საღამოს ᲐᲑᲐᲖ-ᲐᲑᲐᲓᲘᲡ ᲘᲬᲠᲝ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ საათის შეშვიდეზე ძალიან გაჩაღებული იყო მეორე სართული ავეტიკა ᲡᲝᲕᲓᲐᲒᲠᲘᲡ სახლისა. როგორც დღე. ისე იყო ის ᲥᲣᲩᲐ განათებუ-ლი კანდლებისა და ლამპების შუქით, რომელიც სახლის ᲤᲐᲜᲯᲠᲔ-ᲑᲘᲓᲐᲜ გამოქათქათებდა. გამველელ-გამომვლელებს მეტად უკვირდათ ეს ამბავი.—ახპერ. ეს რა მოსვლია ამ ქოფაკ ავეტიკასა?.. ეა, სიკვდილს ᲮᲝᲛ არ უკბენია ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐ?!.. მის დღეში ქონის სანთლისა, ᲭᲠᲐᲥᲘᲡᲐ და ლამის ლამპის მეტი სახლში არ დაუნთია! კაცო, წინ-და-წინ ᲥᲔ-ᲚᲔᲑᲘ არ იმზადებდეს?... ᲐᲘ, დაიღუპა მაგის ᲫᲣᲜᲬᲘ თავი!".. მოლაპა-რაკობდენ იმ დროს ᲮᲛᲐ-ᲛᲐᲦᲚᲐ ᲝᲠᲘ კინტო ამ ნათელს ᲥᲣᲩᲐᲖᲔ.

— კაცო. იქნება იმ საზამთროსავით დარგვალებულს თავის კატოს ათხოვებდეს?... — ეკითხებოდა მეორე.

— მეც ეგრე მოვკარი ᲧᲣᲠᲘ, — დაჰკრა კვერი პირველმა.

— მე შენ გითხრა, მზე-ქალსაც წაიყვანს თავის ოჯახში მისი ᲥᲛᲐᲠᲘ! — დაცინვით განაგრძო მეორემ.

— აი. გასწყვა.მაგის კუპრი თავი!.. ᲮᲐᲠᲐᲖᲘᲡ დაზგათ გამოადგე-ᲑᲐ ᲥᲛᲐᲠᲘᲡᲐ. დასძინა პირველმა.

ᲑᲝᲚᲝᲡ ᲝᲠᲗᲐᲕ კინტოურათ დაიყვირეს: „ᲰᲔᲘ. ᲰᲔᲘ. ᲨᲐᲣᲑᲔ-ᲠᲝᲡ!"... და ჩაიარეს.

ამ დროს ᲛᲓᲘᲓᲠᲣᲚᲐᲗ მორთულ ოჯახში დიდი სარკის წინ იდგა ერთი დაბალ-დაბალი ძვალ-მსხვილი, კისერ-მოკლე და სალი-ანის ᲮᲘᲖᲐᲚᲐᲚ-თევზეულობით ᲩᲐᲡᲣᲥᲔᲑᲣᲚᲘ, ᲒᲣᲚ-ᲛᲙᲔᲠᲓ გადაშლი-ᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐ ᲥᲐᲚᲘ. თხუნველა-ცხვირი მსუქან ᲚᲝᲧᲔᲑᲨᲘ თითქმის არც კი უჩნდა. მსხვილი შავი წარბები ამ პაწია მუშტუკუნა სახეს შნოს აძლევდნენ. შუბლზე სქელი გრუზა თმა ჩამოჰფენოდა. ზედა ტუჩზე ოდნათ ამოჭიჭინებდა შავი ᲑᲣᲡᲣᲡᲘ. თუმცა ამ ქალის შავ-გრემანი სახე არც ლამაზი იყო. არც წარმოსადეგი: მაგრამ სანდო-მობა და სილაზათე მაინც არ აკლდა. მისი მელნის-ტბასავით შავი თვალები ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲜᲐᲞᲔᲠᲬᲙᲚᲔᲑᲘ ᲘᲡᲘᲠᲝᲓᲔᲜ. იმას ეცვა წითელი ატლა-სის კაბა, გარეშემო დანაოჭებული ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲙᲠᲣᲟᲝᲕᲝ შემოდგო-მოდა და მის საესე გულ-მკერდს ალამაზებდა. ᲑᲠᲘᲚᲘᲐᲜᲢᲘᲡ საყუ-

რეები და ალმასის გულსაკიდი სხივს ჰფენდენ მის თავ-კისერსა. აქოჩ-რილს თმებზე ძვირფასი თვლებიანი ბუზამკალია შესჯდომოდა. ეს იყო ავეტიკა სოვდაგრის ქალი. მეორე ახალგაზდა ქალი, ისიც შავ-გერემანი, პირ-ხმელი, მაღალის ტანისა გარს უტრიალებდა, თმას უკე-თებდა და ტანსაცმელს უსწორებდა.

— ნეტავი შენ, კატო, რა ბედნიერი ხარ! — უთხრა მან — რა კარგი საქმრო იშოვნე. იერემიასთანა მოხდენილი ვაჟკაცი ჩვენს ქა-ლაქში არ მოიპოვება. ნეტავ რა ქალი უნდა იყოს, მის გმირულს შე-ხედვას გაუძლოს, რომ გულში არა გაივლოს-რა.

— დიაღ. ეხლა შენც დამემუშტრე. უთხრა სიცილით კატომ.

— ქალო, ერთი ციდა ქუსლებიანი ბოთინკები მაინც ჩაიცვი, თორემ რა გეშველება. საყდარში რომ წარდგები იმ უზარმაზარ-დევ-გმირთან, რაღა გამოჩნდები?.. მუხლებამდისაც ვერ ასწვდები სი-მაღლით.

— არ გაგიგონია. რუსული ანდაზა: ოქრო პატარაა, მაგრამ ძვირფასია, — უპასუხა კატომ და გაიკეთა მკერდზე მარგალიტებით გარემოსხმული იაგუნდის გულსაბნევი.

— რაც უნდა თქვა, იმ დევგმირს მაინც ერთ ლუკმათ არ ეყო-ფი. — გაუხუმრა პირხმელმა ქალმა.

— ისე გგონია?.. ვერ ხედავ ამ ჩემს დევგმირებსა?.. — ანიშნა კატომ კოკრებზე, — მის სიცოცხლეშიაც ვერ მოლევს.

— ქალო, რა უნასს სიტყვებს ლაპარაკობ?.. გამოჯავრებით უთხრა პირ-ხმელმა მანდილოსანმა.

— შენ კი გეხარბება, მაგრამ რა გაეწყობა. დიაღ, ბევრი უტრი-ალე, ლიზიკოჯან, იმ ჩემ ტარიელსა მაგრამ მაინც ვერ წამართვი, — ამოსდო ხელი სიყვარულით ნიკაპზე კატომ და მხიარულათ უთხრა.

— გაჩუმდი, ქა, რაებს ჩმახავ? — ეგ უნასი ენა დაამაგრე. თო-რემ თავსაც დაგანებებ.

— არა, გენაცვა, ლიზიკო. არ გამიწყრე, განა არ იცი, ჩემი ბედნიერების წამია, მხიარულათ ვართ. განა შენ კი არ გესიამოვნება ჩემი ბედნიერება?..

— შენ სულ ეგრეთი იყავი პატარაობიდან. არ გახსოვს, ინ-სტიტუტში რომ გიმნაზიელებმა მიწერ-მოწერა გაგიმართეს და ჩვენ-მა ზედამხედველმა ქალმა დაგიჭირა?..

— სსუ, ქალო. ეხლა რა დროს მაგისთანებია? — ვინძლო, იერე-მიასაც უთხრა? გაუხუმრა კატომ.

— კატოსთანა უსირცხვილო ვიქნები მაშინ. — უპასუხა ლი-ზიკომ.

ეს პირ-ხმელი ქალი იყო კატოს ბიძაშვილი და სიყმაწვილიდან მისი მეგობარი. ისინი თითქმის ერთად იყვენ შეზრდილნი, ერთი მეორის ბედნიერებაში გულით მონაწილენი. კატოს მამა ავეტიკა აძ ბოლო დროს გამდიდრებულიყო, მაშინ, როდესაც ლიზიკოს მამა გაკოტრებულიყო და ლარიბად ცხოვრობდა. ამისათვის ლიზიკო მუდამ კატოსთან იყო, ორნივე ერთ დროს სწავლობდენ ინსტიტუტში. კატო მეხუთე კლასიდან დაითხოვეს რაღაც უმართებულო მოქმედებისათვის.

გაათავა თუ არა თავისა და ტანის მორთულობა, კატომ აიღო ძვირფასი თვლებით შემკობილი სამაჯურები და ხელზე გაიკეთა. შემდეგ გაიარ-გამოიარა დიდი სარკის წინ, მიტრიალ-მოტრიალდა და უთხრა ლიზიკოს:

ქალო, კარგათ შემომხედე, ნატვრის-თვალს არ ვგავარ?..

— მშვენივრათა გაქვს ყოველიფერი, კატოჯან, საყდარში წასვლის მეტი არა გაკლია-რა. მერე მზაკვრობით უთხრა: ქა, პირზედა ! რომ გათეთრებულხარ?..

— სითეთრეში შენ კი ვერ დამცინებ, მაგრამ...

— ვერც სიმაღლეში განა, კატო!... ნიშის მოგებით ჰკითხა ლიზამ.

— არა, გეთაყვა, შენს მიმხმარს გულ-მკერდს არ დაუტოლ ეს ჩემი მადლიანი კოკრები?..

— ქა. კოკრების მაგიერათ რუმბები თქვა?.. სიცილით შენიშნა ლიზამ.

— ქალო, რას ამტეხიხარ ამალამ? — გაწყვა შენი ფარგა თავ.

— ი!.. მეხი კი დავაყარე შენ კვატუშა თავსა!

— მოდი, ლიზიკო-ჯან, კმარა ჩხუბი, შევრიგდეთ.

კატო მიუახლოვდა ლიზას, გადახვია ხელი და გადაჰკოცნა. შემდეგ გაეშურნენ და დასხდენ ტახტზე. კატომ განაგრძო აღტაცებით.

— რომ იცოდე, ლიზიკო-ჯან, როგორ მიყვარხარ?.. ნუ იფიქრებ, რომ ოდესმე მოგიცილო, ჩემო კარგო. რაკი ჯვარს დავიწერეთ, შენც ჩემთან უნდა იცხოვრო. ასე ამბობენ, იმერეთში სულ იერემიასთანა მოხდენილი თვალ-ტანადი ყმაწვილ-კაცებიაო. შენ ხომ გიყვარს იმერლის სილაზათე და კოპწიაობა. იცოდე, ლიზიკო-ჯან, იმერლის თავადიშვილს უნდა მიგცე... ჩემს მეზობლათ უნდა გაგათხოვო, ქალო! იერემიამ მითხრა, ჩვენს სოფელში სულ თავადიშვილები ცხოვრობენო, მუდამ მისელა-მოსვლა აქვთო და მშვენიერი დროს გატარება იციანო ერთმანეთში... ოჰ, ღმერთო ჩემო!.. მამა ჩემმა კი დანავსა ჩემი ბედნიერების დღენი. რაები არ ულაპარაკნია,

ქალო, ჩემს იერემიაზე. ქა, არ უნდა. რომ იმერეთს გავთხოვდე!... იქაო. ყველანი ავაზაკი არისო... სულ ცხარის ცრემლით მატირა!... რომ დედას არა, კინალამ გული წამიყიდა. მივარდა დედა და ასეთი დღე დაუთია. მიწაში გააძვრინა: შე, ვეშაპო, რა დაგემართა, რას ჩაგვცივებიხარ. რათ მოგვინელეო!.. ასპიტი ხომ არა ხარ, შენი კბილით შენივე შვილები დასჭამოვო!.. ჩვენ ღირსიც არა ვართ, იმისთანა კაცი ღმერთმა ხელში ჩაგვიგდო!.. რას დასჩხავიო შავი ყორანივით ჩემ კატოს ბედ-იღბალსა!.. რაები არ უთხრა, ლიზიკო-ჯან!.. იმას უნდა, ვიღაც ღალუსტაანთ ნოქარია. იმას მიმცეს... მდიდარია!.. მამა. ჩემი თუ მდიდარია, რა ბედნიერება აქვს მითი დედა-ჩემსა? ნიადაგ ლანძღვა-გინებაში ვატარებთ დროსა. ქალაქში სირაჯსა და ზარაფს გვეძახიან. დიდ-კაცის ოჯახში ვერ შევსულვართ. ჩემი იერემია სოტნის კამანდირია, გამოჩენილი აფიცარია. ვალიდას ნათესავია. ღმერთი ბედს მაძლევს, დიდ-კაცობაში ფეხსა ვსდგამთ... მამა ჩემი კი მუდამ დღე ჩაგვჩიჩინებს: რა ჩვენი საქმეა ბედოვლათ ქართველებთან საქმის დაჭერა. ხარჯის მეტი იმათ რა უნდა მოგცენო?.. ერთი ჯვარი დავიწერო, მერე მე ვიცი, ქალო, ამ ლაბაზნიკებში თავი მოჭბეზრდა!..

რაკი წავალ იმერეთში, აქაურს ცას სულაც აღარ დავინახავ. შენ მიყურე. ლიზიკო-ჯან, მე და შენ რომ სალონს გავმართავთ და მთელი იმერეთის საზოგადოება ჩვენს სალონში დაიწყებს სიარულსა. უჰ, რა ბედნიერი ვიქნებით!..

— აბა, შვილო, მოირთვე კიდეც?.. — შესძახა შემოსელისთანავე კატოს მისმა დედამ, რომელიც ქართულს ხავერდის ქათიბში გამოწყობილიყო.

— დედი, მე მზათა ვარ. აბა შემხედე?... ამ დროს წამოდგა კატო და გაიარ-გამოიარა დიდი სარკის წინ.

— დედა გენაცვალოს, აღდგომის კვერცხივით აწითლებულხარ. შენ ისეთი მოხდენილი ხარ, ყოველიფერი დაგშვენდება. აკი მირომაც არ გააგიჟე იერემია?.. რა მშვენიერად გიხდება თმაში ზურეუტის ბუზამკალია!.. შემდეგ მიუბრუნდა ლიზას და წააქეზა „აბა, ლიზიკო, სტოლი გავაწყოთ: ხმელი ხილი, ტკბილეულობა. შამფანცკები და სხვატკბილი სასმელები შევამზადოთ. დაგვიანდა. მეცხრე საათი კიდეც დაიწყო. საცა არის სასიძოც მოვა“.

მოსამსახურეებმა ამ დროს შემოიტანეს ვერცხლისა და ბრონზის სერვიზი. ნათესავებმა ნელ-ნელა იწყეს მოდენა ზალაში. ყველანი მხიარულად იყვენ. მხოლოდ ავეტიკ სოვდაგარს რაღაც გული უღრინავდა. აღარავის ალერსიანათ ხმას აღარ სცემდა. განსაკუთრებით მოსამსახურეებს აცხრობდა თავის ჯავრს: მაგრამ მაინც-

და-ძაინც დიდ ყურადღებას არავინ აქცევდა იმის ჯაჯღანს. რადგან იკოდენ იმისი ამბავი.

ამ დროს მოისმა ქუჩაზე გამალებული ეტლების რიხინი. ზალაში მყოფი სტუმრები ყველანი ადგენ და მიადგენ ფანჯრებს. „ვალიდა, ვალიდა!" — გაისმა საზოგადოებაში. ცოტა ხანს იქით მართლაც დარბაზში შემოვიდა იგი. პირველად მას მიეგება ავეტიკას მეუღლე თავის ქალიანათ: შემდეგ ავეტიკამ დაუკრა მდაბლათ თავი. „ეს რა ბედნიერი წამია ჩემთვის. რომ თქვენს ბრწყინვალებას ვხედავ ჩემს საწყალ ოჯახში", — მოახსენა ავეტიკამ. ვალიდამ დარბაისლურად მოიკითხა ოჯახის პატრონები. დაჰკოცნა კატო და წარუდგინა მას იერემია. რომელიც მას უკან მოსდევდა. ვალიდა დაბრძანდა: მდიდრათ მორთულს ტახტზე. გვერდით მოისვა კატო. ამის გვერდით დაჯდა იერემიაც. იმას ეცვა წითელი ატლასის ახალუხი სირმით გაწყობილი და შავი ეპოლეტებიანი ჩოხა. მისი ქამარ-ხანჯალი. ოქროთ-მოჭედილი. ლამპრების შუქზე ელვარებდა. ცოტა ხანს შემდეგ სტუმრები აქეთ-იქით ოთახებში გავიდენ. ვალიდამ წაიყვანა ავეტიკა და მისი მეუღლე ცალკე ოთახში მოსალაპარაკებლათ. დარბაზში დარჩენ მხოლოდ იერემია და კატო.

— კატო. რა ბედნიერი ვარ ამ წამს!.. მე როგორ წარმოვიდგენდი, რომ შენისთანა ანგელოზი ჩემდა ბედათ დაისახებოდა. შენი სიყვარული თან-და-თან სწვავს ჩემს გულს.

— კაცებმა ყველამ ეგრე იცით ლაპარაკი. სანამდის ჯვალი არ დაგიწერიათ, მერე კი ეს მხურვალე გული მყინვარზე უფრო ცივი გახდება. — უთხრა კატომ და მოჰკიდა ხელი წითელ ატლასის ახალუხის ღილს. თითქოს ცდილობსო იმის გახსნას.

იერემიამ უცებ აკოცა ამ პუტკუნა ხელს.

კატო ამ დროს აბრეშუმით ნაქარგ ყურბალიშზე მიესვენა. იერემია ინსტიკტურად მიჰყვა მის ნებას. შემოხვია თავის მძლავრი ხელები წელზე და გულის თქმით დაეკონა ქალის მკერდს. კატო მიბნიდა. ზედა ტუჩები ასწია და მარგალიტის ფერი ტყუპი კბილები გამოაჩინა. იერემიამ გიჟურათ ჩაკოცნა მისი ტუჩები და ერთხანს ორივე იყვნენ ასე ხმა-გაკმენდილნი. უცებ ვალიდას შემოსვლამ გასწყვიტა ეს ნეტარი წამი. იმას შემოჰყვენ კატოს დედ-მამა და სხვა შინაური სტუმრებიც. ვალიდას ხელში ეჭირა ორი ნიშნობის ბეჭედი. იგი მოუჯდა კატოს გვერდით და იმას და იერემიას ბეჭედი შეუცვალა. ამას შემდეგ მთელმა საზოგადოებამ მიულოცა დანიშნულებს. კატოს დედის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. იმან გადაჰკოცნა ახალ-დანიშნული ქალ-ვაჟი და შემდეგ იერემიას ალარ მოსცილებია. ვალიდა იდგა. მივიდა მაგიდასთან. აიღო შამპანურით სავსე ბროლის

კათხა (ბაკალი) და დალია ახალ დანიშნულების სადღეგრძელო. სტუმრებმაც დალიეს მათი სადღეგრძელო.

ამ წუთას მხოლოდ ერთის კაცის სახეს რაღაც უსიამოვნების ღრუბელი ჰქონდა გადაკრული, თუმცა კი ნაძალადევად მხიარულობდა. ეს იყო ავეტიკა. როცა ყველანი აღტაცებაში იყვენ გართულნი. შამპანიურებს სვამდენ, იერემია კატოს ეტრფიალებოდა, ავეტიკას მეუღლე იღებდა მხიარულად მილოცვას, ხან ერთთან იყო, ხან მეორესთან და ყველას შამპანურს, ხმელ ხილს და ტკბილეულობას აწოდებდა, ამ დროს უეცრად დარბაზში გაჩნდა პოლიციის ბოქაული. იმან დაინახა თუ არა ვალიდა. ცოტა არ იყოს. შეკრთა და ზრდილობიანად წარმოსთქვა:

— უკაცრავად, რომ ამ უდროვო დროს შემხვდა მე აქ. ხლება. მაგრამ კანონი ძალას მატანს.

მთელს საზოგადოებას თავზარი დაეცა, ყველამ ხმა გაჰკმინდა. ერთხანს ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ბუზის ბზუილს გაიგონებდა კაცი. ვალიდა განცვიფრებული შესცქეროდა პოლიციის ბოქაულს, უნდოდა საჩქაროთ მოესმინა ამ უდროვო დროს მისი მოსვლის მიზეზი.

— მე ვარ გამოგზავნილი იერემიას შესაპყრობათ. რომელსაც ბრალდება ბახვა ფულავას ცოლის მკვლელობა.

კატომ იწივლა და გული შემოეყარა. მისმა დედამ აგრეთვე მოროო კივილი. „წყალი. წყალიო!“ — გაისმა საზოგადოებაში. ვალიდა გაფითრდა. მაგრამ იმდენათ შეიკავა თავი, რომ ბრძანებლობის ხმით უთხრა პოლიციის ბოქაულს: „თქვენ მიბრძანდით და უთხარით ჩემ მაგიერათ პოლიცმეისტერს. რომ ხვალ დილას იერემია ჩემთან იქნება და. როგორც ენებოს. ისე მოიქცეს. ახლა კი დრო არ არის!“

პოლიციის ბოქაულმა პატივისცემის ნიშნათ დაუკრა თავი და წავიდა. ავეტიკას მეუღლის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. გულშეწუხებულს ქალს უცბათ გაუხსნეს კარსეტი და ასხეს ოდეკოლონი. ის წამის-წამს ვარდებოდა უგრძნობლობაში. რომ აღარა ეშველა-რა, ველარ მობრუნდა. ბოლოს აიყვანეს და ციმ-ციმ შეიტანეს საწოლ ოთახში „ექიმი. ექიმიო!“ — გაისმა ხმა. ავეტიკა გავარდა და აფრინა ბიჭი ექიმზე.

ამ საზოგადო არეულობაში თითქოს მცირეოდენ მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ორი პირი. ისინი სრულებით გაშეშდენ. ერთი მათგანი იყო იერემია, რომელმაც შემაძრწუნებელი გამომეტყველება მიიღო, მის სახეს დაეცა რაღაც ბინდი, წვერ-ულვაში აბურძგოდა, მსხვილი შუბლზე გადახლართული მისი წარბები კიდევ უფრო მოიღუშენ. წარბებს ქვემოთ დემონური თვალები გიჟურათ გამოიცქირებოდენ. თვით იერემია აღდგომის კელაპტარივით იყო აყუდებუ-

ლ, გრუზა თმა აქოჩვოდა და სატანის რქებს დამხგავსებოდა. მეორე მხრით იდგა ვალიდა, რომელსაც მობერებული მთვარის ფერი გადეკრა სახეზე. იგი მდიდრულს თეთრ-ბრწყინვალე ტანსაცმელში ისე გამოიცქირებოდა, თითქოს ანგელოზი ჩამოფრენილიყოს ზეციდან და შებრძოლებოდეს სატანას, რომ საწყალი კატოს სული დაიხსნას იმის ხელიდან. ერთხან ამ ენით გამოუთქმელს მდგომარეობაში დარჩა მთელი საზოგადოება. მისს შეწუხებულს მეუღლეს, რომელსაც აქამდის „ეის"-ს და „უის"-ს ძახილი ვერ შეეწყვიტა..

— დამშვიდდით, აქ რაღაც მტრობაა, რომელსაც მე ვერ მიმხვდარვარ. მაგრამ მოგცემთ პატიოსან სიტყვას. მე ჩემის ნათესავის გულისათვის თავს დავსდებ. თუ საჭირო იქნა, თვით მთავარ-მარტებელს მუხლებს მოვუყრი და იერემიას არას გავუჭირვებ, — ანუგეშა ვალიდამ კატოს დედ-მამა. შემდეგ გადახედა იერემიას და უბრძანა: „აბა, წავიდეთ".

იერემია დარეტიანებულივით უკან გაჰყვა ვალიდას, თუმცა იმ დროს იქნება სრულებითაც არ გრძნობდა. ვის მიჰყვებოდა. რისთვის და ან სად მიდიოდა.

სტუმრები უცბათ წავიდენ. დარჩა დარბაზში ავეტიკა თავის მოკრიახე მეუღლით მარტოდ-მარტო. ყოველ მისს „უი"-ს დაძახებაზე ავეტიკა გაჯავრებული შესძახებდა: „ზახრუმალ!.. მაშ მე ვირის მომდენი ვიყავი, რომ გაფრთხილებდი, რაზბოინიკს ქალს არ მივცემ-მეთქი?... აი, ეხლა მიბრძანდით შენ და შენი ქალი და ეკოპწიავეთ, ეალერსეთ იერემიას მეტეხის ციხეში!"...

მეორე დღეს მთელს ქალაქს მოეფინა ეს ამბავი, რომ იერემია დაუჭერიათო, მკვლელობას აბრალებენო!

ცოტა არ იყოს, ვალიდასაც ეცხებოდა ჩირქი ამ გარემოებით. ბევრი მითქმა-მოთქმა შეიქნა, მრავალნი სავაჭრო კლუბის საზოგადოებასაც ამტყუნებდენ; ამბობდენ, რომ კლუბის წევრები ძალიან განურჩევლად იღებენ ახალ წევრებსაო. ქურდსა და ავაზაკს კარი გაღებული აქვს პატიოსან საზოგადოებაშიო. ერთს საღამოს ამ გარემოების გამო თვით სავაჭრო კლუბში ჩოჩქოლი ატყდა, მაგრამ იქ ერთმა გამოცდილმა ვაჭარმა დააშოშმინა: „რაო, ვითამ რა მოხდა?.. იერემიას მკვლელობა დასწამეს?.. დიდი რამე ყოფილა! განა ჩვენს შორის კი ცოტანი არიან, რომ იერემიაზე უარესი ბოროტება ჩაედინოსთ? აი, ნახავთ, რომ იერემია კიდეე შემობრძანდეს ჩვენს კლუბში და ისინი, ვინც მას ზიზღით იხსენებენ კიდეე, მისი ყურმოჭრილი ყმები გამხდარიყონ!"...

XX.

გასულ გიორგობისთვეს ქ. ქუთაისში ერთს დაბალ-ჭერიანს დუქნის უკანა ოთახში დილით ადრიანათ იჯდა თმა-გაშლილი და ულვაშებ-აბუძგული დიდ-მუცელა კაცი, რომელიც თვალებ-ამღვრეული გაჰყურებდა პაწია სარკმლით ქუჩაზე. გაღმით აიმართებოდა ორ-სართულიანი ქვითკირის შენობა, რომლის დიდი კარები წამისწამ იღებოდა და შიგ სასამართლოს მოსამსახურენი შედიოდენ. ყოველ კარის გაღებაზე და კოკარდის დანახვაზე იმ კაცს სახე ეკმუნებოდა. ეტყობოდა, რომ მას არც ეს სასამართლო მოსწონდა. აოც ეს კოკარდიანი კაცები. ყველას წყევითა და კრულვით იხსენებდა. იმ კაცს რაღაც გარემოებით გული ჰქონდა დაჩაგრული. ამ დროს გაიღო დაბალი კარი ოთახისა და შემოვარდა ჩერქეზულს ტანისამოსში გამოწყობილი ცალ-გვერდელა. თვალებ-გადმოკაკლული და მანჭია კაცი. ისეთი სისწრაფით შემოვარდა ის, რომ კაცს ეგონებოდა დუქანში ცეცხლი გაჩენილაო და უნდა ეს დაღვრემილი კაცი უბედურებას გადაარჩინოსო. — „ახალი ამბავი, ახალი ამბავი!" შეჰყვირა იმ მანჭია კაცმა. გულ-დაბურულმა კაცმა ნელა მოიბრუნა სახე და ყურთა სმენათ გადიქცა. — „იერემია ჩამოუყვანიათ ქალაქიდან და სატუსაღოშია გამოჭიმული.

ამ სახელის გაგონებაზე ის კაცი, რომლის სახეც აქამდის დაღონებისა და სასოწარკვეთილების მეტს არას გამოხატავდა, უცბათ წამოვარდა ადგილიდან და გალაღებულს წელზე უნებურად მოისვა ხელი. თითქოს ხანჯალს ეძებსო. თვალები გადმოაბრიალა და შესძახა:

— რას ამბობ?

— ნამდვილ მართალს ვამბობ. — გამომძიებელს ყველაფერი აუხსნია, გვი დაუჭირავს. რომელიც გამოტეხილა. ამ სახელის გაგონებაზე დიდმუცელა კაცი ისევ უცბათ მოეშვა. თითქოს თავზარი დასცემოდეს და ჩაიკეცა სკამზე უძლურათ.

როგორც მკითხველი მიხვდება, ეს კაცი იყო ბახვა ფულავა. ხოლო ამბის მთხრობელი — მისი ვექილი წუნკალა ჩაფხუტაძე.

— რას შეწუხებულხარ?.. ვაჟკაცი არა ხარ?... — შესძახა წუნკალამ. — ძლივს გასჭრა ბოლოს ღვთისა და კაცის სამართალმა. ბოროტ-მომქმედს აწ კი აუგებენ წესს.

— ვინ იცის. ფონი ჯერ კიდევ გასავალს არის. იმას ძლიერი პატრონი ჰყავს. კიდევ გამოძვრება. — წარმოსთქვა უიმედოთ ბახვამ.

— ბრალდებითი ოქმი კიდეც ჩაუბარებიათ იერემიასათვის. ამ ერთ კვირას უნდა განიხილონ მისი საქმე ოლქის სასამართლოში. ჭუ-

თაისში დიდი მითქმა-მოთქმაა ამ საგანზე. ბევრსა სწყინს. ბევრი კი მხიარულია. ის აქამდისაც უნდა გაეგზავნათ კატორგაშიო. რაც იმათ ცუდი საქმეები ჩაიდინა. საკვირველია. აქამდისაც როგორ დადის დედამიწაზეო? — იძახიან ყველანი.

- ბახვამ გადმობლანცა თვალები. დააბჯინა მაგიდაზე ნიდაყ�d, ჩამოსდო ხელზე ნიკაპი და ასე გაშტერებული ყურს უგდებდა ეკქილის ლაპარაკს. მის სახეზე ორნაირი აზრი იხატებოდა: ერთი თავმოცემულობისა. როცა კაცი უიმედობაშია ჩაეარდნილი და მეორე ამბის მოსმენისა, რომელიც ნახევრად სჯეროდა.

— ძალიან არ მოახერხა გამომძიებელმა??.. ჩინებული კაცი ყოფილა. — დაიწყო წუნკალამ. — ჟანდარმის ოქმი რომ აღმოჩნდ. მითი მტკიცდებოდა, რომ იერემია იმ ღამეს ქალაქს წასულიყო, როცა შენი ცოლის მკვლელობა მოხდა. შემდეგ აღარაეითარი საბუთი. არც შენი ჩვენება და არც ესმასი სიკვდილის ჟამს ჰატიდებაში აღარ იდო მისაღები. ისე იყო წაყვანილი საქმე, რომ გამომძიებელს კანონიერ ძალით უნდა წარედგინა მოსასჯობათ. მაგრამ დახე იმის ქკუის გამჭრიახობას, მის სულგრძელობას!.. რაკი ერთხელვე ექვი შეიტანა, თუმცა თვალსაჩინო საბუთი არა ჰქონდა. მაინც საქმეს აღარ მოეშვა. დროებით მიავიწყა იგი. თუმცა თვალგაფაციცებული ეძებდა ყოველგან, რომ რაიმე კვალი მიეგნო ბორიტ-მოქმედებისა. ჰეშმარიტად განგებაა, თორემ რაღა იმ ვაგონში მოხვდა. საცა საბაია გაპარიაშვილი კონდუქტორს უყვებოდა თავის თავგადასავალს. იმ ღამის ნალაპარაკევი ერთი სიტყვაც არ გამოპარვია გამომძიებელს. რომელიც თურმე შიბნელებულის ვაგონის კუნჭულიდან ყურს უგდებდა. შემდეგ იკვლია. იკვლია. დიდხანს იკვლია საქმე. ბოლოს იმ გლეხსაც კი მიაგნო, ოომლის ოჯახშიაც გიეი წოლილიყო შენგან დაჭრილი. ბოლოს სტაცა გიეის ხელი. ჯერ თურმე ძალიან უარზე დადგა. მაგრამ როცა პირში წაუყენა საბაია გაპარიაშვილი და თვით მისი მომრჩენელი ბლეხიც, მაშინ კი წახდა თურმე. დაიწყო ტირილი, ყოველიფერს აჭ საქმეს იერემიას აბრალებდა და ეხვეწებოდა გამომძიებელს ვუდ- ახლილათ გამოტეხისათვის. დასჯის შეღავათს. გიეი ჩაგდეს სატუსაღოში და იერემია მოაყვანინა ქალაქიდან დაჭერილი. იმასაც პირში წაუყენა გიეი. წახდა. თურმე ფერი ეცვალა. ისე გახდა. როგორც ყვითელი ბალი. მაგრამ დახე იმის გაუტეხლობას!.. პასუხი შეიტანა. რომ გიეიმ ყოველიფერ მტრობით გადმომაბრალაო. რადგან ფოთში ყოფნის დროს კონტრაბანდის გამოტანაში დავიჭირე და 6 თვე ფოთის სატუსაღოში გამოალპესო.

იერემიას ჩვენი ენატანტალა ვექილი სივილა აუყვანია. როგორც კი დაუჭერიათ იერემია. მაშინვე სივილა დაუბარებიათ თფი-

ლისს, ფული წინ-და-წინ მიუცია და დაჰპირებიან გაგაკეთებთო, ოღონდ მოეხმარე იერემიას და ამ ხიფათისაგან გამომიხსენიო. ესეც ბაშინვე გაქცეულა ფოთში. შეუტყვია იქ ყოველივე გივის ამბები, მაშინდელი იერემიას ამხანაგები ყველა უნახავს და ისინი მოწმებათ დაუნიშნავს თვით გივის გამოძიების საქმე დაწერილებით შეუსწავლია. ფოთის დამოუნიდან მის შესახები გამოძიების კოპიები გამოუტანია და უნდა ყოველი ღონისძიებით დაამტკიცოს, რომ ეს ბოროტმოქმედება თვით გივის საქმეა და იერემია ვითომც შიგ მტრობით იყოს გაბმული.

სანამდის წუნკალა ამ ამბის ლაპარაკში იყო, ბახვას თან-და-თან ერეოდა ბრაზი და ბოლოს რომ ვეღარ მოითმინა, წამოვარდა ზეზე ამ სიტყვებით: „ჰოი, მაგათი სული აღარ იყოს!.. იტყვიან სამართალია ქვეყანაზეო!.. სივილას რომ სინიდისის ნატამალი ჰქონოდა, აგრე მოიქცეოდა?.. კაცის მკვლელს და მთელი ოჯახის ცეცხლზე დამდებს გაუხდებოდა მფარველად?.. ვთქვათ, იერემია დასაკარგავია, მაგრამ ეგ სივილა ძაღლივით დასახრჩობია!.. განათლებაო!.. მაგისთვის იზრდებიან უნივერსიტეტებში, რომ ქვეყანა გარყვნან და საწყალი კაცი ამოიჟამონ?.. აწ რაკი მაგნაირი კაცების სინსილა გამრავლდა. საწყალ კაცს როგორღა გაეძლება ქვეყანაზე“, — დაჰკრა ბახვამ ჯავრიანათ მუშტი მაგიდაზე.

— დამშვიდდი, ბახვა, ვერას იზმენ, იერემიას დღე დათვლილია. შენი გულის წადილი არ შეიძლება, რომ არ ასრულდეს. ღმერთი არ დაგჩაგრავს მართალ კაცს.

— ეჰ, ძმაო, ესე რომ იყოს. მაგისთანა კაცებს როგორ უნდა ედგომებოდეს ქვეყანაზე, რატომ მეხი არ უნდა დაეცესთ!.. მაგრამ არა, ძმაო, ქვეყანაზე პირუტყვობის მეტი არა არის რა. — ბახვამ დაიწყო გაცხარებით ოთახში სიარული.

ამ დროს ოთახში შემოიმართა ერთი წითელ-წვერა, პირ-ხმელი მაღალი კაცი, რომლის თვალები ვერცხლის წყალივით აქეთ-იქით დასტოდენ თვალის ქუთუთოებში.

წუნკალას მის შეხედვაზე რაღაც ახირებული თრთოლვა მოუვიდა. ბახვამ შეასწრო თუ არა თვალი ამ კაცს, მიუბრუნდა წუნკალას და მეგობრულათ უთხრა: „თუ ძმა ხარ, ცოტა ხანს დუქანში გაისეირნე“. ვექილმა იჭვიანათ შეხედა ბახვას და კარი გაიგდო. მის გასელისათანავე კარები ჩარაზეს. მერე ბახვამ მისცა ხელი მეგობრულათ ახალ მოსულსა.

— მე გუშინლამ ჩამოვედი ქალაქიდან, — დაიწყო წითელ-წვერამ. — როგორც პირობა გვქონდა, ისე მოვიქეცი. იერემიას სადგომი მივიკვლიე. მისი მოსამსახურე დავიმეგობრე; გავანდე ყოველიფერი,

შენი უბედურებაც დაწვრილებით ვუთხარი, სულ გული ავუტირე. ძალიან შეებრალე, შემწეობასაც დამპირდა. ვერ წარმოიდგენ, დავასკვენით პირობა, იმ კვირის სწორისათვის უნდა დაესხმოდით თავზე... იერემია ქალაქში პირველი კაცი ყოფილა. მის სახლში, აფიცრიდან მოკიდებული გენერლამდის, ყველანი დადიოდენ. ორი ბედაური ისეთი უბია სახლში, რომ ძმასა და ძმას შუა თითო სამას მანეთად არ გაიცემა. უეტლოდ ფეხს არა სდგამს. მთელი პოლკის ხარჯი და მზრუნველობა მის ხელში ყოფილა. ამ ორი კვირის წინათ ერთი მდიდარი სოვდაგრის ქალი დაენიშნა და დიდებულ ქორწილს ემზადებოდა. ჩვენ გვინდოდა ქორწილის წინა ღამეს დავესხმოდით თავზე. შენთანაც მინდოდა ერთი ამხანაგი გამომეგზავნა, რომ დროით ჩამოსულიყავი; მაგრამ ნიშნობის მესამე ღამეს იერემია დაიჭირეს და მეტეხში ჩასვეს: თურმე შენი ცოლის მკვლელობას აბრალებენ და გამომძიებელს კიდეც დაუმტკიცებია მის ბოროტ-მოქმედებაო.

— მადლობა ღმერთს, — ჩაილაპარაკა ბახვამ თავისთვის.

— ახლა, ძმაო. — განაგრძო ახალ-მოსულმა, — რაც ფული მომეცი, კიდეც დამეხარჯა საქმეებზე. ის კი არა, ცოტა ვალიც წამომყვა. იერემიას მოსამსახურეს ოცდაათი თუმანი მივეცი. ჩემი ამხანაგები საშველს არ მაძლევენ: რჩენა გვინდა, ფული მოგვეცი, თვარა ან მოგკლავთ, ან დაგიჭერთ და მთავრობასთან წარგადგენთო. ჩემისთანა უბედურს მდგომარეობაში კაცი არ არის. ერთი წამის მოსვენება არა მაქვს. ყველასი მეშინია. შინაურისა და გარეულისაც.

— რამდენი გინდა?.. შეეკითხა ბახვა.

— ოცდაათი თუმანი; თუ არ მომეცი, მე აქედან ვერ წავალ.

— ძმობამ, ახლა. ამ ოცის თუმნის მეტი არა მაქვს. წაიღე და ამ ცოტა ხანში კიდევ მოგაწვდენ.

ახალ მოსული სახეზე გახალისდა.

— აწ როგორ უნდა მოვიქცეთ?.. — დაითვალა ფული თუ არა, ჰკითხა ბახვას ახალ მოსულმა.

— ჯერ-ჯერობით, შენ აღარა ხარ საჭირო. ვუკეთროთ სამართალს. იერემია დაჭერილი ჩამოუყვანიათ ქალაქიდან. ამ კვირაში გაასამართლებენ. თუ სამართალმა ჩემი სისხლი ამოიღო, ხომ კარგი, თუ არა და მე მაგ საქმეს თავს ვერ დავანებებ. ცოლის სიკვდილის შემდეგ მე ცოცხლებში აღარ ვურევივარ. აღარც სიკვდილისა მეშინია და აღარც ციმბირისა. ჩემთვის სულ ერთია. ჩემს გულს მარტო ერთი რამე დაამშვიდებს: ან იერემიას მოკვლა, ან ციმბირს გაგზავნა, მანამდის მე სახრჩობელა მაქვს კისერზე მობმული. დღე და ღამე სისხლი მომწოლია კისერში და მახრჩობს. ცოცხლად ტანჯული შევიქენი, სანამდის იერემიას დასჯილს არ დავინახავ, მეც ამ ტანჯვაში უნდა ვი-

ეო. მეტის ჯავრისაგან ხანდახან სიგიჟეც მომდის, შინაგანს ცეცხლს ლვინით ვანელებ ხოლმე.

— შენი ნებაა. მოვუცადოთ. მაშ მეცა და ჩემი ამხანაგებიც მანამდის შენს სამსახურში ვითვლებით.

— დიალ. ახლა ამ მსარეს გაეცალეთ. არავინ შეგნიშნოთ. ხომ იცი, პოლიცია თვალს გადევნებსთ.

— ჩვენ ამალამვე მოვკურცხლავთ გურიისაკენ.

— არაყს არ დალევ? — ჰკითხა ბახვამ.

— კარგი იქნება.

ბახვა თვითონ გავიდა დუქანში და ერთი დიდი ჭიქა არაყი გამოუტანა ახალ-მოსულს.

მან გადაშუშა. გაჰკოცნა ბახვა, რომელმაც გზა დაულოცა. და გაჰქრა ოთახიდან.

XXI

წუნკალა მეტად აღელვებული შეიქნა. ის თუმცა გავიდა დუქანში, მაგრამ ისევ მალე დაბრუნდა და ფეხ-აკრეფით მიეპარა დუქნის ოთახს, საცა ბახვა და ახალ-მოსული საუბრობდენ. იმან კარის ჭვრიტიმალაში მიადვა ყური და მოისმინა ყველაფერი. როგორც კი იმათ საუბარი გაათავეს, წუნკალა გახტა ისევ დუქანში და წინ შეეგება ბახვას. რომელმაც მედუქნეს ერთი ჭიქა არაყი ჩამოასხმევინა სტუმრისთვის. ბახვა წუნკალას თავისი ყოფა-ცხოვრებით ხელში ეყავდა ჩაგდებული და გაფრთხილებული იყო მუდამ. რომ ვისმე გარეშე კაცს აღარ დაეჭირა მასთან საქმე. ახალ-მოსულის ნახვა და ბახვასთან საუბარი არაფრად იყმა მას. განსაკუთრებით, როცა მათი საუბარი მოისმინა. სულ გადუტრიალდა გული. აი, სად ხარჯავს და რა ფაცებს აძლევს ბახვა თავის ამოგებულ ფულებს?.. იმან იცნო, ვინც იყო ის ახალ-მოსული. მას ციმბირელი წინათაც ბევრჯელ ენახა და ამ ბოლო დროს მაინც იმისი და იმის ამხანაგების მოქმედებით ქვეყანა იყო აყაყანებული. პოლიცია და მთელი გუბერნიის მთავრობა ფეხზე იყო დაყენებული. უნდოდათ რამენაირათ ან მოეკლათ, ან დაეჭირათ ავაზაკების მოთავე. ახლა წუნკალასათვის ორნაირათ საჭირო იყო ის ახალ-მოსული. მას ციმბირელი წინათაც ბევრჯელ ენახა და ფულისგან სცლიდა. იმან მაშინვე განიზრახა პოლიციისათვის შეეტყობინებინა მისი ქუთაისში ჩამოსვლა; მაგრამ ჯერ უნდოდა თვით ბახვასთვის გადაეცა, რომ ყოველივე კავშირი გაეწყვიტა ციმბირელთან. რომ პოლიციას ხიფათი რამე არ აეტეხნა ბახვასთვის და იმათ კავშირის კვალს არ წაწყდომოდა. მეორე ესეც ჰშურდა. რომ ბახვას

ფულები ციმბირელს მიჰქონდა. რადგან იცოდა. ადრე თუ გვიან ყველა ბახვას ფულები მის ხელში უნდა გადასულიყო. მას აქეთ. რაც სასამართლომ სისხლის სამართალში მიცემა გადუწყვიტა ბახვას „პოდლოგებისათვის". წუნკალა მარჯვე დროს ეძებდა დაეტყუებინა მისთვის ვექსილები ორი იმდენის შეძლებისა. რაც ბახვას ებადა. იმან იცოდა. რომ დღეს თუ ხვალ ბახვას დაამწყვდევდენ სატუსაღოში. მას სურდა მანამდის მოეხდინა ესე ყოველივე. მაგრამ ჯერ მარჯვე დრო ვერ ჩაეგდო ხელში მოსალაპარაკებლათ.

წავიდა თუ არა ციმბირელი, იგი მაშინვე შეეარდა გულ-გახეთქილი ბახვასთან და ჰკითხა:

— ის კაცი ვინ იყო?

— ერთი ჩემი ძმა კაცი იყო. იმას ბევრი ამაგი მიუძღვის ჩემზე. — უთხრა გულ-დამშვიდებულათ ბახვამ.

— რა უნდოდა აქ?..

— ჩემ სანახავათ მოვიდა.

— აბა, მე გეტყვი, ეგ ვინც არის. ეგ ციმბირიდან გამოქცეული არ არის. პოლიცია რომ დღე და ღამე დაეძებს?

— რას ლაპარაკობ. წუნკალა?.. განა ეგრე მიცნობ, ციმბირელებთან დავიჭერ საქმეს?

— ბახვა. კმარა ხუმრობა. სიმონა ციმბირელს მოხარშულსაც ვიცნობ. მე არ ვიყავი მაგის ვექილი, კაცის მკვლელობისათვის რომ ასამართლებდენ?.. პოლიციამ რომ შეიტყოს. ხომ შენც მაგასთან გაგძაგრავს!

— შენ არ ეტყვი და სხვამ არავინ იცის. — ღიმილით უთხრა ბახვამ.

— აგრე გგონია! დუქანში შემოვიდა პოლიციის მეთვალყურე, გამიხმო განზე და მკითხა: „სიმონა ციმბირელი ჩამოსულა ქუთაისს და ამ დილას ამ დუქანთან გაუვლიაო. შენ ხომ არ მოგიკრავს თვალიო". მე დავუფიცე — არ მინახავს-მეთქი. რა გვეშველებოდა, რომ შენი ოთახი გაესინჯა. როცა იმასთან საუბრობდი? კაცო. გეუბნები, თავი დაანებე მაგისთანა კაცებს. თორემ დაიღუპები.

— მეტიღა დაღუპული კიდევ იქნება ეინმე. მე რომ ვარ? — სასოწარკვეთილებით უთხრა ბახვამ.

— შენ ხომ არ იცი, აქამდის ვერ გითხარი. ვერ გაგიბედე. არ მინდოდა უმისოთაც მწუხარე შემეწუხებინე. მაგრამ რა ვქნა? რომ დაგიმალო, ჭირი მაინც თავის თავს არ დამალავს. ძალიან უბედურათ წავიდა შენი გამოძიების საქმე.

— მერე რა? — ჰკითხა ბახვამ, რომელიც ოდნათაც არ აგდებდა „პოდლოგის" საქმეს.

— ექსპერტებს დაუმტკიცებიათ, რომ რიცხვი წლისა და თვისა იმ დოკუმენტში ყოველგან სხვისი ხელით გადასწორებულიაო. სასამართლოში მითხრეს, რომ შენ ბრალდებითს ოქმს გიდგენენ, რომ ორჯერ გნდომებია მეევალისათვის ფულის გადახდევინება. ბევრი გეხვეწე მაშინ და არ დამიჯერე. მაშინვე გითხარი, რომ კარგი არა გამოვიდოდა-რა იმ გადასწორებით; მაგრამ ვერა შეგასმინე-რა, ახლა მე ცოცხლათ ვიტანჯები, როცა ვფიქრობ რომ ვაი თუ მე გაეხდე უნებურათ შენი დაღუპვის მიზეზი!

— დარდი ნუ გაქვს მაგისი, ყველაფერში მე თვითონ ვარ დამნაშავე. — სანუგეშებლათ უთხრა ბახვამ: — მე შენი მადლობის მეტი არა მმართებს-რა. ერთად-ერთი შენ დამრჩი ამ უბედურებაში მეგობრათ.

— ძმობამ, — გულმტკივნეულსთ უთხრა წუნკალამ, — ვსწუხვარ და ვერა მომისაზრებია-რა. რაც შენ ფულები გაქვს ასაღები აღმასრულებელი ფურცლებით და ვექსილებით თითქმის ათას თუმანზე მეტი იქნება. რომ რამე გაგიჭირდეს, ვის უნდა დარჩეს ეს ქონება? გააკეთე ახლავე ანდერძი, ან ზედ წარწერით გადაეცი ეს საბუთები რომელსამე შენს ნათესავს.

— მე მაგაზე აქამდის არ მიფიქრია. სწორედ ეგ კარგი მომაგონე. მაგრამ იცი, წუნკალა? — გულახდილათ უნდა გითხრა, ქვეყანაზე აღარც ნათესავი მყავს, აღარც მეგობარი. ნათესავიც მტრად გადამეკიდა და მეგობარიც, შენს მეტი. მაშ გააკეთე, ან მირჩიე, როგორც რიგი იყოს; მე თვითონ დავაწერ დოკუმენტებზე, რომ ჩემს შემდეგ ჩემი მოძრავი ქონება ყოველივე შენი იყოს. უძრავი ხომ სულ ერთიანათ ჩემმა ბიძაშვილმა ნესტორამ წამართვა.

— მაგას მაინც არ ვიზამ, დანა რომ გამიყარო ყელში, — უთხრა წუნკალამ.

— მე შენ რასაც გეუბნები, ის ჰქენი, — უთხრა ბრძანებლობით ბახვამ.

— არა, არ შეიძლება. მე ჯერ ჩემი სინიდისი არ გამიყიდია... მაშინ მოგიკვდეს წუნკალა!

— წუნკალა! — შესძახა ბახვამ, — მე არ გეხუმრები. შენ თუ მართლა, ჩემი გულის შემატკივარი ხარ, აი, ეხლა გამოგაჩნდება. რადგან ჩემი ვექილი ხარ, უნდა გაგიტყდე, არც შენზე მაქვს ნდობა, ასე მგონია, მღალატობ, რადგან ვიცი, რომ ჩემი მემკვიდრე არა ხარ. როცა გულახდილათ დაგიმტკიცებ ყოველს ჩემს ქონებას, იქნება მაშინ დავრწმუნდე. რომ შენ ჩემი ერთგული იქნები.

— კიდევაც ემაგისთვის არ მინდა. რომ დამიმტკიცო რამე. რადგან მე შენი ერთგული ვარ. რას შვრები, ბახვა? ვგონებ შენს ჭკუაზე აღარა ხარ!

— მე დიდი ხანია ჩემს ჭკუაზე აღარ ვარ. მაგრამ ის მე ვიცი, რასაც ვშვრები. და თუ არ გინდა ჩემი პატრონობა. ახლავე უნდა გავიყაროთ, მე სხვა ვექილს მოვძებნი.

— კაცო, რას გაუგიჟებიხარ, რას ლაპარაკობ! მე შენი ვერა გამიგია-რა!..

— გეუბნები. დოკუმენტები გამიკეთე მეთქი შენზე გადმოსაცემათ! არ გინდა და მშვიდობით!

— შენი სამოწყალო მე არა მჭირს-რა, — უთხრა თითქოს გადაწყვეტით წუნკალამ.

ამას შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. წუნკალამ მოიწყინა და შესცქეროდა ბახვას გაშტერებით. იმას ვერ გამოერკვია, როგორ უნდა მოქცეულიყო, რა ეპასუხნა? ბოლოს ღრმათ ამოიხვნეშა. ორი ცრემლი გადმოაგდო და გულშემატკივრათ უთხრა ბახვას: „ძმაო ბახვა. ისე მებრალები, მგონია, ჩემს თავს რაღაც ფარსაგი არ აეუტეხო, შენ რომ ეგრე ზნეობით აღელვებულს გხედავ. თუ რამ შენს გულში კიდევ მეგობრობის ნაპერწკალი ღვივის, ერთს რასმე გთხოვ და ამისრულე.

— რა არის? — ჰკითხა ბახვამ.

— ამ წუთას ნუ მატან ძალას, რომ ჩემზე გადმოსაცემი დოკუმენტები გაგიკეთო; ცოტა მოითმინე, როდესაც იერემიას დასჯიან და შენი გული დამშვიდდება, მაშინ, თუ კიდევ შენმა გულმა ჩემი გაბედნიერება გირჩიოს, რაც გინდა, ისე ჰქენი. ახლა კი მეტს ნულარას გამიმხელ.

— არა, არა, არ შეიძლება. მე რაც ვსთქვი. ის უნდა მოხდეს. ხვალიდანვე უნდა შევუდგეთ საქმეს. ვინ იცის, მერე რა მოხდება? იქნება, მე ამაღამ მოვიკლა თავი. რასაც გეუბნები. შენ ის გააკეთე. — დაჟინებით დაიძახა ბახვამ.

— შენი ნებაა. — ხვნეშით წამოიკრინა წუნკალამ. ის გამოეთხოვა ბახვას და კარი გაიარა.

ქუჩაზე რომ გამოვიდა, სიხარულისაგან თავი ვერ დაიჭირა. ერთი გიჟურათ ასწია მხრები და ჩაიქრიტინა. წუნკალა გახდა ამ სახით ბახვას მემკვიდრე. ყველა ვექსილებზე და აღსრულებით ფურცლებზე დააწერინა წუნკალაზე გადაცემა და ნოტარიუსს დაამტკიცებინა. ნაღდ ფულს არ შეხებია, რადგან გულარხეინათ ფიქრობდა. როცა ციმბირს გადუწყვეტენ, მაშინაც მოვესწრები იმ ფულების ხელში ჩაგდებასო. მხოლოდ მას ჰქონდა ციმბირელის შიში და იმავ წამ-

ში გასწია პოლიციაში. რომ სწორ კვალზე დაეყენებინა ციმბირელის მდევარნი. იმან გაასწავლა ისინი გურიისკენ; მაგრამ მართლა იქით წავიდა სიმონა ციმბირელი. თუ სხვა მხრით. ეს თვით სიმონას მეტმა ალარავინ იცოდა.

XXII.

ნაფიცი ვექილი სიკილა ერთი იმ განათლებულ ახალგაზდა-ლაგანი იყო, რომლის ცოცხალი ბუნება, ბასრი ენა და მოძრავი ტვინი ჯერ კიდევ გიმნაზიაში ბევრს იმედს იძლეოდა. მან შვენიერათ დაათავა აქ სწავლა და გაეძგზავრა უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. მისი ნორჩი და მღელვარე მგრძნობელობა ბევრი კარგი მოქმედების თავდები იყო, რომ ჰქონოდა მტკიცე საფუძველი ალზრდაში.

ამ მხრით ქართველ ყმაწვილს დიდი ხანია ნიადაგი აქვს დაკარგული. აწინდელი საზოგადო ზნე-დაცემულობა უფრო მეტად ან გარემოებას მიეწერება. ძველი ალზრდითი წესი მოიშალა. სარწმუნოება. უმცროს-უმფროსობითი მორჩილება და ბუნების ენაზე გონებითი წარმატება შეფერხდა. ნივთიერი შეძლება. რომლითაც განისაზღვრებოდა წინათ დედ-მამის ოჯახის მუდმივი ზედამხედველობა ყმაწვილზე დღეს ალარავის შერჩენია. ვაჟი, ან ქალი ცხრა წლიდან მოკიდებული მოშორებულია დედ-მამას და შორს ქალაქში გაგზავნილია სხვის ანაბარათ. იქ იგი ისეთს სახლობაში იზრდება, საცა მომეტებულ ნაწილათ დღიური ლუკმის ვარამი თვით იმასვე აგდებს გარეკნილების ლექში, და აი, სად ეძლევა ჩვენს მოზარე თაობას ესეოვითარი მაგალითი, აი, რა ნიადაგი ზრდის ქართველს ყმაწვილსა. ამისთანა გარემოებაში იმას რა ზნეობა უნდა შერჩეს, ან რა სარწმუნოებრივი გრძნობა უნდა განეღვიძოს. ან რა პატივის-მოყვარება უნოა შეითვისოს! ბავშვი. დედ-მამის უსაშვალობის გამო შორს გაბარებული, ვიგინდარათ და უპატრონოთ მიგდებული, გამოდის ან ზნეობით მახინჯი. ან ადრევე ესპობა სიცოცხლე. ასეთს მკაცრ გარემოებას იშვიათად თუ ვინმე აიტანს, რომ შემდეგ ცხოვრებაში დარჩეს მტკიცე სასიათისა და მტკიცე ზნეობის მექონი. ის კი არა, ჯერ ამის მაგალითი არც ჩემს თვალს უნახავს არც სხვას მოსწრებია. მომეტებულ ნაწილად. თუ ვინმე ყმაწვილობიდანვე მაგარი ბუნებისა და გონების პატრონი გადარჩა ამ გარემოებას, ის მაინც ცხოვრებაში მტკიცე ხასიათს მოკლებულია. მას ადვილად რყენის ცხოვრების ვითარება და დაბალის ხარისხის მიმართულებანი. აი, ამ ნიმუშის ახალგაზდა იყო ჯერ კიდევ პაწია გიმნაზიის შეგირდი სივილა. როცა მან დაამთავრა

სწავლა და სამშობლო ქვეყანამ მოსთხოვა მას სამსახური, იგი ვერ აღუდგა წინ ცხოვრების მძვინვარებას. მან უცბათ შეითვისა იგივე ღირსება და იგივე მწიკვლი, რომელიც დიდი ხანია არ არის, რაც ჩვენს აწინდელ ცხოვრებას სხვა და სხვა მოქმედების ძალით სარჩულად დაედვა.

სივილა უნივერსიტეტიდან ჯერ კიდევ სტუდენტად დაბრუნდა თავის ქვეყანაში; იმ დროს მასთან ლაპარაკი სწორეთ სასიამოვნო იყო. იმას მუდამ ენაზე ეკერა საზოგადოებისათვის თავგანწირულობა, იმის გულისთვის დაუღალავი შრომა და მსხვერპლის მოტანა. მას მიელო სტუდენტობის მოძრაობაში მონაწილეობა და კიდეც ამისთვის გამოესტუმრებინათ იქიდან ასე ადრიანათ. მაგრამ ამით მას უფრო კარგი სახელი ჰქონდა ტოლ-ამხანაგებში გავარდნილი. სივილა არ ეშვებოდა სწავლის გათავებას. ის ხელმეორეთ აპირებდა უნივერსიტეტში გამგზავრებას. „თუ ღმერთმა მომასწრო და დიპლომი მეღირსა, მე ვიცი მაშინ, რაც ვიქნები ჩემი მოძმეებისათვისო. მე უნდა გავხდე დაჩაგრულების ვექილიო“. ბევრი მისი ამხანაგთაგანი, რომელთაც უმაღლეს სასწავლებელში კურსის დასრულება არ ღირსებოდათ, გატაცებულნი იყვენ იმის ლაპარაკით. „სივილა, — ეუბნებოდენ ისინი, — შენ ოღონდ მოდი მალე, მეტი არა გვინდა-რა. ჩვენ ყველანი მხარს მოგცემთ, შენის გულისათვის ცეცხლში ჩავდგებითო“, — ეტყოდენ ნაამხანაგარნი. როცა სვირის ღვინით თავი ჰქონდათ გახურებული. იმ დროებში სივილა სოფლად დაიარებოდა თავის ნათესავებში და მეგობრებში. საცა მივიდოდა, ყველგან მისი ნაამხანაგარნი, თუ ვინმე აღმოჩნდებოდა, უმართავდენ მას ლხინს: შეიქნებოდა ტოლუმბაშობა. სიტყვების წარმოთქმა და სხვა. სივილა ყოველთვის თავს გამოიჩენდა ხოლმე ამისთანა შემთხვევაში. იმის სიტყვას ტაშის კვრით და მოწონებით ეგებებოდენ. ამისთანა დროს-გატარებას ბოლო არ ჰქონდა. სანამდის სივილა მეორეთ არ გაემგზავრა უნივერსიტეტში კურსის დასასრულებლათ. წეეულობის დროს ყველას მოსწონდა მისი სხარტი ენა და მაღალ საგნებზე ლაპარაკი: მამულის სიყვარულზე, სამშობლოს შვილის მოვალეობაზე, ქვეყნმოქმედებაზე და სხვ. ყველანი აღტაცებულნი იყვენ მისი აზრებით. ორ წელს შემდეგ კურსდასრულებული კანდიდატის დიპლომით მობრუნდა სივილა თავის ქვეყანაში და მაშინვე მიჰყო ხელი ვექილობას. მას შემოეხვიენ ნაამხანაგარნი და დაუფაცურდენ საქმეების შოვნას. პირველსავე შემთხვევაში მას შეხვდენ საველქილოთ ისეთი კაცები, რომელთაც ვექსილებით და ჯარიმით სურდათ ფულის აღება, ვალის გადახდევინება, პირველ შემთხვევაშივე მას გარს შემოედვენ სულ ჩარჩები და იმისთანა კაცები, რომელნიც ათი-თორმეტად ასეს-

სებდენ ფულსა და, რაც უფრო მაგრათ გააძრობდენ ტყავს თავის მევალეებს. რაც უფრო ბევრს წართმევდენ, მით უფრო ესახელებოდათ თავი, თუმცა იმავე დროს სივილასთან თავს იკატუნებდენ და დღე ნიადაგ შესჩივოდენ თავის მევალეებზე, რომ ისინი ვითომც უსინიდისოთ მოექცენ, ვითომც განზრახვა აქვთ სულ დაგვიკარგონ ჩვენი ნაშრომი მით, რომ აპირებენ ცოლზე, ან სხვებზე მამულების გადამტკიცებასაო. ისინი ამისთანა კაცებს სივილას წინაშე ეძახდენ „ავიღე — აღარ მოგეცეო". მართლაც, სივილას ძალიან მოეწონა ეს სხარტი შედარება, და ყოველ მევალეს, პირიანს და უპირულს, ყველას ერთს ტაფაში აქცევდა, ყველას მომჩივან ჩარჩების თვალებით დაუწყო ცქერა. იმათ ეძახდა გაიძვერებს, რომელთაც ვითომ სურდათ მოსესხეებისათვის ქეჩა ქვეშიდან გამოეძროთ. ხშირად საზოგადო ლაპარაკში ისეთ ახირებულს აზრებს წამოურევდა სივილა, რომ გეგონებოდათ, ეს მაღალი განათლების პატრონი კაცი ჩარჩებს უქერდა მხარს და არა მათგან ჯვარზე ცმულებსო.

ზემოხსენებული რჯულის კაცებს გარდა სივილას დაესია მრავალი ბოროტ-მომქმედი პირი. რომელთაგან ზოგს ქურდობა ბრალდებოდა, ზოგს ავაზაკობა, ზოგს კაცის კვლა. ზოგს „პოდლოგები". მიწის მფლობელობითს საქმეში უფრო მეტათ იმისთანა საქმეები იყო, საცა ან მფლობელობის დარღვევა, ან უძრავ საკუთრებაზე შედავება იყო გამოცხადებული. რადგან წერილობითი საბუთები ბევრს არ ჰქონდა უძრავ ქონებაზე მეტი წილი ამისთანა საქმეებისა სასამართლოში მოწმეების კითხვით წყდებოდა. საჩივრის ინტერესი იმას ჰქონდა, ვინც ძალმომრეობაზე იყო დამდგარი, ვინც სხვას მფლობელობას ურღვევდა და სურდა საქმე გაეტანა. სულ ამნაირი ხალხი მირბოდა სივილასთან, ქებას ასხამდა მის ცოდნას, მის განათლებას, და ეძებდა მის მფარველობას. ისინი ასე ეუბნებოდენ: „აბა, სივილა, შენთან იმისთვის მოვრბივართ, რომ გაგვიგონია, დიდი განათლებული, დიდი სჯულისა და კანონების, მცოდნე კაცი ხარ. ერთ მხარეზე დასდებ კანონებს იმ მხარეზე გამოვა სამართალი, მეორე მხარეზე დასდებ, მეორე მხარეზე გამოვა. აბა, მიმსახურე, მიირთვი, რასაც ითხოვ, და საქმე კი მომაგებინე". ისინი პირდაპირ ეუბნებოდენ: „მართალია, მე ვიძალადე, მფლობელობა დავურღვიე, მაგრამ შენთან მისთვის მოვრბივარ, მე რომ მიჭირს, მე უნდა დამეხმარო, მე უნდა მომაგებინო საქმე, თორემ მართალ კაცს რა დახმარება უნდა; ის უიმისოდაც მოიგებს, თუ შენ არ გადმოსწიე სჯულის სასწორი ჩემსკენ. ავადმყოფს უნდა წამლობა, თორემ კარგათ მყოფი ექიმთან რათ მიიქცევაო". ამავე გვარად შესჩივოდა ყოველი ბოროტ-მომქმედი კაციც, რომელიც სივილას შემწეობით ეძებდა თავის შვე-

ლას: „აბა, სიეილა, გაჭირვებული ახლა ვარ, ახლა მიშველე, დამიხსენ სასამართლოსაგან, მემთხვია ცოდვა, კაცი შემომაკვდაო"; ან კიდევ: „გავბრიყვდი და მეზობელს დავესხი თავზე, გავცარცვე და დავსჭერი. ოღონდ დამიხსენ განსაცდელისაგან და მიირთვი, რამდენიც გინდაო".

სხვა ნიადაგი ვექილის მოქმედებისა აღარა გამოჩნდა-რა ჩვენს საზოგადოებაში არც სასარგებლო, არც სასახელო. ვინც სიმართლეს და სინდისს მისდევდა, იმას სამართლის კარზე ვერც კი გაატარებდი, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, იქ არ შესულიყო, თუ გაჭირვება და ძალმომრეობა არ შეიყვანდა. მაშინაც ძვირად მიიქცეოდა ვექილთან, რადგან სწამდა, სიმართლეს რაღა დახმარება სჭირიაო. მაშასადამე, ვექილი რომ ამგვარის კაცების იმედათ დარჩენილიყო, შიმშილით უნდა ამოხდენოდა სული. თუ რომელსამე ვექილს სურდა ცხოვრების საშუალება უხვად მოეპოებინა და საზოგადოებაში კარგი ხმა გავარდნოდა, უსათუოდ უნდა ცდილიყო, ბევრი უსამართლო საქმე მოეგო, ბევრი ბოროტ-მომქმედი გაემართლებინა. ამისთანა გარემოებაში ჩაყენებულ კაცს რკინის ხასიათი, გული და ქვის მოთმინებაც რომ ჰქონებოდა, ბოლოს მაინც უნდა მომბალიყო და გაპყოლოდა ანგარების მოყვარე კაცებსა.

ვექილი სიეილა მალე შეიპყრო ამგვარმა ცხოვრების ვითარებამ. მისი ნაამხანაგარნი სულ ფუტკარიეით დაედვენ და ცდილობდენ, კარგი მომგებიანი საქმეები ეშოვნათ იმისთვის. რაკი მას ენამეტყველობა შეატყვეს და კანონის მოხერხებულათ ტრიალი, საეკვო ზნეობის კაცები სულ იმას მიესიენ. სიეილას ჩაუვარდა ხელში ბლომად ფული. მას დღედაღამ მის ნაამხანაგევი კაცებისაგან მოსვენება არ ჰქონდა: იმაი დაიწყეს ერთის მხრით სიეილასა და მეორე მხრით მომჩივან-მოპასუხეებს შორის შუამავლობა. სარგებლობდენ ამ უკანასკნელებისაგან თითო-ოროლა მანეთს და ურიგებდენ საქმეს სიეილასთან. ამას გარდა თვით სიეილა-ადვოკატის სახლი მათთვის შეიქნა კარ-გაღებული, ისინი აქაც კარგათ ატარებდენ დროებას ბანქოს თამაშში და სადილ-ვახშამში. სიეილამ მალე იცვალა ფერი ამისთანა საზოგადოებაში. თუმცა უწინდულათვე არ იშლიდა მაღალ ჰანგზე ლაპარაკობს, ახლაც ისე ამბობდა, როგორც წინათ: „მე მსხვერპლად უნდა გავხდე ჩემის ქვეყნის გულისთვის. დაჩაგრულების ზურგი უნდა შევიქნეო". მაგრამ ნამდვილათ ვამოდიოდა, რომ ის ჩარჩენილა, ძალმომრეველების და აეაზაკების ზურგათ და შემწეთ გამხდარიყო. სამართლისაგან დევნილი ბოროტ-მომქმედნი მთელ საზოგადოებათ წარმოედგინა. ოვით სასამართლო იმათ ხაფანგათ. რომელშიაც თუკი ვინმე ზემოხსენებული რჯულის კაცთაგანი ჩავარდე-

ბოდა, ის ყოველ ღონისძიებას, მარცხალსა და არამართალს ხმარობ-და, რომ იქ ჩაბმული ვამოეხსნა. კანონებში და სენატის გადაწყვეტილებებში ეძებდა ისეთ გარემოებებს და კაკვებს, რომლითაც შესაძლებელი ყოფილიყო დამნაშავის გამართლება. ის მიეჩვია მოწმეების დარიგებას და დამნაშავეთა სწავლებას, რა უნდა ეთქვათ მსაჯულთ წინაშე და რა არა. ამ სახით იმან ყოველ უკეთმართ საქმეს, მიჰყო ხელი მისდა უნებურათ და ამით განითქვა სახელი ჩინებულის ადვოკატისა. იმან დაიწყო საქვეყნო ქადაგება: „სამართალი და დანაშაულობა სულ პირობითია. ჩვენ ვამბობთ, რომ ამა-და-ამ კაცმა კაცი მოჰკლა, ამ-და-ამ ჩარჩმა სხვას ტყავი გააძრო. ყოფა-ცხოვრებისაგან გაცალაო. დიაღ, ვამბობთ და კიდეც ზიზღით ვუყურებთ ვითომც ბოროტ-მომქმედსა; მაგრამ, თუ ზერელეთ არ განესჯით და სათავეში გავსინჯავთ საქმეს, გამოვა, რომ ის კი არ ყოფილა დანნაშავე, რომელსაც კაცი მოუკლავს, არამედ ის, რომელიც მომკვდარა, რადგან ამ უკანასკნელს განზრახვა ჰქონია პირველის მოკვლისა. ტყუილად არ არის ეს ანდაზა ხალხში დარჩენილი: „ის კი არ არის დამნაშავე, ვინც მოკლაო, არამედ ის, ვინც თავი მოაკვლეინაო“. ჩვენ ვეძახით ჩარჩს ყოველ მოსესხეს, რომელსაც გაჭირვებულისთვის ხელი გაუმართავს, და შემდეგ ამ გაჭირვებულს აღარ ნდომებია ფულის გადახდა. რომელია აქ ჩარჩი? ის, ვინც გაჭირვებაში მეზობელს დახმარებია, თუ ის მეზობელი, რომელსაც ფულის შეხვეწა ნდომებია მამულის სხვაზე გადამტკიცებით? გავიხსენოთ ლირის სიტყვები: „არავითარი დამნაშავე არ მოიპოვება ქვეყანაზეო“. მე, როგორც ვექილს, როგორც დამცველს ყოველის გაჭირვებულისა და დამნაშავისა, არ მწამს დანაშაულობა. თვით სამართალი, კანონი და სასამართლო მაძლევს უფლებას დავიცვა ბოროტმომქმედი. შევუმსუბუქო სასჯელიო“. ამგვარი მსჯელობით იგი შეიქნა ნამდვილი ავაზაკების დედა-ბურჯი, მალე შეითვისა მათი ხასიათი. ცხოვრება და შეხედულობა. ამიერიდან სივილა, რაც უფრო დიდი ავაზაკის განთავისუფლებას შეიძლებდა სამართლისაგან, იმდენათ უფრო თავი მოსწონდა, იმდენათ უფრო ნიჭიერებისა და ჭკვიანობის სახელი ჰქონდა გავარდნილი მის გარემორტყმულ წრეში, ამხანაგობაში და მთელ საზოგადოებაში. ეს იყო ნამდვილი ნაყოფი ჩვენის ახალი ცხოვრებისა.

XXIII.

სივილამ სიამოვნებით აიღო იერემიას დაცვა. იგი დაიბარა ვალიდამ, რომელმაც მომხიბლავი პატივისცემით მიიღო ,და თავის.

ბრწყინვალე დარბაზში გააცნო უმაღლესი სასამართლოს მოსამსჯ-
სურენი. სივილას მოძრაკი ჰკუა და მჭევრმეტყველება ფრიად მო-
წონათ იმათ, ზოგმა კიდეც დაიახლოვა. დაბრუნდა თუ არა, სივილა
კიდევ უფრო გულმოდგინეთ შეუდგა იერემიას საქმის შესწავლას.
თუმცა ზედმიწევნით მიმხვდარი იყო, რომ ნამდვილათ იერემიას
მოეხდინა ეს მკვლელობა, მაგრამ საქმის გარემოება, მისი ფორმალუ-
რი მხარეს ისეთნაირათ იყო დაცული, რომ იერემიას გამართლებას
წინ აღარ უდგა-რა. იმან იცოდა პროკურორის აზრი, აგრეთვე მო-
სამართლეებისა, რომელნიც ბეჯითად დარწმუნებულნი იყვნენ იე-
რემიას დანაშაულობაში; მაგრამ სივილა კიდევ უფრო აღტაცებუ-
ლი იყო ამ გარემოებით. ის გრძნობდა, რომ შინაგანს დარწმუნებას
ალაგობრივი მოსამართლეებისას მისი მჭევრმეტყველება ვერ შეარ-
ყევდა: მაგრამ, როცა საქმეს აპელაციით გადიტანდა უმაღლეს სასა-
მართლო დაწესებულებაში, აი, იქ მოელოდა მას ბრწყინვალე შე-
დეგი. იმან იცოდა, რომ იქ განსაკუთრებით ფორმალურ მხარეს სა-
მართლის წარმოებისას მიაქცევდენ უფრო დიდ ყურადღებას. თვით
ფორმალურათ შედგენილი საბუთები მისკენ სწევდენ სამართლის
სასწორს. იქ ხომ გულით დაჯერებული მოსამართლეები აღარ იქნე-
ბოდენ. იმათ უნდა ამოეკითხათ და განესაჯათ იერემიას დანაშაუ-
ლობა მხოლოდ ფურმალურის საბუთებით. რადგან სხვა უფრო პა-
ტივსადები საბუთი, ესე იგი შინაგანი რწმენა, თვით საზოგადოების
რწმენა იერემიას მოქმედების შესახებ მათ გონებაში ვერ გაივლი-
და. სივილა წინდაწინვე სტკბებოდა თავისი ძლევით. „მაშინ მიყუ-
რონ, აქაურ მოსამართლეებს რა ფრთებს ჩამოვაყრევინებო", — ამ-
ბობდა იგი გულში.

ბოლოს დაინიშნა ირემიას საქმის გარჩევაც. მთელი ხალხი სა-
სამართლოს კარებს მოაწყდა. საზოგადოებამ დილიდანვე იწყო დე-
ნა სასამართლო დარბაზში. იგი ისე გაიტენა მაყურებლებით, რომ
ნემსი არ ჩავარდებოდა ძირს. მათ შორის მრავალი იყო იერემიას
ნათესავი, მეგვარე და კეთილისმყოფელი. ბევრი მისთანაც ერია,
რომ საინტერესოთ მიაჩნდათ მართლმსაჯულების ძლევა. ისინი გუ-
ლით დაჯერებულნი იყვნენ იერემიას ბოროტ-მოქმედებაში და უნ-
დოდათ შეეტყოთ, რამდენათ ძლიერი გამოჩნდებოდა პირუთნელი
სამართალი კაცის მიერ შემზადებულ ხერხზე. ჯერ სხდომა არ და-
წყებულიყო, გივი და იერემია არ შემოეყვანათ, არც მოსამართლეები
გამოსულიყვნენ, რომ სივილა რიკულებს შიგნით ასპარეზზე მიდი-
მოდიოდა ფრაკით და გამოცდილ ფალავანს ჰგავდა, რომელსაც თით-
ქოს ჩოხის კალთები შეეკეცა და ელოდა მოპირდაპირეს.

ამ დროს შემოიყვანეს დამნაშავენი. გივის სულ დაკარგოდა ზნეობითი ძალა, ეტყობოდა, იგი ზეზეულათ ისჯებოდა; სახეზე მწდალი გამომეტყველება ჰქონდა, თვალები ძირს დაეშვა და მთელი ის დღე ზევით არ აუხედავს. იერემიას დასდებოდა ნაცრის ფერი, სახეზე გამხდარიყო და თვალები ჩაცვივნოდა; მაგრამ მისმა ახოვანებამ მაინც საზოგადოების ყურადღება მიიქცია. „ბრალი არ არის ამისთანა ვაჟკაცის გაუბედურებაო", — გაისმა ჩურჩული ქალებში. მოსამართლეები გამოვიდენ, სხდომა დაიწყო. თავმჯდომარე შეუდგა მოწმეების კითხვას; შემდეგ ჟანდარმის ოქმი წაიკითხა, მერე პოლიციის წინამორბედი გამოძიება.

ბახვა ფულავა, როგორც ენებული ამ ბოროტებისაგან, იქ იყო მიწოდებული. მას თავის მხრით მოეყვანა მოწმეებათ მოჯამაგირენი და მუშები, რომელნიც იმ ღამეს მკვლელობას დასწრებოდენ. ბახვა იჯდა სახე-გაჭარხლებული და მოსამართლეებისათვის თვალი არ მოუშორებია. ერთხელაც არ მიუხედავს იქითკენ, საცა გივი და იერემია ისხდენ.

ადვოკატი სივილა დიდათ მეცადინეობდა, ჩაუდგა ბახვას და მის მოწმეებს კვალში, უნდოდა იმათი ჩვენება აერია. როცა ყოველივე დასაბუთება საქმისა გათავდა, თავმჯდომარემ სთხოვა პროკურორს სიტყვა წარმოეთქვა. ამან იხელმძღვანელა გამოძიებით და ისე ცოცხლათ გამოხატა მკვლელობა ესმასი იერემიასაგან, რომ მთელი საზოგადოება შეარყია. შემდეგ მოჰყვა სივილა. იმან სამ ნაწილად გაჰყო თავისი სიტყვა. პირველი დააცაფუძნა ჟანდარმის ოქმზე და წარმოსთქვა აზრი, რომ კაცი, რომელიც თფილისში იმყოფებოდა, იმავ დროს აბაშის სოფელში ვერ გადაფრინდებოდა. რომ მკვლელობა მოეხდინაო. მეორე ნაწილში მან დაარღვია საბაია გაპარიას ჩვენება შესახებ იერემიასი მით, რომ საბაი გაპარიამ ვერ მოიგონა იერემიას ტანსაცმელი და მისი სამხედრო ნიშნები იმ დროს, როცა ვითომც იგი ჩამომხტარიყოს დუქანში. ის ამტკიცებდა, რომ, მართალია, საბაიას დუქანში მკვლელები ყოფილან, მაგრამ მათში იერემია არ რევიაო. ამასთანავე მან დაარღვია ბახვა ფულავას ჩვენება და ამტკიცებდა, რომ ღამეში არ შეიძლებოდა კაცის ნამდვილათ ცნობა, ნამეტურ მაშინ, როცა თვით ბახვა ბრძოლაში იყო გართული ერთ მკვლელთაგან — გივისთან, რომელიც კიდეც დაეჭრა, იგი რადგან მოსისხლე მტერი იყო იერემიასი, წარმოიდგინა, რომ უსათუოდ იერემია უნდა რეოდა მის უბედურებაშიო. მესამე ნაწილში განიხილა გივის დამოკიდებულება იერემიასთან, რომელიც მან ძალით გაავხია საქმეში. რადგან ძველი მისი მტრობა ჰქონდა გულში კონტრაბანდის დაჭერის გამო და ისიც იცოდა, რომ იერემიას ესმა უყვარდაო. ბო-

ლოს წარმოსთქვა, რომ გივიმ და მისმა ამხანაგებმა მოახდინეს ეს მკვლელობა, ალბათ გაცარცვის გულისათვის, და იერემია აქ არაფერ შუაშიაო.

მისმა ლოლიკურმა სიტყვამ საზოგადოებაში მოწონების მითქმა-მოთქმა გამოიწვია: „იერემიას უსათუოდ გაამართლებენო". ახლა თავმჯდომარე მიიქცა ბახვასთან და მოითხოვა მისგან პასუხი.

ბახვა წამოდგა, შეანათა იერემიას ცრემლ-მორეული თვალები და შესძახა: „შე ურჯულო, რას ემართლებოდი ჩემს უმანკო ანგელოზს — ესმას. რომ გვერდი ხანჯლით გაუპე?!"... იერემიამ ამ სიტყვებზე სახე იქით მიიღო და ვეღარ შეხედა ბახვას.

შემდეგ ბახვა მტირალი ხმით მოჰყვა იერემიას დამოკიდებულების ამბავს ესმასთან: პირველათ მან როგორ შეაშინა ესმა ღამეში, მერე ისიც მოიხსენა, როცა ესმა ქორწილს შემდეგ ეტლში ჯდებოდა, როგორ მიეპარა მას ბახვას შეუნიშნავათ და გააგონა ეს სიტყვები: „ბოლოს მაინც ჩემი იქნებიო"; დაასურათა გრძნობიერათ ესმას შიში და შემდეგი აღშფოთებული ცხოვრება ამ საშიშარის სიტყვების გამო: უკანასკნელათ აღწერა მთვარიანს ღამეში ესმას ბრძოლა იერემიასთან, როცა ხელში აყვანილი გატაცებას უპირებდა. მაგრამ ესმამ არ დაანება თავის თავი; წარმოადგინა ძალიან ცოცხლათ იერემიასაგან ხანჯლის ფერდში ჩაკერა და ესმას კივილი: „აკი მომკლა ამ ურჯულომ, ბახვა, მიშველე. მოგიკვდიო!" დაიძახა თუ არა ეს სიტყვები, ბახვამ ცრემლები გადმოჰყარა და გულსაწვავათ ატირდა. საზოგადოებაში მოისმა კვნესის ხმა, ქალები აქვითინდენ, მაგრამ მაყურებელნი კიდევ უფრო ააღელვა შემდეგმა ბახვას სიტყვებმა: „ვთქვათ, სააქაოს კაცის სამართალმა გაგამართლოს. ღმერთს რაღას ეუბნები, რა პირით მიხვალ მასთან. როცა მის მფარველობის ქვეშე მდგომარე ჩემი ესმა შემოგკივლებს: „აი, აგერ მოდის ჩემი მკვლელიო"!... კვნესისა და ქვითინის ხმა კიდევ უფრო გაძლიერდა საზოგადოებაში.

ამ დროს იერემიამ ორივე ხელი მიიფარა სახეზე. მოსამართლენიც შეარყია ამ სურათმა. თავმჯდომარემ ჰკითხა იერემიას, ხომ არა გაქვს-რა დასამტებელიო. იერემიამ თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვა:

— ჩემი პასუხი ჩემმა ვექილმა მოგახსენათ. მე ბრალი არა მაქვს-რა.

მსაჯულნი გავიდენ მეორე ოთახში და ნახევარ საათს შემდეგ გამოიტანეს თავის გადაწყვეტილება.

იერემიას ჩამოართვეს ღირსება და თორმეტი წლით გაგზავნეს კატორღაში, გივი კი რვა წლით.

იერემია გაშრა, თვალები კიდევ უფრო ჩაუცვინდა. გივი უხეიროთ ატირდა. მათ შემოერტყენ სამხედრო დარაჯები და გაიყვანეს სასამართლო დარბაზიდან.

სივილა ძალიან ააღელვა ასეთმა გადაწყვეტილებამ. ის დადიოდა ერთხანს სასამართლო დარბაზში და ბახვას გასაგონათ იძახოდა: „ძალიან უსამართლოდ გადასწყდა ეს საქმე. შეუძლებელია, რომ უმაღლესმა სასამართლო დაწესებულებამ შეიწყნაროს ამნაირი გადაწყვეტილება. ფორმალურის მხრით კანონი დარღვეულია. მე ხვალვე შევიტან აპელაციას და ვნახოთ, თუ იერემია არ გამართლდებაო“.

XXIV.

ბახვა ფულაკვამ იერემიას განსჯას შემდეგ საშინელი მძიმე ტვირთი მოიხსნა ზურგიდან. იგი სულით დამშვიდდა. დაამდა. ამ წამს იგი მიემსგავსებოდა იმისთანა კაცს, რომელიც რამდენსამე წელიწადს ბნელს ხაროში ყოფილა ჩამწყვდეული და უცბათ მის საპყრობილეში მზის შუქი შეჭრილა. იმას ჯერ კიდევ არ სჯეროდა თავის ბედნიერება, როგორც იმ ტუსაღს ბნელს ხაროში, რომელიც სინათლეს გადაჩვეულა და პირველი მზის შუქი რაღაც მოჩვენებათ მიაჩნია. მას სურდა ეს თავის ოცნება ვისთვისმე გაეზიარებინა. ამ წუთას გასჩენოდა ვინმე ისეთი მეგობარი, რომ მისი სიტყვითაც მოესმინა თავის მრულოდნელი ბედნიერება. აი, ამ დროს დაეწია მას ქუჩაზე გახარებული წუნკალა, რომელიც თან სიცილით და თან ხელების მტვრევით უკან მოსძახოდა:

— ბახვა, მომილოცავს!.. კაცო. ეს რა ჭქენი შენ დღეს? პირველ ადვოკატს აჯობე! მისი ბრძნული სიტყვა, მისი შეურყეველი საბუთები სულ თავზე დაამსხვრიე, ლაფი დაასხი. კაცო, პირველი ადვოკატი შენ ყოფილხარ!.. მთელი საზოგადოება აატირე, მსაჯულებს გული შეუძარი!.. ეს რა ჭქენი?.. დღეს ნამდვილათ შენ შეიქენი იერემიასათვის ღვთის რისხვათ მოვლენილი, მისი განმსჯელი, მისი ცოცხლათ დამტანჯველი. როგორც ეშმაკი მთავარ-ანგელოსის წინაშე, ისე მოიბღუნძა იგი შენს წინაშე. პაჰ!.. პაჰ... პაჰ... პაჰ... რა იყო?.. ჯერაც ვერ მოვსულვარ გონებაზე.

— ეჰ, არა, ჩემო წუნკალა. ეს ჩემი მკვდარი გული მაინც აღარ გაცოცხლდება, მე დღეს მართალია გულის ჯავრი ვიყარე, მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ, ნაღველი არ მომეშლება. ერთხელ დამწარებულ სიცოცხლეს ველარა დაატკბობს-რა. ჯერ კიდევ მაინც ფონი გასავალს არის. ვინ იცის, უმაღლეს სასამართლოში საქმე როგორ დატრიალდე-

ბა? სანამდის იერემიას ჩვენი ქვეყნის ცა თავზე ჰხურავს, მანამდის მეც მშვიდობა არ შელირსება.

— ნუ გეშინია იმასაც მალე ნახავ. რომ იერემია თავ-მოკალული ტუსაღის მაზარით და წინ გულზე შავ-ფიცარ-დაკიდებული გაიმოიჭიმოს დარაჯებ-შემოხვეული ამ ჩვენს მოედანზე. ფიცარზე ეწერება: მისი ,,კარგი კაცობა: ,,კაცის მკვლელობისთვისო". როცა დაფის ცემით ჩამოატარებენ და ციმბირს გაუსაჯებენ. მაშინ ხომ ღაიჯერებ?

— მე ამ ბოროტებით სავსე ცხოვრებაში აღარა მჯეროა-ია. განა ცოტანი არიან. მაგნაირი ბოროტების ჩამდენნი გამარჯვებულნი?

— მაგას რალა მოეხერხება! მაგის საქმე გადაწყვეტილია.

— იერემიას მძლავრი მფარველები ჰყავს.

— მაგრამ მაგას კაცი კი არა, ზეცაც ველარ უშველის.

— ენახოთ, რა იქნება. იქვიანათ წარმოსთქვა ბახვამ.

ამგვარი ლაპარაკით ისინი შევიდენ სასაქმო დუქანში. პახვამ მოითხოვა სადილი. სამი-ოთხი ჭიქა ღვინო ზედ-ზედ გადაკრა და გამხიარულდა. შემდეგ უფრო მოსვენებით დაიწყო ლაპარაკი.

როცა შუა ჭამაში შევიდენ, ბახვა თითქოს სულ გახალისდა. ის შეუდგა მომავალის ფიქრებს. უთხრა წუნკალას. სახლი ვიყიდოთ და ერთად დავიწყოთ ცხოვრებაო. შენ ჩემი საქმეები აწარმოვე და მე, როცა იერემიას ციმბირისაკენ გავისტუმრებ, ისევ ეაჭრობის საქმეს შეეუდგებიო. ღმერთმა ჩემი ბიძაშვილის ნესტორას დასაცინარი ნუ მომკლასო.

მეგობრებმა მადიანათ სჭამეს პური. სადილს უკან ბახვამ კიდეც გაუხუმრა წუნკალას, ,,ცოლი უნდა შეგრთო. კარგი მზითვიანი ქალი და. მე მამათ უნდა დაგიდგეო. ოხერო. შენს მეტი მემკვიდრე ხომ აღარავინა მყავს?...

ეს პირველი იყო მისი ხუმრობა ესმას სიკვდილის შემდეგ. წუნკალას თითქოს გული მოუვიდა ამ ხუმრობაზე და გაჯავრებით შესძახა:

— ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და შენი მემკვიდრეობაც!

იმას წარმოუდგა თვალში, რომ ბახვა მართლა დამცინისო. ეს იმის ნიშანია, ვაი თუ ჩემი შინაგანი გულის წადილი შეიტყო. აზრი აიღო ჩემს გაიძვერობაზე და უნდა თავი იხსნასო. ასეთი ფიქრი მით უფრო დასაჯერებელი იყო, რომ ბახვას გონება განთავისუფლდა საპყრობილისაგან. რომელსაც ყოველივე მისი მოსაზრება, გარდა იერემიას ზღვევისა. დაებნელებინა. ახლა რაკი იერემია დასაჯეს და ბახვასაც შეუსრულდა თავის საწადელი. უეჭველად მის გონების

ოვალებს ბინდი ჩამოეცლებოდა და დაინახავდა წუნკალას უმზგავსო ხრიკებს. ჩაფხუტაძე აპილპილდა, როგორც სჩვევია ყოველ დამნაშავე ბოროტ-მომქმედს, როცა, განზრახვით, თუ გულმარტივათ, სულ ერთია გადაჰკვრენ მისგან ჩადენილს ავკაცობას.

— არა, ჩემო. წუნკალა, გული არ მოგვიიდეს. განა შეგშურდა ჩემი ხუმრობა?.. აი. რა გესლიანი გულის ყოფილხარ? ითქოს მარიგებდი ნაღველს ნულარ შეინახავო?... უთხრა გრძნობით ბახვამ.

წუნკალა ახლა კი მიხვდა ბახვას გულმარტივობას და ჯაშოშმანებულმა უთხრა:

— ბახვა. შენი ჭირიმე, მეორედ ნულარ გამიხუმრებ მემკვიდრეობაზე. მე. ძმაო, მოგნდობივარ,, რადგან მებრალები, რომ ცხოვრებაში არავის გაუტანიხარ. მე შენგან ბევრი სიკეთე მახსოვს. შენისთანა გულკეთილს და პატიოსანს კაცს ჯერ არ შეეყრივარ. ამიტომაც გემსახურები ერთგულათ, მინდა შენი საქმე არ წავახდინო. მტერი არ გაგიხარო. იქნება. მართლა, იმას ფიქრობდე. რომ შენი ქონების ინტერესი მქონდეს?.. არა, ძმაო, თუ მაგას ფიქრობ. ბარემც მითხარი და მოგშორდები.

— კაცო. რას გაუგიჟებიხარ? მე ვრჩები და, მგონია, ჩემი ავათმყოფობა ახლა შენ გემართება. რაებს ლაპარაკობ?.. ვინ რა გითხრა მაგ აზრით? შენ გგონია. მე ვისიმე გავლენით რამე გავაკეთო, ან მოვიქმედო? ეგ თავის დღეში არც ყოფილა და არც იქნება. მე ვარ ერთი ჩემი-ნება კაცი. რასაც გავივლებ გულში, უნდა ავასრულო. ხუმრობა კი ნუ გგონია, რომ შენ მემკვიდრეთ მინდებხარ. სრულებითაც არა. მე ჩემს დღეში ცოლს აღარ შევირთავ. ნათესავებს მოვშორდი. საზოგადოება აღარ მინდა. რადგან გაჭირვების დროს, ყველამ ხელი დამირეკა. თუ ჩემის ხელით გამოჩიჩქნილმა და კაცად გამოყვანილმა ბიძაშვილმა გამცარცვა, სხვას ვისღა უნდა ვენდო? შენ დამრჩი ერთად-ერთი ჩემი ამხანაგი, მეგობარი და სიტყვის გამცემი ჩემს უბედურებაში. მაშ მე ვინ უნდა მყავდეს შენზე მახლობელი? დამერწმუნე. არავინ. ამას გულახდილათ გეუბნები. მე თუ ვიცოცხლე. იცოდე. შენთვის ვიცოცხლებ და ჩემს გადწყვეტილებას ველარაფერი შეცვლის.

წუნკალას აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

— ჩემო ბახვა, ჩემო დედა, ჩემო მამა. ჩემო ყველაფერო, ერთი მამა-შვილურად გადამეხვიე, მაკოცე. გული დამიიამე, ჭიკჭიკობდა შეზარხოშებული წუნკალა და თან ეხვეოდა ბახვას. — რა, ძმაო. მე შენი რათ მინდა რამე?.. მადლობა ღმერთს, სანამდის ეს სამოსამართლო წესდება არ მოიშლება. — ვენაცვალე იმის მომგონს. — ჩემს შრომასაც შესაფერი ჯილდო ექნება.

— მაგას ვის გეუბნება?.. ვინ რამე გკადრა მე შენ მხოლოდ გხედავ ჩემ საკუთრათ ამ სოფელში და შენთან მინდა გაგატარო დანარჩენი ჩემი გაძაღლებული ცხოვრება.

— რაკი ეგრეა, — უთხრა წუნკალამ, მეც ღმერთმა შენ მეტი მამა ნუ მომცეს. მაგრამ ერთს კი გეხვეწები, იმ ციმბირელს თავი დაანებე.

— ჯერ ვერა, ჯერ ვერა. ფონი გასავალს არის. — დაატანა ბახვამ.

— შენ არ იცი იმ კაცის ამბავი? რასაც. დაგიგულებს. სულხორცისაგან გაგცლის.

— არა. მე იმასთან პირობა მაქვს შეკრული. უკეთუ ერთ საქმეში დამჭირდა, უნდა ამისრულოს და მისი სასყიდელიც მზათა მაქვს. ეს ორასი თუმანი თუნდ წყალში გადამიგდია.

— აბა, მითხარი. რა პირობა გაქეს?.. თუ ჩემად გინდა თავი. ნურას დამიმალავ.

— ჯერ ვერ გეტყვი. ჯერ ვერა. მოვა დრო. ყველაფერს შეიტყობ.

— ეგ რაღა თავისიანობაა, თუ კი ჩემგან დაფარული გაქეს რამე.

— ამასაც გეტყვი. მაგრამ მერე, როდისმე. ახლა არა და ნურც ჩამცივებიხარ.

— შენი ნებაა. მაგრამ ბოლოს არ ინანო. რომ გეთქვა. იქნება, რასმეში გამოგდგომოდი. ვინ იცის, იქნება. კიდეც ვიცოდე შენი საიდუმლო და რჩევა მინდოდეს, მაგრამ ნებას რომ არ მაძლევ.

— სწორეთ არ გაძლევ. მაგას თავი დავანებოთ. სიამოვნების პურის ჭამას ნულარ დავიმწარებთ. სიმწარე და შხამი იერემიას დაეულოცოთ. — გაუმარჯოს ყოველ დაჩაგრულს და მართალ კაცს! — წამოიძახა მხიარულებით ბახვამ და სავსე ჭიქა დაცალა.

— გაუმარჯოს! დაატანა წუნკალამ.

ერთ საათს იქით ამ ორ მეგობარს ტკბილათ ჩასძინებოდა თავშექცეული პაწია დუქნის ოთახში მწვირიანს მუთაქაზე.

XXV.

ერთ განიერს კუკიის ქუჩის პირად აიმართებოდა ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი. საღამოს მეცხრე საათზე მის თაღით შეკრულს მოაჯირთან მიადგა ეტლი. მეორე სართულიდან ბოლქვად გამოდიოდა კანდელების შუქი, რომელიც ზოლ-ზოლათ ეფინებოდა არამც თუ ქუჩაზე, არამედ მისგანვე განათებული იყო პირდაპირ მა-

ღალი სამ-სართულიანი სახლის კედლებიც. კარგ დარიან ღამეში ამ ქუჩის ქვაფენილზე უყვარდათ სეირნობა იმ უბნის მცხოვრებლებს, რადგან, როგორც ცხოველი სინათლით, ეგრეთვე ეტლების რიხრიხითა და სტუმრების მოსვლით. ეს კუთხე სხვა ადგილებზე უფრო გაცოცხლებული იყო. მოსეირნეთ თითქმის ყოველთვის იმ დიდებულ პირზე ჰქონდათ ლაპარაკი, რომელიც ორ-სართულიან სახლში ცხოვრობდა. ზოგი რას ჭორიკანობდა, ზოგი რას: მაგრამ თვით იმ დიდებული მდგმურს ყოველთვის პატივისცემით იხსენიებდენ. თითქოს მხოლოდ მას არ შეეხებოდა ის მწიკული, რომელიც სხვა უფრო დაბალი წოდების გვამზე რომ თქმულიყო. უეჭველათ თავზე ქუდს. ან მანდილს მოხდიდა.

იმ დროს მოაჯირთან მხოლოდ ის ერთად-ერთი ეტლი იდგა, საიდანაც გადმოხტა მაღალი კოთხოიანი კაცი. შინელში გამოხვეული, და ოდნათ მიაკარა თითი შესავალ კარებთან მიჭედილს ელექტრონის ფოლაქს. მოისმა ზარის რაწკუნი და იმ წუთსავე გაიღო დიდი კარები. გაჩირაღდნებული დერეფნიდან გამოეარდა ცხოველი შუქი და კიდევ უფრო გაანათა ის არე-მარე. დერეფანს აუყვებოდა მარმარილოს კიბე, ძვირ ასი წითელი მაუდით ჩამოგებული, რომ სტუმრების ფეხის ხმა ასვლის დროს არ გახმაურებულიყო. ახალ-მოსულ სტუმარს კარებში მოეგება ჩინებულათ ჩაცმული კარის დარაჯი; მისი ყვითლად მოქარგული საყელო ლამპრების შუქზე ბრწყინავდა.

— ქალბატონი შინ ბრძანდება? — ჰკითხა საიდუმლოთ სტუმარმა.

— დიაღ, შინ ბრძანდება, — მიუგო დარაჯმა.

— სტუმრები ბევრნი არიან?

— არა, ბატონო, სრულებით არავინ გახლავს.

ამ პასუხზე სტუმარს ტანში სიამის ჟრუანტელმა დაურბინა. „მე აქ ისე არ მოვსულვარ, რომ ხუთი-ექვსი სამხედრო, ან სამოქალაქო წარჩინებული პირი არ დამხვედროდეს". გაიკლო გულში სტუმარმა. — „დღეს რა ამბავი უნდა იყოს, რომ მისი საკუთარი ხელით დაწერილი პატიჟობის წერილი მივიღე? ნუ თუ მისი გამქისებული გული ბოლოს მოალბო ჩემმა მდუღარე გრძნობამ?.. ან იქნება რაიმე საიდუმლო მახეს მიგებდეს?"

ამ ორი ერთი მეორის წინააღმდეგი აზრით შეპყრობილი სტუმარი შეჩერდა პირველ კიბის საფეხურზე. დარაჯი უცქეროდა თვალებში სტუმარს. ფიქრობდა, იქნება კიდევ მიბრძანოს რაპეო.

— სასტუმრო დარბაზში ბრძანდება, თუ თავის საკუთარ ოთახში? — განაგრძო კითხვა ახალ-მოსულმა.

სასტუმრო დარბაზში მიბრძანდით. და იქ მოგეხსენებათ ყველაფერი.

— ხომ არსად აპირებდა წაბრძანებას?..

— არა, ბატონო. დღეს მთელი დღე ნაბრძანები გვაქვს. თქვენს გარდა ყოველ სტუმარს მოეახსენოთ: „ქალბატონი შინ არ ბრძანდებაო", — უთხრა ღიმილით დარაჯმა.

ამისთანა პასუხის შემდეგ სტუმარი კიდევ უფრო აიტაცა მგრძნობელობამ. იმან ამოიღო სამ-მანეთიანი და გადაუგდო დარაჯს. მოსამსახურემ მდაბლათ დაუკრა თავი და დარაზა მოაჯირის კარები. სტუმარი, მღელვარე გრძნობით აღტაცებული, შეცოცდა კიბეზე.

დარბაზის წინა დერეფანში ლაქიის მაგივრათ, მას მიეგება ბშეენივრად მორთული მოსამსახურე ქალი. ამ შემთხვევამაც არა ნაკლები ლხენა მოჰფინა სტუმრის გულს.

— ქალბატონი შინ ბრძანდება?... — ღიმილით განუმეორა სტუმარმა.

— დიაღ, დარბაზში შებრძანდით. ეხლავ გამობრძანდება.

სტუმარმა მოიხსნა შინელი და მისცა ქალს. თვითონ დადგა იქვე დერეფანში ამართულ დიდ სარკეს წინ და დაიწყო წვერ-ულვაშისა და თმის ვარცხნა წმინდა სავარცხლით.

მორთვა რომ გაათავა. მან გაუწვდინა მოსამსახურე ქალს ხუთ-მანეთიანი.

— რატომ იკადრებთ? — მოახსენა ზრდილობით ქალმა. — ჩვენ ფულს არ ვიღებთ.

სტუმარი შეწითლდა და წაილუღლუღა:

— უკაცრავად. მაპატიეთ.

— არაფერს, ბატონო, — ღიმილით მიაგება პირში მოსამსახურემ და გაუღო დარბაზში შესასვლელი კარები.

სასტუმრო დარბაზი ძვირფასის, მრავალფეროვანის ხალებით იყო მოგებული; ზოგზე სხვადასხვა ნადირისა და მხეცების სახეები ფერადებით ნაკერი, ზოგზე კურდღლის ნადირობა იყო ჩაქსოვილი: წინ კურდღელი მიხტოდა, უკან მწევარი სწვდებოდა. ეს სურათი ისე ცოცხლათ იყო ხალზე გამოყვანილი, რომ უცხო კაცი, რომელსაც არ ენახა, მორიდებით ვერ მოახერხებდა ზედ ფეხის დადგმას. ახალ შემოსულმა სტუმარმა კი დაიწყო არხეინათ სიარული, ეტყობოდა არა ერთხელ გაეჯავა მის ფეხებს ეს შვენიერი ნაქსოვი მხატვრობა. ის ხშირად იცქირებოდა დიდრონს სარკეებში. ბოლოს დაჯდა ერთი ნახატის წინ, რომელიც პირდაპირ კედელზე იყო ჩამოკიდებული იგი წარმოადგენდა ოჯახის პატრონის სურათს, ხელოვნურად დახატულს. ბევრი სხვა ნახატიც იყო იმ კედელზე მიკიდებული, გამოჩენილი

მხატვრების ნაწარმოები. ერთგან აივაზოვსკის მიერ დახატული ბა-ღომის გარემო მდებარე ალაგები ზღვიან-მთებიანი ეკიდა. მაგრამ სტუმრის გონება და გრძნობა მხოლოდ სახლის პატრონის დიდ-შვენიერ სურათს შეეპყრო.

ამ დროს გაიღო განის კარი და შემოვიდა ჩინებული თვალტანადი ქალი. სტუმარი შეკრთომით წაშოვარდა ზეზე და უნებურათ წარმოსთქვა:

— ვალიდა!

ქალს ეცვა ჩალისფერი აბრეშუმის კაბა. რომლის შიგნიდანაც მისი მომხიბლავი ტანი გამომსჭვირვალებდა. სტუმარი აღიტაცა ამ სანახაობამ. ის კრთოდა ვერხვის ფოთოლივთ. ქალს ეჭირა ხელში სპილოს ტარიანი წკეპელი, რომლის აბრეშუმის ნაქსოვს რქის მართული ჰქონდა გაყრილი.

— თქვენ მოწყალეო ხელმწიფევ, ასე რად დაიგვიანეთ? —მისცა ხელი და უთხრა. — მე რვა საათზე დაგიბარეთ, ერთი საათი მეტი რად დამატუსაღეთ ჩემს ოთახში? რათ მაცდევინეთ ამდენი ხანი?.. გაგონილა ესეთი უმართებულობა?..

ის თითქო ნახევრად ხუმრობდა, ნახევრად ნამდვილ წყრებოდა. სტუმარმა მაინც ხუმრობაში და კეკლუცობაში ჩამოართვა ეს შენიშვნა. იგი გულისთქმით დარეტიანებულიყო და ვითომც ბოდიშის მოსახდელათ თვითონაც არ გაეგებოდა, ათრთოლებულის ხმით რაებს ბლუწუნობდა.

ვალიდამ შენიშნა ყველაფერი; დაცინვის ღიმილი გადაეკრა სახეზე, მიუახლოვდა, აათამაშა წკეპელი და უთხრა:

— ნება მომეცით ამ წკეპლით კანონი მოგხადოთ.

— თქვენი ნება არ არის? — მიუგო სტუმარმა.

ვალიდამ ჯერ ნელა გადაჰკრა ზურგზე წკეპელი.

— თქვენი მორჩილი მოსამსახურე გახლავარ. გენებებათ დამსჯით, გენებებათ სპილოს ძვლის ტახტზე დამსვამთ.

— ااا! არ გეტკინათ! — და უფრო მაგრად მოუნაცვლა.

— კნეინა! — შესძახა სტუმარმა ღიმილით და ცოტა ტანში დაიწმაწნა.

ვალიდამ მესამედ კიდევ უფრო მაგრათ გადაჰკრა.

— კნეინა, თქვენ აღარც კი ხუმრობთ.

— სრულებითაც არა, — წარბ-შეკმუხვნით უთხრა ვალიდამ, და მეოთხედ კიდევ გადაჰკრა.

სტუმარმა მუხლი მოიყარა ვალიდას წინაშე და გულის თქმით უთხრა:

— თუნდ კიდეც მომკალით, თქვენი მსხვერპლი არა ვარ?

— გეყოფათ, — ნარნარი ხმით დაუტკბა ქალი და თეთრი ფუსჩულა ხელი გაუწოდა.

სტუმარი გაგიჟებულივით მივარღა და ზედ ცხელი ტუჩები დააკრა,

— ახლა შევრიგდეთ, — განაგრძო ლიმილით ვალიდამ. იგი დაეშვა გძელ სელზე, ნახევრად მიწვა და უბრძანა სტუმარს მეორე სელი მიეჩოჩებინა.

— იცით, რომ თქვენთან ერთი ძძიმე სათხოვარი მაქვს? — მომხიბლავი ხმით შეეკითხა ვალიდა.

— ათასი ბრძანეთ. მზათ ვარ, ყველა აღვასრულო.

— იერემია რომ დაუსჯიათ კატორღით, მე ამან ძალიან შემაწუხა, ტეინი ამირია. ის ჩემი ბიძის შვილიშვილია.

— ვიცი, კნეინა. საქმე კიდეც მოგვივიდა. სივილას აპელაცია გადმოუტანია. თქვენ არ მიბრძანეთ, მაგ საქმეს ყური უგდეო? მთელი წარმოება გულდასმით გადვიკითხე. ძალიან შესანიშნავი საქმეა. მეტად ჭკუიანათ არის მოხდენილი ეს ბოროტმოქმედება. შინაგანი აზრი სჩანს, რომ იერემიას ქალის მოტაცება სურვებია და არა მისი მოკვლა; მაგრამ რაკი ქალი არ დაჰყოლია ნებას, გამწარებულა და მასთან შიშის გამო, რომ არ დაეჭირათ, უნებურათ დაუკრავს ფერდში ხანჯალი. იგი ყოფილა მისი ქმრის მტერი და ქალის მოყვარული.

— როგორც გინდათ, ისე იფიქრეთ; მაგრამ იერემია კი არ უნდა დამიკარგოთ.

— დამნაშავე თუ არის?

— ამისთვის მოგმართეთ, რომ რაღაც იჭვია მასზე მიტანილი, თორემ, ეგ რომ არ იყოს, არც დაგსჯიდით.

— მე რაღა შემიძლია, კნეინა, მართლ-მსაჯულების წინააღმდეგ?

— თქვენ უნდა გაამართლოთ.

— სჯობს უმალ დამბაჩა დავიცე, ვიდრე სინიდისს გადავუდგე.

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა!.. კაცების სინიდისი! — გადიხარხარა ვალიდამ.

— კნეინა, ეგრე ნუ დასცინით ჩემს სინიდისს! საშიშროება თქვენ აღარავისი არა გრწამთ-რა. სჩანს, სრულებით შეგძულებიათ კაცის არსება.

— მე ისინი მეზიზღებიან.

— მაშ, მე რისი მოხელე ვყოფილვარ, თქვენი ეშხით ამდენი ხნის თითქმის სულმობრძავი.

— კიდეც მისთვის მეზიზღებით, რომ მხოლოდ ენაზე გაკრავთ სიტყვა „სიყვარული“ და გული გარყვნილებით გაქვთ სავსე.

— კნეინა, მაგას ნუ ბრძანებთ. მე თქვენი სიყვარულით მკვდარი ვარ, თითქმის ბოროტებამდის მიღწევნილი გაგიტყდებით, თქვენდამი გრძნობამ ცოლ-ქმრობითი მოვალეობაც კი დამავიწყა.

— სიტყვით, მლიქვნელობით.

— რით უნდა დაგიმტკიცოთ?

— იერემია გამიმართლეთ.

— ეგ შეუძლებელია. არც ჩემზედ არის დამოკიდებული.

— თუ თქვენ გინდათ, სხვების აღვირიც ხელში გიჭირავთ.

— არა. საერთო განსჯაში გაელენას ალაგი არ უნდა ჰქონდეს.

ამ პასუხზე ქალი აღელვებული წამოვარდა და შესძახა:

— მე თქვენ მეზიზღებით ამდენის ხნის ფარისეველობისათვის ჩემ წინაშე!

კაცი წამოდგა ზეზე დაფიქრებული. მის გულში საშინელი ბრძოლა მოხდა. იგი ყოყმანობდა მოვალეობას და გულის-თქმებს შორის. ბოლოს საიდუმლოთ გადასწყვიტა: „სჯობს ამ მომხიბლავ სატანის სიტკბოების სახეს მოვშორდეო“.

ვალიდამ თითქოს იგრძნო ეს გადაწყვეტილება, უცებ მოტრიალდა და მის მშვენიერი ფეხის წვერი, თეთრ ატლასში გახვეული, გამოჩნდა თავ-ჩაქინდრულ სტუმრის წინ. იგი აენთო ახალი გრძნობით უცებ ასწია თავი. მისი გულისთქმით სავსე თვალები შეხვდა ვალიდას ლაჟვარდ თვალებს, რომელშიაც ღელავდენ აზვავებული ენებანი.

სტუმარმა უნებურათ მოხვია მას წელზე ხელი, ჩაიკრა გულში, ტუჩი-ტუჩს შეუწება და მიასვენა გძელ სელზე.

— ოჰ, შენ შემოგევლოს, ვალიდა, ჩემი ცხოვრება, ჩემი სინიდისიც შენ ფერხთა მტვრათ გამიხდია!..

ვალიდამ გადააგდო ბროლის კისერი.

კაცს სწვავდა გულის-თქმის ალი; მან წაიღო ხელი ქალის მკერდის გასაფურჩქნათ, მაგრამ ვალიდა უცებ წამოვარდა სელიდან და უთხრა:

— ეგ არა! ჯერ ადრეა.

— მომკალ და ნუ გამწირავ!

— დამშვიდდით, თქვენს თავს მეტის ნებას ნუ აძლევთ!

ამ სიტყვებმა თითქოს ცივი წყალი გადაასხა კაცის გრძნობას. იგი უკუჯდა ისევ თავის სელზე.

— მე თქვენ გთხოვთ, თუ ჩემი თავი გინდათ, იერემია გამიმართლეთ, უთხრა კიდევ დაჟინებით ვალიდამ.

— გავამართლებ, — გადაწყვეტით დაჰკრა კვერი კაცმა. — სჯობს ათი დამნაშავე გამართლდეს, ვიდრე ერთი უსამართლოდ და-

ისაჯოს. იერემიას საქმეში მართლაც ბევრია ისეთი საეჭვო კითხვა. რომელიც ბეჯითად არ ამტკიცებს მის ბოროტ-მოქმედებას. მართლაც, ვინ იცის, ერია თუ არა იგი ფულავას ცოლის მკვლელობაში? ფორმალური მხარე საბუთებისა სულ მის მხარეზე სჭრის სამართალს. ჩვენ არცა გვაქვს ნება ჩვენი შინაგანი დარწმუნებით ვიხელმძღვანელოთ ამ შემთხვევაში. გონება სხვას ამბობს, საქმის მიმართულება კი სხვას. ჩვენ მხოლოდ ამ უკანასკნელზე უნდა დავაფუძნოთ ჩვენი გადაწყვეტილება.

— მაშ მოიქცა მძვინვარე ურწმუნოცა!...—მხიარულების თვალის ციმციმით შეეკითხა მოსამართლეს ვალიდა.

სტუმარმა თანხმობის დასამტკიცებლათ მხურვალედ აკოცა ხელზე.

— მაშ, სანამდის მის გამართლებას არ მომიტანთ, ლოცვია და მარხულობით უნდა შეინახოთ თავი.

— მეტი რა ღონეა; მაგრამ მით უფრო სასიამოვნო იქნება ჩემთვის მოთმინების შემდეგ გახსნილება. იმან დაუჭირა ხელები ვალიდას, მიიწოდა მკერდზე და გულისთქმით გამოეთხოვა:

— ნახვამდის, ჩემო ციურო სიტკბოებავ!..

XXVI.

ღამის თერთმეტი საათი იყო. ერთ სასაჭმო დუქნის უკანა ოთახში ისხდა სამი კაცი. ერთი იყო ღიპ-გადმოგდებული, დაბიჟვინებული პირისახისა; მეორე — პირხმელი, წითელ-წვერა; მესამე — სერთუკიანი ღიპ-გამოპარსული შავგერემანი კაცი. იმ ორ კაცს მკითხველიც იცნობს; მესამე კი იერემიას შინა მოსამსახურე იყო.

— როდის დაბრუნდება ხოლმე შინ იერემია? — ჰკითხა მოსამსახურეს ბახვამ.

— ის ყოველ საღამოს კლუბში დაიარება, ვახშამს იქ მიირთმევს. შინ მოდის მეორე საათზე ღამით.

— აბა, თქვი, როგორ მოერთოთ საქმე?.. — ჰკითხა ბახვამ და ამოიღო ჯიბიდან ერთი მუჭა ათმანეთიანები.

მოსამასხურემ არა თქვა-რა, მხოლოთ თვალები დააშტერა ფულებს.

— ერთი, ორი, სამი, — ჩათვალა ბახვამ ათამდის, მერე შეხედა მოსამსახურეს. იგი არას ამბობდა.

— თერთმეტი, თორმეტი, ცამეტი... — გადათვალა ოცამდის. მოსამსახურემ ხმა გაკმინდა.

— ოც-და-ერთი, ოც-და-ორი, ოც-და-სამი...—განაგრძო თელა ოც-და-ათამდის. — შე კაცო, რას გაჩერებულხარ, რატომ არას ამ-ბობ?

მოსამსახურემ ჩაახველა, თითქოს ხმა ამოიწმინდა.

— ოც-და-თერთმეტი, ოც-და-თორმეტი... — მიჰყვა ორმოცა-მდის.

ბარემაც ყველა მიათვალე და ის იქნება, — ღიმილით უთხრა მოსამსახურემ.

— ეგ ბევრია, კაცო! — შეეეკითხა ბახვა.

— მიათვალე, მიათვალე, ნუ გეშურება, განა ჩემი დახმარება კი ცოტა იქნება? ის კი არა, ორ მაგდენათაც ღირს.

— აქ სულ ორმოც-და-ათი თუმანია. — უთხრა ბახვამ.

— როგორ?... მაგასაც მაკლებ თუ?..

— ალალი იყოს შენზე მოგცემ...

მოსამსახურემ გადიწმინდა ულვაშები და დაიწყო ლაპარაკი.

— საქმე აი. რაშია: იერემიას ძილის წინ კითხვა უყვარს, ნა-ხევარ საათზე მეტს კითხულობს. შემდეგ სანთელს დააქრობს და და-იძინებს; მაგრამ ღამის პაწია ლამპარი მაინც უნთია.

— ასე რომ ხომ სულ არ ბნელა მის საწოლ ოთახში?

— არა, ცოტათ მიბნელებულია, მაგრამ კაცის სახე როგორც ახლა, შენ გიყურებ, ისე იხედება. ჩემი ფიქრი ასეა: მე უნდა დავტო-ეო გარეთა დერეფნის მეორე ფანჯარა დაურაზავი, მხოლოდ მიხუ-რული იქნება. თქვენ უნდა გადახტეთ იმ ფანჯარაში.

— რათა? ის არ სჯობია, დერეფნის კარი ღია დატოვო? — უთხრა ბახვამ.

— ეჰ, ეგ როგორ შეიძლება? მაშინვე ეჭვს აიღებენ ამაზე, შინაურის ბრალია, — თქვა ციმბირელმა და მიუთითა მოასმსა-ხურეზე.

— კარგი, მაშ აგრე იყოს, — დაჰკრა კვერი ბახვამ.

— დერეფანს იქით ზალის კარებია. ზალის მარჯვენით მისი სა-წოლი ოთახია. კარები ორივე დაურაზავი რჩება ხოლმე ყოველთვის; ასე აქვს ჩვეულება.

— ეგეც კარგი. — თქვა ბახვამ.

— საწოლი ოთახის ფანჯარა მაღალზეა? — იკითხა ციმბი-რელმა.

— ორი საჟენია მიწიდან.

— იმას იქით ეზოში რა არის? — განაგრძო ციმბირელმა.

— იქით ეზო მაღალი სარებით არის შემოღობილი, ჩიტიც ვერ გადაფრინდება ზედ.

— ძირს სამზარეულოს ხომ მაინც აქვს იქით კარგი გასავალი?

— სამზარეულოს აქვს უკანა კარი; მაგრამ, თუ შიგ არ გაიარე, ისე ქუჩაზე ვერ გამოხვალ.

— მაგას რათ კითხულობ? — უთხრა ბახვამ. — განა იმავ გზით ვერ გამოვალთ?

— არა. მე ჩვეულება არა მაქვს, საიდანაც შევალ, იქიდანვე გამოვიდე, — თქვა ციმბირელმა.

— ფული ახლავე მომეცი, — დაატანა მოსამსახურემ.

— არა. როცა მოვალთ და ვნახავთ, რომ ფანჯარა გაღებულია, ფულს მაშინ ჩაგაბარებ.

— რა ვიცი, ღამეში რამდენს მომცემ.

— ა, ძმავო, შენ თვალის წინ შევკერავ ამ ორმოც-და-ათ თუმანს, აი, ამ ნაჭრით; ხომ შეატყობ ხელი რომ მოუსვა? — ჰკითხა ბახვამ.

— კარგი ,აგრე იყოს.

ამ დროს ოთახის კარების რაკუნი მოისმა.

ვინ ხარ? — დაიძახა ბახვამ.

— მე ვარ, წუნკალა.

ის ორი კაცი მაშინვე გავარდა გარეთ ქუჩის კარებიდან.

ბახვამ გაუღო კარი.

— ასე გვიან რათ მოსულხარ?

— სხვაგან ვიყავი, შინ წასელა დამეზარა და შენთან შემოუხვიე, — უთხრა წუნკალამ.

— მშვიდობით, წუნკალა! ამალამიდან ველარ მნახავ.

— რა ამბავია?.. — შეშინებულათ ჰკითხა წუნკალამ.

— მე იერემია უნდა მოვკლა ამალამ. ან ზედ დავაკვდე.

— რას გაუგიჟებიხარ?.. არა. რომ აქავ სული ამომაქრო, მაინც არ გაგიშვებ. — ჩაატანა ჩოხაში ხელი.

ბახვამ ამოიღო ჯიბიდან ორმოცდა-ათი თუმანი, დააგდო მაგიდაზე და უთხრა:

— ჰა, ძმაო, ამის მეტი ალარა დამრჩენია-რა. ღმერთმა მოგახმაროს ყოველი ჩემი ნაჭირნახულევი.

— არა. არ შეიძლება შენი გაშვება. — ეკოწიწებოდა ჩოხის კალთაში წუნკალა.

— მე ხუმრობის თავი არა მაქვს. მომშორდი. — დაჰკრა ხელი ჩოხის კალთას და გააშვებინა. ის საჩქაროთ გავარდა გარეთ ქუჩის კარიდან. წუნკალა ერთხანს იყო ხმა-გაკმენდილი. მერე წამოიძახა: „ჯანდაბამდისაც გზა გქონია. შენ ჩემთვის ალარ ხარ საჭირო". იმან

გააქრო სანთელი, გამობრუნდა ისევ იმ კარით, შევიდა მედუქნესთან და იკითხა:

— ბახვა სად წავიდა?

— არ ვიცი, მანდ იყო. მგონია, ვილაც სტუმრები ჰყავდა.

— არა, ისინი ოთახში აღარ არიან.

მედუქნემ სასინათლო წამოიღო, შეანათა ოთახში, მიიარ-მოიარა, კარები დაათვალიერა. „ალბათ სადღაც წასულანო“ — გულ-დამშვიდებით წაილაპარაკა, დარაზა ქუჩისკენ გასავალი კარი და ისევ დუქანში შევიდა.

წუნკალა გამოემშვიდობა მედუქნეს და უთხრა:

— თუ ძმა ხარ, რომ მოვიდეს, უთხარი, წუნკალა იყო-თქო.

— ბატონი ბრძანდები.

*
* *

იერემიას ეჭირა შვენიერი ერთ-სართულიანი სახლი, რომელსაც ქვემოთ სამზარეულო ჰქონდა, ეზო და ცხენების ბოსელი. სადაც ორი ბედაური ება. მისი სადგომი მდიდრულათ იყო ხალებით და სახლის სამკაულით მორთული, რომელიც სტუმრის მისაღებ ოთახად ჰქონდა დანიშნული, ის წმინდა მუზეუმი გამხდარიყო, საცა ძველებური იარაღები. ფარ-შიმშერიდან დაწყებული ჰიბოდის თოფამდის. შვიდი-რვა საუკუნის სამხედრო მორთულობის ნიმუშები — კედლებზედ ეკიდა ლამაზათ ჩამორიგებული. ბევრი იყო მათში ოქროვერცხლით მოჭედილი. ერთი ფრანგული ხმალი ეკიდა ამ კედელზე. რომელშიაც ას თუმანს აძლევდენ, მაგრამ არ ჰყიდდა. მისი საწოლი მდიდარი ატლასის საბნებით იყო გაწყობილი, ოთახი კი თექის ხალებით და ფარდებით მორთული. მარტო მისი საწოლი ტახტი თხუთმეტ თუმნათ ღირდა. იგი იდგა ცალკე, ითვლებოდა მდიდარ სასიძოთ და ბევრი ახალ-გაზდა ქალი შენატროდა მის ქმრობას; მაგრამ იგი ცოლს არ ირთავდა.

იმ ღამეს იერემია ჩვეულებაზე ადრე დაბრუნდა; გრძნობდა რაღაც დაღალულობას. მოვიდა თუ არა კლუბიდან, მაშინვე დაწვა და მოსამსახურეს უბრძანა: „კარები მაგრათ დარაზეო“, საწოლთან კედელზე ეკიდა ვალიდას სურათი, რომელსაც დაწოლის დროს ყოველთვის გამოეთხოვებოდა და ხელზე აკოცებდა ამ სიტყვებით: „შენ რომ არა, ვინ იცის. მე ახლა სად ვიქნებოდი?. იქნება, მადნების მუშაობაში სული ამომრთმევოდა“!

უმთვარო ღამე იყო. ნაშუაღამევის მესამე საათზე ორი კაცი მივიდა იერემიას სახლის კიბეზე. ერთი იქვე დადგა. მეორე ავიდა

მაღლა და მიაწვა დერეფნის კარს; მაგრამ ეს კარი დაკეტილი დაუხვდა; შემდეგ გაჰყვა განზე სახლის არშიას და გასინჯა განის ფანჯარა, რომელიც იმ წამსვე გაიღო. ამ დროს, ძირს რომ კაცი იდგა, ის გაჰქრა სადღაც ბნელაში. ცოტა ხანს იქით ისიც ავიდა კიბეზე, დაეკოწიწა გაღებულ ფანჯარას და ძლივს გადაფორთხდა დერეფანში. დერეფნიდან შევიდა კარ-გაღებულ ზალაში. ამ დროს მას მოეგება შიგნიდან მეორე ამხანაგი და უთხრა ჩურჩულით:

— ძალიან ტკბილათ სძინავს. ეს იყო სიმონა ციმბირელი, რომელმაც ყოველივე უკვე შეიტყო, სანამდის ბახვა დერეფანში გადაფორთხდებოდა. ციმბირელმა უტია გზა ბახვას და უკანიდან მოუდგა. ბახვა შევიდა საწოლში და დაადგა მძინარე იერემიას თავზე. ამ დროს იერემია გაიშმუშნა.

— იერემია! — კარგა ხმამაღლათ დაუძახა ბახვამ.

იმან თვალები გაახილა.

— მოვიდა შენი განწირვის დღე. მოვედი შენი მსაჯული. ესმასგან გამოგზავნილი. — ამ სიტყვებით დაჰკრა იმან ფერდში ხანჯალი; მაგრამ, ხანჯლის წვერმა ირეკლა გვერდი წნელზე და ჩაუხვია ფენთხებში. იერემია თვალის დახამხამებაზე უმალ წამოვარდა.

— რას შერები, შე ურჯულო?! — შესძახა ტკივილისაგან გამწარეულმა. იმან სტაცა ცალი ხელი მაჯაში და მეორე ყელში წაავლო. მძლავრად გადუკინეა ბაჯა და ხანჯალი ხელიდან გააგდებინა. შემდეგ ჰკრა ფერდში მუხლის თავი, დასცა საწოლზე და ჩაუჭირა მარცხენა ხელი ყელში. ბახვამ ამოუშვა ხროტინი. ამ დროს ციმბირელმა დაჰკრა უკანიდან თავში ხანჯალი იერემიას და ძვალი გაუპო.

— ვაიმე, მომკლეს ამ ავაზაკებმა! — დაიღრიალა იერემიამ. უშვა ხელი ბახვას და ჩაიჩოქა გულდამა ლოგინში.

გაბრაზებული ბახვა უცებ დასხლტა ხელიდან, აიღო ისევ ხანჯალი და ჩასძახოდა: „ფერდი უნდა გაგიპო, ფერდი. როგორც შენ ჩემ ესმას გაუპე!"... იმან ხელმეორედ უნაცვლა ხანჯალი. იერემიამ დაიხროტინა და პირიდან სისხლი გადმოანთხია. ეს იყო სულ ერთი წამის საქმე. ციმბირელი იქ აღარ იყო. ამ დროს მოისმა ეზოში საშინელი ყვირილი მოსასახურისა:

— არიქა, მიშველეთ, ავაზაკები დაგვესხენ, ავაზაკები!... შეიქნა პოლიციელების სტვენა. მალე მოვარდენ დარაჯები, ბოლოს მოესწრო იმ ღამის პოლიციის მეთვალყურეც. შეეარდა კიბეზე და ჰკრა მძლავრად ფეხი დერეფნის კარებს; მაგრამ ვერ გააღო; იმან შენიშნა განის ფანჯარა გაღებული და უცბათ გადავარდა დერეფანში. იმას გადაჰყვენ სხვა პოლიციელებიც, შევარდენ საწოლ ოთახში და იქ დახვდათ იერემია, რომელიც სისხლში სცურავდა: მის ქვეშაგებში

სისხლის ტბა იდგა და იქვე დოინჯებ-შემოყრილი ბახვა ელოდა პოლიციელებს.

— ეს რა გიქნია, შე ლოთო, ჩარჩო? — გულმოსულად შესძახა პოლიციის მეთვალყურემ.

— სამართალი გავაჩინე, სამართალი! ქვეყანამ არ მაღირსა სამართალი და მე თვითონ გავაჩინე. ეს არის ჩემი ცოლის ესმას სამაგიერო. აი, ახლა გავცოცხლდი! მე ახლა გავხდი ისევ უწინდელი ბახვა. ამიერიდან საცა უნდა ვიყო, ყველგან ბახვა მერქმევა და ქუდიც თავზე მეხურება. მადნების მუშაობაში გამგზავნიან? — იქაც კაცი ვიქნები.

პოლიციის მეთვალყურე დარწმუნდა, რომ სწორედ გიჟიაო. უბრძანა დარაჯებს, შეჰკარით და წამოიყვანეთო. „მე გახლავარ ბახვა ფულავა! გაიგოს მთელმა ქვეყანამ. რომ მცოდნია ეაჟკაცურად სისხლის აღება“! — ყვიროდა იგი ღამეში, როცა მას თოფის კონდახით სცემდენ და ისე მიათრევდენ პოლიციაში.

ᲥᲘᲥᲝᲚᲘᲥᲘ, ᲩᲘᲥᲝᲚᲘᲥᲘ ᲓᲐ ᲥᲣᲓᲐᲑᲖᲘᲥᲐ.

კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა.

ნაწილი პირველი.

I.

186... მ ა ი ს ი ს უკანასკნელ რიცხვებში ქ.. ჩამოვიდა კიკოლიკი. ის მიემგზავრებოდა მთისკენ. წარმოიდგინეთ ჩემი გახარება, როდესაც ამ ყმაწვილმა მირჩია. თან წავყოლოდი. შინ ძილის მეტს არას ვაკეთებდი და თვითონ სახლობაც გვერდზედ მიყურებდა. ბევრჯელ მოვიწადინე თოხის და ბარის ხელში აღება: მსურდა, სმა და ჭამის ფასი მაინც გამეკეთებინა, მაგრამ მაშინვე დამიტატანებდენ, გავჯავრებით მეტყოდენ, თოხი და ბარი რა შენი საქმეა, მაგის ხმარება ჩვენც კარგათ ვიცითო. თუ ხელს გერჩის, იქ შედი (კანცელარიაზე ძიმითითებდენ). ოჯახში ფული შემოიტანეო. მე კი. სწორე მოგახსენოთ, არაფრად მეხალისებოდა სამსახურში შესვლა. უღელ-შეუჩვეველმა მოზვერმა რომ უღლის დადგმა იუკადრისოს. ეს გასაკვირველი არ არის. სამსახურში შესვლას რაღაც გული არ მითხრობდა. ბუნებაც მას ეწინააღმდეგებოდა. წარმოიდგინეთ კაცი. რომელსაც თავის დღეში სხვის სიტყვით ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს. სხვისი ნებით უბრალოთ წარბიც არ გაუმართავს. ახლა უცბათ სამსახურის მტკიცე კალაპოტში უნდა ჩამდგარიყო, მორჩილების დაღი შუბლზე მიეკრა, ან ბუდამ თავ-დახრილს და ტუჩ-მოპრუწულს კალამი უნდა ეწრიპინებინა ქაღალდზე, ან და ყურში კალამ-გაჩრილი. ისიც დამორჩილების ნიშნათ წარმდგარიყო უფროსის წინაშე და, სურდა თუ არ სურდა მაინც გაეკრიჭა, ვითამ-და მხიარულათ გახლავარ, სულ ვიცინი სულ ცანგალას ვთამაშობ თქვენ კეთილშობილების, ან მაღალ კეთილშობილების. ან კიდეც მაღლა, ესე იგი აღმატებულების საფარველს ქვეშეო. ბევრია ისეთი კაცი, რომელიც ამისთანა მდგომარეობას შენატრის. იმისთვის რომ იმას კარგი ტკბილი ცხოვრება მოჰყვება ხოლმე და ზემოხსენებული ჩვეულება დიდ პოლიტიკათ, გონიერების ნიშნათ მიაჩნია. მე.. მე... კი ვერაოდეს ვერ დავმორჩილდი ამას. ახირებული გამოხატულება მქონდა! ამის წარმოდგენა და ტანში ჟრუანტელის დავლა ერთი იქნებოდა ჩემთვის... „არ მინდა“ მეთქი, შევყვირებდი ჩემიანებს

და შინ რომ ვყოფილვიყავ, გაბრაზებული ავდგებოდი, გარეთ გამოვიდოდი.

სახლეულობა ამისთვის მეჩხუბებოდა და ერთი დავიდარაბა გვქონდა. ამ დავიდარაბას რომ მოვრჩენილიყავ, სახლიდან გაქცევა დავაპირე, მაგრამ სად წახვალ, გრო'ში ჯიბეში არ გიჭყავა! ამისთანა მდგომარეობაში, თვითონ იფიქრე, მკითხველო, როგორ გამეხარდებოდა კიკოლიკის ჩამოსვლა.

ვინ წარმოიდგენს იმ სიამოვნებას, რაც მე ამ გზაზედ გამოვსცადე: ხან მოხდებოდა, რომ მთის ქედზედ დგეხარ, ძირს დაჩერებიხარ მდინარეს, რომელიც გველივით კლაკვნით მიძვრება დობილოებში *). გაღმა მთის კალთებში აქა-იქ პატარა ხის სახლები გაბნეულან: ის არის სოფელი. საიდანაც ყრუთ მოგესმის ძაღლების ყეფა. კლდეზედ თხა ნეკერს სწვდება, მწყემსი სასწრაფოს **) უკრავს, ტყეში ცულდს ურახუნებენ. ზოგჯერ შეხედავ, რომ კლდესა და კლდეს შუა მდინარე გადმოჩქრიალებს ორ საჟენ სიმაღლეზე. იმისი ხმა ქოჩორა ნაძვის ტყეში შორს გაისმის. ხან დგეხარ თოვლიან ქედზედ; შორს მთის ნახეთქებში ვეება თოვლი ჩამოწოლილა; ის თან დნება და თან ადამის წლის კლდეებს გრგვინვით არღვევს. ზოგჯერ ისიც მომხდარა, რომ თვალაუწვდენელის მთის ძირზე დავბინავებულვართ, ზევიდგან გათეთრებული მთის წვერი მიმინოსავით დაგვყურებს. უეცრათ ბნელ ღამეში ამობრწყინდება კაშკაში მთვარე და შეხედავ, რომ იმ მთის ძირზე შემოეხვია ბამბის ქულასავით თეთრი ღრუბელი. დილას, როცა მზე ცას გააპობს, შეხედავ, რომ იგივე ბამბის ქულა ღრუბელი მთის წვერზე ადენილა და იქ დამჯდარა წმინდანივით. ამ გვარი სურათების ნახვას რა სჯობდა ქვეყანაზე!..

186... 9 ი ვ ლ ი ს ს, ნაშუადღევის 5 საათზედ ქ...დან გამოვედით. ჩვენ ოთხნი ვიყავით: ჩიკოლიკი, კიკოლიკი, კუდაბზიკა და მე. კუდაბზიკა იმერულათ იყო გამოწყობილი. მარდი და მეტიჩარა. ივის ქერა თმაზე, ნისკარტიან ცხვირზე და წვრილად გაწკიპინებულს ულვაშებზე რომ შეგეხედნა, მაშინვე იტყოდი, ეს იმერელი უნდა იყოსო. ასეთი ამაყი და უკადრისი რამ იყო ეს დალოცვილი, ტყუილა ცერი რომ გეჩვენებინა, ერთ ადლზე შეხტებოდა. ასეთს გახრეკილს ცხენზე იჯდა, რომ ძვლისა და ტყავის მეტი არა იყო რა. სწორეთ წყალში ამოწუმპულს ვირთაგვას ჰგავდა. კუდაბზიკა ხშირათ მოსჭიმავდა ხოლმე სადავეს, რომ თავის ბედაურისთვის კისერი მოედრიკა და ამას-

---

*) დობილოს იმერეთში ეძახიან ხეზე ასულს ყურძნის ვაზსა.

**) სასწრაფო არის ერთგვარი საკრავი. ის არის შემდგარი წვრილ-წვრილ ლერწმის მასრებისაგან, რომლებიც ერთად ბლის ქერქით არიან შეწნულნი; ამ საკრავს ნაზი და მრავალ-გვარი ხმა აქვს.

თანავე ჰკრავდა დეზებიანს ქუსლსა. რომ ცოტაზე მაინც გაეცუნდრუ-კებინა, ვითომ შემხედეთ. როგორს რაშზე ვზიეარო. საწყალს ვირთა-ვა ცხენს იმის დეზებისაგან გვერდები ჰქონდა გაცლილი.

მე მეცვა გასვრილი თეთრი შალის ჩოხა. ვიჯექი ოცდა-ხუთის წლის გაუკრეჭელს ჯორზე და უკან ასეთი ხურჯინი მეკრა. რომ ქვეითს კაცს წელს მოსწყვეტდა. ჩემი ჯორი მეტად გაუწვრთნელი რაშ სულიერი იყო. იმისთანა ზანტი ნურც გინახავს კამბეჩი ქიზიყისა. ასეთი თავისნება იყო. რომ. თუ აზრში არ მოუვიდოდა, იფნის ჯოხიც ფეხს ვერ გადაადგმევინებდა: ეს იყო პირდაპირ იმ ძველი კაცისთანა, რომელსაც არც დიდი განათლება მიუღია და არც ისე დარჩენილა სულ უარარაოთ; ყოფილა პირველთაგანი იმ დროს, როდესაც უკანასკნელები პირველობდენ, როდესაც ამ პირველობაში უკანასკნელს თავი გასვლია. მომეტებული პატივის დაყრით კანი გასქელებია, უგუნურების ნიშანი გონიერებათ შესცვლია და რაც უნდა უთხრა, მაინც თავისას არ იშლის. მაგალითად, რომ უთხრა: ბატონები ცხენებიდან ჩამოაბძანეს და მოკლე კუდიანებზე შესვეესო, ის მოგიგებს: „ვინ გითხრა.. ისევ ის ბედაურები გახლავსო“.—ბატონო. ყური უნახე და კუდი ხელში დაიჭირე. თუ ის არ არის. — „ყურიც ვნახე, იმის კუდიც ხელში მიჭირავს, მაგრამ მაინც ბედაურები არიანო“, მოგიგებს. სწორეთ ამისთანა ძველ კაცს წარმოადგენდა ჩემი ჯორიცა.

წინათვე ვიცოდი ამისთანა მატარებლის თვისება და დეზებით შევიარაღდი. ქვეყანაზე ყოველთვის ასეა: როცა სიტყვა არ გავა, წნელს ხმარობენ და. თუ წნელიც აღარ იმოქმედებს, დეზებს გაჰკრავენ ხოლმე გვერდებში. მაგრამ ახლა ეს უნდა ვიკითხოთ, თვითონ ის არსება რა შვილი უნდა იყოს, რომელიც დეზებით გვერდებს აჩხვლეტინებს?.. ის სწორეთ ჩემ ჯორს ემგზავსება.

II.

ციკოლიკის ჩინოვნიკსავით ეცვა და ჩიკოლიკს წითელ-საყელოიანი სერთუკი. არ გიკვირსთ, რომ ამისთანა მცირე საგნებზედ ველაპარაკობ! — მაგრამ რადგანაც აქ ტანსაცმლით აფასებენ კაცებს, ამისთვის არ შეიძლებოდა, რომ ამაზედაც არა მეთქვა რა. მით უფრო, რომ ჩემმა ღარიბმა ტანსაცმელმა, როგორც ტრაბახა აზნაურის მოდგმას, ბევრი დამცრობა გამომარონინა. ამ მხარეში თუ ვისმე ჩინოვნიკსავით აცვია, მაშინვე გაიფიქრებენ. უთუოთ ვინმე უფროსი უნდა იყოსო.. მაშ დღეს იქნება თუ ხვალ. იმის წინ თავის დაკვრა დამჭირდებაო. მართლაც, ჩვენებური ისე როგორ გაწბილდება, რომ უფროსთან თვეში ერთხელ მაინც არზით არ მივიდეს. ამის გამო თანამდებობის კაცს.

როგორც ძალიან საჭირო გვამს, ჩვენში დიდს პატივს სცემენ. თუ ტანსაცმლით თანამდებობის პირათ გიცვნეს, სადაც უნდა შემოგაღამდეს. ყოველგან იპოვნი ღამის გასათევსაც და კარგს მასპინძელსაც. მაგრამ თუ ჩვენებურათ უბრალოდ გაცვია და უბრალო კაცათაც გიცვნეს, მაშინ კი ღმერთმა შეგინახოს! კარ-გაღებული სახლის წინაც რომ მიხვიდე ღამის გათევინება სთხოვო, სახლის კარებს შენ წინ მიხურავს და შიგნიდან დედაკაცი გამოგძახის: შინ არავინ გახლავსო. მეზობლისაკენ თითს გაიშვერს და ვეტყვის: იქ მიბრძანდით, იმ მეზობლისას, იქ მოგისვენებენო. ამისთანა გარემოებაში, რასაკვირველია, ჩინოვნიკის კაკარდასაც დიდი მნიშვნელობა აქვს...

ქ....დან რომ გამოველით, მზე გადახრილი იყო, მაგრამ ის მაინც ასეთნაირად გვაჭერდა, რომ ვარჩიე, ჩემ დამტვრეულ ქოლგას ქვეშ თავი შემეფარებინა. ჩვენ მივდიოდით გლახათუბნის გზაზედ. ჩიკოლიკი და კიკოლიკი დაწინაურდნენ, კუდაბზიკა კი ჩემ გვერდით მოდიოდა. იმისი გახრეკილი ცხენი ისე დაუძმობილდა ჩემ ჯორს, რომ უიმისოთ ნაბიჯის გადადგმასაც არ აპირებდა. კუდაბზიკა ჩემთან ძალიან ამაყობდა და ცდილობდა უკან ჩამოვერჩინე; ამის გამო ის ხშირად ასაჩუქრებდა დეზებით და მათრახით თავის ბედაურს. მაგრამ საწყალი ცხენი ხვნეშით თითქოს ამას ეუბნებოდა: „ტყავიც რომ გამაძრო. ჩემ ძმობილს ვერ დავცილდებიო; პატრონის თვალის მოსატყუებლად ცოტაზედ გაჩანჩალდებოდა, მერე შეჩერდებოდა და ისევ გვერდით ამოუდგებოდა ჩემ ჯორსა. კუდაბზიკას მეტის-მეტი სიკაპასით ცხვირი უწითლდებოდა. ის ჯავრობდა ჩემ გვერდიდ სიარულს. ჩვენში გაუკრეჭელ ჯორზე შეჯდომა ძლიერ ეთაკილებათ; თუ მოახერხა. ჩვენებური ცხენს უკან ხურჯინს არ შემოიკრავს. არც თავადიშვილი და არც აზნაურიშვილი გვერდით არ ამოუდგება იმ კაცსა, რომელსაც გლეხურად აცვია, თუნდ კეთილშობილიც იყოს: „იმე, იმ კაცს გვერდში რავა ამოვუდგები, ვისაც ყაძახურათ (გლეხურად) აცვია: რომ ვინმე შეგვეყაროს, მეც ყაძახს არ დამიძახებს!..“ კუდაბზიკაც. რასაკვირველია, ასე ფიქრობდა ჩემზე. ის გაჯავრებული სწყვეტდა და სწყვეტდა მათრახს თავის ვირთაგვა ცხენსა, მაგრამ ცხენი ყურსაც არ აპარტყუნებდა. სერზედ გავედით. სამხრეთით მიეფინებოდა ჭალები, რომელზედაც აქა-იქ სიმინდის ყანები მწვანედ მოელვარებდენ; ამ ჭალებს საზღვრავდა ლურჯი ბაწარი მთებისა. ამ დროს ერთ ხის ძირას მუშები დავინახეთ. იმათ სამხარი ეჭამათ და ისვენებდენ. „შეხედე იმ დედა-გ... რავა ტყულა არიან! სულ ძინავენ! ღარიბი იქნებიან, აპა, რა იქნებიან!“ მითხრა კუდაბზიკამ. — ნეტა ერთი შენც თოხი მოგცენ და დილიდან საღამომდე ამისთანა სიცხეში გამუშაონ. ვნახავ, იტყვი თუ არა მაგისთანა სიტყვებს? ეს პასუხი გულზედ ლახვ-

რად დაესო ჩემს გულ-ამაყს მეგობარს. გაფიცხდა. გულში რას ფიქ-
რობდა, ისიც ვიცოდი: როგორ გამიბედა ამ უჯიშომო. ნეტა კარგად
მაინც ეცვას. რომ ვინმემ შეხედოს, გლესი ეგონება. აბა, ერთი კიდეც
გაბედე მაგისთანა სიტყვები და გაყურებინებ შენ სეირსო. თუმცა გულ-
ში ამას ლაპარაკობდა, მაგრამ ცხადათ კი ჩემზედ ხელი ემოკლებოდა.
იცოდა, რომ გლეხკაცის ტყაპუჭში აზნაურისშვილი ვიყავ გამოხვეუ-
ლი. ამის გამო ჩემი ჯავრი თავის ცხენზედ ამოიყარა. რითაც იქმნა.
ოთხი ამოალებინა და წინა მგზავრებს დაუახლოვდა. ვითომ ამით
დამიმტკიცა, რომ „შენისთანებს თავს არ გავუყადრებო". მე მაინც
ჩემთვის ვსთქვი: „მალე გნახავ, ლიახვო, დაგხვეოდეს კოლოები"...
მართლაც, ხუთ წამს არ გაუვლია. ისევ ამომეტუზა. კუდაბზიკა რო-
ორლაც თვალს მარიდებდა; შეენიშნე, ჩემზედ ძლიერ გამწყრალი
იყო. ის ძალიან შეუშინდა ჩემს სიტყვას. მგონია, კოდით სიმინდს *)
დაჰპირებოდა თავის გახრეკილ ცხენს, ოღონდ კი დაწინაურებულიყო.
მაგრამ იმის საუბედუროთ ვირთაგვა ბედაურს ფეხს არ ერჩოდა. და-
ბინდდა. გლახათუბანს რომ მივედით, ათი საათი შესრულდა. აქ ჩი-
კოლიკს ბევრი მეგობარი ჰყავდა. არჩია, არჩია, ვისას ჩამოვხტეთო.
და ბოლოს გადაწყვიტა, ერთი შეძლებული აზნაურის ოჯახში მისვლა
და იქ ჩამოხტომა. „აბა, კუდაბზიკა, წინ წადი და მასპინძელს ჩვენი
მოსვლა შეატყობინეო. უთხრა ჩიკოლიკმა. — მამა ნუ წაგიწყდება.
ერთი წინ წაითამაშე შენი ბედაურით მეთქი, მეც დავუმატე. „ეგე
პლაც!.. შენი გაუკრეველი ჯორი არ გეგონოს, ყმაწვილო!" სიამაყით
მომიგო კუდაბზიკამ. ცოტახანს კიდევ ისმოდა იმის მათრახის ტკაცუ-
ნი უმთვარო ღამეში, მერე კი სულ მიწყნარდა. ჩვენ ცოტა დუქანთან
შევიცადეთ და შემდეგ მივმართეთ. აზნაურის ბიქმა ჭიშკარი ააკრიალა.
ეზოში ჩავედით. გზაში ძალიან დამტანჯა ჩემმა ჯორმა. იმისმა
ჯაგჯაგმა და ჩემმა ქუსლის ცემამ ტანში დამამტვრია, ფეხები დამე-
ფორხა, ჯორიდან ჩამოხტომა მენატრებოდა. ვიფიქრე, ჩემ ნივთებს
მასპინძლის ბიქები ყურს უგდებენ. ჩემს ჯორსაც იმათ გადავცემ მეთ-
ქი. მინდოდა, რაც შეიძლებოდა, მალე ჩამომხტარვიყავ და აივანში
დავწოლილვიყავ. ვაი, როგორ მოვსტყუვდი! მასპინძლის ბიქებმა.
როგორც კი გლეხური ჩოხით შემნიშნეს. იფიქრეს. ეს ხლებული უნ-
და იყოსო, და გვერდი ამიარეს. ზედაც აღარავინ შემომხედა. „აი, გა-
გიწყრა ღმერთი", ვთქვი ჩემ გუნებაში. კუდაბზიკა აქ დატრიალებდა
და ამისთანა გაპირვებულს მდგომარეობაში რომ დამინახა. ძალიან
იამა, ალბათ გულში გაიფიქრა: „ჰი. მასე გირჩევნიაო". ვითომ ვერ

*) ქვემო იმერეთში ქერს იშვიათად სთესენ: იმის მაგივრათ ცხენს სიმინდს
აპმევენ.

ვხედავ. ზურგი შემაქცია. ჩემ ჯორს ხვირჯინ-უნაგირი მოვხადე და მასპინძლის სადგომში მიმქონდა. როგორც კი ფეხი შევდგი კიბის მეორე საფეხურზედ. ფიცარი ჩამიტყდა და ხვირჯინ-უნაგირიანთან ყირამალაზედ გადავცურდი. კუდაბზიკამ ზევიდან დამიძახა: „აქ მოდი და აგაყენებო!" ამისთანა დაცინებამ სულ სირცხვილით დამწვა. მე ვიყავი შთამომავლობით აზნაური. უფრო ესა მკლავდა, რომ მასპინძლის ბიჭებმა ამიგდეს. მინდოდა. ისინი მათრახით დამესიენებინა. მაგრამ სხვის ოჯახში ვიყავი და ამასაც ვფიქრობდი: შალის ჩოხაში რომ აზნაურობა აღარ გაიკითხონ და ხელი შემდვან, მაშინ ხომ სულ გავუპატიურდები-მეთქი. ვარჩიე ისევ ჩემ ბედის წერას დავმორჩილებოდი. — ნეტავ აზნაურისშვილათ მაინც არ მიცნონ. — ვფიქრობდი გუნებაში. ჩემ მასპინძლის სახლს პატარა აივანი ჰქონდა, მაგრამ რიკული კი ერთიც აღარ ებადა, სულ ჩაცვენოდა ადამის წლის მოხუცებულივით. ხარიხაც ასეთ რიგათ ირწეოდა, რომ იმის ჩაქცევას ერთი ხელის კვირის მეტი არა უნდოდა რა. ჯერ მინდოდა აივანზე თავისუფლად წამოვწოლილვიყავ; მაგრამ, რაკი ხარიხის სისუსტე შევამჩნიე, ისევ ოთახში შესვლა ვამჯობინე. სასტუმრო ოთახი ფიცრის იატაკით იყო მოგებული. ფიცარსა და ფიცარს შუა იატაკს ასეთი ფარღალალები ჰქონდა დატანებული, რომ დიდი გაფრთხილება მართებდა კაცს, ფეხი არ ჩავარდნოდა. „ზამთარში აქ მგელს გაყინავს" მეთქი, გავივლე გონებაში. შიგნით იდგა ორი გრძელი რიკულებიანი სკამი; ერთზე შეხვეული ფარდაგი იდვა. დალოცვილს სახლის პატრონს ისიც არ გაეშლევინებინა, ალბათ უნდოდა ჩვენთვის დაემტკიცებინა, რომ ფარდაგი გვაქვსო. იქნება ეს შეხვეული ფარდაგი ერთხელაც არ გაშლილიყო. გაშლა რა საჭიროა! საქმე ის არის, უცხო კაცმა არა სთქვას, რომ მასპინძელს ხალიჩა არა ჰქონიაო, თორემ შეიძლება სახლში ხალიჩა სულაც არ იხმარონ. ხშირად ნახავ აქეთკენ ოჯახში იმისთანა ნივთს, რომელიც ოჯახობაში სრულებითაც გამოსადეგი არ იყოს და რომლის ხმარება იქნება არც არავინ იცოდეს, მაგრამ ოჯახის პატრონს ეს ნივთი იმისთვის უყიდნია, რომ სხვის სახლში უნახავს, და რაც სხვასა აქვს, ის რომ იმას არ ჰქონდეს, დიდი სირცხვილია. იქნება ამ ნიეთის მოპოვებამ ერთი წლის მონაგებიც მოინდომოს; მაგრამ ჩვენებური კაცი მაინც იმითი ინუგეშებს თავს, რომ სტუმარს თავი მოვაწონეო... ჩვენს ოთახს ცალ გვერდზე ჩანგრეული ბუხარი ეშენა. იმის წინ სამფეხა სკამი იდგა. როგორც ეტყობოდა, ამ სკამზედ ოჯახის ყმაწვილებს დურგლობა ესწავლათ; სკამი სულ დანით იყო დაჩეხილი. ჩვენ რომ ოთახში დაგვაბინავეს, იქ რვა კაცი თუ მოთავსდებოდა, მეტი არა. ამას გარდა კიდევ იყო სხვა ორი ოთახი უქერო და უიატაკო. იმაში თვითონ მასპინძელი იდგა. პარასკევი

ლამე იყო. მარხვაში ხორცის ჭამა ჩვენში იმდროს ძალიან ცოდვათ მიაჩნდათ, მაგრამ რადგანაც ჩვენ ლობიოთი მუცლები გვქონდა დაგოდრილი, ამისთვის ჩიკოლიკმა უთხრა თავის კუდაბზიკას, რომ მასპინძლისთვის ჩვენი უძლურება გაემეღავნებინა და ვახშმათ სახსნილო მოემზადებინა. კუდაბზიკა მაშინვე დაფაცურდა. სამზარეულოში ბევრი აფურთხეს, ჩუმათ, „უსჯულოც" ბევრი გვიძახეს, მაგრამ გოჯი მაინც ააქვეირეს. კუდაბზიკას თავი მოსწონდა. რომ უფროსთან იყო განწესებული; უცნობებს ყველას ეუბნებოდა, ჩემი უფროსი მთავარმართებლის შესული ყმაო, და ამასაც დაატანდა: „მე ძალიან ვუყვარვარ, უჩემოთ გარეთაც ვერ გავაო". ახლა სამზარეულოში მარხვის ჭამის გამო რომ ფურთხება დაიწყეს. კუდაბზიკამ, როგორც მთავარმართებლის შიკრიკმა, თავი გამოიდვა: „როგორ თუ თქვენ მაგი გაბედეთ, ვის უბედავთ ფურთხებას და რაცა გაბედეთ და ვინ გგონიათ მაგი და ასე და ისეო... ახლათ-ახლავე თქვენ თავს დავაჭერინებ და ციმბირში გატუცვინებთ!" სამზარეულოს ბიჭები შეშინდნენ და ფურთხება უცბათ შესწყვიტეს. ცოტახანს შემდეგ კუდაბზიკამ ხმა მოუმდაბლა და თითქოს დაიწყო იმათი განათლება ამ სიტყვებით: „მარხვა... რა ვუყოთ! მას აქეთ, რაც ჩიკოლიკთან ვარ, მეც დევიწყე იმის ჭამა... არ მომეშვა ბატონი, შენი ჭირიმე და თუ გიყვარდე და ჩემი მამაშვილობა თუ გწამს, რა ვიცი. რა არ მითხრა, ბოლოს კიდეც მაკოცა. რავა ვაწყენინებდი. კაკალ დიდმარხვის ორშაბათს გაეხლიჩე ქათმის ბარკალი. მოგეცა სიცოცხლე, ის გემრიელი მეჩვენა. ახლა არც კი ვიცი. როდის არის მარხვა და როდის არა... ასე ჰო, თურმე ცოდვა როდი ყოფილა მარხვის ჭამა. რომ არაფერი ჰქონიათ სახსნილო. ბერებს იმიტომ მოუგონიათ მარხვის ჭამა, ასე მითხრა ჩიკოლიკმა..." ამ ლაპარაკს ყურს უგდებდენ სამზარეულოს ბიჭები. მაგრამ მაინც თავს აქნევდენ მარხვის ჭამაზე. ეტყობოდათ, კუდაბზიკას სიტყვები არაფრად სჯეროდათ.

ვახშამს ბევრი არ დაგვიანებია. ცოტა ხანს შემდეგ ოთახში ხუთი თავშიველა ბიჭი შემოიტუზა: ერთს ტაშტი ეჭირა, მეორეს თუნგი. მესამეს ხელსახოცი, მეოთხე და მეხუთე ბიჭი კი იმათი კუდები იყო. დახედე მოსამსახურის უსინიდისობას! ხელი დამაბანინეს და ხელსახოცი კი არ მაღირსეს, რომ ხელი გამეწმინდა: არა გიშავს-რა. ხელს ჩოხითაც კარგად გაიწმენდავო. ფიქრობდენ. ალბათ იქ ასეა მიღებული. მებატონის სახლში მომცრო კაცს სადილ-ვახშმის წინ ხელს დააბანიებენ და ხელსახოცს არასოდეს არ მიაწვდენენ ხელის შესაწმენდათ. მაგრამ ჩემი მდგომარეობა უნდა გენახათ, რა ნაირად მეწყინა, რომ მოსამსახურემ ხელ-შესაწმენდი არ მომცა. ჩემისთანა წარჩინებული აზნაურის შთამომაელობა გლეხკაცად ჩამაგდო! აზნაურის კა-

ნი სირცხვილით დამწვა. მაგრამ რას ვიქმოდი! უნდა მომეთმინა, ამიტომ რომ აზნაურის ბუნება გლეხკაცურს ტყაპუჭში მქონდა გამოხვეული. გულში კი ასე ვემუქრებოდი მასპინძლის ბიჭებს: „მაჩვენა თქვენი თავი. როცა სირმით გატყლაპული ჩოხა მაცვია. დაგიფრთხობთ ანგელოზებს!...“ — მეთქი.

ჩიკოლიკს როგორც კბილები, ისე ენა არ გაუჩერებია. იმის მეტი აღარავინ მინახავს, რომ ერთსა და იმავე დროს ორი საქმე გაეკეთებინოს: გოჭიც გაანახევრა და ენაც ამღერა; ვინ მოსთვლის. რაც ინან იმ ღამეს ილაპარაკა! ქვეყანაზედ ერთი საქმეც არ დარჩენილა, რომ იმისი ენა არ შეხებოდეს. რასაკვირველია. ბევრსაც უმატებდა, მაგრამ ეს ხომ ქართველის თვისებაა. დღეში რომ ერთი მაინც არ მოეაქოროთ, ისე როგორ გავძლებთ; მაგრამ ამ დალოცვილს ჩიკოლიკს მაინც, მგონია, ენის ძარღვი გაწყვეტოდა. მარხვის ჭამა, რასაკვირველია, მეც გავიზიარე. ეს შემთხვევა გულში ტყვიასავით ჩამრჩა. ეკვი მქონდა, ეაი თუ ჩემმა სახლობამ შეიტყოს ჩემი მარხვის ჭამა. საუბედუროთ ეს ეკვი გამართლდა. ორ თვეს შემდეგ, როცა შინ დავბრუნდი. ერთი ალიაქოთი ამიტეხეს, როგორ თუ მარხვის ჭამა გაბედეო! ბევრი მაფურთხეს ცხვირპირში, მაგრამ ხელით კი არ შემხებიან. მაშინ ოც-და-ორის წლისა ვიყავი. ხნიერობა ძალიან შემეწია, თორემ თოთხმეტ-თუთხმეტის წლისას ლოყებს ამიწითლებდნენ. მე ეს მაკვირვებდა: გლახათუბნიდან ასე შორს როგორ გაიგეს ამისთანა მცირე შეცოდება!.. როგორც სჩანს, ჩვენში იმ დროსაც ბევრი მთხრობელი ყოფილა.

მეორე დღეს ალიონზედ ვნახე, რომ ჩემ ჯორს ქვიქვირი ჩამოეგდო, ყურები ჩამოეყარა და ლობის ძირს ატუზულიყო; მიეხედი, რომ იმ ღამეს საწყალს არა ეჭამა-რა; ან კი რა უნდა ეჭამა, ათი ქცევა ეზო სულ მოტლეკილი იყო. აქა-იქ გამხმარი ბალახის ღერები ობლად ამოჩრილიყვნენ მიწიდან. უწვიმობისაგან მიწა დამსკდარიყო. მაგრამ ეზოს თავისი შვენება მაინც არ აკლდა. მრავალი ნიგვზის და თხმელის ხეები, რომლებშიაც ყურძნის ვაზები იყვნენ გაწნულნი. მაინც ჩრდილავდენ ამ განიერს ეზოს; იმათი მწვანილი და გრილი დილა გულს ატკბობდა.

ცხენზე რომ შევსხედით, ცამ მტრედის ფრად ინათლა. ამ დროს მაღალი თხმელიდან მამალი გადაფრინდა მწვანედ დახავსიანებულს ოდის თავზედ და დაიყივლა, თითქო გვეპატიჟებოდა, ასე ადრე სად მიბრძანდებით, ცოტა მოგვითმინეთო. მაგრამ ჩვენ გვეჩქარებოდა. მოსამსახურეებმა ჭიშკარი ააჭრიალეს და ჩვენ მასპინძელს გამოვეთხოვეთ.

III.

დილა გრილი დაგვიდგა. ცას ნისლი გადაეფარა, რიყრაეი და შზის აღმობრწყინება აღარ გვინახავს. გზა მიგვიძღოდა ფართო ჭალებზედ. მდინარის შხუილი ხან-და-ხან ბუნდათ მოგვესმოდა. მინდორს უწვიმობით მოყვითლო ფერი დასცემდა; ეკლით გაბანდული მწვანე ბუჩქნარი ზოლ-ზოლებად გადაუყვებოდა. ერთი საათი მეტი ვიარეთ ამ მინდორზედ და შემდეგ შევედით სქელს დობილოში: ლოტნარს თხმელის ხეებს ქოჩორა წვერები ვაზის ფოთლებით ჰქონდათ შეხვეული. მაჯის სისხო შავი ვაზები ხეებსა და ხეებს შუა ბაწრებად გაბმულიყვნენ და თვითონ იმათაც გველსავით შემოხვეოდენ. ამ დროს შზემაც პირი გვიჩვენა, მაგრამ იმისი ცხელი შუქი ჩვენთვის უვნებელ-დარჩა: ხშირად გაბნეული თხმელა, ხურმა და კაკლის ხეები სქელი გვიჩრდილებდენ. თვითონ მინდორმაც ამ დობილოში ფერი იცვალა. როგორც ეტყობოდა. მზის შუქს ამ ჩრდილში ბალახისთვის სისველე ვერ წაერთმია. დობილოს ტყეში სუნთქვა ძლიერ გაგვიტკბა; გონებაში გავიელე. ამისთანა მწვანილოვანს ბაღში კაცი არ უნდა დაბერდეს მეთქი. ხანდაზმით დედაკაცის ძახილი გვესმოდა; მიუცილებლათ სადმე ახლოს სოფელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერც სახლი და ვერც კომლი ვერ დავინახე; ან კი რას დაინახავ იმისთანა სქელ დობილოში. კუდაბზიკა ცრტად წინ მიდიოდა. ჯორს ქუსლი ვკარი, დავეწიე და დიდი კრძალვით ვკითხე: აქ რა სოფელია მეთქი. თუ საკითხავი რამე მექნებოდა. მორიდებით უნდა მეკითხნა, თორემ ხმასაც არ გამცემდა. ჩემ კითხვაზედ იმან შუღლი მიჩვენა, თვალები ჩემკენ გამოაპარა. უნდოდა შეეტყო, დაცინვით ხომ არ მკითხავსო და!. რაკი დარწმუნდა ჩემ გულკეთილობაზედ, მიპასუხა: „ცხენი-პარიას ეძახიანო". ამ დროს თავს წავაწყდით ერთს ტყიან მთის ცხვირსა, რომლისთვისაც გარს უნდა შემოგვეელო. კიკოლიკმა ცხენი შეაჩერა და დაუძახა თავის მოსამსახურეს, რომელიც უკან მოგვდევდა: — დათუნა, (ასე ერქვა კიკოლიკის მოსამსახურეს) ცხენი-პარიას წადი და ხელოსანს (მამასახლისს) შეატყობინე, რომ ახლად-ახლავე ორი ცხენი გვიშოვნოს. დათუნამ ძალიან ზანტად გააბრუნა კისრამდის დატვირთული ცხენი. ამ ტვირთში ისე ღრმად იყო ჩაფლული თვითონ დათუნა, რომ თავისა და მხრების მეტი არა მოუჩანდა-რა. მთის ცხვირს იქით ფართო მინდორი ვიწრო არშიად გადაგვექცა. ამ მწვანე არშიას ცალი მხრით ღაბალი ტყიანი ქედი საზღვრავდა. მეორე მხრით ჩქარი მდინარე. მწვანე არშიაზე ბევრი არ გვიელია: ჩვენ წინ გამოჩნდა ერთი პატარა კლდის ნახეთქი, რომელზედაც ხიდს ჰქონდა ცალი თავი დაბჯენილი და გალმითაც იმ გვარიეე კლდე ჰქონდა ბურჯად. ამ ორ კლდის

ნახეთქს მდინარის კალაპოტი ძალიან შეეიწროებინა. იგი შეგუბებულიყო და იმ დროს ორ კლდეს გიჟურად სცემდა. ამის გამო კლდის ნახეთქები და ხიდიც ძალიან ძგერდა. ხიდს ქვეშ მდინარეს ქაფი მოეგდო და შხეფს ერთს ადლზედ ისროდა. ხიდზედ გაეედით... გალმიჯ მქისი და ქვიანი ადგილი დაგვიხვდა. ეს ალაგი იყო დაბლობი და მეტად ვიწრო. აქა-იქ გვირილა და ეკლნარი გაბნეულიყვნენ. სხვა ბალახი არა მოიძეოდა-რა. ამ ვიწრო დაბლობზედ ხიდს ახლო იდგა ერთი გახრეკილი დუქანი და იმის პირდაპირ მეორე. დუქანს იქით აიმართებოდა გარუჯული კლდიანი მთა, რომელსაც ასკილგაბანდული ჯაგები ჰმოსავდა. იმ გარუჯულს მთის ფერდზედ დასავლეთის მხრით ახალ-აღებული ყანა იყო, იმისი ღობე ნახირს შეელეწა და შიგ ბალახსა სძოვდა. ჩემი ჯორიც იქვე გავუშვი. ხიდთან რომ დუქანი იდგა, ჩვენ იქ ჩამოვხდით. დუქნის ყაფაზაზედ იდგა სამი სავსე გობი: ერთზე ეყარა ღომი, მეორეზე სიმინდი, მესამეზე ლობიო და თავზედ ხუთი კვერცხი ჰქონდა ირგვლივ შემოწყობილი. შიგნით დუქანში რამდენიმე შუშა ყვითლად და თეთრად გამოსჭვერდენ: ზოგში ყვითლად შელებილი ოტკა ესხა, ზოგში თეთრი; ზევით ბაწარზედ ოციოდე სულუგუნი ეკიდა; ამას გარდა ყაფაზას ქვეშ ორი ტიკი ღვინით სავსე ჰგორავდა. მთელი დუქნის სიმდიდრე ეს იყო. დუქანში ვაჭრობდა ერთი პირტიტველა ყმაწვილი. ის თავის ჟუჟუნა თვალებს მკვირცხლად აბრიალებდა. ამ პირმოგრძო ყმაწვილს წყლის ფერი ჩოხა ეცვა და ფეხზედ წუღა-ქალამანი (წუღას ჩუსტს ეძახიან). იმის გვარი იყო ჩიგუნია და, როგორც თვითონ ამბობდა, ოდიშში პირველ აზნაურად ითვლებოდა. ჩვენს მისვლაზედ ჩიგუნიას თვალები აუციმციმდა და პირმა გაუღიმა, ალბათ გულში გაივლო: „ეს კაი სტუმრები მომიყვანა დღეს მიქელ მთავარ-ანგელოზმა, დღეს კაი დახლი მექნებაო". როგორც-კი დაველაპარაკეთ, ჩიგუნიამ იმ წამს ამნაირი სიტყვები მოგვაგება: „პატონი (ბატონო), ოდიშის როის იქნება თავად-აზნაურობის გარჩევა? ნიტე, თქვენი წყალობით, მალე დეინიშნოს კამინსია... მე პირველი აზნაუშვილი ვარ; ჩემ თავს პირველით ჩავაწერიეფ". — უყურე ახლა ამ გაქუცულს მეგრელს, — წაიჩურჩულა კუდაბზიკამ, — პირველი კი არა, უკანასკნელიც არ არის. დედა... რატომ ქვეყანა არ დაიქცევა მაგიც რომ აზნოუშვილობას ეძებდეს!.. მაგი ჩიგუნიას ბუშია (ბუშს ნაბიჭვარს ეძახიან); მართლა, ჩიგუნია კი არ გეგონოს. ბუშია, ბუში!... — სამჯერ კიდევ ჩამძახა ყურში კუდაბზიკამ.

კუდაბზიკა სიცხარით პირზე აენთო. იმას საშინლად სწყინდა, რომ ჩიგუნიამ აზნაურობის შოვნაზედ იმედი გამოაცხადა. კუდაბზიკას შეშურდა იმის აზნაურობა, რადგანაც ის უკანონოდ შობილი იყო. „ღმერთო, კი მომკალი, — მეუბნებოდა ჩუმად კუდაბზიკა: — ბუშმაც

რომ აზნაურშვილობა დეიმტკიცოს, მერე რათ ეკარგება აზნაურობა, მალად წაპილწდება, გროშათაც აღარ ეღირება... აზნაურობის შოვნა რავა იფიქრა მაგ ბუშმა, მაგან!..“

— პატონი ჩიკოლიკი კი მიცნობს, ვინცხა ვარ. მე გამოუძიებლადაც უნდა ჩამწერონ აზნაუროფის ქალალდში. — იძახოდა ჩიგუნია.

— ჰო. ჰო, დარდი ნუ გაქვს, აზნაურობას მე გაშოვნიებ! — უთხრა ჩიკოლიკმა. — შენ ახლა ცოტა რამე საქმელი გვიშოვნე.

ჩიკოლიკი ძალიან თავმოყვარე კაცი იყო და სადაც მივიდოდა, ყველგან ცდილობდა პირველი ადგილი დაეჭირა და დასამტკიცებლად, რომ პირველი იყო, შუბლზე კოკარდას და ყელზე სისხლის ჯვარს არ იცილებდა; უცხოსთან ისე იქცეოდა და ისე დიდ ვინმეთ აჩვენებდა თავს. რომ გეგონებოდა, ამისი სიტყვა და ღვთის სიტყვა მთელ დედამიწის ზურგზე ერთგვარად უნდა მოქმედებდენო. იმის ლაპარაკს რომ გაჰყოლოდი, იფიქრებდი, მთელი ქვეყანა ამის ფერხთა მტვერი უნდა იყოსო...

ჩიგუნიამ კიდევ თავის აზნაურობაზედ ჩამოაგდო ლაპარაკი. როგორც ეტყობოდა, აზნაურობის შოვნა არც დღე და არც ღამე მოსვენებას არ აძლევდა. იმას ძალიან ეფიქრებოდა, საეჭვოდ არ გამზდარიყო მისი აზნაურობის ღირსება. ამისთვის თუ ვინმე სერთუკიანი შგზავრად გაიელიდა იმის დუქნის წინ, ყველას უმტკიცებდა თავის ძველს აზნაურობას. ალბათ ფიქრობდა. რომ ეს სერთუკიანი კაცები კამიისიის წევრებს ეტყვიან: „სოფელს ცხენი-პარიას რომ მედუქნე არის, ის გამოუძიებლად აზნაურად ჩაწერეთო“. საუბედუროთ, ვერც ჩიკოლიკი და ვერც კიკოლიკი კამისიაში ვერ დაესწრებოდენ. ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ ჩიგუნიას აზნაურობის შოვნა გაუძნელდებოდა. ის თავის თავს ძველ აზნაურად სთვლიდა, მაგრამ, კუდაბზიკას სიტყვით, უფალი ჩიგუნია უკანონო ძირითგან მომდინარეობდა.

IV.

დასავლეთის მხრით გარუჯული მთიდან ერთი გზა-წვრილი ჩამოჰყვებოდა. ჩვენ გვითხრეს, ეს გზა-წვრილი მარტვილიდან და ცაიშიდან მოდისო. ამ გზა-წვრილზედ ხან-და-ხან ცხენის გროვა ჩამოქვენდებოდა, გაირბენდა დუქნების წინ და მიეშურებოდა აღმოსავლეთისკენ. თითო ცხენის გროვას უკან მისდევდა უბელო ცხენზედ მჯდომი თავ-მოპარსული და ფეხ-შიშველა მეგრელი, რომელიც ცხენებს „ჩღროუს“ მისძახოდა.

— ეს ამდენი ცხენები აქეთ სად მიჰყავთ? — იკითხა კიკოლიკმა. ჩიგუნიას ძალიან იამა კიკოლიკის გამოლაპარაკება; იმას სა-

შინლად უნდოდა კიკოლიკის გაცნობა, რადგანაც გულში ფიქრობ-და, იქნება აზნაურობის შოვნაში დამეხმაროსო. ჩიგუნია დუქნიდგან სწრაფად გამოვარდა და დიდის პატივისცემით უამბო იმას, რომ ეს ცხენები მთაზედ მიჰყავთო საზაფხულოდ. ეს მთა ეკუთვნის სამეგრ-ელოს. რაც გამხმარი და გაცვეთილი ცხენი იპოვება მთელს სამეგრ-ელოში, ყველას იმ მთაზე წაასხმენ ხოლმე ზაფხულში გასასუქებლად.

მთა არის ძალიან მაღალი და უზარმაზარი სვეტივით ამართუ-ლი. ერთგან მეტად იმ მთას კაცი ვერ მიუდგება. ამ ერთგან მთას აჰყვება წვერამდის პატარა ბილიკი. მთაზედ რომ ახვალ, იქ დაგიხვ-ღება თვალ-გადუწვდენელი მინდორი, სადაც ზაფხულში ბალახი სა-თიბავია. იმ მთას ადგილი არ შეეძრება საძოვრად. მაგრამ ერთი ძა-ლიან ცუდი ნაკლულევანება სჭირს — წყალი არა აქვს. ჩამდგარი წვი-მის წყლები ბევრგან არის, მაგრამ რად გინდა!.. ისინი არიან მღვრიეე-ნი გოლვიანობაზედ კიდეც დაშრებიან. ესეები ჩიგუნიამ ასეთი მო-წიწებით და სიმდაბლით უამბო კიკოლიკს, რომ გეგონებოდა, ეს არის, სულში ჩაუძვრებაო. — ვიცი, რაც შვილი ხარ, ვთქვი გუნებაში: — გინდა განა კიკოლიკს თავი მოაწონო, რომ ორიოდე სიტყვა შენთვის დაჰყეფოს კამისიაში. ვაი, საწყალო, როგორ სცდები. კიკოლიკს რა ეკამისიება, ან სად ნახავს კამისიის წევრებს და რომ კიდეც ნახოს, რა გაუვა.

ამ დროს გაეიხედეთ და მთიდან გზაწვოილზე ჩამოთოხარიკდა ერთი თაგვისოდენა შავი ჯორი, რომელზედაც დიდი ძარის სისხო-კაცი შედებულიყო; საწყალს ჯორს გძელი ყურებისა და თავის მეტი არა მოუჩანდა-რა. ეს მსხვილი არსება თუმცა ჯორზედ იჯდა. მაგრამ ფეხებს თითქმის მიწაზედ მიათრევდა. ამ საკვირველს ცხენოსანს უკან ორი ფეხ-შიშველა და დაკონკილი მსახური მოსდევდა. ეს მსხვი-ლი ცხენოსანი. ჩიგუნიას დუქანს როგორც გაუსწორდა, ის ორი მსახური ჯორს მივარდა. ერთმა სადავე დაუჭირა და მეორემ უზანგი, რომ ძირს უვნებლად ჩამოესვათ მსხვილი არსება. რომელიც დიდი ხვნეშით შემოსვენდა ჩიგუნიას დუქანში. ჩიკოლიკმა და კიკო-ლიკმა სალამი მისცეს დიდის პატივით და ისურვეს მისი გაცნობა. მა-თი ბრწყინვალება დაზგა (ასე ეწოდებოდა იმ მსხვილ არსებას) დაბრ-ძანდა დუქნის წინ და კინალამ ცხვირი არ დაჰკრა წინგამოგდებულს ლიპზე. მათს ბრწყინვალებას დაზგას ჩიკოლიკისა და კიკოლიკის ნა-ხვა ძალიან ეუცხოვა და ინდოურივით თავი მიიღ-მოიღო, რომ კარ-გად დაეთვალიერებინა უცხო სტუმრები.

— ბატონო, აქეთ სად ბრძანებულხართ? — ჰკითხა ალერსია-ნად კიკოლიკმა.

მათი ბრწყინვალება დაზგა ყველის ვაჭარივით გაიკრიჭა და მეტი არა სთქვა რა. ის იჯდა გამოშტერებული დუქნის წინ. იმისი სველი თვალები და ახირებული ღიმილი თითქოს მუდამ თევზსა და ღომს შეტრფოდენ, მაგრამ მე კი არ მჯერა, რომ ამ პატიეცემულის არსების მუცელი მარტო ღომს გაებეროს ასე საშინლად. ღომი უფრო აწვრილებს და არ ამსხვილებს. როგორც ვფიქრობ, იმას უფრო ბევრი მჭადის გუნდები უნდა ეყლაპა თავის გლეხებისა სასუქ ინდოურსავით. ბრწყინვალე დაზგას თავზედ ორილა ბუსუსი თმა შერჩენოდა. მეტი არა; ამასთან წვერ-ულვაშიც გათეთრებოდა და სისუქნის გამო წამოზრდილი ღაბები გულზედ ეკიდა. ჩიკოლიკმა და კიკოლიკმა ბევრჯელ სცადეს გამოლაპარაკება, მაგრამ ის ხან. „კის" იძახოდა და ხან „არას"; უფრო ხშირად ქშინავდა. ამ დროს იმის მეძაღლეც მოვიდა. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ბრწყინვალე დაზგა საკურდღლოდ ყოფილა. მეძაღლეს ზურგზედ ეკიდა გიდელი (გრძელი კალათი) და ორმოცამდე მწევარ-მეძებარს, ერთი-ერთმანეთზედ გადაბმულს, წინ მიუძღოდა. როგორც კი მეძაღლე მოუვიდა, ბრწყინვალე დაზგამ მოითხოვა თავისი ჯორი და ისევ ზედ შეეფო. საწყალი ჯორი კუდს ცხარედ აცმაცუნებდა, ეტყობოდა, რომ მძიმე ტვირთით საქმე ჰქონდა გაჭირვებული; გაჭირვების დასამტკიცებლად კუდის ძირში მუზიკა დაუკრა და წათოხარიკდა. ორი ფეხტიტველა მსახური ისევ უკან აედევნა და მეძაღლეც თან გაჰყვა. მინამ ბრწყინვალე დაზგა დუქნის წინ იჯდა. ჩიგუნიამ მხრები ჩამოუშვა, ზედ ეტყობოდა, რომ იმას ბრწყინვალე დაზგის ძალიან ერიდებოდა. წავიდა თუ არა, ჩიგუნიამ ისევ ენა ამოიდგა, მოჰყვა იმის ქებას: „პატონი, მაგი ოდიშში პირველი თავადიშვილი არის; ძალიან ბრეული (ბევრი) ყმა და მამული ჰყავსო..." ამაში არც ჩვენ ვეჭვობდით. ბრწყინვალე დაზგას ზედვე ეტყობოდა: ეს უნდა ყოფილიყო კარგს მოსაჭმელ მიწაზედ აღმოცენილი. თორემ იმდენს ვეება ხორცს უნაყოფო მიწა ვერ შეაბამდა.

V.

შუადღემაც მოატანა. ცა გადიწმინდა და პაპანაქება სიცხე დადგა. მხოლოდ დასავლეთისკენ ამოფუღულიყვნენ თეთრი ღრუბლები. წინათვე ვიგრძენ, რომ ეს ღრუბლები საღამოზედ დაგვასველებდენ. ამ მხარეში ხშირად სიცხიანი დღე წვიმით გათავდება ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოწმენდილს ცას ღრუბელი არ მოსცილდება. კარგად მოგვშივდა. ჩიგუნიას რაც კი ეშოვებოდა, არა დაგვამადლა რა. სუფრა გავშალეთ. ჩიგუნიამ ხუთი თუ ექვსი გამხმარი პურის კვერი მოგვიტანა, ამასთან სულუგუნი (ყველი) და ჩარექა ღვი-

ხო. პურს კბილი ვერ დავაკარეთ. ისე გამხმარიყო, რომ დანასაც კი უჭირდა იმისი გაჭრა.

— ჩიგუნია, ამის დაღეჭვას დევის კბილები უნდა, — უთხრა ჩიკოლიკმა, — სად გიშოვნია ეს რკინის კვერები?

— პატონი, თქვენც კი იცით, ჩვენ პურს არაფელათ ვეწყობით, ჩვენი საქმელი ღომია. პურს, ასთე, თქვენისთანა პატიოსნეფისთვის გამოვაცხოფიეფ და მაქვს აქანეი შენახული. სამი კვირე გეიარს, რომ პურს არავინ მოითხოვს: გახმება, აპა, რა დეემართება!". სადილს შემდეგ ჩიკოლიკმა და კიკოლიკმა მოისვენენ; მე კი ჩიგუნიამ გამიხმო დუქანს უკან და დამიწყო კითხვა ჩემ ვინაობაზედ და კიკოლიკზედ. ჩიკოლიკს ისიც იცნობდა, რადგან ამ გზაზედ ხშირად დადიოდა. ჩიგუნიამ წინათვე შეიტყო, რომ მე აზნაური ვიყავ და ცოტაოდენი მთავრობის ანგარიშიც გამეგებოდა. სკამზედ ჩამოვჯექით. იმან თავადურად მხრები აიწია, თავი აიმართა და ცოტა გვერდზედ მელაპარაკებოდა; ეითომ ამ გვარი მოქცევით დამიმტკიცა: თუმცა შენ აზნაური ხარ, მაგრამ მე კიდევ შენზედ უფრო დიდი აზნაური ვარ, თავადობაში ცალი ფეხი მიდგასო. მართლაც, ჩიგუნია ცალფეხა თავადი იყო, იმიტომ რომ მამა თავადი ყავდა და დედა გლეხი ქალი, რომელიც იყო მოახლედ თავადის კარზე.

— შენ კი გეცოდინება, ვინ არი მაგი, კიკოლიკი რო-ჰქვია? — მკითხა ჩიგუნიამ.

— როგორ არა. ეგ თ...ში ძალიან მიღებული კაცია და თვითონ შენც კარგად გეცოდინება, რომ დიდი მთავრობა სულ იქ არის.

— აპა, ერთი უნდა გკითხო: იცნობს მაგ იმ კამინსიის ჩინონიკებს, სამეგრელოს თავად-აზნაურეფს რომ გამოიძიებენ?

— უეჭველად უნდა იცნობდეს-მეთქი. ქ. თ..ს ხის ფოთოლიც ისე არ ჩამოვარდება, მაგან რომ არ შეიტყოს-მეთქი, — ტყუილების თქმა დაეიწყე, მინდოდა იმის გულის პასუხი გამეგო.

— შენ კი გეგეგონება დიდი ჩ* გვარი ოდიშში. ჩ* გვარი ჩვენში პირველი თავადია. დ — ნს გ. ჩ* პირველ კაცად ჰყავდა. მე იმის სახლი-კაცი ვარ.

— მაშ შენც თავადი უნდა იყო. აზნაურობას რომ ეძებ. რატომ თავადობას ხელს არ მოჰკიდებ.

— მაგი მეც კი მინდოდა, მარამ დიდმა გ. ჩ* იმ ოჯახგაწყვეტილმა მომიშალა! მე და იმას ჩხუბი მოგვივიდა და დ — ნს ჩამასმინა: უთხრა, მაგი აზნაურად გახადეო და აზნოურეფის ქაღალდი მოაცემინა ჩემთვის.

ამ სიტყვებზედ ჩიგუნიამ ერთი ქაღალდის ნაგლეჯი ამოაძვრინა ჯიბიდან. ის დ-ნის ხელმოწერილი იყო.

— კი ვიცი, ნასწავლი ბოში (ბიჭი) ხარ და მე რომ გითხრა, ის ამისრულე. ამ ხელს ვერ გედიღებ სხვა ქაღალდზედ? (და დ-ნს ხელმოწერილზედ თითით მიჩვენა). თუ გინდა საწერელს და კალამს მოგიტან. იცი. რეტომ მინდა ამ ხელის გადაღება? ოჯახი დეექცეს ბიძაჩემს გვათა ჩიგუნიას, ჩემი აზნოურობის ქაღალდები მთლათ იმან დამიწვა. ამ ქაღალდის მეტი არ გადარჩენილა. ვერ ხედავ. აგიც დამწვარია?

მართლაც ქაღალდის ნაგლეჯს ნაპირები მომწვარი ჰქოდა, მაგრამ ის კი არ ვიცი, სხვა ქაღალდებთან დაწვოდა, თუ იქნება თვითონ ჩიგუნიამ სანთელზედ გარუჯა თავის აზნაურობის ნაგლეჯი, რომ უფრო დავეჯერებინე.

— მე მაგდენი არ მისწავლია, რომ მაგ ხელის გადაღება შემეძლოს სხვა ქაღალდზედ. — ვუპასუხე ჩიგუნიას. — ისევ სჯობია ქ...ს წადი, იქ გადააღებინე, თორემ ჩემ გადაღებულს ყველა მიხვდება და. ხომ იცი, ფალშივობა რომ შეგწამონ, დაიღუპები მეთქი.

— კი, კი, შენ მართალს ამბობ. მაგ არაფელია: ამის გადამღებს სხვასაც ვიშოვნი, მარა ეს მაინც მიქენი: კიკოლიკს უთხარი, რომ კამინსიის ჩინონიკებს ჩემი თავი გააცნოს. მაგ. თუ იზამს და კამინსიის ჩინონიკებთან შემეწევა, კი ჩამწერენ აზნაურად.

— ბატონი ხარ. მაგას ვეტყვი კიკოლიკს და იმედიც მაქვს. შენს თხოვნას აასრულებს-მეთქი.

— მე შენ კაი სულუგუნს გაჩუქეფ. — მითხრა ჩიგუნიამ და გამოიტანა ერთი გამხმარი ყველი დუქნიდან. ამისთანა საჩუქარმა ქრთამის აღება მომაგონა. შევდექი: ვთქვი, არ გამოვართმევ-მეთქი; მართლაც უარი უთხარი. უნდა გაეტყდე, გულში კი ძალიან მინდოდა ამ სულუგუნის შოვნა. პატარაობიდანვე ამისთანა ყველებზე დაფეთებული ვიყავი. ჩიგუნიამ სულუგუნი მეორეთაც შემომაძლია, მაგრამ მე ისევ უარი ვსთქვი: თუმცა ჩუმად ჩემს თავს ვიწყეველიდი. რატომ არ გამოვართვი-მეთქი; მეშინოდა, ეაი თუ მესამედ აღარ შემომაძლიოს და ამისთანა კარგი სულუგუნი ხელიდგან გამისხლტეს-მეთქი. ღმერთმა უშველოს, მესამეთაც შემომეპატიჟა და სულუგუნი ხელში ჩამიდო. მერე კი, არ მოგეცეს მარცხი, მე ის აღარ გადამეგდოს. ჩუმად მადლობასაც ვწირავდი. დარწმუნებული ვარ, მკითხველო. რომელიც დაჩვევულხარ ქრთამის ან საჩუქრის ღებას, ეს ჩემი მოქმედება წარმოგიდგენს იმ პირველ ნაბიჯს, რომლის გადადგმამ ასე სწრაფად გაადიდა შემდეგ შენი კეთილი მდგომარეობა.

VI.

ამ დროს დათუნაც მოჩანჩალდა დატვირთული ცხენით. კისერი გვერდზედ გადაეგდო; როგორც ეტყობოდა, უკმელობით და ბევრი სიარულით არაქათი წართმევოდა. შავი ქუდი ბოყვივით თავზე ჩამოცმოდა: ქალამნიანი ფეხები უზანგებიდან გამოელო და. თითქო ფეხები ვისმე მოემტვრიოს, საცოდავად მოაქანებდა. ის მოჩანჩალდა ყოველ ომედ-მიხდილი; ვერც ხელოსანი (მამასახლისი) ენახა და ვერც ცხენები ეშოვნა. დათუნამ ცხენი დუქნის წინ დააყენა, აუარებელ ტვირთს დიდის გაჭირვებით თავი დააღწია, ერთი ღრმად ამოიხვნეშა და ენა გამოაგდო. ამით დაგვიმტკიცა, რომ, თუ რამე საქმელი ჩქარა არ მომაწოდეთ, ეს არის, შიმშილით სული ამომძვრებაო! ამ დროს კიკოლიკიც დუქნიდან გამოვიდა ნამძინარევი და ჰკითხა დათუნას: — ცხენებისა რა ;ქენიო? — შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, მთელი ცხენისპარია სოფელი შემოვიარე. ხან აქ ვეცი, ხან იქ მარა ხელოსანი მაინც ვერ მოვიგდე ხელში: ერთ მოსახლესთან რომ მივედი, მითხრეს, ყანაში მუშაობსო; მეორე მოსახლეს რომ მივადექი, ნაჩანიკთან წევიდაო მესამემ კიდო სულ სხვაგან გამასწაელა, არ იქნა, ის ოჯახ-დაქცეული ვერ მოვიკვლიე და ვერა! საძაგელი ქვეყანა ყოფილა, ბატონო. ეს ქვემოთი (ქვემო-იმერეთი)— დიდის სიმწუხარით ამოიხვნეშა დათუნამ და თავი გადააქნია. თვითონ ის ზემო-იმერეთიდან იყო. ეჰ. შე საწყალო! — უგემურის ღიმილით უთხრა კიკოლიკმა — შენ მაინც მაგრე იცი: ცხვირის წინ რომ გიდგეს, მაშინაც ძებნას დაუწყებ.

მართალია, დათუნა მოხერხებული კაცი ვერ ბრძანდებოდა, მაგრამ ხელოსნის გამოგდება თავის საბუნაგოდან გამოქნილს იმერელსაც გაუჭირდებოდა. ამ ქვეყანაში ხელოსანი, როგორც კი უფროსის სახელს გაიგონებს, კარში რომ იყოს, სახლში შევარდება, და მინდორში რომ იყოს, მაშინვე ტყისკენ გაქუსლავს, სადმე კურდღელივით გაინაბება და ათასი მეძებარიც ვეღარ გამოაგდებს თავის სოროდან. მეტად ეუცხოებათ ხოლმე საწყლებს უფროსის მოვლენა: ალბათ ბევრჯელ გამოუცდიათ იმისი მწარე დეზები.

დათუნა რომ ხეირს არ იქმოდა, ეს წინდაწინვე ვიცოდი. იმის მსხვილ-ძარღვებიან ხელფეხსა და მძიმე აგებულებას ზედვე ეტყობოდა, რომ ის კარგი ღონიერი მიწის მუშა ვაჟკაცი იყო, და არა ცქვიტი იმერელი მოსამსახურე. იმისთვის უნდა მიგეცა ხელში თოხი ან ნამგალი და გაგეშვა სამუშაოდ. ამისთანა საქმეში დათუნას ვერავინ აჯობებდა; მაგრამ ხელზე სამსახურისა, ე. ი. ლაქიობისა, კი რა მოგხსენოთ. მარდის სამსახურისათვის არც ხელფეხი მოსდევდა და არც მსხვილი ტანადობა. წლოვანებით დასერილ იმის შუბლს ეტყობოდა..

რომ იმ ნასერებში მძიმე შრომისა გამო ხშირად ჩამოდენილა ოფლის ანკარა. თვითონ სახეზედაც დათუნასთვის ცხელს მზეს სპილენძის ფერი გადაეკრა. ამ კავკასიის მთებში ის მალმალ შემომწუწუნებდა ხოლმე: — სადაური სად მოვდივართ!.. მე აქ რა მინდა? ეშმაკს თვალს არ უჩანს: ერთი რომ ფეხი გადამიცდეს ამ უძირო კლდეებში, ხომ ჩემს ძვალსა და რბილს კაცი ველარ ნახავს!.. თურმე კაცი რას შეეწრება თავის სიცოცხლეში!.. რავა მოვიფიქრებდი, რომ როდისმე ამისთანა ოლრო-ჩოლროში მომიხდებოდა სიარული. ღმერთო, ვინ მიხვდება შენს სამართალს!.. კლდეებში ტანტალი რა ჩემი საქმე იყო?.. ჩემი ხელობა თოხნა და მკაა. ამრიგად მოიგლოვდა თავის მდგომარეობას; მერე მომიყვებოდა, თუ როგორი ნამუშავარი მოდის იმათ მხარეში. „ეაი, სადა ვარ ახლა, რომ ჩემს ტარო-გამოღებულს სიმიდის ყანას არ ეუყურებ; რატომ ჩემს ყურებს არ ესმის იმის სისინი?..." სიმწუხარით წაიდუდუნებდა დათუნა. „ჯერ ახალი სიმიდი არ მიჭამია. წრეულს სიმიდს ვერ დაუდგა კარგი ამიდი. ერთობ გვალვა იყო ამ წელიწადში: სიმიდის ყანები სულ ჩაყვითლებული დავტოვე. მარაპურის სამდურავს ვერ ვიტყვი; მოგვცა სიცოცხლე. წრეულს იმას კარგი გამოსავალი ჰქონდა!" ამ უკანასკნელ სიტყვებს სიამოვნებით და თავის ქნევით წარმოსთქვამდა. პირველად იმისმა ლაპარაკმა საქმე გამიჭირა: წამის-წამ ერთსა და იმასვე ყურში ჩამძახოდა. მუდამ ნამუშავარზედ ლაყბობა ძალიან მომბეზრდა და თავის მორიდება დავიწყე; მერე-და-მერე ათასში ერთხელ თუ ჩამიგდებდა ხელში საღ-პარაკოდ, ისიც კარგი იყო; ამისთვის დათუნა უფრო ხშირად ამ-გვდევდა უკან ხმა-გაკმენდილი. მუდამ თელემაში იყო და გაუწყვეტლად თავს გვიკრავდა. ხან-და-ხან უეცრად თვალებს გამოაჭყეტდა და, უძირო ღრეებს რომ დაინახავდა, მკერდზედ მუჭს მიიბრაგუნებდა და მწუხარებით გამოიძახებდა: „ჰოიმე, ჰოიმე, ჰოიმე!..." მერე, როცა სამშვიდობო გზაზედ გამოვიდოდით, ისევ თელემას და თავის კერას მოჰყვებოდა. ერთხელ პატარა მთის ბილიკზედ მიედიოდით; მოვიხედე თუ არა უკან, დათუნამ შორიდან ისე მდაბლად დამიკრა თავი, რომ ცხენიდგან გადმოვარდა და ჯაგებში ჩავარდა. წვერ-ულვაშ-გაწეწილი დათუნა მსწრაფლად წამოხტა, პირზე ეკლები მოიშორა. ცხენი დაიჭირა და ზედვე შეედო. შევჩერდი. როცა დამიახლოვდა, ხუჭრობით ვკითხე: დათუნა იმ ჯაგებში რას ეძებდი, ხომ არ დაგკარგვია-რა-მეთქი. ამისთანა კითხვა დათუნას არაფრად იამა და უმადურად მიპასუხა: „ნეტაი შენ, რომ არაფერის ჯავრი არ გაწუხებს. ვიცი, ენაზე არა დაგადგება რა და ამ ჩემს გადმოვარდნას კიკოლიკსაც მიახარებ." გულში რცხვენოდა, ეს უხეირო შემთხვევა როგორ დამემართაო და შიშობდა, ეს ამბავი კიკოლიკს არ გაეგო. როცა მე

და კიკოლიკი დაეცინებდით დათვური მიხრა-მოხრისათვის, თუმცა არას იტყოდა. მაგრამ გულში სწყინდა. პაპანაქება სიცხეში ჩემს ნაბადს და ჩემს ჭრელს შრაფს იმას მივცემდი შესანახავად. ის ამ ჟამით სარგებლობდა. თუმცა სიცხე ზურგში ალიმუღს გვადენდა, მაგრამ დათუნას ხან-და-ხან კოხტაობა ისე მოუნდებოდა, რომ სიცხეს არ დასდევდა: ჩემს შარფს კისერზედ მოიხვევდა და იმის ჭრელს ფოჩებს გულზედ გადმოიკიდებდა, ნაბადს წამოისხამდა და თითქოს გულში ამას ამბობდა: „კარგი ჩაცმა მე-კი არ დამშვენდება თუ? ახლა ამ შარფში და ნაბადში რათი მჯობია კუდაბზიკა?“ ეს ახირებული მისი ხასიათი მე კი არაფრად მომწონდა, სწორეთ შოგახსენოთ, იმის ოფლიანი კისრისაგან ჩემ შარფს ცუდი სუნი დაედინა. რამოდენსამე ხანს შემდეგ იმის პომადით ჩემი შარფი ასეთნაირად გაიმურა, რომ მეტი გზა არ მქონდა, დათუნას ვუთხარი: „შენი შენთანვე იყოს“-მეთქი და შარფიც ვაჩუქე. დათუნას სხვანაირად მორთეაც უყვარდა. დილ-დილობით გამოღვიძებას ვერავინ მოასწრებდა. ჯერ კიდევ მზის სხივი არ იქნებოდა გაბნეული ცვარით ჩამარგალიტებულს მინდორზედ. ისე ხევის ნაპირას იდგა და პირზედ წყალს იშხაფუნებდა, მერმე ჩოხის ან ახალუხის კალთით პირს შეიწმენდდა. მოჰყვებოდა თებოიანი ხის სავარცხელით თმისა და წვერ-ულვაშის ვარცხნასა; ულვაშებს გაიწკიპინებდა, ბოლოებს მოუგრეხდა, იქით და აქით რგოლებს გაიკეთებდა; მერე ლურჯი გამურული ულვაშსაკრით აიკრავდა. ხშირად ვეტყოდი ხოლმე: — ვაი, მაგ ულვაშების ბრალი შენს ხელში. მე რომ მაგათ ადგილას ვიყო, აქამდის სადმე გაგექცეოდი. ულვაშების მაგდენი გრეხა და გლეჯა როგორ იქნება-მეთქი. — „კაცს ვაჟკაცობა ულვაშებში შეეტყობაო — მიპასუხებდა: — ღმერთს ულვაშები საშვენებლად მოუცია; ისიც რომ კარგად არ შევინახო. რა კაცი ვიქნები! კაი დეემართოს, კირგს ის შვებოდეს, ვინც ულვაშებს იკნაჭავს და იპარცავს!.. იმას კაცს რავა დოუძახებ? ის ქალიაო“. დილით ულვაშების აკვრა და წვრილ-ტარიანის ჩიბუხის წევა ძალიან უყვარდა დათუნას. გძელი თუთუნის (თამბაქოს) ქისა მუდამ უკან სარტყელში ჰქონდა ჩაბნეული და, თუ არ სწევდა, ეს წვრილ-ტარიანი ჩიბუხი თუთუნიანს ქისაში ედვა ხოლმე.

მიხვრა-მოხვრაში დათუნა მართლაც დათვის მოდგმისა იყო. იმასთან ახლოს მიკარება მეძნელებოდა; მაშინვე ან ფეხს დამადგამდა ან იდაყვის თავს გვერდებში მითავაზებდა. დათუნას ერთი საქმისათვის ძალიან ვებრალებოდი. ჯორს ნახევარჯერ სულ ის მიკაზმავდა ხოლმე და ჩემს ბარგზედაც თვალყური ეჭირა. ერთხელ გზას მივეჩქარებოდით და ჩემს ჯორს მე თვითონ ვკაზმავდი. მოსართავი რომ მოვუპირე, ამ დროს დათუნაც გვერდით ამომიდგა, უნდოდა, ჩემი

ჯორი თვითონ შეეკაზმა, მაგრამ, როგორც კი დაიძრა, მექეკეზე ფეხი დამადგა. — დათუნა, დათუნა, ფეხი, ფეხი აიღე, თორემ, ეს არის, მოვკვდი! — შევკივლე გამწარებულმა და წავიქეცი. ფეხის ნეკის ტკივილისაგან გაბრაზებულმა წიხლი ვუთავაზე. იმან ფეხი ფეხზე შოირტყა, წაბორძიკდა და ეს ვეება კაციც თავზე დამეცა. — „აი, გაგიწყრა შენ ჩემი წმინდა გიორგი!“ — გაჯავრებით მივატანე. — შე დალოცვილო, რა არის, რომ მიდღეჩი ჩხიკინს არ მოიშლი? — წამოდგომაზედ წაიდუდუნა დათუნამ. — თუ აგრეა, სულაც აღარ მოგეკარები, აღარც ჯორს შეგიკაზმავ და არც შენ ბარგს ყურს ვუგდებო.“ მე უნდა გავწყრომოდი და პირიქით იმან დამიწყო ჯავრობამას კი აღარ ეძებდა, რომ ოხერმა კინაღამ ფეხის ნეკი მომამტვრია...

თუმცა ამისმა დათვურმა ყოფა-ქცევამ გზაზე ბევრი უსიამოვნობა გამოგვარონინა. მაგრამ მუშაობით გამხნევებულს იმის სახეზე რომ შეგეხედნა, არ შეიძლებოდა, პატივი მაინც არ გეცა. ის თავის წინდაუხედავობით და მიუხდომლობით ხშირად აჯავრებდა ხოლმე კიკოლიკს. ესეც თუმცა ძალიან თაფლი-კაცი იყო, მაგრამ ხან-და-ხან ველარ მოითმენდა და შეჰყვირებდა; მაგრამ დათუნა ფილოსოფოსურად სახეს არ იცვლიდა; ის მხოლოდ ჩუმად დაიწყებდა კვნესას., თითქოს ნანობდა: კიკოლიკის საწყენი საქმე რად მომივიდაო. დათუნა რომ ცხენზე იჯდა, კიკოლიკისა იყო, და ამ ცხენის სიყვარული იმას გულში ჩავარდნოდა. ის ხან-და-ხან მიჩურჩულებდა: — იქნება კიკოლიკმა ეს ცხენი მაჩუქოსო. თურმე დათუნას ამისთვის უფრო ეპირა თვალ-ყური ჩემს ჯორზედ: იცოდა, მეც გამოსადეგი კაცი ვიყავი მისთვის. — ვითომ არ მერგება თუ? მკითხავდა დათუნა. — რაც მე ამ უძირო ფხრეწებში (ღრეებში) შიში და წვალება გამოვიარე. ერთ ცხენად არ ღირს თუ?.. ჩემი შარფი რომ დაისაკუთრა, ცხენიც ის რიგადვე უნდოდა დაესაკუთრებინა და ამის გამო ხშირად მეხვეწებოდა, კიკოლიკთან ცხენი გამირიგეო.

VII.

თითქმის სამხრობამ მოაწია და ჩვენ კიდევ ცხენი-პარიას სოფლის დუქანთანვე ვიყავით დაბარგებული. ხელოსნის უნახაობამ ერთობ დაგვაღონა. ცხენები არსად გვყავდა და ვერც დავიძროდით. ჩვენი ბარგი ძალიან მძიმე გამოჩნდა. რაც თან მოგვქონდა, ერთი იმდენი და მეტიც ხიდთან დაგვახვედრეს სვანებმა, რომელნიც ჩიკოლიკის ხლებულნი იყვენ და ჩვენზედ ერთი დღის წინად წამოსულიყვენ. ორი სხვა ცხენი კიდევ დაგვჭირდა; მაგრამ სად იყო? გვეშინოდა, ამ ადგილზედ არ შემოგვლამებოდა. ამ დაღონებაში რომ ვართ,

ერთი ტალახში ამ.ითხუპნული იმერელი მოგვეპარა და განზედ დადგა; თავის კურტნიანი ცხენი დუქნის წინ სვეტზე მიაბა. მეორე კურტნიანი ცხენი მეორე დუქანთან გაჩნდა. ეს იმერელი იყო გლახათუბნიდან. გლახათუბნელს ეცვა ნარინჯის ფერი დაკონკილი შალის ჩოხა. ჩოხის ბაფლეთები ერთი ერთმანეთზე თეთრი სელის ძაფით ჰქონდა აკინძული: პირველ შეხედვაზე იტყოდი, ალბათ ჩვენს წინაპრებს, ადამს და ევას. ამ გლახათუბნელსავით ფოთლებ აკონკილი სამოსელი უნდა ცმოდათო. შორიდან გლახათუბნელის ჩოხა მართლაც გამხმარი ფოთლებისა გეგონებოდა. ტიტველა წვივები ამას მუხლამდის ჰქონდა აკაპიწებული (დაკარწახული) და კანჭები სქელი ტალახის ქერქით შეემოსა, თავზედ ჩალის შლაპა (*) ეხურა და შლაპის ქვემოდან ცეცხლივით თვალებს აბრიალებდა. მაშინვე იტყოდი, ეს გაიძვერა ვინმე უნდა იყოსო. იმისს გარუჯულს სახეზე შავად წამოზრდილს წვერულვაშს მგლოვიარების ბეჭედი დაესვა. ის მართლაც მძიმეთ გლოვდა რაღასაც და ეს რაღაცა იყო მთელი იმისი მოუსვენარი ცხოვრება. ზედვე ეტყობოდა, რომ გლახათუბნელს წარსული თავისი სიცოცხლე სულ ჰაპანწყვეტაში ჰქონდა გატარებული. თითქოს შეუბრალებელს გარემოებას ნდომებიაო ამისი დაჩაგვრა და წელში გატეხა, მაგრამ გატეხის მაგივრად იმისი ზნეობითი მხარე წნელივით მიქნილ-მოქნილიყო. გარეგანის უსამართლოებისათვის გლახათუბნელს უსამართლოებითვე გაუცია პასუხი — მითი, რომ ის თვითონვე შექნილა უსამართლო და გაიძვერა. იმაზედ მუდამ თვალყური უნდა გეჭეროდა, რომ ან არ მოეტყუებინე და ან რამე შენთვის არ წაეგლიჯა...

ის ჩვენ შორი-ახლოს დადგა დუქანთან. მაშინვე შეატყობდი, რომ იმას ჩვენგან რაღაც უნდოდა.

— შენია ეს ცხენები, აქანა და იმ დუქანთან რომ აბიან? — ჰკითხა მას კუდაბზიკამ.

— აგი ერთი ჩემია და ის, იქინა რომ აბია, ლეჩხუმელისაა, — მიუგო გლახათუბნელმა.

— შენ სიდოური ხარ?

— მე გლახათუბნელი ვარ.

— გვაქირავე შენი ცხენი, კაი ფასს მოგცემთ.

— სა მიბძანდებით?

— ჩვენ შორე გზა გვაქ. მაგრამ შენი ცხენი მარტვა თეთრ კოშკამდის დაგვჭირდება.

(*) იმერეთში პურის ღერისაგან აკეთებენ შლიაპებს.

თეთრი-კოშკი არის ერთ ჭალაზედ მდებარე სოფელი. ეს სოფელი უწინ დადიანებს თურმე ძალიან ჰყვარებიათ. იქ იმ დროს გაცოვებული ხის სასახლე იდგა უწინდელი დადიანებისა.

— უუჰ! — დაიყვირა გაკვირვებით გლახათუბნელმა. — იქინა მე და ჩემს ცხენს რა გაგვიყვანს? მე და ჩემი ცხენის მოკელა გდომებიათ და ისაა! იმისთანა პილწი გზებია, რომ რას მიბძანებთ?... იქინა არ მოვკლა ჩემი ცხენი, აქანა ცხენისწყალში ჩავახჩოფ და ის იქნება!.. აჰ. მაგი ჩემი საქმე არაა. მაგას იგი მირჩევნია, გლახათუბნისაკენ გოუდგები. სინემდის თეთრ-კოშკს ჩევიდოდე, ხუთჯენ მაინც ჩევიტან ღვინოს ქ — ს... გლახათუბნელი გაგვშორდა და მეორე დუქანთან მივიდა. ხუთ წამს არ გაუელია, ის ისევ მობრუნდა და თან ლეჩხუმელი მოიყვანა. ლეჩხუმელი იყო პატარა, მაგრად ჩასხმული ბიჭი, ქერა და თაგვსავით თვალებ-გამოკუსული. რომ შეგეხედნა, იტყოდი, იმის ნიკაპი პირის-სახეს ჩაუღლაპავსო. თავზე თეთრი ყაბალახი ეხურა და ყალიონს (ჩიბუხს) სწევდა. ის იყო ახალგაზრდა. პირზედ წვერ-ულვაში ამოსდიოდა.

— იქინა რომ კურტანიანი ცხენი აბია, ის შენია? — მეორე დუქნისკენ თითი გააშვირა კუდაბზიკამ და ჰკითხა ლეჩხუმელს.

— ჩემია. — უთხრა ლეჩხუმელმა.

— თეთრ-კოშკამდის ვერ გვაქირავეფ?

— რატომ არა, თუ კაი ფასს მომცემთ.

როგორც ეტყობოდა, გლახათუბნელს ჩაეგონებინა. ახლა შენ მიდი და ფასზე მოელაპარაკე, თორემ მუშტარი დაგვეკარგებაო; თვითონ კი პირველადვე ასეთი უარი სტკიცა კუდაბზიკას, რომ ჩვენთან მოსასვლელი პირი აღარ ჰქონდა. ახლა გლახათუბნელი განზედ იდგა და შორიდან ეშმაკივით თვალებს აბრიალებდა. იმის გასაგონებლად და გასაჯავრებლად კუდაბზიკამ უთხრა ლეჩხუმელს·

— აპა, ძალიან კაი. იმდენი ბარგი არც კი გვაქვს: ჩვენს ბარგს ერთი ცხენიც ეყოფა.

— რაა თქვენი ფასი?... — ჰკითხა ლეჩხუმელმა კუდაბზიკას.

— შენ ნუ გეშინია. კაი ფასს მოგცემთ და კიდოც კარგად გაკმევთ.

— მაინც რამდენს მომცემთ?

— ორ მანათს; მეტი რა გინდა. მამაჩემი ნუ წამიწყდება, ძალიან კაი ფასია.

— აჰ. ორ მანათად რაება იქნება? ამისთანა გლახა გზებში ორ მანათად ცხენს რაება მოკლავ?... — ლეჩხუმელი გაბრუნდა და გლახათუბნელიც თან გაჰყვა.

— ბიჟო, შენ, გეიგონე, ორ მანათს და ერთ აბაზს მოგცემ. — დაუყვირა კურაბზიკამ.

— ეჰ, რა გეეწყობა, სამი მანათი მაინც მომეცით. — სთქვა ლეჩხუმელმა და ისევ ჩვენთან მობრუნდა.

— თუ გინდა, ორი მანეთი და ექვსი შაური წეიღე, თუ არა და გამეცალე, დეიკარგე აქედან! — წყრომით შესძახა კუდაბზიკამ.

— ბატონო, წყრომა რა შენი საკადრისია! აპა, ორი მანათი და ორი აბაზი მაინც მომეცით, და ისიც ნუ დაგავიწყდებათ, ღვინო ბრეული მასვით.

როგორც კი ეს სიტყვები გაათავა ლეჩხუმელმა, ასეთი ნიდაყვის ოავი იგრძნო გვერდებში გლახათუბნელისაგან, რომ ლეჩხუმელი ერთ ადლზედ გახტა. — ჰატ, შე სუნელო, შენ! — წაილუღლუღა გლახათუბნელმა. — ცოტა კიდო რომ მოგეცადა, რა გიჭირდა, შე საწყალო. აპა. აქანა მაგენი ცხენებს სად იშონიდენ? სამი აბაზი ტყუილა მეც დამაკარგვიე და შენც, — უთხრა წყრომით გლახათუბნელმა. გაშორდა ლეჩხუმელს და თავისი ცხენიც თან წაიყვანა. კიკოლიკს იმედი დაეკარგა, ვაი-თუ მართლა გლახათუბნელმა იმ ფასად ცხენი არ გვაქირავოსო, და დაუყვირა, რომ მობრუნებულიყო; უნდოდა ქირა მოეგატებინა, მაგრამ კუდაბზიკა მეტად გაცხარდა: „რას ამბობ!.. ბატონო. მაგი რავა იქნება! მეტს რეიზა აძლევთ?... რავა შოუძლია, რომ მაგან ცხენი არ გვაქირაოს, მაგრე ადვილია ქირის შონა თუ?.. ჩვენ რომ არ ყამოგვყვეს, ერთ თვეს ისთე იქნება, რომ კაპეიკს ვერ იშონის. ჩალანდრების ამბავი კი ვიცი. მაგენისთანა გაღლეტილი კაცები არაა ქვეყანაზედ. შენ ნუ მოუკვდე ჩემ თავს, თუ ცოტა მეიცთით, პირიქით შეგვეხვეწება“.

ცოტახანს შემდეგ გლახათუბნელი ისევ დუქანთან მოგვეპარა. გულში იფიქრა, მართლაც ბარგი მაგდენი არ არის რაო; ცხენიც არ გამელახება და არც ქირაა მაინცა და მაინც ცოტა. გლახათუბნელი რომ დაინახა კიკოლიკმა, ვეღარ მოითმინა და განუმეორა: „რას დგეხარ, რატომ ცხენს არ მოიყვან? ქირას კარგს გაძლევთ, მეტი რა გინდა.

— არა, ბატონო, სამ მანეთ ნაკლებ ვერ წევიღებ. ერთჯენ არ გამიელია ამ გზებზე და ორჯენ. ტყუილა ცხენი გემელახება და ქირაც მაგდონი არაფერია, თქვა გლახათუბნელმა.

— ბიჟო, შენ ჩემი სიტყვები არ გესმის? ორ მანათს და ორ აბაზს გაძლევ. თუ გინდა წეიღე, თუ არა და რატომ დგახარ აქანა? გინდა ამ მათრახით შეგიწითლო გვერდები, თუ რავაა შენი საქმე? ვინ გგონივართ! შენი ტოლები ვართ თუ?... უყურე ახლა ამ ყურუმსაღს, ამას!... გასწი, გეეთრიე! — დაუყვირა კუდაბზიკამ და მეტისმეტი გაჯავრებით ცხვირპირი აენთო.

— ორ შაურს კიდევ მოგიმ....

— ბატონო მაგი რავა იქნება? — სწრაფად უთხრა კიკოლიკს კურაბზიკამ. — ყაძახს (გლეხს) თავს რავა გაუცვლი! თუ მაგის ნებაზე მიუშვი მაგი, მთლად ქუთაისს მოინდომებს.

— არა, ბატონო, მაგიც ძალიან ცოტაა! — წაიდუდუნა ცხვირში გლახათუბნელმა.

მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ ცხენი მაინც მოიყვანა.

ჩემოდნები ისე დიდები არა ჩნდენ, თუმცა სიმძიმე სამყოფი ჰქონდათ. როგორც-კი გლახათუბნელმა ჩემოდნებს მისწი-მოსწია. მაშინვე დაბალის ხმით ჯავრობა დაიწყო: „აჰ, ამაშიც-კი მომატყუეს!.. ამისთანა მძიმე რომ მგონებოდა. რავა გოურიგდებოდი ასეთ ცოტა ფასათ“. მერე იმან და ლეჩხუმელმა დაიწყეს თანასწორად გაყოფა მთელი ბარგისა. გლახათუბნელმა ჭინჭყლიანობა დაიწყო. წამის-წამს უჯავრდებოდა ლეჩხუმელს, შენ ცოტა ბარგი დაიტოვე და მე-კი ბევრი მარგეო. „უჰ, შე სულელო, შე უქკუო, დღეს შენ წამიხთინე საქმე: შენ რომ არა, მაგენს სამ მანეთზე ნაკლებს რავა დავჯერდებოდი!“ გულდაწყვეტილი ეუბნებოდა ლეჩხუმელს. გლახათუბნელის ლოყები და ცხვირი ნათლად ხატავდენ იმის შინაგან მღელვარებას, ის იყო მთელს ქვეყანაზედ გაჯავრებული და წამის მოსვენება არ ჰქონდა. ყოველთვის სწუხდა. მთელს ჩვენს მგზავრობაში ის ერთხელ მეტად არ მინახავს გაღიმებული და მაშინაც იმის თეთრი ,ბილები შავს წვერ-ულვაშთან და ჩალურჯებულს თვალებთან ერთად თითქოს მთელ ქვეყანას დაგლეჯას ემუქრებოდა...

ცხენი-პარიას სოფლის დუქნიდან რომ აეებარგეთ სამხრობაზედ გადასული იყო. წინათ თეთრად გაპენტილი ღრუბლები უეცრად მთელ ცას გადაეფარა, ფერი შავად იცვალა და გამოუშვა ჭექა-ქუხილი; მოშორებით მეხი გავარდა და მსხვილმა კოკურმა წვიმამ დაგვიშინა. გლახათუბნელს კვნესა და ჯავრობა არ გაუწყვეტია: ის ხან თავის გაჩენის დღეს იწყევლიდა, ხან სწუხდა, თუ რად წავყეევი. ჩვენ მივდიოდით მთის ბილიკზე და ალაგ-ალაგ დასველებულმა ქვის სიპმა .საქმე გაგვიჭირა; ცხენები ფეხს ვერ იმაგრებდენ. წვიმა ორ საათს მეტს უწყალოდ გვცემდა თავში და ბეჭებში. ისე დავსველდით, რომ ძვლამდის გაგვატანა, ბოლოს ცუდი ამინდიც დაწყნარდა და საღამოს ჟამს დასავლეთით მზემ ერთხელ კიდევ თვალებში შემოგვაჭყიტა, თითქოს დაგეცინოდა: თქვე საწყლებო, წყალში ნათრევს კნუტებსავით როგორ ამოწკუპნულხართო! სერზე სოფელი გამოჩნდა. საღამოს იმ სოფლის ხელოსნისას დავეცით ბინა.

იმისთანა თქვენს მტერს, კუდაბზიკას ვირთაგვა ცხენს რომ ამ გზაზე საქმე მოუვიდა! იმან უეცრად პირზე ქაფი მოიგდო და თავის

მხედრიანათ მიწაზე ტყეპა გაადინა. ამ მოულოდნელის შემთხვევის გამო კუდაბზიკას თავისი ამაყობა სულ გაეპარა. ის შიშით, ცხენი არ მომიკვდესო, ასეთნაირად გაწერილდა, რომ საცერის რგოლში გაძვრებოდა. სიმწუხარით ქვედა ლაფშიც ჩამოაგდო; თვალები უწინდულად ვეღარ გამიმართა: გონებაში ვამბობდი, სადღაა შენი ქედუყრელი ამაყობა და თავმოწონება? მაგისთანა ცოტა საქმემ ეგრე როგორ დაგცა, ჩემო კუდაბზიკა?! საწყალი მწუხარებით მეუბნებოდა ხოლმე: „დედა, რა მეშველება. ჩემი ცხენი რომ მომიკვდეს!.. უბედურება იგია. რომ საყიდელ ცხენსაც ვერ იშონი ამ საძაგელ ადგილს...“ ალბად, საწყალი ღმერთსაც შეებრალა: მეორე დღეს იმისმა ცხენმა ისევ ყურები აცქვიტა. თურმე ნუ იტყვი, ამ ვირთაგვა ბედაურს მუცელი სტკივებოდა. როგორც სჩანს, იმერეთში კაცსა და ცხოველს სულ ერთი და იგივე სენი აწუხებს.

VIII.

სოფელს მწირისუბანს რომ მივედით, საღამო შეიქნა. გიორგი სვანი ხელოსნისას მიგვიძღვა. სახლის პატრონი შინ არ დაგვხვდა, მაგრამ ვინც იყვენ. კარგის გულით მიგვიღეს. ხელოსანი ესახლა შუაგულს ტყეში, ერთს მთის ფერდზე. იმისი სამოსახლო მაღალის წიფლისა და წაბლის ხეებში იყო ჩამალული; ეზო-კი ანწლითა და გვიმრით (ჩადუნათი) იყო გავსებული. ჩვენ შეგვიყვანეს სასტუმროში. ეს იყო ახალი ფიცრის სახლი. სარის ღობე შიგნით სასტუმროს ორ ნაწილადა ჰყოფდა: ერთი ზღვეთი იყო მოგებული და ბაგაზე ცხენები ება. ამის გამო თითონ სასტუმროში სუნნელოვანი ბოლი იყო გამდგარი: თუმცა ეს ბოლი ჩემ ცხვირს ძალიან ემლაშა, მაგრამ გლახათუბნელისა და ლეჩხუმელისთვის რომ გეკითხნა, ამისთანა კარგი სუნი თუ რასმე აუდინდებოდა, არ ეგონათ. სასტუმროს მეორე ნაწილზე კედლებთან, ერთმანეთის პირდაპირ, ორი ტახტი ჩაუყვებოდა. რომელი ტახტიც უფრო განიერი იყო, ის ხალიჩებით და ფარდაგებით მოჰფინეს. საფენები ზოგი სახლის პატრონისა იყო, ზოგი ჩიკოლიკისა და კიკოლიკისა. ამ ტახტზე ხელმწიფურად განისვენებდა ჩიკოლიკი და.იმის მახლობლივ კიკოლიკი. ხელოსნის სახლობა ძალიან ფაცა-ფუცში იყო. ძველი გამურული და გამქვარტლული სახლიდან წამის-წამს მოისმოდა კარების ჭრიალი, კაცის და ქალის ხმა და აგრეთვე ძუძუ-მწოვარი ყმაწვილის ტირილი. ჩიკოლიკმა მუთაქაზე ნიდაყვი დააბჯინა, ტალახიანი ჩექმები წინ გადმოაშვირა. ერთი ლაზათიანი დაამთქნარა, პირზე ხელი წაისვ-წამოისვა და დაიძახა: „ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰ! როგორ დავიწუწენით, ამისთანა წვიმა მე ჯერ არ მინახავს.“ — „იმდენი რა

გი:ბრა, რამდენი უარესიც გენახოს ამ მთებში! შე ოჯახქორო. სულ ამ მთებში არ დადიხარ!.. მგონია, ათასჯელ მაინც გაგივლია და გამოგივლია. შარშან რომ ამ მთებში წვიმა იყო, წრეულს (ამ წელს) იმის ნახევარიც არ არის!" წაილუღლუღა ჩუმათ გლახათუბნელმა და პირიდან ჩიბუხი გამოიღო. ტალახით გათხუპნული ფეხები თბილ ნაცარში ჩაეწყო და ალზე ხელებს უფიცხებდა. მოვიდა თუ არა. იმან მაშინვე დაიყვირა: „ცეცხლი, თვარა, ეს არის, მთლათ გეეყინეთ!.. ოჰ. ღმერთო, შენ დააქციე ეს ქვეყანა და (დაბალი ხმით) იგიც, ვინცლამ აქეთ წამომიყვანა!.. ბიჭო, არ გეყურება შენ!.. წადი, ახლათ-ახლავე ცეცხლი მეიტანე, თვარა, ეს არის, მოგკალი!.." — შეუტია პატარა ბიჭს, რომელმაც იმ დროს ძველი სახლიდან თავი გამოყო. გლახათუბნელისთვის რომ შეგეხედნა, მართლაც შეგეცოდებოდა. დაგლეჯილი ჩოხა ფოთლებსავით ტანზე დაკეროდა. წვერ-ულვაშ ჩამოწკუმპლული სწორედ წყლის ქაჯი გეგონებოდა. როცა კერას ხმელ შეშას აყრიდენ, ის სიხარულით ამხნევებდა ბიჭს: „აი, შენ დოურჩი (ნუ მოეშალე) შენ დედას!, ბიძაშვილობამ, ძალიან დავსველდით! ჩემი პერანგი სუნთლად მთხლესავით წავიდა... კიდო მეიტანე, ძამია, კიდო მეიტანე. ნუ გეშინია, შეშა ბრეულია..." კერაზე დიდი ცეცხლის ალი ავარდა, მსხვილი მუხისა და წიფლის ხეები ბლომად დააყარეს. შეშის ტკაცანმა და ცეცხლის ბრიალმა გაყინულებს სული ჩაგვიდგა. ხეებზე კერის მახლობრივ ოთხი სვანი შესკუპდა; გლახათუბნელის გვერდით ლეჩხუმელი იჯდა. იმათ ზურგს ორთქლი სქლად ადიოდა. ამ დროს ერთი პატარა ბიჭი, თავშიშველი, უნიფხო და პერანგის ამარა ჩვენთან შემოძვრა; ხელში ცოცხი ეჭირა.

— აპა, დახვეტე, შენ გაზდას. თვარა მგონია, ერთი კვირეც არის, რომ არ დახვეტილა ეს სახლი! — უთხრა დათუნამ, რომელიც ამ დროს გლახათუბნელის ზურგის უკან იდგა და ხელები ალზე ჰქონდა გაწვდილი. ის ასეთი მრისხანებით უბრიალებდა თვალებს გლახათუბნელსა, რომ მაშინვე მიხვდებოდი, რასაც გულში ჰფიქრობდა: „აპა, თუ აქვს სვინდისი ამ ტალახიანს კაცს! ხომ იცის. რომ იმის ზურგს უკან ვდგევარ, რატო არ ჩამომეცლება?" მაგრამ გლახათუბნელი ყურსაც არ აპანტურებდა. იმან იცოდა, თუ დათუნა რა ღირსებისაც იყო. „ცხენით რომ მოეთრევა, ამიტომ დოვუცლი (დაუთმობ) ადგილს თუ?... „პატარა ბიჭმა მიწას სქელი ბოლი აადინა. მეტი გზა არ იყო, გლახათუბნელი და სვანები უნდა ჩამოცლოდენ. ეს დრო დათუნამ აირჩია გასაწყრომად:

— ადე. კაცო! ვერ ხედავ, რომ ნაგავი გეყრება, ღველფში რას ჩაგიყრია ტალახიანი ფეხები! არ იცი, შენ პირდაპირ ვინ ჯის? შენი ადგილი რატომ არ იცი?

— ჰო, რაა?.. რას ყვირი? ვინცხაა, ჩვენც კარგად ვიცით. მაგ-რამ გაშრობას მაინც არ დაგვიშლის! (მდაბალი ხმით) ვინც უნდა-იყოს! ვინ არი და ჩიბურდანიძე!.. ჩინონიკი არ მინახავს თუ?.. უყურე ახლა ამ ყურუმსაღს! ტყულა-კი არ ამბობენ, ყაძახი (გლეხი) ცხენზე შეაჯდინე და ღმერთი დაავიწყდებაო. იმას ჰქგონია, რომ იმაზე უა-რესი ვიყო! — ჩუმად წაიდუდუნა გლახათუბნელმა და კერიდან ადგა. დათუნამ იმისი ადგილი დაიჭირა. გლახათუბნელი მეტად გაჯავრდა ამაზე, მაგრამ მაინც ვერა გაამხილა-რა, რადგან დათუნას კიკოლიკის შეწევნით ზურგი მაგარი ჰქონდა. ამ დროს ლეჩხუმელმა დაიყვირა:

— არიქა, არიქა, საქვაბე დეიწვა, საქვაბე!... — მართლაც ხე-ლი სტაცა კერაზე ჩამოკიდებულს ხის კავსა, ჩამოიღო და ნაცარში შეხვია, რომ კავზე ცეცხლის ალი გაექრო.

— მამაშვილობას, როცა დაჰკიდო, ზეით ასწიე, თვარა ცეცხლი კიდო გოუჩდება! — უთხრა ხელოსნის ძმამ ლეჩხუმელს. ლეჩხუმელი ბევრი ეწვალა, ფეხის წვერებზედაც შედგა, მაგრამ ტანმორჩილობის გამო ვერა გააწყო-რა, კავი ზევით ვეღარ დაჰკიდა.

— ჰატ, შე გლახა! მომე აქ, თუ არ შეგიძლია, რეიზა ეპოტი-ნები (ეჩრები)! — გლახათუბნელმა გამოგლიჯა კავი ლეჩხუმელს და რიკით კარგა მაღლა ჩამოჰკიდა.

ასეთი უმთვარო ღამე იყო, რომ კაცი თვალთან თითს ვერ მიი-ტანდა. ეტყობოდა, რომ ღრუბელი ცას სქლად გადაჰპენტოდა. წი-ნათვე ვიცოდი, რომ მეორე დღესაც წვიმა არ მოგვასვენებდა. სასტუ-მროს მეორე კუთხიდან ცხენების ხრაშუნი მოგვესმოდა, რადგან ჩალა და ბზე ბლომად ჰქონდათ. ჩვენც დავშრით და ვახშმის მეტი არა გვა-კლდა-რა. ცალ გვერდზე განისვენებდა ჩიკოლიკი და იმასთან კიკო-ლიკი. შორიდან რომ ჩიკოლიკისთვის შეგეხედნა, იტყოდი, გაბერილ ტიკისთვის სერთუკ-შარვალი ჩაუცმევიათ და ზედ კაცის თავი დაუ-დგამთო; კისერი მხრებში ჩავარდნოდა და ტახტზე კოტრიალობდა. იმისი გაღაჟღაჟებული ლოყები და მსხვილი გადმოვარდნილი თვა-ლები ასეთს დიდს გულისთქმას გვიცხადებდენ, რომ ის მზად იყო, ჩაენთქა მთელი ქვეყნის გრძნობიერი სიტკბოება. ჩიკოლიკმა ენა აიდ-გა. იმან და კიკოლიკმა დიდხანს იბაასეს სამეცნიერო საგნებზე. მე შევატყვე, რომ ჩიკოლიკს ძალიან შეჰყვარებიყო ფრანცუზის ისტო-რიკოსი და ფილოსოფოსი გიზო. ამ მწერალს ის დიდი პატივის-ცე-მით იხსენიებდა: „გიზო ძალიან კარგი ისტორიკოსია. თქვენ ხომ გი-კითხავთ იმისი თხზულება. იმისი ლექციები სორბონში? ოჰ, რა მშვე-ნიერია! ოჰ, რა ღრმა აზრებით არის ავსებული იმისი თხზულება!“ ამისთანა სიტყვებს უხვად აფრქვევდა ჩიკოლიკი. „კარგი,“ „მეტად შვენიერი,“ „ფრიად მოსაწონი,“ „ღრმა შეხედულება“ და სხვა მრა-

ვალი ამისთანა მაღალი ფრაზეოლოგია წყაროსავით გადმოსდიოდა პირიდან ჩიკოლიკს.

როგორც-კი გიზოს სახელი მომესმა, მაშინვე თვალები გამოვაპყიტე და ჩიკოლიკთან ახლოს მივჯექი: მინდოდა შემეტყო, თუ სახელდობრ რის გამო ეძახოდა ჩიკოლიკი გიზოს ღრმა აზრის მწერალს. ბევრი ვეცადე, მაგრამ, რაც მინდოდა, მაინც არ ამისრულდა. მე ეს მაწუხებდა, რომ კაცს ასე საშინლად აქებდენ და რისთვის აქებდენ, ის-კი ვერ შევიტყე; ამ გვარმა ფილოსოფიურმა მსჯელობამ თითქმის ერთი საათი გასტანა.

გიზოს გარდა, ჩიკოლიკის წყალობით, სხვა შესანიშნავმა ევროპელმა მწერლებმაც გამოჰყვეს თავი მწირისუბნის ხელოსნის სასტუმროში. ჩიკოლიკმა ეს მწერლებიც ქებით ცამდის აიყვანა, მაგრამ არც იმათი შრომა და ღირსება უჩვენებია ჩვენთვის, არც ასეთი რამ ამბები, რომ კაცი დარწმუნებულიყო, უთუოდ რამე წაუკითხავს ამ კაცების თხზულებიდანო. ამის გამო იმას თავისი მაღალი ფრაზეოლოგიით მხოლოდ ფუქსავატი მსჯელობა გამოსდიოდა. ჩიკოლიკი სწორედ ამას ფიქრობდა: „ვითომ რა საჭიროა იმათი მწერლობის გარკვევა და ღვაწლის საფუძვლიანად დაფასება. საქმე ის არის, რომ მე ამ მწერლების სახელი ვიცი, ზოგი იმათი თხზულება კიდეც მინახავს, თუმცა არ წამიკითხავს. ისიც ვიცი, რომ ეს მწერლები ევროპაში სახელ-განთქმულები არიან; მაშასადამე, მე მაქვს ნება, ვითარცა ჩვენ დროების განათლებულს კაცსა, დავიწყო იმათი ქება, რადგან რუსულს ჟურნალებშიაც ამავე მწერლებს ხშირად აქებენო“. ამ სულიერს თავის ფუქსავატს მსჯელობაში ეტყობოდა, რომ იმისი უმთავრესი წყარო განათლებისა მხოლოდ ჟურნალები და გაზეთები ყოფილან. ამათში მრავალგვარ საგნებზე სწერენ ხოლმე და თვითონ საჟურნალო სტატიის დამწერიც თავის ამორჩეულს საგანს იმ გვარად განიხილავს ხოლმე, რომ მკითხველი დაარწმუნოს თავის აზრზე და ეს აზრი იმას თავში ჩაუდოს. დამამტკიცებელი საბუთები ბევრი არ ექნება ამ გვარს სტატიას, მაგრამ საბუთები კი ამგვარი აქვს არჩეული, რომ ძალიან გაამართლოს მწერალმა თავისი აზრი და ამით მკითხველის გონება მიიმხროს. ჟურნალები ცდილობენ, რომ იმათი აზრი, რაც შეიძლება, ბევრმა გაიგოს; მაშ შესაძლებელიც არ არის, რომ იმათში ვრცლად და დაწვრილებით გამოცხადდეს ის სწავლა, რომელსაც თვითონ ჟურნალის სტატია შეეხება. ამის გამო საჟურნალო სტატია საფუძვლიანად და ვრცლად ვერ ასწავლის მკითხველს იმ მეცნიერებას, რომელზედაც სტატია ლაპარაკობს. ამგვარს სტატიებს მხოლოდ ის განზრახვა აქვს, რომ მკითხველებს შეაგონოს თავისი მიმართულება და გადასცეს საკუთარი შეხედულება ყოველ საგანზე. სტატიის დამ-

წერს ამის მეტი სხვა არა უნდა-რა. ჟურნალები ცდილობენ ბევრგვა-
რი საგნები გააცნონ თავის მკითხველებს, ცოტაოდნად მაინც. ბეჯი-
თად შეთვისება რომლისამე მეცნიერებისა მოითხოვს ხანგრძლივს
შრომას მარტოკა ამ ერთი მეცნიერების მისაღებად; ჟურნალები-კი
თავის დანიშნულებისა გამო ვერაოდეს ამას ვერ იკისრებენ. ამის
გამო რომელი კაციც მხოლოდ ჟურნალებით და გაზეთებით იმდიდ-
რებს თავის გონებას, იმას არავითარს საგანზე არაოდეს საფუძვლიანი
ცოდნა არა აქვს; იმას მხოლოდ საჟურნალო სტატიების აზრი უტ-
რიალებს თავში და ეს აზრი იმას დაურღვეველ ჭეშმარიტებად მია-
ჩნია და ისეთი დაჭეშმარიტებული ლაპარაკობს ყოველს საგანზე, რომ
გეგონება, ეს კაცი ცაში ვარსკვლავების მკრეფავი უნდა იყოსო. ერთი
დრამის ოდენა ცოდნა ყოველ გვარს საგანზე მიეღია და ამით ისე
გაამაყებულა, რომ ჰგონია, თითქმის ყველაფერი ვიციო; მაგრამ არა-
ფერი-კი მართლაც არ იცის და არც ერთს აზრზე მართლად დამ-
კვიდრებული არ არის. ამგვარი კაცები ჩიკოლიკსავით გაერთვიან
ყოველგვარს მსჯელობაში, მაგრამ იმის საბუთებს კი ნუ მოკითხავთ,
რა'ხედაც თვითონ ლაპარაკობენ. ისინი თავისი ფუქსავატი ენა-მჭევ-
რობითა თითქოს ამას გეუბნებიან: „მე ვიცი, რომ გიზო წარჩინებუ-
ლი და ღრმა აზრის მწერალიაო, ამისთვის რომ ევროპაში ყველანი
ამ მწერალზე ასე ლაპარაკობენო და რუსული ჟურნალებიც ამას
გვიმტკიცებენო. მეც ამ საბუთებით ვლაპარაკობ, სხვა საბუთები რალა
საჭიროაო." ამისთანა კაცებს ზედვე ეტყობათ, რომ ამათთვის საბუ-
თების ცოდნას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. რა აქვთ თავში და
რაც ენიდან წამოვარდებათ. ეს სულ სხვისაგან აქვთ მობერილი და
ეს მობერილობა, როგორც სჩანს, იმათთვის სრულებით საკმაოა. უბე-
დურება მხოლოდ ეს არის, რომ ამ გვარი გონების ფუქსავატობა სა-
ქმეშიაც ფუქსავატად ჰხდის ამისთანა კაცებსა. მანამ საქმე მარტო
სიტყვაზეა, ყოველი დიდი და კაცობრიობის სასარგებლო განზრახვა
თითქოს ამ კაცისაგან გამოდიოდეს. იმათი სჯა რომ მოისმინოთ, გე-
გონებათ, კაცობრიობის განათლების დღე მაშინ დადგა, როცა ქვე-
ყანაზე ამისთანა კაცები დაიბადენო. მინამ ამისთანა კაცებს სიტყვის
მეტი არა ეხარჯებათ-რა, თავისუფლების, განათლების და კეთილ-
მოქმედების წარმომადგენელნი ისინი არიან. მაგრამ, როდესაც მოქ-
მედებაზე მიდგება საქმე, მაშინ-კი რა მოგახსენოთ!.. როცა ცხოვრება
მოითხოვს ხოლმე იმათგან ცოტაოდენს მსხვერპლსა, როცა იმათ შეე-
მთხვევა ხოლმე საქმით ასრულება იმ აზრებისა, რასაც სიტყვით ამ-
ტკიცებდენ, მაშინ ამისთანა კაცებს თავისი მაღალი აზრები უეცრად
შემოაცვდებათ ხოლმე; მაშინ შენი თავისუფლება და ხალხის თვით-
არსებობის სურვილიც უკან მოიდევი; ეს კაცები ამ აზრებს მაშინვე

ხელიდან გააგდებენ ხოლმე და იქით გაიწევენ. სადაც კარგი და ტკბილი სამყოფია. მაშინ თუნდ მთელი ხალხიც წყალს წაუღია. იმის დარდი არაფრად აწუხებს იმათ. უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ახალი თაობა თითქმის სულ ამ გვარი კაცებისაგან არის შემდგარი და, სანამ ჩიკოლიკისთანა კაცები ჩვენი ხალხის წარმომადგენლებად ბრძანდებიან, მანამ ჩვენი ხალხიც მცონარეობაში იქნება.

IX.

ვახშამი მოგვიტანეს. მხოლოდ ამან გააწყვეტინა ჩიკოლიკს მაღალს საგანზე ლაპარაკი. ძალიან უკმაყოფილო დავრჩი. რომ ჩიკოლიკისაგან მრავალი სხვა-და-სხვა გვარი ქება მოესმა შესანიშნავს პირებზე და საბუთი-კი არც ერთი. რომ ეს პირები იმის ქების ღირსი ყოფილიყო, ვთქვი, უეჭველად როდისმე უნდა გამოვკითხო ჩიკოლიკს ეს საბუთები; იმ დროს ამის კითხვის რიგი არ იყო. რადგან ყველას ცხარედ გვქონდა მადა გაღვიძებული და ყველანი ნატვრით შევყურებდით ცხელს ღომსა, რომელიც ქვაბის საქვაბეზე ჩამოჰკიდეს, რომ ჩვენ ხელის ბანაში და ტაბაკების (ფიცრის სუფრების) მოტანაში არ გაცივებულიყო. ბიჭმა თუნგით ხელის საბანელი წყალი ჩამოატარა. ტაბაკები დადგეს. თავში დაბრძანდა ჩიკოლიკი. ბოლოს ლეჩხუმელი. ხელოსნის ძმა ჩოგნით ცხელი ღომის გუნდებს აკრავდა ტაბაკებზე. სვანებსა და გლახათუბნელს რომ გაუსწორდა, ღომის მიტანა აღარ იკადრა: ის გაისვრიდა ჩოგნით ღომის გუნდასა და. ვისთვისაც უნდოდა, პირდაპირ იმის წინ დასცემდა. მოიტანეს ბროწეულ გადასხმული შემწვარი ვარიები, შემწვარი გოჟი და მრგვალად მოხარშული ქათმები. ყველანი კარგად ვმუშაობდით. მერიქიფე (ღვინის დამსხმელი) წამის-წამს ჩაატარებდა სავსე სტაქანს. ჩიკოლიკი ცოტად რომ შექეიფიანდა, ენა აიდგა. იმას უნდოდა გემოიანი ვახშმის სამაგიერო სიკეთე მიეგო სახლის პატრონისათვის, თუ არ საქმით, სიტყვით მაინც; ამაში ძალიან დახელოვნებული კაცი ბრძანდებოდა. მაშინ გლეხები იმ მხარეში კიდეე არ იყვნენ პირადი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებულნი. მაშინ გლეხისთვის ბატონ ყმობის ამბისთანა სასიამოვნო არა იყო-რა. გლეხებმა იცოდნენ, რომ ადრე თუ გვიან, უნდა მომხდარიყო ბატონ-ყმობის გაუქმება. ისინი ისე მოუთმენლად ელოდენ ამ ცვლილებასა, როგორც პატარა ყმაწვილი — აღდგომას. ყველას ყურები აცქვეტილი ჰქონდა და ყოველგან მელასავით დაძვრებოდენ, რომ რამე ამბავი გაეგოთ ამ ცვლილებაზე. ჩიკოლიკმა კარგად იცოდა, თუ რა სასიამოვნო იქნებოდა მასპინძლებისთვის ამის-

თანა ამბავი და, რადგან სიტყვის მეტი არა ეხერჯებოდა-რა, ამის გამო გლეხების განთავისუფლებაზე დაიწყო ლაპარაკი.

— ეხლა თქვენ კარგი დრო მოგელით. ამ ერთ წელიწადში თავისუფლებას გამოგიცხადებენ, — უთხრა სახლის პატრონის ძმას ჩიკოლიკმა.

როგორც ეტყობოდა, ამ სიტყვებმა მერიქიფე ძალიან გაამხიარულა. იმას ძალიან უნდოდა, რომ პირზე სიხარული არ დაეჩინა. მაგრამ თავი ვეღარ შეიმაგრა და გაიცინა; და, რომ ეს სიცილი არავის შეენიშნა, ქოჩორში ხელი წაივლო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისე მოსწია, და მხიარული სახე მწუხარედ გადაექცა.

— აჰ, მაგი არ შეიძლება, ბატონო!.. იგი რავა იქნება, რომ მოხდეს, რაც თავის დღეში არ გაგონილა! — მიუგო ხელოსნის ძმამ, თუმცა გულში თითონაც ძალიან სჯეროდა ბატონ-ყმობის გაუქმება. ამ ხერხით უნდოდა უფრო ბევრი ამბავი გამოეტყუებინა ჩიკოლიკისთვის. ამასთან ესეც იცოდა, რომ ჩიკოლიკი მებატონეთაგანი იყო და თავი მოუქონა.

— ექვი არ არის, რომ უნდა მოხდეს. ბატონ-ყმობის გაუქმებაზე ხელმწიფეს კიდეც მოუწერია ხელი პეტერბურგში. ეს ცვლილება ძალიან სასარგებლო იქნება მთელ ქვეყნისთვის. დღემდის გლეხებს რაც გაწვალება ადგათ თავზე, სულ ერთიანად მოეშვებათ. ამის შემდეგ ბატონი თავის გლეხს ხელს ვეღარ ახლებს...

— არა, ბატონო, ჩვენ კიდევ ბატონი გვირჩევნია. თავათ მოგეხსენებათ, შეუჩოველს ლხინსაო, შეჩოული ჭირი მირჩევნიაო. ვინ იცის, მერე რა დაგვემართება, იქნება უარესი დროც მოვიდეს! ასთე ამბობენ, სალდათს მოგვთხოვენო! ბატონი რომ ღარ გვეყოლოს, მერე ვინ იქნება ჩვენი ბატონი?

— ვინ იქნება და ხემწიფე! — სწრაფად უპასუხა მერიქიფემ ხელოსნის ძმას.

— ისთე გგონია შენ!.. დიახ. ხემწიფე აქანა მოგივა და თავზე დაგადგება. ჩვენი მეზობელი ჭიაშვილი ახლაც რომ არ გვაყენებს, მაშინ სუნთლათ მოსვენებას არ მოგვცემს; თუ თავზე დაგეცა და ყოველიფერი წაგართვა, მერე გამოუდექი და ზდიე კუდში! ბრევლი იცი შენ!.. — დაცინებით უთხრა მერიქიფეს ხელოსნის ძმამ.

— არა, ეგ ტყუილია. მაგისთანა საქმე როგორ შეიძლება, მოხდეს? თავზე დაცემას ვინ გაბედავს? მერე მთავრობა სად არის? როგორ შეუძლიან, ვინმემ ხელი შეგახოს! — სთქვა ჩიკოლიკმა.

— მთავრობას, ბატონო, ჩვენთვის არ მოუცლია. შარშან, ეგერ, გაღმა სოფელში ორი კაცი წეიკიდა სულ ტყუილა უბრალოთ. ერთს

თავის ღობე ცოტათ გეეწია მეორე მეზობლის ადგილში. იგი კეტით მიუხტა ღობის პატრონს: შენ ჩემი ადგილი რეიზა დაგიჭერიაო. დაჰკრა კეტი თავში და სული გააგდებინა. მას უკან დღესაც ისთეა ის კაცი, რომ არავის იმისთვის ხელი არ უხლია. სადაა, ბატონო, მთავრობა? იგი ნახეარს ვერც-კი ტყობულობს, რაც ჩვენში ცუდი საქმე მოხდება. ერთი ვეზდის ნაჩალნიკი გვყავს და ნახევარჯერ კარში არ გამოდის. ძალიან ოტკის მსმელი კაცია. თუ დეითრო, იმას შენი ჯავრი არა აქვს.

— არა, ეგ სულ ხომ ეგრე არ იქნება. მაშინ უეზდის ნაჩალნიკიც უკეთესი გეყოლებათ და თქვენც სულ თავისუფალი იქნებით. უნდა მოჰკიდოთ ხელი ვაჭრობას. შვილები შკოლებში უნდა მისცეთ; ისწავლიან, განათლდებიან და თქვენ ძალიან წინ წახვალთ.

— ეჰ, დალოცვილო, გლეხკაცს რა გააკეთებს!.. კაი დაგემართოს, რასაც თქვენ ბრძანებთ, ის კაი იყოს, მარა ბატონი მაინც ჩვენში დიდი ნუგეშია, შენი ჭირიმე! თუ ბატონი კაი გყავს კაცს. მტერი ვერაფერს დაგაკლებს. — სიტყვებით გლეხი თავის მწუხარებას აცხადებდა ბატონ-ყმობის გაუქმებაზე.

ჩიკოლიკი და ხელოსნის ძმა რომ ამას ლაპარაკობდენ, მეორე თავში გლახათუბნელი და ლეჩხუმელი იმავე საგანზე ერთი ერთმანეთს ებრძოდენ. რა-კი თავისუფლების ამბავი ლეჩხუმელს ყურში ჩაეწვეთა, სიხარულის გამო ფეხზე აღარ იდგა ის ელრიჯებოდა გლახათუბნელსა, თანაც ტანში იხრებოდა და მხიარულების ნიშნად თავზე ჩამოფხატულს ყაბალახიანს ქუდს ხან იქით გვერდზე მიიქცევდა, ხან აქეთ.

— ნეტაი ღმერთი იმ ჩემ ბატონს მომაშორებდეს, თვარა კაცი რავა მეჯობინება ქვეყანაზე! შენ კი იცნობ ჩემს ბატონს? — ჰკითხა ლეჩხუმელმა გლახათუბნელს. — იმ კურტუმქნევია ჭიპაშვილს ვინ არ იცნობს!..

— დაწყეველოს ღმერთმა მისი ფეხმოტეხილი თავი! შარშან ბოქოულებით (იასაულებით) სახში შემომივარდა. ერთი მეწველი ძროხის მეტი არ გაგვაჩდა და ისიც წაგვართვა სულ ტყუილ-უბრალოთ! შარი მომიდვა, ერთი წელიწადი არ მემსახურებოდიო!.. ღვთის წინაშე ტყუილს ვერ ვიტყვი, ერთი კვირე, მართალია, არ მიმსახურია. რა უნდა მექნა, სიმინდი მქონდა გასათოხნი, გაუთოხნელს ხომ ვერ დავაგდებდი. აჰ, ამ ერთი კვირის უმსახურობისთვის ოცი მანეთის ძროხა წამართვა. ღმერთო, ნუ შეარგებ იმ ფეხმოტეხილს ჩემ ნიკორას. იმას რომ მოვშორდებოდე, მეტი არა მინდა! ხუთ წელიწადს იქით მოსახლე კაცი არ მეჯობინება. წელიწადში სამ თუმანს მარტვა

მე ვაძლევ ჩემ ბატონს შინაყმობისთვის. რომ ის დასაქცევი არა, ეს ფულები ხომ სულ მე დამრჩებოდა!

— ჯერ ქვეყანა ისთე არ მონათლულა, რომ ბატონ-ყმობა მასთე ადვილად გადავარდეს. თუ კაი თავისუფლება იყოს, მაგისთანა კაცებიც არ დეიწყებენ იმაზე ლაპარაკს, ჩიკოლიკი არ ბრძანდებოდა მაგი, რომ ამისთანა წუმაში ძალათეი წამოგვათრია? არა, ის თავისუფლება ისევე მაგენის სასარგებლო იქნება. ხემწიფემ რომ კიდეც მოგვცეს თავისუფლება, მაგენი დაგვიმალავენ. ჩინონიკებად მებატონეები არ არიან, აპა, რა არიან? — სთქვა გლახათუბნელმა.

— ჩინონიკებს უგლეხობოთაც ბრეელი ფული აქვთ. მაგენს ხემწიფე აძლევს ჯამაგირს. რაც ხემწიფეს სურს, მაგენსაც იგი ენდომება.

— კი, ისთე გგონია შენ! თუ მაგრეა, აპა. რეიზა აქამდის არ გაანთავისუფლეს თავისი ყმები ჩინონიკებმა? შენ სუნელი ხარ, ჩემო ბიძია, არაფერი არ გეყურება რაც შეტი ექნება, ჩინონიკსაც იგი ურჩევნია. იგი არ ურჩევნია, რომ ჯამაგირსაც ეიღებენ და გლეხკაცსაც გამოართმევენ. სუნელს რა უნდა გელაპარაკო!

— სუნელიც ხარ და არც იცი! ხემწიფეს თუ უნდა, მაგენი ვერაფერს გაბედავენ! — გაცხარებით მიუგო ლეჩხუმელმა.

— გასწი იქით! — ჩუმად შეჰყვირა გლახათუბნელმა და ზურგი შეაქცია ლეჩხუმელს.

როგორც რომ ბატონ-ყმობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ყველანი გამხიარულდენ. თუმცა სვანებს ქართულისა ბევრი არა გაეგებოდათრა, მაგრამ თავისუფლების ამბავმა ისინიც მოალხინა და დიდის შექცევით აკრახუნებდენ ქათმის ძვლებს. ერთ სვანს ასეთი გრძელი და თეთრი კბილები ჰქონდა გამოვარდნილი, რომ სწორეთ კბილებ-დაკრეპილი მგელი გეგონებოდა. ამ საზოგადო მოლხენაში მხოლოდ ერთი კუდაბზიკა არ ერეოდა. იმას თავი ჩაეკიდა და უგემურად იღეჭებოდა. მწირისუბანში იმას არ გაუხარია: სულ თავის ავადმყოფის ცხენის გლოვაში იყო. ეს კაცი სახეზე შეიცვალა, ფერი აღარ ედო და კურდღელსავით ყველასი ერიდებოდა. ვინ იფიქრებდა, რომ ეს ისევ უწინდელი ყოყოჩა კუდაბზიკა ბრძანდებოდა, რომელიც ასე ბატონურად ეპყრობოდა გლახათუბნელს და ლეჩხუმელს. ის წამის-წამს ოხრავდა: „ვაიმე, ჩემო ხუთო თუმანო, დაკარგულო!.. რა ვქნა ახლა, რავა უნდა ვიარო ქვეითად! რა კაი ცხენი დამეღუპა, პა, პა, პა, პა!..“ იმ საღამოს კუდაბზიკას პირის-პირ შევხვდი. თვალი ვეღარ გამიმართა და გულ-ნაღვლიანად შემომჩივლა: „არ გებრალები, ცხენი მიკვდება. რა მეშველება!“ ეს სიტყვები ასეთი სისაწყლით წარმოსთქვა,

რომ თან შემეცოდა და თან სიცილიც ველარ შევიკავე, როცა წარმოვიდგინე უწინდელი მისი სიამაყე და ახლანდელი დამცრობა. ჩემ დაცინებაზე გაჯავრების მაგივრად იმან თვალები ჩამოუშვა და გამშორდა. იმ ღამეს ასეთ რიგად იყო გამოშტერებული, რომ შეშლილი გეგონებოდა. ჩიკოლიკი დაჰპირდა, ცხენს გიქირავებო და გადაღმა მთებში სხვა ცხენს გიყიდიო, მაგრამ იმის ნუგეშისცემას მაიც არა ეშველა-რა. როცა მეორე დღეს იმისი ვირთაგვა ცხენი ისევ მოცოცხლდა, კუდაბზიკაც მხოლოდ მაშინ გამოერკვა და დადგა ისევ კარგს ქვეშეზე.

მეორე დღეს წვიმამ ისევ თავი დაგვიკრა: ალბათ, თვითონ ღმერთს არ მოსწონდა, რომ თვალუწვდენელს მთებზე სიარულით იმის სამყოფელს ვუახლოვდებოდით. გამოთხოვების დროს ხელოსნის ძმამ მოჰგვარა კიკოლიკს თორმეტი წლის ბიჭი. ეს იყო ხელოსნის შვილი.

ხელოსნის ძმა სთხოვდა კიკოლიკს, რომ პატარა ბიჭი თან წაეყვანა სასამსახუროდ იმ პირობით-კი, რომ წიგნი ესწავლებინა. ჩიკოლიკს ეს ამბავი, როგორც შევატყვე, ცოტათი ეწყინა: რატომ მე პირველს პირს არ მომგვარა და კიკოლიკს სთხოვაო ამ ბიჭის გაზდა. როცა კიკოლიკმა ყმაწვილს ლაპარაკი დაუწყო, ჩიკოლიკიც იმ დროს მივიდა ყმაწვილთან და გამხნევება დაუწყო სწავლაში: „შვილო, ისწავლე, თორემ ახლანდელ დროში უსწავლელი კაცი არ ვარგა. ჰო, მართლა: მე მაქვს სახლში კარგი საკითხავი წიგნები, ვისი ხელით გამოგიგზავნო, თორემ ჭეშმარიტად გამოგიგზავნი; მაგრამ ეს არაფერია, მეორეთ რომ მოვალ, მე თვითონ მოგიტან.

— ღმერთმა შენი წყალობა ნუ მოგვაკლოს! — უთხრა ხელოსნის ძმამ ჩიკოლიკს.

— არა, შვილო, ეგ მადლობად არა ღირს. ჩვენი ვალია, რომ ჩვენს მცირე მოძმეს ხელი გავუმართოთ.

— ღმერთმა თქვენი ჭირი მოგვცეს! თქვენ ძმობას ვინ ღირსა!

დარწმუნებული ვარ, რომ ჩიკოლიკს შემდეგ არც-კი გაახსენდებოდა თავისი დანაპირები. ის თუ კი შეატყობდა, რომ სიტყვით კაცს მოიმადლიერებდა, ასეთ-ასეთებს ეტყოდა და დაჰპირდებოდა, რომ რად გინდა: ყველა იტყოდა, ეს კაცი ციდან არის ჩამოფრენილიო; მაგრამ საქმით კი — ნურას უკაცრავად. ჩვენში რომ იტყვიან „ენა ტარტალა, საქმე პატარა, ღომი არ ეყო ხუთი კარდალა," სწორედ ჩიკოლიკიც ამისთანა ბრძანდებოდა.

ამ დროს ყველანი ცხენებზე შევჯექით და მასპინძელს გამოვეთხოვეთ.

სოფელი მწირისუბანი ერთ მთათსავანეს ეკუთნოდა, რომელიც ჩადგმულიყო ორი მთის ზურგებს შუა. და შეიცავდა მთელს ხეობას. იქით და აქეთ მთების ფერდებზე სოფლები დამწკრივებულიყო. სახნავ-სათესი მიწა ძალიან ცოტა ჰქონდათ. ალაგ-ალაგ ვიწრო მთის კალთები ყანებად იყვენ გადაქცეულნი; ზოგან-კი არც ამისთანა ვიწრო მთის კალთები მოიძევებოდა და სახნავ-სათესი მიწა სულაც არ იყო. შუაგულს ხევის პირზე დაეფინებოდა ერთი დიდი და მშვენიერი ქალა, მაგრამ უმეტესი ნაწილი ამ ნაყოფიერის ქალისა იმ დროს ეკლესიას ეკუთნოდა. აქაური ხალხი ძალიან შრომის მოყვარეა. მაგრამ თავის ქვეყანაში რომ თავის შრომის შესაფერი საქმე არა აქვს ამისთვის ის ზაფხულ-ზაფხულ მიდის სხვა მხარეს, ვაკე ადგილებში, და იქ ქირით მუშაობს. ამ ხეობაში რადგან კარგი სქელი ტყეა, ტყე იმათ ბევრს სარგებლობას მისცემდა, რომ ან საურმე გზები ჰქონოდეთ და ან წყლით შეეძლოთ ტივის გატანა. საუბედუროდ, მთის ბილიკებს გარდა, აქ სხვა გზა არც არის; იმ ხევის წყალზე-კი ტივი ვერ იმოქმედებს, რადგან კალაპოტი კლდიანია და თითონ ამ მდინარესაც ძალიან ჩქარი დენა აქვს. ამ ხეობაში ცხვარს აშენებენ. იქ შალი და ნაბადიც კარგი კეთდება.

მწირისუბნიდან რომ გამოვედით, წვიმა შუადღემდის უწყალოდ გვასხამდა. ჩვენ მივდიოდით ერთს მთის ბილიკზე. როცა ჩრდილოეთისაკენ შეუხვიეთ და სოფელს ბუზს მივედით, ძირს, ხევის წყლის მახლობლად, მთის ფერდზე ერთი საურმე გზა დავინახეთ, რომელიც თავდებოდა ცხვირ-წამოწვდილს მთასთანა.

— ეს რა გზაა? — ჰკითხა ლეჩხუმელს კიკოლიკმა.

— ეს, ბატონო, ჩვენ რომ ვაკეთებთ, ის გზაა. ვაკეთებთ, ვაკეთებთ და ბოლო-კი ვერ მივეცით. ღმერთმა იცის, მიეცემა თუ არა დასასრული მაგის კეთებას. ხუთი წელია მაგას ვაკეთებთ და არა გვეშველა-რა, ვერ გავაკეთეთ.

— რატომ ვერ შეასრულეთ მაგისთანა კარგი საქმე. თქვენ რომ საურმე გზა გქონდეთ, მეტი რაღა გინდათ, მალე გამდიდრდებით.

— მაგი, ბატონო, მასთეა, მაგრამ სოფლის შეგროვება ძალიან ძნელია. ერთს რომ უნდოდეს, მეორეს არ უნდა. ერთად ვერ ვიმუშავებთ და ცალკე არც ერთმა არ მოინდომა. ასთე ამბობენ: „ნეტაი დედა ჩემს, მე თუ გზის კეთებით თავი მოვიკალი და სხვა-კი სახში დაჯდაო". არ შეიძლება, ბატონო, ვერ შევგროვდებით. აქანა რომ ერთი სოფელია, ეჰ, იქინა მეორე (გაღმა მთის ფერდზე ხელი გაიწვდინა:

შორს მთებში ჩაწყვდეული სოფელი ძლივს მოსჩანდა). იქიდან აქანა-კაცი ნახევარ დღეს ვერ მოვა. რომ კიდეც უნდოდეს, იმას ყოველ დღე აქანა მოსვლა სად შოუძლია! მართებლობა რომ იმდენ წყალობას გვიზამდეს, ჯარს დააყენებდეს და ამ გზას გაგვიკეთებდეს, ძალიან კაი იქნება. იმან რომ მოინდომოს, ორი კვირის მუშაობის მეტი არ დაჭირდება".

შუადღეზე მეტი იყო. მთების ბილიკზე მგზავრობამ და წვიმამ ძალიან დაგვღალა. კიდეც გვშიოდა. ხელოსანი ვიკითხეთ, მაგრამ ვინ ნახავს ხელოსანს. მანამ იმას მივაგნებდით, მთელი ორი საათი ხან აქეთ გვაქანეს და ხან იქით. როცა ძალიან გაგვიჭირდა, ჩიკოლიკმა იხმარა თავისი ძალა. ის მიადგა ერთს მოსახლეს და დაიყვირა, რომ ამ წამს ხელოსანი აქ დაიბადოსო. მოსახლიდან ერთი თავგაბურძგნული ტალახიანი ბიჭი გამოვიდა. ის ხან იქ მიახტა, ხან აქა, დაგვანახა, ვითომც რასმე აკეთებდა, მაგრამ ხელოსნის მოსვლამდის-კი არაფერს ხელი არ მიჰყო. თურმე ნუ იტყვით, ჩვენ რომ მოსახლისას მივედით, იქ ხელოსანი სახლებულა. ამ დროს ჩიკოლიკმა ცოტა გული დაიმშვიდა და, როცა ხელოსანი გამოგვეცხადა, ის ღიმილით მიეგება: „აბა, ერთი, გეთაყვა, კარგი სადილი მოგვიმზადე და ჩვენს ცხენებსაც უშოვნე რამე, მერე-კი მე ვიცი შენი პატიესცემა და საჩუქარი. ჩქარა, თორემ ეს არის, ჩემ გიორგი სვანს სიმშილით სული ელევა". „კი ბატონო, კი, კი", — შეჰყვირა ხელოსანმა და გაიქცა,

სოფელი ბუზი კ. დ — ნს ეკუთნოდა. როგორც ხელოსანმა გვიამბო, დ — ნი ხშირი სტუმარი ბრძანდებოდა ამ სოფლისა. ის მობრძანდებოდა ხოლმე ორმოცი ან სამოცი ცხენოსანი კაცითა და ამდენი ურდო ხალხი ორ კვირას, ან ერთ თვეს უნდა დარჩენილიყო ამ სოფელში. წარმოიდგინეთ, რამდენად სასიამოვნო იქნებოდა სოფლისათვის ამდენი კაცისა და ცხენის რჩენა უფასოდ. ხელოსანს თვითონ სახეზე ეტყობოდა, თუ რამდენად სამხიარულო იყო დ — ნის მობრძანება. „ღმერთმა იმისი თავი ნუ მოგვიშალოს, დიდს წყალობას გვიშობა. მისი ჭირიმე, როცა მობრძანდება, ბევრი ხლებულებით მობძანდება. ორმოცი, სამოცი ცხენოსანი სულ ჩვენს ხარჯზე უნდა იყვენ. შეგვსვამენ, შეგვჭამენ, ყოველისფერს გათელავენ და ისე წაბრძანდებიან. არც ერთი მოსახლე არ დარჩება, რომ იმ სახლიდან ათობით არ წაიღონ გოკი, ქათამი და ცხვარი. იმის ჭირიმე კაი მწყალობელია ჩვენი. რომ ის არა, მომეტებული ჭირნახულით ყველა დავმძიმდებოდით და გავზარმაცდებოდით. ჩვენი შემსუბუქებელი. დამცარიელებელი სულ ჩვენი მოწყალე ბატონი, კ. დ — ნი. ბრძანდებაო". ბუზის ხელოსანს თავისი მოწყალე ბატონი, როგორც თხას მგე-

ლი, ისე შეჰყვარებიყო. რასაკვირველია. არც ჩვენი სტუმრობა იამებოდა. რადგანაც იმავე გვარს წყალობას მოელოდა, როგორც ბატონისაგან. იმიტომაც ამ სოფელში ყველა იმას ცდილობდა, რომ ჩვენისთანა გამკეთებელი სტუმრები თავიდან მოეშორებინა. პირველად რომ შეგვხდა ხელოსანი, იმისმა მოჭმუხვნილმა სახემ ცხადად დაგვანახა, რომ ჩვენი წვევა არ იამა. მაგრამ, როდესაც ჩიკოლიკმა ღიმილით გაუკრიჭა და მასპინძლობის სამაგიეროს დაჰპირდა, მაშინ ხელოსანიც გამხიარულდა და, რაც გვეპირდებოდა, ყოველიფერი მალე გვიშოვნა.

ხელოსნის ეზოში ასეთი ტალახი იდგა, რომ ალაგ-ალაგ კაცი მუხლამდის ჩაეფლებოდა. ლობე-ლობე თუ გავეკვრებოდით, თორემ პირდაპირ მისვლა-მოსვლა არ შეგვეძლო. ქვარტლივით გამურულს სახლს გარდა ხელოსნის ეზოში ერთი პატარა ბელელი იდგა, სადაც ხორბალს ინახავდენ. ამას გარდა ეზოში იყო ერთი ბოსელი დი იმის წინ ვიწრო დერეფანში იდგა გძელი სკამი, რომელზედაც წამოწვა ჩიკოლიკი და ნიდაყვ-დაბჯენილი განერთობოდა თავის ზრახვასა. ცოტა ხანს იქით მოგვადგა ერთი კარგი მოსული ვაჟკაცი. ის იყო აზნაური. ტანზე ეცვა ბუზმენტიანი მაუდის ჩოხა. ჩერქეზულად გაწყობილი. ფეხებზე დეზები ეკრა. მოწითალო ულვაშები აებურდა, ეტყობოდა რომ ულვაშსაკარი დაკარგოდა. ეუეუნა თვალები ასეთი სიამაყით გადმოეკიმა, რომ გეგონებოდათ მთელი ქვეყნის მბრძანებელიაო. მართლა ამ სოფელში იმის მეტი აზნაური არ ესახლა და ამის გამო გლეხებთან თავი გასდიოდა. ბაკურას სიტყვით (ასე ერქვა აზნაურს) თვითონ ძალიან კარგი მოსახლე იყო; პური და ღვინო გამოულეველი ჰქონდა; მაგრამ ისიც რომ არ ჰქონოდა, ბაკურს ასეთი ზნე სჭირდა, რომ უპურ-ღვინოთ არაფერს დაიკლებდა. თუ ვინმე პატიოსანი სტუმარი გაჩნდებოდა სადმე სოფელში, ბაკურა ამას სუნით გაიგებდა. იმასაც შეიტყობდა. თუ რომელი გლეხის ოჯახში ჩამოხდა პატიოსანი სტუმარი და თავის ჩაქჩაქა ცხენით იქ მიაშურებდა. ალბათ გულში ფიქრობდა, გაუზრდელი გლეხები რიგიან სიტყვა-პასუხს ვერ მისცემენ პატიოსან სტუმარსაო, ჩემი იქ ყოფნა საჭიროა. რომ ჩემი დარბაისლობით სტუმარი არ მოვაწყინოვო. ამას ესეც უნდა დავუმატოთ, რომ რამდენადაც სტუმრებისათვის, ეგოდნად ბაკურასათვის იყო სასიამოვნო ამნაირი ყოფაქცევა. მუდამ სახლში ჯდომა, ტახტზე უსაქმოდ გორვა და მთქნარება, საზოგადოთ, ყველას ძალიან მობეზრდება. რადგან ბაკურაც ამ გვარს კაცებში ერია, ამისთვის მეზობელ გლეხთან მისვლას და სტუმართან თავის გართობას დიდ ნუგეშად მიითვლიდა, მით უფრო, რომ კარგი ღვინის სმისა და კარგი სადილის ჭამის მეტი არა ეხარჯებოდა-რა.

გიორგი სვანს ძალიან ადრე რაში ბაკურას მოსელა. ამ სვანის ველური სახე კიდევ უფრო მოიქუშა. ეს კაცი იყო ძალიან მაგარის აგებულებისა; შავგვრემანი და წლოვანებით დაპრანჭული სახე მხეცური თვალებით ჰქონდა გაცეცხლებული. თუ მივდიოდით, გიორგი სვანი თვალით არ დაგვენახვებოდა;დაკარწახებული ერთ ვერსზე წინ მიგვიძღოდა ქვეითად. ჩვენი ცხენები იმას ჩაჭიქითაც ვერ მოსწვდებოდენ. ამ ღონიერს სიარულთან ჭამაც ძალიან იცოდა. ძნელად-ღა შეეძლო ვისმე იმისი გაძღომა. ხშირად წყრომით დაგვაყვედრებდა ხოლმე: სვანეთიდან რომ წამოვედი, ერთხელ ხეირიანად არ გავმძღარვარო. ღორის ჯაგრის მსგავსი თმა კისრამდის ეყარა: ამ თმას მის დღეში სავარცხლის კბილები არ ენახა. საქოჩრე ერთი მანეთის ოდენზე ჰქონდა მოპარსული და ზედ ეკრა მანეთის ოდენა ფაფანაკი. ის იყო ქუდის მაგიერი, მაგრამ იმის მოვალეობას-კი არ ასრულებდა. გიორგის მძლავრი კბილები ძვალს არსად გაიცდიდა. სადილ-ვახშამზე ხორცი რომ შემოაკლდებოდა, მერე ძვლების კრახა-კრუხს მოჰყვებოდა. ამისთანა მაღის კაცს, რასაკვირველია, ჭამაში მოკერძე არაფრად იამებოდა. როცა ბაკურა კარზე მოგვადგა, გიორგი სვანმა უსიამოვნოდ წაიდუდუნა: „ამას მაინც რა მოათრევდა ჩვენთან. ხელოსნის სადილი ჩვენც არ გვეყოფა. ოჯახდასაქცევს სახლში საჭმელი პური არ მოეძევა და ჩვენი ბარობით უნდა მუცელი გეიძღოს. ჩვენთვისაც ვერ გვიშოვნია საჭმელი, რალა მაგის ამხანაგობა გვეჭირება!“.

გიორგი სვანი ძალიან ამაყი კაცი იყო. თუ ვისმეზე გულნაღვლიანად იყო, სულ იმას ცდილობდა, რომ რითიმე გაეჯავრებინა, ან გადაეხალნა იმის მაგიერი, რაც სხვამ აწყენინა. ცოტა ხანს შემდეგ ბაკურას გვერდით დაუჯდა. სვანმა კარგად იცოდა, რომ ეს არ იამებოდა ამაყ აზნაურს, მაგრამ არამც თუ გვერდით დაჯდომით, სიტყვითაც უნდოდა გაეჯავრებინა.

— ვაი აზნაურობის ბრალი. გლეხებს რომ გაანთავისუფლებენ! მაშინ თქვენ უნდა თოხნოთ, თქვენი ხელით უნდა აკეთოთ ყველაფერი, — დაიწყო გიორგი სვანმა. ეს სიტყვები ბ-ნ ბაკურას ეკალსავით გულზე დაესო. იმან თვალები გადმოუკიმა გიორგი სვანს, გვერდზედ შეხედა. ხელები გადაშალა და მრისხანებით წამოიძახა:

— უყურე ახლა ამ ჩიყვიან სვანს!.. შენ ვინ გკითხავს გლეხების განთავისუფლებას?..

— ჰო, ჰო! გიორგი სვანი ძალიან თავისუფლების მოყვარე კაცია! — ღიმილით წამოიძახა ჩიკოლიკმა: — მაგას გლეხებზე გული სტკივა, რადგან თვითონაც თავისუფალია თავის ქვეყანაში.

— მაგის გახეულს ჩოხას და ტალახიანს ფეხებსაც-კი ეტყობა თავისუფლება! მაგისთანა თავისუფლება ყველას აქვს. თავისუფალი არ არის, მაგრამ ჩიყვიან სვანს ჩვენებური გლეხი სჯობია.

— ჰო, შენ რომ აზნოური ხარ, რათი მჯობიხარ? ჩემ ქვეყანაში მე მდივანბეგი ვარ!

— დიაღ, დიაღ, ეგ მე მდივანბეგად მყავს! — თავმომწონებით წამოიძახა ჩიკოლიკმა.

— შენ რომ ჩვენში იყო, თუ რამე დააშავე, მაგ შენ აზნოურობას დაგიტოვებინებ: დაგიჭირავ და ნაჩანიკთან ხელშეკრულს მიგიყვან, — დაცინებით უთხრა ბაკურას გიორგი სვანმა.

ბატონი ბაკურა პირზე აენთო. ისე გაჯავრდა, რომ მგონია, კბილით დასაგლეჯად არ დაზოგავდა; რომ კიკოლიკისა და ჩიკოლიკის მორიდება არა ჰქონოდა.

— შენისთანა მურიანი სვანები გამიბედავენ რამეს, ო, შენმა მზემ! — გაჯავრებით დაიყვირა ბაკურამ, წამოხტა ზეზე და ბოსელს უკან წავიდა. ამ ბაასზე ჩუმ-ჩუმად მეცინებოდა. ბაკურამ იფიქრა, სჯობია ამ ადგილს მოვსცილდე, თორემ ცუდი რამ შემემთხვევაო: მეტის-მეტი გაჯავრებით თავს ვერ იმაგრებდა.

კუდაბზიკა განზე იდგა და ყველის ვაჭარივით იკრიჭებოდა. როგორც-კი ბაკურა დერეფნიდან გავიდა, ის იმავ წამს მელასავით უკან გაედევნა: უნდოდა, თვითონაც გამოლაპარაკებოდა ბატონ-ყმობის საქმეზე. კუდაბზიკას სურდა, ბაკურასთვის დაემტკიცებინა, რომ ყმების განთავისუფლება კარგიაო. თუმცა ამ საქმეში ინჩიც არ გაეგებოდა და უფრო იმაზე იყო დაჯერებული, რომ ყმების განთავისუფლება უბედურობის და დამცრობის მეტს არას შეამთხვევდა კეთილშობილ წოდებას, მაგრამ კარგად იცოდა, რომ ჩიკოლიკს გლეხების მხარე ეჭირა სიტყვით და ამ გვარი ბაასი ბაკურასთან ჩიკოლიკსაც იამებოდა. კუდაბზიკა მუდამ თვალებში შეჩერებოდა თავის მოკეთეს, რომ ყოველივე დაწვრილებით შეეტყო, რაც იმას ესიამოვნებოდა. მით უფრო ჰსურდა ჩიკოლიკის სიამოვნება, რომ იმისგან მოელოდდა ჯამაგირის და ხარისხის მომატებასა. ამის გამო ყოველი იმისი მოქმედება ჩიკოლიკის სასიამოვნოდ კუდაბზიკური იყო.

ბაკურა სახე-მოქუშული ბოსელს უკან სკამზე იჯდა. კუდაბზიკაც გვერდით მიუჯდა და კბილების კრეჭით ჰკითხა:

— რავა?.. არ გიამა, გლეხის გათავისუფლებაზე რო დაგიწყო იმ სვანმა ლაპარაკი?

ყოველისფერს მოელოდა და აზნაურისაგან ამისთანა კითხვას-კი არასოდეს არ მოელოდა. გულში გაივლო, ეს კაცი სწორედ გაგიჟე-

ბულა. თორემ ამისთანა უშვერად როგორ მკითხავსო! იმან გაჯავრებით თავიდან ფეხებამდის თვალი აავლო კუდაბზიკას და არა უთხრა-რა.

— რას მიყურებ, თუ იცი?.. მართლა გკითხავ: რეიზა გეწყინა. სკანმა რომ გლეხების განთავისუფლებაზე დაიწყო ლაპარაკი? — განუმეორა კუდაბზიკამ.

— შენ გასულელდი, თუ მართლა მკითხავ მაგას?...

— მართალა, აპა, ტყულა?

— თუ მართლა მკითხავ, გიჟი ყოფილხარ!

— გიჟი, ჩემო ბიძია, შენ ყოფილხარ, რომ ტყულა წყრები.

— რა კაცი ხარ შენ, აგი მითხარი: გლეხი ხარ თუ აზნოური?

— ვეი პლაც!.. ნეტაი შენ იყო ჩემისთანა აზნოური: მე... დღეს იქნება თუ ხვალ, თავადობას დამიმტკიცებენ! — აქოჩერით წამოიძახა კუდაბზიკამ.

— თუ აზნოური ხარ, აპა, მაგას რავა ლაპარაკობ: „რეიზა გეწყინაო გლეხების გათავისუფლებაზე ლაპარაკი.“ მეც და შენც გლეხით გვიდგია სული. მაგი კაი ჩოხა და ვერცხლით მოქედილი ხმალი არ გექნება, შენ რომ გლეხი არ გყავდეს. არც ცხენით დეიწყებ ამ მთებში სიარულს.

— დიაღ, არ გინდა (ცერს უჩვენებს)? მე იმისთანა ნუ გგონივარ, ზოგიერთი რომ გინახავს. ჩიკოლიკი თუ ცოცხალი მყავს, ჩემ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს! — თავმოწონებით სთქვა კუდაბზიკამ.

— შენ აგი მითხარი, აზნოურიშვილი ხარ?

— აზნოურიშვილი ვარ, აპა, რა ვიქნები? აზნოურიშვილი აზნოურშვილს ჰქვია. მე ძირის აზნოურიშვილი ვარ.

— აპა, რავა მასხარულათ ლაპარაკობ?.. გლეხების თავისუფლება ჩემზე უფრო შენ უნდა გეწყინოს.

— არა, გლეხების თავისუფლება კარგია. ჩიკოლიკმა თქვა, იგინიც და ჩვენც ძალიან მოვიგებთო. ჯამაგირი გექნებათო, და ფული სულ ბზესავით მოგვივა.

— სეიდან გექნება, რომ გლეხები აღარ გეყოლება?

— ხემწიფე მოგვცემს და მერე ვაჭრობას დევიწყებთ.

— კაცო, აზნოურობას მერე ვაჭრობაში გასცელი? კარგი აზნოურიშვილი ყოფილხარ! მომიკვდეს შენისთანა აზნოური!

— მოკვდი და არც იცი! რავა ლაპარაკობ შენ?!

— ყაძახები (გლეხები) გყავს თუ არა? — გაოცებით ჰკითხა ბაკურამ, რომელსაც სრულებით არ სჯეროდა იმისი აზნაურობა, როცა კუდაბზიკამ სთქვა, რომ ვაჭრებად გადვიქცევითო.

— კი მყავს.

— ოჯახი გაქვს?

— კი.

— შენს ოჯახს ხომ შენი ყაძახები უელიან? ხომ გემსახურებიან? ბეგარას არ გაძლევენ?

— აპა, რას იზმენ! რომ არ მომცენ, ძალათ გადავახდევინებ. ნეტაი დედა ჩემს, თუ ბეგარაც ყაძახებმა შეირჩინეს! მე იმისთანა არ გახლავარ,ზოგიერთ ბატონს რომ გლეხები დეიჯაბნებენ და ბეგარას შეირჩენენ. ბეგარა-კი არა, საუდიერო ფერდელა ღორიც რომ არ მომიყვანოს, სუნთლათ ცხვირში ძმარს წავადენ.

— კაი და პატიოსანი. მეც მაგი მინდოდა, რომ გეთქვა. ახლა წამოიდგინე, რომ ის შენი გლეხები არც ბეგარას მოგცემენ, არც შინ გემსახურებიან; თუ ძალა დაატანე, ბრევლს გცემენ. ოჯახის მომვლელი არავინ გეყოლება. ყანაში არავინ გიმუშავებს. სახლში ცეცხლს არავინ დაგინთებს. სულ შენ უნდა ქნა ყოლიფერი: ცეცხლიც შენ უნდა დაანთო, წყალიც შენ უნდა მეიტანო...

— არა, არა, არა! მაგი არ იქნება, წყალს რავა მევიტან!.. — ჯავრიანად სთქვა კუდაბზიკამ.

— მაცა, მაცა... ყანაც შენ უნდა გათოხნო, შენ უნდა მეიტანო.

— აჰ, აჰ, გადირიე თუ?.. მაგას რავა მეუბნები! მაგას რავა ვიზამ!

— გლეხები რომ ჩამოგერთმევა, არ იზამ, რა გზა გაქვს!

— ჩიკოლიკმა მე და შენზე უკეთ იცის. იმან თქვა, რომ გლეხებში ფულს მოგვცემენო. სამსახურში შევალთ, ჯამაგირს გაგვიჩენენ. შვილებს გავზრდით, გავნათლდებით. და, ეჰე, ფრანცუცები რომ მდიდარი არიან, ჩვენც ისთე გავხდებით. — სთქვა კუდაბზიკამ.

— უი, დეეიღუპე! მთლათ გაუსულელებია ეს საწყალი, ჩიკოლიკია თუ ვინცლა, იმას! ჰა, ჰა, ჰა! კაცო, ჩემი გლეხები მილიონს მირჩევნია. გლეხებში ხემწიფე მილიონს როგორ მომცემს! იგი ან მოგვცემს ერთ ფარას, ან ორ ფარას. ჩახვალ ქუთეის და იქვე მითესავ; შერე დარჩები ხელცარიელი. შენ ამბობ, შვილებს გავზდითო, რითი გაზდი, რომ ფარა არ გექნება?! ჯამაგირს გაგვიჩენენო; ყველა ხომ სამსახურში არ შევა? ყველა რომ მთავრობის კაცი შეიქნეს, მთავრობის ხელქვეით ვინღა დარჩება! ბიძაშვილობამ, მაგ ჩიკოლიკის გოუსულელებიხარ.

— სულელი შენ ხარ! რას ამბობ, კაცო, მაგი მეორეთ არ მითხრა!

ეს ბაასი ასეთი ფიცხი შეიქმნა, რომ ჩვენი სვანები და მეც ერმათთან მივცვინდით. ბაკურა და კუდაბზიკა პირზე ძალიან გაწითლებულიყვნენ: ფეხზე იდგენ და, როგორც შეეძლოთ, ერთმანეთს შეჰყვიროდნენ.

— კიდო გეტყვი, რომ გაგიჟებული ხარ, თვარა შენ მაგისთანა უჭკუო ლაპარაკს არ დაიწყებდი! — უთხრა ბაკურამ.

— მეორეთ არ მითხრა მაგისთანა სიტყვები, თვარა ან შენ და ან მე!

— ფუ! შეგირცხვა აზნოურიშვილობა, კაი აზნოურიშვილი შენ არ გამოსულხარ! — შესძახა ბაკურამ.

— გამიშვით! — დაიყვირა კუდაბზიკამ და ხმალს ხელი შოავლო.

გიორგი სვანი ეცა და გააჩერა. ბაკურა განზე გადგა და იქიდან ჰყვიროდა:

— გამოუშვით, გამოუშვით! თუ ბიჭია, ჩემთან მოჰბედავს! მა-მა ჩემი არ წამიწყდება, ქათამსავით თავს წავაჭრი! — კუდაბზიკა ძალიან იჩარჩებოდა, მაგრამ ღონიერს სვანს მაინც ვერ დასხლტა ხელიდან. ბაკურამ იგრძნო, რომ მე აქ სამყოფი პირი აღარ მაქვსო. შეჯდა თავის ჩაქჩაქა ცხენზე, ერთი კიდევ მოაძახა: „გახსოვდეს, კიდო გნახავ! იმისთანა ჩემს მტერს, მე შენ დღე დაგაყენო!“ ხელი გულზე მიიბრაგუნა და გაქუსლა.

გიორგი სვანი ძალიან გამხიარულდა, რომ სადილში მოკერძე თავიდან მოიშორა. ჩვენც დიდხანს აღარ დავრჩენილვართ ხელოსნისას. სადილი ვჭამეთ თუ არა, იმავ წამს ბუზის სოფლიდან გავემგზავრეთ.

XI.

ბუზიდან რომ გამოვედით, წვიმამ ისევ დაუშვა. მთის ბილიკებზე სიარულმა ერთობ შეგვაწუხა. ჩემ ჯორს ფეხი ხშირად უცურდებოდა სველ ქვიშიან მიწაზე, და მეც წამის-წამს მივლიდა ტანში ერუანტელი. ბოლოს ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩავარდი, რომ ძალა-უნებურად წამოვიძახე: „რაც მოხდება, მოხდეს, ყოველივე ღვთის ნებაა!“ სადაევს ხელი გავუშვი, დეზები მივმალე და გულში ჯორს ასე ვეუბნებოდი: თუ ამ კლდეებში და ღრეებში არ ჩამჩეხავ, თივაქერს ბზესავით დაგიყრი-მეთქი, და თუ ჩამჩეხავ, შენი ნებაა, მაგრამ არც შენ დაგემართება ხეირი-მეთქი, შენც საყორნედ გახდები. ძველი ცოდვების მოგონება შენისთანა გულკეთილი პირუტყვის საკად-

რისი არ არის-მეთქი. აქ მკითხველს ორიოდე სიტყვით უნდა მოვახსენო, ჩემი და ჩემი ჯორის მეგობრული დამოკიდებულება.

როგორც თავმომწონე იმერელს, ორივე ფეხზე დეზები მეკრა. და მუდამ ჩხუტურით საწყალს ჯორს საქმე ჰქონდა გაჭირებული; ყოველ დეზის გაკვრაზე ჩემი ჯორი თითქოს ხენეშით მეუბნებოდა: „გაგიხმეს ეგ ფეხებიო". როდესაც ამისთანა ცოდვები კისერზე მაწვა. და თვალ-აუწვდენელ მთის ბილიკებზე მივდიოდით, რასაკვირველია. შიშისაგან ვცახცახებდი: რაღა მეშველება, ჩემმა ჯორმა რომ იმის ზურგზე დასკუპული მისი ბატონი აქედან გადამიძახოს და თან დაატანოს: „მინდორში დეზების ცემას ამ ბილიკზე ცუნდრუკი მოუხდებაო". მართლა რომ ასე მოქცეულიყო, შენი მტერი, რაც ჩემ ძვალსა და რბილს დაემართებოდა ამ თვალ-ჩაუწვდენელ ოღრო-ჩოღროებში! ვითომ არ მემართლებოდა თუ? სიცოცხლე გაქვს მემართლებოდა. რაც იმ ჟამად დეზების ცემით წვა და დაგვა მე იმას გამოვაცდევინე. ეშმაკსაც ცრემლს მოგვერიდა; მაგრამ ჩვენი ბედი ის არის, რომ საზოგადოდ ჯორები გაკრეჭილ და გაპარსულ კაცებსავით გულკეთილები არიან და, ერთხელვე თუ ლაგამი ამოსდე, მერე რაც უნდა შეუწყარებელი ბატონი აჯდეს ზურგზე, მაიც ფიქრში არ მოუვათ ზურგიდან იმის გადაგდება, თუმცა, რომ უნდოდეთ, ღალატობას ყოველთვის მოახერხებენ. როგორც, მაგალითად , ჩემს ჯორს შეეძლო მთის ბილიკზე ჩემი წესის აგება, დამახსოვნება რომ სცოდნოდა და ჭკუა ჰქონოდა. მაგრამ. მადლობა ღმერთს, რომ ალაგმულ სულიერებს იმდენად უფრო თავზარი ეცემათ ხოლმე, რამდენადაც ზედ მჯდომები უფრო უსინდისოდ ეპყრობიან. რომ იცოდე, მკითხველო, რა შიშში ვიყავი, რა სიმწრის ოფლი მდიოდა, სულ ხელებს ვიტეხდი, ღმერთი არ გაუწყრეს, ჯორმა ურიგოდ ფეხი არ გადასდგასმეთქი. რაც წინად ცუდი მექნა ჩემი ჯორისთვის, ყოველივე იმ დროს მომაგონდა. ვფიქრობდი, მე რომ დეზები არ მქონიყო. იქნება ჩემ ჯორს იმდენს გაჭირვებას არ მივაყენებდი-მეთქი, და ახლა მოვყევი იმათ ლანძღვას, ვინც დეზები და, საზოგადოდ. სულიერი არსების შემაწუხებელი მანქანები და იარაღები მოიგონა. ამ მწუხარებაში თან-და-თან შემეპარა გულში სამართლის გრძნობა. ყოველი ჩემი მოქმედება ჩემ გაკრეჭილ ჯორისადმი საზიზღარ მტარვალობად მომეჩვენა. წარმომიდგა დაჩაგრული ჯორის ანგელოზებრივი ხასიათი, რომელიც სიკეთის მეტს არას გვიშვებოდა, მუდამ კისერზე ვაჯექ, რაც უნდა გაჭირებოდა, საყვედურს არ მეტყოდა; ის შიმშილსაც ითმენდა, წყურვილსაც და ფეხებსაც იმტვრევდა ამ ოღრო-ჩოღროში სიარულით მხოლოდ იმისთვის, რომ მე ასე მსურდა და იმას ჩემი უკანონო სურვილი სიამოვნებად მიაჩნდა. რომ

იცოდე მკითხველო, რა მორჩილებით ისმენდა ყოველ ჩემს ბრძანებას; რაც უნდა ნოყიერს სათიბში ყოფილიყო გაშეებული, როგორც რომ ლაგამ-ასადებლად წავიდოდი იმისკენ, მაშინვე იგრძნობდა, ბალახის ჭამას თავს დაანებებდა, აიღებდა თავს და ლაგამ-ჩასადებლადაც თვითონ გააღებდა პირს. ამისთანა გულკეთილს სულიერს მე მაინც უჯავრდებოდი, თმას ვაგლეჯდი და, თუ ერთი ნაბიჯით უკან ჩამორჩებოდა კუდაბზიკას, სულ ქრისტე ღმერთს ვალოცებდი დეზების ცემით. როდესაც ყოველივე ესენი წარმოვიდგინე და იმისი თავგანწირულება ჩემს უმადურებას და უსინიდისო ყოფაქცევას შევადარე, სწორედ. ნამეტნავად ამ დროს, როცა შეიძლებოდა მას ერთი კისრული ექნა ჩემთვის და ღრეში ჩავეჩეხე, ძალიან შევშინდი. შენ, უწყალო ჩემო თავო, რად იყავი ისე შეუცოდებული, რად გამოხვედი ისე შეუბრალებელი, რად შეიქენი ისე უწამებელი კაცი, რომ არავითარი სიკეთე ჯორს არ დაუსწავლე? როცა ზედ არხეინად იჯექი და მინდვრად მოაქანებდი, მაშინ რატომ არ განიკითხე, არ დააფასე და კაცურად არ მოექეცი-მეთქი? რად აუტეხე ჭირი შენს თავს, რად ჩააგდე ასე უდროოთ შენი სიცოცხლე საფრთხეში? ხომ იცოდი, რომ ოდესმე მთის წვერზე შეგემთხვევოდა სიარული მაგავე ჯორით-მეთქი? — ვაყვედრიდი ჩემ თავს, მაგრამ თანაც თავს ვიმართლებდი: მე ამ ყოფას არ მოველოდი-მეთქი. მაშ აბა ახლა ჩაიჩეხე უფსკრულში; ერთი მხურვალე ცრემლიც არ ჩამოვადება შენისთანა უგრძნობელი მწვალებლის დაღუპვაშიო; აბა, ჯორო, მაგას სამაგიერო, უყავიო, ჩამომძახოდა რაღაც საშინელი მსაჯულის ხმა ზევიდან, მაგრამ ჯორს ეს ხმები არ ესმოდა, ჯორს გონება დაბნელებოდა, მეხსიერება წართმეოდა; მუდამ წვალებაში და მორჩილებაში ყოფნით მორჩილების მეტი აღარა უტრიალებდა-რა თავში. ის იმდენად მიჩვეულიყო წვალებას, რომ ახლა როცა ამ წვერზე დეზებს აღარ ესცემდი, თითქოს ძალიან მიმადლოდა, ჩემი გულკეთილობით გაკვირვებული იყო და ძალიან გაფრთხილებით ადგამდა ნაბიჯს ბილიკზე, ცდილობდა, მის კისერზე მჯდომარე ძვირფასს პატრონს არა გაკვირვებოდა-რა. ამას რომ ვხედავდი, უნებლიეთ ვიძახდი: „ვაი თქვენ, დაჩაგრულნო, რამეთუ არა უწყით, თუ ვინ არის მაკვირვებელი თქვენი და ვინცა გცემსთ არლანსა, იმათვე სცემთ თაყვანსა!“ რაკი განსაცდელს თავი დავაღწიე, მინდვრად გავედით, შავი ფიქრებიც გადამეყარა და დეზის კბილებიც ისევ შევატყობინე ჩემს გულკეთილ ჯორს...

XII.

მარჯვნით მთის ქედი სარტყელსავით გარს შემოგვევლო. შუაში აიმართებოდა სამი ვეება მთის ზვინი, რომელნიც მწვეტიანი წვე-

რებით ცამდის სწვდებოდენ. ხეები გაგიჟებით ღრიალებდენ და შხეფს ისეთი წამწარებით ისროდენ მაღლა, რომ გეგონებოდა, ჯავრისაგან ქოჩორს იწიწკნიანო. ცის კამარა თუშურ ქუდსავით თავს დაემხო აყუდებულ მთის ზვინებს. ისინი მხოლოდ ხევის წყლებს გაეყო ერთმანეთისაგან და ნაძვის ტყით შავად იყვენ დაბურულნი. აქაიკ ცისფერი კლდის ნამზელევები ეყარა. მიწა-კი თეთრი კირიანი იყო. ბინდი ნელ-ნელა გვეპარებოდა. გზა ისეთი დაკვლაკნილი შეგვხვდა, რომ გვეგონა, სულ ამ მთებს ეუტრიალებდით, თითქოს თვალ-ნაცემები ყოფილეიყოთ და გზა ვერ გაგვეგნოს. ამ დროს გვერდით ამომეტუზა კუდაბზიკა თავისი ცხენით. წყალში ამოწკუმპლულ თაგვს. რომ ხმელს ფიჩხზე შესმენ და მზეზე გამოიტანენ გასაშრობად, სწორედ ამანაც ის შომაგონა.

— რა ჯოჯოხეთი ადგილი ყოფლა აგი! — სასოწარკვეთილებით შემომჩივლა კუდაბზიკამ. — წვიმას ვინ ჩივა, ნეტაი ამ ჩაღუპულ ადგილიდან გამოვიდოდეთ. მგონია, ღღეს სოფელშიც ვერ მივატანთ.

ჩვენს მო'მორებით კიკოლიკი მოყუნტალობდა. ისეთნაირად გამოხვეულიყო ნაბად-ჩაბალახში, რომ ვისმე შეეხედნა, იტყოდა, ეს ყვავების საფთხე აქ სად მოაქვთო. იმის უკან ჩიკოლიკი ილანძღებოდა. ძალიან გაჯავრებული იყო ბუნებაზე, რომელსაც პატივსაცემ კაცად ვერ ეცნო, წყალს ასხამდა თავზე გულის გასაგრილებლად.

ბოლოს, რითაც იქნა, ღრეებს თავი დავაძვრეთ და მარცხნით მთას შევუდექით. სოფელი წითური მდებარეობდა იმის ქედზე, მაგრამ იქამდის მისვლასაც კარგი ღვთის წყალობა უნდოდა. თითქმის დალამდა. ამ დროს მთის ქედიდან თოვლივით გათეთრებული მოხუცი მორბოდა და წინ მარდად მოახტუნებდა რკინის ჯოხს. კუდაბზიკამ რომ დაინახა, წელში გაიმართა და შესძახა:

— კაცო, კაცო, მოიცადე! სოფელი წითური შორს არის?

— მაგერ გახლავს, ბატონო. ოცი ნაბიჯი რომ გადადგათ, მიხვალთ, — სიჩქარით უპასუხა მოხუცებულმა და თავის გზას დაადგა. ძალიან შორს ვიხედებოდი, მაგრამ ჩემ წინ ტყის მეტი არა მოჩანდა რა.

— კაცო, ეი, ეი, არ გესმის, მოიცადე! მასთე რომ აგვიგდევინ გგონივართ!.. დაბრუნდი ახლავე, თვარა არ ვიცი, რას გიზამ!.. — შესძახა კუდაბზიკამ და ცხენს მათრახი გააწნა. ამით უნდოდა ეთქვა. რომ ეს მათრახი ცხენის ზურგიდან შენზედაც გადმოინადირებს, თუ ახლავე ჩემს სიტყვას არ დამორჩილდიო. — ხელოსნისას გაგვიძეღი, გესმის!...

— რა გაძლოლა გინდათ ბატონო, მაგ გზას დაადექით და ჯიქურ ხელოსნის კარზე მიგიყვანსთ. წისქვილში მივდივარ, დამაგიანდება. თვარა ხელოსნისას კი არა. რა თქვენი საკადრისია. სტამბოლამდის გიახლებოდით, — სთქვა ეს მოხუცებულმა და მოქუსლა.

ერთი ორი კიდევ გაჰკიოლა კუდაბზიკამ. მაგრამ ბერიკაცს ყურიც აღარ უთხოვებია, თვალიდან გაგვიქრა.

— რავა არ მოეკვდე ახლა, რავა წამივიდა ხელიდან იგი ბერიკაცი!.. მე ვიცი, დღეს ჩვენ გზა დაგვებნევა!.. — მართლაც ასე მოხდა.

ღმერთმა აცხონოს. და სიბერის დროს იმ მოხუცებულმა კარგად მოგვატყუა. ოცი ნაბიჯი-კი არა, ორი ვერსტი მეტი იყო თურმე ს. წითურამდე; მერე. იმ გზას დაადექითო. რომ გვითხრა, თურმე ისიც ტყუილი გამოდგა. იმ გზისთანა ოცი მიხვეულ-მოხვეული ბილიკები გავიარეთ, სანამდის ხელოსანს კარზე მივადგებოდით. ტყუილს არ ვიტყვი, მეც ბევრი შევუკურთხე იმ ცხონებულს ასე მწარედ მოტყუებისთვის. კუდაბზიკა ხომ ჯავრისაგან კურცხლებს ჰყრიდა. მაგრამ, ახლა რომ ვფიქრობ, ღვთის წინაშე, ის ბერი-კაცი სწორედ არ იყო გასამტყუნარი. მართალი რომ ეთქვა, უეჭველად წინ წავიგდებდით საწყალს; იმ ღამეს წისქვილში ვეღარ დაბრუნდებოდა, წვიმა-კი გაუწყვეტლად მოდიოდა. მთის ხევები თან-და-თან მატულობდენ, და ოუ იმ ღამეს არ მისწრებოდა წყალი უსათუოდ წისქვილს მოიტაცებდა. მერე, შენი კუდაბზიკა ან შენი ჩიკოლიკი გადუხდიდა? დიახ. როგორ არა!

კუდაბზიკას მხოლოდ ის უნდოდა, რომ ხელოსნისას მალე მისულიყო, თორემ ქვაზედაც ნუ დარჩენილიყო ბერი-კაცის ავლადიდება!...

ხელოსნისას რომ მივედით, ჩვენ შეგვიყვანეს ერთს პაწაწა ქოხში, რომელსაც ერთი საჟენი სიგრძე-სიგანე ჰქონდა, მეტი არა. ამ სახლში რვა კაცი უნდა მოვთავსებულვ ყავით ჩვენი ბარგიანათ. წარმოიდგინეთ, რა ხალვათობა იქნებოდა. შუაში კერა იყო გაჩაღებული; მაშინვე ირგვლივად შემოვუსხედით იმას. და სქელი ოხშივარი აგვდიოდა. კერაზე ცეცხლი გაძლიერდა და რომ კომლი არ გამდგარიყო, რომელმაც თვალები დაგვთხარა, სწორედ ბედნიერებას არა გვიკლდა-რა.

ჩიკოლიკი ძალიან ჯავრობდა იმ ბერი-კაცზე, რომელიც ასე უპატიურად მოგვექცა, იმის ძლიერებას არ შეუშინდა.

— სწორეთ ხელ-ფეხ შეკრული უნდა გაეგზავნო ქუთაისს მე ის ბერი-კაცი! კუდაბზიკა. არ დამავიწყო, უეჭველად ხელოსანთან მომაგონე! — ბრძანების კილოთი სთქვა ჩიკოლიკმა.

— ვაი დედა-მისს, რომ ამ მათრახით ვერ გავასივე! — გულზე ხელის ბრაგუნით იძახოდა კუდაბზიკა.

— მოდი და ახლა კაცურად მოექეც მაგისთანა კაცებს! არ დაგინდობენ, არა. შვილიც რომ მოუნათლო, თუ სადმე გიხელთა, მოგატყუებს-კი არა. მოსაკლავადაც არ დაგზოგავს. ახლანდელი მწერლები რომ სწერენ. თქვენს დაჩაგრულ ძმებს გულ-ჩკილად, კაცურად მოექეცითო... აი. შენი კაცური მოქმედებით რას გიშვერებიან: მატყუებენ. თუ მოგიხერხეს, წაგაგლეჯენ, გაგქურდვენ და შენვე დაგკიცნებენ პირში. ის მწერლები. რომლნიც მტად გულ-მტკივნულად ეადაგობენ ჩვენს უმცროს ძმებზე, ამ ჩვენს ადგილას უნდა დასვა და ვნახოთ. მაშინ რას დასწერენ, თორემ თავის დღეში წიგნების მეტი არა უნახავთ რა, და ლეჩხუმელის ბერი-კაცისთანა პირუტყვებს ხელი მიეცით. ძმად გაიხადეთო, — გვეუბნებიან. ჰე, დაიკარგონ, ერთი!.. — ამპარტავნულად გაიქნია ხელი და დაცინებით ჩემსკენ გადმოიხედა, ვითომ და რაო: „ბევრი იცით შენ და შენმა მწერლებმა, სადღაც თხას კუდი აბიაო. გეუბნებით. ცხოვრებაა მარტო ნამდვილი სწავლა და ვინც ჩვენსავით ცხოვრების დარჯაკში არ გატარებულა, იმას არა დაეჯერება-რაო!“ მართლაც კარგი ჭკუის მასწავლებელი ყოფილა ეგ რაღაც ცხოვრების დარჯაკია, საიდანაც კუდაბზიკას მწარე მათრახი გამოუტანია და ჩიკოლიკს მაგარი თოკი იმ მოხუცებულებისთანა კაცების შესაკრავად.

თქვენ ეს წარმოიდგინეთ, როგორ გაბედა იმან ამდენი პატიოსანი კაცების გაჩერება საშინელს წვიმაში! როგორ გაბედა, რომ მაშინვე თავი არ დაანება წისქვილს კუდაბზიკას ბრძანებით! ვთქვათ, წისქვილი წყალს წაეღო. მოხუცებული თავისი წვრილი ცოლ-შვილით სულ ცარიელზე დარჩენილიყო. რა ვუყოთ მერე? ოჰ, დიდი რამ მოხდებოდა, ერთი ღატაკი მოხუცებული კაცი თავის ცოლშვილით რომ ქვეყანაზე აღარ ყოფილიყო!.. მაგრამ, როგორც სჩანს,მოხუცი ასე გულგრილად არ უყურებდა თავის ცოლ-შვილის სიმშილით გაწყვეტას. კიდეც იმიტომ იყო მტყუანი, ჩემო მკითხველო, კიდეც იმიტომ იყო სამათრახე და სათოკე, მაშ! განა ამდენი პატიოსანი კაცის წვიმაში გაჩერებით შეწუხება-კი ხუმრობა ჰგონია!.. აბა ახლანდელ მწერლებს რა გაეგებათ ამისი, რომ ცხოვრების დარჯაკში არ გატარებულან.

ამ დროს ქოხში შემოვიდა გლახათუბნელი. კერასთან მივიდა და ხელები ალში ჩაყო; იმას თან შემოჰყვა ლეჩხუმელი, რომელიც იქვე ხეზე დაჯდა და კისერი მოიწყვიტა. მაშინვე შეატყობდი, ამ კაცს კარგი არა მოსვლია-რაო.

ჩიკოლიკმა შენიშნა ეს და სანუგეშებლად ჰკითხა:

— რასა იქ, ლეჩხუმელო, ხომ არ დაიღალე? დღეს ძალიან ცუდი ამინდი დაგვიდგა. მაგრამ, იმედია, ხვალ გამოიდარებს. ამაღამ ერთი კარგად უნდა დაგალევინო.

— შენ ნუ მომიკვდები. დალევა მართლა მოუხდება მაგას. ამ საღამოს კაი გუნებაზე ვერ დააყენეს, — ეშმაკურად სთქვა გლახათუბნელმა.

— რაო, რა მოუვიდა?

— ცოტა ნივრიანი აჭამეს და ძალიან ემწარა, — დაუმატა გლახათუბნელმა.

— რა ამბავია, შემატყობინეთ! ჩხუბი ხომ არავისთან მოსვლია?

— ჩხუბზედ მეტიც დაგვემართა. ძალიან გაღლეტილი კაცი ყოფილა ჩვენი ხელოსანი. კარზე რომ მივადექით და თქვენი მობრძანება გამოუცხადეთ, ქალმა გამოიხედა მარტო და გვითხრა: მამაკაცი არავინ არის, რა ვქნათ, ჩვენ ვერ დაგაყენებთო. კარებიდან ქე ვუყურებდით, ხელოსანი და მისი ძმა რომ შიგნით ცეცხლთან იჯდენ. ჩვენ ვუთხარით, ამაღამ ვერსად ვერ წავალთ. რაც უნდა იყოს, ღამე უნდა გაგვათევინო. უფროსი უკან მოდის. ამაზე გამოგვიხტა ხელოსანის ძმა და გინება დაგვიწყო. ამ დროს შიგნიდან ხელოსანმა დეიყვირა: „ბლის ჯოხი მაგათო!" ჩემ ლეჩხუმელს კაი-კაი უთაქეს!

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა! — დაიწყეს ხარხარი ჩიკოლიკმა და კიკოლიკმა — ვაი, შენ ჩემო თავო! ლეჩხუმელო, ეგ როგორ მოგივიდა?! დამაცადოს, მე იმათ ვაყურებინებ, ხვალ ნაჩალნიკთან გავგზავნი ხელშეკრულს! — დაიტრაბახა ჩიკოლიკმა.

— თქვენ რომ არ მოგესწროთ, შენ ნუ მომიკვდე, კიდო ბევრს უთაქებდენ!

— შენც კი მოგხვდა კაი-კაი, — დაუმატა აბრეზილმა ლეჩხუმელმა.

— იმე, თუ თქვენ ახლა მაგენი არ დასაჯეთ, შენ არ მომიკვდე, არ იქნება. სახლში შეშობას არ გვიპირობდენ... — წაქეზებით სთქვა გლახათუბნელმა.

— შენ ეს მითხარი, ცხენები ხომ დააბით? გეთაყვა, ჩემ ცხენს ამაღამ კარგად მიეშმიეთ, მეტად დაღალულია.

— თუ თქვენ ახლა ის ხელოსანი კარგად არ შელახეთ, შენ არ მომიკვდე, ჩვენს ცხენებს კაცმა ნამცეცი არ მიაკაროს. ბოსელში შეეიყვანეთ, მარა რად გინდა! ყველა თავჩამოკრელებია, — აქეზებდა გლახათუბნელი.

— იმე, ბერი-კაცის ჯავრი მაინც ქე მჭირს და ორიოდე მათრახი თუ მაგ ხელოსანს მაინც არ ეუცხუნე, კაცი არ ვყოფილვარ! — სიფიცხით წამოიძახა კუდაბზიკამ.

— შენ ნუ მომიკვდები. ცუდს არ იზამ, — წააქეზა გლახათ-უბნელმა.

— ასთე რომ მცოდნოდა, ერთი თუმნისთვისაც არ წამოვიდოდი. — ჯავრიანად წაიდუდუნა ლეჩხუმელმა.

ამ დროს კარები შემოაღო ერთმა შოლტივით ამართულმა კაცმა.

— ღმერთმა გაუმარჯოს ბატონებს! — დაატანა იმ კაცმა დაისე მდაბლად დაგვიკრა თავი, რომ შუბლი კინაღამ მიწაზე დაჰკრა. ეს გახლდა თვითონ ხელოსანი.

ბატონები ცოტად აბრეზილები იყვენ იმაზე და არა უთხრესარა, მხოლოდ თავი დაუქნიეს.

— მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობით მობძანდით! ძალიან ცუდი დარები დადგა, თქვენმა სიცოცხლემ, დიდი ხანია ამისთანა აღრები არ ყოფილა. კარგია, ბატონო, რომ ღელეებში გამოგიტანებიათ. ხიდები არ წაუღია. ბატონო? მე რომ წყალმა კინაღამ წისქვილი მომტაცა! ეს არის, წისქვილიდან ახლა გიახელით. დროზე რომ არ მიმესწრო, შენი მტერი! კაკალი კაცი დეეიქცეოდი, ცოტა გვიან რომ მივსულიყავი, სწორედ წისქვილს წამართმევდა.

— ჰო, იმ ენის წისქვილზე ამბობს, წეღან რომ ჩვენ წინ მარდად ატრიალებდა და ძმას ეუბნებოდა: „ბლის ჯოხები მაგათო !" — დაცინვით ჩაილაპარიკა გლახათუბნელმა.

— რას როტავ, კაცო, სიდაური ბლის ჯოხი! ეს არის, ახლა ზოვედი, შინ არც-კი შევსულვარ ჯერ. რავაც შევიტყვე ბატონების მოსვლა, იმ წამს გამოვიქეცი.

— ჰო, აპა, ისთე მოგვჩვენებია, როცა უცნაურმა ხელებმა შენი ძმის უკანიდან ბლის ჯოხი წამოგვაპარა ბეჭებში! — სთქვა ლეჩხუმელმა.

— ააა! მაგი მეორეთ არ თქვათ! უკაცრავად, ჩემს ოჯახში მაგისთანა ამბავი არც მომხდარა თავის დღეში და არც მოხდება.

— აკა, წადი და შენ ძმას ჰკითხე; ის გეტყვის მართალს. — უთხრა გლახათუბნელმა.

— ეაი, დეეიღუპე! იქნება ჩემმა გადარეულმა (გიეს ეტყვიან) ძმამ ცუდი რამე გაკადრათ?

— რა ვიცი, ძმაო, ჩხუბში-კი არ ეტყობოდა გადარეულობა, და! გიეი ასე მარდად ვერ მოიქნევდა „ბლის ჯოხს." — დაცინებით უპასუხა გლახათუბნელმა.

— ეაი, შენ ჩემო თავო! იქნება მართლა წაგეკიდათ?

— წაგვეკიდა კი არა, რას ამბობ, ლეჩხუმელს ზურგზე მტვერი აადინა. ღმერთო შეგცოდე და, მგონია, შენი ხელიც კი ერია შენს უნებურათ. — სთქვა გლახათუბნელმა.

— მაგიც იქანა არ იყო! მაგი იყო. რაც იყო! „ბლის ჯოხიო“-მაგან არ დეიძახა! — წაუდგა პირში ლეჩხუმელი.

ამ სიტყვებზე ხელოსანს ცოტათი ფერი ეცვალა და მოკაკვა პირ-ჯვრის წერით გადაფიცვას.

— ღმერთო, დამიფარე მაგისთანა შარისაგან! აჰ. თქვენ არ მო-მიკვდეთ, ბატონო. მე შინ არ ვყოფილიყო (ჩიკოლიკისკენ მიიბრუნა პირი). რა ბძანებაა. ბატონო! რავა ღმერთი გამიწყრებოდა, მაგას რავა ვიზამდი! ხემწიფის სამსახურში ეს ექვსი წელიწადი გახლავარ. და თქვენისთანა პატიოსანი კაცები ბევრჯელ ყოფილა ამ ჩემს სა-წყალ ქოხში. მაგისთანა შარი ჩემმა მტერმა თქვა! ჩემი ყოფა-ცხოვ-რება სულ თქვენი სანაცელო იყოს. თქვენ რომ მიბძანოთ. ახლავე ცეცხლში ჩავარდები!.. მაგი რა პასუხია? გადარეულს ძმას რაღაც ცუდი უქნია და მე მაბრალებენ, მაგი რავა იქნება! შენ ნუ მომიკვ-დები, მაგისთანა შარი ღმერთსაც ეწყინება... — ამის შემდეგ მოჰყვა კვნესით და ოხვრით თავის შებრალებას: — დევიღუპე. ბატონო, დე-ვიქეცი შარშანდელს აქეთ: ერთი მუშა ძმა მყავდა. ჩემი ოჯახის საძირკველი ის იყო. რაღაც უბედურათ გიორგობას წვეიდა შარშან და ისე უცებ გადამერია (გამიგიჟდაო), დევიღუპე, ბატონო, დევი-ქეცი!.. რისგან შემემთხვა ამისთანა უბედურება: ჩემი ცოდვისაგან იყო თუ ეშმაკისაგან, არ ვიცი. ამ უბედურების შემდეგ ოჯახის საძირ-კველი დემენგრა... იქნება, შენი ჭირიმე, რამე წამალი იცოდეთ?.. რამდენი საწირავი და გამოსალოცავი დავხარჯე. ვინ იცის! ახლა, ბა-ტონო, საკვირველი გადარევა აქვს: შინაურებთან ქე არის ჭკუიანათ. მაგრამ ან თუ ცოტა რამე უცხო ხმა ჩეეწვეთა ყურში, ან თუ უცხოს-თან გამოვიყვანეთ, მაშინვე სიგიჟე მოუვლის. ვერასფრით ვერ შე-გვიძლია დავამაგროთ. ერთჯელ აგი ცერი მომკენიტა რაღმე დევი-ქეცი, ბატონო, დევიღუპე! — ამაებს რომ ლაპარაკობდა, თავის ჟუ-ჟუნა თვალებს ჩიკოლიკისკენ აპარებდა, უნდოდა, იმის სახეზე შეე-ტყო, ცუდი ხომ აღარა აქვს-რა გულში ჩემზეო.

მართლაც, ცოტად არ იყოს, ჩიკოლიკი დაალბო იმისმა მაც-თურმა მწუხარებამ და, რადგან თავის ცხენის დარდი უფრო ჰქონდა, ლეჩხუმელის ქომაგობას აღარ გამოუდგა და მშვიდობიანი ხმით უთ-ხრა ხელოსანს:

— გეთაყვანე, ამაღამ ცხენებს კარგად გვიპმიე. დღეს მეტად დაგვეღალენ.

— კი, შენი ჭირიმე. რაცა მაქვს, სულ თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს. ჩემი ყოფა-ცხოვრება სულ. თქვენისთანა პატიოსანი კაცების-თვის მინდა, შენი ჭირიმე.

— აბა, გეთაყვა. მალე! — ცოტა ჩვენც გაგვიკეთე რამე ვახშმად.

— კი, ბატონო. კი ჩემო ხელმწიფე. ჩალას და ბზეს ბევრს ვიშოვნი. ჩემდა საუბედუროთ. ქერი არ მაქვს და იმის მაგიერად სიმინდი რომ ვაჭამო. ხომ არა უჭირს-რა. შენი ჭირიმე?..

— დიაღ. დიაღ. — მიატანა ჩიკოლიკმა.

— ვახშამსაც ახლავე მოგართმევთ. იქნება თქვენი საკადრისი ვერა მოვახერხო-რა. მაგრამ რა ვქნა. შენი ჭირიმე, ცალხელა კაცისთვის ესეც ბევრია. ჩემდა საუბედუროთ, ღვინო მაქვს ცოტა ნაკლები ამ წელს. ბატონო. ჩვენში ვენახები ძალიან წახდა. — ესეები სთქვა, სიმარჯვის ნიშნად მიტრიალ-მოტრიალდა მარდად და კარში გავარდა.

— ძალიან ეშმაკი ყაძახი ყოფილა, შენ ნუ მომიკვდები! რა შუაშია! გადარეული კი არა!.. მოიგონა, ბატონო, გადარეულს რა უგავდა?

— მე დევენიძლავები, თუ მაგი შინ არ იჯდა, როდესაც ჩვენ კარზე მივადექით.

— ეჰ, კარგი, ახლა თავი დაანებეთ! — ღიმილით და თვალების დაწკურვით წამოიძახა კიკოლიკმა.

იმ ღამეს მართლაც ხელოსანმა კაი ვახშამი გვაჭამა, ასე რომ გლახათუბნელსა და ლეჩხუმელს სულ დაავიწყდა ის ნივრიანი საჭამადი. რომელიც პურ-მარილის მაგიერად მისელისათანავე მიართვა ხელოსნის გიჟმა ძმამ. თუმცა ხელოსანმა წინათვე სთქვა, ღვინო არ მივარგაო. მაგრამ ვახშმის ბოლოს ჩიკოლიკის დამტკბარი თვალები და წამოჭეხებული ლოყები ‘ხვეას ამტკიცებდა; ასე გაშინჯე, ჩუმი კიკოლიკიც-კი აატიკტიკა ამ ღვინომ. როგორც მოგეხსენებათ გულჩვილი კაცის ამბავი. განსაკუთრებით როცა ღვინო გაუჯდება, იმან დაუწყო ხელოსანს ოხვრითა და კვნესით მიტირება გიჟ ძმაზე. ბოლოს ნუგეშის საცემლად დაჰპირდა, რომ ქ — ს ჩამოიყვანე, ერთი ექიმი მყავს, იქნება იმას მოვარჩენინოვო. ხელოსანი, რასაკვირველია. სულ დადნა ამისთანა ყურადღებისათვის და მით უფრო გამხიარულდა, რომ ასე ხერხიანად გადაეფუჩჩა ბლის ჯოხით მოგერება დაუპატიჟებელი სტუმრებისა. ბოლოს ხელოსანმა მრავალჟამიერიც დაიწყო და. როცა გლახათუბნელ-ლეჩხუმელმაც მისძახეს, მაშინ ხომ რაღა, იმის საქმე სულ გაკეთდა, და სიამოვნების ნიშნად ქუდი დაახალა მიწაზე.

მეორე დღეს ყველანი კარგს გუნებაზე ავდექით. ხელოსანი, რასაკვირველია, დიდს ფაცა-ფუცში იყო, თუ ცხენებს აკაზმინებდა, თუ ბარგის აკიდებაზე ეხმარებოდა, თუ მელასავით იქით-აქეთ გვიტრიალებდა და თავის მომხიბლავ თვალებს ხშირ-ხშირად ჩიკოლიკსა

და კიკოლიკისკენ აპარებდა, თითქოს უნდოდა. იმათთვის შიგ გულში ჩაეხედნა, ხომ ცუდი აღარაფერი აქვთ ჩემზე განზრახულიო. ისეთს, ისეთს პირფერს და მოხერხებულს სიტყვებს ისროდა. როცა ჩიკოლიკს დაელაპარაკებოდა, რომ იმისი მზაკვრობა მაშტერებდა. მოდი და ამის შემდეგ ნუ იტყვი. რომ იმერლები დაბადებიდან დიდი დიპლომატები არიან. წამოსვლისას ხელოსანმა ერთ ვერსტზე მეტი გამოგვაცილა. ჩიკოლიკი და კიკოლიკი ბევრჯერ შეიხვეწია ამ სიტყვებით: „დაბრუნდი, ნუღა ირჯებიო." ბოლოს. თითქოს დამორჩილდა იმათ ბრძანებას, გამოემშვიდობა და უთხრა: „თქვენი ჭარიმეთ. ნუ დაგვივიწყებთ, კიდო გამოგვიარეთო". როცა ჩიკოლიკმა და კიკოლიკმა პირი გაიბრუნეს. მაშინ-კი ჭოჭოლა გადმოგვაყარა ხელით, გატრიალდა შინისკენ და თითქოს გულში ამბობდა: „ჯანაბამდინაც გზა გქონიათო."

XIII.

სოფელი წითური ორ-კაპალა ქედზე იყო წამოყუდებული. ჩვენ დავეშვით იმ ფერდზე, რომელიც სამხრეთისაკენ იყო მიქცეული. პაწაწინა მთის კალთებზე ამწვანებული სიმინდის ყანები ყურთმაჯების ფრიალით თავს იქცევდენ; ზოგან ვაზის ფოთლებით მორთულს მტევნებს უმანკოებით თავი ჩაეკიდათ და თრთოლვით ელოდენ კაცის ხელს; ზოგან აყვითლებული პურის ყანები სიამოვნებით ღელავდენ. ბაგრამ ეს ყანები სიდიდით უფრო ბალჩებს ჰგავდენ. ვინამც მამულებს: იმათ პატრონებს ძალა-უნებურად მუცლები უნდა აეკრათ მაგრად. რომ მომეტებული სარჩოს თხოვნით არ შეწუხებულიყვნენ. მე რომ ჩვენის ლეჩხუმელის ცოცხალ თვალებს ვუყურებდი და იმის მარდად სიარულს მუხლებამდის გათქვეფილს ტალახში. ვიფიქრე. თუ-კი სარჩოს დაძვირებით მუცლის აკვრა ასე აცქვიტებს კაცს. ნეტა ჩვენ ღიპიან ახალგაზრდობასაც მოუჭერდენ მუცელზე მუხრუჭსა. ეგების ზანტობას და ტახტზე გორვას თავი დაანებოს-მეთქი.

თუმცა დარი კარგი დაგვიდგა, მაგრამ ცუდმა გზამ საშინლად დაგვტანჯა. ალაგ-ალაგ თიხიანს ტალახში კუდაბზიკას ცხენი ისეთნაირად ეფლობოდა, რომ ვეღარც წინ ადგამდა ნაბიჯს და ვეღარც უკან. ამის გამო მისს კეთილშობილებას ხშირად შეხვდა დაქვეითება. რომლისთვისაც თავის ვირთაგვა ცხენს მწარე მათრახით აჯილდოვებდა: „ეგეც შენ და ჩემი ქვეითობაცაო". ერთ ალაგას ისეთნაირად გაძაგრა ჩვენი მაღალ-ღირსეული ტარიელ და იმისი ტაიჭი ურჯულო ტალახმა, რომ ხსნა აღარ იყო. ამ დროს გლახათუბნელი და ლეჩხუმელიც მოეწვენ.

— ვის უცდი, ბატონო, ვაი თუ რამე დაგეკარგათ? — მაცთუ-რის ღიმილით ჰკთხა გლახათუბნელმა და თვალები ტალახში ჩამა-გრებულ ცხენის ფეხებისკენ წაიღო.

— დაღუპვა და დაქცევა ამ ქვეყანას! რა უბედურობა ტალახი ცოდნია ამ დასაქცევს! — გაჯავრებით წაიდუდუნა კუდაბზიკამ.

— შეასვენე, ბატონო, შეასვენე. რა გეჩქარებათ, მაინც მალე დაგვეწევით! — უთხრა გლახათუბნელმა.

კუდაბზიკა მიხვდა, რომ ეს სიტყვები დაცინებით იყო ნათქვამი, მაგრამ რას გააწყობდა: ფრთები იმას არ ესხა და ცხენი კი ადგილიდან დაძვრას არ აპირებდა. ასე ამ უბედურ მდგომარეობაში კარგა ძალი ხანი გაატარა. ღამე რომ ყოფილიყო, უცხო კაცი იფიქრებდა, სწო-რედ ავთანდილივით ზეციურ მნათობებს ემუსაიფება და იმიტომ გაჩერებულა მაღალ სერზეო; მაგრამ, რადგან ამ დროს შუადღე მოა-ხლოვებულიყო, კუდაბზიკას და იმის ქიქვირ-ჩამოვარდნილს ცხენს სულ სხვა სულის გვემა ჰქონდათ: ერთს უნდოდა ჩვენი მოწევა, მე-ორე-კი დასვენებას იხვეწებოდა. მაინც და მაინც ცხრა მთას არც ჩვენ გადავცილებივართ. ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ოთხს საათს ხუთი ვერსის მეტი ვერ გავაკეთეთ. შუადღეზე დავეშვით მშვენიერს ჭა-ლაზე. იმას ქვაბსავით ავლია მთის კედელი, რომელიც თავში და ბო-ლოში სევის წყალს გაერღვია და ზედ თავის სავალი გზა გაეყვანა. ეს ჭალა რომ ვნახე, ცოტათ გული გამიკეთდა. არც ეგრე დამშეული ყოფილა-მეთქი ეს ქვეყანა. მარტო ამ ნაყოფიერი ჭალის მეტიც რომ აია ჰქონებოდა-რა, ესეც კმაროდა იმის სახნავ-სათესად, მაგრამ, სა-უბედუროდ, სახელი ქვეყნის ედვა და სახნავი-კი სხვისა იყო.

სამსრობამ მოატანა, როცა ერთმა ღრიალა ღელემ განის ქედი-ლან ჩამოირბინა და ჭალაზე გზა გადაგვიჭრა. თუმცა სიგანით ორი ვადახტომის მეტი არ იყო, მაგრამ ასეთი ლოდები მოჰქონდა, აქლემს წელს მოსწყვეტდა. ვარჩიეთ, ცხენები ცალკე ჩაგვერეკა და ჩვენ ხიდზე გაესულიყავით. საუბედუროდ, ხიდის გაკეთებაც საჭირ-ბო-როტოდ გაგვიხდა. ოთხი სვანი დაღლილობის გამო უზრუნველად გაწვენ ღრიალა ღელის პირზე და ცას შეჩერებოდენ. ხიდის გაკე-ების თავობა კუდაბზიკას მივანდეთ. ის აღიჭურვა თავის მათრახით და სვანებს მიადგა.

— აბა, ჰე, სვანებო, წედით იმ ტყეში და ორი დიდი ხე მოჭე-რით, მეტი არ მოგვინდება. ჩქარა, უფროსის ბრძანებაა!

სამ სვანს ყურიც არ გაუპარტყუნებია, ამისი ბძანება ისე მიი-ღეს, თითქოს ბუზს ყურთან გაებზუილოს. მეოთხემ ხმოლოდ ცეცხლი თვალები გამოანათა და ბროლივით თეთრი კბილები გადმოჰყარა.

კუდაბზიკა გაჯავრდა, მაგრამ შეტი აღარა უთქვამს-რა. მსწრაფლად გატრიალდა და თავისთვის წაიდუდუნა: „ფუ, თქვენს შემქნელს კი რა ვუთხრა, კაი სულიერები თქვენ არ გოუკეთებიხართ! ჩემ საბელოთ რომ იყონ, ან ერთს დღეს რავა დავაყენებ მაგ ოხრებს! ჰამით ერთს ხარს შეჭამენ და საქმე-კი ღმერთმა შეინახოს."

ამ დროს გიორგი სვანი (იგივე მდიეანბეგი) ჩიკოლიკს ელაპარაკებოდა. კუდაბზიკამ იმას მიმართა.

— გიორგი, უთხარი მაგ ლორებს რამე, თვარა ჩემი არ ესმით.

ორი-სამი სიტყვის შემდეგ სვანებმა ტყისაკენ გასწიეს. ამ დროს გლახათუბნელი ცოტად მოშორებით ჩიბუხს სწევდა, გვერდით უჯდა ლეჩხუმელი. ჩვენს და იმათ შუა პაწაწინა ხევის ტოტი ჩადიოდა და რიყის ქვებში გატბორებულიყო.

— მოდი, დამენაძლეე, ლეჩხუმელო, რომ იმ ხევში გევიდე! — უთხრა გლახათუბნელმა.

— გასულელდი, კაცო, სახლის ოდენი ქვები მოაქვს, შენ რაეა გახვალ იმაში!

— შენ რა გენაღვლება? თუ გევიდე, ერთი კაი პანლური მაკვრევინე.

— შენ თუ გახვალ, მეც ქვე გავალ!

ამ სიტყვებზე დაცინებით გადმოხედა გლახათუბნელმა და უთხრა:

— ხუმრობ თუ მართლს ამბობ?

— ღმერთმა შეარცხვინოს, ვინც ხუმრობდეს! რავა ლაპარაკობ, ძამია, შენ? მაგი რავა იფიქრე: შენ გახვალ და მე ვერ გავალ?

— აპა, კარგი. თუ არ გასულხარ ან წაქცეულხარ, ასეთს პანლურს გჩანთავ. რომ უკანალი მიგამტვრიო.

— მე რას მიპირობ? თუ გევედი, ცოცხალი არ მომირჩები, იცოდე.

— კარგი, ადექი! — უთხრა გლახათუბნელმა.

პაწაწა ხევის ტოტში რომ შეეიდენ, საუბედუროდ, ლეჩხუმელი გალესილ ქვაზე შედგა, ფეხი აუცურდა და წყალში გაიშხლარტა. ამ დროს გლახათუბნელმა წიხლი წაუქნია და დაატანა: „ეე, პრუწ შენს კაცობას! მაქანა რომ ვერ გასულხარ, იმ ხევში რავა გახვალ... დეიკარგე იქით!"

ამ ამბავზე ჩვენც ხარხარი შევქენით. ლეჩხუმელი სირცხვილისაგან გაშრა, წამოხტა ზეზე და ტანისამოსს წურვა დაუწყო.

გლახათუბნელმა თავისი სიტყვა არ გააცრუა. ხევში ორჯერ გავიდ-გამოვიდა და ბოლოს წყალმა ასეთი ქვა მოარტყა კანჭებში, რომ მონასტრამდის კოჭლობდა.

რითაც იქმნა. ამ ხევსაც მოვრჩით და მზის დაწურვამდე ჰალის ყელში მივედით გალმით თეთრი კოშკი მდებარებდა დ — ნის სასახლით; გამოღმით ეკლესია თავისი მონასტრით, რომელსაც შეიცავდა ორი წელკავიანი ცხენივით დამანჭული ქოხი, საცა ბინადრობდენ ორი ბერ-მონაზონი და ოთხიოდე დიაკონი.

ჩვენ გვინდოდა ტაძრის ნახვა და ამისთვის წინამძღვარს კაცი გავუგზავნეთ. ცოტა ხანს შემდეგ ერთი მოხუცებული ბერ-მონაზონი გამოგვეგება, რომელიც მწუხარების ნიშნად თვალებს აპაჭუნებდა: დავრდომილებაზე სწუხდა, თუ ამ სოფლის ამაოებაზე, თუ საეპისკოპოსო კათედრის გაუქმებაზე და მასთან მრავლისაგან მრავლის ხორციელ-სულიერი კმაყოფილების მოშლაზე, — კაცმა არ იცის. იმან ლოცვა-კურთხევით ეკლესიის კარები გაგვიღო. ტაძარში ვნახეთ ლეიტენანტ მთავარ. დადიანის გრიგოლის საფლავი, რომლის ქვაზედაც ასე ეწერა: „დიდის რუსთ ხელმწიფის წყალობით, მე, გრიგოლ დადიანმა, წავართვი იმერეთის მეფეს გიორგის ლეჩხუმი და სადადიანოსვანეთი. მომკვდარი 1804 წელს. შეუნდეე, ღმერთო, შეცოდებანი მისნი .“ აქვე დასაფლავებულია ცაგერის მიტროპოლიტი იოანე, კაციადადიანის ძე, რომელს შემდეგ გაუქმდა საეპისკოპოსო კათედრა და ამასთან მონასტერსაც მოეშალა ყოველივე სიუხვე პურისა, ღვინისა და ზეთისა. რომელნიც შეიწიროდა კეთილ-დღეობისთვის და მოძღვრებისთვის მრავალთა ყრებულთა მოსულთა და ადგილობრივთა მონასტრისათა. პატიოსანი მოხუცი წინამძღვარი დიდის ამბოხებით გლოვდა წარსულთა ტკბილთა ჟამთა.

— დეიკარგა, ბატონო, ის ბედნიერი დრო, როცა აქ გულუხვად ჭყვაოდა ცხოვრება! — იწყო პატიოსანმა წინამძღვარმა მწუხარებით ჩივილი. — სულ-განათლებულ მიტროპოლიტ იოანეს დროს მარტვა გარეშე კრებული ორმოცდა ათ კაცზე მეტი იყო, ბატონო. ბერებს და მთავარ-დიაკვნებს ხომ ანგარიში არ ჰქონდათ. გარეშე სტუმარს არ იტყვით, ბატონო?.. ასზე ნაკლები კაცი სადილად არ დაჯდებოდა ამ ჰალაზე რაც ნამუშევარი მოდიოდა, იმისი ხელის ხლება ვის შეეძლო: სულ ამ მონასტრის იყო... ახლა ვინღა გკითხავს, ვისაც უნდა. ის ხნავს და თესავს. ერთ ფოხალსაც აღარავინ გვაძლევს. ძალიან წახდა დრო, თქვენმა მზემ. სარწმუნოება შესუსტდა, მღვდელ-მონაზნების პატივის ცემა დეიკარგა. სრულიად ყურს აღარავინ გვიგდებს. ასე თქვენისთანა პატიოსანი კაცები ხან-და-ხან თუ გამოივლიან და თავის სულის შესავედრებლად თუ დაგვიტოვებენ რასმე, თვარა სხვა არავინ არის ჩვენი ყურის მგდებელი.

— განა სარჩო არა გაქვთ გაჩენილი? — ჰკითხა ჩიკოლიკმა.

— ცოტა, თქვენმა სიცოცხლემ, ცოტა. ორმოციოდე კვამლი კაცია და ისინიც არას იხდიან. წვალებისა და ჰიკუინის მეტი არა გამოდის-რა იმათგან. ვაი. ნეტაი იმ დღეს. როცა აქ გალობა და ძილის პირი მუდამ დღე ისმოდა! დღეში უკანასკნელი ორი ძროხა მაინც დაიკვლებოდა.

— თვითონ მონასტერს ჰყავდა ჯოგი თუ?..

— რას ბძანებთ! მთელი ეს კუთხე მონასტრის იყო. დღეში ორი სამი ძროხა რომ მოსვლოდა ძღვნად მიტროპოლიტს. კიდევ ცოტა იყო. ახლა. ბატონო, საწირავს არ იკითხავთ... დიდი ღვთის მოწყალება ჰსდიოდა თავს ამ მონასტერს.

ტაძრის განის კარზედ წარწერილობა ჩამოთლილი იყო. პატიოსანმა მგლოვიარე ბერმა აგვიხსნა, რომ ეს ეკლესია იმერეთის მეფის გიორგისაგან არისო აშენებული, მაგრამ ახლა ჩვენში ძვირად იპოვება იმისთანა სახსოვრები, რომ იმერეთის მეფეებს მოგვაგონებდენო. მთავრებმა, საცა მეფის სახსენებლად იყო რამე, ყველა წააშლევინეს და დააწვევინესო.

როგორც ეტყობა, ჩვენი ხალხი ძველიდანვე ყოფილა სამოქალაქო კანონებში განვითარებული. მთავრებს იმ განზრახვით გაუწყვიათ ისტორიული საბუთები. რომ მეფეებს დავის დაწყება არ შესძლებოდეთ შემდეგში. მაგრამ დროთა ვითარებას კიდევ უფრო სამართლიანად გადაეწყვიტა:

> სამეგრელოს დანთებულსა იმერეთის ქარი მოხვდა;
> ქვეყანას ცეცხლი მოედო. ერთმანეთის ელტა მოხდა.
> გამოეღვიძა დევ-კაცსა გრგვინვა რისთვის მათზე ჰქუხდა;
> ორივეს კლანჭი დასტაცა. იმათ მტრობას ეს ეოუხდა.

XIV

თეთრ კოშკს რომ გავედით, კიდეც დაბინდდა. ჩვენ დავბინავდით გაციებულ დადიანის სასხლეში. ეს იყო უზარმაზარი ხის სახლი შვიდი განიერი ოთახით. გარშემო ხის ჯავარიანი ხარისა ერტყა. ორ კუთხეზე ამაღლებული სატახტო ადგილი იყო გაკეთებული. როცა სასახლეში ლხინი და მეჯლიში გაიმართებოდა, ამ ამაღლებულს ადგილზე ტახტს მოაწყობდენ და ზედ დასხდებოდნენ მთავარ-დედოფალი. სასახლეში დაგვხვდა მეტის-მეტი სიბერისაგან თმა-გაყვითლებული მოხუცი; წელში მოხრილობით ზურგზე კუზი ამოსვლოდა. ეს იყო ლევან დადიანის ფარეში. ძველ წიგნებში სიკვდილს კაცის ჩონჩხად ხატვენ. ეს მოხუცებულიც კან-გადაკრულ ძვლის ჩონჩხად მომეჩვენა, რომელსაც სული ყელში ამოჩრიდა და. ის იყო, განშო-

რებას უპირებდა. თუ კიდევ იმის მიმქრალ თვალებში გამოჰკიაფოდა სიცოცხლის ნაპერწკალი, ეს იმას ამტკიცებდა, რომ სული ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულიყო ჩონჩხისაგან. როგორც-კი გაეცინებდით დადიანების დროებას, ერთს ასეთს ამოიხვნეშებდა, რომ გეგონებოდა, ფილტვის ნაგლეჯიც თან ამოაყოლებო. „ჯერ იმისთანა კაცი და იმისთანა ქალი ცას ქვეშ არ დაბადებულა!" — მწუხარებით წამოიკრინა ძველმა ფარეშმა, როცა ეკითხეთ ლევან დადიანის და იმის მეუღლის ამბავი. „ნეტაი იმ დღეს, ეს ეზო რომ ყოველთვის გატენილი იყო დიდებული თავადებით და აზნაურიშვილებით. იმ სულგანათლებულს ზაფხულობით უყვარდა აქ მობძანება. მეძებრებსა და ნაგაზებს გარდა ორმოცდა ათი ასეთი მწევარი გამოვიდოდა, რომ შშველს სამ გახტომაზე არ გოუშვებდენ. დადიანი და იმისი ხლებულები რომ წავიდოდენ სანადიროდ ამ ჭალას, ქვეყანას აცოცხლებდა იმათი თვალის სეირი; იმათი კივილ-ყივილი ზეცას ღმერთს ესმოდა. სულ ქეიფი, სიმღერა. ლხინი და პატიჟობა იყო გამართული. სადილზე ყოველთვის სამ წყებად დაჯდებოდენ. ამ აივანს ხომ ხედავთ, ბატონო? ამ სიგძე აივანზე მარტვა დიდი თავადები იმდენი დაჯდებოდენ. რომ ტევა აღარ იყო. აზნაურობას და საპატიო გლეხობას კიდო თავისი ადგილი ჰქონდა. როდესაც დადიანი და დედოფალი მაქანა, მაგ ტახტზე, იჯდენ. მაშინ მზეც-კი თამაშობდა სიხარულით. მე სულძაღლი ცოცხალი რავა ვარ იმათი დაკარგვით! ისინი რომ დამეკარგენ, მას აქეთ წახდა, ბატონო, ქვეყანა! მეორეთ მოსვლის ნიშნებია. რაცხა მზეც არ ანათებს ისეთ ბრწყინვალეთ, რავარც ლევან დადიანის დროს იყო."

მეორე დღეს დილით ხელოსანი მოვიკითხეთ. თურმე იმას სუნით გაეგო ჩვენი მისვლა და წინა დღითვე გაპარულიყო. ამ ამბავმა ძალიან გამაკვირვა. სადაც მივედით, იმათ არსად მიგვიკარეს: ჩვენი დანახვა ისე ეზარებოდათ, რომ ღმერთმა ჭირიც ნუ შეაძულოს კაცს ამ გვარად. გლახათუბნელი და ლეჩხუმელი იმავე ღამეს მოგვშორდენ. დავრჩით მარტო ჩვენი სვანებით. დადიანის ფარეშს გარდა ერთი სხვა სოფლის ბიჭი იყო კიდევ სასახლეში დაქირავებული და, თუ რასმე ვეტყოდით ან სარჩოს ყიდვაზე, ან სოფელში წასვლაზე, მაშინვე ასე გვიპასუხებდა: „მე ნაჩანიკისაგან ვარ აქ დაყენებული: ფეხი არ მოიცვალო, თვარა ოთხში ამოგიღებო. რა ვქნა, შენი ჭირიმე, ტყულა ნუ გამიწყრებით, ვერსად ვერ გიახლებით." კუდაბზიკას ტალახში ჩარჩენას დავცინოდით და ჩვენ უარესი მოგვივიდა. სასახლის ნაგავში კოქებამდინ ჩავეფლეთ და სიმშილიც კარზე გვადგა. ცხენების შოვნას ვინ დაეძებდა, საყიდელი რამე რომ გვეშოვნა. შორს მარჯვენა მხარეზე ერთ კორდზე ორი თავ-გადახდილი ქოხი მოსჩანდა. მოხუ-

ცებულს დადიანის ფარეშს ვკითხეთ. იმ კორდზე რა გადმოყუდებულა-მეთქი?

— იქ. ბატონო, სოფელია.

ტყუილა ჯდომას ისევ სოფელში წასვლა ვარჩიე. ახლოს რომ მივედი, იმისმა ხისაწყლემ გული ამიტირა. აი, რა დამიხვდა: უფრო ხშირად თავ-გადახდილი წნელის ქოხები. წაქცეული ღობე. ფერდ-მიმხმარი ძაღლები, რომელთაც ჩემს მისვლაზე ყმუილი შექნეს და ზეზე კი არ წამოდგენ, ალბად სიმშილისაგან წელი ვერ აეთრიათ, ორი სამი კისერ-მოხეხილი ღორი ქეციანი გოჭებით. — სულ ესენი ნაღვლიანად გამეხირენ თვალწინ. რომ ვიკითხე, მთელ სოფელში ისეთი კაცი არ მოიძებნებოდა, რომ ცხენი ჰყოლოდა. ბოლოს ერთს დაბღუნძულს და კარ-გაღებულს ქოხს მივადექი, შიგ ახალგაზდა ქალი პერანგის ამარა იჯდა და განის ჩაქები იღლიებამდის შეხეული ჰქონდა. ასე რომ გულ-მკერდი სულ ერთიანად მოტიტვლებული უჩანდა. აკვანში სრულებით ტიტველა ბავში ეგდო და არტაშნების მაგიერად ბადლის ჩითის ნაფლეთებით იყო ჩაკრული. საწყალს ბავშვს თვალებში და ცხვირში ისეთი გაცხარებით ესევოდა ბუზები, თითქო ცოცხლადვე გადაუგდიათ იმათ შესაჭმელადო.

— კაცი არავინ არის შინ? — ვკითხე ახალგაზდა ქალს.

იმან პასუხის მაგიერად თავი ჩაღუნა და მხოლოდ ტიტველა მკერდის დაფარვას აპირებდა. პერანგის ნაფლეთებით, მაგრამ ერთ ძუძუს რომ დაიფარებდა, მეორე მაშინვე თავს გამოყოფდა. გამოვტრიალდი და სხვა ქოხს მივაშურე. ეზოში სამი რვა-რვა წლის პაწაწა ქალ-ვაჟი თამაშობდენ და თავიდან ფეხამდის რაც დედის მუცლიდან არ დაჰყოლოდათ, იმის მეტი არა ებადათ რა ტანზე. სილარიბე შინახავს, მაგრამ ამისთანა ამბათაც არ გამიგონია, ვთქვი ჩემს გუნებაში. როცა იმ მეორე ქოხში შევიხედე, ერთი ღრმა მოხუცებული კაცი დამხვდა. პერანგისა და შემოფლეთილის პერანგის ამხანაგის მეტი იმასაც არა ეცვა-რა.

— მამაშვილობას, თუ რამე გაქვთ გასასყიდი, ან ქათამი, ან კვერცხი თუ იშოვება, ან ყველი, ან იქნება გოჭი გყავდესთ, ნურას დაგვიჭერთ.

იმან პასუხის მაგიერად ახირებულად გადიხარხარა და მძიმე ხველებისაგან კინაღამ გული გაუსქდა.

მე კიდევ გავუმეორე ჩემი თხოვნა.

უარის ნიშნად თავი გაიქნია და თან დააყოლა:

— არა, მამაო, ჩვენ გასაყიდი ვინ რა მოგვცა. ნეტაი იმდენი შოგვცა, კუჭი გავიძღოთ, თვარა გაყიდვისაგან ღმერთმან დაგვიფაროს!

— ასეთი სისაწყლე რისგან არის სოფელში?

იმან უკმაყოფილების ნიშნად ხელი გაიქნია და არა მითხრა-რა.

ამ დროს უცებ მოვტრიალდი და ჭალის ყელში ცალი მხრით დადიანის სასახლე და მეორეს მხრით მონასტერი, მდინარის იქით-აქეთ კუთხეში, მთების ძირს, ორ, კუპრივით შავ დებად მრმეჩვენენ. უეცრად თვალწინ წამომიდგა ორი ზღაპრული ვეშაპი, რომელნიც თითქოს ჭალის ყელში იმ განზრახვით დაბინავებულიყვენ, რომ მთელი ეს მიდამო კლანჭებში ჰყოლოდათ გაძაგრული და გაუკითხავად ელოთ ხარჯი თავის სარჩენად. ამ დროს თვითონ ის სოფელიც ერთ პაწაწა ქალაქად წარმომიდგა, რომელთანაც ის ზემოხსენებული ვეშაპები დაბინავებულიყვენ ღლიურად თავის გასაკვებად. *)

ამ შემთხვევამ ბევრი ისეთი რამე ამისხნა ჩვენი ძველი ცხოვრებისა, რომლის კვალიც აქამდის ვერ მიმეგნო. იმ წასვე ჩაელრმავდი გონებით ჩვენი ძველი ლეგენდების სურათში, სადაც „მზე-ჭაბუკი“ და „ჯიმშერ“ ხელმწიფე სიმართლის მახვილით შეიარაღებულნი. გამოდიან ბუმბერაზების და ვეშაპების გასაწყვეტად. მრავალია ჩვენში ძველებური მოთხრობა, სადაც თითქმის სულ ამისთანა სურათებია აღწერილი, როგორც ახლა, მაგალითად, მთელი ეს კუთხე ვნახე. იქ იყო ორი ძველებური წყობის კვალი: ერთი იყო სამღვდელოებათა წარმომადგენელის ადგილ-სადგომი, მეორე საერო უფლების წარმომადგენელის სასახლე. მონასტერში სუფევდა მიტროპოლიტი, ძველ სასახლეში — დადიანი. ორივე ბუმბერაზი, ორივე ამ ქვეყნის დევები ყოფილან და ძველიდგანვე აქ თავი ურჩენიათ, ძველიდგანვე ჩაუვლიათ ხელი ყოველი შემოსავლიანი ადგილისათვის; მთელი ეს კუთხე იმათი ყოფილა და იქ მდებარე სოფელი იმათი ღლიური სარჩო შექნილა, და ამ დამოკიდებულების კვალი რა ცხადად გამოხატულია სოფლის მცხოვრებლების სიღარიბეზე!.. როგორც სჩანს ძველის მწერლობის ნაშთებიდან, ჩვენი ხალხი ძველიდგანვე არ ყოფილა ამ-ნაირი დამოკიდებულების კმაყოფილი, იმას არ ჰყვარებია თავისი დევები, თავისი ვეშაპი, რომელნიც მტრისგან დაფარვის მაგიერად იმასვე სწუწნიდენ სისხლსა. აი, ამითი აიხსნება ის მრავალ-გვარი მოთხრობები, რომლებშიაც გამოყვანილნი არიან ერთი მხრით დევები და მეორე მხრით ხალხის გმირები. გმირები იბრძვიან ხალხის საშველად და ხოცვენ დევებსა. თუნდ ავიღოთ „რუსუდანიანი“-დან ერთი სურათი მოთხრობისა, სადაც გოსტამ გმირი ათავისუფლებს ერთს დაცარიელებულს და აოხრებულს ქვეყანას დევების გაწყვეტით:

---

*) ამ ჟამად ამ ალაგას თითქმის აღარაფერია. მთავრის სახლიც ცეცხლმა დასწვა და მონასტერიც დიდი ხანია გაუქმებულია.

„აუდექ. — გეიმბობს გოსტამ გმირი: — დაეიწყე სიარული, შეეყეე მას
ირუსა. ეიარე და ერთის ასეთ გალავანს მიეადექ, სულ გათლილის შავის ქვით ნა-
გებია. რომ მის სიმაღლესა საგდებელი (გრძელი თოკი) არ სწვდებოდა და სიგანეს
თვალი ვერ გაუწვდინე. ეთქვი. ეს ცუდი არა იქნება-რა, უთუოდ ხელმწიფისა არის
ეს ტახტის გალავანი-მეთქი. შეეყეე მას ზღუდესა და ეიარე ორი დღე. კარზედ
მიეელ, შინ კაცი არსად იყო, არც ხმა ისმოდა. შენობა უცხო ფერი იყო. სულ
გათლილი ქვისა. რომელ თვალითა და მარგალიტითა აშენებულს ის მერჩია. გა-
მიკვირდა მისთანა დიდი ქალაქის უკაცურობა. დავიარე სულ ის მხარე სხვადასხვა
გვარიან მოწყობილი იყო ბაზარი და ქულბაქი, სახლკარი,, ბაღი, ბაღჩა, რომე
კაცი მის უამეს ვერას ნახავდა, მაგრამ ოხერი და უკაცური იყო. შეეყეე, ნუ თუ
ან პირისაგან ოხრებული იყოს ან ახალი აშენებული იყოს და ჯერ არ შესუ-
ლიყონ-მეთქი. სხვაგან შინც იქნება კაცი. დავიწყე სიარული, ეიარე ის დღე და ის
ღამე. გათენებამდი კაცის ხმა ვერ გავიგონე.

რომ გათენდა, იმ მხრის შენობით გაველ, მინდორი იყო და იმ მინდორში
ერთი საოცარი შავი მთა რომ იყოს, იმოდენი ქვაბივით აშენებული სახლი იყო.
ერთი კარი ჰქონდა ბასრის რკინისა, სიმაღლითა ორი შუბის სიმაღლე იყო და
სიგანით შუბი გაიმართებოდა; უცხო ხმა გამოდიოდა, რომ კაცი შეზარდებოდა.
ეთქვი. წაველ. ენახავ-მეთქი. რომ წაველ მის უცნაურის მთის ოდენის სახლისკენ,
შეეხედე, რომ ამოისუნთქის, გაიღის კარი, და რომ დაისუნთქის, შეიგდის (იხუ-
რებოდა). ეთქვი, ღეთის მადლმან, შეეალ, ენახავ-მეთქი. რომ ამოიფშვინა, შე-
ეირბინე საჩქაროთ, კარმა არ დამიტახოს-მეთქი. კარს რომ შევსცილდი, დავდექ,
ჯოჯოხეთისაგან უბნელე იყო იგი სახლი. სიბნელითი ძლიეს დავინახე, რომ თეთ-
რი დევი იწვა. სიდიდითა ძლიე ეტეოდა, და პირი გიშერს უგავდა, ტანი მთის
ოდენა ჰქონდა. თმა ჯოკამდი ჩასწვდებოდა, სიპრტყე, სიმაღლე მისი ლრუბელისა
შესასწორებელი იყო; თავზე რკინის ქუდი ეხურა საზარელი. გავკვირდი მისა სი-
დიდესა და მწვედაც შევშინდი და ასე ვთქვი. თუ ეს ქალაქი თურმე ამას აუოხრებია,
ჩემი დღეც აქ გათავდებოდა მეთქი; მერმე გულს ეუთხარ, გაფიცხების უამია,
რად აგრე მოლაფლდი (დალონდი) მეთქი. ეახსენე ღმერთი, გარდავაზმანე ჩემი
ხმალი. რას გადასწვდებოდა. ერთის თითის მოკრაც არ შეეძლო, ის ისევ ჩაეაგე და
ჭოუარე თავით ლახტი და ხმალი ეკიდა.

ვთქვი კიდეე. არამც ლახტი (შუბი და შეილდ-ისარი) ეერ დავიმაგრო,
გამვაორდეს, გაიღვიძოს-მეთქი. ხმალი ჩამოვიღე, გული გავიმაგრე და მედგრად
შეუტიეე, დაეკარ მისიეე ხმალი. ბარკალი გავაგდებინე. თურმე გაღვიძების დროც
იყო და ასე ემწვაეა .რომ სიცოცხლე დამწარდა და გამწვაეებულმან ტოტი ჩამოკრა
და ფარი გამაგდებინა. მე უკან უკუეხტი და ხმალი ეერ გამაგდებინა. წამოიწია და
ასე თქვა: „ვინა ხარ, მუხთლად მომკლა ამ ღორმა და სიცოცხლეში წილი აღარ
მიძევსო". რა მისგან ეს გავიგონე. გავგულოვნდი და კვლავ მიუხდი, ერთი ხმალი
მკერდსა ვკარ, რაც შემეძლო. წამოიწია და ასე მედგრად შეეიჭიდენით, რომ სა-
ზაროდ ყმა იყო: სადაც ხელი გამომკრის, ზეწარიეით ხორცი დამიხიეის. ასე
ეთქვი გულში: თუ ამას მოვრჩები, აღარა მიშაეს-რა მეთქი... მას დევსა ძალი
წაუხდა და ასე მითხრა: „მე ჩემი კი დამემართა და ჩემს გულ-ღვიძლს ნუ წაახდენ,
ბეერს ალაგას მოგეხმარებისო". რა მისგან ეს იმედის გადაწყეეტა გავიგონე, უფრო
გავგულოვნდი, შემოქმედსა ძალი ეთხოეე, დავიყვერე, აეწიე და ავიყეანე თავის
ზეწორად, მოვიქნიეე და ასე ძალიანი დაეეც, რომ ზურგის მძივი მოეშალა და სულ-
თაგან დაიცალა. გავაპე, ღვიძლი გამოვგლიჯე. იქაე მაღლა შეეკიდე. ასე ვთქვი:
ჯერ გავალ, პატას შეეისეენებ, ეგება პაეი ვინმე გამოეაჩინო და მერე წაეიღებ-

მეთქი. გაბოველ. ამოსა რასმე საახლეში შეველ. ძლიელა შევაწე და მივეგდე. მას დღესა იქ ვიყავ. ძლიე ხორცის სისხლი დავიწყვიტე, პატა სული შევიქანე. ავდექ და დავიწყე სიარული და ძახილი: ვინცა ხართ, გამოდით. თეთრი დევი მოკალ-მეთქი. მე არ ვიცოდი, თუ სხვაც იყო; მათ ქალაქის კაცმა კი იცოდენ. თურმე უარესი სხვა იყო. არავინ გამოჩნდა...

ამ სახით გოსტამ გმირი მოკლავს მეორე დევსაც და მესამესაც და განათავისუფლებს იმ ქვეყანას, რომელიც ასე შეწუხებული და გაოხრებული ყოფილიყო იმათგან.

ხალხი ყოველგან და ყოველს ჟამს მკვირცხლ-გონებიანია. იმის მღვიძარე გრძნობას არ დაემალება ყოველნაირი ცუდი მხარე საკუთარი ცხოვრებისა. რამდენადაც უფრო მავნებელია ერის ცხოვრებისთვის რომელიმე ქვეყნის დაწესებულება, იმდენად აღელვებულია. იმისი აზრი, რომელიც ამ შემთხვევაში ეძებს საშუალებას: რომ ამ ცუდის დაწყებულებისაგან თავი დაიხსნას. იმიხ გონება გააცოცხლებს ცხოვრების მავნებელს მიზეზებს და გადააკეთებს ზღაპრებში ბუმბერაზებად და ვეშაპებად. ხოლო ერის გონება გამრიყვანს ასპარეზზე საკუთარის ძუძუთი გაზდილს გმირებს და მიუსევს მათ განსაძევებლად. ამ სახით ჩვენს ძველ ისტორიულ ცხოვრებაშიაც ერის გონება იმდენად დამწიფებული ყოფილა, რომ აზრით ნაპოვნი ჰქონია. ის საშუალება. რომლითაც მოისპებოდა ცხოვრების დამაბრკოლებელი მიზეზები. მაგრამ მძიმე გარემოებას არ დაუცლია ერისთვის საქმით ასრულება იმისა, რასაც აზრით მიმხვდარი ყოფილა. იმას არ დასცლია, რომ თვითონვე მოესპო შინაგანი უსამართლობა. უწესოება, ერთი მეორისაგან დაჩაგვრა. რომ შებორკილს ცხოვრებას ხელ-ფეხი გახსნოდა წარმატებისა და დიდებული ცხოვრებისათვის. ამ საქმეში სხვისი დავალებული შევიქენით, და ეს დავალება ჩვენგან შეუძლებელს და ჩვენ მიერ ვერ შესასრულებელს მაგიერობას ითხოვს. აი, რა არის ჩვენთვის დღეს სამწუხარო და სხვალალო...

ნაწილი მეორე

I

— კაი კაცია. ბატონო, კიკოლიკი, — მეუბნებოდა დათუნა. მთაზე რომ გადავდიოდით: — სწორედ სულში ჩასაძვრენია, სულში!.. მაგისთანა ტკბილი. უწყინარი, წარბ-შეუკვრელი, კაცის გულის შემატკივარი, სწორ გზაზე დამყენებელი რომ არავინ მინახავს! დიდი ხანი არ არის, რაც მაგან დამაყენა მოჯამაგირედ და იმ პირველშივე ისე ტკბილად გამიცინა თვალებში, რომ მაშინვე ვიფიქრე, ეს კაი საბატონო კაცი უნდა იყოს-მეთქი და არც მოვტყუვდი. მაშინვე ყოველიფერი დაწვრილებით გამომკითხა, ან ვისი ყმა ვარ, ან რა ბეგარა მემართა ბატონის, ან რა სამსახური მმართებს, ისე დაწვრილებით, ისე ჩაყოლით მკითხა, რომ გულმა გამიცინა, ყიდვა ხომ არ უნდა-მეთქი ჩემი... სწორედ, სწორედ ძალიან მეამებოდა, რომ ვეყიდე... რომ მოვუყევი ჩემ გაჭირვებას, სულ იკვნესა, ბატონო, მწუხარებით: „ოჰ, ოჰ, რა შეუბრალებელი ყოფილა შენი ბატონი... ოჰ, რა უსამართლო ყოფილა! მეტს რავა გართმევს ის სულ-კატიანი!“ მერე მოჰყვა მებატონეებზე და თქვა: „ან სულ რა სინდისი აძლევს მებატონეებს გლეხების შეწუხებასო.“ ახლა, ბატონო მოვუყევი ჩემი ბატონის უსამართლობას, ერთხელ რომ იმან ნაჩანიკის იასაული ჩამომიყენა შინ და ცოლშვილი დამიწიოკა; ერთად ერთი ფერდელა ღორი მყავდა. ის იყო ჩემი შობის სიმდიდრე, ვასუქებდი. თავს ვეელებოდი და ის დამიკლა... ის დაკლა ჭირმა!.. შობის ხსნილში მე და ჩემ ცოლ-შვილს ხორცი თვალით არ გვინახავს... დეიქცეს, დეიწვეს, დეიღუპოს ის დრო, ბატონ-ყმობა რომ გაჩნდა ჩვენში-მეთქი! კიკოლიკმა რომ ეს ამბავი გეიგონა, სულ „ვიში“ და „უში“ იძახა, მერე დამიწყო რიგება: კარგია. რომ მაგდენი მოგითმენია; სხვა რომ ყოფილიყო შენს ადგილას. არ მოუთმენდაო. ხელს გამოიღებდაო, იასაულსაც გაჯოხავდა და ბატონსაც მიაყოლებდაო. მთავრობა მძლავრია. ვინც იმის წინააღმდეგს რასმე გაბედავს, მაშინვე ციმბირში გაგზავნის; ისევე სჯობია, ჩუმად იყოს კაცი და ბატონს შეაწყალოს თავიო... ძალიან მაქო იმის გულისათვის, რომ ერთად-ერთი ფერდელა ღორი დამიკლეს და

თაკი არ გაძოვიდეო. ამისთანები, მგონია, ერთი საათი მეტი მელაპარაკა. სულ მაფრთხილებდა. მართალი მოგახსენოთ, ჩვენ, გლეხებს, ამისთანაში დარიგებაც არ გვინდა, ბატონების მძლავრობით კურდღელივით ვართ დაშინებული. ის კი არა, ბატონი რომ დეინახოს ჩვენმა კაცმა, შიშით სული ძერება. ჩვენი კაცი ფრთხალია, ბატონო. ძალიან ბევრი მელაპარაკა ამაზე, სხვა ამბებიც-კი მომიყვა: მითხრა, რუსეთში გლეხები გაანთავისუფლესო, მარა ადგილები კი არ მიუციათო გლეხებისთვის; იმათ არ ეგონათ, თუ ხემწიფე უმიწა-წყლოთ ინებებდაო გლეხის განთავისუფლებას და აბუნტდენო, გამოუსიეს ჯარები და სულ პანტასავით მირეკ-მორეკესო, მარა თუ უკმაყოფილოდ დარჩეთ, ნურას გაბედავთ, თვარამ უარესი დაგემართებათო. ვინ გაბედავს, ვის რა შეუძლია, ბატონო? მარა გლეხკაცს მაინც ბედი არ ჰქონია და არც ეჭნება. მგონია სულ ტყუილია, ამ თავისუფლებას რომ იძახიან. ჩვენ მიდღეჩი არა გვეშველება-რა. თვალს და ყურს ატუუებენ. სულ ოინობაა, ბატონო! მარამ ამ დალოცვილმა კიკოლიკმა მაინც ძალიან მელაპარაკა, მე მაგისთანა ტკბილი კაცი არ მინახავს...

მართლაც, კიკოლიკი ძალიან საქები და მოსაწონი კაცია. რომ გინდოდეს, მტერობასაც ვერ მოუხერხებ. ასე გგონია, ნიადაგ შაქარი დნება იმის პირზეო. ჩემი დიდი ხნის მეგობარია კიკოლიკი. პირველად კიკოლიკს შევხვდი 186... წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში. ჩვენს პაწაწა კავკასიელების წრეში ძალიან საქები კაცი იყო. ის მაშინ კურსს ათავებდა. მე და ჩემი ამხანაგები გუშინდელი მოსულები ვიყავით. სწორად ხარის ტკიპებსა ვგვანდით. პაწაწინა კავკასიელები პეტერბურგის განათლებულს სტუდენტობაში, აბა, რა შვილები ვიქნებოდით? იქაურები კავკასიის მხეცებს გვიძახოდენ. ჩვენ ჩავედით იმ დროს, როცა ყველა კიკოლიკის ამხანაგობა, იმის ტოლები პეტერბურგიდან წამოსულიყო თავის ქვეყანაში; დარჩენილიყო მარტო კიკოლიკი, თითქოს მართლა და ახალი ბღარტების ძევლად და კრუხად გამხდარიყოს. მე რომ პირველად შევხვედე იმის გაფითრებულს სახეს და დამუწულს, მოკუმულს ტუჩებს, ძალიან მომეწონა: ვიფიქრე, თუ სადმე სიბრძნის ნატამალი იპოვება. ამ წარბებ-დასქელებულს შუბლში უნდა იყოს-მეთქი. ის მაშინ რაღაცას სწუხდა, ამბობენ, უნივერსიტეტში რაღაც უთანხმოება მომხდარიყოვო. ალბათ ეს ამბავი აწუხებდა.

ერთს მტირალა აგვისტოს დღეში მე და ჩემს ამხანაგს შეგვხდა კიკოლიკის გაცნობა. მაშინ კანიკულები იყო და სტუდენტები პეტერბურგს გარეთ იყვნენ გასულნი სოფლად. სადილს უკან ხუთ საათზე მე და ჩემი ამხანაგი წავედით კიკოლიკთან. შევედით თუ არა იმის ოთახში, იქ ერთი ხუთი წვერიანი დავაჟკაცებული სტუდენტი დაგ-

ვიხვდა. იმათგან, რომელსაც უფრო გძელი და სქელი წვერი ჰქონდა, ის იჯდა განკიდურებულს საწოლ კრაოტზე. ხელები გულზე დაეკრიფა. ცხვირი ჩამოეშვა აფრასავით, თითქოს წვიმიანს დღეს შინ დაემწყვდიოს და იმაზე ყოფილიყოს ჯავრიანად, შავი სქელი წვერები გულზე დაეფინა. მის ნახვაზე უცებ ჩვენი სოფლის მღვდელი მომაგონდა, როცა ის დღესასწაულის წინა დღეს მინახავს, ღრმად ჩაფიქრებული, სულ იმის ზრუნვაში: „თუ ხვალ რამდენი ტაბლა მექნებაო საკურთხი. თუ საკურთხზე შეთლილი ცხვრის ბეჭი წარმომიდგინეს, ან სათბილო თირკმლებ-გაცლილი და ნეკნებ-წართმეულიო. შენ არ მოუკვდე ბაბუცა ხუცესს, მე ის არ ვაკურთხოვო. გიჟი ვიქნები. შეთლილი ცხვრის ბეჭი მივიღო, ან გაქურდული ცხვრის სათბილო; არ მოგეცეს სიავე, მე საკურთხის მომტანს ჩემი კერძის დაკლება არ შევარჩინო, არ ვუკურთხებ. არ მოვუხსენიებ მკვდრის სულს და ის იქნება! ნახავ, თუ ჩემი კერძის დაკლებით მიცვალებულის პატრონს მთელი ცხვარი არ მოვაყვანინო.“ სწორედ ამა ფიქრებით წაღებულს ჩემი სოფლის ბაბუცანა მღვდელი წარმომიდგა, კიკოლიკის ჩაფიქრებულს სახეს რომ შეეხედე. შესვლისთანავე კიკოლიკი მარდად წამოვარდა ტახტიდან და ყველაზე უმალ შემოგვეგება. მოვიდა ჩემთან, თვალები დაწკურა და სიამოვნებით გამიღიმა, ისე გამიცინა, როგორც ოცდაათი წლის ვაჟკაცი პაწაწინა ხუთი წლის ყმაწვილს გაუცინებს, თითქოს ჰსურდეს იმ ყმაწვილის მუხლზედ მიჩვეება. „როგორ კარგად მოხვედით, გზაზე ხომ არა გაგჭირვებიათ-რა?“ მამობრივის თანაგრძნობით მკითხავდა კიკოლიკი. მე თავი გავაქნიე და ფიქრები ამეშალა: ვთქვი ჩემს გუნებაში, ეს კაცი ან ქვეყნის მოკეთე უნდა იყოს, ან თვალთმაქცობით ქვეყნის შემპარავი. არ ვიცნობდი, არ მიცნობდა და ახლა რომ ეხედავდი ჩემ წინ მხიარულების გამოსაჩენად თვალებ-დაწკურულს იმის სახეს, ერთი გული შეუბნებოდა, ძალიან კარგი გულის უნდა იყოსო, და მეორე: არა, მაგისი ნურა გეჯერა-რა, ეგ თვალებ-დაწკურული, ცხვირ-წამორილი სახე პირდაპირ მასკა არის და მაგ მასკის შიგნით კაცის სახეა მიმალული, რომელიც შენდა გაუგებლად თავიდან კოკებამდის გათვალიერებს და უნდა რამე მოგტაცოს... შორს დაიჭირე მაგ მასკიან კაცთან საქმეო. ამ ორმა ერთმანეთის გვარმა ფიქრებმა უცბად გონება წამიღეს. ასე რომ ვერც ხელის ჩამორთმევა მოვახერხე, ვერც იმის კითხვაზე პასუხის გება. თავი უხეიროდ გავაქნიე და ჩემს გულკეთილს ახალ ნაცნობს უხეირო სახის დამანჭვით და არა სიტყვებით განეუცხადე, თუ თავს დამანებებ და განმათავისუფლებ ყოველგვარი კითხვებისაგან, ძალიან კარგი იქნებამეთქი. ბაბუცანა ხუცის მსგავსი ჩემი ახალი ნაცნობი მაინც არ მოშეშვა, კიდევ უფრო ტკბილი და ალერსიანი სიტყვებით სკამი თავისი

ხელით მომაწოდა, ახლოს მომისვა და მიწყო ჩუმად დარიგება: შენ ახლა ყმაწვილი ახალ-მოსული ხარო, ნევსკი პროსპექტზე ნუ დაიწყებ სიარულს. ბევრი არის იქ ისეთი ყმაწვილები, რომელთაც მხოლოდ ქეიფი, სიმღერა და ღამის დროს გატარება უყვართო, ნურც იმისთანა კაცებს გაიცნობო. ამ ცოტა ხანში უნივერსიტეტი გაიხსნება. სწავლა დაიწყება, იქნება რამე უკმაყოფილება მოხდეს, შენ მონაწილეობას ნუ მიიღებ; თუ რაიმე შეკრებილება მოხდეს უნივერსიტეტის ზალაში. შენ აიღე ქუდი და შინ გამოსწიე. გამოიქეცი, რომ იქ უნივერსიტეტის მთავრობამ არა შეგნიშნოს-რაო. ამისთანა მოახლური დარიგება და მასთან გაიძვერა თვალების პარპალით ლაპარაკი არაფრად მეკაშნიკა. მინდოდა ამდგარიყავ და წავსულიყავ მეორე ალაგას, მაგრამ ვერ მოვახერხე. ერთი მეორეზე ზედმიყოლილი კითხვით სწორედ ისე შემიპყრო ამ ახირებულმა, მუდამ მოცინარ გძელ-წვერებიანმა კაცმა. რომ სწორედ ძველი ლიმნაზიის შეგირდობა მომაგონდა და ის ინსპექტორად დამეხატა თვალწინ. მით უფრო მომეტებული დაუნდობლობა ალმეძრა გულში ამ კაცზე და მაშინვე გადავსწყვიტე, მეორედ ღმერთმა ნუ ლა მანახოს ეს კაცი-მეთქი.

ის იყო ლიმნაზიაში კურს-დამთავრებული ეიყავი, ძლივს ყოველნაირი შეეიწროებისაგან და ბებიობისაგან თავი ვიხსენი, მინდოდა ერთი თავისუფლად სული მომებრუნებინა, მიმეშვა თავი ჩემ ნებაზე: მეცადნა საკუთარი ფეხებით ჩემს აზრზე დავმდგარიყავ, უჯაჭვოდ. სხვის დაუკითხავად, სხვის თვალის უდევნებლად, მით უფრო, რომ ჩავეარდი ყოვლად უცნობ ქვეყანაში, სადაც ყოველიფერი ხის ფოთლებიდან მოკიდებული უზარმაზარ „საზამთრო სასახლემდის", ჩემს თვალს იტაცებდა. მე მინდოდა სრული თავისუფლებით ჩავღრმავებულიყავ ამ მრავალგვარს, ახალს, უცნობს. უნახავს და ჩემთვის საკვირველს ცხოვრებაში, წინ არავინ დამდგომოდა, არც ერთი კუთხიდან მზვერავი თვალი არ დამენახა: მინდოდა. პირველად წარმომედგინა ჩემი თავი სრულ კაცად და მესრულებინა გული ამ ახალ ცხოვრების გამოცდაზე. როდესაც ამისთანა ფიქრებით გული მქონდა ატივტივებული, გახალისებული და გადიდებული, უცბად წინ დამიხვდა იგივე ლიმნაზიის თვალყურის მდევნელი, მზვერავი. იგივე ლიმნაზიის უფროსი, თითქოს მწარე წნელებით კანონ მომხდელი ინსპექტორი და უნდოდა მორჩილების უღელი თავს გადაეცვა ჩემთვის და მზრუნველობის ჯაჭვით შეეებორკე. მოდი და იფიქრე, რა გული მექნებოდა ამისთანა კაცზე.

მე რომ შევედი, კიკოლიკს და ხუთს იმის საკუთარ ამხანაგს სჯა ჰქონდათ უნივერსიტეტის საქმეებზე; კიკოლიკი უფრო გაჩუმებული იყო და რასაც იმისი ამხანაგები ლაპარაკობდენ, იმის წინააღმდეგი

სიტყვა ერთიც არ უთქვამს; მხოლოდ ხან-გამოშვებით წამოიძახებდა: „ეგ მართალია", „მაგას ბევრი დამტკიცება არ უნდა". „ჰო. ეგრე უნდა იყოს" და სხვა.

„რუსეთში მხოლოდ უნივერსიტეტია ცხოვრებისათვის ახალგაზდობის მომმზადებელი..... დაიწყო ერთმა იქ. მყოფმა კიკოლიკის ამხანაგმა. ეს იყო პოლონელი სტუდენტი, რომელიც იმ დროს ემზადებოდა კურსის შესრულებას და განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევდა გარეშე ტომის ახალგაზრდობას. რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტში შემოდიოდა კურსის დასასრულებლად. ის იყო თავის თანამემამულეების მოთავე კაცი. თავის მოძმეებში ჰქონდა დიდი რწმუნება და ჭირში და ლხინში ისინიც იმასთან იყვენ. ეს ყმაწვილი ისტორიულ და საპოლიტიკო საგანზე ათავებდა კურსს და, როგორც მაშინ მითხრეს, მამულის სხვერპლად ემზადებოდა. იყო კაცი კარგი მოლაპარაკე. ტკბილი და მეგობრული ყოფაქცევისა. ორჯერ რომ ვისმე დალაპარაკებოდა იმის გულს შიიზიდავდა; თავის ამხანაგობაში ძალიან კარგი განწყობილება ჰქონდა და ყოველის შესანიშნავის შემთხვევისათვის წინადვე ჰკრებდა თავის მემამულეებს. და იმათთან ერთად აწყობდა რიგსა და წესს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვენ მომავალს შემთხვევაში.. ამ ყმაწვილს სურდა, ქართველ სტუდენტებს დაახლოვებოდა და იმათთან კავშირის შეკვრით და ძმურის მოქმედებით გაეტაცებინა ესენი და თავის მემამულეებთან დაეახლოვებინა

ჩვენ თუ ერთმანეთი კარგად არ გავიცანით. და ერთმანეთის გულის პასუხი დაწვრილებით არ შევიტყეთ, ცხოვრებაში კარგად ვერ წავა ჩვენი საქმეო; მოვა დრო, როცა ჩვენ ერთმანეთის საჭირონი გავხდებით და თუ ახლავე ძმებივით არ შევიზარდეთ. თუ აქავე ამ უნივერსიტეტის საქმეებში ერთმანეთის დახმარება არ ვისწავლეთ, მერე უფრო ვრცელს ასპარეზზე სადღა მოვნახავთ ერთმანეთსო; გარემოებით დაშორებულნი, აზრითა და გულით მაინც უნდა ვიყოთ ერთმანეთთან ძაფ-გატარებული და თუ ხელს არა, ხმას მაინც უნდა ვაძლევდეთ ერთმანეთს, რომ საერთო ჭირი გავინაწილოთო. იმან შეატყო, რომ ჩვენი მხრის ყმაწვილებს. როგორც მაგალითად, კიკოლიკს და მის მომხრეებს თავის ქვეყნისა. მიწა-წყლის და უწინდელი ცხოვრებისა სრულებით არა გაეგებოდათ-რა და რუსულს ენაზე თუ არა. თავის სამშობლო ენაზე გარეშე ქვეყნიურის საქმეების შესახებ სულ ვერ ლაპარაკობდენ. ისინი იყვნენ ამ შემთხვევაში სრულებით მუნჯნი, განსაკუთრებით, როცა ამისთანა საზოგადო მსჯელობაში გაჩვეულ კაცთან მოსდიოდათ საუბარი. სულ ვერ ახერხებდენ მსჯელობას, და თურმე იმ დროს, როცა ჩვენ შეე!ი-

წარით. კიკოლიკი ამისთვის იყო ასე ბრძნულად გაჩუმებული და ცხვირ-ჩამოშვებული.

თუმცა იმ საგნისა. რაზედაც ხ...სკი ლაპარაკობდა, კიკოლიკს ბევრი არა ესმოდა-რა, მაგრამ ალაგ-ალაგ მოხერხებულის თავის ქნევით, ან ორიოდე დასაბეჯითებელი სიტყვით ასე არწმუნებდა გარეშე მაყურებელს: ეგ მე დიდი ხანია შეტყობილი მაქვს, რაზედაც ხ...სკი ლაპარაკობსო. თვითონ გამოცდილი ხ...სკიც ძალიან კარგად ატყობდა ამას და გულში ბევრს უპატიურსაც უთვლიდა კიკოლიკის მასწავლებელს და იმის საზოგადოებას, რომელიც ეს ბუნებით გონიერი ყმაწვილი ასე გაეუგუნურებინათ, რომ ჰოლონელ სტუდენტებთან შედარებით ტყიდან გამოსულს ჰგავდა. სწორედ ამგვარი იყო კიკოლიკი იმ დროს, როცა დავესწარით, ხ...სკიმ პირობა დაადებინა კიკოლიკს და იმის ამხანაგებს, რომ ყოველს უნივერსიტეტის საქმეში თქვენც ჩვენთან იყავითო. კიკოლიკმა და მისმა ამხანაგებმა პირობა აღუთქვეს: შიუცილებლად აგრე ვიზამთო. ხ...სკი ხშირად დადიოდა ქართველ სტუდენტების წრეში, მუდამ ლაპარაკობდა თანამედროულ ევროპის სახელმწიფოებზე, იმათ სახელმწიფო კაცებზე, მმართებლობებზე, სამგამგებლო და სასამართლო კანონებზე, წესებზე, რომელნიც გარეშე ქვეყნებში წარმოობდენ, ამტკიცებდა იმათ სიკეთეს, ან რომლისამე წესის უვარგისობას. შემდეგ ადარებდა თანამედროვე მთავრობის განკარგულებას, და ამგვარად უღვიძებდა ქართველს სტუდენტებს პოლიტიკურს აზრს. მაგრამ კიკოლიკი და მისი ამალა ამ აზრებს და ქველმოქმედების მაგალითებს მაგდენად არას დასდევდენ, ისინი მხოლოდ უგუნური თავმოყვარეობით იყვნენ შეპყრობილნი, რადგან კურსს ათავებდენ: ბრძნული სიჩუმით და ხერხიანი მოქმედებით ცდილობდენ, დაემტკიცებინათ ხ...კისთვის, რომ შენგან ნალაპარაკევი ჩვენთვის ახალი არ არის. ეგეები ჩვენც კარგათ ვიცით, და ძალიან სასირცხოდ მიაჩნდათ გამომტყდარიყვნენ თავის უმეცრებაში. ყურის გდების მაგიერად, კიკოლიკი უფრო გამოსადეგს მომავლის მოსაზრებაში იყო. იმის მაგიერად, რომ რაც იმისთვის ახალი იყო, ჩაენიშნა, გამოეკითხნა ხ...სკისათვის ყოველივე წყაროები, რომელთაგანაც იმას შეეკრიბა ამდენი ცნობა, კიკოლიკი გონების თვალს სულ გარე-გარე აცეცებდა, უფიქრდებოდა თავის მომავალს ჩინოვნიკობის ასპარეზს, ან თუ როგორ უნდა მისალმებოდა თავის ქვეყანას, როგორ უნდა დაეჭირა თავი მთავრობის კაცებთან თავის მომავალს სამსახურში, როგორ უნდა მოეგო უფროსების გული, როგორ ტკბილად მოქცეოდა თავის უმცროსებს, რომ ყოვლის მხრით გავარდნილიყო იმისი ქება და ამ გარემოებას ძალიან საჩქაროდ წინ წაეწია იმისი სამსახური და შექმნილიყო მაღალი ადგილის მოსამსახურე. „როდესაც სამ-

სახურში კარგი ადგილი გვექნება. როდესაც მთავრობის უფლებას და ძალას ხელში მოვიგდებთ, მაშინ რაღა დაგვიმაგრდება წინ! — ხშირად უთქვამს ხოლმე ჩემთვის კიკოლიკს: — „თუნდა ავიღოთ ახლა ჩვენი მთავრობა და ხალხი. რას უყურებს ხალხი, რაზედ არის შეჩერებული იმისი გონება, ვის უფრო პატივს სცემს. ვის უფრო ემორჩილება, ვის უფრო უჯერის? — მკითხავდა ლაპარაკში. მერე თითონვე ამნაირ პასუხს მომიგებდა: — იმას უფრო უჯერის და იმის უფრო ეშინია, ვინც მთავრობის წრეში უფრო მაღლა სდგას
ასეა ქვეყანაზე, თუ ღონე არა გაქვს ხელში. ვერასა იქ. ჩვენი ხალხი ღარიბი ხალხია, ამასთან გაუნათლებელიცა. ის დახარბებულია პურის ლუკმაზე, ვისგანაც ამ ლუკმას გამოელის, დღეს მისი ღმერთი და იმისი მეფე ის არის. იმას გონება არაფრად გაჰკვიროს, გონიერი კაცი მცოდნე, მეცნიერი კაცი იმას კიდეც სძულს. იმას უყვარს კაცი ჯიბით მდიდარი და მთავრობაში საქმის გამტანიო." მეტყოდა კიკოლიკი ძალიან ატაცებით.

ისტორიაში ის შეტრფოდა ისეთ კაცებს. რომელთაც ჰხურვია პირს ფარდა და პირმოთნე მოქმედებით ხელში ჩაუგდიათ ამ ქვეყნის ნივთიერი საშუალება, იმითი გაურყვნიათ ხალხის კეთილი გული. შესყიდვით გაუთქერიათ თავის ფეხ-ქვე მთელ ქვეყანა და ქვეყნის ცხოვრება, იმისი კეთილ მდგომარეობა თავის საკუთარის სარგებლობისათვის შეუწირავთ. ამის გამო ფლიდი აგვისტოს და იულიოს კეისრის ცხოვრება კიკოლიკისთვის სამაგალითო შექმნილიყო. ის გატაცებული იყო მოქმედებით, თუ როგორი ხელოვნებით მიუბირავთ ქვეყნის ერთგული კაცები და როცა უფლების უზენაესს წერტილზე მიღწეულან, როცა გამხდარან ქვეყნის უფალნი, იმავე ქვეყნის გულშემატკივარი კაცებისათვის თავები დაუყრეევინებიათ. რადგან. ესენი გამხდარან უკანონობის წინააღმდეგნი, რადგან იმათს პირადის სარგებლობის ძიებას წინ დასდგომიან. კიკოლიკს ძალიან მოსწონდა ნაპოლეონ მესამის მოქმედება და იტყოდა: „იმისთანა გენიოსი ჯერ არ გამოჩენილა. იმან თავის ბიძას ერთი ბიჯით კიდევ წინ გაუსწრო: ბიძამ ხმლით დაიმორჩილა მთელი ქვეყანა და ამან სიტყვითაო".

მხოლოდ ერთი ავიწყდებოდა კიკოლიკს, რომ კაცი. რომელიც თავის დღეში ფარდა ჩამოფარებული დადის ამ სოფლად და მუდამ გულდახურულს მოქმედებაშია, იმას გულ-ახდილად მოქმედება აღარ შეუძლიან. ვისაც უფლების ხელში ჩაგდებისათვის კაცი მოუტყუებია. გაურყვნია, გაუგლეჯია და მოუკლავს, იმას სიკეთისათვის სრულებით დახშული ექნება გონება. როდესაც ის მთელი ქვეყნის ფეხქვეშ გათქერით მის მბრძანებლად შეიქნება, სიკეთის მოცემა აღარ შეუძლია, რადგან ხელი მუდამ სისხლში აქვს გასვრილი და ვისმესთან დაახლო-

ვებას ვეღარ ბედავს. მაგრამ კიკოლიკი მაინც ასე იძახოდა: „ჯერ უნდა ვიშოვნოთ ნივთიერი კეთილმდგომარეობა და მერე ქვეყანასაც სიკეთე მოვფინოთო". ის კი არ იცოდა, რომ ამ ნივთიერი სარგებლობის ძიებაში სინიდისსაც დაჰკარგავდა და კეთილისადმი მიდრეკილებასაც.

II

ხ...სკის დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენ ახალ-მოსულებზე. იმისი უდროოდ გაგანიერებული და თმისაგან გაცლილი შუბლი სჭეერდა ღრმა აზრებით, რომელნიც თითქოს უნებურად ალმასივით სჭრიდენ ჩვენს მოუხვნელს გონების ნიადაგს და სთესდენ შიგ აზრის მარგალიტებს. როდესაც ის ლაპარაკობდა, თითქოს შუბლის თხემზე ცეცხლის ალიმული ადიოდა, ყოველი აზრი, როგორც ციმციმა ვარსკვლავი, ისე ჩაუვარდებოდა თავში იმის გამგონსა. ხ...სკი. მზად იყო მამულისათვის თავი შეეწირა. როცა პოლიტიკაზე და სახელმწიფო გამგეობაზე დაიწყებდა ლაპარაკს. იმას თვალწინ სულ თავისი წვალებული ქვეყანა უდგა და ეაშინგტონი, რომელმაც განათავისუფლა ამერიკის შეერთებული შტატები ინგლისის მფლობელობისგან, ქვეყნის უდიდეს კაცად მიაჩნდა. იმ დროს გარიბალდი, ის იყო, სიცილიიდან ნეაპოლის სამეფოში გასულიყო, და იმის მოქმედებით ხ...სკი ატაცებული იყო. გარიბალდზე რომ დაიწყებდა ლაპარაკს, სულ აჭყარტალდებოდა. ყოველს იმის ნაბიჯის დიდსა და პატარა წარმატებას, ჩხუბს, ბრძოლას და გამარჯვებას სულის მოსწრაფებით ადევნებდა თვალყურს და, როგორც-კი ახალს გაზეთს გაშლიდა, ყოველი კარგი ამბების მიღებაზე, მეტის-მეტი მხიარულებისაგან შეხტებოდა და უნებურად ტაშს დაჰკრავდა. რაკი გარიბალდის ლაშქრობა დაიწყო, ხ...სკი, ყოველ საღამოს ჯერ თავისიანებში იქნებოდა, და, მერე, თუ დრო ექნებოდა, იმავე დღეს, ან თუ არა, მეორე დღეს მაინც, შემოირბენდა ჩვენსკენ, განსაკუთრებით კიკოლიკთან, უამბობდა ყოველსავე, გამოუცხადებდა თავის იმედს მომავალ იტალიის გაძლიერებაზე, შემდეგ თვალს გადააველებდა თავის სამშობლოს უნუგეშო მდგომარეობას და ისეთს ნათელს პოლიტიკურს მოსაზრებებს გამოიყვანდა ამ იტალიის გაძლიერებისაგან, რომ თავის ქვეყნის მომავალსაც გადაჰფენდა თავისუფლების შუქს. იტალიიდან მოკიდებული თითქმის მთელი აზიის დაჩაგრულს ხალხებსაც უწინასწარმეტყველებდა ახალს განახლების დროს, იმ დროს, როდესაც ყოველივე მონობის ბორკილი უნდა დამსხვრეულიყო.

„გაჩნდა დასავლეთით დიდი ვარსკვლავი, — იტყოდი ხ..სკი: — ძალიან მალე მატულობს იმისი სხივი. გუშინ რომ ამ ვარსკვლავის შუქი ძლივს ჰკიაფობდა, დღეს თითქმის მთვარეზე უფრო ბევრ სინათლეს გვფენსო. მე დიდი იმედი მაქვს ამ ვარსკვლავისა, ის ეგრე ადვილად არ მოწყდება, იმისი დანიშნულება დიდია; ესასოებ, რომ ეს ვარსკვლავი მზედ გადაიქცევა და, დასავლეთიდან მთელი აღმოსავლეთისაკენ მოჰფენს თავისუფლების სინათლეს. ისტორიულმა ბორბალმა გაასრულა აღმოსავლეთიდან დასავლით ტრიალი. ჩარხმა კარგა ხანია დასავლეთიდანაც იბრუნა პირი უკუღმა აღმოსავლეთისაკენ და მას შემდეგ, რაც გარიბალდის ვარსკვლავი ასეთი ძლიერებით ამობრწყინდა დასავლეთის ცის კამარაზე, თვითონ ჩარხმაც უმატა ტრიალი. უფრო და უფრო წინ მოაქვს ნათელი და სიბნელეც იკარგება." — იტყოდა ხ...სკი. ერთ საღამოს ხ...სკი გაგიჟებული შემოეარდა ჩვენთან და დაიძახა:

— გარიბალდი ნეაპოლში შევიდა!

კიკოლიკი ჩვეულებრივი ღიმილით მიეგება და ხელ ჩამოართვა.

— მართლა შესულა ნეაპოლში? — განკირვებით განუმეორა კითხვა, თითქოს არ სჯერაო. კიკოლიკი ხ....სკის აღტაცებულს კაცს ეძახოდა და ფიქრობდა, შეიძლება კიდეც მოსჩვენებოდესო.

— მერე. როგორ შესულა!.. ეტლით მარტოდ-მარტო. მხოლოდ, თან ხლებია ერთი ადიუტანტი. დიდება ხალხის გონიერებას! მოაწია დრომ. როცა შავი კუნკულებიანი ეშმაკების დასი მამათ-მთავრებთა განრდევნებიან ამ ქვეყნიდგან და ხალხი შებორკილი იმათი გრძნეულებით თავისუფლდება და შეჰხარის თავის განმათავისუფლებელს, თავის მხსნელს, თავის მაცხოვარს გარიბალდს. აი. რამდენად ძლიერია სიკეთე! მხოლდ საკმაო იყო ამ საკვირველს კაცს ფეხი დაედგა ნეაპოლის ნიადაგზე, შესულიყო შავი ეშმაკებისაგან დადგმულს ჯოჯოხეთში, რომ იმისი კედლები უცბად დანგრეულიყო: იტალიის ბელზევული ნეაპოლის მეფე თავის ხლებულებიანათ და ეს შავი დასი ბერებისა, რომელთაც ბრჭყალებში ჰყავდათ მართალი ხალხი დაქერილი, თავისი სიმყრალით და ბოროტებით განდევნილიყონ. ევროპა კუდიანებსა, ჯვარი აქაურობასა! დაიმხო ჯოჯოხეთი, განვიდა ტარტაროსი თავისი ძლიერებით, მართალი სული იტალიის ხალხისა გამოვიდა წვალებიდან. ხალხი პირჯვარს იწერს თავის მხსნელს გარიბალზე! — დააბოლოვა ხ...სკიმ.

— შევიდა, შევიდა გარიბალდი? — ჰკითხა ურწმუნოდ კიკოლიკმა.

ხ...სკიმ დამტკიცების მაგიერად ამოიღო გაზეთი და ხელი მიუთითა იტალიის ამბებზე.

კიკოლიკმა თვალი ჩაავლო და კვნესით ამოიძახა:

— ეს არ არის განთავისუფლება! ფრანცისკო გასულა თავის ჯარით ქალაქს გარეთ, რომ საცა უფრო კარგი სიმაგრეებია, ის დაიპიროს, შეაერთოს თავისი ჯარი და ერთის დაკერით მიფანტ-მოფანტოს გარიბალდის ურდო.

— დიახ, მეც ვიცი, რომ ეგ განზრახვა აქვს ფრანცისკო ბურბონს, მაგრამ, რომ იმას ფეხი ადგმული აქვს და ძირის მოსამაგრებელი აღარსად აქვს, ესეც გადაწყვეტილია. როდესაც საშინელი გრიგალი გამოფუღუროებულს მუხას მოგლეჯს ფესვებიანად და წამოაქცევს, შემდეგ რამდენიც უნდა აყენო, მაინც ველარ ადგება ფეხზე. იმას ძირები ჰქონდა დამპალი, გული გამოხრული, მაგრამ უნიავო, უქარო დღეში იდგა, ტოტები შორს ჰქონდა გადაშლილი, თვითონ უზარმაზარი და კაცის თვალისთვის დიდებული იმის გარეგანი შეხედულება კაცს უნებურად არწმუნებდა, რომ ის ჯერ კიდევ მაგრა დგასო, ჯერ თუნდ ათასი წლის სიცოცხლე აქვსო. მაგრამ დაჰბერა ძლიერმა ქარმა და ამ ძლიერ უზარმაზარ ვაეებას უცებ ტოტები დაემტვრა და ბოლოს ფესვებ-ამოგლეჯილი გადმოეშვა და დაასქდა დედამიწაზე. ჩვენ მხოლოდ ამ დროს მოვდივართ გონებაში და ჩვენს თავს ვეუბნებით: თურმე ამას ხელის კვრის მეტი არა სდომებია-რა და ჩვენ რა უმეცარი ვიყავითო.

— მეც მანდა ვარ, — უთხრა ნიშის მოგებით კიკოლიკმა: — ფრანცისკო და იმისი მთავრობა მეც უზარმაზარ მუხის ხედ წარმოიდგენია, მაგრამ მე თქვენ არ გეთანხმებით, რომ ის იყოს ფესვებ დამპალი და გულ-გამოხრული ჭიისაგან. ეგ კი არა, ჩემის აზრით, მაგარი, ძალიან მაგარი ფესვებიცა აქვს და გულიც სულ გაყამირებული: ჭია ჯერ მაგას არ მიჰკარებია და მე მაგის ისტორიულს ცხოვრებაში ჯერ არც-კი მინახავს მაგის გულის გამომხვრელი ჭია.

— როგორ თუ? — გაღიმებით შესძახა ხ...სკიმ, რომელმაც ძალიან კარგად იცოდა, რომ კიკოლიკი ოდნათაც არ ჩაღრმავებულიყო არც საზოგადო ისტორიის შესწავლაში, არც ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკური ცხოვრების გაცნობაში. იმან კარგად იცოდა, რომ კიკოლიკს უნივერსიტეტის ლექციების მეტი არა გაეზეპირებინა-რა და ეს ლექციებიც იმას მხოლოდ დიპლომის მისაღებად უნდოდა; ცხოვრების ასპარეზზე იმ გარეგანი ძლიერების კვალზე ცდილობდა გაევლას, რომელიც ახლა ფესვ-დამპალს და გულ-გამოხრულს ძლიერებად დასახა ხ...სკიმ.

ხ...სკის დაცინებით კითხვამ, ცოტა არ იყოს, კიკოლიკი გააცეცხლა მისთვის უფრო, რომ იცოდა, რა კაცთან ჰქონდა ბაასი; იცოდა, რომ დაუმარცხებელი არ გამოვიდოდა ამ ბრძოლიდან და, რადგან

ჩვენ იქ ვიყავით, კიკოლიკის თავმოყვარეობა ერთი ათად უფრო გაფიცხდა; შიშობდა, არ გამამტყუნოსო და ამით ზნეობით გავლენა არ დამეკარგოს ახალმოსულს ჩემს მემამულეებზე. არ გავხდე იმათ თვალში ისეთ კაცად, რომ აღარა მეჯერებოდეს-რა და იმათგან გარეგანი პატივისცემა და სახელი არ მომაკლდესო. კიკოლიკი უფრო ამ მოკლე გონებიანი თავმოყვარეობით იყო შეპყრობილი, ვინამც მართლად ჭეშმარიტების ძიებით და ხ...სკისთან გულახდილად აზრის გარკვევით. აი, ამისგამო ითაკილა იმან ხ....სკის დაცინებითი კითხვა და უთხრა:

— თქვენ მაგისთანა ახირებულს კითხვებს თავი დაანებეთ, რადგან მაგისთანა კითხვები მალე გადაგამტერევსთ უგნურების ღრეში. ისა სჯობია. ჩემი აზრის გარკვევას ყური დაუგდოთ.

— დამიგდია ყური, მაგრამ გაფრთხილებით, ცოტა გულ-დამშვიდებით ილაპარაკეთ.

— მე იმ უზარმაზარ მუხად ჩამითელია ნეაპოლის სამეფოს მთავრობა, მის ძირებად დამისახავს საფუძვლიანად განათლებული სასულიერო წოდება, რომელსაც ისე მაგრად ჩაუსვია წვრილი პაწაწინა ფესვები, ესე იგი ბერეზი და პატრები, ნაყოფიერს ნიადაგში, ესე იგი ხალხში, რომ ამ მღვდლების განშორება ხალხისაგან უფრო ძნელია, ვინამ მთელი იმ ქვეყნის გაქრობა დედამიწის ზურგზე. ნუ დაივიწყებთ, რომ მღვდლებზე ისე მინდობილია ხალხი და ისე უჯერის მათ, როგორც თავის სულიერს და ხორციელს მამებს; მე კიდეე უფრო ნამდვილად ვიტყვი: ხალხს თავის სასულიერო წოდება წმინდანების დასად ჩაუთვლია.

— ეგ ეგრე არ არის, მაგრამ, უკაცრავად, არას ვამბობ... განაგრძეთ თქვენი შედარება, — ღიმილით უთხრა ხ...სკიმ.

— დაგვრჩა უზარმაზარი მუხის ტანი, — განაგრძნო კიკოლიკმა: — ამ ტანს შეადგენს თვითონ ნეაპოლელი მეფის ასიათასი კარგად გაწვრთნილი ჯარი, რომელიც, ერთის მხრით, ღონეს აძლევს ნიადაგში გამჯდარ ფესვებს, ესე იგი სამღდელოებას და იმისგან ამოღებული წვენი და ოფლი ხალხისა გაჰყავს უზარმაზარს ტოტებში, რომელიც შეადგენს ნეაპოლის მეფის სახელმწიფო და მოხელე კაცების კრებას; ისინი ქვეიდან ამოსულს წვენსა და უხვს საზრდოს ერთმანეთში ინაწილებენ და დიდებულად ხარობენ ცის კამარაში. სულ ესეები ერთად, განვიმეორებ, შეადგენს ერთს დიდებულს მუხას, რომელიც თავისი ძლიერებით და მშვნიერობით აკვირვებს ყველას. როგორც ვთქვი, ამ მუხას ფესვები ძალიან ქორფა და მტკიცე საზრდოს მღებლები აქვს. ნეაპოლის სასულიერო წოდება ბევრად უფრო განათლებულია, უფრო გონიერია, უფრო ხერხიანი. უფრო შორს-გამ-

სპვრეტი თავის ხალხზე; მაშასადამე, იმას ხალხი ყოველთვის სალუკ-მა-პუროდ ეყოლება ხელში ჩავარდნილი. ნეაპოლის ჯარი მეტად მტკიცე და ყამირი ბურჯია თავის მთავრობისა და მთავრობაც ისე როგორ წახდება, რომ ამ ორი ერთმანეთის შემწე წოდებით ამოტანილი საზრდო როგორც მოუხდება ისე ვერ მოიხმაროს; მაშ ნეაპოლის მთავრობას ფესვებიც ლონიერი აქვს და ტანიც მაგარი.

— თქვენ ყოველივე კარგად სთქვით, მაგრამ ერთი პაწაწა გარემოება დაგავიწყდათ, — შენიშნა დაცინებით ხ...სკიმ: — ხალხი, რომელიც ასი და ორასი წლობით ჩავარდნილი ჰყავს საწველად განათლებულს სამღვდელოებას, კარგადა ჰგრძნობს, ვინც წველის; იმან კარგად იცის, ვინ არის იმის სახლის ზნეობის შემრყვნელი. ახალგაზდა უცოლო პ ა ტ ე რ ი, რომელიც ვითომდა ოჯახის გასანათლებლად უდგება სახლში, მაგრამ რამდენსამე წელს შემდეგ ოჯახის პატრონი ნიშნავს, რომ იმისი შვილები ახალგაზდა პატერს დამსგავსებიან, როგორც გაპრილი ვაშლი; თუ მოზდილი ქალი ჰყავს, უცბად მუცელი გამოებერება იმავე პატერის წყალობით; თუ მომეტებული კაპეიკი ერთმევა ოჯახს, იმავე პატერს მიაქვს იმისგანვე გარყვნილ და წაწყმენდილ ოჯახის შესანდობლად: თუ ბეღლები უცარიელდება, იმავე პატრისა და ათასი სხვა კაპუცინების სარჩენად, რომელნიც ტომსიკებით დღეში რამდენჯერმე ადიან და ჩადიან იმავე ხალხის კარზე და ივსებენ ტომრებს ხალხის ოფლით მოწურული ნამუშევარით. მაშ სასულიერო წოდება, რომელიც თქვენ მაგარ ფესვებად მოგჩვენებიათ, არის გულით დამპალი წოდება, რომელიც თავის სიდამპლეს და უ'ნეო ბალღამს აცხებს ხალხს, რყვნის და აყროლებს ხალხის არემარეს და ამის გამო თქვენგან ნაქები სასულიერო წოდება ისე ვერ იკიდებს ფეხს ამ ხალხში. მხოლოდ ოდნავი სიოც საკმაოა, რომ მოთხაროს ეს ურგები ფესვები ფხვიერი ნიადაგიდან და შორს გადააგდოს...

— არა, ეგრე არ არის, მაგისი ახსნა ვერ მოგივიდათ კარგად, მე თანახმა არა ვარ თქვენი აზრისა! — იძახოდა კიკოლიკი და თანდა-თან უფრო ცხარდებოდა.

— დამაცალეთ მე ჩემს შედარებას განვაგრძობ. თქვენსა და ჩემს შუა დადებულს პირობას ახლა მარტო თქვენზე აქვს ძალა, რადგან მე სწორედ ქვასავით დადუმებული ვიყავი, როცა თქვენი ლაპარაკის დრო იყო.

კიკოლიკი წამის-წამს ეჩრებოდა სიტყვებში, მაგრამ ხ... სკის ჩვენკენ ჰქონდა პირი მოქცეული და კიკოლიკის დაუდგრომელს ცხარე ლაპარაკს სრულებით ყურადღებას არ აქცევდა.

— რაიცა შეეხება ჯარს, ცოტა რიცხვში შეცდომა მოგვივიდათ, —განაგრძო ხ... სკიმ:—ახლა ნეაპოლის მეფე ფრანციისკოს მხოლოდ ორმოცი ათასი ერთგული ჯარის-კაცი ჰყავს, მეტი არა, მაშინ როდესაც გარიბალდისკენ რამდენიმე მილიონი კაცის თვალყურია მიქცეული, ყველა იმის გულისათვის აპირებს სისხლის დაღვრას, ზოგი ცხადად და ზოგი ჩუმად, განსაკუთრებით ისინი, რომელთაც ჯერ კიდევ ჯარის კლანჭებიდან თავი არ უხსნიათ მაგრამ რატომ ამას არ კითხულობთ, რომ ეგ ორმოცი ათასი კაციც ჯერ ხალხის საშოდან არის გამოგლეჯილი? ყოველს იმათგანს ჰყოლია დედა, მამა, ნათესაობა და გულის საყვარელი. ყოველი იმათთაგანისთვის ყმაწვილობიდანვე ამოუგლეჯიათ გული და გაუხდიათ უსულგულოდ თოფ-იარაღად, რომელმაც არც ნათესაობა იცის, არც დედ-მამის და არც მიჯნურის სიყვარული. ის შექმნილა მხოლოდ თავის მუცლის მოყვარედ და საქვეყნო როსკიპად, რომელიც სხეულით ეაკრობს და ვინც ბევრს მისცემს, იმისკენ არის. დღეს ის გაბრაზებული პირუტყვივით ჰკლავს თავის მამას, ძმას და მეგობარს; ხვალ, თუ ქარი მოუბრუნდა, იმასვე დაუშენს თოფს, ვისთვისაც დღეს ასე გამწარებული იბრძვის. ფრანციისკოს უწინ მართლაც რომ ასი ათას კაცამდის ჰყავდა ჯარი, მაგრამ დღეს სად არიან ისინი? მომეტებულს ნაწილს იმათგანს დღეს გარიბალდისებური წითელი პერანგი ჩაუცვამს და თავის გუშინდელს პატრონს კბილით დაგლეჯას ემუქრება. კაცი, რომ გულს დაჰკარგავს, ამ საუკეთესო კაცურს ღირსებას, მაშინ ის პირ-აკრულ ბრაზიან მგლად არის გადაქცეული. სანამ მისი საბელი ხელში გაქვს მაგრად დაჭერილი, მანამდის შენი მორჩილია და მაშინასავითაც ათამაშებ; მაგრამ თუ საბელი აიწყვიტა, თუ პირი განითავისუფლა, მერწმუნე, პირველად თავის პატრონს დაჰკბენს. რომელ კაცსაც ოჯახი და მეგობარი დაუკარგავს, რომლისათვისაც გრძნობა წაურთმევიათ, რომელსაც საყვარლისა და თანაგრძნობის ცეცხლი დაშრეტია, ის ფულუროიანს ხის ტანს ჰგავს, რომელიც იკავებს მის ტოტებს მაშინასავით იმისთვის, რომ დასაბამიდანვე ამ გარემოებას შეჩვევია, მაგრამ ერთი ცულიც რომ დაჰკრა, დაიჭრიჭინებს და ტოტებიანათ მიწაზე დაასკდება. ვისთვის უნდა იბრძოლოს ნეაპოლელმა სალდათმა თავგამეტებით? რა დარჩენია? ოჯახი იმას არ აქვს, შვილი იმას შინ არ უტირის, ცოლი მხურვალე გულზე არ მიიკრავს და არ ჩაუდგამს ვაჟკაცობის სულს, მამა-შვილური გრძნობა დიდი ხანია დავიწყებია, რა რჩება იმას თავის შემდეგ? სრულებით არაფერი, ოხერი, ყველასაგან მოძულებული თავის მეტი და მარტო ამ გაძაღლებული თავისთვის, ნუთუ გგონიათ, ვისმე შეაკვდეს?.. ჩემი აზრით, გაწვალებულს სიცოცხლეს უცბად სიკვდილი ურჩევნია მტრის ხელისაგან.

— კარგად გცოდნიათ! — უთხრა ნიშის მოგებით კიკოლიკ-
მა. — დიახ, ომში გასწავლულს სალდათს. თავიდან ფეხებამდის შეიარაღებულს, ისე გაჩვეულს ბრძოლაში. რომ ზარბაზანი პირდაპირ ესროლო, თვალს არ დაახამხამებს...

— ეგ კი ახირებულათ გადაამეტეთ!— უთხრა სიცილით ხ...ს კიმ.

— თქვენ კიდეე თქვენებურად დაიწყეთ უაზრო ოხუნჯობა: და არ მაცდით თქვენი აზრის დარღვევას!

— მაგდენ უბრალო ლაპარაკში რომ დრო არ დაგეკარგათ, კიდეც დაგაბოლოებდით თქვენს აზრს, — გულცივად უთხრა ხ...სკიმ.

— როგორც ეატყობ, თქვენ არ გინდათ ჩემი აზრის მოსმენა. — და გაჯავრებულმა კიკოლიკმა ლაპარაკი შეწყვიტა.

— მე თქვენ გარწმუნებთ, რაც უნდა თქვათ, ხმას არ ამოვიღებ.

— სალდათი ბრძოლაში გულმაგარია, აუჩქარებელი. ყოველმხრით იცის მტერის თავის მოვლა, მისვლაც ისე იცის მტერზე. რომ თვალს ვერ მოასწრებ და მოგერებაშიაც მტერს ერთ ნაბიჯს წინ არ წამოადგმევინებს, ერთს მოხერხებულს დაკვრასაც არ გააბედვინებს. ხუთი-ექვსი დღე რომ მუდამ ბრძოლაში ამყოფო, მეშვიდე დღესაც ისე იბრძვის, როგორც პირველ დღეს. ამასთან თუ კარგი რჩენა ექნა, როდესაც სალდათი რაზმშია, ის სიკვდილამდის არ გადახდება რაზმის წესს: თუ სალდათები მიდიან, ერთ რკინის ჯაჭვად მიდიან. ყოველმა იმათგანმა იცის თავისი ადგილი ბრძოლაში, არც წინ წაეჩრება, არც უკან ჩამოდგება. ყველანი არიან ერთ რკინის კედლად, ხეთქენ და არღვევენ ყოველსავე, რაც წინ უხვდებათ. ნუთუ ამისთანა რკინის კედელს გაუძლებს თხებსავით დაბნეული გაუწვრთნელი ხალხი. რომელმაც არც წესი იცის, არც რიგი, არც ხეირიანად იარაღის ხმარება? როგორც მოხვდება. ისე იბრძვის. გაეარდება თუ არა პირველი თოფი, უჩვეეი კაცი თრთის და სულ-მობრძავსავით იქნევს ხელებს. ნუთუ გგონიათ. ამისთანა კაცი ასიც რომ დაუყენო წინ სალდათს. რასმე გააწყობ? ყველას ქათმებსავით დასხეპავს თავებს.

— თქვენ იმას ამბობდით. თუ როგორ უნდა იყოს გაწვრთნილი მეომარი და მეც ცხადს მაგალითს წარმოგიდგენთ, რომელიც გუშინ მოხდა იტალიაში. გარიბალდმა სიცილიაში ათასი დაიარაღებული კაცი გაიყვანა. იმათ არც კაზარმაში უცხოვრიათ და არც შვიდი. ათი და თხუთმეტი წელიწადი უსწავლიათ სამხედრო ვარჯიშობა. მაგრამ იცით, პირველსავე შემთხვევაში რა ქნა ამ ათასმა კაცმა? მარსალის ქალაქის მახლობლად არის კალატაფიმის სიმაგრე მთაზე. თითქმის კლდიანი ალაგია. ამ მაღლობ სიმაგრეში ჩაესაფრა ოთხი ათასი სალდათით ნეაპოლელი ღენერალი ლანდი. იმას ჰქონდა თან ოთხი ზარბაზანი. სალდათებს ჰქონდათ მშვენიერი შტუცრის თოფები. გარი—

ბალდის ათას კაცს არც ამისთანა შტუცრები ჰქონდათ, არც ზარბაზნები. იდგენ ძირს შოსსეს გზაზე და ეს მაღლობი უნდა აეღოთ. სიცხე იყო საშინელი, ალაგი ძალიან გამაგრებული, ბევრად უფრო მომეტებული და კარგად შეიარაღებული ჯარით. ყოველი სალდათიც ძალიან კარგად იყო გაწვრთნილი. მაგრამ სამი საათის განმავლობაში გარიბალდიელებმა ეს ამდენი ურდო ჯარი წინ წაირეკეს კალატაფამის სიმაღლიდან, ასე გასინჯე. ერთი ზარბაზანიც წაართვეს. ერთი სტუდენტი პავიის უნივერსიტეტიდან, თერამეტი წლის ყმაწვილი, თურმე ყველაზე პირველად შევარდა სიმაგრეში. ამ სტუდენტზედაც ხომ ვერ იტყვი, რომ ის სალდათივით გაწვრთნილი ყოფილიყოს ბრძოლაში.

— ეგ აგრე არ იქნება, — ვითომ და დაცინებით მიუგო კიკოლიკმა: — შენ ერთობ გატაცებული ხარ გარიბალდის მოქმედებით და იქნება გადაამეტე.—ხ..სკის ძალიან გაუკვირდა იმისი უცოდინარობა ამ შემთხვევაში. იფიქრა გულში: „ნუთუ ეს საწყალი კაცი ამისთანა გახურებულ ევროპის პოლიტიკურს ცხოვრებას თვალყურს არ ადევნებსო.“ ცოტა არ იყოს, კიდეც ეწყინა კიკოლიკისაგან ასე უზდელი მხილება: კაცს, რომელსაც თავის დღეში ერთი ტყუილი არ უთქვამს. კიკოლიკი სიცრუეს სწამებდა. ხ...სკიმ უცბად გადუშალა იქვე სტოლზედ მდებარე რუსული ჟურნალი, სადაც იყო დაბეჭდილი ინგლისის კორესპონდენტის წერილები გარიბალდის ლაშქრობაზე, მიუტანა კიკოლიკს ცხვირთან და უთხრა:

— „ჰა, წაიკითხე, თუ ტყუილია! ნუ თუ ამასაც არ კითხულობ?

— სად მცალია ჟურნალებისთვის! მაგისთანა ცუღლუტური წიგნები თუ ვიკითხე, ჩემს საგანს სადღა ვისწავლი?

— ღმერთო ჩემო, მაშ რა კაცია ის, თუ ახლანდელი ევროპის ცხოვრების მოძრაობასაც თვალყურს არ ადევნებს?

— ჰო, კარგი, მაგისთანა სიტყვებს თავი დაანებე. — უთხრა ყურებამდის გაწითლებულმა კიკოლიკმა. — ჩვენ საბაასო საგანს გადავცდით.

— მე ახლა იმასაც აგიხსნი, გარიბალდის ახალგაზდა ერთი შუქა. ჯერ კიდევ კარგად ბრძოლას შეუჩვეველი ჯარი, რის გამო იბრძვის ასე თავგამეტებით, — განაგრძო ხ..სკიმ. — ყოველი იმათგანი შინიდან დედისაგან თუ ცოლისაგან ამ სიტყვებით არის გამოსტუმრებული: „წადი, ჩვენს მამულს მიეშველეო.“ დედას უთქვამს იმისთვის: ..აი, ამ დიდი დღისთვის მიწოვებია შენთვის ძუძუ“ ცოლს უთქვამს: ..თუ ფრანცისკოს მთავრობა ახლა არ გადააგდეთ, ამ შენს პაწაწა ვაჟს კედელზე შემოასხერტებენ და მე ხიშტით მკერდს გამიპობენ. მიიღე ეს ჩემი მხურვალე კოცნა იმედად ყოველ გასაჭირში.“

ამისთანა სიტყვებს შემდეგ გარიბალდიელს თავი აქვს განწირული, ის ბრძოლაში ისე მიისწრაფის, როგორც ლხინში. ყოველი იმათგანი ახლა ლომად არის გადაქცეული, ამიტომ რომ ლომი მას წინ მიუძღვის. გარიბალდის შეხედვა და იმათი გავარვარებულ ცეცხლში გადავარდნა ერთი არის ხოლმე. ყოველი გარიბალდიელი იბრძვის თავის მიწა-წყლისთვის, თავის კერისთვის, თავის ცოლ-შვილისთვის. ესენია იმისი სიცოცხლე და თუ ესენი წაერთმევა, მაშინ სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნია. იმან ესეც იცის, თუ ახლა არ გაიმარჯვა, ხვალ ფრანცისკოს სალდათები და ავსტრიის ჯარი ისევ მობრუნდებიან, სახლს დაუწვენ, მიწა-წყალს თვითონ დაისაკუთრებენ და ცოლ-შვილს აუკლებენ. როდესაც კაცი ამნაირად არის თავგამომეტებული, მაშინ ის უძლეველია. ის შეიძლება ნაწილ-ნაწილად აკუწო, მაგრამ ვერ გადრეკ, ფეხს თავის ალაგიდან ვერ მოაცვლევინებ. იცი, ამისთანა გამწარებულს მამულის მებრძოლს რა ნაირი შეხედულება აქვს ბრძოლის ჟამს? ის საშიშია, იმის სახეს ვერავითარი მხნე დაბრძოლაში გამოცდილი მებრძოლი ვერ გაუმაგრდება. ეს შენიშნულია. მუდამ ასე და ასეც იქნება!

— თუ-კი უბრალო, გაუწვრთნელი კაცი მაგისთანა გამეხებულად იბრძვის, რატომ ბრძოლაში გაწვრთნილი სალდათი ვერ იზამს მაგას? — ჰკითხა კიკოლიკმა.

— იზამს, მაგრამ ფრანცისკოსა და ავსტრიის სალდათი იტალიაში კი ვერ იბრძოლებს ეგრე. იმათ არა აქვთ მაგისთანა გამამხნევებელი საგანი. იტალიელი იბრძვის თავის ქვეყნისთვის, თავის დაჩაგვრის გულისთვის, თავის საკუთრებისთვის. ფრანცისკოს სალდათი-კი დაქირავებული კაცია და ნუთუ ის ქირის გულისთვის ასე გაბრაზდება, როგორც იტალიელი თავის ძვირფასი ცოლშვილისა და მოკეთეებისათვის? ავსტრიელი სალდათი აგრეთვე მოსული, უცხო კაცია იტალიაში; ის იპყრობს ქვეყანას, ართმევს საკუთრებას თავის უფროსის ბრძანებით. ნუთუ ამ უსამართლობისათვის ისე უდუღდება გული ავსტრიელ სალდათს, როგორც იტალიელს, რომელიც ხედავს, რა რიგად უწვავს იმას ავსტრიელი სახლ-კარს, რა რიგად ჰკლავს ბრძოლაში იმის მოკეთეს და, თუ აჯობა, რა რიგად გაშლის ხელს იმის მამა-პაპისეულზე. ერთი გრძნობს თავის მხარეზე სიმართლეს, მეორე ძალას. ერთს ცეცხლი ედება, მეორეს-კი თავისივე უსამართლობის გრძნობა ხელს უკრავს. აი, ამის გამო დამხვედრი ყოველთვის უფრო მწარეა მოსულზე. აი, რითი აიხსნება გარიბალდის გამარჯვება.

— ეგ ჯერ კიდევ სათუოა გარიბალდის გამარჯვება. იმან მარტო სიცილია დაიკავა, ჯერ იმას წინ ჰყავს მთელი ნეაპოლის საკარო—

ლო ძალა: მთელი საუკეთესო ჯარი მეფისა, ორმოცი ათასი კაცი, სულ დარჩეული მხედარი, და აუარებელი თოფზარბაზანი. ვნახოთ. ჯერ გარიბალდს ფონი გასავალსა აქვს! — სთქვა კიკოლიკმა.

— დარწმუნებული იყავი, მე რომ ვამბობ, გარიბალდი მოიგებს-მეთქი — ტყუილად, უსაფუძვლოდ არ ვამბობ. მე კარგად მაქვს შესწავლილი მთელი იტალიის სახელმწიფოების და იმის ხალხის ისტორია. ფრანცისკოს სამეფო სახლი და იმისი მთავრობა ხალხს, მეტი არ შეიძლება, ისე საშინლად სძულს. ფრანცისკოს ხალხი „ყუმბარას" ეძახის. 1848 წელს, როცა ხალხი, იმის მამისაგან შეეიწროებული, მოთმინებიდან გამოვიდა და განუდგა, იცი ამ უიარაღო ხალხს რა უყო ფრანცისკოს მამამ? უბრძანა ჯარს და სულ ყუმბარებით დააქცია ნეაპოლის ქალაქი; ხალხი-კი თავის ჯარს გააჟლეტინა. იმის წყალობით მთელი ქვეყანა ავსტრიელების ჟანდარმების ხელში იყო ჩავარდნილი და ყოველი ოჯახი ხმის ამოღებასაც ვერ გაბედავდა თავის უბედურს, შეწუხებულს ცხოვრებაზე; მეორე დღეს იმ ოჯახის მამაკაცები და დედაკაცები ციხეში და საწვალებლოებში იქნებოდენ გამოძაგრული. აი, ამისთანა მთავრობისაგან ათავისუფლებს ხალხს გარიბალდი. ნუთუ გარიბალდი, თავის ჯარის გარდა, ნეაპოლის ხალხში იმდენს ძალას ვერ იპოვნის, რომ მოუძლურებული ქვეყნის მტარვალი დაამხოს?

— დიახ, მოუძლურებული! ისე ჰკითხე იმის ორმოცი ათასს ჯარის კაცს! — უთხრა კიკოლიკმა.

— ვნახოთ!.. თუნდ ამას თავი დავანებოთ. განა სხვა ქვეყნების წარსული ისტორია ცოტა გვაქვს თვალწინ? მოვიგონოთ ამერიკის შეერთებული შტატების განთავისუფლება ინგლისის მთავრობისაგან.

— ვაი, ჩვენი ბრალი, თუ მართლა ამერიკის შეერთებული შტატების განთვისუფლებას საკუთრად იმათ აბრალებ. ისინი განათავისუფლა საფრანგეთმა. ის რომ არ დახმარებოდა, დღესაც ინგლისის მონობაში იქნებოდენ, — უთხრა დაცინებით კიკოლიკმა.

— ეგ იმას ნიშნავს, რომ თქვენ ისტორია საფუძვლიანად არ გისწავლიათ.

— როგორ თუ არ მისწავლია! თუ თქვენ მაგას დაამტკიცებთ, რომ ამერიკელებს საფრანგეთი და ესპანია არ მოხმარებიან, მართლაც თქვენ არ გცოდნიათ ისტორია! — დიდის სიფიცხით წამოიძახა კიკოლიკმა და თვალები ჩვენკენ გამოანათა, თითქოს უნდოდა ეთქვა, დავიჭირე თუ არაო.

ხ...სკის ძალიან ეწყინა ამისთანა ტრაბახი გამოწვევა კიკოლიკისაგან. ის ამ სულმოკლე მოქმედებას მაგდენს ყურადღებას არ მია-

ქცევდა სხვა დროში, რადგან იცოდა, რომ ყოველ უსწავლელ ახალგაზდას ხშირად ამისთანა ტრაბახობა სჭირია. იცოდა კიდეც, რომ კიკოლიკისაგან ბევრი არა გამოვიდოდა-რა ცხოვრებაში. სხვა დროს კიკოლიკისთანა კაცებს იქნება სულაც არ გაიცნობდა. ხელსაც არ ჩამოართმევდა, მაგრამ ახლა, რადგან ხ...სკი თავის აზრსა და განზრახვას სდევდა, იმას იმ დროს სჭიროდა კიკოლიკი, ამიტომ რომ უნდოდა იმის საშუალებით ხიდი გაედვა კავკასიელებთან. ხ...სკიმ იცოდა კარგად იმისი სულმოკლე თავმოყვარება, რომლის ძალით კიკოლიკი მუდამ ცდილობდა პირველობას თავისიანებში. ხ...სკიც არ უშლიდა ამას და თუმცა ბევრი იმის ხეპრული აზრები გულს უდუღებდენ, მაგრამ ის მაინც არ ანიშნებდა თავის აზრს და ისე ეჭირა კიკოლიკთან თავი, რომ იმას ეგონა, ხ...სკი ბევრს ჩემს აზრს ყურადღებას აძლევსო და, თუ ბაასობს, უფრო იმისთვის, რომ ჩემი აზრები შეითვისოსო. იმ წუთას, როცა ზემოხსენებული ბაასი ჰქონდათ კიკოლიკსა და ხ...სკის, ეს უკანასკნელი ჯერ ძალიან თავდაქერილად ლაპარაკობდა იმასთან. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, როცა ძალიან შეჰყვენ ერთმანეთს, ხ...სკიმ შენიშნა ერთი ცუდი აზრი კიკოლიკს. შენიშნა, რომ ის თუ ებაასებოდა მხოლოდ იმისთვის, რომ ჩვენ ახალმოსული უმეცრების თვალწინ მართალი გამოსულიყო, და მერე ჰქონოდა ღონისძიება, რომ ხ...სკიზე ელაპარაკნა ჩვენთვის, როგორც ისეთს კაცზე, რომელსაც ვითომც ბევრი არა სცოდნოდეს რა. ამ სახით კიკოლიკი ცდილობდა, გაეცრუებინა ხ...სკი ჩვენს თვალწინ, რომ მერე ეგინებინა იმისი აზრები, იმისი რწმუნება და ამ სახით თავის საკუთარი აზრები ჩაენერგა ჩვენთვის.

ეს განზრახვა, როგორც-კი შენიშნა ხ..სკიმ კიკოლიკს, გული მოიყვანა და განიზრახა თვითონ იმის უმეცრების დამტკიცება ჩვენ თვალწინ. ამის გამო კიკოლიკის უკანასკნელი პასუხი, როგორც გაიძვერული, ძალიან ეწყინა, მეტი არ შეიძლება, ისე აღელდა, ცოტა ხმაც აუთრთოლდა; მაგრამ მაინც იმდენად შეიკავა თავი, ისე გულდამშვიდებულად გვეჩვენა, თითქო ჯერ ხმაც არ ამოელოს. იმან იფიქრა, რომ თუ ამისთანა ხარაბუას აქვე არ მოვუკვეთე ამ ახალგაზდა ყმაწვილებზე გავლენა, ამათგანაც კიკოლიკის მეტი არა გამოვლენ რაო. სჯობია, აქავე დავანახო ამ ახალგაზდებს, თუ რა შვილიც არის იმათი მოთავე, რომ ხელი დაურეკონ იმას და პირველადვე შეუდგენ, ან ისურვონ უფრო საფუძვლიანად საგნების შესწავლაო. ამის გამო ხ...კიმ განაგრძო თავისი ბაასი და ასე დაიწყო:

— მე ჯერ თქვენთვის ეგ ნაკლულევანება არ შემინიშნავს, რომ რაც მე არ,მითქვამს, ჩემს ნათქვამად გამოგეყვანოს და მერე სიტყვა მოგეჭრას ჩემთვის. მე ხომ ეგ ჯერ არ მითქვამს, ამერიკელებს

საფრანგეთი და ესპანია არ მოხმარებია-ძეთქი? ახლა-კი ვიტყვი, რომ ესპანიის მოხმარებას არა ვთვლი მოხმარებად, რადგან იმას ას ორმოცა ათი ათასი დოლარის სესხების მეტი სხვა შემწეობა არა უჩვენებია-რა. მაშ. ჩვენ ვილაპარაკოთ მხოლოდ. თუ გნებავთ. საფრანგეთის შემწეობაზე. დიახ, დიდი იყო იმისი შემწეობა. მაგრამ ამერიკის განთავისუფლებაზე უფრო სახელით ჰქონდა იმას დიდი გავლენა. ვინამც საქმით.

— როგორ თუ სახელით, მთელი ფლოტი თავისი ჯარით საფრანგეთმა არ გაუგზავნა მეთვრამეტე საუკუნეში ამერიკას? როგორ ამბობ მაგას? რომ საფრანგეთის გაწვრთნილი ჯარი არა. ამერიკის მილიცია ტყე-ტყე გარბოდა. ინგლისის სალდათებს რომ დაინახავდა. რას ამბობთ, სწორედ არ გცოდნიათ თქვენ ამერიკის საპოლიტიკო ისტორია! — ამ სიტყვებზე კიდევ უფრო ამპარტავნებით შემოგვხედა კიკოლიკმა.

— აბა, მითხარით. რამდენი სამხედრო ხომალდი იყო საფრანგეთის ფლოტში? — ჯავრიანად შეუტია ხ...სკიმ.

— მაგისთანა წვირლმანის დახსომება რა საჭიროა!

— მაშ მე გეტყვი. სამხედრო ხომალდი შვიდის მეტი არა ყოფილა. ახლა მითხარით, რამდენი ჯარი გაგზავნეს ამ ფლოტით ფრანცუზებმა და ვის გაატანეს?

კიკოლიკი გაწითლდა.

— ეს სულ წვრილმანი შეუნიშნავი საგნებია. გეუბნები...

— მაშ. მე გეტყვი, — უთხრა ხ.. სკიმ: — საფრანგეთმა გაგზავნა ექვსი ათასი კაცი თავის მხედართ-მთავრით, რომელსაც ერქვა როშამბო. ფლოტის უფროსად იყო დე-ტერნე მეც გეთანხმებით, რომ ეს წვრილმანი ამბებია. მაგრამ აქედან სჩანს. რომ ალბათ მიკითხავს მეც ამერიკის ისტორია და თქვენზე უფრო ბევრი დამიხსოვნებია. მაშ თქვენ ნება არა გაქვთ, მე მითხრათ, ვითომ ისტორია არ ვიცი.

აქ კიკოლიკი ისე გაშრა, რომ ხმა ვეღარ ამოიღო, იმან დაიწყო შუბლზე ხელის სმა და რისღაც ცხვირში ბუტბუტი. მე და ჩემმა ამხანაგმა უნებლიედ გავიცინეთ. კიკოლიკი ამის გამო უფრო მოკედა. იმან უცებ აიმაღლა ხმა და წამოიძახა:

— რაც უნდა ილაპარაკო, ამერიკის განთავისუფლებით მაინც ვერ დაამტკიცებ თქვენს აზრს, ვითომ გაწაფულს მხედრობას სოფლის კაცები სჯობდენ ბრძოლაში, რომელთაც იქნება იარაღი თავის დღეშიაც არ ეხმაროთ.

— მე მაგას არ ვამტკიცებ. ჩემი აზრი მხოლოდ ის არის. რომ სამშობლო ბრძოლაში და თავისუფლების დაცვაში თავის დამცველი ხალხი უფრო გამწარებული იბრძვის და ბრძოლასაც მოუგებს ძალიან

კარგს გაწვრთნილს ჯარს, თუ ეს ჯარია შემოსული და ქვეყნის დამმორჩილებელი. სწორედ ამ ჩემს აზრს ცხადად ამტკიცებს ამერიკის შეერთებული შტატების ბრძოლა თავისუფლებისათვის და კიდეც მინდა ორიოდე ისტორიული ფაქტი გიამბოთ, თუ თქვენ არა, ამ ახალგაზდების გასაგონად მაინც, — სთქვა ხმა-დამშვიდებით ხ...სკიმ. — აბა გამოვხატოთ შლოსსერის სიტყვებით ამერიკელებისა და ინგლისელების ჯარების მდგომარეობა, როცა ისინი ერთმანეთის პირის-პირ იდგენ ბრძოლის დაწყებამდის. „ახალი რესპუბლიკის მცხოვრებლებიო, — ამბობს შლოსერი, — სრულებით არ იყვენ სამხედრო წესის ნაჩვევი და რიგში გაწვრთნილი. ჯარის-კაცობა კიდეც ეთაკილებოდათ. მილიციელებს არ ჰქონდათ არც სამხედრო ტანსაცმელი და არც ფეხსაცმელი. ამერიკელებს აკლდათ სამხედრო კაცის ჩვეულება, ფული და სამხედრო მასალა: თოფ-ზარბაზანი და წამალ-ავეჯეულობა. ინგლისელი მხედრობა იმათ რომ უყურებდა, ზიზღი მოსდიოდა და ამბობდა. ამ ცხვრებმა როგორ უნდა გვაჯობონო. წარმოიდგინეთ, ამისთანა უხეირო მილიცია მამულის სიყვარულისთვის რა საქმეებს ჩადის, როცა იმას მოთავედ ჰყავს ისეთი კაცი, როგორც ვაშინგტონი, რომლის მსგავსი ჭკუით, მოხერხებით, პატიოსნებით და მამულისთვის თავგანწირულებით ქვეყანაზე ჯერ არ დაბადებულიყო. 1776 წელს, როდესაც ინგლისელები დაეცენო, — ამბობს შლოსსერი: — ნიუ-იორკის ქალაქს, მთელი ქვეყნის გასაცებლად, ვაშინგტონი თავის უხეირო ჯარით სეკტემბრის თვემდის ისე გამაგრდა ამ ქალაქში, რომ ევროპის საუკეთესო ჯარებმაც ვერა უყო რაო. ეს კიდევ არაფერი. ამავე უხეირო მილიციამ 1777 წელს სერეტოგის მახლობლად გუდსონის მდინარეზე ექვსი ათასი საუკეთესო ინგლისის ჯარი შეჰკრა თავის მხედართ-მთავრიანათ, სამხედრო იარაღიანათ და დაჭერილი წამოიყვანა. ყველა ისტორიკოსების სიტყვით კორნუელისისთანა ნიჭიერი, მხნე და მოხერხებული ღენერალი ცოტა იყო. ის იყო პირველი ინგლისის ღენერალი ამერიკელებთან ბრძოლის დროს. და, აი, ეს ღენერალიც თავის საუკეთესო ჯარიანათ ირრკტონის ქალაქთან ვაშინგტონმა შეიმწყვდია და ტყვედ აკრიფა. ამ ამბავს შემდეგ ინგლისს აღარა გაუბედნია-რა. ამ სახით თავგანწირულმა, თავისუფლების მოყვარე და სამშობლოს დაცვისთვის მებრძოლმა, თითქმის უიარაღო ხალხმა საუკეთესო ევროპის ჯარი დაატყვევა და უძლიერესი სახელმწიფო შეაშინა.“ აი, როცა ხალხი თავგანწირულია და თავის ქვეყნისთვის იბრძვის, რა შეუძლია! ამაზე უფრო ცხადი მაგალითი აღარ იქნება ქვეყანაზე. მე მხოლოდ ამ მაგალითებით მინდოდა მეთქვა, რომ იტალიაც ახლა ამ მდგომარეობაშია, როგორც ამერიკელები მეთვრამეტე საუკუნეში. იტალიელებიც ახლა ისე იბრძვიან, იმათ წინ უძ-

ღვის ისეთი ღენერალი, რომელიც ვაშინგტონს არ ჩაძოუვარდება და, აი, რის გამო ვამტკიცებ, რომ იტალიელები, როგორც ნეაპოლის ძეფისაგან, ისე სხვა მეფეებისაგან იხსნიან თავს და ამ ბრძოლაში გარიბალდი იქნება იმათი განმათავისუფლებელი, როგორც ვაშინგტონი შეიქნა ამერიკელების განმათავისუფლებელი. ეს ისე ნამდვილია, როგორც ახლა მე თქვენ გელაპარაკებით, — გაათავა ამით ლაპარაკი ხ...სკიმ.

კიკოლიკს თავი მაღლა აეღო, ხელები უკან დაეწყო და. როგორც კანცელარიის უფროსი, ძალიან გაცხარებულად დადიოდა ოთახში იმ დროს, როცა ხ...სკი გვეუბნებოდა ამ ამბებს. როცა მან გაათავა, კიკოლიკმა თითქოს შანი მოუგო და ასე უთხრა:

— ნეტამც ეგრე იყოს. რომ თხებს მგლები დაეჭიროს. თორემ უფრო ცოტა ბოროტება იქნებოდა ქვეყანაზე. თუ აგრე იყო, მაშ ნაპოლეონ 1-მა რათ დაიპყრო მთელი ევროპა? როდესაც იტალია. გერმანია, ავსტრია და ჰოლლანდია მიამტვრ-მოამტვრია, რატომ ვერ გამოაგდეს იმათ იქიდან? თუ იარაღში და სამხედრო რიგში გაუწვრთნელი ხალხი სჯობნებოდა გაწვრთნილს ჯარს, უეჭველად ასეც მოხდებოდა.

— ნუ დაივიწყებთ, რომ ნაპოლეონ 1-ლი საფრანგეთის რესპუბლიკის სახელით შეესია ევროპას, — უპასუხა ხ...სკიმ. — იმის დროშაზე იყო დაწერილი მტარვალობისაგან განთავისუფლება. ის თავდაპირველად ხალხებს ათავისუფლებდა მთავრობის შევიწროებისაგან. გერმანიის და იტალიის ხალხები, ის კი არა, ხელს უწვდენდენ საფრანგეთის ჯარს, თაყვანს სცემდენ თავისუფლებისათვის.

— როგორ არა!.. წაიკითხე გერმანიის ისტორია, ხალხის ლექსები და მაშინ შეიტყობ, როგორ თაყვანსაც სცემდენ ნაპოლეონ 1-ლს. ის კი არა, მთელი ქვეყანა სწყეულიდა.

— ნუ დაივიწყებთ, ეგ შემდეგ მოხდა, მაშინ როდესაც ნაპოლეონი იმპერატორად გახდა. იმან ჯერ საფრანგეთში მოახერხა თავისუფლება და მერე მთელს ევროპაში. აი, მაშინ კიდეც ადვილად გასრისეს, როგორც ნაპოლეონი, ისე იმისი მხედრობაც.

— დიახ, გასრისეს, მაგრამ ხელჯოხიანმა ხალხმა კი არა. კარგად გაწვრთნილმა გერმანიის, იტალიის და რუსეთის ჯარებმა.

— ნუ დაივიწყებთ, რომ ეგ ჯარები მაშინ შეიქმნენ ნაპალეონისთვის საშიშონი, როცა თავის დროშებზე დააწერეს სიტყვა: „სამშობლოს თავისუფლება". როცა ისინი ბრძოლაში ამხნევებდენ თავის თავს: „ან უნდა მოვკვდეთ, ან მტერი უნდა გავდევნოთ ჩვენი ქვეყნიდანო". წაიკითხეთ მართლაც მაშინდელი სიმღერები და დარწმუნ-

დებით. რომ იქ სულ სამშობლოს თავისუფლება არის აღმკული და გალექსული.

— ჩემის აზრით უფრო ზარბაზნებმა, თოფებმა და მხნე მეომრებმა გააგდეს ნაპოლეონ პირველი ევროპიდან, სთქვა დაცინებით კიკოლიკმა.

— ამდენს ხანს ვლაპარაკობ და ჩემი ძირითადი აზრი კიდევ ვერ გაგაგებინეთ. თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს მე იარაღის და გაწვრთნილი მხედრობის წინააღმდეგი ვიყო. თუ ასე ფიქრობთ, სრულებითაც ვერ მიმხვდარხართ ჩემს აზრს. მე ვამტკიცებ: რაც უნდა კარგი გაწვრთნილი ჯარი იყოს, თუ ბრძოლაში გული არ ეწვის სიმართლისათვის, ის კარგად ვერ იბრძოლებს. ამისთანა ჯარს გაუწვრთნელი შეიარაღებული ხალხიც მოერევა. თუ ის თავის სამშობლოსთვის, თავის კერისთვის და ცოლშვილის დასაცველად იბრძვის. მაგრამ როდესაც კარგად გაწვრთნილი ჯარი თავის სამშობლოსთვის, თავის ქვეყნისთვის და თავის მონათესავე და მოძმეებისთვის იბრძვის, იმას რალა ემჯობინება! იმას მაშინ ვერაფერი ვერ მოერევა. ამისთანა ჯარს ჰქვიან სახალხო ჯარი: ამისთანა ჯარს ეწოდება შეიარაღებული ერი თავის მიწა-წყლის დასაცავად. ქვეყანაში თუ იყოს ჯარი, ისეთი, რომ შიშიანობის დროს მხედრად იყოს და მშვიდობიანობის დროს მუშა, მშრომელ ხალხად. ყოველი ომი მხოლოდ მაშინ არის გასამართლებელი, როდესაც ქვეყნის დასაცველად არის ამტყდარი. სხვა ომიკი ყველა ღმერთმა დასწყევლოს, ომი, რომელიც არის სხვა ქვეყნის დასაპყრობად აღძრული, ის ომი არის წყეული, იმისთან ომში მებრძოლნი არიან ხალხის სისხლით შესვრილნი და ადრე თუ გვიან რომ არ გადახდესთ ეს უსამართლობა, არ იქნება. მაშინ ჯარი ხდება ერთი ვისიმე ნების ამსრულებელი, ერთი ვისიმე უსამართლოების ქვეყნად გამტარებელი იმისი კვალიც ბოროტებით არის აღბეჭდილი. ამისთანა ჯარს და მხედრობას გმირული სული არ უდგია. ის არის, მგლების ხროვის მსგავსი და ადრე თუ გვიან მგლებივითაც გაირეკებიან ქვეყნიდგან. აი, ჩემი აზრი ეს არის. მაშ გარიბალდი ახლა ამისთანა მგლების მეელტელი და წინწამრეკია. რა დიდი აზრი უნდა ამას, რომ ამ გარემოებაში გარიბალდი ბრძოლას მოიგებს! — დიდის აღტაცებით გაათავა ხ...სკიმ თავისი ბაასი.

კიკოლიკმა ვეღარა სთქვა-რა. ის უწინდულათვე ცხვირაწეული დადიოდა ოთახში.

— მე ამ საღამოს ძალიან დამაგვიანდა. — ცოტა ხანს შემდეგ ხმა-დაბლად წამოიძახა ხ...სკიმ, მოაელო ქუდს ხელი და წამოდგა წასასვლელად. კიკოლიკმა სტაცა ხელი და დაუწყო ღრიტინი: "ნუ

მიხვალ, ჯერ ადრეა", თუმცა ერთი მინუტის წინად ისე ეჭირა თავი, რომ გარეშე კაცს შეეხედნა, იფიქრებდა, ეს კაცი ამ კაცის მტერიაო. ხ...სკის არ იამა ამისთანა პატიჟი. მით უფრო, რომ კიკოლიკის უგნურმა ამაყობამ თან-და-თან უფრო გააბრაზა და გულში გადააწყვეტინა, კიკოლიკი ისეთს გზაზე ადგია, რომ ჩემისთანა კაცები მაგისთანა კაცებს მტრობის მეტს არას უნდა უკეთებდენო. იმან კიდევ უფრო ძალდატანებით გასწია შინისკენ. მაგრამ რამდენადაც უფრო იწევდა ხ...სკი, იმდენად უფრო ეპატიჟებოდა კიკოლიკი დარჩენას, თუმცა, რომ დარჩენილიყო, ორივე ცხვირ-ჩამოშვებულები უნდა ყოფილიყვენ ერთმანეთზე. ტკბილად ლაპარაკი იმ საღამოს იმათ არ შეეძლოთ. კიკოლიკი კარგად ჰგრძნობდა ამას. მაგრამ მაინც ეპატიჟებოდა. ამდენად კეთილი გულის იყო კიკოლიკი! ხ...სკიმ აღარ მოიცადა, იმან თავი წაღუნა და კიკოლიკისათვის აღარ შეუხედავს. მერე უცბად გამოაქანა ჩვენკენ ხელი, მე და ჩემმა ამხანაგმა დიდი სიამოვნებით შევცინეთ იმის განათლებულს და მაღალ-შუბლიანს სახეს. იმ დროს სწორედ მინდოდა, მოვხვეოდი ამ კაცს კისერზე. მინდოდა ასე კისერზე შემოხვეული გავეტაცე შორს, შორს, რომ აღარც კიკოლიკი დამენახა და აღარც ჩვენი კავკასიელები. იმ საღამოს ამ კაცმა სწორედ მოიტაცა ჩემი გონება.

როდესაც ხ...სკი წავიდა, რამდენიმე მინუტი ისეთი სიჩუმე დადგა, რომ ბუზის ფრენას გაიგონებდა კაცი. კიკოლიკი ისევ ფეხებს იმტვრევდა სიარულით: ეტყობოდა, რომ არ იყო მოსვენებული. ყველანი თითქოს რაღაც დანაშაულსა ვგრძნობდით. დიდი ხანი არ არის. რაც ჩვენთან ლაპარაკობდა ის გონება-მიმზიდველი სტუდენტი ევროპის საპოლიტიკო საქმეებზე, ისე გულ-მხურვალედ. ისე ტკბილად და ისეთის საბუთებით, რომ ჩვენ ახალ-ჩამოსულებს სიზმრადაც არ მოგვზმანებოდა ამისთანა ბაასი. მე და ჩემი ამხანაგი მომეტებული სიამონებით გაშტერებული ვიყავით. „ნეტა სად უკითხავს-მეთქი ამდენი ხ...სკის, — ვამბობდი ჩემს გონებაში: — ნეტამც რამდენიმე თვე იმასთან მაცხოვრა, რომ ყოველდღე შემეძლოს იმისი ყურის გდება. თვალის დევნება მეცხიერულ განვითარებაში! ოჰ, რამდენს ვკითხავდი, რამდენი წიგნის სახელს ჩავიწერდი, რომ შემდეგ ყველა ისინი გამეზეპირებინა და მეც ხ...სკისთანად შემძლებოდა ლაპარაკი და საბუთების მოყვანა-მეთქი." ამ დროს იმის მჭევრმეტყველს, აზრით გაცხოველებულს პირისახეს რომ წარმოვიდგენდი და შევადარებდი კიკოლიკის ცხვირ-გძელ სახესა, რომელიც სითვალხარბისა და ხელ-მოკლე თავმოყვარების გამო ხან წითლდებოდა და ხან ყვითლდებოდა, უნებურად პირს იჭით მიეიქცევდი, რომ ეს უხეირო სახე მეორედ

აღარ დამენახა. საკვირველი იყო, კიკოლიკის დანახვაზე იმავ წამს მომაგონდებოდა მთელი ჩვენი საზოგადოება, ღიმნაზიის შაგირდებიდან დაწყებული დიდებამდის, სადაც ერთი მეორეს ძაგებისა და კორობის მეტს არას აკეთებდენ.

— კარგი სტუდენტია ხ...სკი, რომ ერთი ნაკლულევანება არ სჭირდეს. — წამოიკრინა კიკოლიკმა. მე თვალები გავუშტერე, მეტისმეტი უკმაყოფილებისაგან კითხვაც ველარ მოვახერხე, რათა-მეთქი? ვთქვი გონებაში რაც უნდა დიდი ნაკლულევანება სჭირდეს. შენ მაინც რა ნება გაქვს, შენიშნო? რაც იმას ფრჩხილში ცოდნა აქვს, იმდენიც არ გქონია-მეთქი.

— როგორ, რა ნაკლულევანება აქვს? — ჰკითხა ერთმა ჩვენებურმა წვერიანმა სტუდენტმა, რომელიც სულელ თხასავით გამოშტერებული შესცქეროდა ხ...სკის და მთელი ის დრო, რაც ხ...სკი ჩვენთან დარჩა და ლაპარაკობდა, თხასავითაც კიკინებდა, ალბად მოწონების გამოსაცხადებლად. სხვა ხმა არა ამოუღია-რა, სანამდის ხ...სკი არ წავიდა.

— ისა, რომ ერთობ ბევრს ლაპარაკობს და საგნიდან საგანზე გადახტება ხოლმე. ჩვენ იტალიის საქმეზე ვლაპარაკობდით და ის ამერიკის ისტორიაზე გადახტა. საიდან სადაო, წმინდა საბაო? — ქრიტინით თქვა კიკოლიკმა.

— ჰო, ეგ-მართალია, ეგრე არის! — დაჰკრა კვერი თხის-წვერა სტუდენტმა.

მე, სწორე გითხრა, სისხლი ამივარდა თავში. თუმცა ბევრი არა მესმოდა-რა, მაგრამ ხ...სკის დამტკიცებებს მაინც კარგად ვადევნებდი თვალ-ყურს და ამერიკის ისტორია ჩემის აზრით ერთი უცხადეს საბუთთაგანი იყო, რომლითაც იმან დაურღვევლად დაამტკიცა თავისი აზრი. ვთქვი გონებაში, ეს კიკოლიკი სწორედ მეპორობს-მეთქი, მაგრამ იმ წუთს-კი ვერ წარმომედგინა, რა განზრახვით აძაგებდა სულ ტყუილა-უბრალოდ იმ პატიოსან კაცს. ყველაზე უფრო ამაღელვა სულელურმა დამოწმებამ თხის-წვერა სტუდენტისამ. ვთქვი, ნუ თუ ამისთანა გამოსულელებულები არიან ყველა ჩვენი უფროსი მოძმენი. რომელნიც თავიანთ დედ-მამას აქ' გამოუგზავნია და ოთხიხუთი წელიწადი სულ ტყუილა-უბრალოდ უთელავსთ უნივერსიტეტის იატაკები-მეთქი.

— ამას გარდა მოცრუებაც იცის. — განაგრძო კიკოლიკმა. — მაგალითად, იმან რომ თქვა, „ექვსი ათასი ჯარი გაგზავნა ამერიკაში საფრანგეთმაო", საიდან დაიმახსოვნებდა, თუ არ მოეცრუებინა? შეორე, „ფლოტის ადმირალს დე-ტერნე ერქვაო". თქვენი შერცხვე-

ნილი ვიყო, თუ მე ეგ სახელი გამეგონოს, თუმცა შლოსსერის ისტორია ხუთჯერ მაინც წამიკითხავს. მესამე, „ინგლისის მხედართ მთავარს კორნუელისი ერქვაო"; კორნუელისი კი არა, ბურგოინი ერქვა სახელად. მე ეს კარგად მახსოვს. სულ ესეები იმან მოაჭორა. არ მინდოდა, გამეწითლებინა, თორემ, მოგეცა იცოცხლე, მე იმას ცხვირში წავადენდი იმის სიცრუეს. მერე, რას ამტკიცებდა? ომში გავარჯიშებულს, გაწაფულს სალდათს უბრალო კაცი აჯობებსო.

— ეგ-კი ძალიან სიცრუვე მოუვიდა, მაგრამ რა გაეწყობა! — დაჰკრა კვერი კიდევ თხის-წვერა სტუდენტმა.

— მოდი და ახლა შენ გაუსინჯე იმას ქკუა! — სიამაყით წამოიძახა კიკოლიკმა. — ეგ რომ აგრე ყოფილიყო, ეს სახელმწიფოები ამდენს ფულს და ხარჯს რათ ჩაღუპავდენ მუდამ ჯარის ყოლაში და წვრთნაში?

მე აქ ველარ მოვითმინე და ვუთხარი: ის მაგას კი არ ამტკიცებდა, რომ თავის ქვეყნისთვის მებრძოლი კაცი, გამოუცდელიც რომ იყოს ომში, მაინც კაცს შეაკვდება. მაინც საშიშია. გაბრაზებული კაცი თავის ცოლ-შვილის სიკვდილით და მიწა-წყლის წართმევით უფრო ბევრს ვაჟკაცობას ჩაიდენს, ვინამც გაწვრთნილი სალდათი, რომელიც მარტო სხვისი ბრძანებით მიდის მტერზე.

— არა, ყმაწვილო, — გულ-ჩქარად მატაკა კიკოლიკმა წინააღმდეგი პასუხი, — ეგ როგორ იქნებოდა ჩვენი ბაასის საგანი. მაშინ მე სულ უგუნურს დავუძახებდი, ეგ რომ ეთქვა. მგელი ან ვეფხვი, რაც უნდა გაბრაზებული იყოს, ერთი ტყვია ეყოფა. — ვითომც მაგალითით ამიხსნა ჩემი უსაფუძვლობა კიკოლიკმა. მე გავწითლდი და არა ვთქვი-რა. მაგრამ გულში სულ ამ ორ სიტყვას ვიძახდი — ბურგოინი და კორნუალისი. ცოტა ხანს იქით, ავდექით, და მე და ჩემი ამხანაგი გამოვემშვიდობეთ.

— სად მიდიხართ, ყმაწვილებო? ახლა ამ ღამეში სადღა წახვალთ! მოდით, აქ მოისვენეთ ამაღამ. — გვეკითხა კიკოლიკმა. მე და ჩემმა ამხანაგმა გამწარებით გავიქნიეთ თავი, არ დავრჩებით-მეთქი.

— ყრაწვილებო, მოვიდოდეთ ხოლმე ხშირად ჩემთან. — სთქვა მზრუნველობის ხმით კიკოლიკმა. ჩვენ სწრაფად გამოვარდით კიკოლიკის სახლიდან და მოვქუსლეთ.

— ვაი, რა უგუნური ყოფილა! სულ-არა სკოლნია-რა კიკოლიკს! — მელაპარაკებოდა ღამეში ჩემი ამხანაგი.

— როგორ დაამტვრია, როგორ გააჩერა, ხმა აღარ ამოაღებია ხ...სკიმ! — იძახოდა აღტაცებული ჩემი ამხანაგი. — მე ხვალვე წავალ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და მთელი დღე სულ ფურცლა-ფურცლად გადავშლი, რომ ამერიკის განთავისუფლების ომის მოთხრობა

მოვნახო, დავუჯდები და ბოლომდის ჩავიკითხავ, რომ დავრწმუნდე: ხ...სკი მართალია თუ კიკოლიკი უგონებდა, სტყუისო, ჩვენ გასაგონებლად. მე დარწმუნებული ვარ, ის უპორებდა ხ...სკის.

— ის თუ მართალი ყოფილიყო, — მე უთხარი: — რატომ მაშინ არ ამხილა, როცა ხ...სკი ბაასობდა. რომ წითლდებოდა და ყვითლდებოდა სირცხვილისაგან, როგორ მოუთმენდა, როგორ არ დაუმტკიცებდა, თუ მართლა ხ...სკი ცრუობდა; მაგრამ, როცა ის წავიდა და მოპასუხე არავინ ჰყავდა, მაშინ დაიწყო ჰორები. მოდი, თუ ძმა ხარ, ერთად ვიკითხოთ: ხვალ მეც წამოგყვები უნივერსიტეტში, მეც ძალიან მინდა მართლის შეტყობა, — ვუთხარი ჩემს ამხანაგს და ამ ამბით მივედით შინ.

მეორე დღეს დილა ადრიან ავატანეთ მე და ჩემმა ამხანაგმა და გავსწიეთ უნივერსიტეტისაკენ. შევედით თუ არა უნივერსიტეტის ზალაში, ბიბლიოთეკარი წინ შემოგვხვდა; ესთხოვეთ მას, ბიბლიოთეკაში შევეყვანეთ, მოვითხოვეთ ყველა ახალი ტომები შლოსსერის ისტორიისა და დავუჯექით საძებრად. ცოტა ხანს იქით ჩემმა ამხანაგმა მომაყვირა აღტაცებით, „ნაშოლ“-ო. მართლაც იმას ჰქონდა გადაშლილი მესამე ტომი შლოსსერის ისტორიისა და ზედ ეწერა: „ამერიკის კოლონიების მოწყვეტა და ლონდონის მოქალაქეებთან ბაასი“. დავუწყეთ გულ-მოდგინეთ კითხვა და ბოლომდის ჩავაბულბულეთ. გამოჩნდა, რომ სერეტოგს მართლაც ბურგიონი თავისი ჯარით დაეტყვევებინათ ამერიკელებს. მაგრამ ეს პირველი დიდი გამარჯვება ყოფილიყო ამერიკელებისა; მეორე უფრო დიდი გამარჯვება იორკტონს ყოფილყო. სადაც ვაშინგტონს მართლაც საუკეთესო ღენერალი კორნუალისი თავის ჯარიანათ ტყვეთ წამოეყვანა. კიკოლიკის პირველი გამარჯვება ამერიკელების დამახსოვნებოდა და მეორე-კი არა. ხ...სკიმ ორივე გამარჯვება მოახსენა თავის ბაასში, მაგრამ ბურგოინის სახელი თურმე არა სთქვა, რადგან კორნუალისის დატყვევებას უფრო დიდს პოლიტიკურს მნიშვნელობას აძლევდა. მართლაც ასე იყო. კორნუალისის დატყვევების შემდეგ ინგლისი დარწმუნდა, რომ ამერიკელებთან ბრძოლა შეუძლებელიაო და ხელი აიღო თავის კოლონიაზე. წარმოიდგინეთ, რომ ხ...სკი სხვებშიაც მართალი გამოდგა, რაშიაც კიკოლიკი იმას ცილს სწამებდა. მართლაც, რომ საფრანგეთს ექვსი ათასი ჯარის-კაცი გაეგზავნა ამერიკელების მოსახმარებლად, ამათს მხედართ-მთავარს როშამბო ერქვა სახელად და ფლოტი ჩაებარებინათ მართლაც დე-ტერნესთვის. ამ სახით დამტკიცდა, რომ კიკოლიკს ხუთჯერ კი არა, ერთჯერაც არ წაეკითხნა შლოსსერის ისტორია, ინგ ხ...სკის ჰორები დასწამა ჩვენს თვალწინ, ალბათ ეგონა, ჩვენ ვერ შევასწორებდით იმ ბაასს და ჩვენ თვალში იმიტომ გამოი-

ქვანა სულ ცრუ კაცად, რომ ხ...სკისაგან მიღებული შთაბეჭდილება ჩვენზე გაექრო და თავისი თავი ისევ აღედგინა ჩვენ თვალწინ. მაგრამ ამ შემთხვევის შემდეგ კიკოლიკი სულ დაეცა ჩვენს აზრში. ის გამოჩნდა თვალხარბი, რომელმაც თავისი სარგებლობისათვის ხ...სკის ტალახში ჩაგდების სურვილიც არ ითაკილა. ამის შემდეგ კიკოლიკთან აღარ წავსულვართ მე და ჩემი ამხანაგი. ჩვენ გავიკვალეთ გზა გზა თვითონ ხ...სკის სადგომისაკენ და ამის შემდეგ დღე და ღამე ძილი აღარ გვქონდა. როგორც-კი მივიდოდით ამ ჩინებულ სწავლულ კაცთან, ის ან წიგნებით გარშემოწყობილი დაგვხვდებოდა, თვითონ-კი სწერდა ან კითხულობდა, ან და გულ-ცხარეულ უმტკიცებდა ხოლმე თავის ამხანაგებს რომელსამე შესანიშნავს ისტორიულს გამოკვლევას.

დრო მიდიოდა და ჩვენ თანდათან უფრო გავებით საპოლიტიკო და ისტორიული თხზულებების კითხვაში: ამასთანავე ჟურნალები და გაზეთები ხელიდან არ გამოგვიცილებია. ჩვენ ამ პერიოდული გამოცემებიდგან ვსწავლობდით თანამედროული ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებას. ხ...სკი დიდხანს აღარ დარჩენილა უნივერსიტეტში, იმან გაათავა თუ არა კურსი, მაშინვე გასწია თავის ქვეყანაში, მაგრამ იმისგან მომხდარი შთაბეჭდილება თანდათან გვიცოცხლდებოდა, იმის მჭერმეტყველური სახე ცოცხლად გვიდგა თვალწინ და, როდესაც ახალ-ახალ ჭეშმარიტებას ვიკვლევდით, სულ ასე ვამბობდით: ეს საბუთებად გამოგვადგება ერთ დროს, როდესაც ხ...სკი-ვით ჩვენც დავუწყებთ ჩვენ უმცროსებს თვალის ახელას-მეთქი და რაც უფრო ბევრს ვკითხულობდით და ვსწავლობდით, გვეგონა თუ, იმდენად უფრო შორს ვიყავით სწავლით და ცოდნით ხ...სკიზე. ეს წადილი და გაჯიბრება კიდევ უფრო დიდ მხნეობას გვაძლევდა შრომაში. ბოლოს ხ...სკი და მისი ცოდნა თილისმის კვერცხად გადაგვექცა, რომელიც იმდენად შორს მიგორავდა, რამდენადაც უფრო ჩქარა მივისწრაფოდით იმისკენ.

III

— სწორედ გიჟია ეს კაცი, — დაიწყო ხმა მაღლა ლაპარაკი კიკოლიკმა, როცა ერთ საღამოს, დიდხანს კიკოლიკთან ბაასს შემდეგ, ხ...სკიმ თავი დაგვიკრა და გამოგვეესალმა. — რაებს ლაპარაკობს? გონიერი კაცის აზრში მოსასველელი არ არის. ჭაბუკი, რაც უფრო გაირყვნება, ის სჯობიაო. არა, ეგ მალე გაგიჟდება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ორ დღეში მაგას სიგიჟე მოუვა. მგონია. ახლაც-კი ეტყობოდა ცოტათი: ვერ შენიშნეთ, რა ძალან აბრიალებდა თვალებს?

ნახავთ, ამ ორ დღეში მაგას რა მოუვიდეს. ძალიან ატაცებულია, ძალიან!

— შენ სულ მაგრე იცი, რატომ პირში არ ეტყვი ხოლმე, ზურგს უკან რომ მოყვები იმის ძვირს? — უთხრა გაცხარებით კიკოლიკს ჩემმა ამხანაგმა.

— პირში თქმა სისულელე იქნება და ცოდვაც არის, შეიძლება, ჩემი მხილებით კიდევ უარესად შეირყეს.

— არა, ეგ, ჩემის აზრით, უსინდისობაა. კაცის ძვირს ამბობ ისე, რომ იმან არ იცის და საშუალებაც არა აქვს, რომ შენი უსაფუძვლო აზრი დაგირღვიოს. ეგ მოჟორებაა. იმასთან ლაპარაკში ენა არ გიჭრის და, მგონია, იმიტომაც ლაპარაკობ იმის ზურგს უკან. ეს რამდენჯერაც დამიგდია თქვენთვის და იმის ბაასისათვის ყური, ყოველთვის უჯობნია იმას თქვენთვის და, თუ გიჟი იყოს, როგორ არის ეს?

— გიჟმა რაც უნდა ილაპარაკოს ვინ გასცემს პასუხს, ვინ მოუვლის თავს? — სთქვა გაცხარებით კიკოლიკმა. — ნეტამც ეს ახალგაზდები არ აეყოლებინა და იმას ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია!

— დაიკარგე იქით! ხუთი წელიწადია აქ ხარ და ლექციების მეტი არა გისწავლია-რა. თქვენ როგორ წამოდგამთ ფეხს იმასთან? — კიდევ უფრო გაჯავრებით უთხრა ჩემმა ამხანაგმა.

ამ სიტყვებმა სულ ალმური აუდინა კიკოლიკს, მაგრამ პასუხი აღარ გაუცია; მხოლოდ ის მიუბრუნდა თავის ამხანაგებს და დაუწყო იმათ ძვირის ლაპარაკი ხ...სკიზე.

— ეგ ყოველთვის ეგრე იყო ატაცებული. თავის დღეში მაგას მოსვენება არ ჰქონია. რამდენი ახალგაზრდა კაცი გააუბედურა მაგან. ჩაიგდებს ხელში ამათთანა ახალმოსულებს (ჩვენსკენ მოაშვირა თითი) და რაც მათ მოეწონებათ, სულ იმას ელაპარაკება. გაიტაცებს, მაშ რასა იქს? მე ცოტაღა ხანი დავრჩები აქ, მაგრამ თქვენ ისე უნდა მოახერხოთ, — უთხრა მოზდილ კავკასიელებს, რომ ეგ კაცი თქვენს წრეში აღარ შემოუშვათ, თორემ სულ აგვირ-დაგვირევს სწავლის საქმეს.

— დიაღ, სწორედ ეგრე უნდა ვქნათ, — მიაყვირეს ყურმოჭრილ ყმებსავთ მოზდილმა კავკასიელმა სტუდენტებმა. ამის შემდეგ ბევრი ცუდი და საძაგელი ამბები ილაპარაკა კიკოლიკმა ხ...სკიზე, იმის მთვრალობაზე, გარყვნილ ცხოვრებაზე და სხვ. ძალიან შეგვძაგდა ამისთანა ლაპარაკი,ამიტომ რომ სრულებით არა შეგვენიშნა რა იმისთვის, თუმცა ხშირად დავდიოდით უკანასკნელ ჟამს იმასთან. ამის გამო მე და ჩემმა ამხანაგმა საჩქაროდ ავიღეთ ქუდი და გამოვედით შეკრებილებიდან.

იმ დღეს აქეთ კიკოლიკი თითქმის აღარ მინახავს. ის მეორე კვირას სულ მზად იყო კავკასიას წამოსასვლელად. გამგზავრების წი-

ნაღამეს კიკოლიკმა ყველა კავკასიელები და თავის ამხანაგები დაპატიჟა; მე და ჩემი ამახანაგი არ წავსულვართ. დიდი ამბავი, დიდი ლხინი გადაეხადათ. ხუთი ბოთლი შამპანსკი გაეხსნათ, ყველას გაეკოცნა კიკოლიკი და მეორე დღეს იმისი ძველი ამხანაგები ძალიან ნაღვლობდენ კიკოლიკის მოცილებას: „იმისთანა კარგი გულის კაცს და ტკბილს ამხანაგს ჩვენ ველარ ვიშოვნითო ამბობდენ ისინი.

IV

186...წელს ქალაქ ტ....ს კიკოლიკს დიდი ამბავი ჰქონდა. ის იყო ქალაქის საზოგადოებაში მოწონებული ახალგაზდა. ამბობდენ, კიკოლიკისთანა გონიერი და დახედული ყმაწვილი ჯერ უნივერსიტეტიდან არ ჩამოსულაო. ეს ყმაწვილი კაცი ყველასაგან ძალიან კარგად იყო მიღებული. იმისი წარმოსადეგნი შეხედულება, ლაზათიანი ყოფაქცევა, მუდამ მოცინარე პირისახე და ყოველ უფროსთან დაკრძალული სიტყვა-პასუხი ძალიან მოწონდათ. ის იყო მაშინ ლიმნაზიაში მასწავლებლად, მაგრამ გავლენის მქონე კაცებსაც ლიმნაზიის გარეთ ისე შეაყვარა თავი, რომ ბევრად უკეთესს ადგილს უმზადებდენ. ცოტა ხნის შემდეგ კიკოლიკი გახდა კავკასიის სამთო შკოლების ინსპექტორად. ეს ადგილი პირდაპირ ჩემზე არისო გამოჭრილი, ამბობდა კიკოლიკი. ჯამაგირი ბლომად ჰქონდა. ყოველ წლობით უნდა შემოეღო ნახევარი ნაწილი კავკასიისა. სამგზავრო ფულსაც ბლომად აძლევდენ.

აპრილის გასულს 186...წელს, ერთ საღამოს, როდესაც კიკოლიკმა ზემოხსენებული თანამდებობა გაიკრა, მეტი არ შეიძლება, ისე კარგს ქეიფზე იყო, შემხვდა ტ...სის ბულვარზე და შინ მიმიპატიჟა. იმის თვალების წკურვამ და ხმადაბლად ლაპარაკმა შემატყობინა, რომ მართლაც და კიკოლიკს მძიმე რამ სალაპარაკო უნდა ჰქონდეს-მეთქი ჩემთან. წავედით. ოთახში რომ შევედით, ბნელოდა. ბიჭს უთხრა: „თუ ვინმე მოვიდეს, ასე უთხარი, შინ არავინ არის-თქო; სტავნები დახურე და ჩაი შემოგვიტანე". მდივანზე დაეჯექით და წინ ორი სანთელი გვენთო.

— ერთი საიდუმლო მაქვს შენთან სათქმელი, — მითხრა კიკოლიკმა. — შენ ამისთვის გეუბნები იმას, რომ ხომ იცი, მე შენ ყოველთვის საქმის კაცად გთვლიდი.

ამისთანა შესავალმა ძალიან დამამძიმა, ვთქვი გონებაში, სწორედ დიდი რამე საქმე უნდა იყოს-მეთქი.

— მე სამთო შკოლების ინსპექტორად გამაწესეს.

— მერე? — ვკითხე მე.

— მერე და არ იცი, რა გამოვა აქედან?

— რა?

— ჰმ, როგორ რა?... მე ყოველ წელიწადს შემეძლება ჩვენს ხალხში ვიარო, გავიცნო, შევიტყო მისი გარემოება, იმისი აზრი.

— მერე რა? — ეუთხარი.

— როგორ რა, განა არ კმარა, რომ ხალხში ვიტრიალებ!

— რამდენი შენისთანა ჩინოვნიკები დადიან თავის საქმისთვის— ჩვენ ხალხში, რა გამოვიდა?

— განა მე ჩინოვნიკი ვარ? ერთი რომ მე ჩინი არა მაქვს და მეორე, მე არასოდეს ისეთი ჩინოვნიკი არ გავხდები, როგორც ზოგიერთები არიან. მე ჩემი აზრი მაქვს.

— მითხარი, რა აზრი გაქვს?

— ხალხი გავიცნო, შკოლები კარგად გავმართო, დაბალი ხალხი გავანათლო, და თუ გონება გაქვს, კიდეც მიხვდები, რა გამოვა აქედან.

— სრულებით არაფერი.

ამისთანა გადაჭრილი პასუხი მეტი არ შეიძლება, ისე ეწყინა კიკოლიკს. იმან ცოტა აჩქარებულად დამიწყო ლაპარაკი.

— თქვენ ასე გგონიათ, რომ კაცს როცა ჯიბეში არა უპყავა-რა, მაშინ უნდა დაიწყოს საზოგადო ასპარეზზე მოქმედება; მაგრამ მე არა... მე აგრე არ მგონია. ჯერ მუცელი უნდა გაიძღო, ჯიბეც გაივსო და მერე საზოგადო კეთილდღეობის საქმეს უნდა შეუდგე. აი, ახლა მე კარგა ბლომად მექნება ფული შეკრებილი. ამ წელს ერთ ას თუმანს მოვიერჩენ. იცი, აქ ერთი ფულიანი კაცი ჩავიგდე ხელში, იმას შევუამხანაგდი და ახლა კიდეც დავიბარეთ სტამბა. იმ ყმაწვილმა თავის ხარჯზე დაიბარა და მე მერე შევუდგები.

ამისთანა სიტყვები, ცოტა არ იყოს, გულზე ტკილად მეცა. მე მართლაც ყური დავუგდე და წინააღმდეგ ლაპარაკს თავი მივანებე.

— ჩვენ თუ ერთი გაზეთი არ დავაარსეთ, უამისოდ საქმე არ გაკეთდება. გაზეთმა უნდა გააღვიძოს ჩვენი საზოგადოება, კითხვას შეაჩვიოს, ერთმანეთის აზრი გააცნოს, მჭიდროდ შეაკავშიროს და კეთილი გავლენა მოგვაპოებინოს ჩვენს საზოგადოებაზე. მაგრამ გაზეთი უსტამბოთ არ შეიძლება. ამისათვის სტამბა უნდა გავმართოთ. აი, რა განზრახვით დავიბარეთ ჩვენ სტამბა.

მე ამისთანა აზრებმა პირდაპირ გულზე მალამო მომცხეს. კიკოლიკმა ჩემი გული დაიმორჩილა იმ სალამოს ვთქვი, ვცხოვრობთ მეთქი, ვცხოვრობთ და უნებურად მდივანზე რომ ვიჯექი წამოვხტი.

— მაგრამ ყოველივე ესენი ჯერ ჩუმად უნდა იყოს, არავინ არ შეგვიტყოს, ხომ იცი, გაზეთი რა არის? ახლა მე უმაღლეს წოდებაში

-დავდივარ, საუკეთესო გაელენის მექონე გვამები გავიცნე, სულ რისთვის? ამისთანა საქმეების გასაკეთებლად, მაშ!

იმ საღამოს მე ძალიან მხიარულად შეეექეცი კიკოლიკთან, სტუდენტურს ჩემს მოქმედებას ცოტა კრიტიკულად დავუწყე განსჯა. რაც იქ სულის სიმდაბლედ მიმაჩნდა კიკოლიკში, ახლა სულ ერთიანად ყოველივე მივუტევე, ამიტომ რომ ძალიან გულგახსნილად მომეჩვენა იმ საღამოს. ვთქვი, ეს კაცი სამსახურშიაც საზოგადო კეთილმდგომარეობის საქმეს არ ივიწყებს-მეთქი. იმ საღამოს გავაბით ხანგრძლივი ძუსაიფი კიკოლიკმა და მე ჩვენის საზოგადოების გაუნათლებლობაზე, ხალხის სისაწყლეზე. და ყოველსავე ამას მოეღებოდა ბოლო, იმის აზრით, თუ ფული გვექნებოდა. ფული, იმის აზრით, პირველი და უკანასკნელი ასო იყო ყოველი სიკეთისა. კიკოლიკი მელაპარაკებოდა ხმა-დაბალად, თითქმის ჩურჩულით. ეტყობოდა, რომ თავის სიტყვებს დიდს მნიშვნელობას აძლევდა. თვითონ თუმცა თავის თავზე მაგდენს არას ამბობდა, მაგრამ თვალების პარპარით, გადაკრული ლაპარაკით და ზოგიერთი ამბების გადმოცემით უმაღლესი სფეროდან, შეეტყობინა, რომ მთელი ჩვენის ცხოვრების და საზოგადო კეთილდღეობის მავთულები ხელში მიჭირავსო. ამ ლაპარაკში შუაღამეს გადასცილდა. მე გზა დავულოცე და გამოვედი...

V

186...წელს მარტის ღამეა. გარეთ საშინელი ქარი ჰქრის. ერთს დაბალ-სარკმლებიან სახლში მოჩანს სტოლზე ორი სანთელი, ნაპოლეონ პირველის გრენადერების თავში ჩანთებული. ამ ბრონზის გრენადერებს თითონ წინ ხმალი ეპიჭვა: ვითამდა, რაც ამ ხმლით აეგილი ზემოგვიხაზავს მე და ნაპოლეონს, ის ყველა ჩვენი შთამომავლობის უნდა იყოსო; მაგრამ დახედეთ სოფლის სიმუხთლეს! თვითონ ნაპოლეონის ძელებს იმ დროს მყრალი ჭიები ხრავდენ და იმის გრენადერის თავი ხმლიანათ ერთ პაწაწა მახდლათ გადაქცეულიყო, რომელიც ედგათ სამს ახალგაზდა ყმაწვილს სტოლზე და ზანტ ბაასში გაერთობოდენ. ის იყო, კარგა ნოყიერი სადილიდან ამდგარიყვენ და თითოეულს მათგანს ედგა წინ ფინჯანი ყავა. ოთახში პაპიროსის ბოლი იყო გამდგარი.

— კიკოლიკო, ერთს კარგს საქმეს გირჩევ, თუ დამიჯერებ. სახელიც იქნება და უფრო სახრავიცა, — უთხრა მდივანზე მჯდომარე ახალგაზრდამ, რომელსაც ახლად ამოდიოდა ულვაშები. იმისი ღრმა თვალები და თხელი ტუჩები ცხადად ამტკიცებდენ. თუ ჯერ არა, ერთ დროს დიდი ანტიოხი, გაიძვერა სოვდაგარი უნდა გამოვიდესო.

ამ ყმაწვილს ახლად ჰქონდა მოვლილი საზღვარ გარეთი და იმისი გულის წადილი იყო, ისეთი პაწაწა საქმე გამოეწყო, რომ დიდი თანხა არ სდომოდა და კარგი მოგებაც ჰქონდა. ეფიქრა, ეფიქრა და საზღვარს გარეთ ამ აზრის მეტი ვერა მოეხერხებია-რა: მოდი, შინ რომ დაბრუნდები, ერთს პაწაწა შნოიანს სტამბას გავაღებო. იმას ძალიან მოსწონდა ეს თავისი აზრი. რაც საზღვარს გარეთ სტამბები დაევლო, ყველა აზრში მოსვლოდა ყველაში ძალით მუშაობა შეემჩნია და. როცა გამოეკითხა, ისე დიდი თანხაც არ სჭირდებოდა იმის გახსნას. იმან იქვე გაიცნო ერთი სტამბის მოხელე, რომელმაც პაწაწა სტამბის დახსნა დაუსვა ას ორმოცდაათ თუმნამდის. ამ ყმაწვილმა იფიქრა: ას ორმოცდაათი თუმნის სტამბა ჩემს სამშობლო ქალაქში უკანასკნელი ოც პროცენტს სარგებელს მაინც მომცემს, სადაც რომ კუდი მაზანდა იყოსო, და კარგს მაზანდაზე რატომ ერთ ნახევრადაც არ გადამექცევაო. იმან იცოდა თავის სამშობლო ქალაქის მდგომარეობა. სადაც სტამბა ცოტა იყო და სამუშაო ბევრი. ეს ცნობები რომ შეკრიბა, წამოვიდა შინ და თავის სამშობლო ქალაქში ერთი სომხის დამტვრეული სტამბის მუშაობის გამოკვლევას შეუდგა და დარწმუნდა, რომ ეს დამტვრეული სტამბა, რომელიც ოთხმოცდაათ თუმნად სულ არ ღირდა, წელიწადში ორმოცდა ათ თუმანს ნაღდს მოგებას აძლევდა თავის პატრონს. ესეები რომ შეიტყო მელიქ-აღამ (ასე ერქვა იმ ახალგაზდა ყმაწვილს), გულში გადაწყვიტა, რაც უნდა დამემართოს, ჩემი ვაჭრობის ასპარეზი სტამბით უნდა დავიწყოვო. თუმცა საკუთრადაც შეეძლო ერთი პაწაწა შნოიანი სტამბის ყიდვა და გამართვა მაგრამ იმან მაინც იფიქრა, რაც შეიძლება, ცოტა ფული ეხმარა ამ პირველი სავაჭრო საქმისათვის და ამის გამო შეუდგა ამხანაგების შოვნას. მელიქ-აღას ძალიან გამოცდილი მამა ჰყავდა ვაჭრობაში. თვითონ მამასაც უნდოდა, რომ შვილი ადრიანადვე გაწაფულიყო ამისთანა საქმეებში; მაგრამ, რადგან არ უნდოდა პირველშივე ფარსაგი ფული ჩაეგდო შვილის ხელში, იმან უთხრა: „შვილო, აირჩიე ერთი რამე საქმე, მე ერთ ორმოცდაათ თუმნამდის ფულს მოგცემ და აღებ-მიცემობა დაიწყე“. შვილი მოუყვა სტამბის ანგარიშს ყოველისფერს დაწვრილებით. მამას რაღაც არ ეჭაშნიკა სტამბის გამართვა: „ეგ, შვილო, მოგებას ვერ გაქნევინებს“, უთხრა მამამ უგემურად; მაგრამ, რაკი შვილს ძალიან სურვილი შეატყო, უარი აღარ უთხრა: „ჯანი გაგიმრდეს, თუ მაინც და მაინც ფული დაიღუპება, დაიღუპოს, ორმოცდა ათი თუმანი რა უნდა იყოს! თუ ვერ იხეირა, ჭკუას მაინც ისწავლისო. „ჰა, შვილო, ეს ორმოცდა ათი თუმანი მომიცია და ამხანაგები შენ იშოვნეო.“ მელიქ-აღას ნასწავლი, რუსეთში ნამყოფი ახალგაზდობა უყ-

ვარდა. ეს ახალგაზდობა, რაც უნდა ყოფილიყო, მაინც ბევრად სჯობდა იმ ვაჭრების შეგირდებს, რომელთაც სუსტი აგებულების მელიქ-აღა თვალში ამორჩეული ჰყავდეთ და მუდამ უკიჟინებდენ. რუსეთში ნამყოფი ახალგაზდა ყმაწვილები უფრო კაცთ-მოყვარენი გამოჩნდენ. ამ შემთხვევაში მელიქ-აღას კიდეც ითვისებდენ, ცოტა რამ ხეირიანი აზრებიც ესმოდა იმათგან და, რომ უფრო დაეახლოვებინა თავის თავთან და დაემეგობრებინა, ხშირად აკეთებინებდა ნოყიერ სადილებს, რომლებზედაც მელიქ-აღა იწვევდა ახალგაზდა ყმაწვილებს. არც მამა ამბობდა უარს ამ სადილებზე, რადგან იმის შვილს თავად აზნაურების შვილებთან ჰქონდა მეგობრობა. „ეს არაფერია, თითო ჩემი სადილი მაგ ციბუტა ქართველის შვილებს თავის დროზე ათ-ათ სადილად დაუჯდებათ. მაცა ერთი ჩემი შვილი ჩემებურად გავაჩვიო სოვდაგრულ საქმეებში„-ო: ამას გარდა მამას, ცოტა არ იყოს. გულში კიდეც მოსწონდა, რომ მისი შვილი კნიაზებს და აზნაურებს მეგობრობდა მოქალაქის ბიჭ-ბუჭების მაგიერად და ამ სიამოვნებას მაძღარი სადილებით ყიდულობდა.

— რას იტყვი, კიკოლიკო, — განუმეორა მელიქ-აღამ, — კარგი სტამბა რომ გაგიმართო?

— არ მესმის შენი ლაპარაკი, — უთხრა კიკოლიკმა.

— რა არ გესმის? მე აპრილის გასულს მივდივარ საზღვარს გარეთ. მე და ბლუკუნას (ასე ერქვა ერთს იქ მდგომარე ახალგაზრდას) გვინდა სტამბის ყიდვა, თუ შენც შემოგვიდგები, ძალიან იაფადაც დაგვიჯდება და კიდეც მოვიგებთ.

— მე სად მაქვს ფულები?

— აი, სამსახურში რომ დაგნიშნეს, ფულები არ არის, მაშ რა არის? ნახევარი ჯამაგირი თავს აგდის და ნახევარი... ჩვენ, იმაზე ნაკლებსაც დაგჯერდებით... მოიტა წილში.

— ჯერ სად მაქვს? წლის გასვლამდის საიდან მექნება?

— დარდი ნუ გაქ! შენ სიტყვა მოგვეცი, მერე შემოიტანო და მე დავხარჯავ შენს საწილო ფულს. — უთხრა მელიქ-აღამ.

— არა, ძმაო, მე გადასაყრელი ფული არა მაქვს.

— ოხერო, ჩვენ კი გვაქვს? — უთხრა გაცხარებით, რომ ვეღარ დაათანხმა კიკოლიკი.

— რა მოგება უნდა იყოს სტამბაში! — ჰკითხა კიკოლიკმა.

— თუ კი კარაპეტა თავის დამტვრეული სტამბით ორმოცდაათ თუმანს ნაღდ მოგებას იღებს, ჩვენ რა დაგვემართება!

— ვითამ ეგ მართალია? — ცნობის მოყვარეობით ჰკითხა კიკოლიკმა.

— დაწერილებით შეეიტყე, კიდეც იმიტომ ეკიდებ სტამბას ხელს, თორემ გიჟი ვარ, ფულები დავაბნიო. ეგრე ჰკითხე მამა-ჩემს!

— ჩვენ რა მოგება უნდა გვექნეს? რაც სამუშაოა, სულ კარაპეტას ექნება ხელში.

— კარაპეტა როგორ გეაჯობებს: შენ თითქმის ყველა სასამართლოების და დეპარტამენტის ჩინოვნიკებს იცნობ; აგრეთვე ბლუკუნაც; მეც კარგა ძალი ნაცნობები მყავს. ვეცადოთ ერთად და ოლონდ ახალი სტამბა გვქონდეს და უკეთესი ასოები. თორემ მთელი იმათი საჭირო ბლანკები ჩვენ გვექნება სამუშაოდ.

ეს დამტკიცებები რომ გაიგონა, კიკოლიკს თვალწინ წარმოუდგა ბაჯაღლოები, რომელნიც სტამბის წყალობით იმის ჯიბეში ჩაჩხრიალდებოდენ. „სულ რომ არა იყოს რა, სტამბის პატრონს მაინც დამიძახებენ, ტ....ში შეძლებულის სახელი დამივარდება, ხუმრობა არის!“ — გაიელო გუნებაში. კიკოლიკი ერთი იმ გონიერი კაცთაგანი იყო, რომელიც თავდაპირველად სამსახურს იმდენად არ სცემდა პატივს, როგორც სიმდიდრეს. უნივერსიტეტიდან ჩამოსვლისთანავე იმის იდუმალი განზრახვა იყო, რომ სამსახურში კარგს ადგილს ეიშოვნი, თვალ-ტანად კარგი ვარ, კურს დასრულებული, კარგი შთამომავლობის ახალგაზდა, რომელი მდიდარი მოქალაქე ან თავადიშვილი დამიჭერს ქალსაო? ახლა, როდესაც იმის მოცინარე თვალებს კარგი შემოსავლიანი სტამბის პატრონობა დაეხატა თვალწინ, თავის „ყენიხობის“ ფონდმაც აიწია მის თვალში. „ერთ წელიწადს იქით, თუ სტამბა ფეხზე დადგა, ხუთიათას თუმნიან ნაკლებს ქალზე ჯვარს არ დაეიწერ.“ ალბათ ესეები რომ კარგათ გულში მოისაზრა, მერე თვალებმა ციმციმი დაუწყო და უთხრა მელიქ-აღას:

— რამდენი დაჭირდება ჩემ საწილოდ სტამბას?

— ბევრი არაფერი: პირველში ორმოცდაათი თუმანი და მერე გასაწყობად იქნება ერთი ოცდაათ თუმნამდის კიდევ მოგთხოვოთ. ან არა და იქნება ისიც აღარ დაგვჭირდეს.

კიკოლიკი მოიღუშა. იმას ჯერ ორმოცდაათი თუმანი თითქმის სულაც არ ენახა ერთად, მაგრამ, როდესაც მოისაზრა თავისი ასოთხმოცი თუმანი წლის ჯამაგირი ახალი თანამდებობისა და მერე გზის ფულიც სამოცი თუმანი ყოველ წელიწადში. თავი დააქნია და სთქვა, „კარგიო“.

— მაგრამ იცით, ყმაწვილებო! ერთს გირჩევთ. — უთხრა მელიქ-აღამ კიკოლიკს და ბლუკუნას: — როგორც რომ სტამბას მოგიტანთ და დავდგამთ, მაშინვე ხომ არ გამოგვიტყვრება საქმეები. პირველ ოთხ-ხუთ თვეს გარეშე მუშაობის იმედი არ უნდა გვქონდეს. ჩვენვე უნდა ვუშოეოთ სტამბას მუშაობა, თორემ ოთხ-ხუთ თვეს

სტამბის შენახვა თავის მუშებით დიდი ხარჯი იქნება. — აქ კიკოლიკი და ბლუკუნა შედგენ, თითქოს დიდი ლოდი დაედოთ გულზე. იფიქრეს, იფიქრეს და ვერა მოიფიქრეს-რა.

— აი, რას გირჩევთ. — სთქვა მელიქ-აღამ: — მოდი, ერთი გაზეთის ნება ითხოვეთ. თქვენს მეგობრებში ხელის მოწერა გამართეთ და. მე დარწმუნებული ვარ, წინად ერთ ას თუმანს მაინც შეეგროვებთ, ეს ფულები სტამბას პირველში თავს ასდის. ამ ფულით უცებ გავაწყობთ, რაც ეკლება, ყველაფერს შევავსებთ, სახლს დავიჭერთ. მუშების ქირა ოთხი-ხუთი თვისა ხელში გვექნება, ქაღალდსაც წინდაწინ ვიყიდით და მერე წავა, როგორც გინახავს გაკეერილი გზა.

— ეგ, ძალიან კარგი მოიგონე შენ, ეგ სწორედ სახელიც იქნება და სახრავიც, — წამოიძახა სიამოვნებით კიკოლიკმა. — აი, ჩიტორელიძემ ეგრე არა ქნა. ჟურნალის გამოცემის ნება აიღო, მერე თავის მეგობრებში ხელის მოწერა გამართა. მთელ ქართლ-კახეთში და იმერეთში ოთხი თვის განმავლობაში ხუთასი ხელის მომწერი იშოვნა და წინდაწინ ორასი თუმანი ნაღდი ფული მოაგროვა.

— ეეგ... მმე... მკითხეთ, — წამოილულლუღა ჯაერიანად ბლუკუნამ. — ფფუ..ლე..ბს როო..მ იღებდა, მეც იქ აარ... დდ..დდ..ავესწარი?.. რომ ააღარ...ეეტეოდა, რრ... რვა ჯიბე გგ...აიკეთა ჟილეტკაში დდა შალვარში. აქაც ჩაიტენა, აქაც და აქაც! — გაშალა ხელები ბლუკუნამ და ჯერ ჟილეტკის ორ ზედა ჯიბეზე მიითითა ხელი. მერე ორ ქვედა ჯიბეზე, მერე შალვრის ჯიბეებზე და მერე სერთუკისაზე.

— ეგ ძალიან კარგი მოიგონე შენ, მელიქ-აღა, — სთქვა სიამოვნებით კიკოლიკმა, — რედაქტორსაც მე გიშოვნით. ამ ცოტა ხანში ერთი ახალგაზდა ყმაწვილი ჩამოვიდა რუსეთიდან და მაგისთანა საქმისათვის ხორცის კანქს იქამს. ისეთი სურვილი აქვს ლიტერატურული შრომის. იმას რომ ოცდაათი მანეთი გაუჩინოთ თვეში, თავს ასდის. თითო ნომერს კვირაში ძალიან ადვილად შეადგენს. ესეც უნდა ვიცოდეთ, რაკი რომ სტამბა გვექნება, ხარჯიც ძალიან ცოტა მოგვიკვა. ჩიტორელიძემ იმიტომ დახურა თავისი ჟურნალი, რომ სტამბა არ ჰქონდა თავისი და სხვის სტამბაში ძალიან ძვირად უჯდებოდა ბეჭდვა.

— ეეგ... მმე... მკითხო! ჩჩი..ტორელიძე ძძალიან უუსინდისოთ მმოიქცა! ერროგორც ჩჩა..იგდო ფფული ხხ...ელში. მმა...შინვე მმოყვა ფფლან..გვას დდა ცცოლის შერთვას. სსა...მთვესაც ააარ... გგაყოლია შშ...ემოსული ხხელის მომმ...წერლების ფფუ...ლი. მმერე სულ ვალით გგამოსცა ეერთი წწლის გგ...ანმავლობაში და ბბოლოს თთავის უთავბოლოობით მმეტი ერრა უნდა ექნა, ძძა...ალათი უნდა დდაეხურა

თთავის ჟურნალი. მაშინ ძალიან უსინდისოთ მოიქცა ჩჩიტორელიძე!
— დაამატა გაბრაზებით.

— მართლა, რა ქნა იმ კაცმა? რა მშვენიერი ჟურნალი დაღუპა
უდროოთ. როგორ გააცოცხლა ჩვენი მკითხველები! ყველანი აღტა-
ტაცებულნი იყვნენ იმითი! — სთქვა თავის გადაქნევით კიკოლიკმა.

— ეჰ, ერთი თქვენც! მაშინ მწერლობა ქართველ კნიაზებში
და კნეინებში მოდად იყო. ჩიტორელიძეს ცოლი უნდოდა შეერთო,
კარგი მზითვიანი ქალი, სამსახურში კარგი ალაგის შოვნის იმედი არა
ჰქონდა და ჟურნალის გამოცემა მოინდომა. გამოსცა კიდეც. ერთი
ორასი თუმანი ხელში ჩაიგდო ხელის მომწერლების ფული; ამ დროს
ცოლის შერთვაც მოახერხა და მერე რაღა ჟურნალის ეცხელებოდა,
წლის გასულს კიდეც დახურა, — სთქვა მელიქ-აღამ.

— პპპა..ადლეც! ი‌ი..მან წწა..ახდინა ახალგაზრდობის სსა..ხელი,
— სთქვა ჯავრიანად ბლუკუნამ.

— ჩვენ უფრო პრაქტიკულად უნდა მოვიქცეთ, რაკი რომ გა-
ზეთს გამოვცემთ, აღარ უნდა დაიხუროს, თორემ ხალხში თავს ვეღარ
გამოვყოფთ, — სთქვა კიკოლიკმა.

— თქვენ ერთი გაზეთის წყალობით პირველ შემთხვევაში ფუ-
ლი მაშოვნინეთ, რომ სტამბას პირველში არა გაუჭირდეს-რა და მერე
როცა გარეშე მუშაობით სტამბა ფეხზე დადგება, გაზეთს სულ ტყუი-
ლად დავბეჭდავთ, უფასოდ, ზარალი მაინც არ გვექნება და სახელიც
იქნება.

— ძალიან კარგი. ჩვენ, მე და ბლუკუნა, ვიკისრებთ მაგ საქმეს:
გაზეთის გამოცემის ნების მიღებას შევუდგებით და შენ დაეჩქარე.
საზღვარს გარეთ წასვლას.

— მაშ შემოდიხარ ამხანაგად? მოდი ხელი დაჰკარი! — უთხრა
მელიქ-აღამ კიკოლიკს.

— კარგი. ჩემ საწილოს, როგორც უკან მობრუნდები, მაშინვე
მიიღებ, — უთხრა კიკოლიკმა.

აქ ამ სამმა ამხანაგმა პირობა დასდვეს, რომ სტამბა უნდა გაე-
მართათ და გაზეთი გამოეცათ. ამ პირობის დადების შემდეგ ყმაწვი-
ლები დაიშალენ.

კიკოლიკი ძალიან გახარებული გამოვიდა მელიქ-აღის სახლი-
დან. „მე თავის დღეში ვერ მოვიფიქრებდი ამისთანა საქმეს, — მო-
დიოდა და მოლაპარაკობდა ღამეში. — მე რა? მე სრულებით თითქმის
არა მეხარჯება-რა. სულ რომ საძაგელი სტამბა იყოს, ორმოცდაათი
თუმნისა მაინც მექნება წილად. თუ ვინღაც კარაპეტა შოულობს სა-
მუშაოს სასამართლოებისაგან, ჩვენ რა დაგვემართება? ის კი არა, სულ
ერთიანად გამოვაცლით იმას ხელიდან მუშაობას. მერე ქართული გა-

ზეთი, მერე საზოგადოებაში კეთილი ხმა... ერთი სიტყვით, რაღა. საქმე იჩარხება... ბედის ბორბალი ერთობ ჩქარა მიგორავს ჩემ წინ...ს...ს ქალი ინსტიტუტში გაისად გაათავებს კურსს. ამბობენ, ხუთი ათასი თუმანი აქვსო მზითევი... კარგი ლამაზი შავგვრემანი ქალია... როცა ინსტიტუტში შევდივარ, პირველად ის შემომეგებება, ცოცხლად მეტყვის ხოლმე, „Здравствуй, г. учитель, здавствуй!" მერე გადიკისკისებს და მერცხალივით ჰკრავს ნავარდს და გაფრინდება ჩემ თვალ წინ. ასეთი საცოლო იქნება, რომ..." — და ამ სიტყვაზე ხელზე იკოცნა... დახე იმ წიტიანს გალეულს მელიქ-ალას, როგორი აზრები მოგვცა! სწორედ მოხერხებული და გონიერი ბიჭია. რომ სტამბა კარგი სასარგებლო საქმე არ იყოს, მამა როგორ ურჩევდა. ახლა, როგორც სჩანს, მაინც თანახმა გახდომია, თორემ მელიქ-ალა ეგრე გადაწყვეტილად არ დაიწყებდა ლაპარაკს... არა, მოსაგები საქმე უნდა იყოს სტამბა. ეე დიდი სიამოვნებით შევიტან ჩემ წილს ფულს." ამ ლაპარაკით იმან შეალო თავის სახლის კარები და ტკბლად, ტკბილად მოისვენა საწოლს ოთახში.

VI

186.. წელს დეკემბრის შუას ქ. ქ...ს ერთმა ჩვენმა ამხანაგმა მიიღო წიგნი კიკოლიკისაგან შემდეგი შინაარსით.

„ძმაო №! მე და ერთმა-ორმა ჩემმა ამხანაგთაგანმა განვიზრახეთ ჩვენი გაჭირვებული ქვეყნის საკეთილდღეოდ და იმის ლიტერატურის წარსამატებლად გაზეთის გამოცემა. მაგრამ, რადგან ამ საქმეს კარგი, მტკიცე საფუძველი უნდა ჰქონოდა, ამისათვის მე ვურჩიე ჩემს ამხანაგებს შეძლებისადაგვარად გამოგვეღო ფული და საკუთრად გაზეთისათვის სტამბა გაგვეხსნა. აწ ეს საქმე კიდეც მოდის სისრულეში. სტამბის დაზგები და ასოები მოგვივიდა. გაზეთის გამოცემის ნებართვაც ჩემის ნაცნობების შემწეობით, რომელთაც გავლენის მექონე ალაგები უჭირავთ სხვა-და-სხვა დეპარტამენტებში, ეს არის, გამოგვივა. ახლა ჩვენ გვაკლია გაზეთის მმართველი-რედაქტორი. ვიცი. რომ სამშობლოს კეთილდღეობა გულში გაქვს და ამისთვის, გთხოვთ მე და ჩემი ამხანაგები, წამოხვიდე საჩქაროდ ქ. ტ...ს. ჯამაგირი კარგი გექნება.

შენი კიკოლიკი".

ამ წიგნმა ჩემი ამხანაგი ცაში ააფრინა. საღათა (ასე ერქვა ჩემს ამხანაგს) ერთი წელიწადია, რაც დაბრუნებულიყო უნივერსიტეტიდგან შეუძლებლობის გამო. რადგან სამსახურის სურვილი არ ჰქონდა და არც უნდოდა, შინ ტყუილად პური ეჭამა, ამისათვის იწყო სიარუ-

ლ ა სოფლად და ქ...ს მახლობლად გახსნა გლეხებისათვის შკოლა. პირველად შკოლაში სწავლა ძალიან კარგად წავიდა, გლეხებიც ძალიან კმაყოფილნი იყვნენ ახალი მასწავლებლისა, სახლი უშოვნეს, სკამები, პაწაწინა წიგნის საკითხავი ტაბაკებიც გაუკეთეს და ბოლოს სამ-სამი შაურიც მოაგროვეს გლეხის თავზე, რომ წიგნები ეყიდნათ. თვითონ მას გლეხები არჩენდენ თავის პურ-ღვინითა. ცოტა ხანს იქით სოფელს მოჩივარაში გავარდა ხმა წვრილმან აზნაურობაში, რომ ერთი ვიღაც. რუსეთელი ახალგაზდა მოსულა და გლეხებს აგონებს: „თქვენ ბატონებს ნუ ემსახურებით, თქვენ და თქვენი ბატონები სულ ერთი ხართო". შეგროვდენ წვრილი ადგილ-მამულის აზნაურები, არჩიეს, და ბოლოს ასე გადაწყვეტეს: მოდი, მივუგზავნოთ იმ რუსეთელ ყმაწვილს კაცს, რომ გლეხის შვილების სწავლებას თავი დაანებოს, წავიდეს თავისთვის, თორემ თავპირს დაგამტვრევთო. მართლაც, სამ დღეს შემდეგ, ერთს დილას, როცა ყმაწვილები პაწაწა ტაბაკზე დიდი სიბარულით გაერთობოდენ ზეპირ კითხვის ვარჯიშობაში თავის მასწავლებელთან, ერთი ქალამნიანი და ჩოხა-შემოტრეტილი აზნაური შემოიტუზა სასწავლებლის კარებში და ხმა მაღლა მიაძახა საღათს: „ბატონო, ერთ წამს აქ მობრძანდი ორი სიტყვის სათქმელათა". საღათამ როცა გაათავა ყმაწვილებთან ვარჯიშობა, გავიდა გარეთ. ქალამნიანმა აზნაურმა წაიყვანა მოშორებით ხის ძირში და უთხრა:

— „ჩვენმა გვარის აზნაურისშვილებმა შემოგითვალეს, გლეხების შვილების სწავლებას თავი დაანებე და შენთვის წადი, თვარამ ცუდად მოგივაო.

— წადი, უთხარი შენი გვარის აზნაურისშვილებს, — უპასუხა საღათამ: — იმათაც გამომიგზავნონ თავისი შვილები და იმათაც ვასწავლი-თქო.

— ეგ როგორ იქნება, ღმერთი გადღეგრძელებს, ჩემს შვილს გლეხის შვილთან ერთად როგორ დავსვამ!

— არა უჭირს რა, ერთმანეთს შეეჩვევიან, გაიცნობენ და მერე, დიდები რომ შეიქნებიან, უფრო ძმურად გამოადგებიან ერთმანეთს, ვინამც ახლა თქვენ და გლეხები ერთმანეთში. — უპასუხა, მშვიდობიანათ საღათამ.

— ეგ არ შეიძლება: გლეხი სხვაა და ჩემი შვილი სხვა.

— თუ არა და მაშ წაბძანდი და უთხარი თქვენი გვარის შვილებს. მე იმათთან საქმე არა მაქვს-რა და ნურც ჩემთან ექმნებათ რამე.

— მაგისთანებს ნუ დაიწყებ, თორემ გაგლახავენ: თუ თავი არ დაანებე მაგ გლეხების შვილების სწავლებას. ცუდად მოგივა საქმე.

— შენც დაეხმარე! — უთხრა გაცხარებით საღათამ და შემოვიდა თავის შკოლაში.

— ეს ულვაში არ სხმია ბეკილა კვანტაძეს თუ შენ კაი-კაი არ მოგხვდეს! — თქვა ეს და წავიდა.

ერთი თვე არ გამოსულა მას აქეთ, რომ მოჩივარას აზნაურები ძალიან გაჯავრებული იყვნენ საღათაზე. იმას თხოვნა დაეწერა ერთი გლეხისთვის მომრიგებელ შუამავალთან თავის ნაბატონარის შევიწროებაზე და იმ გლეხისკენ გადაეწყვიტა სამართალი. აზნაურებს ეს შეეტყოთ და ერთ კვირა დილას მიუხტენ შკოლაში საღათას და მართლაც კაი-კაი მოსცხეს. იმან მეორე დღესვე გამოსწია ქ...ს და აქ კიკოლიკის წიგნი დაუხვდა. წარმოიდგინეთ, რანაირად გაიხარებდა იმ პაწაწა უკმაყოფილების შემდეგ. „მადლობა ღმერთს. ბოლოს საჩემო საქმე გამიჩნდა!“ წამოიძახა სიხარულით საღათამ. მეორე კვირას ტ...ს ამოჰყო თავი. იმისი ასე კარგად დაწყებული შკოლა კი მაშინვე გაიფანტა.

VII

186... წელს იანვრის თხუთხმეტს საღამოს კიკოლიკის სახლში საღათა გაეცნო მელიქ-აღას და ბლუკუნას, რომელნიც იყვენ სტამბის პატრონნი და გაზეთის გამომცემნი. სანამდის მელიქ-აღა და ბლუკუნა მოვიდოდენ, კიკოლიკი ბევრს ელაპარაკა საღათას თავის მოღვაწეობაზე სტამბის და გაზეთის მოწყობის შესახებ. იმან უთხრა, თუ რანაირად მოიგდო ხელში და შეიამხანაგა ის ორი ყმაწვილი. „ახლანდელს დროში. თუ კაცი წინდახედვით არ მოქმედებ, არაფერის გაკეთება არ შეიძლება, ყველას თავი უნდა მოუქონო, ყველას ტკბილად ელაპარაკო, ყველას გულკეთილობა, მორიდება და კრძალვა. ნამეტნავად უფროსებს. გავლენის მქონე კაცებს, უნდა უჩვენო. თორემ უამისოდ ვინ გაგცემს ხმას. აი, მაგალითად. თუნდ ეს მელიქ-აღა ავიღოთ. არაფერი არ იცის, როგორც ქვაში ან ამ კედელში არა შეეარა, ისე მაგის თავში; მაგრამ ფული კარგა ბლომად აქვს. ამასთანავე შეეატყე, რომ ჩვენი ნასწავლი ახალგაზდობის გაცნობა ძალიან სურდა. ახლა მაგასაც ალბათ თავი მოსწონს ამხანაგების ვაჭრის შვილებში და ჩვენთან მეგობრობისათვის არა შურს-რა. არ ვიცი, რათა, და მე ძალიან მოვეწონე. რასაკვირველია, ამითი კარგად ვისარგებლე. მოვეფერე. შევითვისე და მერე ეურჩიე, ამხანაგად შემოსულიყო. სტამბა გაგვეწყო და გაზეთი გამოგვეცა. ეს რომ ვუთხრაი. სულ ცაში აფოინდა: „ოლონდ მე გაზეთის გამომცემლად დამნიშნე და ფული მე მომკითხეო“. — ამ სიტყვებზე დაცინებით ჩაიქრიტინა კიკოლიკმა. — მაგას რა დიდი საქმე უნდოდა; გამომცემლად დავნიშნეთ. ეს ერთის მხრით ჩემთვისაც კარგია. ძალიან ვფიქრობდი, ვინ დამეყენებინა გა-

მომცემლად, სანამდის მაგან არ ისურვა. საქმით ხომ ჩვენ ვიქნებით გამომცემელიცა და გაზეთის მმართველიც, მაგრამ სახელი მინდოდა სხვისი ყოფილიყო. გავლენის მქონე კაცები ეგრე კი არას იტყვიან, ჩემი რომ გაიგონ, ვითომც მე გაზეთს მართვაში და გამოცემაში ვეურევივარ. — ეს უკანასკნელი სიტყვები ძალიან ნელა უთხრა საღათას. — ახლა ჩვენ გამომცემელიცა გვყავს და რედაქტორად ხომ შენ იქნები, — უთხრა საღათას. — ეს მეორე ჩემი ამხანაგი ძალიან უნიჭო კაცია. ერთს რამე უგუნურს აზრს რომ მიაწვება, შვიდი ულელი ხარკამეჩითაც ვეღარ მოაცილებ. მაგრამ იმითია კარგი, რომ საქმეში მუყიათობა იცის და ანგარიშში მტკიცე კაცია. ერთ კაპიკსაც არ დასტოვებს ჩაუწერელს. თავმოყვარეა საშინელი. ახლა ეს სტამბა რომ გავმართეთ, სტამბის საანგარიშო წიგნები და შემოსავალ-გასავლის უუთი მაგან ჩაიბარა და ამის გულისთვის ძალიან გულმოდგინედ შრომობს. მთელი დღე და ღამე იქ არის. ახლა ჰგონია, მეპატრონე ვარო და ამ პაწაწა თავმოყვარეობის გულის საჯერად ძალიან ბევრს საქმეს აკეთებს. სტამბაში სწორედ ძალიან საჭირო კაცია. სხვაფრივ-კი ღმერთმა შეინახოს, ძალიან ტვინლაყი კაცია. ერთი ხეირიანად მიკვლეული აზრი არ მოიპოვება მაგის თავში. საქმე ის არის, რომ ახლა მაგისთანა კაცებით უნდა ვისარგებლოთ. რაც შეუძლიან, ის ვაკეთებინოთ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის. მე მაგისთანა წვრილმან საქმეში ვერ ვერევი, მე მხოლოდ გზას ვუჩვენებ, რჩევას მივცემ მაგათ და თვალ-ყური მეჭირება, რომ არა წაახდინონ-რა შენც, რასაკვირველია. ჩემი დამხმარე იქნები ამ საქმეში. მაგრამ ყოველივე ჩუმად, მიფარულად უნდა იქნეს. მე არაფერში არ შემნიშნონ, თორემ ძნელია. ახლაც ისე განზე მიყურებენ: ეს კიკოლიკი ძალიან მოხერხებული და ჭკუიანი კაცი უნდა იყოსო, ასე ამბობენ ჩემსას. მე ისე უნდა მოვიქცე, ვითომც და ჩემთვის სტამბა და გაზეთის გამოცემა სულ გარეშე საქმეა.“ — ამისთანა ლაპარაკით აღტაცებაში მოიყვანა კიკოლიკმა საღათა ის ფიქრობდა გულში მადლობა ღმერთს, ბოლოს მაინც ისეთს წრეში ჩავარდი. რომ კაცური შრომა შეიძლება, აწ დღე და ღამე ვიშრომებ და ვიშრომებ იმ იმედით, რომ მეც ერთს ხეირიანს თესლს გავაგდებ ჩემს ხალხშიო.

კიკოლიკის ცუდი ყოფაქცევა უნივერსიტეტში სულ დაივიწყა და ახლა სრულის გულით მიენდო, როგორც ქვეყნის სასარგებლო კაცს.

— აბა. ყმაწვილო, მოდით, და მოვილაპარაკიოთ გაზეთის საქმეზე! — დაიძახა კიკოლიკმა.

— სტამბის სახლი წელიწადში გვიზის ორმოცდა ხუთ თუმნად, დაზგების გამართვა და კასების დაკეთება თითქმის ოცი თუმანი

დაგვიჯდა. ახლა სხვა წერილმანი ხარჯი ბევრი გვინდება. — მოითვალა ცოცხლად მელიქ-აღამ. — გაზეთის გამოცემის ნებართვა ხომ გამოგვიიდა?

— მე ვიი...ყავი დდ...ღეს, დეპარტამენტში წწარუ..დგენიათ... ეერთი კკ...ვირა თუ დააგვიანდება, მმე...ტი არა და და...ბრკოლება აღარა არის-რა, — წაილულლულა ბლუკუნამ.

— მაშ ბარემც მოვამზადოთ განცხადება ხელის მოწერაზე. მუშები ტყუილად გვყავს გაჩერებული; ავაწყობინოთ. მანამ გაზეთის ნებართვაც გამოვა და უცებ დავარიგოთ. ხომ იცით, სტამბას კაპიკის შემოსავალი არა აქვს-რა. თუ ხელის მომწერლის ფულები არ შემოვიდა მალე, შენი მტერი, ჩვენი საქმე იქნეს! მამა-ჩემმა რაც მომცა, იმის მეტს გროშს აღარ მაძლევს, — თქვა მელიქ-აღამ.

კიკოლიკი ადგა, მოიტანა საწერ-კალამი, ქაღალდი და მისცა საღათას, რომ იმას განცხადება გაზეთის გამოცემაზე დაეწერა. საღათა მოჰყვა წერასა და კიკოლიკი უკირკიტებდა იმის დაწერილს ასოებს და საღათას წერაში ის თან კითხულობდა იმისგან დაწერილს სიტყვებს. შორიდან რომ შეგეხედნა, იფიქრებდი, კიკოლიკი ეუბნება და ის სწერსო. როცა განცხადება დაწერა საღათამ, კიკოლიკმა ასტაცა ქაღალდი და, ვითომც თავის დაწერილია. მოჰყვა კითხვას და პირველს სიტყვაზედვე დაება ენა, ასე რომ ისევ საღათამ გამოართვა დაწერილი განცხადება და თვითონ ჩაიკითხა ხმა-მაღლა და გარკვევით.

— ძალიან კარგი! — მოუწონეს მელიქ-აღამ და ბლუკუნამ.

კიკოლიკმა მისცა შენიშვნა: ერთს ალაგას მძიმე არის დასმული, მძიმის მაგიერად მძიმე და წერტილი უნდაო. — უთხრა და ამას შემდეგ ისე ასწია თავი, რომ ვითომც დიდი რამ შეცდომა გაესწორებინოს და თითქოს გულში ეფიქროს: მე რომ არა. ამ განცხადებას ვერ დასწერდენო. შემდეგ მოჰყვენ გაზეთის მართვაზე ლაპარაკს. დაიყვეს საღათამ, ბლუკუნამ და კიკოლიკმა გაზეთის ნაწილები. კიკოლიკმა თქვა, მე საპოლიტიკო და რუსეთის ამბების წერას მოვყვებიო. ბლუკუნამ თქვა, მე საქართველოს შინაურს მდგომარეობასაო. დარჩა საღათას ფელეტონების და მოწინავე სტატიების წერა. მელიქ-აღამ თქვა, მე კორესპონდენციას გამოგიგზავნით გზის კეთებაზეო. ბოლოს კიკოლიკმა ჩამოაგდო ლაპარაკი კორეკტორზე. რადგან ჯერ ჩვენ, რაც უნდა იყოს, გაუჩეველები ვართ მწერლობის შრომაში, ამის გამო საჭიროა ერთი კორექტორიც ვიშოვნოთ: თუმანი რომ მივცეთ, საკმაო იქნებაო.

რედაქტორს დაუნიშნეს სამი თუმანი თვეში. თუ ვინიცობაა, სამასი ხელის მომწერი იქნებოდა, ის უნდა გაენაწილებინათ შრომის შესაფერად ყველა თანამშრომლებს. ბოლოს დასდვეს, რომ იანვარი,

თებერვალი და მარტი ხელის მომწერლების შეკრებას მოანდომონ და მარტის გასულს დაიწყონ გაზეთის გამოცემა. ესეები რომ გადაწყვიტეს, სარედაქციო წრე დაიშალა.

მარტო რომ დარჩენ, კიკოლიკმა დაიწყო თავისებურად თავის ამხანაგების წარმოდგენა: „ვერ შენიშნე ბლუკუნას, ენა როგორ ებმებოდა? რომ ჩვენ არა, სწორედ ძალიან კარგს განცხადებას შეადგენდენ, მაგათ მზემ! მე ძალიან ეჭვი მაქვს, რომ ბლუკუნამ რამე დაწეროს. მე ვიცი კარგად მაგის ამბავი. ორ სტრიქონს ვერ დასწერს რიგიანად. თავში აზრები სულ არეულ-დარეული აქვს. მე შენ გარწმუნებ, მელიქ-აღას რომ რამე ესწავლა. ათას მაგისთანას აჯობებდა; მაგრამ ეგ არის მაგის უბედურება, არა უსწავლია-რა, შკოლაში სულაც არ ყოფილა. ჩვენს საქმეში ეგ მაინც გამოსადეგი ბიჭია. ასე, ჩვენებურს პრაქტიკულ სჯაში ჭკუაც ეტყობა, მაგრამ მაგის დაწერილი კორესპონდენცია ღმერთმა შეინახოს. იმან რომ თქვა, კორესპონდენციას დაგიწერთო. კინალამ გამეცინა. მასხარა!.. ლაპარაკი არ უნდა. გაზეთის შედგენა ისევ მე და შენს კისერზე ჩამოწვება". — უთხრა საღათას კიკოლიკმა.

საღათა ამ ამბებით ძალიან გახარებული იყო. ის სრულის გულით დარწმუნდა. რომ კიკოლიკს ჩვენი ქვეყნის სიკეთე ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარიო და იმ იმედით. რომ სამ თვეს შემდეგ გაზეთს დაიწყებდა. დაფაცურდა, მანამდის თავის გასაკვები გაკვეთილები ეშოვნა.

გაზეთის განცხადების გაგზავნამ სხვა-და-სხვა ალაგებში ძალიან აღძრა მთელი საქართველოს საზოგადოება; ყველას უხაროდა, რომ გაზეთი გვეჭნება ქართულს ენაზეო. ეს ჯერ პირველი ამბავი იყო საქართველოში. ერთ თვეს შემდეგ დაიძრა მოთხოვნილება გაზეთზე და მარტის დამდეგს ხელის მომწერლების რიცხვი თითქმის ოთხასამდის შევიდა და სტამბის ხაზინაში ფული ას თუმნამდი მოგროვდა. ამ შემთხვევამ ამხანაგებს და განსაკუთრებით კიკოლიკს და მელიქ-აღას გული გადაჰყარა. რასაკვირველია, ამ ფულებიდან ყოველივე წვრილმანი დანახარჯი სტამბაზე შეავსეს, დამშეული და უსაქმური მუშები გაისტუმრეს და შეუდგენ გაზეთის ბეჭდვას.

დიდი დავიდარაბა და წვალება გამოვლო საღათამ პირველი ნომრების შედგენაში. ყოველ წვრილმანს საქმეზე კიკოლიკი ასტეხდა ხოლმე ბაასს. ვთქვათ, ხვალ გაზეთი გამოდის. ამაღამ საქმეს დაჩქარება უნდა, სხვა-და-სხვა გაზეთებიდან ამბების გადმოღება, ფელეტონის დაწერა და სხ. და სხ. კიკოლიკი, როგორც მოიცლიდა, შემოიტუზებოდა სტამბის კანტორაში და ყოველს სტრიქონს საღათას დაწერილს კითხულობდა. მისცემდა რასმე წვრილმანს შენიშვნას და

ამაზე აუტეხდა. საღათას ბაასს. დრო მიდიოდა, გაზეთი გვიანდებოდა და კიკოლიკის წვრილმანს შენიშვნებს საზღვარი არ ჰქონდა. საღათა ჯერ ითმენდა, მერე გული მოუვიდოდა და ეტყოდა. თუ მეტი საქმე არა გაქვს. წადი. ბულვარში გაისეირნეო. ამაზედ კიკოლიკი ასტეხდა ჩხუბს და ეტყოდა საღათას: „შენს თავშეუკავებელს მოქმედებას ხომ ვერ დავაღუპიებთ ამდენს ჩვენს კეთილს შრომას. ეგ სიტყვა რომ დაგიწერია, თუ სტატია აგრე დაიბეჭდა, გაზეთს ვინმე დაემდურება, სახელს გაუტეხს და დააბრკოლებსო." ამისთანა სიტყვებით იმდეს ეცდებოდა, ეჩიჩინებოდა თავის ამხანაგებს. რომ ბოლოს ერთობრივ ძალდატანებით ამოაშლევინებდენ საღათას სტატიაში რომელსამე ცოცხალს სიტყვას. ან როჰელსამე მკვირცხლად გამოთქმულს აზრს. ამისთანა წვრილმანს უკმაყოფილებაში საღათა თანდათან რწმუნდებოდა, რომ კიკოლიკი სულ პირადის თავმოყვარეობისა და სულმოკლეობის გამო აჯანჯლებს რედაქციის საქმეს. ამის გამო თანდათან დაეკარგა რწმუნება იმის გულახდილს განზრახვაზე. იმას არა ერთხელ გაუელვა თავში ამ აზრმა: „იქნება ეს გაზეთი და ეს სტამბაც სულ თავის გამოსაჩენად დაიწყო კიკოლიკმა და როცა იმითი ისარგებლებს საკმაოდ, მერე იქნება ასე იფიქროს, თუნდ ქვა-ქვაზედაც ნერა დარჩენილაო." ამისთანა მკვახე აზრი მხოლოდ მაშინ გაუელვებდა თავში საღათას, როდესაც სულ ტყუილა უბრალოდ ასტეხდა კიკოლიკი საღათასთან ბრძოლას და საქმეს აგვიანებდა. სხვა დროს საღათა უწინდულადვე მეგობრულად უყურებდა კიკოლიკს და დაჯერებული იყო, რომ კიკოლიკს საზოგადო ქვეყნის საქმეზე მართლაც დიდად შესტკიოდა გული, ისე დიდად, რომ სამსხვერპლოდაც მზად იყო, თუ ამას გავლენის მექონე კაცების თვალი არ დაინახავდა.

ამ ყოფაში ერთხელ საღათამ დასწერა ერთი ფელეტონი. სადაც რაღაცა აზრი უნდოდა გამოეყვანა. კიკოლიკმა წაიკითხა სარედაქციო წრეში ეს ფელეტონი და ძალიან გაფიცხდა.

— ეს რასთვის გამოგიყვანია? — უთხრა საღათას.

— ისე, ჩემი თავისუფალი მოსაზრების ნაყოფია. — უპასუხა საღათამ.

— ნაყოფია, მაგრამ ცუდი ნაყოფია. მაგისთვის მოგხვდება...

— ყმაწვილო, გაგიჟდი თუ! — გაბრაზებით შეჰყვირა საღათამ.

— გაზეთი ჩვენია. ჩვენ ვერ ჩაგაგდებინებთ გაზეთს საშიშ მდგომარეობაში! — უთხრა კიკოლიკმა.

— რადგანაც თქვენი ყოფილა გაზეთი. მე თქვენს გაზეთში არც ვიმუშავებ! — თქვა გაბრაზებით საღათამ. წამოდგა და გავიდა გარეთ.

ცოტა ხანს იყო ამ მდგომარეობაში საქმე.

— რრაა... გენალვლება ციყოს... — უთხრა ბლიყინით ბლუკუნამ. — ღლირს მაგისთვის ჩხუ...ბის ატეხა.

— ერთი შენც, წვრილმანს გამოჰკიდებიხარ! — უთხრა კიკოლიკს მელიქ-აღამ.—ოლონდ სტამბა კარგა წავიდეს და სხვა რა გინდა?

— რანაირად წავა კარგად, თუ გაზეთი ახლავე დაგვიხურეს! ეს ერთად-ერთი მუდამი მუშაობაც მოგვესპობა, მერე წადი და ირიკავე ცარიელი სტამბით.

— ჰო, ეგ სხვაა! — უთხრა მელიქ-აღამ.

— სულ არაფერი არ ესმის, — დაიწყო კიკოლიკმა ზურგს უკან ლანძღვა საღათასი. — როგორც ამ სტოლს არა ეყურება-რა, ისე მაგას. მე მეგონა, თუ რამე იცოდა, მაგრამ სულ არაფერი სცოდნია-ქართულიც არ სცოდნია ხეირიანად. ნეტამც არ დამებარებინა. ჩვენ უკეთ წავიყვანდით მაგაზე, — მოჰყვა კიკოლიკი ამისთანა შესხმას, სანამ გულს იჯერებდა. მერე ცოტა ხანს იქით შეუდგენ ვითამც ყველანი მუშაობას გაზეთისას, მაგრამ მთელი სამი-ოთხი საათი ათი სტრიქონიც ვერ დაწერეს.

— ეჰ, ერთი შენცა!.. თავი დაანებე მაგის წვალებას. თუ დაგვიქირავებია, მოვიდეს, იმრომოს, თუ არა და, ჯანდაბა მაგას! — თქვა მელიქ-აღამ.

მეორე დღეს მელიქ-აღა წავიდა თავის მოსაქონავად საღათასთან. ბევრი ეხვეწა, რომ გული მობრუნებოდა. ბოლოს, რითიც იქნა, დაალბო საღათა.

— ამ ცოტა ხანს როგორმე ითმინე და მერე მაგას კამანდიროვკაში უკვრენ თავს, მთელი გაზეთი სულ შენ დაგრჩება, გინდ შეწვი მაშინ, გინდ შეხრაკე.

— მე ეს მწყინს, რომ არც არაფერს აკეთებს რედაქციაში და კიდეც გვიშლის ნომრის დროზე დაბეჭდვას, — თქვა ჯავრიანად საღათამ.

— თავი დაანებე ახლა მაგისთანებს, წამოდი, საქმე გვიანდება.

მეორე დღეს კიკოლიკს აღარ გაუვლია რედაქციაში. იმ დღეებში მართლაც კამანდიროვკა დაუნიშნეს და ივნისის პირველში დარჩა საღათა მარტოდ მარტო თავისი გაზეთით და მხოლოდ მაშინ მოიბრუნა სული თავისუფლად: „მადლობა ღმერთს, გადავრჩი ერთს ბაიყუშსა.“

VIII

186... წელი გავიდა. საზოგადოებაში დაიწყეს გაზეთზე თანაგრძნობითი ლაპარაკი. თითო-ოროლა შეცდომებს ამხილებდენ, მაგ-

რამ ისეთს კი არა, რომ გამოკიდებად ღირებულიყო. ერთი უმთავრესი შეცდომილებათაგანი ამათის აზრით იყო ენა, რომლითაც იწერებოდა გაზეთი. გამოჩნდა, რომ საქართველოში დამდგარი ლიტერატურული ენა არ ყოფილიყო. იყო ზოგიერთი მწერლების ენა და ვინაც რა მწერლის თხზულება წაეკითხა, ის იქითკენ მიიწევდა. ზოგს მოსწონდა ანტონ კათალიკოზის ენა, ზოგს ვეფხის-ტყაოსნის, ზოგს გიორგი ერისთავის ენა, დიდს პლატონს — დავითნისა და სამოციქულოს ენა, მახარიკა ვერიცანაძე კი გოჩაიანის ენას იწონებდა. ამ გარემოებაში კიკოლიკი დადიოდა უმაღლეს საზოგადოებაში და იქ ესმოდა ყოველივე ამნაირი კრიტიკოსების აზრი. საზოგადოებაში კიკოლიკს ისე მოჰქონდა თავი, რომ ვითომც ის ყოფილიყოს თავი და ბოლო, როგორც სტამბისა, აგრეთვე გაზეთისა. მაგალითად, ერთი ოთხი თვე. რომ გამოვიდა გაზეთის გამოცემის შემდეგ, კიკოლიკს შეემთხვა ერთის უწარჩინებულესის ქართველის სალონში ყოფნა.

— კიკოლიკო, ვინ არის ის საღათა, გაზეთის რედაქტორი?

— ვინ?... ის ერთი ჩვენი ახალგაზდა გახლავთ. ჩემი ძალიან მახლობელი, თითქმის ჩემი გაზდილი. ნიჭიერი ყმაწვილია, მხოლოდ ხელმძღვანელობა უნდა, — დაბალი ხმით წამოილაპარაკა კიკოლიკმა.

— ჰო. ზოგიერთი იმის სტატიები ცოცხლად არის დაწერილი, ეტყობა, რომ ნიჭიერი უნდა იყოს.

— ჰა, ჰა, ჰა! — ჩაიცინა ნელა კიკოლიკმა, — დიახ, არ არიან ურიგონი. მაგ ყმაწვილს ჯერ კიდევ ბევრი აკლია, რომ რედაქცია კარგად წაიყვანოს, მაგრამ იმედი მაქვს, მალე გაეჩვევა.

— მაშ ვინ არის თქვენს რედაქციაში თავი მშრომელი? — ჰკითხა წარჩინებულმა ქართველმა მოხუცმა, რომელსაც საკმაო გავლენა ჰქონდა საზოგადოებაში და პატივცემული ალაგიც ეჭირა. კიკოლიკი ძალიან აფასებდა, იმის წინაშე გონიერად გამოეჩინა თავი. ის წარჩინებული ქართველი ისეთი კაცი იყო, რომელსაც ქართველი ლიტერატურისთვისაც გული შესტკიოდა და გაზეთის დაარსებისთვისაც მართლაც მოხარული იყო.

— ჰა, ჰა, ჰა! — კიდევ ლამაზად ჩაიცინა კიკოლიკმა და ლაზათიანი ღიმილითვე წარმოსთქვა, თუ ვინ არის რედაქციის მოთავე, ეგრე ადვილად არ ითქმის. ეგ არის რედაქციის საიდუმლო.

წარჩინებულმა ქართველმა, მიხვედრის ნიშნად, გაიღიმა. კიკოლიკმა შეატყო, რომ სწორედ ჩემზე იფიქრა, სწორედ მე ვგონივარ მოთავეთო და ამას შემდეგ უფრო მხურვალედ დაიწყო გაზეთის სარგებლობაზე და იმის ჯაფაზე ლაპარაკი.

— ოჰ, თქვენმა სიცოცხლემ, ძალიან ჯაფა სდომებია გაზეთის შედგენას. ვერ წარმოიდგენთ, კვირაში ორი ღამე უძილოდ უნდა

გაათენოს ხოლმე, ვინც თავი მშრომელია. ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ მე თვითონაც არ მეგონა, თუ ასე მოხერხდებოდა ქართველ ენაზე გაზეთის გამოცემა.

— ოჰ, სასიამოვნო მოვლენაა ქართულს ენაზე გაზეთი; მაგრამ თქვენ, ახალგაზდებს, ერთი გჭირთ ცუდი: მალე მოგბეზრდებათ ხოლმე შრომა. აი, მაგალითად, ჩიტორელიძემ რა კარგად დაიწყო ჟურნალის გამოცემა და ერთი წელიწადიც ძლივს გაატანა, — ღიმილით უთხრა წარჩინებულმა ქართველმა.

— ჰა, ჰა, ჰა!.. — ნელა და დარბაისლურად ჩაიცინა კიდევ კიკოლიკმა. ჩვენი გაზეთი უფრო მტკიცე ბურჯზე დგას. სანამ გაზეთი გამოიცემოდა, ჯერ სტამბა გაუკეთდა იმას საფუძვლად. რაც უნდა იყოს, ერთი ხელის მომწერიც რომ არ ჰყავდეს, უსაშუალობით მაინც არ დაიხურება გაზეთი. ჩიტორელიძის საქმე კიდევ სხვა გახლდა. ის შრომასაც არ იყო შეჩვეული და გაზეთის მმართველმა კი — ერთმა ორმა კაცმა მაინც — კვირაში ორი-სამი დღე თვალ-მოუხუჭავად უნდა გაათენოთ. ესენი შრომის კაცები არიან. ყმაწვილობიდან შრომას არიან ჩიჩვეულნი. აი, რის გამო იმედი მაქვს, რომ არ დაიხურება.

წარჩინებულს კაცს ძალიან იამა კიკოლიკის ლაპარაკი. „აი, ნამდვილი ღირსების ახალგაზდა, — იფიქრა გულში. — მე დარწმუნებული ვარ, რომ თვითონ ესევე მართავს გაზეთს, თვითონვე ამას არ სძინავს, თვითონვე ეს არის მოუღალავი მშრომელი, მაგრამ თავმდაბლობით არ უნდა, გამოაცხადოს თავის სახელიო." ამ გამოლაპარაკების შემდეგ იმის თვალში კიკოლიკის დარბაისლური ყოფაქცევა, მისი მუდამ მოღიმარე სახე, დაკრძალული სიტყვა-პასუხი და ვითომც თავმდაბლობა ძალიან ჭკუიანად გამოჩნდა.

თვითონ კიკოლიკმაც შეატყო, რომ გამოთხოვების ჟამს იმ წარჩინებულმა ქართველმა კაცმა უფრო მეგობრულად და სიყვარულით ჩამოართვა კიკოლიკს ხელი და ცოტა ხანს იქით სადილადაც დაპატიჟა. ზემოხსენებულ მოლაპარაკების შემდეგ ეს წარჩინებული კაცი კიკოლიკზე ყოველთვის პატივის ცემით ლაპარაკობდა და მიაჩნდა საუკეთესო ყმაწვილ კაცად ქართველ ახალგაზდობაში.

ამ სახით კიკოლიკის ჭკუის, გამოცდილების და შრომის სახელი დღითი-დღე დიდდებოდა ტ...ს საზოგადოებაში და აქედან ჩვენს მახრებშიაც. ქ...ს მაინც კიკოლიკი პირველ ახალგაზრდად მიაჩნდათ.

თვითონ კიკოლიკი კარგად ჰგრძნობდა ამისთანა მდგომარეობას. და უთხრა თავის თავს: „თუ შეგიძლია, მალე ისარგებლე ამისთანა მდგომარეობითო." ამ დროს ს..ს ქალმაც გაათავა ინსტიტუტი და კიკოლიკმა თავისი მაყვლის თვალების გადავლება ხშირად დაუწყო იმის ტანადობას.

ს...ს ქალი იყო ერთი ქართველი სოდაგარის ასული. მამამისს არ უყვარდა ხელ-გაშლით ცხოვრება. ეს იყო ერთი ძველებური კაცი, რომელსაც შუაკაცობამდის შეეკრიბა დიდი საცხოვრებელი და მერე იმის სარგებელით თან ამრავლებდა თავის თანხას და თან კარგადაც ცხოვრობდა. იმას ქ. ტ...ს საუკეთესო ალაგზე ერთი წყება სახლები სულ მაღაზიებად და ქარვასლებად ჰქონდა ჩაწკაპული. ხმირად გაუვლია კიკოლიკს ამ ქარვასლების წინ, შეუხედავს და გულში უფიქრია: „ესენი თუ ერთ დროს ჩემი გახდენ, მაშინ მიყურე რაებს ვიზამ. ჩემი სალონი საუკეთესო ახალგაზდობის სალონად იქნება. მე ვიქნები იმათი მოთავე და მფარველი, მე ვიქნები მე, მე...“ და თვითონაც ველარ წარმოედგინა, რა უნდა ეფიქლიყო.

ბოლოს, რითაც იქნა, აისრულა თავის დიდიხნის გულის წადილი. ესე იგი გაიცნო თვით მოხუცი ს..ი, რომელმაც პატივისცემის ნიშნად კიკოლიკი სადილად დაპატიჟა ვინ იცის, რამდენი ცოცხალი ფიქრი არ მოუვიდა თავში თავის მომავალ ბედნიერებაზე, რამდენი ნორჩი წარმოდგენა არ უფუთფუთებდა თავში კიკოლიკს გაფუთფუთებული შავგვრემანი ს...ს ქალის მოგონებაზე: ძალიან „სტრასტნი“ კი უნდა იყოსო. იტყოდა ხოლმე. ერთი იმისი კოცნა, ათასი ოქრო; ერთი იმისი ჩახუტება და ერთი წლის სიცოცხლეო, — გაივლებდა გულში კიკოლიკი და მიუთმენლად გადაბრუნდებოდა თავის ლოგინზე. რომელიც კედელთან ედგა და, სიამოვნების ნიშნად, ტიტველს ფეხს ააშველრდა და კედელზე მიადგამდა. დადგა კიკოლიკისათვის ყველა დილებზე უტკბესი დილა, როცა სადილად უნდა წასულიყო ს..თან. დილით ადრიანად ისე წმინდად გამოაპარსვინა ნიკაპი ბაკებს შუა, რომ ახალ დაბაღებულის ნიკაპს არ ჩამოუკარდებოდა და მერე ზედ პუდრი წაიყარა, რომ კიდევ უფრო დარბილებოდა კანი. თორმეტ საათზე ჩაიცვა ფრაკი, ახალი წაღები, სამაგალითოდ აპრიალებული, და საუკეთესო იის ეერი ლაიკის ხელთათმანები იყიდა; ოქროს საათი, ოქროს ღილები პერანგზე, ოქროს ზაპონკები, შუაში პაწაწა ბრილიანტებ-ჩასმული, — ყველა ესენი მოხდენით გაიკეთა ტანზე, ახალი პარიზის მოდის შლიაპა დაიხურა, ხელში ოვა მანეთიანი პარიზის წკეპლა, რომელსაც თავზე მშვენიერი სპილოს ძვლისაგან გამოქანდაკებული ცხენის თავი ედგა და ამნაირი მორთულობით ორს საათს მიადგა კარზე დიდს სოდაგარს ს...ს. შევიდა თუ არა ზალაში, დივანზე დაუხვდა იმის გულის ვარდი, რამდენიმე გარეშე ახალგაზდა ქალი და ს...ს ნათესავები. კიკოლიკ. ყველას დარბაისლურად მიეგება, ყველას ჩამოართვა ხელი და ბოლოს მივიდა თავის გულის ვარდთან და ისეთის ტკბილი ღიმილით და თვალს წკურით გაუწოდა ხელი. რომ შკვდარს გულს ააფეთქებდა და ცოცხალს თავის ბუდიდან ამოახტუ-

ნებდა. მართლაც ახალგაზდა ქალი რაღაც უცბად შეკრთა და უთხრა: „როგორ მშვიდობით ბრძანდებითო“, თითქოს ამ ორი სიტყვის თქმაში ორჯერ დაესლოკინებიოს, ორჯელვე ხმა გაუწყდა.

კიკოლიკს, როგორც მისებურ დარბაისლურს კავალერს ეკუთნის, ადრევე ჰქონდა სალაპარაკო საგნები მომზადებული.

ს...ს ქალი, როგორც ახალი ინსტიტუტ-დასრულებული, თუ მხიარული იყო, სულ იცინოდა და, თუ რამე შეაკრთობდა, მაშინ ჩიტივით თავის ბუდეში იმალებოდა. მაგრამ იმ დროს-კი თითქოს ახლად დაკერილი ჩიტივით არც იცინოდა და ვერც დამალულიყო. ეტყობოდა მხოლოდ, რომ ივის გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა. ცოტა ხანს იქით, როცა ს...ს ქალმა გული დაიმშვიდა, დაიწყო ლაზათიანდ მარაოს ქნევა.

— გახსოვთ, თქვენ რომ ინსტიტუტის კარიდორში ყველაზე პირველად მომეგებებოდით? — ჰკითხა ალერსიანად კიკოლიკმა.

— მე მარტო არასოდეს რა ვყოფილვარ დერეფანში. ჩემთან ყოველთვის ჩემი ამხანაგებიც იყვენ, — უპასუხა კრთომით ქალმა.

— დიახ, იყვენ, მაგრამ თქვენ მაინც საკვირველად ცოცხლად დახტოდით. როდესაც თქვენს მხიარულს და თითქმის მფრინავს სახეს შევხედავდი, გული გამინათლდებოდა და ვიტყოდი, ნეტავი დედა-თქვენს, რომ მაგისთანა მშვენიერი, ცოცხალი ქალი ეზრდებით მეთქი.

— მე თქვენ მაგისთანა გულჩვილი კაცი არ მეგონეთ, ისეთი-ფილოსოფიური სახე გქონდათ, რომ მე კიდეც მეშინოდა თქვენი.

— სამწუხაროდ მიმითვლია, რომ მაგისთანა ცუდი შთაბეჭდილება აღუძრავს თქვენში ჩემს სახეს.

— რა ცუდია! განა ფილოსოფიური სახე ცუდია?

— არა, მაგრამ... — და ამ სიტყვაზე შედგა კიკოლიკი, თითქოს დაიჭირესო და ცოტად გაწითლდა. არც უნდოდა ეთქვა, ცუდიაო, რადგან ფილოსოფოსად გამოყვანა იმის გულს მალამოს სცხებდა და არც უნდოდა, თავის სიტყვას გადასდგომოდა. ამ ორთა შუა ყოყმანში რომ იყო, გამოვიდა დიდი სოვდაგარი ს...ი და მძიმედ მიესალმა კიკოლიკს.

— თქვენ, ვგონებ, მასწავლებლად ბრძანდებით?

— დიახ, გახლავარ. თქვენი ქალი ჩემი შაგირდი იყო.

— კარგი შაგირდიც გყოლიათ, სწორე მოგახსენოთ. მთელ დღე ხტუნვისა და სიცილის მეტს არას აკეთებს.

— ი, პაპა, რას ამბობთ!? — თქვა მოღუშვით ასულმა.

— მე უფრო მაგ საქმეს იმის მასწავლებელს ვაბრალებ. რათ მინდა მე მაგის რუსული, ფრანციული და ტანცი-მანცი. მე მინდოდა, ეგ კარგი მეოჯახე ქალი გამოსულიყო, ჭრა და კერვა სცოდნოდა,

— რატომ, ბატონო! ახლა ურუსულოდ და უფრანციცულოდაც არ ვარგა. მე დარწუნებული ვარ, თუ არ განათლებულს კაცს, თქვენს ქალს სხვას არ მისცემთ და განათლებული ახალგაზდა ვაჟები რუსულსაც მისდევენ და ფრანციცულსაც, — უთხრა ბრძნულად კიკოლიკმა.

— ეგ კი არა და, აგერ ერთი პრიკაშჩიკი მყავს, იმას უნდა მივათხოვო, — დაატანა გაცინებით სოვდაგარმა.

— პაპა, რას ამბობთ, როგორ გეკადრებათ?

— მა რა გიყო, სადილს უკან შენი ხითხითი ძილს აღარ მაძლევს. აბა რით ვიხსნა თავი! — გაღიმებით თქვა ს...მა. ამ დროს შემოვიდა მოსამსახურე და სადილად მოიპატიჟა ყველანი. სადილს უკან ს...ს ქალი ძალიან გაუთამამდა კიკოლიკს. ის წამის-წამს ესროდა თავის ცეცხლის მომკიდებს თვალებს კიკოლიკს. ჩვენი დარბაისელი კავალერი ხან წითლდებოდა, ხან ყვითლდებოდა მეტის-მეტის მღელვარებით. ბოლოს კიკოლიკი და ს...ს ქალი ცალკე კუთხეში დასხდენ სალაპარაკოდ.

— თქვენ კლუბში არ დაიარებით? — ჰკითხა ს...ს ქალმა კიკოლიკს.

— როგორ არა, მე იმედი მაქვს, რომ თქვენ აწ იქ ხშირად გნახავთ.

— დიახ მე ვემზადები კლუბში ბალისთვის. სულ ვარდის ყვავილებით ვაწყობინებ კაბას. არ ვიცი, პირველად ვის გავიცნობ და ვგრძნობ-კი, რომ ის პირველი, რომელიც ჩემთან პირველად იტანცავებს, ჩემ თვალშიაც პირველი იქნება.

— ღმერთმა ნუ ქნას, მე ეგ ღირსება ამცილებოდეს! — წარმოსთქვა ცოტად შეწითლებულმა კიკოლიკმა.

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა! ძალიან გინდათ ეგ პირველობა?.. — უთხრა ზარისაევით მოწკრიალე ხმით ს...ს ქალმა.

— ისე მინდა, რომ ჩემს სიცოცხლესაც არ დავიშურებდი იმის გულისთვის.

— ამბობენ, თქვენ მწერალიც ხართ, თურმე გაზეთშიაც სწერთ.

— ჰა, ჰა, ჰა! თქვენ ვინ გითხრათ?

— მე ვიცი. და თუ ეს მართალია, მაგისთანა მცოდნე ფილოსოფოსს კაცს როგორ ეკადრება აგრე აჩქარება!

კიკოლიკი შეჩერდა, არ იცოდა, რა ეთქვა, და ყურებამდის გაწითლდა. იმას სურდა საჩქაროდ გამოეცხადებინა თავის სურვილი, ის იყო კიდეზე იდგა კიდეც და ასე უცებ დააქვეითებინა ამ ერთი წლის კურს — დასრულებულმა ინსტიტუტელმა, ისე რომ თვითონაც

არ მოელოდა ამას. კიკოლიკი, ცოტა არ იყოს, სულელურის მორცხობით პაპიროსს დაეწაფა გამწარებით.

— თქვენ ტანცაობა იცით?— ჰკითხა კიდევ მხიარულად ქალმა.

— როგორ არ ვიცი?

— ნუ თუ თქვენ ტანცაობთ, მაგისთანა დარბაისლური კაცი, სწორედ არ მეგონა, არ მეგონა... ჰა, ჰა, ჰა! — გადიკისკისა ს..ს ქალმა.

კიკოლიკს ისე წაუხდა საქციელი, რომ ველარაფერი პასუხი ველარ მოახერხა. ს...ს ქალმა, არ ვიცი, შეატყო, რომ კიკოლიკის შერცხვა და უნდოდა ცოტა ხნით მოსცილებოდა, დაეცლია სულის მობრუნება, არ ვიცი, შეატყო თავისადმი სიმპათია და უნდოდა კიდევ უფრო გაეჯავრებინა იმის გულის დარდები, უთხრა სიცილით: „უჰ, როგორ მოწყენითა ხართ! მე უფრო მხიარული კაცი მომწონს, მე ფილოსოფოსის მეშინია... ჰა, ჰა, ჰა, ჰა!“ — გადიკისკისა ქალმა, წამოვარდა და შეირბინა მეორე ოთახში. კიკოლიკი თითქოს თავზარდაცემული წამოვარდა, თვალწინ წარმოუდგა, სწორედ მაგდებენო, თუმცა არავის აზრად არ ჰქონია ეს შემთხვევა. როგორც მოგეხსენება იქვ-აძრული კაცის გონება, ხელი რომ აუქნიო, სილა გამარტყაო, იფიქრებს. კიკოლიკსაც იმ დროს ასე მოუვიდა: ის უცბად მივიდა მოხუცებულ ს...თან, დაუკრა თავი და კარი გაიარა. მოხუცებულმა უთხრა, მობრძანდებოდეთო. კიკოლიკმა რაღაც წაილუღლუღა, თვითონაც არ ესმოდა. დერეფანში რომ გამოვიდა, ერთი საწყლად წარმოსთქვა: „ვაი, დედაო!“ და გულგახეთქილმა ჩაირბინა კიბეზე. იმან იგრძნო თავის ტკივილი და თითქოს დაუთვრიათო, ტროტუარზე ისე აცაბაცად მოჰქონდა ფეხები. შინ როგორც მივიდა, მაშინვე ჩავარდა ლოგინში, გააბა ხვნეშა და „უში“. იმას წარმოუდგა თვალწინ, რომ ს...ს ქალმა დამიწუნაო, თუმცა იმ ქალს ფიქრშიაც არ მოსვლია ეს ამბავი და ამან საშინლად მოსტეხა ფრთა კიკოლიკის სიამაყეს. ამ შემთხვევის უკან კიკოლიკი აღარ წასულა ს...სთან ორი კვირის განმავლობაში. ამ დროს ტ...ს ჩამოვიდა ერთი დარდიმანდი ქართველი პოლკოვნიკი. რომელსაც ყელზე ჯვარი ჰქონდა. მხრებზე სქელი ჯინჯილები და გვარად წარჩინებული საქართველოს თავადიშვილის შთამამავლობისა იყო. ამ ღირსებებთან იმას იმ ცოტა ხანში პოლკიც ჩააბარეს. „მოველ, ვნახე და ესძლიეო,“ სწორედ ასე იყო ამ პოლკოვნიკის საქმეც. მეორე კვირას მშვენიერი ეკიპაჟით რვა ცხენ-შებმული ზარის რაწკუნით ესეევ პოლკოვნიკი მიჰქროდა ქალაქს გარეთ გ...ს პროსპექტით. ყველამ დაიწყო კითხვა, ის ეშხიანი ქალი ვინ უზისო? გამოჩნდა, რომ ს...ს კისკისა ქალი კნეინად გამხდარიყო. ამ ამბავმა კიკოლიკს ფერი უცვალა და გული ჩაუწყვიტა.

IX

186... წელს ახალის სამოსამართლოს ცვლილების სულმა მოატანა. სასამართლოებში სახელმწიფო მოხელეებმა შეჰქნეს ხშირად ლაპარაკი, ბაასი, მოსაზრება, თუ ვის დაარჩენდენ შტატის გარედ, ვინ გამოიცვლის ალაგს და სხვა. ბევრს მოხუცებულს და ძველი წესის შეჩვეულს ჩინოვნიკს ეცვალა ფერი ახალი წესის შემოღებაზე. იმათ მოიგონეს თავისი ძველი ცოდვები და ემზადებოდენ იერუსალიმს წასასვლელად, რომ ყოველნაირი ბოროტმოქმედება შეენანებინათ. ერთი უაღრესი თვისება ახალ სამოსამართლო ცვლილებისა ის იყო, რომ ძველ კაცებს არ გუობდენ, არ იწყნარებდენ ამ ცვლილებაში. ახალი სასამართლოს მოთავე კაცები სულ ახალ-ახალ ნასწავლ ყმაწვილებს არჩევდენ და ამის სახით ძველ ჩინოვნიკებს თვითონვე უნდა ეძებნათ საზამთრო თავშესაფარებელი ახალი სასამართლოების გარეშე.

ამ ყოფაში კიკოლიკიც არ დარჩა ახალი ცვლილების უგრძნობელი. პოლკოვნიკის მაგალითი იმას ერთობ ჩაებეჭდა გუნებაში. „რა გაზეთი, რა საზოგადო კეთილმდგომარეობისათვის მზრუნველობა?.. ვინ გცემს პატივს ამისათვის? ის კი არა, კიდეც გლანძღავენ. წერა არ იციანო, ამბობენ, ენა წაგვიხდინესო და სხვა, — ამბობდა კიკოლიკი, — მერწმუნე, ყოველმა კაცმა ყველაზე უწინ თავის თავზე უნდა იზრუნოს და როდესაც ამ სახით ყოველი კაცი თავის კეთილდღეობას ფეხზე წამოაყენებს, მაშინ საზოგადო კეთილმდგომარეობა თავისით ჩამოვარდება ქვეყანაზე. აი, ნამდვილი პატივის ცემა და ღირსება სად არის! — დაიდებდა ხოლმე მხრებზე და გულზე ხელს. — თუ მხრებზე სქელი ჯინჯილები გაქვს, თუ გულზე დიდი ორდენი გაქვს ჩამოკიდებული, მაშინ ხარ პატივცემული და, ჩემის აზრით, ასეც უნდა იყოს. ვინც უფრო ჭკუიანია და ვინც უფრო მოხერხებული, ის შოულობს ამაებს, თორემ რატომ ჩვენს გოგიტა ჩუბირდანიძესაც არ ჰკიდია ის, თუ ადვილი საშოვნელი იყოს?.. მე რომ იმ პოლკოვნიკისთანა დამსახურებული ვყოფილიყავ, დღეს კოპწია ს...ს ქალი ჩემი იქნებოდა. იმის ქარვასლებსაც მე დაეპატრონებოდი. მაგრამ იმოდნად რომ არ ვიყავი დამსახურებული, იმიტომაც დამეკარგა ხელიდან ჩემი ბედნიერება". ამ სახით ის მტკიცედ დაემყარა სამსახურის გზას და ხალხის კეთილმდგომარეობის სურვილიც ამ წადილის შესაბამად მოაწყო. „ხალხს და საზოგადოებას ყოველს ჟამს თავისი შესაფერი მოთხოვნილება აქვს — იტყოდა კიკოლიკი. — განა ვისთვის მსახურობს ამდენი ჩინოვნიკობა, თუ არა ხალხის და ქვეყნის კეთილმდგომარეობისათვის? რა სიკეთე შეედრება იმას, მაგალითად, როცა მე ხალხის მოსამართ-

ლედ გავხდები და მთელი ქვეყნის თვალწინ გავასამართლებ მართალსა და მტყუანს და არაოდეს მძლავრ კაცს არ გავათქერინებ ულონოს, თუ ამ უკანასკნელს სიმართლე ექნება. ქვეყნის სასარგებლოდ შრომა არ არის, მაშ რა არის? მხოლოდ ეს არის, რომ აქ ამ გარემოებაში მეც ერთი საზოგადო ძალის წევრთაგანი ვარ და ჩემის ღირსებისამებრ ჯილდოც მეძლევა და ამ ჯილდოს საზოგადოებისაგან შესაფერი პატივისცემაც მოჰყვება".

ამ მშვენიერ მსჯელობაში კიკოლიკს ერთი ავიწყდებოდა, რომ, რადგან ისიც ერთი ძალის წევრთაგანი ხდებოდა, მაშ თვითონაც ერთ უმცირეს ძალად უნდა ყოფილიყო, რომელსაც მაზე უფროსი ძალა დამოკლესის მახვილივით თავზე ჩამოაწვებოდა. აგრეთვე თავის მხრით ზემოხსენებული ძალის გვარათვე უნდა დაწოლოდა თავის უმცროსებს. და რა გამოდიოდა აქედან? ის, რომ როგორც თითონ უმცირესს ძალას თავის ქეიფზე დაატრიალებდა, თუ რომ მოინდომებდა; აგრეთვე იმაზე უფროსი ძალაც, თუ ისურვებდა, თვითონ კიკოლიკსვე ხან მარჯვნივ გააქანებდა, ხან მარცხნივ. მაშ ამ მდგომარეობაში სადღა უნდა ყოფილიყო ის შეურყეველი სამართალი, სადღა უნდა ყოფილიყო საზოგადოების კეთილის მომნიჭებელი სამართალი?... აი, ამის პასუხს ველარ უკვირდებოდა კიკოლიკის ფრთებ-მოკვეცილი მოსაზრება. ის იმ დროს მხოლოდ თავის საკუთარი კეთილმდგომარეობის გზაზე იყო მიქცეული; თვალწინ ცოცხლად უდგა თავისი გარეგანი დამცირება და პოლკოვნიკის გამარჯვება. ის იმ დროს მხოლოდ ამ სურათით ცხოვრობდა. სხვა უფრო მაღალის მოვალეობისათვის იმას მაინც და მაინც არაოდეს არ უკრიდა გონების მხედველობა და ახლა პირველის ფეხის წაკვრის შემდეგ სულ დაეხშო სინათლე.

კიკოლიკმა იყიდა ახალი სამოსამართლო წიგნები, კანონთ-კრება და დაიწყო გაცოფებით ახალ-წესდებულების შესწავლა. მაშინვე იყიდა ახალმოდის ფრაკი და იმის ამხანაგი, ხშირად დადიოდა ახალი სამოსამართლოს მოთავე კაცებთან, დაუწყებდა მოწიწებით გამოკითხვას მომავალს ცვლილებაზე, შემდეგ რამდენსამე მუხლს ეტყოდა ახალ წაკითხული სამოსამართლო წესდებულებისას და ისე ხერხიანად მოაბამდა კუდს სასამართლო საგნებზე ლაპარაკს, რომ ცოტა ხანს იქით იმათ აფიქრებინა: კიკოლიკისთანა მუყაითს ჩინოვნიკს ახალ სასამართლოში ჩვენ ვერ ვიშოვნითო. ერთხელ ერთს ამ მოთავეთაგანს შეხვდა ლაპარაკი კიკოლიკზე იმ წარჩინებულ ქართველთან. რომელიც ისე გატაცებული იყო კიკოლიკის ღირსებით. იმან უთხრა მოთავეს. რომ კიკოლიკისთანა ახალგაზდა ქართველები ჯერ არ გამოზდილაო.

— მაშ მეც მაგისთანეებს ვეძებ ახალი სასამართლოსთვის. მოდი, ერთი თქვენც ურჩიეთ და, თუ ამ დღეებში ჩემთან შემოვიდა. მაშინვე წინადადებას მივცემ, მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწობა აიღოს და მერე მალე წავაყენებ წინ.

— ეგ ძალიან კარგი აზრია. ღმერთმა ქნას, რომ ახალ სამოსამართლოებში მაგისთანა ყმაწვილები ბევრი გყოლოდესთ! — ამ სიტყვებით განშორდენ ერთმანეთს წარჩინებული ქართველი და ერთი ახალი სამათრლის მოთავეთაგანი.

X

ორი წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც გაზეთი გამოიცა და რაც სტამბა გაიმართა. ბლუკუნამ სტამბის მართვაში აღმოიჩინა დიდი გულსმოდგინება, ძალიან დაწვრილებით ადევნებდა თვალყურს სტამბის შემოსავალ გასავალს. ყოველ წლის დამდეგ ხელის მომწერლების ფულები დიდ საშუალებას აძლევდა თვითონ სტამბას; რომ ის არა, ვგონებ, იმ ორ წელიწადში სამჯერ მაინც გამოეთხოვებოდენ სტამბას. ტყუილა ჩაიღუპებოდა ამდენი ფული და ნაწვალეები. ზაფხულსა და შემოდგომას, როგორც იყო, დიდი ჯახირით გასტანა სხვა-და-სხვა გარედან შემოტანილი მუშაობით; მაგრამ ზამთარში, როდესაც ახალი წელიწადი დადგებოდა, მაშინ იყო სტამბის გაწამაწია. ყველა მაშინ ითხოვდა ანგარიშის გაწმენდას, ყველა მენისიები და მოვალენი მაშინ მოადგებოდენ სტამბის კარს და, აი, ამ დროს რედაქციის ფული სტამბისათვის სწორედ მისწრება იყო. ის აკმაყოფილებდა მომეტებულს ნაწილს მოვალეებისას და მენისიებისას; შემდეგ მთელი ის წელიწადი კიდევ იმ რიგად გაჩანჩალდებოდა. ამ სახით გაზეთის ფული ყოველ წლის დამლევს სულს უდგამდა თვითონ სტამბას და, რომ მელიქ-აღას სტამბასთანავე ეს გაზეთის გამოცემა არ მოეფიქრებინა. შენი მტერი, რაც სტამბის საქმე იქნებოდა! ამ გარემოების ძალით თვითონ საღათას გაზეთის მმართველს, იმის დედა-ბოძს, ერთად-ერთს იმის მშრომელს, გაზეთის ფულიდან მარტო სამი თუმანი ჰქონდა თვეში დანიშნული და იმასაც თავის დროზე ვერ იღებდა. მომეტებულმა შრომამ მოსთხოვა მას უკეთესი რჩენა. იმას კი მარტო სადილში და ჩაის ხარჯში არ ყოფნიდა ეს სამი თუმანი. საღათა პირველ დროებში არას ამბობდა ამისთანა დაწყობილებაზე; მერე-კი თანდათან შეეპარა ეპვი ამხანაგების მოქმედებაზე: „როგორც ვატყობ, ამათ სტამბა-კი არ გაუმართავთ გაზეთისათვის, თვითონ გაზეთი გამოუციათ სტამბის გულისთვის, რომ პირველშივე ჰქონოდათ სამუდამო მუშაობა და ხელის მოსაბრუნებელი". მით უფრო რწმუნდებოდა ის ამ აზრზე, რომ ყოველ

წლის დამდეგს, როცა გაზეთის ფული სტამბის ხაზინაში ბლომად უნდა ყოფილიყო, მაშინ სულ არა იყო რა და საღათას თვე-ნახევრობით და ორ-ორი თვეობით უნდა ეცადნა თავის გაჭირებული სამი თუმნის მისაღებად. ცხადი იყო, რომ საღათას გულსაღობით და იმისი ჭაპანწყვეტით სარგებლობდენ მელიქ-აღა, ბლუკუნა და ყველაზე უფრო კიკოლიკი. ეს მაინც ყველაზე უფრო ცოტას აკეთებდა სტამბისთვის, თუმცა მესამედი ნაწილი სრულიად უნდა რგებოდა. ეს, როგორც შეჰფერის წმინდა სტამბის მეპატრონეს და მებატონეს, ყოველ დილით ათ საათზე შემობძანდებოდა სტამბაში გამოწკეპილი, დახედავდა მუშაობას. გამოიკითხავდა დაწვრილებით სტამბის მდგომარეობას, თუ რამდენი სამუშაო საქმე შემოსულიყო, ან რა დახარჯულიყო, ან რამდენი ფული აელოთ მუშაობიდან და მერე გავიდოდა. გაზეთს-კი სულ ააღო თავის ყურადღების თვალი; იმას მხოლოდ ხელის მომწერლების სიმრავლე უყვარდა და, თუ იკითხავდა, მხოლოდ იმას, თუ რამდენია ხელის მომწერი, ან თუ ემატებაო. მთელი ორი წლის განმავლობაში იმან ორი თუ სამი სტატია დასწერა და მერე მიასო ფეხი. ბლუკუნაც არ უყურებდა იმას კარგი თვალით. „თუ ამხანაგობა უუ..ნდა, იიმუშაოს. თთუ არა და რრას გვეჩრება თავის კითხვებით!“ წაილუღლუღებდა და გარეთ მიმავალს კიკოლიკს შურის თვალებს გააყოლებდა. ამ სახით ბლუკუნას კიკოლიკიც ეზარებოდა, საღათაც და ყველა ისინი, რომელნიც იყვნენ სტამბის პატრონები. საღათას თვალში-კი ყველანი ბლუკუნიანათ ასეთივე სხვის ზურგზე და სხვის ოფლით მოსადილენი იყვნენ. როგორც ყოველი ჩვენი მებატონე. საღათა მომეტებული შრომისაგან და უსაშველობისაგან მეტად დაიქანცა. რომ ვეღარ მოითმინა გაჭირვებული მდგომარეობა, ბოლოს გარეშე შრომასაც მიჰყო ხელი, გაკვეთილები იშოვნა და იმითი ტანსაცმელს იცვამდა. ეს ორნაირი შრომა გაზეთსაც დაეტყო, ის ისე კარგად ვეღარ მიდიოდა, როგორც უწინ. საღათა თავის გულს ასქდებოდა, ამას რომ ხედავდა, მით უფრო ღრმა სიძულვილი ჩაუვარდა გულში კიკოლიკისა და იმის ამხანაგებისა.

კიკოლიკმა ორი წელიწადი ულოდნა, ეგონა ჩემი წილი ფული სტამბაში, აგერ ეხლა შემოიტანს კარგს სარგებელს და აგერ ახლაო; ბოლოს, რომ ვეღარას ეღირსა, თქვა გულში: „არაფერი მოსაგები საქმე ყოფილა ეს სტამბა. ტყუილა ფულები დამეხლართა — დალანძღავდა მელიქ-აღას: — იმან გამაბრიყვა, თორემ ახლა ეს ორმოცდაათი თუმანი სხვანაირად რომ მესარგებლებინა, ოთხმოც თუმნადაც გადამექცეოდაო“. იმან განიზრახა გულში: „აი, ახალი სასამართლოები რომ გაიხსნება, ერთ წელიწადს კიდევ ვაცლი, მაშინ სამუშაოსაც ბევრს აიღებს სტამბა და მესამედში უკანასკნელს ორმოცდაათ თუმანს მაინც ავწაპნიო“.

ამისთანა გარემოებაში იყო საქმე. რომ კიკოლიკს შეხვდა უკანასკნელად მოგზაურობა დასავლეთ საქართველოსკენ სამთო შკოლების დასახედავად. მე მაშინ ქ...სს ვიყავი და რამდენიმე თვე ისე გავატარე, რომ ცოტაოდენად მაინც გონება გახსნილ კაცთან არ მელაპარაკნა და მართლაც გონება დამუნჯებულს ვგავდი. წარმოიდგინეთ, რა მიამებოდა კიკოლკის ქ...ს ნახვა. მახსოვს, რომ იმ ღამეს, როცა ის ჩამოვიდა, კითხვებით და ლაპარაკით არც მე დამიძინია: „მოდი. ერთი წამოდი ჩემთან. — მითხრა კიკოლიკმა.— სულ რომ არა იყოს-რა. ხმის გასაცემი არავინ მეყოლება. თუ მარტო დავრჩი ამ ორ თვეს სვანეთში და აფხაზეთში, სწორედ გამოვსულელდებიო." მე. მართალი გითხრათ, ძალინ მსურდა ამ ქვეყნების ნახვა, იმათ მდგომარეობის შეტყობა, იმათს ცხოვრებაზე თვალის შეელება და რომ ამისთანა კარგს დროსაც მეორედ ვერ ჩავიგდებდი ხელში. ესეც ძალიან კარგად ვიცოდი. ამისთვის დიდის სიამოვნებით განვიზრახე იმასთან წასვლა.

XI

კიკოლიკმა როგორც ძმა, ისე მიმიღო; ბევრი მელაპარაკა ტ..სზე, მირჩია, მგზავრობის შემდეგ დავბრუნებულიყავი ისევ ქ. ტ...სში. აგრეთვე ბევრი მელაპარაკა თავის ახლანდელს დამოკიდებულებაზე, წარჩინებული კაცების დამეგობრობაზე, ახალ სასამართლოს ცვლილებაზე და ამის გამო ქ.ტ...სის გამოცოცხლებაზე. რა თავის ტეხა აქვთ ადგილის შოვნისათვის, რა მიხლა-მოხლა! ბევრი ძველი მოსამსახურეთაგანი რჩება. უალაგოდ. დროც არისო, რომ ქვეყანა განთავისუფლდეს ამ ხალხისაგან, ქვეყანა მაგათ მოინელესო, დაატანდა კიკოლიკი. როდესაც ამ ძველ სახაზინო ჰალატისა და სხვა სასამართლოს ჩინოვნიკებზე მოსდიდოა ლაპარაკი, იმას ძაგებას და ლანძღვას საზღვარი არა ჰქონდა. რამდენი მაგალითები და კერძო შემთხვევები მითხრა იმათ ქრთამის აღებაზე. ვინ მოსთვლის. მე ცოტახანს იქით კიდეც გამიკვირდა, სად შეუკრებია ამდენი დაწვრილებითი ცნობა ტ...სის საშუალო და დაბალი ადგილის ჩინოვნიკების ცხოვრებაზე-მეთქი. ვიცოდი, რომ ის მასწავლებლად იყო; სულ სხვა წრეში, სულ სხვა მიმართულების გზაზე იდგა; მაგრამ ამ შემთხვევაში იმის ცნობის მოყვარეობა მაინც ძალიან შორს სწვდებოდა თავის აღნიშნული წრიდან და ახლა-კი ბეჯითად დავრწმუნდი, რომ კიკოლიკს მართლაც და მთელი ტ...სის საზოგადოება ჰყოლია გაცნობილი. ჩემთვის ბევრად სასიამოვნო იყო, ტ..სის სასწავლებლების მდგომარეობა შემეტყო. მე, როგორც ახალს მოსულს რუსეთიდან, განსაკუთრებით ჩვენი ახალმოსწავლე ახალგაზდობის ბედ-ილბალი და შკოლაში იმათი წვრთნა მინდოდა

შემეტყო. ჩემის აზრით, ეს მრავალნაირი საძაგლობა, რომელშიაც წარსული ჩირქ-მოდებული ცხოვრების სურათი იხატებოდა, ლაპარაკადაც არ ღირდა; მით უფრო, რომ თვითონ კიკოლიკი ამბობდა, ახალი სამოსამართლო ცვლილებების ნაკადული გასწმენდს ამ სამოსამართლო და სამმართველო ასპარეზსაო. ის განსაკუთრებით აძაგებდა და სასტიკად დევნიდა იმ თაობას, რომლის ცხოვრება მიხრწნილი და გარემოებისაგან მოკლებული იყო. ამ შემთხვევაში კიკოლიკის კითხვამ და ჯავრიანმა სიტყვებმა ძველს ქრთამის მღებელ მოსამსახურეებზე მომაგონა ის ფინია, რომელიც, სანამ ვეფხვს მოჰკლავდენ, ერთს ჯაგში შემალულიყო და იქ კრუსუნებდა შიშისაგან და, როცა მოჰკლეს, მხოლოდ მაშინ გამომხტარიყო, მოჰყოლოდა ყეფას ვეფხის ლეშზე და იმის კუდის წიწკნას კბილებით. თუმცა ამისთანა ლაპარაკში ჩნდა საზოგადოების სიკეთისადმი იმის მიდრეკილობა, ის ზიზღით იხსენებდა ისეთს კაცებს, რომელთაც უსამართლოებით მიეთვისებიათ სხვისი ოფლის ნაყოფი, სხვისი ხელებით შეძენილი კეთილმდგომარეობა, მაგრამ აწინდელს მდგომარეობას რას გამოადგებოდა ამისთანა კიცხვა: მკვდართათვის მკვდართ უნდა ეზრუნათ. ჩვენი საქმე ცოცხლების ვითარება იყო. ვინ იცის, რამდენი გაჭირვება და დამცირება გამოვიარე უნივერსიტეტში იმის გამო, რომ კარგად ვერ ვიყავი მომზადებული საუნივერსიტეტოდ; სადაც პეტერბურგის ღიმნაზიაში კურს-დამთავრებული სტუდენტები მეოთხედს საათს ანდომებდენ, იქ ჩვენ ორი სამი საათი უნდა გვეშრომა. დღე და ღამე მჭონდა გაერთიანებული სხვა-და-სხვა საგნების შესწავლით, მაგრამ ზოგიერთ რუსის სტუდენტებს მაინც ვერ გაუსწორდი. ამ გარემოებამ საშინლად გამაჯავრა; ჩემი ღიმნაზიის სწავლა იმდენად შეუფერებელი გამოდგა უნივერსიტეტისათვის, რომ თუ მინდოდა რამე გამერიგებინა, სულ თავიდან უნდა გამომერეკა ის ცრუ სწავლა, რომელიც თორმეტი წლის განმავლობაში ზეპირის კვერის-ცემით ჩაეტენათ ჩემ თავში. როგორც შევედი უნივერსიტეტში, ჩემი თორმეტი წლის სწავლა სულ გამოუდეგარ და მეხსიერების მავნებელ ბალაბურდოდ მომეჩვენა. ამ სწავლაზე ხელი უნდა ამეღო და სასწავლებელი საგნები თვალ-ახდილი გონების საშუალებით მეორეთ უნდა შემესწავლა. ამ საბით მე შუა სასწავლებლის საგნები და უნივერსიტეტის საგნები ერთ დროს უნდა გამევლო. ჩემი შრომა ერთი ათად მეტი იყო პეტერბურგის ღიმნაზიაში კურსდასრულებულის სტუდენტის შრომაზე. მაშასადამე, რა გასაკვირველი იქნებოდა, თუ მე იმას მეცნიერების განვითარებაში ვერ ვისწავლიდი. რა გულ-გამეხებით ვსწყვეტლიდი ჩემს წარსულს გარემოებას, რომელმაც თორმეტი წელიწადი ტყუილად დამაკარგვინა, ტყუილად ზეპირობით მეხსიერება გამიფუჭა და გონება დამიბნელა! მით უფრო საინ-

ტერესო იყო ჩემთვის იმ წუთას ტ...სის სასწავლებლის ახალგაზდობის ამბის შეტყობა კიკოლიკისაგან, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი განკვირვება: თითქოს იმისთვის ჩვენი ახალმოზარდი თაობის ბედი სულაც არ არსებულიყოს. ამ თაობის ლანძღვის მეტი იმის პირიდან არა გამოსულა რა.

„ოჰ! ტ...სის შაგირდების ამბავს ნუღარ მკითხავ, — დაიწყო კიკოლიკმა. — იმათთანა გარყვნილი, წამხდარი აღარა გინახავს-რა. წარმოიდგინე. თორმეტი წლის ყმაწვილს ხშირად შევხვდები, რომ ოამბაქოს სწევდეს. სწავლით სულ არ სწავლობენ. ექვს საათზე რომელ კაფეშიაც უნდა შეიხედო, ხუთს შაგირდს მაინც ნახავ, ბილიარდზე თამაშობდეს. თვითონ მასწავლებლებიც ერთმანეთში ჰოროობისა და ენატანიობის მეტს არას აკეთებენ. საღამო ისე როგორ წავა. რომ ერთ ვისმესთან ყველანი არ მოგროვდენ ქაღალდის სათამაშოდ. არც შაგირდების დაახლოვება თავისთავთან. არც იმათი დარიგება, არც ისე შეთვისება შაგირდისა, რომ ამისთანა გავლენით ახალგაზდა ააცილოს კაცმა ცხოვრების ცუდს მხარეს. მასწავლებლები ისე გაშორებულები არიან შაგირდებზე, როგორც ცა დედამიწაზე. არც ერთი იმათგანი საჭიროდ არა სთვლის ამას. ჩვენი მოვალეობაა. კვირაში აღნიშნული რიცხვი გაკვეთილებისა მივცეთ, ისწავლიან — კარგი. არ ისწავლიან და — ეაი იმათ გუნებას. აი, ასე ფიქრობს ყოველი მასწავლებელი. ყოველი იმათგანი კლასში რომ შევა, იმ ფიქრით შევა, რომ როგორმე მალე გამოვიდეს იქიდან და მთელი გაკვეთილის განმავლობაში, ნახევარს დროს მთქნარებას ანდომებს. აჰ, უხეირო წოდებაა ეს მასწავლებლობა. განწესებისთანავე შემაძულა იმან თავი და მაშინვე ვიფიქრე ამ თანამდებობის დაგდება. — გაათავა თავისი სიტყვა კიკოლიკმა.

— თუ მაგისთანა ცუდს მდგომარეობაშია ტ...სის სასწავლებლები, თავი როგორ დაანებე? — ვუთხარი. — მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ, როგორც მასწავლებელს, შეგეძლო ყმაწვილების გული მოგეპოვებინა, შეგეძლო დაგეახლოვებინა. შეგეძლო თვითონ მასწავლებლებს შორის ისეთი ამხანაგობა გაგემართა, რომ ზოგიერთს უფრო ხეირიანებს დამეგობრებოდი, იმათი საშუალებით ღონე მოგეპოვებინა და დანარჩენების სიზარმაცე და დაუდევნელობა მხილებით შეგეტუქსა. რატომ არ ჰქენი ამისთანა საქმე?

— არ შეიძლებოდა. პირველადვე მასწავლებლებმა განზე დამიწყეს ყურება. აქ ტომობითი განრჩევა ბევრს ნიშნავს. მე სულ სხვა ტომის ვიყავი და ისინი სხვისა.

— მით უფრო დიდი ზნეობითი ძალა გექნებოდა ტ...ს სასწავლებელში. ჩვენი ახალმოზარდი თაობა თავისიანს უფრო ადვილად

დაუახლოვდება. უფრო ადვილად გულს მოგანდობდა. შაგირდობა შენკენ იქნებოდა, გავლენა მოგემატებოდა, ერთი მხრით შაგირდები შეგეძლო კარგს გზაზე დაგეყენებინა, მერე მხრით მასწავლებლობაც შეგეტუქსა-მეთქი.

— იმნაირად სჯი, თითქოს ტ...ს სასწავლებლის უფროსობა არ გენახოს. რა შეუძლია ერთს უბრალო მასწავლებლებს! ეგ რომ შეუტყონ. ვინ იცის. რას არ დასწამებენ. მერე ხომ იცი, ჩვენ ვინა ვართ?

— ვიცი.

— შეგირდების მომეტებული ნაწილი სადაურები არიან?

— ეგეც ვიცი.

— მაშ რალას ამბობ. რომ შემეძლებოდა რამე, მე შემეძლებოდა იმათი დაახლოვება. — მითხრა კიკოლიკმა.

— მე კიდევ იმას ვამბობ, რომ შეუძლებელი არა არის რა ამ ქვეყანაზე. — განვაგრძე ლაპარაკი. — ნათქვამია, „თუ გოგვით არა, ფორთხვით ჩაიარე ეს ღრე-კლდეო.“

— ყოველსავე მიზეზს ერთი კიდევ დაერთო: ეს ჩვენი ახალგაზდობის აკვნიდანვე გარყვნილობა. განა პირველში მე თვითონ არ მინდოდა. დავახლოვებოდი. წავდგი კიდეც ერთი ნაბიჯი წინ და მაშინვე ნანვით უკანვე გადმოვხტი. ვერ წარმოიდგენ, რა საქმე მიყვეს შაგირდებმა ეგ წამენებს შემდეგ?

— რა?

— აი, გეტყვი: თითო-ოროლი ყმაწვილი ყოველთვის დადიოდა ჩემთან. პირველში თითქოს ერთმანეთს შევეჩვიეთ, თითქოს გული მომანდვეს. მეც, რასაკვირველია, რაც გამეწყობოდა, ყოველსავე ეუხსნიდი. ვასმენდი კარგს აზრებს, ვაღვიძებდი იმათს გონებას და ბოლოს... — კიდეც მეზარება ამის წარმოთქმა — ეგზამენებს შემდეგ ქოლგაში ბარათი ჩამიდვეს; იმაში ეწერა: „მთელი წელიწადი თქვენგან არა გვისწავლია-რა და ეგზამენების დროს კი კისერში დანა მოგვაღირე და ჩაგვქერი. ნახავ, რა დაგემართოს, შემდეგს ეგზამენებში თუ კიდევ ეგრე ფიცხად მოგვექეცი.“ აი, ამდენად გარყვნილები არიან. არც კეთილი გული, არც ჩემი გულსმოდგინებითი სწავლება არ დაიმახსოვნეს. მადლობა ღმერთს, რომ მალე დავცილდი, თორემ ერთს ხათაბალას გადამკიდებდენ, — მითხრა კიკოლიკმა.

— რატომ რიგიანად არ გამოიკვლიე მაგის მიზეზი, თუ რათ მოგექცენ ეგრე, — ვუთხარი მე: — იქნება მართლაც გულსმოდგინეთ ცდილობდი იმათს სწავლებას, იქნება მართლაც ცდილობდი იმათს დაახლოვებას; მაგრამ მანდიდანაც არა გამოვიდოდა-რა. შეიძლება, რომ შენი სწავლება ვერ მიუდგა იმათს გონებას; ხომ იცი, რა მდგომარეობაშია ჩავარდნილი ჩვენი სკოლის განათლება. განა შენი თავი არ

გაბსოვს მოწაფეობაში? განა თვითონ შენს გონებაზე არ გაბოგიცდია ის აუტანელი ტვირთი, რომლითაც იჩაგრებოდა შენი ჭკუის ძალა? განა დაგავიწყდა შენი შაგირდობა? ძალდატანებული შენი ბუნების წინააღმდეგი სწავლება? უცნობს ენაზე პირველ-დაწყებითი მეცნიერების შესწავლა? ჯერ რომ ის ენაც ხეირიანად არ გაგეგებოდა, რომელზედაც საგნებს გასწავლიდენ, თვითონ საგანი როგორ უნდა შეგეთვისებინა? ხომ გამოგიცდია ყოველივე ესენი, მაშ რატომ ბევრი არ მიუტევე იმათს გარემოებას? რა ნება გქონდა, მოგეთხოვა იმათგან იმღენი, რამდენსაც ვერ დაიტევდა უკუღმართად გაღვიძებული იმათი ნიჭიერება? რატომ არ შეხველი იმათს ანგარიშში, რატომ არ ეცადე იმათ გონების შემსუბუქებას? რა ნება გქონდა, ეგზამენზე მაგრად მოქცევოდი, როდესაც იცოდი, რომ იმათი ტვინი ბუნების წინააღმდეგი სწავლებით შეწუხებული იყო?

— მაგას თუ გამოვდგებოდი, ე, ჰუ!.. ეგ შორს წავიდოდა; მე დამტკიცებული პროგრამა მქონდა ხელში და იმის ასრულებას უნდა მიკოლოდი, — მითხრა კიკოლიკმა.

— როგორ თუ მიჰყოლოდი? ახალგაზდობის სვე ვილას მიანდე? თუ კი ყმაწვილის გონება ბუნების შეუდგერებელი სწავლებით დაჩაგრულია, პროგრამმა რიღასი მაქნისი იყო?

— არა, ტ...ს ახალგაზდობისაგან მაინც არა გამოვა-რა. ბევრი გაფუჭებულები არიან, — მითხრა უგემურად კიკოლიკმა.

— მაგაში ვერ გეთანხმები. ახალგაზდობა რაც უნდა გაფუჭებული იყოს, იმას მაინც ისეთი ნორჩი აგებულობა აქვს, იმდენად მოქნილი ტვინი და ტანი აქვს, რომ იმათზე იმედი კაცმა არასოდეს არ უდნა დაჰკარგოს. ისინი ყოველთვის გამოვარგდებიან, ოღონდ კარგს გარემოებაში ჩააგდე. ის-კი არა, ვინც სულ დაღუპულია. იმასაც რომ ცოტა გაუმჯობესობა რიგიანი მოქცევისაგან არ დაეტყოს, არ შეიძლება. შენ გარემოებამ დაგაახლოვა ამ ნორჩს და ახალს ზნეობითს ჭურჭელს, ჩვენს მომავალს იმედს და მემკვიდრეს. როგორ არ ეცადე, რომ ყოველსავე შენს მოქმედებას რამე ხეირიანი ნაყოფი ჰქონოდა ცხოვრებაში?

— მაგას გარდა ბუნებაზედაც ბევრია დამოკიდებული. მე აზრში არ მქონდა მასწავლებლობა. მე ვერ შევეთვისე ამ ჰაერს. მე მასწავლებლობა ყოველოვის ვიწრო ასპარეზად მიმაჩნდა. რა გამოვიდა? ასწაელი, ასწაელი და სხვა არაფერი. შენ ერთი ხარ, სხვა ათასი, შენი გავლენა აბა რას იზამს იმ ათასი კაცის გავლენასთან? შენი შრომა სულ ტყუილა მიდის და შემდეგში აღარა რჩება-რა არც შენთვის და არც სხვისთვის, — მითხრა კიკოლიკმა.

— დალოცვილო, ბარათაშვილის ლექსი მაინც მოგეგონებინა, რომ ეგრე პეშმარიტის აზრის წინააღმდეგ არ დაგეწყო ლაპარაკი:

„რაც ერთხელ ცხოველად სულს დააჩნდების,
საშკილისშვილოდ გარდაიცემის“.

ჩვენს მოსწავლე ახალგაზდობაში შენ უფროსი მოძმე იყავი. სწავლა დასრულებული. მოსული შენს ქვეყანაში, შენი მიწა-წყლის სასარგებლოდ. შენი ტომის ახალთაობის სამაგალითოდ. მე დარწმუნებული ვარ, რომ პირველ შეყრაზე, ყოველი იმ მოსწავლე ახალგაზდათაგანი რომ შეგხედავდა, გაგიცინებდა, გულში იტყოდა: „ეს ჩვენი ქვეყნის შვილია, ჩვენი კაცია, ჩვენც მაგის კვალს უნდა მივდიოთო“. აი, ამ პირველ გულკეთილ შეყრაზე ერთი შენგან განაგონი ცხოველი სიტყვა იმათს უდროოთ დახავსიანებულს ბუნებას გადაარალისებდა. შენ გგონია, ისინი არ გრძნობენ, არ ითმენენ? ბევრს ითმენენ, ბევრია იმათ გარემოებაში ისეთი დამაბრკოლებელი მიზეზი, რომელიც თოშავს, ჰკრავს იმათს სულის ძალას და ისინი კარგად ხედვენ. შენი ერთი ქართულად გამოლაპარაკება იმათს ნორჩს გონებას ააღელვებდა: „დასე, ეგ ჩვენი ძმა არისო,“ უნებურად წამოიძახებდენ. აი, პირველი ნაბიჯი მტკიცე კავშირისა!.. მაგრამ, მე როგორც ვხედავ, შენ არაფერი არ გიქნია იმათ სასიკეთოდ. ეს მომავალში ჩირქად უნდა დააჩნდეს შენს ცხოვრებას.

— მე სრულებითაც არა მქონია გულში მასწავლებლობა. არც მე ვიცი, როგორ ჩაეკარდი ამ წრეში. მე ყოველთვის ხალხისკენ მიწვევდა ჩემი გონება. აი, ამ ერთ წელს შემდეგ შემოიღებენ ახალი სამართლის დაწესებულებას, საერო სამართალს, სადაც მოსამართლე სალხის თვალწინ მიუდგომლად დაიწყებს სამართლის ჭრას. აბა, მაშინ მიყურე, თუ სარგებლობა ვერ მოვიტანო, თორემ დაგიჟინია მასწავლებლობა! მე არა მწამს, რომ იქ კაცმა რამე გააკეთოს. — სთქვა კიკოლიკმა.

— როგორ?.. შთამომავლობის გაზდას, იმის კეთილ გზაზე დაყენებას განა რამე შეედრება?

— არა, მე ხომ მაგას არ ვამბობ, მაგრამ იქ ერთს კაცს მარტო არა შეუძლია-რა. მეორე, ესეც უნდა თქვას კაცმა: შენი ცხოვრება გაივლის სულ მასწაელებლობაში, ამ ვიწრო წრეში და ხელს იმდენზე ვერ გაშლი მოქმედებისთვის, რომ შორს დაჩრდილო, ბევრს მიაწვდინო შემწეობა. ბევრზე გქონდეს გავლენა.

— ჰო, მესმის. შენ გინდა, გქონდეს თვალისთვის კარგა შესანიშნავი, ვრცელი ასპარეზი, თუმცა, იქნება, ამ მოქმედებას არავითარი ნაყოფი არა მოჰქონდეს-რა.

— არა, დიდს ასპარეზს ღიდი მოქმედებაც შეფერის და დიდი ნაყოფიც გამოდის! — მითხრა კიკოლიკმა.

— მაგრამ მაგისთანა მოასპარეზე, სადაც უნდა დასვა, ყოველგან აჩენს თავის კვალს. საც მზე თვის შუქს დაჰკრავს, იქ თესლი გაიღოჯება. შენ რომ მასწავლებლობაში კვალი ვერ დაგიჩენია, რითი დავრწმუნდეთ, რომ იმ ერცელს ასპარეზზე სრულად გამოიჩენ შენს ბუნებითს ძალას?

— დაგიჟინია ეგ მასწავლებლობა. რა საქმეზედაც გული არ მიგდის, იქ რა კვალი უნდა დააჩინო!

ამ გვარმა კიკოლიკის პასუხებმა მე ძალიან ჩამაფიქრა. ვაი, საწყალო ჩვენო ახალგაზდობავ, ჩვენო მომავალო ცხოვრებავ, ვის ხელში იზდები!.. რა ნაყოფი უნდა დამზადდეს ფესვებ-დასხეპილი მცენარისაგან? შენები გემალებიან, თავიდან გიშორებენ, მაშ რა გასაკვირი იქნება, რომ მასვე მიეკედლო. ვინც ღღეს ძიძობას და უფრო დედინაცვლობას გიწევს.

იმ საღამოს ძალიან დამაგვიანდა. ორი საათი იყო შუაღამისა. იქიდან რომ წამოვედი. მეორე ღღეს ნაშუადღევის ხუთს საათამდის ყოველივე უნდა მომემზადებია, რაც საჭირო იყო სამგზავროდ. თან მოვდიოდი შინ და თან კიკოლიკის უგემური სახე და მისი უგრძნობი. სხივ-გამოლეული აზრები მომდოდა თავში. ჯერ ორი წელიწადიც არ იყო, რაც საღათას წიგნი მიეღო იმისგან ქ...სს, რომელშიაც აღტაცებით იწერებოდა საზოგადო საქმის ხელის წამართვაზე. გაზეთის გამოცემაზე და სხვადასხვა. ჩემი უნივერსიტეტური შეხედულობა ამ კაცზე ამ ცოცხალმა გრძნობით სავსე წიგნმა სულ დამიკარგა. მაშინ ვთქვი, კიკოლიკი ბევრად უკეთესი ყოფილა-მეთქი, ვინამც სტუდენტობაში მეგონა. მე ის შემიყვარდა, მე იმისგან ბევრს კარგს მოველოდი, ვიცოდი იმისი პრაქტიკული, დამჯდარი ჭკუის ამბავი და ასე ვიფიქრე: ამ კაცს მხნეობა და გული ჭაბუკისა აქვს-მეთქი. გამოცდილობა კი მოხუცისა. აი, თუ გინდა. ნამდვილი შემაერთებელი ხიდი ძველსა და ახალს თაობას შუა ეს უნდა იყოს-მეთქი. გული თავის მამულის კეთილდღეობისთვის უდუღს და ყოფაქცევით ყოველს მოხუცებულს თავს შეაყვარებს-მეთქი. დიდი იმედი მქონდა. რომ ის მართლაც შეაერთებდა ძველსა და ახალს თაობას. ძველს თაობას დააყენებდა ახალი ცხოვრების გაკვალულს გზაზე და ამ რიგად ჩვენს საუკეთესო ძალას უფრო დიდი ძლიერება ექნება სიკეთის დასამყარებლად-მეთქი. ყოველივე ამნაირი გრძნობა აღმიძრა იმ პაწაწა ბარათის წაკითხვამ. ვინ იცის. კიკოლკი რა გბირად გამომყავდა, და ახლა, როდესაც იმისმა სახემ, იმისმა მსჯელობამ და მიდრეკილებამ ისევ ის კიკოლიკი მომაგონა, რომელზედაც ხ...სკიმ მითხრა: „მერ-

წმუნე. ეგ ცხოვრებაში ყოველთვის ეგრე მოიქცევაო," — და იმ დროს, რომ მიწა გამხეთქოდა და შიგ ჩავარდნილიყავი, არ მენაღვლებოდა იმისთვის, რომ ჩემ თავს ვხედავდი ორიოდე ფარისევლურად გამოოქმული აზრებისაგან ასე მოტყუებულსა. კიკოლიკი თავის პრაქტიკულ კითხვებში თითქო უფრო დამჯდარი და დაბრძენებული მეჩვენა. ყოველს ჩემს პასუხზე ახალგაზდობის გავლენის შესახებ ის უგემურად გაიღიმებდა, თითქოს უნდოდა ეთქვა. ეს საწყალი ჯერ კიდევ ხ...სკის სიგიჟით არის შეპყრობილიო. თითქოს კიკოლიკს ის გულმხურვალება, რომლითაც პეტერბურგში გვიმტკიცებდა თავის აზრებს, სულ გაჭქრობოდა. ვთქვათ, რომ მაშინ იმის აზრის თანახმანი არ ვიყავით, მაგრამ ერთხელაც კი არ შემსელია გულში იმის ეპვი, თუ ეს კაცი ჩვენი სიკეთისათვისვე არ გვირჩევდა, რომ ისე მოვქცეულვიყავით, როგორც იმას ეგონა საუმჯობესოდ. მაშინ ბევრი წრფელი გულშემატკივრობა ეტყობოდა თავის თანამემამულეებზე, ახლა-კი ყოველი იმისი დამტკიცება, ყოველი იმისი აზრი ჩემს გონებას ცივი ყინულივით ხვდებოდა. თითქოს ამ კაცს სხვისი თანამოზიარე გრძნობის ცეცხლი სულ ჩაქრობოდეს და გარდა თავის საკუთარი ცხვირისა და პირსა აღარა ჰგულებოდეს-რა ქვეყანაზე. როდესაც შევადრე იმისი პეტერბურგული აზრები, ჯერ კიდევ წრფელი გრძნობით ცეცხლმოდებულები, ახლანდელსა, ვიფიქრე, ეს ისევ პეტერბურგს ნაწთობი ბუნებაა, რომელიც ოდესმე მინახავს; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მაშინ ეს ბუნება ხურდა და ახლა ტ...ს ყინულ-მოდებული ცხოვრების ჰავას გუცივებია-მეთქი. ამ დროს კიდევ მომაგონდა ხ...სკის სიტყვები და კიდევ ენა წავიკენიტე ჯავრისაგან.

XII

ხშირად მოხდება, რომ კაცი დიდი ხნით ჩავარდება ისეთს საზოგადოებაში, სადაც არც იმის გულის მოპასუხე, არც იმის მიზნის მიმდევი კაცებია. მაშინ ეს კაცი მიემგზავსება ციხეში დამწყვდეულს ტყვეს, რომელსაც პირველ დღეს ეგრე აუტანელად არ მიაჩნია თავისი ტუსაღობა, რადგან ის ამ სატუსაღოშიაც ბევრს ახალ საგანს ხედავს, ბევრს ახალ შთაბეჭდილებას იძენს. რომელნიც იმდენად აავსებენ თუ შავი, თუ დაჩრდილული ფიქრებით იმის გონებას, რომ ის თითქმის ივიწყებს ამ თავის ტუსაღობას, შეიმალება თავის აზრის ტყავში. როგორც ტყის ბუძგი, ზღარბი და ამ გარემოებაში მანამ მოისვენებს, სანამდის თავის ახალი ადგილ-სადგომის ნივთებს და გარემოებას იმდენად არ შეაჩვევს თავის გონებას, რომ იმის ყურადღების მისაქცევი აღარა დარჩენილიყოს-რა ამ ოთხ კედელში. მაგრამ, წარმოიდგინეთ,

რომ ტუსაღი მეხუთე დღესაც ისევ იმ კედლებს ხედავს, სულ ერთი და იგივე მდუნე ბუტბუტი ესმის თავის გარემორტყმულს კედლებს იქით,საცა სხვა დამწყვდეულებიც არიან, ესმის ერთი და იგივე თოფის ხრაგუნი, ხედავს მუდამ იმავე მზვერავ თვალებს ყარაულებისას. რასაკვირველია, იმას ტანი თანდათან დაუმძიმდება, დადინჯებული გული ერთგვაროვნებით ბეზრდება, იწყებს ავადმყოფურ ფეთქვას, ოთქოს უნდა გახტეს გარეთ ახალი შთაბეჭდილებისათვისო. მაშინ ოვითონ დამწყვდეულიც იწყებს მოუსვენარს წრიალს ამ თავის სატუსაღოში. ერთს და იმავე საგნებს თანდათან იძულებს: ზერე მთელი ტანიც დაუწყებს გულთან შეხამებით ტოკვას და ღელვასა ტვინის ძაფები ეშლება და ბოლოს, თუ გარეთ არ გამოიყვანე, ახალი ჰაერი არ ასუნთქე, თქვენი მტერი, იმას მოუვიდეს. სწორედ ამნაირად ვგრძნობდი ჩემს თავს, როცა ქ...სს ვიყავი დამწყვდეული ერთსა და იმავე ალაგას უმიზნოდ, უსაქმოდ და უამხანაგოდ. იქ ცხოვრება საშინლად მომბეზრდა. არც ის მშვენიერი გორები, მინდვრები, ზრქეფარე მდინარე ათასნაირი ყვავილ-მწვანილით შემოსილი, არც ის მშვენიერი ცის ლაჟვარდი აღარ იტაცებდა ჩემს გონებას, აღარ ახალისებდა ჩემს გულს, აღარ სძრავდა ჩემს ფიქრებს. სულ მუდამ ერთმა და იმავე მშვენიერების ცქერამ დაადუმა ჩემი აზრი და გამოხატულება. მე ვგავდი სიცხით თავგარეტებულს კაცს, რომელსაც ცივი წყალი თუ მოასულიერებს, თორემ სხვა არაფერი. მე ვგრძნობდი, რომ თანდათან სუსტდებოდა ჩემი გონების მოძრაობა, მინდოდა, რაიმე ახალზე გონება შემეჩერებინა. მაგრამ ვერას ვხედავდი იმისთანას, რომ ასჯერ და ათასჯერ მაინც არ გადამეველოს თვალი. მუდამ ერთი და იგივე საგნები, ერთი და იგივე კაცის სულები მეჩრებოდენ, რომელნიც შეხედავდენ თუ აია დაღრეჯილს მჭირდავს სახეს, იქით ეიიბრუნებდენ. ვატყობდი, რომ მე იმათ შეკსძულდი ისე, როგორც ისინი მე. ჩემსა და ამ სულიერებს შორის რაღაც ასეთი ქვის კედელი იყო გავლებული, რომ ერთობა ვერ მოგვეხერხებინა. ვიყავით ასე ძაღლ-კატურად გარემოების ძალით ერთად დაბმულნი, ერთმანეთს ვერ გამოველაპარაკებოდით, ერთმანეთისთვის აზრი ვერ გაგვეზიარებინა. ამ სახით შევიქენი უსარგებლოდ მოტანტალე. ამ უსაქმობამ და ტყულა უსარგებლოდ ცხოვრებამ კიდევ უფრო ამიშალა ტვინის ძაფები. ჩემი თავის იმედი და პატივისცემა თანდათან მეკარგებოდა და დიდი ხანი რომ დავრჩენილვიყავი აქ, არ ვიცი, რა დამემართებოდა.

აი, ამ მდგომარეობაში კიკოლიკის ნახვამ ისე გამაცოცხლა, როგორც სატუსაღოდან გამოსულს კაცს ახალი ჰაერის პირველად ჩასულთქმა, მწვანე ფოთლის დანახვა. ვინ იცის, რამდენ ცოცხალს გამოხატულებას გაუღვიძებს განთავისუფლებულს ტუსაღს ეს უბრალო

ფოთოლი, რომელიც მიჩვეულის კაცისთვის სრულებით უყურადღებოდ რჩება. ეს პაწაწა ხის ფოთოლი ალადგენს იმის გონებაში ერთი მეორის ზედმიყოლით დავიწყებულს სურათებს გავლილი ცხოვრებისას: ფოთოლი ხეს აბია, ხე მიწას, მიწაზე მდინარე მოდის, მდინარესთან გაცოცხლდება იმის მეხსიერებაში მშვენერი წყლის პირები, ბუჩქები, ხეობები, სოფლები მამა-პაპეული, თავის სოფლის კუთხე, მერე ნათესავობა. თავისი ოჯახობა და ბოლოს თავის წარსული ცხოვრების სურათი. ამ სახით ამ ერთი უბრალო ხის ფოთლის შეხედვაზე თანდათან ივსება განთავისუფლებული ტუსაღი ახალ-ახალი ფიქრებით. გამხმარი ბუნება საწყალი კაცისა ნათელი სურათებით თანდათან ნედლდება. როგორც ნედლდება გოლვისაგან ფოთლებდახრუკული, დამქკნარი მცენარე. როცა ზედ წყალს დაასხამ. საწყალი ტუსაღი შეტრფის ამ ერთ ფოთოლში გავლილს უწინდელს დროებას და ზედ დაჰხარის: ბევრია ამ დროებაში ტკბილი მოგონებები, ბევრია ნათელი და ბევრი ცუდიცა. ყველა ეს მრავალგვარი სურათები ერთად გადაბმული შედგენს თითქოს ერთს მშვენიერს ყვავილის კონას; სადაც თეთრი ფერიც არის, ვარდის ფერიცა, ზამბახი, ია, ყაყაჩო და ბოლოს სულ შავი ყვავილიცა. ყველა ეს ყვავილები არიან ერთ დიდებულ თაიგულად შეკრულნი. რომელთაც დასცქერის ტუსაღი. სტკბება იმითი, ახალისებს სატუსაღოში დამჭკნარს გულს, გამოხატულებას და აზრს. სულ ეს წარსული ცხოვრების სურათების კონა ტუსაღის გამოხატულებაში აღიძრა ამ პაწაწა ხის ფოთლისაგან. ყველა ეს ყვავილები სულ იმ ფოთოლზე არის ჩამოკიდებულნი ერთი მეორის ზედ მიყოლით და იმის გონებაში შეადგენენ ერთს გძელს. ჭრელს და იმისთვის სასიამოვნო სანახაობას. აი, რის გამო წაუღია ასე შორს პაწაწა ქმნილებას იმისი გონება. ტუსაღი იმდენად ჩაღრმავებულია ამ დროს, რომ უმთავრესი მოთხოვნილებაც ავიწყდება. ძალიან რომ შიოდეს და პური შეაძლიო, არ გამოგართმეეს. სწორედ ასე დამემართა მეც კიკოლიკის პირველ ნახვაზე ქ...სს. იმან უცბად გადამიყვანა აზრით პეტერბურგის ჰავაში, ხ...სკისთან, მთელი უნივერსიტეტის ახალგაზდობასთან; მომაგონდა იმათი ცხოვრება, თავდაუდებელი შრომა, ცეცხლმოდებელი მხნეობა სამეცნიერო ჰეშმარიტების ძიებაში და სწავლაში; მომაგონდა იმათი გულის წუხილი. მიზნის აღრჩევა ცხოვრებაში, ბრძოლისთვის მზადება ყოველ ცხოვრების უწესოების წინააღმდეგ და სხ. და სხ. ამ მოგონებამ მართლაც რომ ჩემს სიცხით შეწუხებულს თავს ცივი წყალი დაასხეს. მე გავცოცხლდი, აზრები გამიახლდა. ჩავღრმავდი ჩემს უნივერსიტეტის ცხოვრების წრეში და უმთავრესი საქმე-კი გულზე გადამვარდა, და-

რავიწყდა საღათას ამბის კითხვა, გაზეთის წარმატების ამბავი, ან თუ ტ...ს საზოგადოება როგორი თვალით უცქეროდა ამ საქმეს, ან თუ ახალგაზდობა გარ'შემოსეოდა ამ ახალს საქმეს და სხ. ეს იყო ჩემი უმთავრესი ფიქრი, უმთავრესი საგანი, გული ამ საქმისკენ მიმიწევდა. მიზანი ჩემის ცხოვრებსა აქეთ მქონდა და ამ უმთავრეს საგანზე კიოხვა სულ გამომეპარა ჩემი გონებიდან. შემდეგ ჩემი მგზავრების თეისებამ, იმათმა მოქმედების ამბავმა გზაზე ისე ჩამითრია, რომ სანამ მაღალ ქედზე არ აეედით და იქითა პირს არ გადავდექით, მინამდის კიკოლიკს სულ აღარ დაელაპარაკებიეარ. მე, კიკოლიკი და ერთი თავადი სვანი, რომელიც თან იმათ სოფლიდან წამოგვყვა. დავწინაურდით. ეს სოფელი ბევს ამ მთის ძირას, ხევის პირზე. ჩვენ დილით ადრიანად ავატანეთ და ქედზე რომ ავედით, მზე კარგად გადახრილი იყო, სოფლის სამხრობაზე უფრო გვიან შეიქნა. პირველად რომ გადავხედე ამ აუწვდენელი ქედიდან პირიქით ხეობას, საშინლად გამაოცა. ივნისის გასული იყო, მაგრამ ქედზე ჯერ თოვლი არ იყო კიდევ აღებული. ჩრდილოეთის კავკასის ცივმა ქარმა მობერა და ხეები დაგვიყინა. ჩვენ მოვხსენით მაშინვე ცხენებს ნაბდები და შოკგამოვეხვიეთ. საკვირველი სანახავი დაიხატა ჩემ თვალებს წინ. გალმით შორს ჩაყუდებოდენ უზარმაზარი მთები დევებსავით და მომეტებული ნაწილი სულ თოვლით იყო შემოსილი. ჩვენ ვიდექით მთაზე. მაგრამ იალბუზიდან მოყოლებული წურნიალამდის ისეთი მაღალ ქედებად მოგვეჩვენენ, რომ'ასე გვეგონა, რიონის ეაკეზე ვართ და ახალციხის მთებს 'მევყურებთ-მეთქი. ის ხეობა იყო ჩაღრუბლული, ჩაშავებული. აქაურს ბუნებას მომეტებულად ბნელი ფერი ედვა. აქ ხეებს 'ითქ'ილ. კუპრის ფოთლები ასხიაო. ტყეები ჩაშავებული, ხეობები ჩაბნელებული და კლდეები თითქო ნასშირისფრად იყო შეღებილი. მთელი ბუნება პირმოქუ'ბული, სასტიკად დალვრემილი კაცის სახედ მომეჩვენა. ყოველივე აქ ისე იყო შეზავებული, რომ ტანჯვა-მწუხარებასა და შიშის მეტი არაფერი უნდა ეგრძნო კაცს. ამ შავის ჯოჯოხეთის არეულან მოგვესმა რაღაც ღმუილი, თითქოს ცისა და ქვეყნის განკითხვის დღე მოახლოებულაო. ეკითხეთ სვანს, ეს ზარის ხმა რისგან უნდა იყოს-მეთქი.

— აი, პირდაპირ ხომ ხედავ დიდს თოვლს, იმას სიგრძე სიგანით ერთი დღის სავალი აქვს. იქ იმდენი თოვლი და ყინული არის ჩაგროვებული, რომ იმ ორ მთას შუა ალაგი სულ იმითია ამოვსებული. ამდენი ვაება თოვლს ზაფხულობით ძირი ულხვება, იწევს. ძირს ჩამოდის მთის წვერებიდან. არღვევს კლდესა და იმისი ხმა არის. — ამ დროს შორს იალბუზისკენ დაეხვია შავი ნისლი. ცოტა ხანს იქით ჩვენ მახლობლადაც არწივმა ფრთა ჰკრა. „მალე ჩავიდეთ ამ ფერდობზე, თორემ წვი-

მა და ჭექა-ქუხილი ატყდება". — გვითხრა სვანმა. — როცა იალბუზს შავი ნისლი დაეხვევა და არწივი ცაში დაიწყებს ნავარდს მაშინ უსათუოდ ქარიშხალი ატყდებაო. ცივი ქარი თანდათან ძლიერდებოდა, ჩვენ ისეთ წერტილზე ვიდექით, რომ იქიდან რამდენიმე ხეობა ჩნდა გაღმა-გამოღმით. ამ ორ ხეობას მარტო ქედი ჰყოფდა, მაგრამ ისე საშინლად განირჩეოდენ ერთმანეთისაგან ეს ორი ქვეყანა, რომ სწორეღ ორი განკიდურებული დედამიწის კუთხე ეგონებოდა კაცს: ერთი თავში მდებარე და მეორე ბოლოში. გადმოღმა ხეობა კაცის თვალის გამაცოცხლებელი მწვანით იყო შემოსილი. აქ წითელი ყაყაჩო, ტყის ვარდი და მრავალ-ფეროვანი დიდ-დიდი შქერის ყვავილები ერთმანეთში იყო არეული. ესენი იყვნენ სქლად გაბანდულები მთის სამხრეთის-ფერდობზე. ალაგ-ალაგ გამოჩნდებოდა რგკალი მინდორი სქელი მწვანის ხავერდით მოფენილი, რომელიც ათას ფერად იყო აქრელებული მინდვრის სურნელოვანი ყვავილებისაგან. ცოტა ამ ალაგებს რომ მოაშორებდი თვალს. შემდეგ თვალის სეირს ახალისებდა უზარმაზარი მუხის, წიფლის და წაბლის ხეები, რომელნიც სწორედ ზურმუხტის ფრად ღებავდენ ყოველსავე: შორიდან მართლაც ეს ფერები ისე შეზავებულია ამ ბუნებაში, რომ მგზავრს ძვირფასი თვალითა და მარგალიტით მოჭედილი ჭგონია აქაურობა. ამას გადაწმენდილი ლაჟვარდის კამარა გადააფარე და მაშინ იტყვი: თუ სადმე ქვეყანაზე სამოთხე: ამ კუთხეებში უნდა იყოსო; თუ კაცი სადმე გაიხარებს, გაიზდება, გონება გაეშლება, აქ უნდა გაეშალოსო. ვისი გული არ იფიქრებდა მხიარულად ასე მდიდრად შემკულს ბუნებაში? ამ დროს ერთს ჩვენს მომდევარს სვანს მოვკარი თვალი, რომელიც მთის ბილიკზე ისე ჩქარა მოდიოდა, თითქოს მოძუნძულებსო. აი, მხოლოდ ის იყო დაღვრემილი. ბუნება იმ მშვენიერს ამინდში იცინოდა, თავის აურაცხელს სიმდიდრეს ვარდის ფარფლებსავით თავს გვაყრიდა, მაგრამ სვანს მაინც მთელი ეს ხეობის გაყოლება ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა. მთელი გზა იმას ერთხელ არ გაუცინია. ისე დაღრეჯილი მიდიოდა, თითქოს ან ცოლი, ან დედა ახლად დაემარხოს. როგორც-კი შედგა ფეხი მთის წვერზე ამ სვანმა და დაინახა თავისი შავი მისებრივ ცხვირპირ ჩამომტირალი ქვეყანა. თითქოს ელექტრონული ძალა გატარებულიყოს იმის გვამში, ერთბაშად გამოიცვალა, სახე გაუნათლდა, ერთი საშინელი დაიყვირა, „სამშობლოვო", შეხტა და ქუდი მაღლა ააგდო. მერე დაჯდა. პირი თავის შავ ქვეყნისკენ მიიბრუნა და სასიამოვნო ხმით მოჰყვა სიმღერასა:

ცბრა მთას იქით გაეეშურე.
ჯავრი წამყვა ქალისაო.
ჩემო მიწავ, ისევ გნახე,
შეხტი. ბიჭო, ამ მთისაო.

—

იქა ვნახე ბროლის კოშკი,
ნათობს პირი მთვარისაო,
იმას ჩემი შავგვრემანი
ვამჯობინე ამ მთისაო.

„აქ შემოდი, მთვარე ნახე,
სცადე ცეცხლი გულისაო“.
შავგვრემანი დამეეიწყა!
ვერა, ვერ ვქენ მწარისაო.

—

იქ თვალი და მარგალიტი
თავს მაყარეს მთვარისაო.
იმ მარგალიტს მელნის ტბები
სჯობდა შავგვრემანისაო.

—

ჩემ კლდიან გორა-მიწაზე,
შავს მეწყერში ამოვეო;
შავგვრემანს თან შეეზარდე,
მითხრეს, სულ ეს დატოვეო.

—

არც თვალი. არც მარგალიტი,
არც ბროლის კოშკი მთვარეო,
არც ის სამოთხის ქვეყანა
არ ვინდომე. წამოვეო.

—

შავო კლდეე. შავო ქვეყანავ,
ისევ შენთან გადმოვეო;
შავგვრემანმა თან შემიტკბოს,
შენ, შავო ხევ, დამჩრდილეო.

—

შავო ღრუბელო, დამფარე,
ქარიშხალო, დამარწეო,
დიდი ხნის მოშორებულსა
ნეტარება გამიგრძეო.

ჩემო მიწავ, კიდევ გნახე,
შენტი, ბიჭო, ამ მთისაო;
შავგვრემანი ჩემკენ მორბის,
ანკარა სდის ცრემლისაო.

მთელი იმ მთის ფერდობი სოფლამდის ისე ჩავიარეთ, რომ სვანს ეს სიმღერა არ გაუწყვეტია; იმის სახე უფრო და უფრო გამხიარულდა, წარბი გაეხსნა, თვალებმა დაუწყო თამაში, თავის ამხანაგებს მოუხშირა არაკებისა და მხიარული ამბების ლაპარაკი, იმათაც აცინებდა და თვითონაც იცინოდა. გამოდგა, რომ ეს სვანი ხუმარა და მხიარული ბუნებისა ყოფილიყო. მაგრამ მე რომ მისი დაჯავრიანებული სახე მინახავს ჩვენში, როგორ წარმოვიდგენდი, თუ სვანებს ამისთანა მხიარული ხასიათი ექნებოდათ. სოფელს თანდათან მიუახლოვდით. ეს სვანური სოფელი იყო ენგურის გაღმით. ყველა სახლები თეთრი ქვით იყო ანაგები, შორიდან სულ თლილი ქვის გეგონებოდა; მაგრამ ახლოს-კი ოთხკუთხი გათლილი ფილაქნების მეტი არა იყო-რა. ყველა სახლი ზევიდან ფართო შავი ქვის ფილაქნებით იყო გადახურული. საიდან შოულობენ-მეთქი ამისთანა მშვენიერს სახურავს? — აქაური კლდეები სულ მაგისთანა ქვისგან არის შემდგარიო, — მითხრა გიორგი სვანმა. შორიდან ყოველი სვანური სოფელი პაწაწა ქალაქი გეგონება. ქვის სახლები ერთი-ერთმანეთზე მიყრილია, ყოველ სოფელს გარშემო ავლია ქვიტკირის კედელი, კუთხეებთან მაღალი კოშკებია ამართული. თურმე იქ უწინ ყოველი სოფელი წარმოადგენდა საკუთარ სახელმწიფოს თავის საერო მართველობით. სოფლები ერთმანეთს მიუხტებოდენ, აწიოკებდენ და, აი, ამ გაჭირვებამ შეაგროვა ისინი ერთად და ყოველი სოფელი ქვის კედლებით და კოშკებით გაამაგრებინა. პირველსავე მამასახლისის ხმაზე სოფლელები შეიყრებოდენ. ყოველი კაცი თავ-თავის ალაგას დგებოდა, ზოგი კოშკს ამაგრებდა, ზოგი ალაყაფის კარებთან იყო და ზოგი გალავნის კუთხეებში. ამ შემთხვევაში დედაკაცებიც მამაკაცების საქმეს ასრულებდენ. სვანის ქალი, თუ დაჭირდა, თოფ-იარაღს ჩინებულად ხმარობს.

ივლისის დამდეგი იყო და ღამით ისე ციოდა ხოლმე, რომ ჩვენში ნოემბერშიაც არ ეცივება ისე. ხეობას რომ ჩავუყევით, თითქოს ციხის დერეფანში ჩავეჭედეთ ვისმე. ყოელის მხრით მთის კედლები იყო ამართული. ერთი ცხენის მოტრიალება მინდორიც აღარსაით გვინახავს. მუდამ ცხვირის წინ გვეტუზებოდენ ბურუსიანი შავი მთები. ზევით თუ აიხედავდი, ასე გეგონებოდა. ცა სწორედ ამ მთის წვერზე არისო დალაგებული, როგორც ციხის გუმბათი. ამ ბუნების სივიწროემ თანდათან შემიხუთა სული. მე მეგონა, თუ ეს მთის კალთები დღითი დღე,

ერთმანეთს უახლოვდებოდენ და უნდოდათ ჩემი გასრესა. მუდამ დღე გულჩახვეული არყის ტყისა და მჭოთავი ხევების მეტს ვერას ვხედავდი. ბოლ-ადენილი მთები-კი ისე უძრავად იყენენ ერთმანეთზე მიწყობილნი და იმათი შეურყეველი სიჩუმე, იმათი გამოუკლეველი საიდუმლოება თანდათან უფრო და უფრო მაწუხებდა, მაშინებდა. ამასთანავე ჩრდლოეთით უზარმაზარი ყინულის მთა წამის-წამს გრიალებდა, თითქოს ზარბაზნის სროლა აქვს გამართულიო. თითონ სვანებიც. დაღერემილები და გულჩახვეულები. ხშირად გმირულნი შესახედავნი, თავიდან ფეხებამდის დაიარაღებულნი, ვერ იყენენ ჩემს გონებაში კარგი სამეზობლო კაცები. ისინი საკვირველად შეხამებულნი იყენენ ტანსაცმელით. ზნით და ქცევით თავის ველურ ბუნებას, თავის დევ-ყაჟებს და დევ-ყლდეებს. მაგრამ მე-კი მთელი ეს გარემოება თანდათან თავს მაძულებდა. როცა ბინაზე მივედით, სვანეთი შავმა ნისლმა დაჰფარა. მე და კიკოლიკი ერთად ვიდექით. მეორე დღეს ძალიან გულდაჩაგრულმა შევბღავლე კიკოლიკს: როდის იქნება ჩვენ გაშლილს მინდორში თავისუფლად ამოვისუნთქოთ-მეთქი. მე რომ აქ ერთი თვე დამაგვიანდეს, ვგონებ ამ უზარმაზარმა ციხის კედლებმა. მუდამ ჩამომტირალმა და ჩამოშლამულმა. ქლექში ჩამაგდოს-მეთქი. ახლა, როდესაც შევამზგავსე ჩემი და სვანის მდგომარეობა ერთმანეთთან — ის აქ ხტოდა მთის ნადირივით, მოსწონდა ეს მქისი ქვეყანა, თუმცა აქ მოსაწონი არა იყო-რა ჩემთვის და შვილს მოვუნათლავდი, ამ ღრე კლდიდან რომ ვისმე გავეყვანე — მაშინ-კი ვიფიქრე-რომ აქ სწორედ სხვა რამე კაცის გაუგებარი და აუხსნელი ბუნების მიდრეკილება უნდა მუშაობდეს-მეთქი. სვანებს რომ აღარ გავეშვი. და ძალა დაეტანებიათ ჩემთვის, აქ დადექი და ჩვენებურად იცხოვრეო, თქვენი მტერი მე დამემართებოდა... ან არა და თვითონ იმ სვანისთვის, რომელიც ჩვენში იყო, ქართველებს რომ ძალა დაეტანებიათ, ჩვენში დაემწყვდიათ, მე რომ იმისი მწუხარე სახე მინახავს, მგონია, ერთ წელსაც ვერ გაძლებდა. მაშ არ ვიცი, ვისთვის იქნებოდა გამი. სადექი ეს ძალდატანება, ვინ რას მოიგებდა ამ ძალდატანებით: ან მე. ან ის რომ მოვეკალით? დაე. სვანი თავის შუღლიანს სვანეთში შებუდულიყო და მე ჩემს აყვავებულ ქვეყანაში. ორივე ჩვენს შესაფერს ბუნების წრეში ვიქნებოდით ჩაყენებული და იქ სხვა გარეშე მიზეზი თუ არ დაგვიშლიდა ბედნიერებას. ბედნიერიც უნდა შექნილვიყავით. თუნდ ოქროში ჩამსვი და ამ მტირალა კლდის ძირში მამყოფე, მაინც ჩემს ბედს დავიწყეველი: თუნდ ალმასის კოშკი დაუდგი სვანს ჩვენს ქვეყანაში, მაინც თავის ლორღიანი კლდისაკენ გაიქცევა... ამ ფიქრებმა სხვა უფრო ფრთებ-გაშლილი ფიქრები გამიღვიძეს. მე დავუკვირდი ისტორიულს შემთხვევებს და იქ ბევრი ვნახე ისეთი მაგალითები.

სადაც ერთი ხალხი მეორე ხალხს ძალას ატანდა: არამც და არამც არ გამექცე, უსათუოდ ჩემთან დარჩი და ჩემებური თვისება მიიღეო და, როდესაც არ დათანხმებულა, რომელიც უფრო ძლიერი ყოფილა, იმას მოუნელებია უფრო სუსტი ცხოვრება. მე წარმომიდგა, მაგალითად, რომაელების ბრძოლა კართაგენელებთან და კართაგენელების გაქრობა დედამიწის ზურგზე; მერე რომაელების ბრძოლა ებრაელებთან, ბერძნებთან, ეგვიპტელებთან. ასურელებთან და ბოლოს ვნახე, რომ თუმცა ეს წარჩინებული ხალხები გონების ძალით და ჭკუის თვისებით ბევრად სჯობდენ რომაელებს, მაგრამ, რადგან რომაელები ბუშტი-კრივში და ხანჯლის ხმარებაში უფრო ხერხიანები იყვნენ, ეს ამდენი ძვირფასი ქვეყნის საუნჯე ხალხები სულ იმათ დაეფატრათ და ჰაენთქათ. ნუთუ კაცობრიობა რამდენიმე საუკუნით წინ არ იქნებოდა ახლა, რომ ზემოხსენებული ხალხები აქამდის ცოცხალი ყოფილიყვნენ? ნუთუ ერთი ათად არ იქნებოდა გადაქცეული საქვეყნო მეცნიერება, განათლება და ჩვენი ცხოვრების კეთილმდგომარეობა-მეთქი? დიაღ, ეგრე იქნებოდა, დიაღ, ჩვენ ბევრად უფრო წინ ვიქნებოდით ახლა, ბევრად უფრო ბედნიერი ვიქნებოდით. ამის მაგალითი ცხადად ვიცით ისტორიიდან. კართაგენის ხალხმა რომ გმირი აღზარდა — ანნიბალი, ებრაელებს შუა რომ ქვეყნის მხსნელი დაიბადა და ბერძნებს შუა მეცნიერი და მოქალაქეობის მცოდნე კაცები იყვნენ. იმათი ფასი რომაელის ხალხს არცარა დაუბადებია-რა, არც-არა გაუზდია-რა და არც-არა გაუკეთებია-რა; მაგრამ ამ ველურმა ხალხმა კი გაბედა მონელება ამდენი კაცობრიობის საუნჯისა. ნეტამც სარგებლობა მაინც ენახა, ნეტამც რამე შესძენოდა ამითი. ის კი არა, ამ დიდებული ხალხების სისხლში თვითონაც დაიხრჩო. ამ ხალხის კვალიც არ არის ქვეყანაზე, გარდა იმის მკვდარის ენისა; რომლითაც ბევრის ხალხის გონებას აქამდის ჰკერენს და წინ არ უშვებენ. იმისმა ბოროტებამ იმდენზე მიაღწია, რომ საფლავიდანაც არ აძლევს ქვეყანას მოსვენებას. ხალხი გაჰრქა დედა-მიწიდან, მაგრამ იმისი ჩრდილი შავს კბილ-დაკრეჭილი ეშმაკსავით დაფოთარობს ახლანდელს ხალხებს შორის და გონებას აჩერებს. იმისი ლათინური ენის სწავლებაში ახალგაზდა ჰკარგავს თავის ქორფა ქალას, საუკეთესო დროს. იმას ტვინი უმძიმდება, გამოხატულება ეჩაგრება და მეცნიერებას აღარ არგია. ამნაირმა ქვეყნის უსამართლოებამ ძალიან შემიძრა ტვინი. თუ მართლა ქვეყანას და ქვეყნის საქმეს კეთილი ბოლო ჰქონდეს-მეთქი, ვიფიქრე, თუ მართლა კეთილი ბოროტზე ძლიერი იყოს, რათ უნდა დაჩაგრულიყო-მეთქი ქვეყნიერობაზე ამდენი სიკეთე? არა, დავიყვირე სასოწარკვეთით, ქვეყანაზე მარტო ერთი ბოროტი მძლავრობს, მარტო ბოროტი მეფობს და, ადრე თუ გვიან, რომ ქვეყანა სულ

არ წაილექოს, შეუძლებელია-მეთქი. მით უფრო ვარ ამ აზრზე დარწმუნებული, რომ ამდენ ხალხების ცხოვრებას. ამდენს ისტორიას კაცობრიობა ვერ ვაუსწორებია. მე დღესაც ყოველგან ვხედავ იმის კვალს, რასაც რომაელები სჩადიოდენ: დღესაც კაცობრიობა იმ გვარადვე სდევნის განსხვავებას, მრავალ-გვარობას.. ჩემი შენ არ მოგწონს. შენი მე. მე მინდა. ჩემს წესზე მოგაქცეო, შენ-კი შენს წესზე ცდილობ ჩემს გაღაყვანას და ამისთვის არც დასაჩაგრავად ეზოგავთ ერთმანეთს. არც მოსაკლავად. რაღაც საშინელს ბოროტ მიდრეკილებას ჰსურს, მთელი კაცობრიობა ერთ კალაპოტში ჩააყენოს, ერთგვარი მიდრეკილება მისცეს. კაცობრიობა სცდილობს. რომ ქვეყანაზე სულ გაჭრილ ვაშლსავით გვანდენ კაცები ერთმანეთს როგორც შინაგანი აგებულების მოძრაობით. ხასიათით. გონების თვისებით, ენით, ისე გარეგანი სახით, მიხრა-მოხრით. ტანსაცმელით. ყველანი ერთად უნდა სჭამდენო, ერთად უნდა სვამდენო, ერთად...ერთად ფუ. დასწყევლოს ღმერთმა სულ ერთად და ერთგვარი არსება. მართლაც რომ ამ ერთგვაროვნებაში ჩავარდეს კაცობრიობა, რა უძრაობა იქნება ტვინისა-მეთქი! რაც ერთს ექნება აზრში. ის ყველას. რასაც ერთი იტყვის. ყველა იმას გაიმეორებს. მაშ აღარც ახალი აზრი იქნებოდა, აღარც ახალი ამბავი, აღარც ახალი მოვლენა, აღარც ახალი გარემოება. ოჰ. რა შესძაგდებოდათ კაცებს ერთმანეთი! მაშინ, მეტი ღონე არ იქნებოდა, თვითონვე უნდა დაეხრჩოთ თავიანთი თავები, თავის ხელით. უნდა გამოეჭრათ ყელი. რადგან სულ ერთი და იგივე ამბის ცქერა კაცის გამაგიჟებელია. ამ ფიქრმა სასოება წარმიკვეთა. შევშინდი მით უფრო, რომ მე კიდევ ცხოვრება მქონდა აზრში და წამოვიძახე გაბრაზებულმა მოწინააღმდეგესავით: არა-მეთქი. ეგ მიდრეკილება ქვეყნის ცხოვრების წინააღმდეგია და ამის გამო მაგნაირს მიდრეკილებას. დიდი ხანი არ უნდა ჰქონდეს-მეთქი. თვითონ ძირითადი თვისება ბუნებისა ეწინააღმდეგება მაგნაირს მიდრეკილებას. შენ ვერ ხედავ-მეთქი. ჩემს თავს უთხარი, მეორეგვარი ძალის ბრძოლას. რომელიც ამ ცუდს მიდრეკილებას ეწინააღმდეგება-მეთქი. აბა შეხედე, ყოველი არსება თავის სიცოცხლის გულისთვის როგორ ებრძვის მაგ საზოგადო წარღვნის მომასწავებელ ძალას. ვერ ხედავ. ყოველი არსება თავის თვისებას, თავის ბუნებას. თავის გარემოებას, თავის ფეხის დასადგმელს ალაგს როგორ იცავს-მეთქი? ვერ ხედავ. როგორის ძალდატანებით იმაგრებს ხელში თავის ძვირფასს კუთვნილებას? შეხედე სხვა ხალხებს. ფრანციას, შვეიცარიას. იტალიას. საბერძნეთს, ჩეხიას. ამას მოითხოვს თვით ბუნების კანონი, ბუნების მრავალ-გვაროვნება. მხოლოდ მრავალ-გვაროვნებას მოაქვს ერთმანეთის განახლება, ერმანეთის წინ-წაყენება, ერთმანეთის გამხნევება საუკეთესო მაგალითებით.

სანამდის უკეთესის უკეთესი არ დაილევა, მანამდის ეს ძალა თავის ბრძოლასაც არ მოიშლის და ამაშიაც მდგომარეობს საზოგადო კეთილ-მდგომარეობის ძიება. მაშ აკურთხოს ღმერთმა ყოველი განცალკევებული საგნის არსებობა, თუნდ რომ ჭიანჭველაც იყოს და დასწყევლოს-მეთქი ის ძალა, რომელიც იმის უდროვოთ გასრესას ნდომულობს, ამ ფიქრებში და გულის წუხილში რომ ვიყავი, შემოვიდა ჩემს სადგომში კიკოლიკი და ერთმა იმისმა შეხედვამ სხვა უფრო ნათელი ფიქრები აღმიძრა. იმან მომაგონა საღათა, ქალაქი ტ...სი და საზოგადოდ ჩვენი ახალგაზდობის მოძრაობა.

XIII

— კიკოლიკო, საღათა როგორ არის, ან რა მდგომარეობაშია ტ...ს გაზეთის საქმე? — ვკითხე გულ-გადაყრილმა კიკოლიკს.

იმას თითქოს გულში ტყვია მოხვდაო, ისე შედგა, ცოტად საბეზე გაწითლდა, მერე უხეიროდ გაიღიმა და დაბალი ხმით წაილაპარაკა:

— ჰო, რა უშავს, კარგად არის.

ამ მოქმედებამ, ცოტა არ იყოს გამაკვირვა, თითქოს საკითხავი რამ მქონდეს და ველარ მომეხერხებინოს, თვალი გავუჩერე. იმან იგრძნო ჩემი გაკვირვება, ძირს დახარა თავი, მოტრიალდა უკუღმა, დაჯდა და დაიწყო ლაპარაკი.

— ოჰ, რა გაიძვერა შარლატანია ეს ჩიკოლიკი. — ამ სიტყვებმა კიდევ უფრო გამაშტერა. ვთქვი ჩემ გუნებაში, სიტყვა ბანზე ააგდომეთქი. მაგრამ ამ ჩიკოლიკს მაინც რაღას ემართლებოდა, ამ თავის გულითადს მეგობარს. გზაზე იმათთანა შეთვისებული მეგობრები არც უნახავს კაცს. ყოველი ჩიკოლიკის მუსაიფზე, მსჯელობაზე, ოხუნჯობაზე კიკოლიკი მიუცილებლად კვერს დაჰკრავდა, ან იტყოდა მაგიერს, მაგრამ ისეთს-კი, რომ ჩიკოლიკის ნათქვამის ან ამხსნელი, ან დამმატებელი ყოფილიყოს. ხშირად ჩემს უკმაყოფილებაზე, როცა ჩიკოლიკი პირმოხსნილ გუდასავით ტყუილების პენტვას მოჰყვებოდა, კიკოლიკი მეტყოდა, რა ეუყოთ, ხანდახან იქნება გადაამეტოს, მაგრამ მაინც რიგიანი კაცია, უკითხავს კიდეცო. მე ამ დამტკიცებაზე კიდეც უთხარი, ალბათ ჩიკოლიკს შენთვის შვილი მოუნათვლინებია, რომ ეგრე პატივს სცემ და ქომაგობ-მეთქი. ერთხელ საღამო ხანია, მინდორზე ვზივართ, გარს სვანების აზნაურები სხედან და ჩიკოლიკი თავისებურად მჭერმეტყველობდა. სვანებს ბევრს არ ესმოდა ქართული ლაპარაკი, ზოგი კი ჩიქორთულად ლაპარაკობდა. ამინდზე, ყანის თაგვებზე, მთაზე, ბარზე, ვინ იცის, რაზე არ ჩამოაგდო კიკოლიკმა

ლაპარაკი; ბოლოს ერთი დავარდნილი ავათმყოფის ამბავი წარმოსდგა სცენაზე. სვანები ამბობდენ:

— ეს ერთი წელიწადი წევს და ვერ წამომდგარა, ახველებს ძალიან, ნახველიც ბევრი ამოაქვს, ფერდები სტკივა; არ იქნა, ვერა მოუხერხეს-რა, ვერ წამოაყენეს ზეზე.

— რანაირად აუტყდა ავადმყოფობა? — ჰკითხა კიკოლიკმა ისეთი თავმოსწონებით, ლითქოს ჯანაბანი ექიმი ყოფილიყოს.

— ტყეში იყო, ბატონო, ფიცრების სათლელად შემოდგომაზე, იქ გაცივებულიყო, სამი ღამე მიწაზე წოლილიყო და მიწიდან აჰყოლოდა მავნე სული.

— აჰ, აჰ, აჰ! არა, ეგ მავნე არ არის. — განაგრძო ჩიკოლიკმა. — ეგ გაცივების ნიშანია და ბუასილის ქარები გულში წამოსულია. შე კარგად ვიცი, ეგ ავადმყოფობა.

მერე მოგვიბრუნდა და გვითხრა:

— Я читал трактат об этои болезни в Архиве судебной медицины. იქ ძალიან გარკვევით იყო მოხსენებული, თუ როგორ იწყება ეგ ავადმყოფობა, ან როგორ იბნევა ტანში და ან რა მოუხდება. — ამას შემდეგ მიიბრუნა პირი სვანებისაკენ და უთხრა: — მე ძალიან კარგი წამლობა ვიცი მაგ ავადმყოფობისა. მერე დაგიწერთ და აფთიაქში იყიდეთ.

— რა, რა წამალი იცით? — ჰკითხა კიკოლიკმა, თუმცა იმის საზის გამომეტყველებაზე შევნიშნე, რომ უფრო დაცინებით ჰკითხავდა. ვიდრე ნამდვილად. იმანაც კარგად იცოდა კიკოლიკის ოინები, მაგრამ ისე მეგობრულად და პატივისცემით ეტყოდა, თითქოს ძალიან ღირსი შეგობარი ეშოვნოს. მე ალბათ სიყმაწვილით მომდიოდა, რომ გლახათუბანს შემდეგ კიკოლიკის საუბარი ყოველთვის ძალიან მაჯავრებდა. ჩუმად დავარქვი ეს სახელი „შარლატანისიმუს“ და, თუ გამოვესარჩლებოდი ბაასში, უსათუოდ ჩხუბი მოგვივიდოდა, თუ არა და უნდა გამეცინა ხმა მაღლა. ჩიკოლიკს ორივე ძალიან სწყინდა. ამ დროს კუდაბზიკა მოშორებით თვალებს მიბრიალებდა: „ერთი მე შენ თუ არ გაგლახე, ღმერთმა ნუ ქნასო“, — ამბობდა გულში.

კიკოლიკის კითხვაზე ჩიკოლიკს ენა დაება. უნდოდა, როგორმე ეადაეფუჩეჩებინა, მაგრამ ველარ მოახერხა.

— ძალიან მინდა, მე თვითონ ვიცოდე ეგ წამალი, მაგ ავადმყოფობის ნიშნები, თქვენ რომ განმარტეთ, მეცა მაქვს.

— ოჰ, ბატონი ბძანდები... გეტყვი, — ყოყმანით მიუგო ჩიკოლიკმა.

მე თვალები გამოვაჭყიტე, შევატყე, რომ არ იცოდა და მოგონება უნდოდა. იმან დაუწყო ყურება კიკოლიკს თვალებში, თითქოს

უნდოდა ჰკითხოს: თუ არ მიმიხვდები სიცრუეს გეტყვიო. კიკოლიკმა თვალები ძირს დაუშვა და კიდევ უფრო ფილოსოფოსური სახე მიიღო.

— კარგად არ მახსოვს და მოვიგონებ, დამაცა. მიქსტურა... მი...მი-ქსტურა... ღმერთო, ერთი მომაგონე... ჰო, მიქსტურა ღემმა-როიდალნაია, — წამოიყვირა ჩიკოლიკმა.

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა! — გადვიხარხარე ხმა მაღლა და დავაყოლე „შარლატანისიმუს".

ჩიკოლიკი გაფიცხდა, მაგრამ იმდენი გონიერება კიდევ იხმარა, რომ არ წამეჩხუბა, ჩაიკვნიტა ენა, იქ სვანებთან არ უნდოდა გამოეაშკარავებინა თავი. აბა, რა სინიდისი მისცემდა? ის იყო, სტუმრად მივედით უცხო ქვეყანაში და იქ სტუმრებს ერთმანეთი დაგველახა? გაწითლდა საშინლად, პირი უცბად მიიბრუნა სვანებისაკენ და დაუწყო იმათ ლაპარაკი. კიკოლიკი ჩემი სიცილის დროს კიდევ უფრო გაბრაზდენდა, თითქოს უნდოდა ჩიკოლიკისათვის დაემტკიცებინა, მე ძალიან მჯერა თქვენი მეცნიერული განმარტებაო.

მეორე დღეს კიკოლიკმა გამიხმო ცალკე და დამარიგა, ნუ ეგაასები მაგ ჩიკოლიკს, თორემ ერთს რასმე ცედს აგიტეხსო. როგორც შეეიტყე, ჩიკოლიკს კიკოლიკისთვის ეთქვა, „მეორეთ რომ გამოესარჩლოს, ელეწავო. შენი ხათრითო, თორემ აქამდის მაგას გავლახავდიო". ამ ამბის შემდეგ ჩიკოლიკისთვის ხმა აღარ გამიცია. ჩიკოლიკი და კიკოლიკი ერთმანეთს ძალიან გაუტკბენ. ჩიკოლიკმა უმატა კიკოლიკის ალერსსა და პატივის ცემას, სურდა, დაემტკიცებინა ჩემთვის, რომ აი, კიკოლიკი შენზე უფრო სწავლულია, უფრო დიდი თანამდებობის კაცია, მაგრამ მაინც არ დამცინისო, მაინც მართალი ჰგონია ჩემი ლაპარაკი და შენ ვინა გდიხარო.

ამის შემდეგ მე ძალიან გამიკვირდა, რომ კიკოლიკმა ჩემთან ჩიკოლიკის ძაგება დაიწყო.

— რა შარლატანია ეს ჩიკოლიკი! — განაგრძნო კიკოლიკმა: — გამბერა ტყუილებით. ყურები აღარ მაქვს იმის ლაპარაკით. დაიწყებს მოშლილი წისქვილივით უთავბოლოდ რახა-რუხს და რომ დასასრული არა აქვს! ნეტამც მართლა რამე ეკითხოს. მგონია, რაც რუსეთში ჟურნალები გამოდის, ყველა სტატიების სათაურები გაუზეპირებია მარტო. ხან აქ გადმოხტება, ხან იქ; ხან იტყვის, ამა და ამ სტატიაში ასე ეწერაო, ხან იტყვის, მეცნიერებს გამოუკვლევიათო, რომ დედამიწას სხვა მნათობი უნდა დაეცეს და სულ ერთიანად უნდა დაფშვნაო. მაგისი მსჯელობა სწორედ იმ მეგატონეების საუბარსა ჰგავს, რომელნიც ანტონოვს მზის დაბნელებაში გამოუყვანია: „ამბობენ, მზე რომ დაბნელდება, ცის არწივები ჩამოვლენ და თვალებს დაგვჩეკენო". ეგ

ნა დაუჯერებულ სიცრუეებსაც როშავს, — დააბოლოვა კიკოლიკმა. მამა-ოხრის შვილი არც იშლის მეცნიერებაზე მსჯელობას და ამისთანა დაუჯერებელ სიცრუეებსაც როშავს, — დააბოლოვა კიკოლიკმა.

— თქვენ სულ ყოველთვის თავაზიანად ექცევით, — ეუთხარი ირონიულად. — მაგას ისე ჰგონია, რომ შენ ყოველივე მაგის სულელობა ნამდვილ ჭეშმარიტებად მიგაჩნია. მაგასაც თავი გაუვიდა და ატყუებს ამდენს გონება-დაბნელებულს ხალხს.

— არა, ეგეც ახირებულია, შენ რომ იქცევი: როგორ შეიძლება ისე პირში თქმა: ეწყინება, გული მოუვა, იქნება ცუდი რამე შეგამთხვიოს და, თუ არ შეგამთხვია, მერე ქვეყანაში დაგიწყებს ლანძღვას და თავის მოჭრას, — სთქვა კიკოლიკმა.

— არა, ჩემის აზრით, ქვეყანა თუ აგრე დაბრმავებულია, მაგისთანა კაცების პატივისცემით არის; და ეგ შენი ბრალია, კიკოლიკო, და შენისთანა კაცებისა. დარწმუნებული იყავი ერთხელ და ორჯერ რომ კარგად ჩასჭრა საზოგადოებაში მაგისთანა კაცები, მერე თავს ველარ გამოჰყოფენ. ჩვენი საზოგადოება და ხალხი ღმერთმა ისე ნუ დააბრმავოს, რომ ცხადად გამოთქმულ ჭეშმარიტებას გვერდი შეუაროს. არა, ეგ ტყუილია. ჩვენს საზოგადოებას და ხალხს იმდენი გონიერება კი აქვს, რომ მალე მიხვდება, ოლონდ შენ დაანახვე, რომ ე ს მ ა რ თ ა ლ ი ა და ე ს ტ ყ უ ი ლ ი. მაგრამ შენ რომ საზოგადოებაში მაგისთანა შარლატნებს წაუყრუებ, ეგეწიც, შენით იმაგრებენ ზურგს, ამბობენ: აი, განათლებული კაცია, მაგრამ მაგას ლაპარაკში და აზრობაში მე ვჯობივარო. ეგ არაფერს ამბობს და მე ბევრს შესანიშნავს და ჭკუის მასწავლებელს აზრს მოგახსენებთო.

— შენ რომ ამბობ, ეგრე ფიცხად საქმის დაწყება არ ვარგა. ჩვენ ცოტანი ვართ, ეგენი ბევრი. მაგათ საზოგადოებაში სახელი აქვთ დამსახურებული. გავლენის მექონე კაცები არიან. მაგისთანა კაცებთან უფრო მეგობრობა სჯობია. მაგათი დანდობა თუ მოიპოვეთ, მერე მაგათივე ქებით ჩვენც ცოტ-ცოტად გაგვივარდება სახელი. მოვიპოვებთ იმათს გულს და მერე თანდათან წინ წავდგამთ ნაბიჯს.

— მაშ, შენის აზრით, მაგისთანა კაცებმა ქვეყანა რომ დააქციონ, შენ ხმა არ უნდა ამოიღო იმისთვის, რომ შენ ერთი ხარ და საზოგადოებაში სახელი წაგიხდება. მაშ მარტო შენი სახელისა და შენი თავისთვის გიზრუნავს შენ. მაშ შენ მაგათ ბოროტმოქმედებაში ხელი გქონია გასვრილი, მაგათთან შეთქმული და მაგათი მოზიარე ყოფილხარ ყოველ საქმეში. ვთქვათ, ერთი კაცი მეორე კაცს ჯიბიდან ქისას ართმევს, შენ ხედავ ამ საქმეს. ხედავ ცხადს ქურდობას. მაგრამ თვალს არიდებ ამისთვის, რომ ამბობ, ქურდს ხანჯალი ჰკიდია და შეიძლება მომკლასო. წაიღო ქურდმა ქისა, გაცარცვა მართალი კაცი. შენ ხე-

დავდი ამას და არას ამბობდი. რა გეკადრება ამისთვის, რისი ღირსი ხარ? შენც ქურდი ხარ მაშინ, შენც!.. ერთს ხეზე რომ ნამდვილი ქურდი ჩამოახრჩონ, მეორეზე შენ იქნები ჩამოსახრჩობი.

— რათა ხარ მასე ფიცხი, რათ სჯი ეგრე აჩქარებულად? — მომატანა კიკოლიკმა და თან, ცოტა არ იყოს, გაწითლდა, უწინდელსავით აღარ მიყურებდა მხიარულად. სად მაგისთანა საძაგელი ბოროტება და სად სიტყვების როშვა. მაგ ორს საგანს შუა არავითარი შედარება არ მოხერხდება. რა მენაღვლება, ჩიკოლიკმა ილაპარაკოს სისულელეები, ვის რა წაუხდება მაგითი? — მითხრა კიკოლიკმა.

— არა, კიკოლიკო, მე როგორც ვატყობ, შენ კარგად არ გქონია წარმოდგენილი, რა ვნებას მოუტანს საზოგადოებას მაგისთანა ყოფაქცევა. თუნდ გუშინწინდელი ამბავი გავიხსენოთ. რა შარლატანობა გამოიჩინა მაშინ, ხომ გახსოვს? ეგ ბუასილის ქარებიაო, იმ ავთმყოფზე რომ უთხრა. მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ კარგად იცოდი იმ საწყალი კაცის ავადმყოფობა, იმას ჭლერქი სჭირვებია. ჩიკოლიკი ამტკიცებდა: „გულში ბუასილის ქარები აქვსო ამოსული და მიქსტურა ღემმარიდალნაია, გითხრა, არგებსო". ერთი რომ, ამნაირი წამალი არ იპოება; მეორე რომ, მე და შენ რომ იქ არ ვყოფილიყავით და ცოტა ჩვენი ხათრი არ მისცემოდა, რა იცი, რომ დანაყილი ჭიქა არ ერჩია, წყალში ჩაყარეთო და ისე ასვითო. აქ მაგისი მოქმედება ერთი კაცის სიცოცხლეს დაღუპავდა. მაგრამ შეიძლება, ისეთი დრო დადგეს, როდესაც საზოგადოებას რამე ხეირიანი, ქვეყნის სასარგებლო საქმე გამოუჩნდეს, მაშინ საზოგადოება შენი და ჩემი წყალობით, შენ და მე რომ ყოველს შემთხვევაში მაგათთანა კაცებს არას ვეუბნებით შეცთომისათვის, არ ვეწინააღმდეგებით ცრუ მოქმედებისა და მოღვაწეობისათვის, მერწმუნე მაშინ მაგისთანა კაცებს მიანდობს იმ საერთო საქმეს და ესენი თავის უცოდინარობით დაღუპავენ. ვინ იქნება, თუ იცი, მაშინ შთამომავლობის წინ დამნაშავე? შენ და მე, ჩემო კიკოლიკო, რომელთაც გვესმოდა მაგისი ქარაფშუტაობა და ჩვენის ეგოიზმით, თავმოყვარეობით, რომ დროებითად არას შეეწუხებინეთ, ხალხი, საზოგადოება არ აგვყაყანებოდა, მე და შენ დავიდუმეთ, გზა გავუკაფეთ მაგისთანა ბაიყუშებს, რომ დიდი თევზი დაეჭირათ. მაშინ ჩვენ გავხდებით მარტო ქურდი კი არა, ქვეყნის დამქცევის ხელის შემწყობი.

— თუ ღმერთი გწამს, ნუ იცი ხოლმე ბეწვისაგან დირეს გაკეთება, სად მაგისი ტიტინი და სად საქვეყნო საქმე! მაშინ ეგ რაგორ გამოჰყოფს თავს, და რომ კიდეც გამოჰყოს, მაშინ კი არ შეიძლება წინააღმდეგობა?

— არა, აღარ შეიძლება. სახარე ხარსაო სასკორეში შეეტყობაო. იმას ნუ იფიქრებ, რომ მაგისთანა მოქმედებამ, რომელსაც ახლა სჩადიხარ, შენს ტვინზე, შენს ზნეზე და ყოფაქცევაზე დაღი არ დაასვას. ახლა მაგისთანა ბაიყუშებს უტკბები, უღიმებ, დაჯორჯვილ მსჯელობაში თანახმა უხდები, უსინდისო მოქმედებაში თითქმის მოზიარე ხარ... რომ ხედავ და არაფერს ამბობ, მოზიარე არა ხარ, მაშ რა ხარ? მერე ამნაირ მოქმედებას გონების და მიხვრა-მოხვრის წაყრუება სჩვევია, ესე იგი მუდამ რომ ცუდს ხედავ და არას ამბობ. ბოლოს ძალიან დიდი ბოროტებაც აღარაფრად მოგეჩვენება. ეს წაყრუება ჩვეულებად გადაგექცევა, ტვინი მოლბება, ბოროტზე შეხედულობა გამოგეცვლება და ბოლოს იმდენზე მიხვალ, რომ ყოველი მაგისთანა ბაიყუში შართლაც ნამდვილ ამხანაგად გაგიხდება, რომელიც მხოლოდ მაშინ მოგცემს გულწრფელად ხელს, მაშინ მოგანდობს გულს, როდესაც შენც მაგისთანა კაცების საქმეში ნამდვილად ხელს გარევ. რომ თქვას კაცმა, ახლაც ხელი გაქვს გარეული, ამიტომ რომ ბევრს ხედავ და არას ეუბნები.

— შენ რომ ამბობ, მაგისთანა კაცს ჩვენში არ ედგომება. ყოველი კაცი თავმოყვარეა; გინება, შენიშვნა იმას აჯავრებს. ვისაც გინდა უთხარი. შენ მეჭრთამე ხარო, შენ ქურდი ხარო, თუ მტრად არ გაგიხდეს, და თუ კი მტრად გაგიხდება მთელი ქვეყანა, მაშინ რაღას გააკეთებ? — მითხრა კიკოლიკმა. — ქვეყანა თუ აგიმტერდა, მაშინ ბარგი უნდა აიკრა და სადმე გადასახლდე, ან თუ არა და თავი უნდა მოიკლა; თუ ესეც არა ჰქენი, მაშინ, მერწმუნე, კუთხიდან გესვრის ვინმე თოფს.

— არა, ჩემო კიკოლიკო, მე როგორც ვატყობ, შენ ერთობ მალე დამდგარხარ აქაურების გზაზე. ნუთუ შეგიძლია, თქვა, რომ ეს ქვეყანა სიცრუით და ერთმანეთის ცდუნებით არ იყოს სავსე. მიჩვენე ისეთი კაცი, რომელსაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც ფეხი არ გამოეკრას მოძმისთვის და ზედ არ გადაემტვრიოს, აბა მიჩვენე?... შეეაქყიტე თვალი კიკოლიკს და ველოდი იმისგან პასუხს.

კიკოლიკმა არა მითხრა-რა.

— მაშ, — განვაგრძე მე: — საზოგადოება ისეთს ცუდს ჯურღმულშია ჩავარდნილი, რომ ხსნა არა აქვს. ხუთიევ გრძნობა დახშული აქვს სიკეთისათვის. როდესაც ამისთანა უნუგეშობაშია ჩავარდნილი კაცობრიობა ან რომელიმე საზოგადოება, მაშინ იმის გამოსაფხიზებლად საჭიროა მსხვერპლი, ისეთი მსხვერპლი, რომ იმისმა დაღუპვამ მიბნედილს გონების თვალებს ცივი წყალი დაასხას და უცბად წამოახტუნოს. ვისაც ნამდვილი სიკეთე უნდა ქვეყნისთვის, ის ამ დროს სამსხვერპლოდ უნდა ემზადებოდეს.... დაე, გლანძლონ, შეგი-

ძულონ, თუნდ კიდეეაც განგაძეონ, განგაგდონ, შენ მაინც შენსას ნუ მოიშლი, ამხილე ცუდი, ბოროტებას წინ დაუდექი, ნუ გახრი სწორ გზას, თუნდ რომ ამან ღრეშიაც გადაგაგდოს. მერწმუნე, როცა გადავარდები, როცა სიმართლისათვის მართლაც განგაძევებენ, შემდეგ ყველა შეკრთება, ყველას უცბად გაუნათლდება გონება, ყველა დაიწყებს ნანობას, მართალი კაცი ტყულა-უბრალოდ დაისაჯაო. როცა საზოგადოებაში ამისთანა გრძნობა დაიძვრის, ეს განახლების წინამორბედია და მომასწავებელი. მაშ არის დრო, როცა ნამდვილი ქვეყნის მოკეთე ის არის მხოლოდ, რომელსაც შეუძლია თავი შესწიროს მართლის თქმას, და შენ, მართლა თუ გინდა საზოგადოების სიკეთე, მრუდე გზას კი ნუ ირჩევ ცხოვრებისაგან გაფუჭებულს ჩიკოლიკს კი ნუ ადევნებიხარ უკან. ის გზა აირჩიე, რომელიც უჩვენებია შენთვის უნივერსიტეტის მეცნიერებას და იმისაგან განათლებულს ჭაბუკობას. ნუ ეძებ ნურც მალალს ალაგს, ნურც ცხოვრების საშუალებას. მაგის ძიებაში დრო გავა, სიკეთის დამყარებას ვეღარ მოასწრებ და, რაც ახლა კეთილის მზრუნველობა გქონია, ის სულ ბოროტად გადაგექცევა მოხუცების დროს.

— გმადლობ დარიგებისათვის, მაგრამ ამ შემთხვევაში მაგ საბარების ჭეშმარიტების განსათესად ჯერ მიწა არ გვაქვს შემუშავებული. ჩვენი ქვეყნის უყს მიწაში მაგისთანა ჭეშმარიტების თესლი, რამდენიც უნდა გააბნიო, ყველა გახმება. და გვაცალე, ჯერ ეს მიწა დავხნათ და მერე შეიძლება მაგისთანების დათესვა.

— როგორ თუ მიწა? ნუთუ შენ არ გესმის ჩემი დარიგება? დავიჯერო, ისე უყი მიწა იყოს შენი გონიერება, რომ ეს უბრალო ჭეშმარიტებები არ ამოდიოდეს?

ამ უკანასკნელმა კითხვამ სულ არია კიკოლიკი, გაწითლდა ყურებამდის, იფიქრა, მართლაც ცუდი პასუხი მომივიდაო და, რომ გადაეფუჩეჩინა, გული მოიყვანა და შემომძახა, — ეს პირველი იყო იმისი ასე გაცეცხლება:

— მართლა, ახლა რომ კაცმა არაფერი გითხრას, სულ კი ნუ წააჯდები თავზე! რათ იცი მაგისთანა უთავბოლო ლანძღვა?

ამ სიტყვებმა უნებურად ხმა ჩამაწყვეტინა. მე მაშინვე წამომიდგა თვალწინ ჩემი მგზავრობა. მართლაც, კიკოლიკის თაობით წამოვედი სვანეთში, თორემ მარტო ვერ გავბედავდი; ასე გასინჯე, საშუალებაც არა მქონდა. მაშინვე იმისი უმადურობა მომაგონდა, თვალწინ წარმომიდგა იმისი უკმაყოფილება, ყვედრება სიკეთისათვის და მხოლოდ აქ დავინახე, რომ მე თავისუფალი კაცი არ ვიყავი. მე ვიყავი კიკოლიკის მიერ დავალებული და ჩემი თავი უსინდისოთ ჩავთვალე. თუ გინდოდა მაგისი მხილება თავისუფალს ნიადაგზე უნდა

შდგარიყავი, ვუთხარი ჩემს თავს, და იმ დღიდან გადვიეცი თავი, არავის ვალდებული აღარ გავხდე ქვეყანაზე, რომ მართლის თქმა არ მომესპოს-მეთქი.

XIV

ბოლოს, რითაც იქნა, სვანეთსაც თავი დავახწიეთ, ჩვენ გამოვედით, ს...ს ქ...ს მახლობლად. იქ ერთს სოფელს მიგვიპატიჟა ვინლაც მღვდელმა, რომელთანაც სამი დღე გავატარეთ. ამ სამი დღის განმავლობაში კიკოლიკი სულ სხვა კაცი შეიქმნა. იმის თვალებში დაინთო მწვავი ცეცხლი; ამ ცეცხლმა ჩაატანა გულამდის და თოფის წამალივით აფეთქდა. ამ ცეცხლის გასაჩენად პირველ მღვდლის ახალგაზდა ქალმა მაკიწომ დააკვესა. ეს იყო თექვსმეტი წლის დაკოკრებული ყვავილი, ჩაკუეუნებული თვალ-წარბიანი და თხელი პირის სახიანი. იმას მოყვითლო ფერი დასცემდა, მაგრამ ეს ფერი ამ შავს პირის სამკაულთან სწორედ რაღაც ზეციურს წარმოადგენდა. ამასთან იმისი მიბნედილი თვალები თითქოს მუდამ ზეცას შეჰყურებდენ. ასე ეგონა კაცს, საყვარელი იქ დაჰკარგვიაო და იქითკენ მიისწრაფისო. მით უფრო ცეცხლ-მოსაკიდებელი უნდა ყოფილიყო მოწიფულ ვაჟკაცისათვის ამისთანა სულიერის ნახვა. მაკიწოს სახე თითქოს სრულებით ყურადღებას არ აქცევდა ქვეყნიურს კმაყოფილებას, თუმცა იმისი ძირს დაშვებული თვალები ბევრს მიფარულ გონიერებას და სულის სიმკვირცხლეს გამოხატავდა. რომ შეგეხედა, ასე იტყოდი, ამას ამ ქვეყნისა არა უნდა გაეგებოდეს-რაო, მაგრამ იყო ჩუმ-ჩუმა და თვალ-შემპარავი. ამ სახეში თითქოს ოდნა ქვეყნიერი თანამგრძნობელობა არ გამოჰკიაფობდა; მაგრამ იმის ცაში გადაკრულს თვალებს საკვირველი კაცის გულის მიმტაცი თვისება ჰქონდა.

ჩვენ ჩამოვხტით მღვდლისას. მე და კუდაბზიკამ ცოტათ დავიგვიანეთ; კიკოლიკი და მისი ხლებულნი ნახევარი საათით წინ მივიდენ. შევედით თუ არა სადგომში, კიკოლიკი მხიარულად მომეგება:

— ჰო, სად იყავი ამდენ ხანს? ჩვენ ნახევარი საათია, რაც მოვედით. არ ვიცი, რათა და ძალიან ქეიფზე კი ვარ. აღარც დაღალულობა მეტყობა და აღარც ნამგზავრობა. ასეთს მადაზე ვარ, რომ...

— როგორ, რა დაგემართა? ტრფობის ცეცხლი ხომ არ დაგენთო? — ამ სიტყვაზე ერთი ასეთი გაიშმუშნა, რომ ტახტის ფიცრებმა ზანზარი დაიწყეს. მე სრულებით არა ვიცოდი-რა, კიკოლიკს რა მოსვლოდა, და ახლა ასე ახურუშებული რომ დავინახე, ციდან ანგელოზს ფთა შემოუკრავს-მეთქი. იმისმა მხიარულმა სახემ ცოტად მეც გამამხიარულა. მთის ხეობიდან რომ წამოვედით, თითქმის ერთმანეთისა-

თვის ხმა აღარ გაგვიცია, თუმცა მთელი სამი დღე დავრჩით გზაზე. როგორც ერთმანეთზე გულნატკენი კაცები, მე და კიკოლიკი ისე ვიქ-ცეოდით; როცა შეეიყრებოდით, ერთმანეთს თვალს ვარიდებ-დით. მეც ვგრძნობდი, რომ კიკოლიკს იმ მკვახე სიტყვებს შემ-დეგ გული უნდა გატეხოდა ჩემზე და თვითონ კიკოლიკის ფილოსო-ფიური წარბ-შეკრული სახეც ამას ამტკიცებდა: „ბრიყვს რომ თავს გაუტოლებ, აგრე დაგემართებაო“. ამ გარემოებაში, თვითონ იფიქრე-რა სასიამოვნო უნდა ყოფილიყოს კიკოლიკის ცხვირ-ჩამოშვებული სახის ცქერა. ამისთვის მე ჩემი გაუკრეჭელი ჯორით სამი ვერსის სი-შორეზე ჩამოვრჩებოდი ხოლმე. კუდაბზიკა მუდამ ჩემს ახლოს იყო.

— ოჰ, რომ იცოდე რა ვნახე! — წამოიძახა კიკოლიკმა, — ამ ჩვენს მასპინძელს რა ქალი ჰყოლია, რა ქალი! ციდან ჩამოფრენილს სულიერსა მსგავსებია! — ამ ლაპარაკში ერთი კიდეე გააზმორა და გადაგორდა ხალიჩაზე.

— ჰო, მაშ მიმხვდარვარ, რა ლაზათშიაც ჩაგიდგამს ფეხი.

— ეჰ, რაა ჩვენი სიცოცხლე! — წამოიძახა კიკოლიკმა. — სა-ნამდის ქეიფზე ხარ კაცი, სანამდის მკლავში გაქვს ღონე, მანამდის სულ უნდა ეწვალო და ეჯახირო, მოსვენებას ვერ ნახავ, მუდამ ლუკმა პურისთვის უნდა ზრუნავდე და როცა ხანი გადაგივა, იქნება კიდეც ეღირსო ბედნიერებას, მაგრამ რაღად გინდა!

— ეჰე, კიკოლიკო, საით გაუტიე? განა ისეთი დროა, რომ ბედ-ნიერება თბილ საწოლში უნდა ეძიოს ჩვენებურმა ახალგაზდამ? განა ლამაზი ცოლი და ლაზათიანი არტალა უნდა იყოს ჩვენი გულის წა-დილი? რომ კიდეც ეღირსო მაგისთანა ბედნიერებას, განა ისარგებ-ლებდი? განა შეგიძლია რბილ დოშაკზე ლამაზ ქალთან ჩახუტებული დილის თვლემას მიეცე, შენს სასახლეს გარედ ათასი და ორიათასი კაცი რომ ჯავრში და უნუგეშობაში იყოს ჩავარდნილი? ბედნიერება ბევრნაირია, არის მაგნაირი ბედნიერებაც, მაგრამ ნუთუ შენ, რომელ-საც სულით და გულით მოგინდომებია შენი ქვეყნის სიკეთე, რომელ-საც შენს ტოლსა და ამხანაგში გიქადაგნია დაუცხრომელი ზრუნვა, რომელიც ქვეყნის სამაგალითო კაცების მოქმედებით გატაცებული ყოფილხარ, ნუთუ შენ ნატრობ ტკბილ განცხრომას ფუნთუშა ქალის მკლავზე, ნუთუ შენ ნატრობ მოსვენებას, ტკბილად დაძინებას იმ დროს, როცა ჯერ ერთი ნაბიჯიც წინ არ წაგიდგამს ქვეყნის დამა-ბრკოლებელი მიზეზების საწინააღმდეგოდ?

— დაიწყო თავისებურად! — დაცინებით წაილაპარაკა კიკო-ლიკმა, — ხშირად ნუ ქადაგობ მაგნაირად, თორემ ჩვეულებად გა-დაგექცევა და მერე ღრენიას დაგარქმევენ. განა ქვეყნის საქმის ზრუნ-ვას მოუშლის ცოლის ყოლა, ან კაოგად ცხოვრება? რას ამბობ? მი-

თხარი, თუ ღმერთი გწამს, რომელი უფრო ღონიერად მუშაობს: კუჭ-გამძღარი თუ ის მუშა, რომელსაც მთელი დღე ნამცეცი პური არ უჭამია და ფერდები აქვს გამოფენთხილი? როცა მე ჩემს მოთხოვნილებას შევღივი, ქვეყნის სასარგებლო საქმე როგორღა მიიქცევს ჩემს ყურადღებას? მე მხოლოდ მაშინ დავსტრიალებ ქვეყნის სასარგებლო საქმეს, როცა ჩემი კუჭი გამაძღარია და ჩემი გული დაკმაყოფილებული.

— ეგ იმას ნიშნავს, რომ ან შენ არ გცოდნია გარემოების ძლიერი მოქმედება კაცის აგებულობაზე და ან იცი, მაგრამ თვალები გინდა მჭერნეტყველებით ამიხვიო. ჩვენი ცხოვრება ჯერ ყრუ და გაუნათლებელია. კაცი არ იპოვება ისეთი, რომ საკუთარი სარგებლობის გარეშე ხედავდეს რასმე. ჩვენში ჯერ საზოგადო კეთილდგომარეობის ფიქრი არა აქვთ. არ ესმით, რომ როცა სხვები უბედურს გარემოებაში იმყოფებიან, ამ უბედურების ერთი ნაწილი თვითონ იმასაც ხვდება და ვისაც სურს საკუთარი ბედნიერებისათვის ზრუნვა, უნდა ეცადოს და ძილში მოკვეთოს ის მიზეზები, რომელნიც ერთბაშად უშლიან ყველა კაცების კეთილდგომარეობას, რომელნიც იმის და სხვის დაბაბრკოლებელნი არიან თანასწორად. ჩვენში ჯერ არ მოიპოვება ისეთი კაცები, რომ აფასებდენ, ან ხედავდენ ყველა ადამიანების ხელის შემშლელს გარემოებას. ქალსა და ვაჟს მხოლოდ თავისი საკუთარი სიტკბობა აქვს კარგად შეტყობილი, კარგად ხედავს იმ საშუალებას, რაც მისცემს იმას მოსვენებას, სიამონებას, ქეიფს, განცხრომას და უდარდელობას. აი, ყოველი კაცი ამას უპოტინებს ხელს დაის-კი არ იციან, რომ ამ პირადი სარგებლობის ძიებაში და ხელის პოტინში მთელი ქვეყნის მავნებელი გარემოებები უფრო ძლიერდებიან, უფრო მტკიცე საფუძველი ეძლევათ და თანდათან ჰკვეთენ ჩვენს საერთო ცხოვრებას, რომლის გაუქმების შემდეგ თითო კაცის ცხოვრებაც წყალ-წაღებულია. ამისთანა გარემოებაში მე და შენისთანა კაცებმა როგორ უნდა მივცეთ ნება, რომ უმანკო, უგუნურს ლამაზ ქალს თავი ჩავათრევინოთ იმ ჯურღმულში, სადაც ყოველი კაცი მარტო თავის გასაძღომს ლუკმას სითვალხარბით ებღაუქება, საბოლოვო ჭირისაკი არა უნდა-რა, რომ შეიტყოს. ამ ლამაზმა ქალმა „მშია-მწყურიას" მეტი არა იცის-რა. „ჩამაცვი და დამახურეს" მეტს არას იძახის და იცი, ამისთანა გარემოებას რა მოავქს? თვითონვე ჩვენი გონების დაჩაგვრა. საუკეთესო აზრების თავიდან გამორეკა და ისეთ გვარ მომგებ-მომხვეჭელ კაცად გახდომა, როგორც სხვები არიან. გამოდგა, რომ ლამაზი ქალისაგან ტკბილი საბელის თავზე გადაცმამ ისეე პირუტყვულ მდგომარეობაში უნდა დაგვაბრუნოს, რომლიდან ვისწრაფოდით გამოსვლას. ჩვენ ბედნიერად მიგვაჩნდა მხოლოდ ის, ვინც მეც-

ნიერებით იყო მონათლული და კაცურს საქმეს დაიჭერდა. ვისაც ჰსურს, პირუტყვულს მდგომარეობაშიც დაბრუნდეს, მხოლოდ ის არ მოერიდება ჩვენებურს გაუნათლებელს ლამაზ ქალს. ვისაც ჭეშმარიტად გული სტკივა თავის მოძმისთვის, ის ამ სიტკბოებას კი არ გამოუდგება, კი არ უმტყუნებს თავის გულის წადილს, თავის ჭაბუკობის წმინდა გრძნობას მამულისადმი, — არა. იმას ბედნიერებად მიაჩნია მარტო ის შრომა, რომელიც ჩვენი ქვეყნის კაცებს აუხელს თვალს, მიახვდენს იმ ცუდს გარემოებას, რომლის მოსპობითაც მხოლოდ მოგვეცემა საერთოდ მკვიდრი ბედნიერება. ჩვენ ახლა ნება არა გვაქვს, მანამდის მოვეკიდოთ ცოლშვილს, სანამდის ჩვენი ქვეყნის ქალები ჩვენსავითვე გონება-ახელილნი არ გამხდარან, ჩვენსავითვე არ უცვნიათ ის საზოგადო ცუდი მიზეზები, რომლის მოსპობაზე აღთქმა მიგვიცია მეცნიერების წინაშე. ჩვენ მხოლოდ ამგვარი ქალებით უნდა ვიყოთ გულმაგარი, რადგან მხოლოდ ისინი იქნებიან ჩვენი თანამგრძნობელნი, გამამხნევებელნი ამ წმინდა შრომაში. ისინი ჩვენებური ქალებივით კისერზე კი არ ჩამოგვეკიდებიან თავის შვილებიანათ და ყურს არ გაგვიყრუებენ: გვაჭამე, ჩაგვაცვი, გვაქეიფეო. არა. ისინი მოგვიდგებიან გვერდით და ჭირსა და ლხინს შუაზე გაგვიყოფენ. ჩვენებური ქალები რომ ზურგზე აწვებიან თავის ქმრებს, მეცნეირებაში გაწვრთნილი ქალები მხარში შეგვიდგებიან და ჯაფით გატეხილს წელს გაგვიმაგრებენ.

— სანამდის ჩვენი ქალები მეცნიერნი შეიქნებოდენ, მაგას თუ ვუცადეთ, მაშ ასი წლის განმავლობაში ცოლი არავის შეურთავს. მერე ხომ მოისპო ჩვენი კაცობრიობა! არა, შენმა თეორიულმა მოსაზრებამ ერთობ ცაში აგაფრინა, — თქვა კიკოლიკმა.

— და შენ პრაქტიკულს ცხოვრების გზას რომ ქვესკნელში მიჰყავხარ!.. ჩემის აზრით, ცაში აფრენა სჯობია ქვესკნელში ჩასვლას, სადაც ერთი კაცური აზრი და მიმართულება არ მოიპოვება.

— კარგი, დავანებოთ თავი მაგ მახვილობას. და, მართლაც, ძალიან მომეწონა მღვდლის ქალი, — მითხრა კიკოლიკმა. — ჩემის აზრით, ქალი თუ შეირთო კაცმა ისეთი, რომ მოსაწონი თვალტანადი იყოს, მაგრამ ბევრი არა გაეგებოდეს-რა. მცოდნე და გონება გაღვიძებული ქალები იმითი არიან ცუდი საცოლონი, რომ მსჯელობა იციან, ბევრს ლაპარაკობენ, შენ არ გაგიგონებენ და თვითონაც იმდენად ჭკუა არ უჭრით, რომ მტკიცედ იდგენ თავის მოვალეობაზე.

— რას ეძახი შენ ქალის მოვალეობას? — ვკითხე კიკოლიკს.

— ქმრის ერთგულებას, კანონიერი ცოლ-ქმრობის მოვალეობის შეურყეველად ასრულებას.

— ეგ კარგს ქმარზეა დამოკიდებული. თუ ქმარს კაცური ღირ-ება აქვს, მხნე მშრომელია, მტკიცედ მისდევს კეთილს გზას და ცოლ-ქმრობის დამოკიდებულებაში არ უყვარს ძალდატანება, ან ჩხუბი, თუ ცოლი მეგობრად, თავის სწორად მიაჩნია, მაგისთანა კაცს მის დღეში ცოლი არ გაქცევია, მაგისთანა ქმარი მის დღეში ცოლს არ შეძულებია.

— როგორ თუ ცოლის გათანასწორება? — წამოიძახა კიკოლი-კმა. — განა იმას შეუძლია ჩემსავით საქმის თაოსნობა, რაც უნდა გა-ნათლებული იყოს?

— მაშ არა და! თუ შენ გაქვს ტვინი, აზრი, გონიერება და მას-თან განათლებულიცა ხარ, რატომ იმას არ უნდა ჰქონდეს, თუ ისიც ნასწავლი და განათლებულია?

— ქალს თავის დღეში არ ექნება კაცის ოდენი ჭკუა. უკაცოდ ის რას გააკეთებს, რა შეუძლია? როგორც ღონით არის სუსტი, ისე ტვინით.

— ეგ იმას ნიშნავს, რომ შენ ჭკვიან ქალთან არ შეგხვედრია ლაპარაკი.

— მე ჭკვიანი ქალი კიდეც მძულს, — მომატანა კიკოლიკმა, — ჭკვიანი ქალისთანა დაუჯერებელი ქმნილება არ მინახავს ქვეყანაზე. მე მინდა ქალი წყნარი, შვილის მოვლა იცოდეს, ოჯახის ყურის გდება და მორჩილი იყოს. როცა საქმეს მოვრჩები, ორი-სამი საათის თავი-სუფლება მექნება, ცოლი იმისთვის მინდა, რომ ამ დროს ალერსიანდ მომასვენოს, მომიაროს, გამართოს, დამატკბოს, სიცოცხლე გამია-დვილოს.

— მეტი არაფერი?.. მე მეგონა, იმასაც იტყოდი, ტანის გასა-წმენდ ღრუბლადაც უნდა გამიხდესო.

— თუ ღმერთი გწამს, აგრე უაზროდ ნუ მასხარობ! — მითხრა კიკოლიკმა.

— მაშ? იქნება იმას იმ დროს სულ სხვა საქმე აწუხებს, იქნება შენთვის არ სცალოდეს, იქნება იმას იმ დროს ქვეყნის სასარგებლო საქმეში ჰქონდეს გონება გართული და მას სასიამოვნოდ ეს შრომა მიაჩნდეს, ნუთუ ხელი უნდა უშვას ამ საქმეს და მოვიდეს შენთან ნანინას სათქმელად? მაგალითზე შორს არ წავალ. ვთქვათ, იმას მკო-ლა აქვს გამართული, ასწავლის ყმაწვილებს. ამ დროს შენ მოხვედი დაღალული; ნუთუ ამ სწავლებას თავი უნდა დაანებოს და შენთან მოვიდეს სალაზღანდაროდ?

— მისი სწავლებისაც რა მეცოდინება. წელიწადში ცხრა თვე სულ ავად არის და ფეხმძიმედ, რას მელაპარაკები? ყმაწვილებს რომ

ასწავლოს, შვილები ვინღა გამიზარდოს? ცოლი მე ჩემი თავისთვის მინდა! — მითხრა კიკოლიკმა.

— მაშ ცოლი შენი საკუთრება გამხდარა. როცა გენებება. უნდა მოგეალერსოს, გაქეიფოს, ის შენს ნებაზე უნდა ცხოვრობდეს, აზრობდეს, მოქმედობდეს და არა თავის საკუთარი მოსაზრებისა და წადილებისამებრ. მაშ გამოდგა, რომ ცოლიც ის ცხენი ყოფილა, რომელიც პატრონის სასიამოვნოდ და საქეიფოთ არის ნაყიდი.

— ჭკვიანი შედარება გცოდნია, ცოლი და ცხენი შენს თვალში ერთი ყოფილა! — მითხრა შანის მოგებით კიკოლიკმა.

— თუ ის მარტო შენი ბუნების მოთხოვნილებისათვის გდომებია, ცხენი კი არა, ცხენზე უარესი დანიშნულებაც ჰქონია: ის შენი საქონელი ყოფილა, საქონელი! — ვუთხარი.

— მაშ როგორ?.. მე ვიშრომო, მე ჩავაცვა, მე დავხურო და ის კი დღე და ღამე ვიგინდარებში ქეიფობდეს? მაშინ ისიც ხომ ტყუულამჭამელი გამოდგა. უკაცრავად გახლავარ, მე ჩემი ოფლით ზარმაცებს და ზნეწამხდრებს არ გავამრავლებ.

— ვინ გეუბნება, იმისთანა ქალთან დაიჭირე საქმე, რომელიც მართლა შენი ოფლით ისარგებლებს. მაშ მე რალას გეუბნებოდი წეღან. ჩვენებური გონება-გაუხსნელი ქალი ყოველთვის მაგნაირია. ამიტომაც არ გეუბნები, ცოლის შერთვა ჩვენს მდგომარეობაში შეუძლებელია-მეთქი. ჩვენებური ქალი შენი ოფლით ისარგებლებს. უკანასკნელს სისხლის ცვარს გამოგაღებინებს, ყოველს შენს კეთილს მიმართულებას დაგავიწყებინებს, ჩაგაგდებს მხოლოდ საშუალების. ძიებაში, მუდამ დღე ახალი მოთხოვნილებით გულს შეგიწუხებს, დაგადნობს, შენს ამხანაგებს მოგაშორებს, შენს კეთილს აზრს დაგიფანტავს და ისეთს სულიერად გაგხდის, რომელსაც დღეს შენვე დასცინი, რომლის წარსული სიცოცხლე დღეს შენვე სასირცხოდ მიგაჩნია.

— ვიცი, რაც შვილები არიან ინსტიტუტისა და ზაეედენიის კურს-შესრულებული ქალები. თუ შენ იმათ განათლებულებს უძახი. მე იმათ ეს მღვდლის ქალი ათასს მირჩევნია, — სთქვა კიკოლიკმა.

— თუ მართლა ეგენი თქვენ განათლებულ ნასწავლ ქალებად მიგაჩნიათ. მე მეტი აღარა მეთქმის რა, უნდა გავჩუმდე.

— მაშ ვინ არის ეს ნასწავლი ქალები? ნეტა გკითხოს კაცმა! — წამოიძახა კიკოლიკმა.

— არავინ! — გაჯავრებით უპასუხე. — ნამდვილად განათლებული და მეცნიერებაში განვითარებული ქალები ჩვენ არ გვყავს და კიდეც ეგ არის ჩვენი უბედურება. კიდეც იმიტომ უნდა მოვარიდოთ ჩვენი თავი ჩვენებურს ქალებს, თუ ჩვენი საუკეთესო გულის.

წადილის და აზრების დაკარგვა არ გვინდა ადრიანათვე. ჩვენ უნდა ვიყოთ მხოლოდ მოწინავე კაცები ჩვენს ქვეყანაში, ჩვენ უნდა ვიყოთ გაზაფხულის მომასწავებელი მერცხლები და მანამ ვიჭიკჭიკოთ, სანამ ეს გაზაფხული კარზე არ მოგვადგეს, სანამდის ჩვენი დედაკაცობა არ შეესძრათ უმაღლეს განათლების მისაღებად. თუ ჩვენ ამას შევასრულებთ, ჩვენი უმთავრესი ბედნიერებაც ეს უნდა იყოს. როდესაც ჩვენი ახალგაზდა ქალობა დაიძრება ამ განზრახვით, როდესაც ის მტკიცედ შეუდგება ამ განათლების გზას, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამშობლოს მტკიცე ბურჯები ეძლევა-თქო. სანამდის რომელსამე ქვეყანას ისეთი დედები არ ყოლება, რომ შეეძლოთ ქვეყნის სასარგებლო საქმეს შესწიროონ თავისი შვილები, მინამდის ის ქვეყანა ნუ იტყვის, რომ მე წარმატების გზაზე ვადგივარო, მანამდის არც ჩვენ გვაქვს ნება, უბრალო გონება-გაუხსნელ ქალს დავაჩაგვრინოთ ჩვენი სიცოცხლე, რომელიც ეკუთნის მამულს და არა ვიგინდარა გომბიოს.

— მანამდის შენ მოიცადე და ღმერთმა ხელი მოგიმართოს. მეკი, როგორც მესმის ისტორიული განათლების საქმე, დავდგები იმ აზრზე, რომ სამოთხე უცებ არ მოვა ქვეყანაზე, განათლება თანდათან ძლიერდება ცოტა-ცოტად. დღეს მე და შენ ვართ ამნაირად მოლაპარაკე, ხვალ ჩვენისთანა ოთხი იქნება, ზეგ ათი და მალე შეიძლება ეგეც მოხდეს, შენ რომ ამბობ; შეიძლება, ჩვენი ქალები უნივერსიტეტშიაც გამოგვეზარდონ. მაგრამ იმისთანა ქალები ჩვენი შვილისშვილის შესაფერი იქნებიან. ჩვენ კი რათ უნდა დავკარგოთ ჩვენი ხვედრი? რაც ჩვენს დროს შეეფერება, ჩვენ ის უნდა ვიკმაროთ, — სთქვა კიკოლიკმა.

როგორც რომ ეს სიტყვა გავიგონე — „ვიკმაროთო“ — მერე აღარ გამიგძელებია იმასთან საუბარი. მე დავრწმუნდი, რომ ის ამ ქვეყნის კეთილცხოვრებას ისწრაფოდა, იმას ძალიან ენატრებოდა როგორც კარგი შემოსაელიანი ადგილი, ისე ტკბილი ცოლ-შვილი...

აქ ჩემსა და იმას შუა სრულებით გაწყდა კავშირის ძაფი. ის სამშვიდობო კუთხეზე იყო დამდგარი, მე-კი ცხოვრების ქარიშხალში ჯერ დიდი გზა მქონდა გასავლელი. ჩემი ნავი აგორებულს ზღვაში იყო შეცურებული. ზღვის დაწყნარების იმედი არ მქონდა, მაგრამ წარმოიდგინეთ, მე ეს სულაც არ მაშინებდა, მე მხიარულად ვისწრაფოდი წინ და, თუნდ კიდეც დავღუპულვიყავ, იმედი მქონდა. სიკვდილის ჟამს მხიარულება არ მოსცილდებოდა ჩემს სახეს. მეორე დღეს კიკოლიკს გავშორდი იმ განზრახვით, რომ მეორედ აღარ შეეყრილვიყავით. ის აბრეშუმის მუთაქაზე თავ-დადებული ტკბილს ოცნება-

ში დავტოვე, მე-კი ჩემის გაუკრეპელი ჯორით ქექა-ქუხილში გაპირ-ების გზას შეუდექი.

———:———

დრო გავიდა. დღეს ჩვენ'ში კიკოლიკები მეუფობენ. ზოგმა ცო-ლი შეირთო და ამ სოფლის სიტკბოებაში სთვლემს, ზოგი ადვოკატი შეიქნა და ქვეყნის ნაწვავ-ნადაგით, ნაოფლარით ჯიბეებს ისქელებს.

სამსახურიდან დათხოვნილი ძველი ჩინოვნიკები ასე იძახიან: „მგლეს მგლობა დაბრალდა, ტურამ ქვეყანა დააქციაო.“

ხალხი თითით უჩვენებს კიკოლიკებზე და იძახის: „ეგ არის თქვენი განათლება, ეგ არის თქვენი ქვეყნის მზრუნველობა, ძველ ჩინოვნიკებს ეუჩიოდით და ამ ნასწავლ კაცებმა — ადვოკატებმა — ტყავი გაგვაძრესო.“

აი, ჩვენი კიკოლიკების ქველ-მოქმედება საზოგადოების ას-პარეზზე!

რუხი მგელი

რ უ ხ ი მ გ ე ლ ი

„კიშ, რა მშვენიერად მოჩანს ჩვენი საწიოკე მთა!“ — წამოიძახა ერთ ზაფხულის დილას სამსონ ჯიბიაშვილმა, რომელიც გამოსულიყო თავის სახლის განიერ აივანზე პერანგის ამარა და იცქირებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, საიდანაც ამომავალი მზის სხივები ოქროს ფერად ღელავდა ჩაბურულს მთის კალთებში და ჯერ კიდევ ჩაბნელებული ღრმა ჭალები სინათლეზე გამოჰყავდა.

I

სამსონ ჯიბიაშვილი იყო ერთი კარგად ჩასუქებული სოფლის „ადვოკატი“ ანუ, ჩვენებურათ რომ ვსთქვათ, ვექილი, რომელსაც ყირიმის ომის დროს სასულიერო აკადემია გაეთავებინა და სახაზინო პალატაში „სტოლონაჩალნიკათ“ შესულიყო. იქ რამდენსამე წელს ემსახურნა და ადრე მიმხვდარიყო კანცელარიის პოლიტიკას, რომლის გულისთვისაც მას ბეღლის თაგვი უწოდეს. ბეღლის თაგვს, როგორც მოგეხსენებათ, სახრავი თავის დღეში არ გამოელეევა; მაგრამ სამსონს-კი მეტად ჩქარა ელეოდა საკანცელარიო მასალა, ესე იგი კალმის დანები, კარანდაშები და საწერი ქაღალდები. ხშირად იტყოდა მისი უფროსი: ეს ურჯულო სამსონ რას ჩადის, რას უშვრება ამდენ კალამ-კარანდაშებს და დანა-ქაღალდებს?! ეგ ისეთ ხვრას მიჩეევია, ვინძლო. კანცელარიის ზანდუკები და განჯინებიც დახრასო. — სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, — განივლო გულში სახაზინო პალატის უფროსმა და ამისთვის მეტი საშუალება ვეღარა მოახერხა-რა, გადასწყვიტა სამსონის დაუყოვნებლივ „განპატიჟება“. სამსონ ჯიბიაშვილი სრულებითაც არ შეწუხებულა ამითი, რადგან, როგორც თაგვს ბასრი კბილები, ისე იმას ბასრი კალამი ჰქონდა ყურში გაჩრილი საფხაჭუნოდ. ორი თვეც არ გასულა, რომ ჩვენ სამსონ ჯიბიაშვილს ვხედავთ მაზრის უფროსის თანაშემწედ. მაგრამ ვერც აქ მოვლო დიდ ხანს. მისმა მსუნაგობამ და დაუდგრომელმა ხასიათმა მოთმინებიდგან გამოიყვანა იმ დროის გაურავებული ზოგიერთი მებატონეთა-განი; რომელთაც ხელი შესდვეს და კარგათაც გათქირეს გძელ-ქუს-

ლებიან ჩექმებ ქვეშ. „ჩიტი ფცქვნათ არა ღირსო,“ — იფიქრა გულში სამსონმა, მიანება თავი სახელმწიფო სამსახურს და, კანონებში კარგად გამოჩარხული, ელოდა ახალ დროს, ახალი სამართლის შემოსვლას, რომ დაჩაგრულების ვექილათ გამხდარიყო და კანცელარიის განჯინების მაგიერათ ხალხის ჯიბე გამოეხრა. იგი მისდევდა ქართულ ანდაზას:

„სმა-ჭამა დიდათ შესარგი, დება რა სავარგულიაო“.

აი, ამისთანა ხასიათს გაესუქებინა კიდეც ჩვენი სამსონ ჯიბიაშვილი. მისი მოკლე კისერი ურმის მორგვს ჰგავდა, რომელზედაც თათრული გოგრის სიმსხო თავი დამხობოდა. მისი ბეჭებ-წახრილი ტანი კოკა-ნახევრიან გაბერილ ტიკს მოგაგონებდათ, რომელიც ორ მომსხო და მოკაკუჭებულ ფეხზე იყო შესკუპებული.

ტიტველი კოტიტა ფეხის თათები დილას ფოსტლებში ჩაეყო სამსონსა, გრძელ ტარიანი ჩიბუხი ხელში დაეჭირა და როცა აივანზე მიდი-მოდიოდა, მის ფეხის გულებზე ფოსტლებს ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა, თან ხვნეშოდა, თან ჩიბუხს აბოლებდა, თან იძახოდა: „ოჰ, ოჰ, ოჰ!! რა სიცხე იყო წუხელი, რა ბუღი, რა სულთახუთვა!.. მთელი ღამე ლული არ მომკიდებია თვალებზე, სულ კიტრივით ვგორავდი!“ მაგრამ ვისაც მისი შუადღის ძილი ენახა და მის ზმუილა ხვრინისათვის ყური მოეკრა, იგი აღარ გაიკვირვებდა მის საჩივარსა. სადილს შემდეგ რომ გაგორდებოდა, დღე-და-ღამის გაყრამდი თვალებსაც აღარ გამოაჭყეტდა. მაგიერად მზე ვერასოდეს ვერ მოასწრებდა ამოსვლას. სამსონის სახლი ისეთ სერზე იყო გამოჭიმული, რომ არც დილის ნიავი დააკლდებოდა და არც შუადღის სიო, ირიჟრაჟებდა თუ არა, სამსონი მაშინვე აივანზე გავარდებოდა, გაღიაღებულ ბანჯღლიან გულ-მკერდს გულის ნიავს მიაპყრობდა და იყო ასე ერთხანს საგრილებელზე ხარლაღსავით გაჩერებული. იგი შესცქეროდა საწიოკე მთასა, საიდანაც მოჰქროდა სულის ჩამდგმელი სიგრილე. ეს თვალ გადუწვდენელი მამული ბარიდან მოკიდებული კავკასიის მთის იღლიამდე იყო შეფენილი. ალაგ-ალაგ ისეთი ჩანჩქრები და ჩხრიალები ვადმოჰქუხდნენ მთების ხეობებში, რომ მათის ხმისაგან ყურთა სმენა აღარ იყო. ხელის წყლების ძლიერება მათგან წამოღებულ უზარ-მაზარ ხეებს ეტყობოდა, რომელნიც მთის მიხვეულ-მოხვეულებში ერთმენათს გადაეკრობოდენ, გახიდულიყვენ და ზედ ხევის წყალი აქაფებული ღრიალით ეხეთქებოდა და მუსრავდა უზარ-მაზარ ხეების ტოტებს ნაწილ-ნაწილათ. ამ გაშმაგებულ ხევის წყალს ზოგგან მთელი გორის ფერდები ზვავათ ჩამოექცია და ზოგჯერ ისეთი კლდის ნამზღვლევები აეგორებინა, რომ სიგანითა და სიმაღლით ორ-სართულიან ქვით-კირის სახლებს მოაგონებდა კაცსა. მთაგრეხილები დაბურული ტყეებით იყო

ბოცული და ქედი-ქედს გადახლართოდა. ზოგვან მთებს კალთები შეეკეცა, ჭალები გაეგანიერებინა და გაშლილ ვაკე-გორებზე აქა-იქ მოჩანდა ფიცრული დარბაზები ეზო-გარემოინად და ყანა-საბალახოიანად. შორს კავკასიის ქედი თეთრი არშიით ზურგ-მოვარაყებული გრგოლად შემორტყმოდა ამ მთასა. აი, ასეთი ქედი-ქედს გორი-გორს, ხევი-ხევს, ველი-ველს მიდგმული მთიანი ადგილები შეადგენდა საერთო გაუყოფელ მამულს, რომელსაც საწიოკე მთა ერქვა. შიგა და შიგ მთაში გაფანტულიყვნენ დროებითი ვალდებული გლეხები: მათ გარდა მრავალი ოსიც იყო ხიზნათ ჩამოსახლებული ამ მთაში. ესენი უფრო მიუდგომელ ადგილებს ირჩევდენ სამოსახლოთ კლდის ნაპრალებში, რომ საწიოკე მთის მებატონეებს მათი ხშირად სტუმრობა გასჭირვებოდათ. ისინი აშენებდენ საქონელს, გაემრავლებინათ თხის ჯოგები, ეს უწყალო მტერი ახალ-გამოღებული ტყის კვირტებისა: აკეთებდენ ყველსა და ერბოს, აგროვებდენ თაფლს, თუ-კი სადმე წაატყდებოდენ ფუღურო ხეში გარეულ ფუტკარსა, ნადირობდენ კლდის ნაპრალებში არჩვებზე და ჯიხვებზე, მდინარეებში იჭერდენ კალმახსა და ორაგულს. ზაფხულობით მოაწყობდენ მთის ნაკადულზე სახარატო და სათლელ ჩარხებსა, თლიდენ ხის ჭურჭელსა, ჯამებს, გობებს, კოვზებს და ფიცრებს.

საწიოკე მთა ეკუთნოდა ას კომლ მებატონეს, რომელთა შორის ირიცხებოდა სამსონ ჯიბიაშვილიც. ეს მებატონეები ყველანი, სამსონს გარდა, ესახლენ საწიოკე მთის შესავალში, დიდ-ხევის პირად სერებზე და შიგ ჭალაში მიმოფანტულნი. ამ მთაში სხვა გზით ვერავინ შეეიდოდა, თუ არ მებატონეების სოფლიდგან.

თვითონ სამსონ ჯიბიაშვილი ესახლა სხვა სოფელში, ათი ვერსის მანძილზე საწიოკე სოფლიდან. მას სხვა საქმე არ ჰქონდა, ყოველთვის სასამართლოს კარზე იყო ატუზული და მოსამართლეც სასწორც იმისკენ ხრიდა. ამიტომაც მისი ხათრი ყველას ჰქონდა — მებატონეს, გლეხსა და ხიზანსაც. იმას არა ერთხელ დაეწიოკებინა საწიოკე მთის მცხოვრებლები სამოსამართლო ბოქაულის წყალობით. სამსონს ეგრე რიგათ არ უყვარდა თვითონ მთაში სიარული, მაგრამ ან თუ მებატონეები ოსებს მიუხტებოდენ, ან თუ სხვებს ვისმე დააწიოკებდენ, არც ერთი ამისთანა ამბავი, მას არ გამოეპარებოდა. როგორც-კი შეიტყობდა, მთაში „საქმო“ გაჩენილაო, ისიც მაშინვე ამხედრდებოდა თავის ლურჯაზე, რომ საუფლისწულო არ დაჰკარგოდა. აი, ამიტომაც უყვარდა მას თავის სახლის აივანზე ჯდომა და საწიოკე მთისკენ ცქერა.

მისი პატარა ციმციმა თვალები ძლიეღა ბეუტავდენ სიმსუქნით დასივებულ ლოყებში, მაგრამ სამაგიეროთ მათი სახედველი შუქი

შორს წვდებოდა. ათ. ოხუთმეტ ვერსზე ლობე-მძერალა ჩიტიც ვერ აფრინდებოდა, რომ მის თვალებს არ შეენიშნა. მას არ გამოეპარებოდა საწიოკე სოფლიდან გამოსული ცხენოსანი. იმას ჰყავდა საწიოკე მთის მებატონეებში ერთი გულითადი მეგობარი აზნაური ავთანდილ კვიმატაძე. იმის სისვა ცხენს ათას ცხენში გამოიცნობდა.

II

ავთანდილ კვიმატაძე ერთი საწიოკე მთის მებატონეთაგანი იყო. ცხონებულ მამა-მისს მეასედი მონაწილეობა ერგებოდა საწიოკე მთაში, მაგრამ რადგან მის სიკვდილს შემდეგ ოთხი ვაჟკაცი დარჩა, ამისთვის ავთანდილ კვიმატაძეს გაუყოფელ მთაში მეოთხასედი-ღა თუ ექნებოდა. ძმები რომ გაიყარენ, მას აქეთ ათი წელი მეტი იყო. მაგრამ ავთანდილ კვიმატაძე მაინც ჯერ კიდევ ვერ დასახლებულიყო. როგორც შეეფერებოდა ჩაქვირითებულ აზნაურის ოჯახს. მისი გამოწყვებული იმერული ოდა თუმცა წაბლის გულისაგან იყო აშენებული. მაგრამ სახლის დამთავრებას ჯერ კიდევ ბევრი აკლდა. ეს სამთვალიანი სახლი ცხრა მუხის ბოძზე იყო შესკუპებული; მხოლოდ ერთ თვალს ჰქონდა იატაკი და ჭერი; მაგრამ იატაკის ფიცრებს ისე დაეღოთ პირი, რომ თუ კაცი გაფრთხილებული არ იყო ზედ სიარულის დროს, შეიძლებოდა ფეხის ცერი ჩავარდნოდა ფარღალალში. სხვა ოთახებს და აივანს ჯერ არც ჭერი და არც იატაკი არ ღირსებოდათ. ისინი უჭერ-იატაკო და კარებ-აუბმელები გამოიცქირებოდენ. აივანზე ორი-სამი ფიცარი იყო გადებული იატაკ-დაგებულ ოთახამდის, რომ აქ შესვლა შეძლებულიყო. კიბის მაგიერად ორი ხე იყო აივნის დირეზე აყუდებული და ზედ საფეხურების მაგიერად მსხვილი ჯოხები იყო ირდი-გარდმო დაკრული. სტუმარი თუ მოისურვებდა ამისთანა კიბით ოდაში შესვლას, ცოტა ჯამბაზობაშიაც გავარჯიშებული უნდა ყოფილიყო, თვით ოდის იმ ერთს თვალს, საცა ჭერ-იატაკი დაგებული იყო, არც შუშები ჰქონდა ჩასმული, არც ბუხარი მიშენებული. მხოლოდ გძელი ფიცრები იყო გაჭიმული ერთი კედლიდან მეორე კედლამდის და ერთ კუთხეში ზეწარ-გადაფარებული ქვეშაგები ელაგა. ავთანდილს ჰქონდა კარგი ძელური საჯალაბო სახლი შუაგულ კერა-გაჩაღებული. საცა სახლობა ჰყავდა დაბინავებული. სტუმარი რომ მოვიდოდა, იატაკიან ოთახში შეიყვანდა და როცა სტუმარი თიკანსავით კვინტრიშით შეირბენდა ციცაბო კიბესა, ავთანდილ ბოდიშს მოჰყვებოდა: „უკაცრავათ, ჩემო ბატონო, რომ ჯერ ოდა კიდეკ რიგიანად არა მაქვს მოწყობილი; მაგრამ ახალი მოსახლე გახლავარ. სულ ათიოდე წელიწადია, რაც დავესახლე. თუ ღმერთმა მომას-

წრო ამ სახლის მოთავეება. ეგონებ, კარგი შენობა უნდა დადგეს. თქვენ როგორ გგონიათ?" — ცნობისმოყვარეობით შეეკითხებოდა სტუმარს. რომელსაც თან გულის კანკალი მოსდიოდა, ოჩაფეხა კიბეზე არ დავიმტვრეო და ზრდილობის ნიშნათ პასუხს უგებდა: „დიაღ, კარგი შენობა უნდა დადგეს. თუ მოათავეთ: მაგრამ. ეგონებ, მანამდის სახურავის გამოცელაც დაგჭირდებათ." რამდენადაც ზაფხულობით სასიამოვნო იყო ღამის სიგრილის გამო იმ იატაკ-მოგებულს ოთახში მოსეენება. იმდენათ კბილებ-საკაწკაწე ხდებოდა ზამთარში იქ დგომა. ამის გამო ნათესავები და მეგობრები — ყველანი ერიდებოდენ ავთანდილთან ზამთრობით სტუმრობასა. რადგან იცოდენ. რომ უბუხრო და შუშა-ჩაუსმელ ოთახში გაათევინებდა ღამეს. როცა მამის დანატოვარი ნივთები გაიყვეს. ავთანდილს ერგო ერთი კბილ-ჩამტვრეული ძველი ხმალი. რომელსაც არც დღე. არც ღამე აღარ იშორებდა. „ეს მამი-ჩემის ხმალი ბედნიერ ხელზეა ნაშოვნი. დიდი აბა'შ ერისთვის ნაქონები ხმალიაო. — იტყოდა ავთანდილი გულ-ამაყად: ცხონებულმა მამა-ჩემმა ამით ნახევარი საწიოკე მთა შემოჭკოდა."

III

საწიოკე მთის მონაწილეთ ერთი ახირებული საქმე სჭირდათ. დილიდან საღამომდის ერთმანეთს გზირათ უდგენ, იტყობდენ ვინ რას აკეთებდა. ვთქვათ, ერთი ვინმე მეპატრონე მთაში წავიდა სათევზაოთ. მეორე და მესამე უეკველათ მას აედევნებოდა დასაზვერავათ. ამავე გვარად მოიქცეოდენ სხვებიც. თუ რომელიმე მათგანი წავიდოდა მთაში ან ნაცნობ ოსთან, ან ვინმე გლეხთან საქმისათვის. ხშირად მოხდებოდა. რომ ერთი მეორეს გაუდარაჯდებოდა გზაზედ, დაესხმოდა თავზე ნაშოვრის წასართმევათ: მოხდებოდა ჩხუბი, ხანჯლების ტრიალი და ზოგჯერ კაცის კვლაც. მაგრამ ყველაზე უფრო მძიმე შეტაკება შეემთხვეოდათ საწიოკელებს „ნაკოდობაზე". რადგან ვისაც მეტი ნაკოდობა ჰქონდა. ის მეტ მონაწილეობას და სარგებლობას ჩემობდა. თუნდ მემკვიდრეობითი უფლებით და კანონის ძალით ნაკლები მონაწილეობაც ჰქონოდა. „ნაკოდობას". ეძახოდენ ერთ-ნაირ ძალ-მომრეობას. რომლითაც ყოველი მეპატრონე, დიდისა თუ მცირის მონაწილეობის მექონი. თანასწორად იჩემებდა საუკეთესო მთის ალაგებსა. საწიოკე მთა იყო უდაბური. საცა ადამის წლის ხეები იდგენ. ხან-და-ხან ისეთ ხესაც შეხვდებოდა კაცი, რომ სამი-ოთხი. საკენი სიმსხო ტანი ჰქონდა. ტყე იყო აუარება, ფასი არ ედვა. ამისთვის მონაწილეები ცდილობდენ ტყე მოესპოთ და ტყის ალაგას საყანე ახოები გაეჩინათ. ამის გამო თითო-

ეული მათგანი ცდილობდა საყანე ალაგები და გაუკაფავი ადგილები დაემისებინა. ამ ანგარიშით რომელიმე მეპატრონე წავიდოდა თავის გლეხიანად, ან შეიძლებოდა, გარეშე ბარის კაციც მოეპატიჟებინა; წაიღებდენ ხელსაწყო რკინეულობას — ცულს, ნაჯახს და სხვ.. რამდენისამე დღის საგძალს, ამოირჩევდენ რომელსამე ხეობას, მოჰყვებოდენ და ყოველ უზარმაზარ ხეს — თუნდ წვრილმანი ხეც ყოფილიყო. სულ ერთი იყო — შემოაქდობდენ გარშემო ცულით, რომ კანი და ცილა შემოეჭრათ. აი, ამ მოქმედებას ეწოდებოდა „შემოკოდვა". ყოველი ხე, რომელსაც გარშემო ქერქი და ცილა ჰქონდა შემოჭრილ-შემოსერილი, უსათუოდ უნდა გამხმარიყო ერთის წლის განმავლობაში. შემდეგ ამ გამხმარ ვეება ხეებს შეუნთებდენ ცეცხლს და ამ სახით იწვოდა, ოხრდებოდა ეს მშვენიერი ტყე, იკარგებოდა ხელ-გამოუბრუნებლათ ამდენი სიმდიდრე. ავთანდილ კვიმატაძე საკვირველი დახელოვნებული იყო სოფლის დარაჯობაში. დილიდან საღამომდის საწიოკე მებატონეების თვალ-ყურის დევნებაში იყო. ვინ რას განიზრახავდა, ვინ სად წავიდოდა, ვინ ვის დაელაპარაკებოდა. შეუტყობელი არ მოურჩებოდა; მუდამ ტყეში დარბოდა მშიერი მგელივით, ეძებდა მხოლოდ, სად რას წააწყდებოდა, ვისთვის რა წერთია. მამისეული ხმალი მუდამ გვერდზე ეკიდა და, თუ ვინმე შემოკოდდა ტყეს საყანეთ, ისიც იქვე იყო გაჩენილი. როგორც-კი მებატონე შინ დაბრუნდებოდა, ავთანდილ მისვე შემოკოდილს ხეებს ხელ-მეორეთ დაუწყებდა თავის ხმლით შემოსერვას, რომ თვითონაც იმ საყანეში წილი დაედვა, ან სადაოთ გაეხადნა. მისი დამამტკიცებელი საბუთი ყოველ ხეს ზედ აჩნდა კბილ-ჩამტვრეული ხმლის შემონაკრავი. ეს ისეთი საბუთი იყო, რომ აღარავითარი საწინააღმდეგო მოწმობა აღარ გადიოდა, რადგან მისი ხმლის შემონაკრავს ყველა იცნობდა.

IV

საწიოკე სოფლის მებატონეებს ჰქონდათ საკუთარი ძველი ეკლესია წმიდის გიორგისა. ეს იყო ერთი პატარა საყდარი, რომელშიაც ორმოც-და-ათი კაცი თუ მოთავსდებოდა, მეტი არა. ამ საყდრის კედლები ძველი მხატვრობით იყო აჭრელებული. ჩრდილოეთის მხარეზე მეთოთხმეტე საუკუნის ერისთავთ-ერისთავი და მისი მეუღლე და ძმები იყვენ დახატული. მხატვრობა წელ ზევით კარგათ ეტყობოდა. წელ-ქვემოთ კი სურათი წაშლილი იყო მუდამ კედლებზე ხახუნითა. წირვის დროს ამ ალაგს დგებოდენ საწიოკე სოფლის უფროსი და ღრმად მოხუცებული კაცები, რომელთაც კედელზე მიყუდება ჩვე-

ულებათ ჰქონდათ. მხატვრობის მოშლა წელ-ქვემოთ იმათი ბრალი იყო. თუმცა ისინი ამავე დროს ძალიან მოწიწებით შესცქეროდენ თავიანთ წინაპრების სურათებსა, რომელთაც ამისებდენ წმიდა გიორგის ეკლესიის აშენებასაცა. იგი იდგა შუაგულ სოფელში მაღლობზე და გარშემო დიდი ბზის ბუჩქნარით იყო შემოვლებული. რომლის შუაგულს ას წლოვანი კაკლის ხე იდგა. ამ ალაგებიდან ვერავინ გაბედავდა რისამე წაღებას, წკირის მოტეხაც არავის შეეძლო წმიდის გიორგის გიორგის შიშითა. კაკალ ქვეშ ოთხი ადლი სიგრძე და ორ ადლნახევარი ბრტყელი ქვა იდვა: წირვა რომ გამოვიდოდა, საწიოკე მთის მებატონეები ამ კაკალ ქვეშ მოიყრიდენ თავსა და დადგებოდენ რიგისა და წესისამებრ, დიდ მონაწილეთაგანი პატივცემული მოხუცებულები განიერს ქვაზე ჩამოსხდებოდენ, დანარჩენები ირგვლივ ჩამორიგდებოდენ მწვენე მოლზე და იყვენ სოფლის საქმეების განსჯაში.

— ბატონებო, აი თქვენთვის მომიხსენებია, ჩამომეთხოვოს ავთანდილი, თვარა სისხლი დაიღვრება, წარმოსთქვა რიხიანად ერთმა ტანმორჩილმა მოხუცებულმა.

— რაო, ბაანა, — ჰკითხა ქვაზე მჯდომარე მებატონემ, რომელიც იყო მოხდენილი მოყვანილობისა, განიერ-ბეჭებიანი და კაბაქულაჯიანი. წელზე ერტყა ვერცხლის ქამარ-ხანჯალი. ეცვა ქართული განიერი შალვარი, გვერდზე ეხურა ქართული კალმეხის ქუდი და ყელზე ბაღდადი ჰქონდა ჩამოგდებული. წითლად დაბრაწული მსხვილი თვალები პირ-მოპარსულ სახეზე ნათლად ამჟღავნებდენ, რომ ამ მებატონეს ყანწების ტრიალი უნდა ჰყვარებოდა. ამასთანავე მისი დასივებული კისრის ძარღვები ამტკიცებდენ, რომ კარგი მომლხენი უნდა ყოფილიყო და მაგარი ხმის მეპატრონეცა ქართულ სიმღერებში.

— როგორ თუ რაო? გუშინ მთაში ავედი ჩემი საახოვეს დასათვალიერებლათ, ყოველ ჩემ შემოკოდილს ხეს მისი ხმლის კვალიც ეტყობოდა! აქ თქვენ კრებაში გამომიცხადებია, თუ თავი არ დამანება, ან ის უნდა იყოს, ან მე. მეორეთ რომ ვნახო ჩემ ნაკოდობაში, ცოცხალს არ გავუშვებ. ეს გატენილი თოფი თან დამაქვს! — გაათავა ბრაზ-მორეულმა ბაანამ ლაპარაკი.

— რამდენი ხანია მაგრე გატენილს თოფს ატარებ? — ჰკითხა ქულაჯიანმა.

— ეს ერთი წელიწადია, მაგის თოფის ხმა არ გაგვიგონია, — წამოიძახა ვილაცამ.

— მაშ, აქამდის სულ ჩაიჟანგებოდა შიგ ტყვია-წამალი, — დასძინა ქულაჯიანმა.

— ბაანა, ვაი თუ საფალიეზე წამალიც არ მოგიყრია? — ჰკითხა ხუმრობით ერთმა ახალგაზდა მებატონემ, რომელიც მართლა მი-

ვიდა ამ დროს. ფალია გადუშალა და გადუპნია წამალი. — აკი, მართ-ლა ერთი მარცვალიც არ ყოფილა! — სიცილით წამოიძახა ისევ მანვე-

— მე არაფელი მელაზღანდარება! — გაჯავრებით უთხრა ბაა-ნამ. ისევ დააყარა თოფის წამალი საფალიეზე და ფალია შემართა.

— ნიგუზალიც რომ დაადვა ბაანას თოფს, მაინც არ გავარ-დება. — აგდებით უთხრა მესამემ.

ხალხში სიცილია.

— იქ მობძანდით. მთაში. როცა ყანას ვუდგიეარ და მაშინ ნა-ხავთ. თუ არ გავარდება.

— ხუმრობა იქით იყოს და მართლაც ამ მცირე მონაწილეებმა მთა გაგვიფუქეს. — გადუჭრა სიტყვა დინჯმა მოხუცებულმა, რომე-ლიც ქულაჯიანის გვერდით იჯდა ქვაზე და ორივე ხელებით ჯოხზე, იყო დაბჯენილი.

— მაგათ. ასე გასინჯე. ჩვენი საკუთარი დროებითი ვალდებუ-ლი გლეხებიც-კი გაგვიორგულეს. ერთხელვე გადაჭრილ შეშის ფას-საც აღარ გვაძლევენ. — დაუმატა მესამემ. — იმ დღეს ავთანდილს ჩემი ნაყმევი გაებრიყვებინა. ეთქვა. შე. სულელო. ბატონი შეშის ფა-სათ თუმანს არ გჯერდება. ჩემთან მოდი, მე ექვს მანეთად გაგირიგ-დებიო; მთა თუ მისია, ჩემიც არისო. მცირე მეპატრონეების წყა-ლობით დღეს ნაყმევები თითქმის აღარ გვემორჩილებიან. ისინი ბევრ-ნი არიან, ჩვენ დიდი მონაწილები-კი, ცოტანი ვართ. ისინი მუდამ მთაში ჰყრიან; ვისაც შეისწრებენ, ყველას ჰგლეჯენ. ჩვენ კაცებ-საც აწიოკებენ.

— ეგ ყველა ავთანდილის ბრალია. — დაუმატა რამდენმამე-ხმამ. — ის არის ყველა უქუდოებისა და ხელმოკლე მონაწილეების მოთავე.

— ჰეი. ჰეი!.. უკაცრავათ გახლავართ! — წამოჰყო თავი ბარე-ათიოდე მონაწილემ: — ვინ გიშლით, თქვენც იარეთ ტყეში. თქვენც ისარგებლეთ. ვინც ხელსა და ფეხს გაანძრევს საერთო მთაში. სარ-გებლობაც იმისი უნდა იყოს.

— დიაღ. როგორ არა! — დაიყვირა ქულაჯიანმა. — მამა-პა-პეულს თქვენ გაგატანთ! იქ მობრძანდით. სასამართლოში და დაგვე-ლაპარაკეთ. კანონია ჩვენი მონაწილეობის გამრჩევი.

— აბა. თქვენ მობრძანდით და ჩვენი ნაკოდობა წაგვართ-ვით. რაც ტყე გაგვიკაფავს და ყანებათ გადაგვიქცევია. იმას ვერა-ვინ შეეხება.

— რამდენიც შეგხვდესთ მონაწილეობისამებრ. იმდენი გაკა-ფეთ. მეტს ვინ დაგანებებთ! — უპასუხა ქულაჯიანმა...

— ჩვენ რა ვიცით. სად თავდება ერთის მონაწილეობა და სად მეორისა. მთა ხომ საერთოა. ვისაც გული და მაჯა ერჩის. რამდენიც უნდა. ისარგებლოს.

— ეგრე რომ იყოს. მაშ მთელი მთა ავთანდილ კვიმატაძეს წაუღია და ის არის! ერთი ხეც აღარ არის მთაში. რომ ავთანდილ კვიმატაძის კბილ-ჩამტვრეული ხმალი არ მოხვედროდეს.

ამ კაცის სახელის გაგონებაზე ყველანი შედგენ. თითქოს მოპირდაპირენი შერიგდენ. ერთმანეთში დავა შესწყვიტეს და მოჰყვენ ავთანდილის საყვედურს.

— იმ დღეს ავთანდილმა ჩემი შეყვანილი გლეხი გამიცარცვა!— თქვა ერთმა.

— საწიოკე მთის ხეებზე რომ წისქვილებია. წასულა იქ ავთანდილი და საერთო მინდი აუღია მეწისქვილეებისაგან! — განაცხადა მეორემ.

— შარშან ჩვენ შეყვანილ მეცხვარეებს რომ მატყული მოსტაცა. ის არ იყო? საქმე სასამართლოშია. მეცხვარეები გაცარცვას უჩივიან. გაიხსენა მესამემ.

— გუშინწინ მთაში ჩემს გლეხს მიხტომოდა და სადილი მოეთხოვა. მაბაკაცები შინ არ ყოფილიყვნენ. დედაკაცს გამოეტანა ხელათ ხონჩა: კარგი ცხელ-ცხელი მჭადები. ყველი და ღვინო. ავთანდილს, მადლობის მაგიერათ. წიხლი ეკრა სავსე სუფრისათვის და გადაეყარა: „რატომ ‘მემწვარი ქათამი არ მომართვეო.“ დედაკაცს თავზარი დასცემოდა. ბოდიში მოეთხოვა: „უკაცრავათ, ჩემო ბატონო. ასე უცებ ვერ მოვასწრეთ. თუ მოგვითმენთ, იმასაც მოგართმევთო.“ ერთი სიტყვით. საკომლის სუფრა აღარ აელო. ერთი დიდი დოქი ღვინო დაელია. ჩაბრუეებულიყო და წამოსულიყო. აბა ჰკითხეთ. რა ნება ჰქონდა. რომ ჩემი ნაყმევის ოჯახში ასეთი ძალა მიიტანა. მე ის აღარ მემსახურება. აწ ავთანდილს გაიხდის ბატონათ? — თქვა მეხუთემ. — სულ ვფიქრობ და ვერ მომიხერხებია. როგორ გადავაბიეო ჩემ გლეხებში წანწალს.

— სასამართლოში ბევრიც რომ ვეცადოთ, მაინც ვერას მოვუხერხებთ. — თქვეს რამდენმამე. — იქ ცალმხრით სამსონ ჯიბიაშვილი ამოუდგება გვერდით, მეორე მხრით ორი ცრუ მოწამე: მამუკა და შიუკა. გინდა ხატზედ დაუფიცნიათ იმათ. გინდა ჯოხზე. როგორც სამსონ დაარიგებს. ისინიც მისთანა ჩვენებას მისცემენ მოსამართლეს.

— გაჩერდეს ის სამსონი ატუკანტი. ის მაჩვი. ის ხარაბუა, ის რაჭველების გუდა. თვარა მის ატუკანტობას მისსავე ტყავში გამოვხვევ. ოთხში ამოვიღებ და ისე ჩავაბარებ თავის პატრონს მე ვი-

ცი, ავთანდილსაც წინ გავუძღოლებ. — თქვა ერთმა შავწვერა მებატონემ, რომელიც ხატის შერისხულსავით აფეთებდა თვალებს.

— სამსონმა და ავთანდილმა ჩემ გლეხს ცხრა თუმანი გადაახდევინეს ამას წინეთ ტყის მოჭრის ფასი. — თქვა მეორე მებატონემ.

— რამე უნდა მოვუხერხოთ მაგათ. ჩვენი საქმის ამრევ-დამრევი სულ ეგ ორი კაცია. — ერთხმად წამოსთქვეს ყველამ.

V.

ამ დროს ერთმა ვილაცამ წამოიძახა; „მოდის, მოდის!" ყველაფ ერთად ხმა გაკმინდეს და დაიწყეს ცქერა დასავლეთისაკენ. მოშორებით დიდ ხევის ხიდზე გამოდიოდა სამი კაცი. რომელიც წინ მოდიოდა, ის იყო პირხმელი, ჭაღარა კაცი. მას ეცვა რუხი ჩოხა, უკან მოსდევდა ორი ახალგაზდა ახლად ამწვანებული წვერ-ულვაშიანები.

— აბა, არ გაგიწყრეს ღმერთი, ის წირვაზე არ წამოსულიყოს: იცის, რომ იმაზე გვეჭნება ლაპარაკი და უნდა დაგვზვეროს, — თქვა ერთმა.

— წირვა-ლოცვის მადლი გაუწყრა მაგას! მგონია, ერთი წელიწადიც არის. წირვა-ლოცვა არ მოუსმენია, — დაატანა მეორემ.

— ეს ხუთი წელია, ეგ აღარ ზიარებულა ჩვენ საყდარში, — თქვა მესამემ.

— ქუდი რომ შეუგდო საყდარში, მის გამოსატანათაც ვერ შეიტყუებ შიგ. ხატების ეშინია.

— ეშმაკის ფერცხალს ღვთის ტაძარში რა უნდა? — თქვა დინჯათ ჯოხზე დაბჯენილმა მოხუცმა.

— ნამდვილი რუხი მგელივით მოწანწალობს. — შენიშნა ქულაჯიანმა.

ყველამ გაიცინა.

მართლაც, ამ კაცის სახე რაღაც დაუნდობლობას და თვალთმაქცობას გამოხატავდა. პაწია ჭროლა მისი თვალები ვერცხლის წყალივით დაუხტოდენ თვალის უბეებში. მოგრძო პირხმელი სახე მისი მგელსავით წამწვეტებული ცხვირით იყო დამშვენებული. ჭაღარა თმა და წვერი ძალიან შეხამებული იყო მის რუხ შალის ჩოხასთან. წელზედ მაგრათ შემოჭერილი ქამარი მიმხმარს მუცელს კიდევ უფრო აკრავდა ფერდებზე. ის მიდიოდა სწრაფად, ფეხ-აკრეფით, თითქო საშოვარს რასმე ეპარებაო.

— ნამდვილი რუ ხი მგელია. — თქვა ბაანამ.

ი, შვილებიც რომ მგლის ლეკვებს ჰგვანან, დიდება შენდა ღმერთო! — დაიწერა პირჯვარი ჯოხიანმა მოხუცებულმა.

— სულ ტყეში ჰყრიან მამასთან, თითქოს მგელი ლეკვებს ნადირობას აჩვევდესო.

— იმ დღეს მაგათ ოსისთვის თიკანი წაერთმიათ და შეეჭამათ; ჰატრონს მხოლოდ თავ-ფეხი მიუყარეს. — თქვა ბაანამ.

— „რუხი მგელი“ ზედ გამოჭრილი სახელია ავთანდილისა. — თქვა ქულაჯიანმა. — ნეტა ვიცოდე, პირველად ვინ დაარქვა მაგას ეს სახელი?

— ოსებმა დაარქვეს. — წამოიძახა ერთმა. — არ შეიძლება რომ მაგას სახარატო ჩარხი დაემალოს, საცა უნდა მომართონ. გინდ უდაბურ ტყეშიაცა, რომ არ ეგონოს, ისე წაადგება თავზე და დასჭყიტლებს: „ჰატ. შე ქუჯო ოსო! ეგ რა ამბავია, რომ ჩარხი მოგიმართავს. წყალზე უჩემოთ, თაბახებსა და ჯამებს თლი და ჩემთვის-კი აქამდის არ შეგიტყობინებია. მოიტა ხელათ ხუთზე ერთი. ისე არ წავა ტყეში ოსებისაკენ, რომ ოცი და ოც-და-ათი თაბახი არ ჩამოიტანოს. მაგის სახელით ოსის დედაკაცები ბალღებს აჩუმებენ. გაჩუმდი, თორემ რუხი მგელი მოვა და წაგიყვანსო.

ამ დროს ავთანდილიც მოვიდა თავის შვილებიანად.

ბატონებს გაუმარჯოთ! შეგეწიოთ წირვის მადლი!

მებატონეები ზრდილობის ნიშნათ ფეხზე წამოდგენ და მიესალმენ.

— ნუ ირჯებით, ბატონებო, დაბძანდით.

ყველანი დასხდენ, ავთანდილიც დაჯდა.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— სად ბძანდებოდით, ავთანდილ? — გამოელაპარაკა დარბაისლურად ქულაჯიანი.

— არსად, ბატონო. სამსონ ჯიბიაშვილთან გახლდით. ორშაბათს სასამართლოში საქმე მაქვს დანიშნული, ვთხოვე, დაეცვა ჩემი საქმე.

— ავთანდილს სასამართლოში საქმეს რა გამოულევს! — შენიშნა ბაანამ.

— ნეტავი დამაყენებდენ, თვარა სასამართლოს კარებს თვალითაც არ დავინახავ. ყველა მე მემტერება, უსამართლოთ მდევნიან. მეტი რა ღონე მაქვს. უნდა ვიწანწალო თავის დასაფარავად.

— ნეტა შენ არავის ემტერებოდე, თვარა და შენ ვინ გაგიბედავს დამდურებას. — უპასუხა ბაანამ და შემართა ჩახმახი. თითქო საომრად ემზადებაო.

— არა, ჩემო ბაანა. მე ყველას ფეხ-ქვეშ ვეგები, მაგრამ არავინ გამიტანა, ყველა მე მძალადობს.

ზოგიერთებმა ამ სიტყვაზე ჩუმ-ჩუმათ დაიწყო სიცილი.

— შე. კაი კაცო, იმ ჩემ შემოკოდილს რომ მიეარდნილხარ, სხვაგან ვერ იშოვე? — ჰკითხა ბაანამ.

— ჩემ ნაკოდს ყველა იცნობს. ჩემო ბაანა. ჩემ კბილ-ჩამტვრეული ხმლის შემონაკრავს ვინ არ იცნობს?

დიალ. ვიცანი და იმიტომაც მოგახსენებ.

— თუ ჩემი ხმლის შემონაკრავი იცანი, ჩემი ნაკოდი ყოფილა და შენ, ჩემო ბაანა, ძალიან დაგიშავებია, თუ ჩემ შემდეგ მოჰყევი ჩემი ადგილის შემოკოდვას.

- ამ წმინდის გიორგის ხატზე შემოგფიცავ, პირველად თუ მე არ შემომეკოდოს ის ალაგი.

— მაგას. ჩემო ბაანა. სამართალი გაარჩევს.

— არა. ჩემო ავთანდილ. სულ სამსონი ვერ დაგიფარავს. დღეს შენ და სამსონის წყალობით სამართალი ვეღარ ჭრის სამართალს. სულ უმართლო მხრისკენ იწევს სასწორი.

— მე და შენზე უფრო იმათ ესმით, ჩემო ბაანა. ჩვენ იმათ სამართალს ვერ გავუსწორებთ.

— ამ საზოგადოების წინაშე გთხოვ. ავთანდილ, დამეხსენი, ნუ გადამკიდებიხარ. ჩემ ნაკოდს თავი დაანებე. თუ არა სისხლი დაიღვრება.

— თუ დაიღვრება, ისევ შენკენ დაიღვრება, ჩემო ბაანა.

— როგორ თუ ჩემკენ?!. — წამოვარდა ბაანა და თოფი მოიმარჯვა.

ხალხი ავარდა ზეზე და შემოეხვია ბაანას.

— მომეცალეთ, ერთი დამანახვეთ ეგ რუხი მგელი, ბარემც ჩაეაძაღლო და მოვასვენო ქვეყანა მაგის ტაციობისაგან.

ქულაჯიანმა უტაცა ხელი დამიზნებულ თოფსა და შესძახა:

— ბაანა. რა შენი საკადრისია მაგნაირი გაფიცხება!

ავთანდილი უცბად მოშორდა იმ ადგილს, გადგა წრეს გარეთ და იქიდან დაიყვირა:

— აი. ბატონებო. ხომ ხედავდით, ბაანა მოკვლას მიპირებდა თოფით. თქვენ ყველანი მოწმეთ უნდა იყოთ. შვილებო. წამოდით, გამოეცალეთ მაგ ავაზაკს! — დაუძახა ვაჟებს და ფეხმარდათ გაჰქუსლა შინისკენ. ისინი უკან გაჰყვენ.

— დამაცა. შე რუხო მგელო, თუ კაცი ვყოფილვარ ჩაგაძაღლებ შენცა და იმ შენ სამსონსაც! — მიაძახა ბაანამ.

ხალხი ამშვიდებდა გაფიცხებულ ბაანას. ზოგი ასე ამბობდა, სანამდის ავთანდილს კარგათ არ დავზელთ და სისხლს არ წამოვაღებინებთ შიგნეულიდან, მანამდის ეგ რუხ მგლობას არ მოიშლისო. ცოტა ხანს იქით ყველანი წავიდ-წამოვიდენ. დარჩა მარტო გძელი საჯ-

დომი ქვა კაკალ-ქვეშ დადუმებული და დაღერემილი. თითქოს გულ-ში ასე ფიქრობდა. ვაი თუ ამ ცოტა ხანში ვისიმე გულმკერდზე და-მადვან და დამატენინონო. ამ დროს ხევიდან მოჰბერა სიომ და კაკ-ლის შორს გადაწვდილი ტოტები ერთბაშად შეანძრია. თვითონ კა-კალიც დინჯათ აღელდა. აბუტბუტდა. თითქო ღრმა მწუხარებას მი-ცემოდეს ამ სოფლის დაუღგრომელობაზე და კაცების გაუტან-ლობაზე.

VI.

ბაანა იყო ერთი ხელმოკლე აზნაურთაგანი. რომელსაც ცხენი აღარ ჰყოლია მას აქეთ, რაც ცოლი შეირთო. ცხენი მოკედომოდა ქორწილში გალახულობით. მომეტებული ქიმვა-გრეხით და ჭენე-ბით. შემდეგ რაღაი წვრილშვილი დაეხვია. სადღა ჰქონდა ცხენის ყიდვის თავი. იმ დროს, როცა ბაანას ავთანდილთან ჩხუბი მოუხდა. ის სამოც-და-ხუთი წლის მოხუცებული იყო: მაგრამ ჯერ კიდევ ჭარ-მაგათ იყო და მთაში სიარულით მუხლები არ ტკივოდა. ორ კოდ-ნახევარ ხორბალს სამი ვერსტის სიშორეზე ამ მოხუცებულობაშიაც ციმციმით მიარბენინებდა. როცა მთაში წავიდოდა, თავის სტამბოლის პირ-ვალი მუდამ მგლის ტყავის ბუდეში ჰქონდა და მხარზე ეკიდა. ბაანა ისეთი ჩქარი და დაუღალავი ქვეითი იყო, რომ კარგი ნაბიჯის ცხენი ვერ გაასწრებდა. ერთი ხელი საგარეო ტანისამოსი: მაუდის ჩოხა, ყანაოზის ახალუხი და ერთი წყვილი მაღალ-ქუსლებიანი ჩექმე-ბი შინ ჰქონდა შენახული: წელიწადში სამჯერ, ოთხჯერ თუ ჩაი-ცვამდა. მეტად არა, ისიც მაშინ, როცა დღეობაში წავიდოდა მოყვა-რესთან, ან სამარიობოთ, ან საგიორგობოთ. აგრეთვე აღდგომას და შობას; სხვა დროს კი შინ ნაკეთები შალის ჩოხა ეცვა. ლურჯად შეღე-ბილი ხამის ახალუხი, ხამის პერანგი, შავი ღაზლის პაჭიჭები და თვა-ლებიანი ქალამნები. მისთანა თვალებ-ასხმულს ქალამნებს სოფელში ვერავინ შეჰკერავდა. როცა სადღესასწაულოთ გამოეწყობოდა, ის გადიკიდებდა მხარზე თავის ჩექმებს, ტანისამოსს ფუთაში გამოიხვევ-და და გაემგზავრებოდა წინ დღით მოყვარეში. მასინძლის სახლს რომ დაუახლოვდებოდა, ჯერ წყაროზე ჩავიდოდა. ხელპირს დაიბანდა. ტანისამოსს გამოიცვლიდა, ახალს ჩაიცვამდა, ძველს ისევ ფუთაში გაახვევდა, ულვაშებს გადიკრავდა და როცა მასპინძლის ეზოში შე-ვიდოდა, ულვაშაკრს მოიხსნიდა და გამოწკიპინებული ულვაშებით მიეგებებოდა სახლის პატრონსა.

ჩვეულებრივათ ბაანა ძალიან მოუწყინარი მუშა იყო თავის ოჯახში. იმას ჰყავდა ორი კომლი დროებით ვალდებული გლეხი. რო-მელთაც ძმურად ეპყრობოდა და გლეხებიც არ აკლებდენ თავის გა-

.დასახადს. ამ ორი გლეხით ბაანას თავი მოჰქონდა მეზობლებში და ათასი თუმნისათვისაც არ დაახსნევინებდა თავს. ბაანას არ უყვარდა სასამართლოს კარები და იქ წასვლა სიკვდილივით ეზარებოდა. სხვისი არა უნდოდა-რა და არც თავისას გაატანდა მტერს აგრე ახირებულათ.

ერთ დღეს გავარდა საწიოკე სოფელში ხმა, რომ ბაანას გამომძიებელი იბარებსო. მართლაც, უწყება მოსვლოდა. ბაანას ნაცრის ფერი დაედვა სახეზე; მისი ოჯახობა ჯავრში ჩავარდა. თვითონ მისთვის დანა რომ ყელში გაეყარათ, ცვარი სისხლი არ გამოუვიდოდა, საწიოკე სოფელში დიდი მითქმა-მოთქმა შეიქნა. ზოგი ამბობდა, ავთანდილმა სასამართლოს მოსამსახურენი კალმახით დაალაღაო. ეს კი იყო, რომ ბაანასა და ავთანდილს ჩხუბის შემდეგ, მეორე კვირეს მთაში ერთ ხევის წყალში ავთანდილს საპალნე კირი ჩაეყარა და ორი ბათმანი კალმახი ეშოვნა. სად გააქრო, სად არა ამდენი კალმახი, კაცმა არ იცოდა. ზოგი ამბობდა, ბაანას დაჭერას უპირებენ და საქალაქო საპყრობილეში წაყვანასაო, რადგან სამსონს საჩივარი შეუდგენია მაზე და სამძიმო სისხლის სამართლის კანონის მუხლები უჩვენებიაო. საჩივარში გამოუცხადებია, რომ ბაანა ავთანდილს დღე-და-ღამე მოსაკლავად დარაჯობსო და ამის გამო ავთანდილს თავის ოჯახში მისვლაც ეეღარ გაუბედნიაო. შიუკასა და მამუკასთვისაც ჩვენება ჩამოურთმევიათ და იმათაც ფიც-ქვეშ უთქვამთ, რომ ბაანა გატენილი თოფით დასდევდაო ავთანდილს მოსაკლავათ. ეს ჩვენი თვალით ვნახეთო.

როცა ბაანა დაიბარეს, იმ დღეს რამდენიმე მებატონე საწიოკე მთისა დაბარებული იყო მოწმეთ, დამსწრეთ იმ ჩხუბისა, საცა ბაანას ავთანდილზე თოფით მიეწია. მოწმეები საღამოსვე მობრუნდენ სოფელში, ბაანა კი იქ გაეჩერებინათ...

ერთ კვირას შემდეგ საწიოკე სოფელში გავარდა ხმა, რომ ბაანა როგრც მძიმე დამნაშავე, საქალაქო სატუსაღოში წაუყვანიათო. მეტად საზარელი იყო ამ ამბის გაგონება. ბაანას ცოლშვილმა ისე შეიცხადა, თითქოს ბაანა მოკვდომოდეთო. მთელი დღე მისი სახლიდან კივილ-ჟივილი ისმოდა. ცოლი მეტი სიმწარით თავს არახუნებდა კედელზე და მოთქმიდა: „ვაი, ჩემს ბედისწერას, როგორ ერთ დღეს გამიცუდდა ყველაფერი! ოჯახის საძირკველი გამომაცალეს და ოჯახი თავზე დამანგრიეს. მე რომ ჩემი უბედური ქმრის ამბავი ვიცი, სანამდის ქალაქის სატუსაღოში მიიყვანდნენ, მანამდის გაუსკდება ჩიტსავით გული. ის იქიდგან ცოცხალი აღარ დაბრუნდება, ისემც ნუ მისულა ავთანდილი ცოცხალი თავის ოჯახში!“ საწიოკე სოფლის მცხოვრებლები მეტად ააშფოთა ასეთმა უსამართლობამ. ვისაც ავ-

თანდილის გულის ჯავრი სჭირდა, იმისმა გაიძვერობამ კიდეე უფლ-
გააფიცხა ისინი. ბაანას ჰყავდა ერთი ცხრამეტი წლის ვაჟი და ორი
ქალ-ვაჟი ჩჩვილი წლოვანებისა. უფროსი ვაჟი ოჯახის მოვალეობა-
ში გამოუცდელი იყო. ის ახლა სულ მარტოხელა დარჩა და თავისი
წვრილი და-ძმა მოხუცებულ დედიანად თავზე დააწვა სარჩენად.

საწიოკე სოფელში რამდენიმე ახალგაზდა შეითქვა, რომ ავ-
თანდილისთვის უსათუოდ ამის სამაგიერო გადაეხადნათ, ისინი უწი-
ნაც უპირებდენ მობრეგას; მაგრამ ახლა, რომ თვალით ნახეს ბაანას
ოჯახის უბედურება, ავთანდილზე ბრაზი იმ ახალგაზდებს გაუორ-
კეცდათ და ამას იქით დაუწყეს ავთანდილს მთაში დარაჯი.

ბაანას დიდი ხანი აღარ უცოცხლია საპყრობილეში. მთის წმინ-
და ჰაერში დაბერებული მისი აგებულობა ერთბაშად მოსხლტა
მძიმე და მყრალ სატუსაღოს ჰაერში. ოჯახის მოცილების მწუხარებამ
კიდეე უარესი დამართა. გალიაში ჩამწყვდეულს ბაანას მთის ნა-
დირსავით გული გაუსკდა. ორი კვირაც არ გასულა მას აქეთ, რაც
საპყრობილეში შეაგდეს და საოფლე დამართნოდა. ბაანამ საავად-
მყოფოში დალია ვაგლახი სული. იმის სიკვდილის ხმამ მალე მიაწია
საწიოკე სოფლამდის და ყველანი შეაწუხა. ბაანას ცოლს, უმისოთაც
მეტად შეწუხებულს, აღარ ეპირვებოდა ახალი უბედურების გაგონ-
ბა. ყველანი უმალავდენ ამ ამბავს მის სახლობას. მხოლოდ ამის შემ-
დეგ მეზობლები ძალიან გულ-ლმობიერად ექცეოდენ მის ობლებს.
საკუთარი გლეხები მაინც ერთი-ორად გაუერთგულდენ. ბაანას უფ-
როსმა ვაჟმა ამასობაში ხელი წამოიწყო და კარგი ცხენი იყიდა.
და-ძმა კარგათ დამოსა და სოფლის შკოლაში გაგზავნა სასწავლებ-
ლათ. დედა მისს თან-და-თან ეძლეოდა შვილის იმედი; ცოტა არ იყოს,
გულიც დაუმშვიდდა და შეურიგდა თავის მდგომარეობას.

VII.

ერთ დღეს სამსონ ჯიბიაშვილმა იხმო ავთანდილი და უთხრა:
„მოდი ერთი მთაში წავიდეთ სათეეზაოთო.“ ავთანდილი დიდი სია-
მოვნებით დაეთანხმა და საჩქაროდ მოახდინა განკარგულება. იმას
უნდოდა სამსონისათვის კარგი დრო გაეტარებინა. როგორც დაბრუნ-
და შინ, იხმო თავისი შიუკა გლეხი, რომელიც თეეზაობაში განთქმუ-
ლი იყო. მოამზადეს სასროლი ბადე, დააცხობინა ავთანდილმა შინ
ჩინებული შოთები, ნაზუქები, მოახარშვინა დედლები და გაგზავნ-
შიუკა სამსონთან, რომ კვირა საღამოს მიეყვანა იგი ავთანდილის ოჯა-
ხში. მერე იქიდან ერთად გასგზავრებულიყვენ მთაში. მზე ერთ ცულის

ტარზე იდგა დასავლით. როცა სამსონ ჯიბიაშვილმა თავისი ლურჯა შეაქროლა საწიოკეს ხეობაში. უკან მოსდევედა ძუნძულით ფეხ-და-ფეხ შიუკა, რომელსაც თავის სასროლი ბადე ზურგზე გადაეგდო და ჩოხის კალთები აეკეცნა. კალთაში ეწყო რამდენიმე ახლად გამომცხვარი მჭადი და ორი კბილა ყველი. სამსონ ჩამოხტა ავთანდილის ოჯახში ჩაის დასალევად. მასპინძლის ეზოში მწვანე კოლინდარი მუხლამდის იდგა. შუაგულ აიმართებოდა ერთი დიდი კაკალი და ქვეშ ფიცრის ტახტი იყო გამართული. მასპინძლის შვილებმა ცხენი ჩამოართვეს და კაკალ ქვეშ მიიპატიჟეს პატივცემული ვექილი.

— ავთანდილ! აბა, სუფრა გამოატანინე, კაკალ ქვეშ დაგლიოთ ჩაი. ამ შენს ეზოში ყოფნას არა სჯობია-რა.

— ბატონი ბრძანდებით. შენი ნახვა ელირსა ჩემს ოჯახს და მერე რა იქნება ისეთი, რომ არ მოვახერხო! — უთხრა ავთანდილმა მხიარულად და თან გაწიერ ხის სუფრას მოარბენინებდა.

— ავთანდილ! არ დაგვიგვიანდეს, მალე მოახერხე ჩაი.

— რას შიბრძანებთ? განა მე-კი არ მინდა. მაგრამ რაც სიგრილით წავალთ, ის გვირჩევნია. ახლა ღამით მოგზაურობას მთაში არა ჯობია-რა. ცა მოკაშკაშებული იქნება. მთვარე ღამეში ისე ანათებს, როგორც დღე. ჩვენ უნდა ვინადიროთ ჟინჟღილებით. ბადეს ხან მე ვესვრი ხან შიუკა. კალმახი ღამით უფრო ხვდება ბადეს. ჟინჟღილებს რომ ავანთებთ, თევზი მაშინვე სინათლეს მოაშურებს და თითო ბადის სროლაში ოთხი-ხუთი კალმახი შეიძლება ამოვიყვანოთ.

— აბა, შენ იცი, ჩემო ავთანდილ, როგორ დროს გამატარებინებ.

— შიუკა! — მიუბრუნდა გლეხს მასპინძელი. — შენ დროს ნულარ ჰკარგავ. გასწი ახლავე შენი ბადით და ქურდის ხეობაში მოგვიცადე, საცა დიდი ცაცხვი დგას, იმის მახლობლათ რომ ერთი მორეევია. ხომ გინახავს?

— როგორ არა, ბატონო! იქ ძალიან ბევრი კალმახი იცის, თუ რომ ვისმე არ უნადირნია ამ ცოტა ხანში.

— არა, მე განზრახ შევანახვინე ის მორევი ჩემ ვაჟებს. ერთი თევ მეტია, რაც შიგ არავინ ყოფილა.

— რაკი ეგრეა, სწორეთ კარგი სათევზაო იქნება, ბატონო.

— იქ რომ მიხვალ, ერთი პატარა კარავი დადგი ხელათ. ეს პაწია ქვაბიც თან წაიღე. თევზის მოსახარშავათ დაგვჭირდება.

— ოჰ, რა კარგათ მოიფიქრე, შე წყეულო! ხელათ რომ ცოცხალ-ცოცხალ კალმახებს ჩავყრით ქვაბში და უცბათ მოვხარშავთ, იმის ჭამას არა ჯობია-რა. ყოველიფერი რიგზედ იცი, ავთანდილ.

ომიტომაც მიყვარხარ კიდეც... ე. მაგისთვის დაგიჩაგრე მტრები! შეიტყე, ავთანდილ. ბაანა რომ მომკვდარა?

— მის მეტი ნუ რა მომკვდომია-რა! შენი ქირი წაულია! ძალლი იყო და ძაღლსავით გადაათრევდენ...

— ავიცა ხარ. ჩემო ავთანდილ, და კარგიცა.

— შენ თუ ცოცხალი მეყოლე. მეტი რა მიქირს! ამ საწიოკე მთას ხელში დაგაჭერინებ. ოღონდ ის აღსრულებითი ფურცლები დაატაკე საწიოკელებს. სამოქალაქო ბოქაული ჩაუყენე ყველას. კაპეიკი არავის მოეძევა. აეუწეროთ მთაში მონაწილეობა და გაეუყიდოთ. მაგ ძაღლების ჭამას. მე და შენ ვქამოთ. არა ჯობია?

— ჰო. ჩემო ავთანდილ. ეგრეც იქნება.

ამ ლაპარაკში საჯალაბო სახლიდან გამოვიდა დიასახლისი, ავთანდილის მეუღლე, თავისი ქალით და მოწიწებით მიესალმა სამსონს.

— ოჰ. ნათლიდედას ვახლავარ! როგორი დამშვენებულა! ისეთს კაცს უნდა მივათხოვოთ, რომ „ბლამანჟე" და „მაროჟენები" არ გამოულიოს. სულ ხავერდის და ატლასის „ბოთინკებში" ატაროს.

ამ ლაპარაკზე ავთანდილის ქალს თავი ჩაეღუნა და სიამოვნების ღიმილი მოსდიოდა პირი სახეზე.

— შენი მოწყალება ღმერთმა ნუ მოუშალოს შენ ნათლულს. ჩემო ბატონო.

— დედაკაცო, აბა. გამოიტანეთ სტაქნები, სამოვარი! ამდენი-კი არ გვცალიან. ეგ შენი ქალიც მოიბმარე! — შესძახა ავთანდილმა.

ქალები ისევ უკან გაბრუნდენ საჩქაროთ საქმეზე.

— როგორი კარგი ქალი გამხდარა ჩემი ნათლული!.. ავთანდილ, ერთი შენი ქალი სამოსამართლო ბოქაულს უნდა უჩვენოთ. თუ მოეწონა, შენი მთის მონაწილეობა უნდა ამზითვო. აქვე ჩამოგესახლება.

— ნეტა შენი მოწყალებით ეგ-კი მოხდებოდეს და საწიოკე მთის მონაწილეობას ძალიან კარგს ვუშოვნი. — სთქვა ავთანდილმა, რომელიც ამ დროს ჩაის ასხამდა.

მზე უკანასკნელი სხივებით ემშვიდობებოდა კაკლის ხეს და მთელი სოფლის ხეობაც ოქროსფრად შეეღება.

ამ დროს საწიოკე სოფლის სერზე ზოგიერთს სახლში რაღაც საიდუმლო მოძრაობა იყო. ორი თუ სამი ახალგაზდა ვაჟი, შავ-ჩაბალახში გამოხვეული, ჩამოდიოდა ძირს და იცქირებოდა. ხან ერთმანეთს დაუახლოვდებოდენ. თითქო რაღაც მოლაპარაკება ჰქონებოდეთ. ხან ისევ გაშორდებოდენ ერთმანეთს და თავ-თავიანთ სახლ-

ში შევიდოდენ. ბოლოს, ცოტა რომ მობინდდა და გაბადრული ჰთვა-
რის შუქმა იმატა, ერთმა მათგანმა ჩამოირბინა სერი და ჩავარდა მო-
შორებით ხეობაში: ის მიეშურებოდა მთაში; სხვა ორი მისი ამხანა-
გი-კი აღარსად ჩანდა.

VIII.

— დროა, ბარემ წავიდეთ, სამსონ, — დაცალა თუ არა ჩაი-
სტაქანი, წამოდგა ავთანდილი.

— მეც მზათ ვარ! — შესძახა სამსონმა.

— შვილო, გამოიყვანე ცხენები! — დაუძახა ავთანდილმა უფ-
როს ვაჟს.

სამსონი გამოეთხოვა დიასახლისს, გაჰკოცნა ნათლული და
შეჯდა თავის ლურჯაზე. ავთანდილი ჩამორჩა უკან და შვილს დაუ-
ძახა, ხვალ კარგი სადილი დაეხვედრებიათ იმათთვის და მეზობლე-
ბიც მოეპატიჟებინა. მერე შეჯდა ცხენზე, ხურჯინი და ბადე უკან შე-
მოიკრა და გააქენა ცხენი. ავთანდილი ძალიან თადარიგიანი კაცი იყო
მგზავრობაში. საგძალს გარდა, იმას არც სტაქანი, არც მარილი და
არც დანა არ დავიწყებია. ცალ ხურჯინის თვალში რომ პური და
ხორცეულობა მოექცია, მეორე თვალში ერთი ტიკპორა ღვინო
ჩაედო.

ისინი გაკვრით მიდიოდენ დიდხევის პირათ რიყიან-ქვიან გზაზედ.
ბუნება დამყუდრებული იყო, ოდნავ სიოც არ ჰქროდა, მხოლოდ დიდ-
ხევის შხუვილს მოეცვა იქაურობა. ჭალა თან-და-თან ვიწროვდებო-
და, შავი მთის ქედები ბუმბერაზიკით იყვენ დიდხევის პირად გამ-
წკრივებული. მთვარე ზევიდან დაქათქათებდა ამ დიდებულს ბუნე-
ბას. ცხენების ფეხის ხმა ხევის შხუილს ისე რიგათ შესწყობოდა, თით-
ქოს ჭიანურზე დოლს აყოლებენო. სამსონი და ავთანდილი, ხმა-გაკ-
მენდილები, ყურს უგდებდენ ხევის შხუილსა. მთები ბოხი ხმით ბანს
აძლევდა და თან ცხენთა ფეხების ბაკა-ბუკი სასიამოვნო საკრავების
ხმათ მოისმოდა. ბუნების ღრმა სიადუმლოება ამ თავისებურის მუ-
სიკის კვრაში გამოიხატებოდა. ჩვენ ორს მგზავრს ღრმა ფიქრი დას-
წოლოდა თავზე. ვერც ერთი, ვერც მეორე ვერ ბედავდა ამ დროს
ერთმანეთის ხმის გაცემას, რომ არ დაერღვიათ საშიში ბუნების დუ-
მილი. მთვარის შუქზე კლდის ნამზვლევები ათასნაირი მოჩვენების
სურათებათ ეხატებოდა თვალწინ ავთანდილს. იმას წარმოუდგა ბა-
ანას აჩრდილი, რომლის სიკვდილი ახირებული გულ-ცივობით გა-
ნუცხადა სამსონმა წამოსვლის წინათ. მაშინ ყურადღებაც არ მიუ-
ქცევია და ახლა რაღა დაემართა?! ამ მთებითა და ტყით დაბურულ
ხეობაში რომ მიდიოდა ღამით, უცბათ გაუცოცხლდა დატანჯული

ბაანას პირხმელი სურათი თვალწინ. ის წყალ-და-წყალ ხტებოდა ქვიდან ქვაზე, ხელში თოფი ეჭირა და, დიდება შენთვის ღმერთო, სულ ავთანდილს უმიზნებდა! ავთანდილი ცდილობდა არ მიეხედნა წყლისაკენ და ვერც მოეხერხებინა.

— ეს რა ამბავია, — აკანკალებული ხმით უთხრა მან სამსონს: — რო ამ ხევის წყალში დიდრონი ქვები კაცის სურათებათ გვეჩვენება?

— როგორ, ავთანდილ, ღამით ხომ არ გეშინიან? — ჰკითხა ხუმრობით სამსონმა.

— ჩემს ღღეში ეს არ დამმართნია. ისეთი ბურუსიანი ღამეები მახსოვს ამ ეთაში, რომ თვალთან თითი ვერ მიმიტანია. ბევრჯელ ნადირიც შემფეთებია წინ, მაგრამ ჩემი გული არ შედრეკილა. როგორც-კი შორიდან შევნიშნავდი ორ ბრიალა წერტილს — ღამე ნადირის თვალები ცეცხლივით ანათებს — მაშინვე გავკრავდი ტალკვესსა და ისიც გზას მიტევდა. ბევრჯერ თოფიც დამიყოლებია ზედ. ახლა-კი, ამ წუთას, არ ვიცი, რა მემართება! ყოველ ფეხის გადადგმაზე ხევში ქაჯები მეჩვენებიან, ჩემი გული ფოთოლივით თრთის.

— ჰაი, ჩემო ავთანდილ, მოხუცებულხარ. შიში შეგპარვია გულში, თორემ იმ წყალში ლოდების მეტი არა ყრია რა, ხან-და-ხან ტოტებიანი ხეების კუნძებიც გხვდება. განა ვერ შეამჩნიე, რომ მათი ტოტების ჩრდილი ბევრნაირ სურათებათ გვეხატება თვალწინ მთვარის შუქზე?

— ვაიმე, სამსონ, სამსონ, მიშველე — დაიყვირა ამ დროს ავთანდილმა და თავი ძირს დაიღო.

— რა იყო, კაცო?! ფუ შენს ვაჟკაცობას. ზარნაშომ როგორ შეგაშინა ეგრე?... ის არ იყო, რომ ამ წუთას თავზე გადაგვიარა?... ეგ ღამის ფრინველია, თრითინებს იჭერს და იმითი ირჩენს თავსა.

— სწორედ ცუდს ფეხზე წამოვედით. ჩვენ ამაღამ კარგი არა მოგვივა-რა! — ბატონო, წამოიკვნესა ავთანდილმა. — ცხონებული მამიჩემისაგან მაქვს გაგონილი, რომ ღამით ზარნაშოს თავზე გადაფრენა უბედურებას მოასწავებსო.

— დაუჯერე შენც სოფლის ჭორებს! როგორ ვერ გაგწურთნე. ჩემო ავთანდილ, ამდენი ხანი!.. მაგისთანა ამბები სულ სოფლის მკითხავების მოგონილია, რომ ხალხი შეაშინონ და ფული გამოსტყუონ.

სამსონი რაკი დარწმუნდა, რომ ავთანდილი შეშინდა, მოჰყვა სხვა-და-სხვა ამბებს მის გასართობათ: ხან ბაიათებს იმღეროდა, ხან რამდენიმე მოტივიც იგალობა ტფილისის თეატრში გაგონილი ოპერებიდან. იარეს ასე ერთხანს, სანამ ბოლოს ცეცხლი არ დაინახეს. ათვანდილმა, ცოტა არ იყოს, გული გაიმაგრა და წამოიძახა:

— ძლივს არ მივედით!.. — უკივლა კიდეც შიუკას. იმანაც ხმა მოაწვდინა და ამ გარემოებამ ავთანდილი კიდევ უფრო გაამხნევა.

— მე კიდეც მომშივდა, — სთქვა სამსონმა.

— ისეთი მსუქანი დედლები წამოვიღე, რომ უკეთესი არ იქნება. მასთან ერთი ტიკჭორა საფერის ღვინოცა. ცოტა სიგრილემაც დაჰკრა. ვახშამი ძალიან გვიამება, — მიუალერსა ავთანდილმა სამსონს.

— ჰატ, შე ლაჩარო, ახლა გამხიარულდი! წელან, აკი, ქაჯები გელანდებოდენ!

ამ ლაპარაკში მივიდენ კიდეც კაკალ ქვეშ, სადაც შიუკას პაწია კარავი გაეკეთებინა ნედლი ხის ტოტებისაგან და წინ ჩინებული ცეცხლი დაენთო.

— შიუკა, ცხენი ჩამოართვი სამსონს! — შესძახა ავთანდილმა.

ისინი ჩამოხტენ ცხენიდან და დასხდენ ცეცხლის პირას კარგად რომ დაისვენეს, მერე ავთანდილმა მიითრია სავსე ხურჯინი, ამოალაგა რგვლად მოხარშული ორი დედალი, რომელშიაც მარილი გამოეხვია. შიუკამ ცხენები საბალახოთ გარეკა იქვე, მოტეხა ნოშოიანი ტოტები, სუფრად დააფინა ბალახზე და ზედ საქმელი დაალაგა ავთანდილმა მოხსნა თითი ტიკჭორსა და ჩამოასხა წითელი საფერის ღვინო სტაქანში.

— ასე გემრიელათ ჯერ ვახშამი არ მიჭამია! — წამოიძახა სამსონმა.

— ამისთანა ღვინო საწიოკეში ჩემს მეტს არავისა აქვს. ძალიან კარგი ღვინო დამიდგა წელსა, ბატონო სამსონ.

— მართლაც რომ კარგი შუშხუნა ღვინოა! — წამოიძახა სამსონმა და გადაუსვა სავსე სტაქანი.

სამნივე მადიანათ შეექცენ ვახშამს. გაახშირეს სადღეგრძელოები და ღვინით სავსე ჭიქა გადადიოდა ერთი ხელიდან მეორე ხელში. მგზავრებს ღვინო კარგათ გაუჯდათ ტანში. შეხურდენ და კიდეც შეზარხოშდენ.

IX

— აწ კი დროა კალმახების ჭერას შევუდგეთ, — სთქვა ავთანდილმა.

— შენ იცი, ავთანდილ, როგორ სეირს მაჩვენებ.

— შიუკა! — დაუძახა ავთანდილმა: — ჟინჟღილები ხომ კარგები დაამზადე.

— რვა ჟინჟღილი ისეთი მაქვს, შენ ნუ მოუკვდები ჩემ თავს, რომ თითო სამ-სამი ადლია და დღესავით გაანათებს მთელს მორევს.

— მთვარეც ჩავიდა. დილის რიჟრაჟი შორს აღარ უნდა იყვეს. ცეცხლი მიანელე, შიუკა, და ჟინჟღილი აანთე. მე ხვირჯინში ჩავდებ ჭურჭელს, ფეხს გავიძრობ. შენ ბადეს ჩემსავით ვერ ისვრი. ჯერ მე დამაცალე. შენ მხოლოდ ჟინჟღილი მომინათე ხოლმე. რაკი მთვარე ჩავიდა და ცეცხლიც ჩაქრა, ჟინჟღილი უფრო გაანათებს მორევს, კალმახიც სინათლეზე დაიწყებს დენას. ღმერთმა ნუ ქნას, თითო ბადის სროლაზე ხუთი-ექვსი ცოცხალი კალმახი თუ არ ამოვიყვანე.

— ჰაი. ჰაი, შენი ღმერთის ჭირიმე, ავთანდილ! მეც უნდა გიყურო. როცა ბადეში კალმახის ფართხალსა ენახავ, მიამება!

— თქვენ, ბატონო, აი, აგერ კიდეზე დაბრძანდით. მე კალმახებს გადმოგისვრით და არ გაუშვათ, საშინელი ეშმაკია ახალი დაჭერილი კალმახი, ერთ საჟენზე ახტება და ისევ წყალში ჩავარდება, თუ მარჯვეთ არ იყავით.

ცოტა ხან იქით შიუკას გძელი ანთებული ჟინჟღილი ეჭირა და ზედ შუაგულ მორევზე ჰქონდა გაჩერებული.

— ბატონო. ბატონო. გამოდის კალმახი. უკ, ერთი როგორი დიდი კალმახი დაიზლაზნება! — წამოიძახა შიუკამ, რომელიც ჟინჟღილით წყალში იცქირებოდა.

ავთანდილმა გაშალა ბადე, დაიწერა პირჯვარი და ნელა, თითქოს ეპარებაო, ისე შევიდა წყალში სამსონ წყლის ნაპირზე იჯდა, წყალში ჩასცქეროდა, უნდა მცურავი კალმახი დაენახა, ავთანდილმა ისროლა ბადე და მთელს მორევს გადააფარა. ბადე ზღართანით ჩაეშვა წყალში. ცოტა ხანს შემდეგ მეთევზემ მოშუპა ბადე და ორი კალმახი, თითო მტკაველ ნახევარი სიგძე. ამოისროლა იქითკენ, საითაც სამსონი იჯდა. ცოცხალი. კალმახები ხტოდენ მინდორზე. სამსამსონმა სიხარულისაგან ჟყლოპინი დაიწყო, უნდოდა დაჭერა, თავი ვეღარ შეიმაგრა და ყირამალა წაკოტრიალდა მინდორზე.

— ოჰ, შენი ღმერთის ჭირიმე!.. თუმცა დავეცი, მაგრამ მაინც დაგიჭირე, მაინც, ჰი!..

ჯერ კიდევ ბნელოდა, მაგრამ აღმოსავლეთისაკენ ცა უკვე წითლად შეიღება. ჩაბნელებული ტყე გადანარინჯდა, გადახალისდა, დილის რიჟრაჟი მოტანებული იყო.

ამ დროს უეცრად მოხვდა შიუკას ხელზე მსხვილი ქვა და ჟინჟღილი ხელიდან გავარდა, ჩავარდა წყალში და დაიწყო შუშხუნი.

— ვაიმე, ბატონო, წყლის ქაჯები დაგვეცენ, თავს ვუშველოთ! — გააბა გლეხმა ყვირილი და თავდაღმა მოკურცხლა.

სამსონმა და ავთანდილმა მიხედვაც ვერ მოახერხეს: ერთი ქვა ბეჭის ფრთაზე დაეცა ავთანდილს და წყალში თავი წაარგვევინა,

მეორე ქვა მოხვდა სამსონს მსხვილ კისერში და დათვივით დააწყებინა ღრიალი. ამის შემდეგ რა იყო და რა არა, ველარც ერთმა გაიგო, ველარც მეორემ. შავათ შეფუთვნილნი არსებანი დაესხენ თავზე ორსავე. ავთანდილი ნაპირზე გამოიტანეს და მოურთეს კეტები. მათს ზურგს, ბეჭებს, მუცელს და კისერს დალაბანდიკით გაჰქონდა ბრაგა-ბრუგი. სცემდენ ორსავე უწყალოთ და კრინტიც არ ისმოდა მათგან. ბოლოს, ცემით რომ მოიღალენ ეს ქაჯები, შიუკას სიტყვით, დაადვეს ყური გალახულებს, უნდოდათ შეეტყოთ, კიდევ სუნთქავდენ თუ არაო. როცა დარწმუნდენ, რომ სამსონ და ავთანდილ თითქოს გრძნობაში აღარ იყვენ, უცბათ მოშორდენ და გაჰქრენ დაბურულს ტყეში.

X

მშვენიერი დილა გათენდა. ავთანდილის ოჯახში დიდი სადილის მზადება იყო. მის ცოლსა და შვილებს მოეპატიჟნათ მეზობლები, უნდოდათ სამსონისათვის კარგი დრო გაეტარებინათ, გაერთოთ, მოელხინათ, ემღერნათ და ეთამაშებინათ იმ სოფლის ქალ-ვაჟები. საჯალაბო სახლთან, იქვე ეზოში, დიდი ცეცხლი გიზგიზებდა. ცალი მხრით მსუქანი გოჭი ტრიალებდა შამფურზე, მეორე მხრით რძის ბატკანი. სოფლის სადილობა კარგა ხანი იყო გადასული. სტუმრები დიდი ხანია მოგროვილიყვენ ავთანდილის ეზოში. მის ვაჟებს მწვანით შეფოთლილი გძელი ფანჩატური გაეკეთებინათ და შიგ სუფრა გაეშალათ სტუმრებისათვის. ყველანი მომშეული იყვენ და აღმოსავლეთისაკენ იცქირებოდენ, თვალ-გაფაციცებით ელოდენ: სამსონი და ავთანდილ, აი, აგერ გამოჩნდებიან და, აი, აგერო. სტუმრებს იმედი ჰქონდათ, რომ აუარება ახალ დაჭერილს კალმახებს მოიტანდენ და წინდაწინ იტკბარუნებდენ გულსა მისი გემოვნებით. უეცრად მოისმა ხმა-მაღლა ტირილი. ყველანი განცვიფრებაში მოვიდენ, შეჯგუფდენ და ერთად გაექანენ ჭიშკრისაკენ, რადგან ეს გოდების ხმა თან-დათან უახლოვდებოდა ავთანდილის სახლსა, ბოლოს დაინახეს, რომ ძვირფასი სტუმრის მაგიერათ, მოდიოდენ ცხენები, რომლებზედაც დაკლული ღორებივით გადაეკიდნათ სამსონ და ავთანდილი. იქით-აქეთ-აქეთ ამოდგომოდენ გლეხები, რომ ცხენიდან არ გადმოვარდნილიყვენ. უკან მოსდევდა ტირილით შიუკა და მოიძახოდა: „ქაჯებმა, წყლის ქაჯებმა, დამიბეგვეს ბატონები! რომ არ გავქცეულვიყავი, მეც მომკლავდენ ცემით. ჩემი თვალით ვნახე, რომ ქაჯები იყვენ, ბანჯგვლიანი პირისახე შავი მურივით უჩნდათ, თავზე რქები შევნიშნე... პირველად მე მომარტყეს ქვა და ეინჟღილი წყალში ჩა-

შაგდებინეს. მაშინვე მოკკურცხლე. ენა პირში აღარ მედვა ისე მივირბინე შინამდის. ჩემი ძმები გაეშურენ მეზობლებთან, ისინიც თან გაეიყოლიეთ. იქნება მივუსწროთო. ვამბობდით. მაგრამ რომ მივედით, თქვენი მტერი იყოს, რაც ჩვენ სანახავი ვნახეთ. ორივე ასე დალილებული დაბეჟილები ეყარენ მინდორზე და კვნესოდენ. ჰოვძებნეთ აშათი ცხენები, შევდევით ზედ და წამოვიღეთ".

ავთანდილის მუღლემ ისე შეიცხადა ეს ამბავი, თითქოს ქმრის ცხედარი მართლაც სახლში სვენებოდეს. დედა-შვილის გაპოტნამ და მათმა კივილმა ის მოწვეული სტუმრებიც ააშფოთა. სამსონს მსხვილი კისერი რუმბივით გახდომოდა. მაშინვე აფრინეს კაცი მღვდელთან, რომ ზეთი ეკურთხებინათ. ექიმი და გამომძიებელიც მალე მიიყვანეს. ექიმმა გაშინჯა, თავი გადააქნია. სამსონის მორჩენაზე იქვე განაცხადა. ჯიგარი აქვს დაბეჟილიო. ავთანდილს კიდევ უფრო ეტყობოდა გალახულობა. კეტების ცემით ზურგზე. წელზე და მკლავებზე ხორცი ჰქონდა დამსკდარი და სისხლი სდიოდა.

გამომძიებელი შეუდგა საქმის გამოკვლევას, მაგრამ ვერა ახსნა რა. ბოლოს ავთანდილის ვაჟებმა ბაანას უფროს შვილს დააბრალეს ეს საქმე, რადგან იმ ორ ოჯახს მტრობა ჰქონდათ ერთმანეთში. საწიოკე სოფლელებს სრულებით არ სჯეროდათ მისი დანაშაულობა. ის იყო მეტად მშვიღობიანი, უწყინარი და მხოლოდ თავის ოჯახის ერთგული მუშა; მაგრამ ხალხს ვინ დაუჯერებდა?.. ავთანდილის შეილებმა შიუკას ძალა დაატანეს და გამომძიებელთან, ათქმევინეს: „ბაანას ვაჟი ვიცანი იმ გამლახველებშიო". ამ მიზეზით ბაანას ვაჟს ტომსკში ამოაყოფინეს თავი. მისმა მოხუცებულმა დედამ მეორე უბედურება ვეღარ გადიტანა. დარჩენ პატარა და-და-ძმა, ბაანას შვილები, უპატრონოთ. მაგიერათ სოფელმა გამოიღო ხელი. მეზობლებმა და ბაანას გლეხებმა ითავეს ობლების გამოკვება. ყველანი ეწევოდენ, რაც შეეძლოთ და ბაანას პაწია ქალ-ვაჟი ისე დაზარდეს, როგორც იმათი ალალ-მართალი მამის კაცობას შეეფერებოდა.

სამსონ ჯიბიაშვილს დიდხანს აღარ უცოცხლია. მას მოერია ხიყვითლე და ექვსის თვის განმავლობაში მოკვდა. ავთანდილი თუმცა მორჩა, მაგრამ სისხლის ფურთხება დააწყებინა. ის სახლიდან აღარ გამოდიოდა...

მთაში დანადირობდენ მხოლოდ მისი ვაჟები და ვისაც წაეწვეოდენ, გაუცარცველს არ გაუშვებდენ.

„თვითონ რომ იყო, იმაზე კიდევ უფრო ავი ლეკეები დაზარდა რუხმა მგელმა, სენი წილიმე!" იძახოდენ დანაღვლიანებული ოსები.

მ ა მ ი დ ა ა ს მ ა თ ი

მ ა ა მ ი დ ა ა ს ა ა თ ი

მოთხრობა.

(ვუძღვნი ციციანათელას)

I.

ივანობისთვე იყო. ჭიჭინობელა ტყემალზე ჭიანურს უკრავდა. მიწა გოლვისაგან ღრმად დამსკდარიყო; შიგ გომფეშოები ისხდენ და გრილობდენ; ზოგი მათგანი ულაზათოდ ყიყინობდა, თითქოს ზეცას შესჩივოდა, ცოტა ცვარი გადმოგვიგდეო. ერთს ფერდობზე პატარა სამთვალიანი ოდა, ხის ბოძებზე შესკუპებული, გადმოჰყურებდა. ყავრით დახურული ფარდულები ძერის ფრთებივით ჩამოეშვა, თითქოს ძირულის ხევში ეპირებაო ჩაფრენას. წინა ფარდული აივანზე ჰქონდა გადაშლილი და ოთხ ბოძზე იყო დაბჯენილი. ერთ კუთხეში გრძელი ხის სკამი იყო კედელზე მიდგმული და ცალი თავი სასთუნლად ჰქონდა მომორილი. ამის გამო სკამს საკარძელს ეძახდენ. იმაზე იჯდა ერთი შუა ხანზე გადასული ქვრივი, შავებით შემოსილი. ლურჯი ლაინის პერანგი ეცვა და საყელო თეთრი ზონრებით ჰქონდა მარაყუჟათ შესკვნილი. გვერდით მოესვა თმა-გრუზა პირ-რგვალი გოგონა. ამას კალთაში ძველი დაქმუჭვნილ-დაფლეთილი ბარათები ეწყო. ერთი მათგანი მუხლზე ჰქონდა გადაფენილი. სტრიქონებს თითს აყოლებდა და წკრიალა ხმით გასძახოდა: „ჩ...ე...მ...ო ს...ა...ყ...ვ...ა-რ...ე...ლ...ო...“ და სხვა. თუ ხანდახან შეეშლებოდა, ქვრივი მაშინვე გაუსწორებდა, თუმცა შიგ ბარათში არ იხედებოდა. მისი მსხვილი თვალები ხშირად ლურჯ ცას შეჰყურებდენ: ეტყობოდა, ქვრივი ღრმათ იყო ჩაფიქრებული, ხელში ეჭირა თითისტარი და ბამბის ფთილას ართავდა. ხანდახან თავს ახირებულათ გაიქნევდა, თითქოს დახვეულს ფიქრებს იგერებსო. პატარა მოწაფე არ იყო მაინც-და-მაინც სუფთათ ჩაცმული: მუხლებ ქვეშ. როცა ფეხ-მოკეცილი იჯდა, ტიტველა ფეხის ცერები უჩანდა. კაბის სახელოები შავათ ჰქონდა გალიფული. რადგან მათ ცხვირსახოცის მაგიერათ ხმარობდა. შავი წარბები, გრძელი შავი წამწამები და მელნის ტბა თვალები მეტად აცოც-

ხლებდნენ მის სანდომიანს სახეს. მისი შეჭლილი და ცოტათ გაფუთ-ქული ცხვირის ნესტოები ბაღის ვაშლის კვიპიპებს მოგაგონებდა. როცა ისინი მწვანე ფოთლებს ქვეშ ლამაზათ გამოიკვრიტებიან. თუმცა მომუზნული სახე იმ ცხრა წლის გოგონასი ბევრს ბუნებითს შნოს ჰკარგავდა, მაგრამ ვინც ნახავდა, ყველა ასე ამბობდა: „როცა მოჩიტდება, მაგის ნახვას არა ემჯობინება-რაო."

მზე დასავლეთისაკენ გადაწეულიყო და სავარძელს ჩერო მიდ-გომოდა. აივნის მეორე კუთხეს მზე ისევ აჭერდა და პაპანაქება-სიცხე ჯერ კიდევ არ დაშვებულიყო. ძირულის ხეობიდან ცოტა სიომ მოჰ-ბერა და სავარძელზე მსხდარნი მამიდა-ძმისწული გააგრილა. მაგრამ აივნის მეორე მხარეზე, საცა მზე აჭერდა, მაინც მყუდრო იყო. ბუზე-ბიც აქვე მოგროვილიყვენ და თითქოს სიცხისაგან გარეტებულნი ერთ-მანეთს ებრძოდნენ.

— აწ კარგი. შვილო, გეყოფა კითხვა. შეინახე.— უთხრა ქვრივ-მა და თითონაც მიდგა სავარძელზე თითისტარი და ბამბის გორგო-ლაჭი.

პატარა ქალი ელვაზე უმალ წამოვარდა, დახვია ხელი ბარათე-ბის ნაგლეჯებს და შევარდა განის ოთახში.

— ნათელა! — დაუძახა ქვრივმა პატარა ქალს. — უჩემოდ ნურ-სად წახვალ. ბარათები რომ შეინახო, ისევ აქ მოდი. ორიოდე სიტყვა მაქვს შენთვის გადმოსაცემი...

— აი, მამიდა! აგერ ვარ, რა გინდა? — გამოეჭიმა ცოტა ხანს შემდეგ შნოიანი გოგონა და სიკეკლუცით წელში იხრებოდა.

— შენ გენაცვალოს შენი მამიდა, ჩემო მერცხალო გოგონა! — შემოხვია თავზე ორივე ხელი, მიიზიდა და დაუწყო კოცნა თვალებში. მერე დაისვა მუხლზე და ასე ეუბნებოდა:

— ვაი, თუ აღარც-კი გაგახსენდე, ქმარს რომ წაჰყვები?!

— არა, მამიდა, მე ქმარი არ მინდა: არც წავყვები.

— მამიდა გენაცვალა. ქალი რომ გაიზდება, ქმარს უნდა წაჰ-ყვეს, უსათუოდ. ისეა წესი. მეც მყავდა ქმარი. კარგი კაცი იყო. მე, შვილო, მისი ღირსი არ ვიყავი. ღმერთმა არ მომცა, თორემ... დედა-შენსაც ჰყავდა ქმარი. ცოლ-ქმრობა ღვთის გაჩენილია. თუ ქმარს არ წაყვა, ქალი ისე რა შვილია?

— მე ხომ ჯერ ქალი არა ვარ.

— წლეულს, მარიობისთვეს, ათი წელი შეგისრულდება. მე-თერთმეტეში ჩადგები. მერე ქალობა დაგეტყობა, თორმეტის წლის არც-კი ვიყავი, მე რომ გამათხოვეს. ტანით თურმე შენ ხელაც არ ეყოფილვარ. მაგრამ რომ გავთხოვდი და ერთს წელს შემდეგ ისევ საყოლში (მამის ოჯახში) დავბრუნდი შინაურებმა ველარც-კი მი-

ცნეს. შოლტივით დედაკაცი შევიქენი. ქმარს რომ წაყვები, შენც გაიზდები, შვილო, გაკეთდები.

— აჰ, არა, მამიდა! — თავი გაიქნია ნათელამ: — ასე მგონია, გძულვარ და გინდა თავიდან მომიშორო; თუ შეგძულდი, ბიძაჩემთან გამგზავნე.

— მის მეტად ღმერთმა არ შეგიძულოს!.. — მოხვია ორივე ხელი ძმისწულს, ჩაიკრა გულში და ხელ-მეორედ დაუწყო კოცნა. — ეგ რა თქვი? მძულხარ-კი არა, შენზე ამომდის მზე. მე შენს მეტი ვინ მყავს ქვრივ-ოხერს? დედა-შენი რომ კვდებოდა, შენი თავი მე ჩამაბარა იმ სულ-განათლებულმა: „შენ იცი და შენმა ქალობამ, თუ ჩემს ნათელას გამიზდიო.“ მას აქეთ შვილად მყავხარ აყვანილი. რაც შენს გამოზდაზე წვალება და მწუხარება გამოვსცადე. დედა როგორ გამოცდის იმდენს! ორი დასკვნილი წელიწადი ამ ხელებით მიტარებიხარ, ძირს ფეხი არ დამიდგმევინებია შენთვის, მეშინოდა არ გამციებოდი...

— აბა, რაი მეუბნები გაგათხოვებო. მე წვერებიანი კაცების მეშინია.

— რათა, შვილო, კაცის რათ გეშინია?.. ბიძაშენი კაცი არ არის წვერებიანი? სხვა გარეშე კაცებიც მისთანები არიან... არ გახსოვს. ნამაშენი რომ ვაშლებს და კანფეტებს მოგიტანდა. კალთაში ჩაგისვამდა, გკოცნიდა, გეალერსებოდა?.. ქმარი კიდევ უფრო ბევრს საჩუქარს მოგიტანს: ოქროს ძეწკვს, ფარჩის კაბას, აპრიალებულს პოლსაპოჟეკებს და ვინ იცის რამდენს რას არ მოგიტანს.

— არა, მამიდა, არაფერს არ გამოკართმევ. არც მიეკარები. ბიძა ყოველთვის მარიგებდა, კაცს არ მიეკაროვო, თვარა მაშინვე მოგიტაცებსო... ტყუილათ რომ გეერდით გაუარო და მისი ჩოხის კალთა მოგედვასო, მაშინვე დაორსულდები და გაუბედურდებიო. მას აქეთ შემძულდენ მე კაკები.

— იმას დაუდუმდეს ის ბოროტი ენა!.. მოვიდეს აქ, მე გავსცემ საკადრისს პასუხს. ის ავ-სული! როგორ გაბედა შენთან მაგისთანების ლაპარაკი!

— არა, მამიდა, ნუ გაუწყრები. მე ძიძა ძალიან მიყვარს. ხომ არ გაუწყრები, ჩემო მამიდა? — ნათელა უცებ ახტა. მოეხვია ქვრივს კისერზე და დაუწყო კოცნა.

— კარგი, შვილო, არ გაეუწყრები, მაგრამ როგორ გაბედა იმ საძაგელმა შენი დაშინება. განა, შვილო, მე შენი სიკეთე არ მინდა? ქმარი რომ ცუდი იყოს. როგორ გირჩევ? მაგრამ შენ ახლა მოხდილი ხარ. ერთსა და ორ წელს იქით გასათხოვარი შეიქნები. ახლავე ბინდა. შვილო, შეგაჩვიო ამ აზრს, კარგი საქმრო გამოგირჩიო. მე შენთვის

სულ პირტიტველა ბიჭი მყავს გამორჩეული. აბა, ბიძა-შენი რომ ფიქრობს, ის კი არ მინდა შენნოვის: შავტუხა ყაძახი (გლეხი). შავი წვერულვაშიანი, უთვალტანადო, უსახო. იმისთანას არც მე გირჩევ.

— მამიდა, წავალ ლეტიასთან კოწიასთან სათამაშოთ. — მოუთმენლად ჩაჰკითხა ნათელამ, რომელსაც მობეზრდა ცოლ-ქმრობის ფილოსოფია. — კოწიას ერთი ყელ-მომტვრეული დოქი უშოვნია, ქვევრად უნდა ჩაფლას მიწაში, წყლით გაავსოს. თავი გადუგლისოს, ვითომ ქვევრია და შიგ ღვინო. მე მინდა იქ დავესწრო.

— წადი. მაგრამ არა იწყინო-რა.

ნათელამ მოკურცხლა მეზობლებისაკენ ფეხშიშველა თავ-მოხდილმა: თავსაფარი ყელზე ჩამოვარდნოდა და მიაფარფაშებდა.

ქვრივმა გაუშტერა იქითკენ თვალები, საითკენაც ნათელა გაფრენილიყო: ხელში შერჩენოდა მხოლოდ თითისტარი და ბამბა ფთილის ნარჩენი. ცოტა ხანს იქით ქვრივმა ამოიხვნეშა და ასე დაიწყო: „ვინ იცის. იქნება არც-კი მოხდეს! ბევრი მტერი მყავს. პირველი ჩემი მტერი ჩემი ძმა როსაფია. იმას უნდა ნათელას წყალობით ისარგებლოს. რა ენაღვლება, ამდენი მიწა-წყალი ხელში ჩაიმუჭნა: ობლის ლუკმა გემრიელია. ვინ არის პასუხის მომკითხავი?.. აპეკუნობა ქრთამით დაიმტკიცა. იმ დღესაც ობლის მამულიდგან ერთი ახო გაუყიდია ოც თუმნათ. სანამდის ჩემი ნათელა წამომეზდებოდეს. იმის ადგილ-მამულს გაანახევრებს... არა, უნდა დავაჩქარო ნათელას გათხოვება, მერე-კი მე ვიცი, თუ ქალი ვარ, პირში ლუკმას გამოვაცლი. იმ დღესაც ქართლიდგან მომივიდა ნათელას მაშვალი. შეუტყვიათ, მამულიანი ქალი არისო, მოტაცება განუზრახავთ, თუ აპეკუნი არ დათანხმდაო. აბა, რას დათანხმდება? ათას ორასი თუმნის მამული ხელში უჭირავს. იქნება იმას სულაც არ უნდოდეს ნათელას გათხოვება. იმ დღეს მითხრეს. ცოლის ძმისწულისათვის უნდაო. თურმე, როსაფსა და იმის ცოლის ძმას მოლაპარაკება ჰქონიათ. ორმოც თუმანს დაჰპირებია როსაფსა, ოლონდ ჩემს შვილს მიეცი ნათელაო. მანამდის არ ადგა ჩემის ძმის გვერდები. მე იმას ეს იმედი არ ავუსრულო. თანდილაანთ_ოთამს შემოუთვლია. თუ ჩემს შვილს ჰიჰიკოს შერთავ შენს ძმისწულს ნათელასაო. სამოც თუმანს გასამრიგოს მოგართმევო. ოთხმოც თუმანსაც ადვილათ მომცემს. ხვალ უნდა შევუთვალო პასუხი. საკუთარს ნაყმევს გავგზავნი და წიგნსაც ასე მივწერ: ოცი თუმანი ხელათ გამოგზავნოს და სამოცის. თუმნის ვექსილიცა ერთის წლის ვადით. მაგრამ ესეც არის. თუ არ მოვატაციბინე. ნებაყოფლობით არავინ დამანებებს ნათელას. ჩემს ავსულს ძმას გზირები აყავს ყოველგან დაყენებული. მაგრამ თუ მოვინდომე. ჩემს მტერს, ნურა

გაუგია რა, მაგათ ჩემი ასავალ-დასავალი ვერ გაიგონ. თვალსა და თვალს შუა ბეწვს გამოვაცლი... თხუთმეტი ცხენოსანი-კი იქ უნდა გამოგზავნონ, საცა მე დავუნიშნავ. დანარჩენი მე ვიცი." გაათავა თუ არა ეს ფიქრები, ასმათმა დააბზრიალა თითისტარი და ჩამოუშვა ძაფით ბამბის ფთილა, მერე ხელით ჩამოსწორება დაუწყო.

II

ასმათი იყო ერთი მკვრივათ ჩასხმული დედაკაცი, ორმოცის წლისა. მისი მსხვილი ბრიალა თვალებისა ყველას ერიდებოდა, მეტადრე როდესაც რამე ან ეწყინებოდა, ან ეოცებოდა. ის მაშინ წარბებს აიგრეხდა და თვალებს გადმოკარკლავდა. ამ დროს მისი თვალები მოაგონებდა კაცს ზღაპრულს ალმასის გველის თვალებს, რომელიც ყოველსავე ახმობდა და აშეშებდა, რასაც-კი შეხედავდა. მეზობლის დერეფნის წინ ქვა იყო ჩამოკიდებული, რომ ასმათის თვალების ანდამანტი პირველად ამ ქვას დასტეხოდა. თუ ვისმე ბატის ჭუკები დაეხოცებოდა, ან ახალ-გამოტეხილი წიწილები ავათ გაუხდებოდენ. ან ძროხას თვალი ეცემოდა, ან ხბო დაიხუთებოდა, პატრონი მაშინვე ასმათის ეზოსკენ გამორბოდა, სამჯერ გადააფურთხებდა და ასე იტყოდა: „შენი თვალი ქვასო, შენი არჩივი ძაღლსო". მაგრამ არც სულ ისე ავი იყო ასმათი, როგორც უგონებდენ. უნდა გეყურებინათ ასმათის ალერსი, როცა თავის ძმისწული ნათელა კალთაში უჯდა. ამ დროს იმისი ქცევა ვეფხის სიყვარულს მოაგონებდა კაცს, როცა ზურგზე კნუტები უსხედან. ასმათმა სიყვარულიც გადამეტი იცოდა. სიმძულვარეცა. თუ ვისმე ჩაასობდა კბილს, მის ნიადაგზე ნერგიც აღარ გაიხარებდა; მაგიერათ იმისი მეგობრობა, თუ-კი ვისმე გაიმეგობრეზდა, სწორეთ ღვთის მოწყალება იყო. აი ამის გამო იმ სოფელში, საცა ასმათი ცხოვრებდა, პარტიობა განუწყვეტელი იყო. ერთი მხარე რომ ასმათს აძაგებდა, მეორე მხარე ყოველთვის ქომაგათ ჰყავდა.

ასმათი და მისი ძმა როსაფი დიდის ხნიდან იყვენ ერთმანეთზე გადამტერებული: და ემდუროდა ძმას იმის გამო, ვითომც ზოგიერთი დედის ნაქონი ნივთები მამის სიკვდილის შემდეგ როსაფს გადაემალოს და ანდერძიც დაეხიოს. ვითომც ანდერძში წერებულიყოს, ერთი საპარტახე ადგილი ასმათისათვის დამიტოვებიაო.

იმ სოფელში, საცა ასმათი ცხოვრებდა, ერთი შეუძლო აზნაურიც ესახლა, კარგი თვალტანადი, მომლხენი და მომღერალი. მას ერქვა ოთარი. ყოველფრად კარგი ვაჟკაცი იყო, მხოლოდ ერთი ნაკლულევანება სჭირდა — მუშაობა არ უყვარდა. მამა-პაპეული ქოხისთვის

ერთი ტკოჩი ფიცარიც არ მიემატებინა. მის სახლის სახურავზე ხაესი მოითიბებოდა. მას ჰყავდა ერთი ძმის ზიარი დროებით ვალდებული გლეხი და ათი ურმის ყანა და მამის დანატოვარი ერთი კუდა ხმალი, რომელსაც ფრანგის რკინას ეძახდა. ასი თუმანი რომ შეგეძლია, ხმლის ფასად კიდევ ცოტა იყო. წლის სარჩო ქრისტეშობისთვის დამლევამდის თუ გაჰყვებოდა. მერე კარ-და-კარ დაიარებოდა: დღეს ერთთან მივიდოდა, ხვალ — მეორესთან. ხშირად მოხდებოდა, რომ ერთის რომლისამე აზნაურის ოჯახს ამოიჩემებდა და დაუწყებდა სტუმრობას: მასაც ალხენდა, თვითონაც ლხინობდა. არც სულ მართლა ხელ-ცარიელი შედიოდა მეგობრის ოჯახში: არ ვიცი, საიდან შოულობდა, მაგრამ საკლავ-შეჭამადი ბევრი შეჰქონდა მის ოჯახში. თუმცა ოთარი განიერი მხარ-ბეჭის პატრონი იყო, მაგრამ. თუ დასჭირდებოდა, გველის ხერელშიაც სრიალს გაადენდა. მეზობლები ხშირად ჩიოდენ საქათმისა და სათხეზოს კარის გატეხას... დღეს ერთს მეზობელს დააკლდებოდა მსუქანი დედლები, ხვალ მეორე მეზობელს საშობოთ გასუქებული ინდოურები, ზეგ მესამე მეზობელი გაბამდა: „ვიხარმამაცი *), წუხელი სანათლიღებო ქვევრი მომიხადეს და სამი კოკა ღვინო მომპარესო". ყველას ოთარზე ჰქონდა იქვი მიტანილი, მაგრამ ვინ რას გაბედავდა: „ხმალი სწყვიტესო, თავი კოტილარესო," იცოდა ოთარმა ხუმრობით ხალხში წამოძახება. „ღმერთო, უარესისაგან დაგვიცევო", — ფიქრობდენ დანაკლისებულნი. ოთარს ყველა მისებური ცალ-ხელა აზნაურები მომადლიერებული ჰყავდა. მის წვევას აღდგომასავით შეხაროდენ. კარგად იცოდენ, რომ ოთარი ხელცარიელი არ ეწვევოდა მათ უმთვარო ღამეში. იმის ცოლშვილი ღვთის ანაბარათ იყო მიგდებული. ვინ იცის, რამდენს გაჭირვებას და შიმშილ-წყურვილს ითმენდენ მის კარ-და-კარ სიარულითა. ხშირად მოხდებოდა. რომ ოთარი ორს.სამს კვირას შინ არ მივიდოდა და როცა შეაღებდა კარს მამა-პაპეულს ქოხში, მაშინაც დღე ნიადაგ გაუსხლეტელი ჩხუბი ჰქონდა ცოლ-შვილთან. ისინი მუდამ შიშველ-ტიტველნი ეყარენ, მაშინ როდესაც ოთარს ყოველთვის კარგი ტანსაცმელი ეცვა და კარგს ცხენზე იჯდა. მაგრამ საკვირველი იყო! მის ცოლს ოთარის შინ მისვლა მაინც აღდგომასავით გაამხიარულებდა. ის ოთარის წყრომასაც სიამოვნებით ითმენდა, ოღონდ-კი იმას ორი, სამი დღე ცოლ-შვილთან გაეთია. აი, ეს ოთარი დაუმეგობრდა ასმათს და შეიქმნა მისი ყურ-მოჭრილი ყმა და მოსამსახურე.

---

*) ვიხარ მამაცი! — ვინ ხარ მამაცი!

III

როგორც მამა დამარხეს, ასმათსა და როსაფს დიდი ალიაქოთი შეუდგათ.

— მე შენ არ შეგარჩენ დედის ჩემის დანატოვარს გულის-ქინძისთავს და ბეჭედს! ჯერ მამა არ მანებებდა თავის სიცოცხლეში და ასლა შენ გადამიმალე. მომეცი ჩემი, რას მეჭიდები! — ეკაპასებოდა ასმათი თავის ძმას. კვირა ერთი იყო და ასმათის ანჩხლობა დღენიადაგი. მისმა გესლიანმა ენამ რამდენი ცუდი არ აკადრა როსაფის ოჯახს? მის ცოლს, თავის საკუთარს რძალს, როსკიპობას სწამებდა, თვითონ მას — ათასნაირს ქურდობას, ცრუ-მოწმობას. ქრთამს, ხაზინის გატეხას და, ვინ მოთვლის. რამდენ სხვა სიცუდ-კაცეს. როსაფმა ჯერ ბევრი უთმინა. ბოლოს რომ ველარა მოახერხა-რა, ასმათი ვერ დათოკა, ერთი ამგვარი ჩხუბის დროს, წამოავლო მათრახს ხელი და ერთი ორიოდე უჭირა თავის დას. მაშინ იკადრა ასმათმა მოკურცხვლა შინისაკენ, მაგრამ იქვე დაექადნა: „თუ ქალი ვყოფილვარ, ძვირათ დაგიჯენ ჩემს გალახვასო.“ აი, ამას შემდეგ ოთარმა ხშირად დაიწყო სიარული ასმათის ოჯახში. მისთვის იქ მუდამ მზათ იყო კარგი ღადარში ჩასმული პურები, კარგი მწვანის ღვინო, კარგი შემწვარი ვარია. როცა ოთარი შეეინჟღილდებოდა, მერე მოჰყვებოდა როსაფზე მუქარას: „ასმათო, დარდი ნუ გაქვს, მე ვიყრი იმაზედ. შენს გულის ჯავრსო.“ ამასობაში სოფლად გავარდა ხმა ასმათისა და ოთარის საეჭვო დამოკიდებულებაზე: ვინ იცის, რამდენს რას არ აპორებდენ. ზოგი ამბობდა, სოფლის ვახშმობის შემდეგ ოთარი ასმათის სახლში მიიბუზება ხოლმე და მამლის ყივილზე შინ ბრუნდებაო. ამ ჭორებმა მიაღწია ასმათის ყურებამდის; ოთარის ცოლმაც შეიტყო, თუმცა ეს ამბავი არ სჯეროდა, რადგან ასმათთან კარგს განწყობილებაში იყო. თითოეული ჭორი ისე უშვერად იყო შეთხზული, რომ ოთარის ცოლს ძალიან ადვილათ შეეძლო მისი სიცრუე დაემტკიცებინა. თვით ქვრივის საღმა მოქმედებამაც ცხადათ დაანახვა ოთარის ცოლს თავისი უბრალოება.

ერთხელ ქვრივმა შეიკერა დიდი განიერი პერანგი, რომელშიაც ორი კაცი კარგათ მოთავსდებოდა. დაიბარა მოძღვარი, მოიპატიჟა ოთარის ცოლი და მეზობლები. ოთარიც იქ იყო. ასმათმა უთხრა ოთარს: „მე — დედა და შენ — შვილიო.“ მერე გადიცვა ტანისამოსზე დიდი პერანგი, შიგ ოთარი გააძვრინა, შემდეგ გადმოაგდო ჭუძუ და ზედ კბილი დაადგმევინა. მოძღვარმა აიაზმის წყალი უკურთხა. ამას შემდეგ ყველა დარწმუნდა, რომ ოთარი ასმათის ნამდვილი

შვილობილი ყოფილა. ამიერითგან ოთარის ცოლიც ასმათის რძლათ იგდებდა თავს. მტრები-კი მაინც აჭვის თვალით უყურებდენ ამ ამბებს.

ეს მეხუთე წელი გადიოდა, რაც ასმათი დაქვრივდა. ქმრისაგან კარგი მამული დარჩა და უშვილოც იყო. ბევრს უადგილ-მამულო აზნაურს რჩებოდა თვალი მის ქონებაზე, მაგრამ მის შერთვას მაინც ვერავინ ჰბედავდა, რადგან ქვრივის სიავე ყოველგან იყო ცნობილი. ქმრის უდროოთ სიკვდილს ყველა ცოლს აბრალებდა. „მოინელა ის საწყალი კაცი, უდროოთ ჩასდო საფლავშიო," — ამბობდენ მეზობლები. თვითონ ასმათი-კი გულახდით სწუხდა მის დაკარგვას. მის ოჯახს უკაცობა უფრო ახლა დაეტყო, როცა ასმათი ნაყმევებმა დაიბრიყვეს და შემოსავალს სრულად არ აძლევდენ. მას ეჭირვებოდა ერთი ვინმე ფხიანი მოურავი, თუ ნადელების ასაღებათ, თუ ადგილების გასაცემათ, თუ საჩივრების ასატეხათ. ამაებში ოთარი ძალიან მარჯვე იყო. ასმათიც არ რჩებოდა ხელ-ცარიელი. ამიერითგან ოთარის ცოლ-შვილი სულ ასმათის წყალობით რჩებოდა.

ასმათს გული ძალიან სტკიოდა, რომ იმისი ძმა როსაფი საპარტახე ახოს აღარ ანებებდა. ეს მესამე წელი იყო, რომ ის ახო გლეხებს სანახევროთ აეღოთ როსაფისაგან. მისი და-კი გულზე სკდებოდა, ჩემ საწილო ადგილს ჩემი ძმა როგორ სარგებლობსო...

მარტის დამდეგი იყო, საღამოს ოთარი მოვიდა ასმათისას.

— ჰო, ისე შენ გაგახაროს დედა-შვილობის გამჩენმა ღმერთმა, როგორც მე შენი მოსვლა გამეხარდა, — შესძახა ასმათმა მხიარულათ.

— რაო, დედა, რა ამბავია?

— ჯავრისაგან აღარ ვარ. თუ წრეულსაც ი მამიჩემის დანატოვარი საპარტახო როსაფის გლეხებმა დამიხნეს, სევდას ვერ გადავურჩები.

— ნუ დაახვნებინებ და ის იქნება.

— რითი, ჩემო შვილო?.. ქვრივ-ოხერს რა შემიძლია, როგორ უნდა ვეწინააღმდეგო?..

— თუ აგრეა, მე გადმომეცი. მე ვიშოვნი კაცებს. ბარე ათი სახელმწიფო გლეხი მეხვეწება, სამუშაო ადგილები აგვაღებინეო.

— მიშველე, ჩემო ოთარ, დედა-შვილობის გამჩენმა ღმერთმა მოგიწყოს ხელი.

— ბატონი ბრძანდები. ამიერიდან ყვავსაც აღარ გადავაფრენ ზედ.

— დღეს სამი მარტია. თუ ამისთანა დარებმა წაიარა, შუა მარტამდის ყანები უნდა დაიხნას. რაღას უყურებ?.. ბარემც გაურიგდი იმ გლეხებს, როსაფის ნაყმევებმა რომ აღარ მოგასწრონ.

— მაშ დამიწერე ბარათი, რომ ის პარტახი ჩემზე გაქვს სასარგებლოთ გადმოცემული. მერე მე ვიცი. თუ კაცია და ვინმე მოჰბედავს იქა.

— ახლავე, ჩემო შვილო, — უპასუხა ასმათმა და წავიდა საწერ-კალამზე.

IV.

აღდგომის მიწურული იყო. ოთარი ემზადებოდა თანდილაანთსა სტუმრობას. იმას ერთი ახირებული ჩვეულება სჭირდა. როგორც გაზაფხულის სული მოაწვევდა, ისიც ნავარდს ჰკრავდა თავის სოფლიდან!... გორიდან ფოთამდის მისი სანავარდეთი იყო. განსაკუთრებით უყვარდა ზესტაფონში და ქუთაისში ყოფნა. ნაგაზი რომ საყასბოზე მიეჩვევა, ისე იყო ოთარი სამიკიტნოებში გაწუწკებული. ერთხელ რომ ვისმე სალამი მიეცა, მეორეთ გულის ბიძაშვილათ გაუხდებოდა. დღე არ გავიდოდა, რომ ის სამიკიტნოში ვისმე პურის ჭამათ არ შესწრობოდა. ოთარმა იცოდა დრო და კაცი. იმ დროს მიადგებოდა, როცა მასპინძელი ღვინით იყო შეჟინჟღილებული და სტუმარს ნატრობდა. „ოჰ, ოთარ, ღმერთმა ბევრს კარგს შეგასწროს, მობძანდი, მობძანდი!"—უძახოდა გამხიარულებული მასპინძელი. ოთარსაც ეს უნდოდა. მივიდოდა, მოუჯდებოდა გვერდით და სტუმრული მორცხობით შეჰყვებოდა, საქმეს. მასპინძელი-კი თან-და-თან იწვევდა ოთარს მხიარულობისათვის. ბოლოს იმდენზე მივიდოდა საქმე, რომ, სანამდის მასპინძლის ჯიბეს სიქა არ გავარდებოდა, სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს არ გაშორდებოდნენ. როცა ორივე კარგა ლაზათიანათ გამოიბრუჟეებოდნენ, ოთარი ერთ-ორ მანეთს დაესესხებოდა მასპინძელს და მერე სხვა მხრით შეუტევდა. იმერეთიდან ქართლს გადავიდოდა, იქიდან ცხინვალის მხარეზე იცოდა გამგზავრება. იქ ახლო-მახლო ოსების სოფლებში ლუდისა და არაყის გემო ჰქონდა გაღებული. ხატობისა და დღეობის ანგარიშები მამაო ჩვენოსაეით ჰქონდა დაზეპირებული: სად რა დღესასწაული იყო, ან ოსეთში არყის ხდა როდის იცოდნენ, ან ლუდს როდის დააყენებდენ. ოთარი ყოველთვის იმ დროს მიადგებოდა კარზედ მასპინძელს, როცა იმას ყოველი სტუმარი უფლისაგან მოგზავნილი მოციქული ჰგონია. აი, ამიტომაც უყვარდათ ოთარი გარეთ ყოველგან, მაგრამ მაგიერად შინ არ გაიცდიდენ მეზობლები, რადგან ოთარი ოთოთაანთ ქორიავით ირჯებოდა: როცა გარეთ ლუკმა შემოაკლდებოდა, შინაურებს დაუტრიალდებოდა.

აღდგომის დღესასწაულები შავში გაითენა ოთარის ცოლშვილმა.

— ამის მეტათ არ მახსოვს, ოთარი რომ აღდგომას გარეთ დარჩენილიყოს, — თვალ-ცრემლიანმა ოთარის ცოლმა მიუწუწუნა ასმათსა. მე იმის იმედი უფრო მქონდა, რაკი თქვენს ადგილ-მამულს აიღებდა, მერე შინ მოდგებოდა. წელს სულ გადაირია!

მაგრამ ოთარის მოუსვლელობას მის ცოლზე უფრო ასმათი სწუხდა.

— იმ გაწუწკებულმა პირობა მომცა, საალდგომოთ უსათუოდ შინ დაებრუნდებიო. — შესჩივლა თავის მხრით ასმათმაც. — სად არის?! ნეტავ ახალ-კვირას მაინც მოსულიყო. მე რომ საპარტახე ადგილი მივეცი ოთარს, არ გახსოვს, როგორ დამარწმუნა, ყველაც აღარ გადავაფრენ ზედო... გუშინ-წინ როსაფის გლეხებს ისევ დაუხნავთ და სიმინდი დაუთესიათ შიგ.

ამ დროს უეცრად შემოიღო კარები და ოთარი შემოიჯგიმა. ქალებს უცბათ გადაავიწყდათ საყვედური. ცოლი გადაეხვია.

— კაცო, ასე უნდა?.. შენმა ლოდინმა მოგვკლა. ვინ იცის, რამდენი რა წამომიდგა! მე მეგონა, ცოცხალს ვეღარც-კი გნახავდი.

— ჩემო მომკველელი კაცი ჯერ არ დაბადებულა, — უპასუხა ოთარმა.

— შე, კარგო კაცო, საალდგომოდ ჩამოვალო, რომ დამპირდი, აგრე უნდა?.. ეგ იმედი მქონდა შენი? იტანტალე გარეთ. შენი საპარტახე როსაფის გლეხებმა ისევ დახნეს და კიდეც დათესეს, — უამბო ასმათმა.

— ეგ უკეთესი, — არ გაიკვირვა ოთარმა. — დაე, დახნან, დათესონ, დათოხნონ: როცა დანა მოიწევა, წავალ, მოვმკი და შინ მოვიტან.

— მე მაგის იმედი არა მაქვს. როსაფი და მისი გლეხები აღარ დაგანებებენ.

— ვნახოთ, ვის ხმალი უფრო გასჭრის.

— აგრე იძახი შენ დღეში და მე შენი დაჭრილი ვერავინ ვნახე.

— აბა, დამაცადე და თუ ვერ გაჩვენებ, შეიტყობ.

— მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერს, — დაცინვით უპასუხა ასმათმა.

— გაყურებინებ, — დაიქადა ოთარმა.

ამ დროს შემოცქრიალდენ ოთარის ბავშები. პერანგის მეტი ტანზე არა ებადათ-რა.

— მამა, მამა! — შესძახეს შვილებმა, შეახტენ კისერზე და დაუწყეს კოცნა.

— როგორ დატიტვლებულხართ? საალდგომოთ განა არა შეგიკერათ-რა დედამ?..

— რა მოგვიტანე, რომ დედას შეეკერა? — უთხრეს მხიარულათ ბავშებმა.

— აი თუ არ მოგიტანეთ! — გახსნა ხურჯინი და ამოიღო სამშაურიანი ჩითები.

— უი, უი, რა ლამაზი პრიალა ჩითებია! — გაიხარეს ბავშებმა. — ეს ჩემი საახალუხე იყოს. — ამოირჩია ვაჟმა.

— არა, ეს ჩემი საკაბე იყოს! — დაემუშტრა ქალი.

— აი, დედა, — წამოიძახა ვაჟმა. — მამას რომ ემდური, ჩვენთვის არა მოაქვს-რაო. აბა რა არის ეს?..

— კაი შვილია!... — ღიმილით გააპარა თვალები ცოლმა ოთარისაკენ.

— ძალიან ვეცადე, — იმართლა თავი ოთარმა. — რომ საალდგომოთ დავბრუნებულიყავი; მაგრამ რათ გინდა!.. რაი ერთხელვე იმ ტეტიების ხელში კაცი ჩავარდება, თავს როგორ იხსნი?!. დღე და ღამე სულ ლხინში ვიყავი: თარი, ჭიანური, დუდუკი, სიმღერა!.. ზურნის ჭიჭყინმა ყურები დამიქექა. მერე გიორგობას წამიყვანეს. ძლივს აქ დავაღწიე თავი. ეს ჩითები გორში ვიყიდე... მართლა, თანდილაანთ იოთამმა შენთან წიგნი გამომატანა. რაც დამაბარე, მანდ სწერია იმის პასუხი. — გაუწვდინა ბარათი.

— იოთამის პატარა ბიჭი არ გაზდილა? — ეშმაკური გაღიმებით ჰკითხა ასმათმა.

— მარიამ!... — ასე ერქვა ოთარის ცოლსა. — ხომ იცი, ოთარი ნამგზავრია, მშიერი იქნება. ბიჭს დაუძახე, ღვინო ამოაღებინე, იქ თაროში ერთი ღორის კანჭი ძევს და გაფუებული პურები.

მარიამი საჩქაროთ წავიდა თადარიგის მოსახდენათ.

— რაო, რა თქვა იოთამმა? — ჰკითხა ასმათმა.

— ასე შემოგითვალა, შენ ოღონ ჩემს ჭიჭის შენი ძმისწული შერთეო და რასაც დაგპირებიეარ, აგისრულებო, ოც თუმანს ნაღდათ მოგართმევთ, როცა ქალს ხელში მოგვცემთო. სამოცის თუმნის ვექსილსაც დაგიწერთ ერთის წლის ვადითო.

— ჯერ კიდევ წელიწად ნახევარი ვადა აქვთ. — ჩაიცინა ასმათმა. სანამდის თორმეტის წლის არ გახდება ჩემი ნათელა. მანამდის მისი ჯვარისწერა არ მოხერხდება.

ამ დროს მარიამი შემოვიდა და სუფრას გაწყობა დაუწყო. იმათ უცბათ გასწყვიტეს ლაპარაკი.

— შე უბედურო, — უთხრა ქმარს მარიამმა. — ამდენი ხანი ოჯახში არ ყოფილხარ, რატომ არ იკითხავ, რა გვქონდა, ან რა გვითბებოდა? შენს ამარა დადგა ჩემი მტრის ოჯახი!

— დედაკაცის საყვედურის რა მეცოდინება, — შენიშნა მკვახეთ ოთარმა. — ნუ გეშინია ჩემი დედობილი შენ არას გაგიჭირვებდა.

— მის მეტი შენს მტერს ნუ მიეცა, რაც შენს დედობილს ბევრი არა ჰქონდეს-რა. მეც შენი შემჩერე ვარ. რაცღა ორი კვალი ადგილ-მამული მაქვს, ისიც უპატრონოთ მიხდება. წრეულს ნახევარი ნადელიც არ წამომიღია გლეხებისაგან. თუ ჭირნახულის მოწევის დროს გლეხს თავზე არ ადგიხარ, მესამედსაც არ გიჩვენებს. განა ტყუილად შოგანდვე ჩემი მამული?.. ყოველფერს ყური უნდა უგდო. ნეტავი დედაჩემს, შენ თუ კარ-და-კარ იარე!.. მე რა?..

— კარგი, დედი, გაათავე ამდენი საყვედური. ეს იყო და ეს. აწ გაისამდის გარეთ აღარ გავიხედავ. სულ ოჯახობაში ვიქნები. აბა, ნახე, თუ ისე არ გამოვტენო ეს სასიმინდეები, რომ წკნავილი გაჰქონდეს.

— შე, უბედურო, — შენიშნა მარიამმა: — რატომ ხარ მაგისთანა ტრაბახა?

— შენ, დედაკაცო, ენა ნუ წაიგძელე, ჩემი ამბავი ხომ იცი!

— ამბავი, თორემ ყურზე ხახვი არ დამაკრა, — ღიმილით უთხრა მარიამმა.

— დაგაკრი-კი არა, მეტსაც გიზამ!

— მასხარა!.. — წაუბუტბუტა ცოლმა სიყვარულით.

ოთარს მართლაც მოშიებოდა. ის ჩინებულათ შეექცა ღორის კანკს. ერთი მორჩილი ხელადა ღვინოც ზედ დააყოლა. შვილები გვერდით უსხდენ. ისინიც დააძღო, თვითონაც კარგათ გამოიტიკნა. როცა შექეიფიანდა, მერე მოჰყვა თავის გარდასავალს ქართლში...

ღამე შემოიპარა. ბავშები წამოხტენ და მამას ეზიდებოდენ შინისკენ. ერთი ზურგზე შეახტა, მეორე მუხლზე დაუჯდა და წვერებზე ეპოტინებოდა ხელებით. ორივე ერთნაირად ჩასძახოდა: წამოდი, მამა, შინ, წამოდიო.

— დასწყეველა ღმერთმა თქვენი ეშმაკი, როგორ დაგიჟდენ! მოიცადეთ, შვილებო, ცოტა ხანს კიდევ, მოიცადეთ.

— წამოდი, მამა, შინ, წამოდი! — მაინც კიდევ დაუჟინეს შვილებმა. ერთს სახელოში ჩაევლო ხელი, მეორე კისერში ჩაჰფრენოდა.

ოთარი წამოდგა ზეზე გამოემშვიდობა ასმათს და დაუბარა, რომ ბიჭებს იმის ცხენისათვის მოეელოთ. მერე ჩაჰკიდა ხელი შვილებს და წავიდა შინ. მისი ცოლი უკან გაედევნა. იმ წუთს მარიამის ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდა.

V.

ასმათს მეექვსე წელი გაუხდა ქვრივობაში. ათი წელიწადი შეტი სტკბებოდა ცოლ-ქრმობის სიყვარულით, მაგრამ შვილი მაინც არ გაუჩნდა. მაგიერათ დაებადა თუ არა მის ძმას სამსონს ნათელა, მაშინვე ასმათმა ხელში აიყვანა და როგორც ნაშობს შვილს უვლიდა. სამსონის ცოლი ლოგინობაზე დაავადმყოფდა და ერთ წელიწადზე სული განუტევა. რძლის სიკვდილის შემდეგ ასმათს თავისი სახლი აღარ უძებნია. სულ თავის ძმის სამსონის ოჯახში იყო, მარტო მის ოჯახზე და პაწია ნათელას აღზრდაზე ზრუნავდა. რამდენადაც უფროსი ძმა როსაფი სძულდა, იმდენათ უმცროსი ძმა სამსონი ეწყალებოდა და უყვარდა. ხშირად წამოიძახებდა ხოლმე ასმათი გულ-გახეთქილი: „მოინელა იმ წყეულმა ჩემი ძმა სამსონი. რაც კარგი ადგილები და სადგომები იყო, გაყოფის დროს სულ თვითონ ირგო, სამოსახლოც არ გაუზიარა. სადაც ღვიძლ-ნადები ძმა არ გაიტანა იმ არ გადასარჩენმა, მე რას დამეძებს ქვრივ-ოხერს და თავიდან მოცილებულს. ჩემი ძმა სამსონი გულკეთილი კაცია და ანგელოზი, მაგრამ არც მეტი გულ-კეთილობა ვარგა: ყველა დაგიბრიყვებს, ზურგზე შეგჯდება. საწყალი ჩემი სამსონი სუსტი ხასიათის არის, არავისი წყენა არ უყვარს. იმიტომაც დაიბრიყვა იმ მხეცმა, არა წმინდამ. ნაფუზარზე რომ შეედავა, მე ის ვყოფილიყავი, თავს გავუხეთქდი. ასე, ტყუილ-უბრალოთ უნდოდა წაგლეჯა. მაგრამ ვერ მივართვი. სიცოცხლე გაქვს, ჩემს სამსონს ჯგროთ ეუშოვე მოწმეები და დავადგენიე მოსამართლეს სამსონის სასარგებლოთ განჩინება. როცა სასამართლოდან გამოვიდა როსაფი, მიწის ფერი ედვა. იქვე დამემუქრა, თუ კაცი ვარ, იმ შენს ჩამოჭვარტლულს ქოხს თავზე დაგანგრევო. შეც კარგი ბრაწები დავაყოლე“.

ცოლის სიკვდილის შემდეგ სამსონს ბევრი აღარ უცოცხლია. მას დარჩა ნათელა სამის წლისა. შეიქნა ყმაწვილი ლიტონი ობოლი. ბევრი ეცადა ასმათი, რომ ნათელას მამულის აპეკუნობა როსაფს არ ჩავარდნოდა ხელში. ამის გულისთვის ქვრივმა სამჯერ მოიარა ქუთაისი, ზესტაფონი და საჩხერე. ნათელას თავის ძიძიანა თან დაატარებდა. ყოველგან თითო არძა მიართვა მთავრობას თავის ძმის როსაფის უსვინდისობაზე. იმას სწამებდა ობლის მამულის აფორიაქებას, ცხენის ქურდობას, ავაზაკებთან ამხანაგობას და ვინ იცის, რამდენ რასა? ითხოვდა, რომ ის არამც და არამც აპეკუნათ არ დაენიშნათ ობლის მამულზე. მაგრამ ყოველმა მისმა წადილმა ამაოთ ჩაუარა. როსაფს ძველითგანვე იცნობდენ და თითო-ოროლა მეგობარი მას ყოველ სასამართლოში ჰყავდა. იგი მაინც დანიშნეს ობლის მამულზე

აპეკუნათ. აპეკუნათ რომ დაამტკიცეს, შემდეგ პირველი მისი განზრახვა იყო, ნათელა წაერთმია მამიდისათვის. მაგრამ ვერას ღონისძიებით ვერ მოახერხა. ქვრივი ისეთი გააფთრებული შეიქნა ნათელაზე, როგორც ძუ ლომი თავის ლეკვებზე. ნათელაც ხომ მომეტებული ჩაკრული იყო მამიდას გულში. სიკვდილის მეტი ვერა მოჰგლეჯდა-რა მას იმის მკერდზე. ძმის სიკვდილის შემდეგ ასმათი გადმოვიდა ისევ ოჯახში, ნათელა ძიძიანა თან გადმოიყვანა და შეუდგა თავის მივიწყებულის ოჯახის გამოსწორებას. დაძველებულს ორ-თვალიანს ოდას ერთი ოთახი კიდევ მიადგა, ძიძა და ყმაწვილი იქ დააყენა და თვითონაც იქ გაიკეთა საწოლი. ღამით სამს ნაყმევს არ იცილებდა თოფ-იარაღითა. ისინი იქვე დერეფანში წვებოდენ საყარაულოთ. როსაფი ძალიან სწუხდა ამ გარემოებას, მაგრამ თავი ვერსაიდგან შემოეკლო.

.ის იმ კუთხეში ყველაზე შეძლებული მებატონე იყო. ჯერ მამულითაც მეტობდა ყველას და ახლა რაკი თავის ძმის მამულის აპეკუნი გახდა, მიწა-წყალი გაორკეცა. ვერც იმას ვიტყვი, რომ ცოტა თვალ-ხარბიც არ ყოფილიყოს. ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ თავისი ადგილები, ზოგი ჩამოჭრილები, ზოგი პარტახები, ზოგი ნაფუზრები და ვერანი მინდვრები, შეუმუშავებლათ არ დარჩენოდა. საზოგადოთ იმ სოფელში გლეხობას ძალიან აკლდა მიწა-წყალი. თუ-კი სადმე სამოდოთ *) გასაცემ ადგილებს იშოვნიდენ, ერთმანეთს ეჩხუბებოდენ. ამის გამო როსაფი სხვა მებატონეების გლეხებსაც თავისკენ იბირებდა, რადგან მათზე უფრო აიფად ურიგდებოდა. სოფელში წესი იყო, ერთი მებატონის გლეხი მეორეს არ მისვლოდა არც ადგილის საქირაოდ, არც ტყის საჭრელად, მაგრამ როსაფი ამ წესს არას დასდეევდა.

კვირა დღეობით მებატონეები საყდარზე შეიკრიბებოდენ და ნაწირევს სულ როსაფის საყვედურში იყვენ: გლეხებს გვიბრიყვებსო, თავის ტყე-ველში იაფად ურიგდება და ჩვენ აღარ გვემსახურებიანო. როსაფმა იცოდა ეს ამბავი და რომ თავი მოერიდებინა, წელიწადში ორჯერ არ მოისმენდა წირვას თავის საყდარზე. ასმათი სარგებლობდა ამ საზოგადო უკმაყოფილებით და ადგენდა პარტიას ძმის წინააღმდეგ.

ერთ საღამოს ასმათს ჰყავდა ოთარი და მისი ამფსონები მოპატიჟებული. ახალგაზდა აზნაურები დიდხანს შეექცენ ღვინის სმას. მშრალად მოხარშული ცხვარი, შემწვარი ქათმები, ჩადებული ინდაური და მწვანის ღვინო თავსა სდიოდათ. მასპინძლობა რათ გინდოდათ უკეთესი! ყმაწვილებმა კარგათ მოილხინეს. როცა შეღვინიანდენ,

*) მოდი — შემოსავალი, იჯარა.

ოთარმა დალია ასმათის სადღეგრძელო. 'იმან მოიხადა ქუდი, ტახტზე დაახალა და წამოიძახა: ასე თავი დაემხოს შენს მტერს, დედილო!.. ეს სადღეგრძელო ყმაწვილებმაც სიამოვნებით დალიეს.

— გინდა იმ შენს ძმას, როსაფს, თავზე გადავფუტკრო, ის დიდი ოდა რომ გადმოუქიმავს? — ჰკითხა თავ-მომწონებით ოთარმა.

— დაწვით ნუ დაწვაე და, თუ იმ ანდერძს ჩამიგდებ ხელში. იმან რომ გადამიმალა, ძალიან დაგიმადლებ. ხომ იცი, მე რომ ნაფუზვარი გადმოგეცი ბარათით, აი, ის მამამ მე დამიტოვა იმ ანდერძით საკუთრად. ამის გარდა თუ დედის ჩემის ნაქონს გულის-ქინძისთავს და იაგუნდს ბეჭედს რამენაირათ ხელში ჩამიგდებ, მაშინ იქნები შენ ნამდვილი ჩემი შვილობილი.

— ეს ოთარი მოგიკვდეს. თუ ეგ თხოვნა ვერ აგისრულოს! შენ მხოლოთ მითხარი, სადა აქვს ჩამალული?

— ის ნივთები და ანდერძი ერთ მოზდილ გალაქულ ყუთშია ჩაკეტილი. ეს ყუთი ჩემ რძალს მუდამ თავით უდგია. როცა დაწვება, მისი მუთაქაც ის არის და ყურბალიშიცა. ყუთზე ბალიში აქვს მიდებული. ეს კიდევ რა! იმ ყუთში როსაფს ბარე ასი თუმნის ქაღალდის ფული უწყვია.

ფულს რომ ყური მოჰკრეს, ოთარის ამფსონები გამხნევდენ.

— ოთარ, მარჯვეთ იყავი, ჩვენც შენთან ვართ. მოვკვდეთ, ერთად მოვკვდეთ; დავრჩეთ, ერთად დავრჩეთ. — გაამხნევეს ოთარი ყმაწვილებმა.

— ის ასი თუმანი კარგა ხანს გვაქეიფებს! — თქვა ერთმა.

— სიცოცხლე გაქვს, მე ქუთაისის გემო ვნახო! — დაუმატა მეორემ.

— ჰო, ჰო, ჰო!... რომ იცოდე, როგორ გავიკინკლები, რა რიგათ მოვაჭედინებ ჩემს იარაღს!.. რა იორღა ცხენს ვიყიდი!.. მერე ამ ჩემს ოხერ სოფელში თვალითაც ვერ დამინახავს კაცი. გადვიკარგები: ბათუმში წავალ და იქ სხვა საქმეს მოვძებნი, — დააწყო პლანები მესამემ.

— დარდი ნუ გაქვთ, ყმაწვილებო! ყველას გეყოფა ის ფულები. — დააიმედა ოთარმა.

VI.

შემოდგომა განახევრებული იყო. ღრუბლები ცაში აირია. ღვაფაც დაიწყო. ზურუკეთის სოფელი ერთი მაღალი სერიდან გადმოჰყურებდა. ხის ბოძებზე შემდგარს პატარ-პატარა ოდებს სილის სოკოებივით ამოეყოთ თავი წიფლარში. სერს ქვემო ფერდი წრიალად

დაეშვებოდა. ალაგ-ალაგ თვალ-ჩაუწვდენელი ნაპრალები ჩაუყვებოდა. ძირს, წყლის ნახეთქებში, ჰქოთავდა მდინარე ძირულა. გაღმა-გამოღმით მთის კალთები წითელი ბილიკებით იყო დასერილი. უჩვევი კაცი ვერც კი გაბედავდა ამ ბილიკებზე სიარულს, მაგრამ ზურუკეთის მცხოვრებნი და სოფლის ბიქები ეშმაკებივით დახტოდენ ზედ, თითქო ქვა-ფენილი ყოფილიყოს. უზარმაზარს წიფლის ხეებს მწვანით შეეფინათ მთის კალთები. ქვეით, ღრატოებში, კლდის ნამზღვლევები მდინარეს წინ უხვდებოდენ, გზას უღობავდენ. ისიც ამის გამოჯავრებული ღრიალებდა, ჰკბენდა კლდის ნამზღვლევებს და ზედ ქაფს აყრიდა. ცა ლენტად ჰქონდა ხეობას გადაკრული და იმ ძირულის პირად ვინც მოხვდებოდა, ეს ვიწრო ხეობა სულს უხუთავდა. აქ ასე ეგონებოდა მოგზაურს, რომ ქვესკნელის კარზე ვარ მიმდგარიო.

მაღლა სერზე ერთი ათი ურმის გადაყვითლებული ყანა პატრონის ხელს ელოდა მოსატეხად. ეს მეექვსე დღე იყო, რაც ასმათი თავის ოდიდან გულის კანკალით შესცქეროდა გაღმა იმ მოწეულს ყანას. ვაი თუ როსაფის ნაყმევებმა მოტეხონ, ჩალაც მომკონ და შემძახებელი კაციც არავინ გაუჩნდეს! ის დღენიადაგ გზირათ იყო გადაქცეული, უხდოდა შეეტყო, ნეტა როსაფის ნაყმევები როდის აპირებენო იმ ყანაში შესვლას. ამ დროს ერთმა თავ-შიშველა გლეხის გოგომ მოირბინა აივნის წინ და ხათელა იკითხა.

— გოგო! — ჰკითხა მაშინვე ასმათმა: — ე ყანა რო ისე მიუგდიათ თქვენებს და არ ტეხენ, რა მიზეზია?..

— მამამ თქვა, ხვალ უნდა შევიდეო სატეხათ. მეც წავალ, კვახები (გოგრები) უნდა დავაგროვო. ნათელამ მითხრა, შემატყობინე, რომ მეც წამოვიდეო. იმიტომ მოვედი... ერთათ მოვაგროვოთ კვახებიო. იქ ონტოფაც ბევრია და სათამაშოებს გავაკეთებთ.

— კარგი, შვილო, ვეტყვი.

გლეხის გოგომ საჩქაროთ მოკურცხლა უკან.

იმ საღამოს აღრინა. ასმათმა კაცი ოთართან, ნაყმევებიც დაიბარა. გადასწყვიტეს. ხვალ დილით უნდა შესეოდენ ყანას და ჭირნახული წაერთმიათ როსაფის გლეხებისათვის.

დილა, გათენდა ნისლიანი, წინწკლავდა კიდეც. როგორც ინათლა, ოთარი შეიარაღებული გაჩნდა ასმათის ეზოში. იქ მისი ნაყმევები შემოიკრიბა. გლეხები ზანტობდენ, რაღაც არ უნდოდათ წასვლა, ჰგრძნობდენ, რომ კარგი არა შეემთხვეოდათ-რა.

— ბატონო, ის არ სჯობია, რომ სამართლით დაარჩინოთ? ვინ იცის, რა დაგვემართება, ძალაზე რომ დავდგეთ!.. თუ ჩვენ გავლახეთ, კანონი ჩვენ დაგვსჯის. ისინი თუ მოგვერიენ, კეტებით დაგვიხეთქენ თავებს. — სთქვა ერთმა გლეხმა.

— დღეს თუ თქვენ ის სიმინდი არ შემომიტანეთ, მე ნულა დამენახვებით. დღეს იქ უნდა მოვიკლა ჩემი თავი? — გაბრაზებით წამოიძახა ასმათმა.

— თქვენ რისა გეშინიათ? — ანუგეშა გლეხები ოთარმა. — მე ვიცოდე და იმათ. ჩემი იარაღი გასცემს მათ პასუხს. აი, ჩემი აფსონები! — უჩვენა აზნაურებზე, — წინ ჩვენ მიგიძღვებით, ჩვენ წავართმევთ. თქვენ მხოლოდ წამოიღეთ, რაც მოგცეთ. ხუთ კაცს მარტო მე გავუსწორდები.

— თუნდ ათ-ათი მოვიდეს თითოზე! — გამხნევებით შესძახეს გავუსწორდები.

ოთარის ამხანგებმა.

-- ა,ბატონო, თქვენ წაბრძანდით და ჩვენ მოგყვებით, მეტი რა ღონეა!.. — უგულოთ ჩაილაპარაკეს გლეხებმა. ოთარი აჩქარებით დაეშვა ბილიკზე. მას უკან გაედევნენ აზნაურები და გლეხები. ისინი ბალე გაჰქრენ წიფლარში.

ასმათი გადადგა აივანზე და გაცოფებული შეჰყურებდა გაღმა სერზე მდებარე ყანას, რომელსაც როსაფის გლეხები ქალიან კაციანა შესეოდენ ნამგლებით, თან ტეხდენ და თან ჩალას მკიდენ.

— ვაი, ჩემო უბედურო თავო! რას ვხედავ? ყანა მომიჭრეს!. დახე იმ პირშავებს, რა ჩქარა მუშაობენ! სანამდის ჩვენები მივიდოდენ, კიდეც აიღებენ! — სიანჩხლით იცემდა ასმათი მუშს მკერდში.

ამ დროს ოთარი და მისი ამალა აეფინენ გაღმა ფერდს.

ჯერ კიდევ კარგა მოშორებით იყო ოთარი, რომ ქვევიდან შესჭყივლა:

— აუშვით ახლავე მუშაობას ხელი, თორემ ერთიც ცოცხალი ვერ გადარჩებით!

როსაფის გლეხები შეჯგუფდენ, ნამგლები შეარაწკუნეს და გადმოსძახეს:

— ნუ მობრძანდებით, ჩვენ ნაოღლარს ჭირნახულს ვერ დაგანებებთ. როსაფს ედავეთ, ჩვენთან რა ხელი გაქვთ?

— მანდ დამიდექით, თუ ბიჭები ხართ!..

გლეხებმა ქალიან-კაციანა ასტეხეს ყვირილი:

— ნუ მობრძანდებით! დღეს ყველამ აქ უნდა მოვიკლათ თავი!..

პატარა ბიჭებმა ქვებს დაუწყეს მოგროვება. ეტყობოდათ, ისინიც ემზადებოდენ საჩხუბრათ.

ოთარმა უთხრა აზნაურებს, განის ბილიკით თავი დაევლოთ გლეხებისათვის. თვითონ ოთარი პირდაპირ შეუდგა შეღმართს, გლეხებიც თან იახლა. თხუთმეტ ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა ყანას, შედგა ერთ კონცხზე, ამოიღო გატენილი დამბაჩა და დაუძახა გლეხებს:

— დაანებეთ თავი მუშაობას, თორემ ეს არის გესროლეთ. — ამ დროს ერმა ახალგაზდა ბიჭმა გამოუშვა ქვა და ოთარს ბეჭებში მოახვედრა. გავარდა ოთარის დამბაჩა, დაეცა ძირს ერთი გლეხი. დედაკაცებმა მორთეს წივილ-ჩხავილი, ახალგაზდა ბიჭებმა გაახშირეს ქვების სროლა. ოთარი და გლეხები კონცხს ამოეფარნენ. უეცრად აზნაურებმაც მეორე მხრით დასცეს ზევიდან კიჟინა: „აბა, გაჩერდით, ვინც ვაჟკაცი ხართ!..“ ამას არ მოელოდენ გლეხები. იმათ იგრძნეს თავი ორ ცეცხლ-შუა და აირიენენ. რამდენიმე მათგანი ძირს დაეშვა, საცა კონცხ ქვემო ოთარი უყარაულებდა. ვინც ახლოს ჩაურბინა, ყველას ხმალი შვლიჯა ოთარმა. ერთ გლეხს მკერდამდის გაავლო, მეორეს მკლავი ჩამოაგდებინა, მესამეს კისრის მძივი მოაგდებინა. სხვანი გაიფანტენ. ამ ჩხუბში ორი გლეხი მოკვდა, სხვები, ხუთამდის, მძიმეთ იყვენ დაჭრილი. ასმათი გაღმიდან უყურებდა ამ ამბავს და სიამოვნებდა: „აგრე მოგიხდებათ, თქვე ღორებო!.. საწყლები, როგორ თხებივით დაიფანტენ!.. თუ ეგ არ გინდოდათ, რათ დამითესეთ ჩემი ყანა?.. წადით ახლა და როსაფმა გიშველოთ!...“

ამ ამბავმა მალე შესძრა მთელი ქუთაისის ადმინისტრაცია, გამოგზავნეს სამძიმო საქმეთა მწარმოებელი და თან გამოაყოლეს საგლეხო სასამართლოს წევრი. შედგა დიდი საქმე. როსაფი არაფერს ზოგავდა, რომ მთავრობას დამნაშავეთათვის მაგრათ მოეკიდა ხელი, მაგრამ არც ასმათს დაუკლია მეცადინეობა მის წინააღმდეგ.

ამ დროს მოხდა ერთი შემთხვევა. ერთს დიდებულს იმერეთის თავადს დაეკარგა ორი ბედაური. ასმათმა მაშინვე საიდუმლოთ აცნობა იმ თავადს, რომ ვითომც მისი ცხენები როსაფს მოეპაროს. თავადმა სთხოვა გუბერნატორს, როსაფი დაეჭირათ. ის დაატყვევეს და წაიყვანეს ქუთაისს. მერე სახლი გაუჩხრიკეს, მაგრამ კვალი ვერაფრის იპოვეს. ასმათმა ხელახლა შეასმინა როსაფი; იმან დაარწმუნა თავადი, ვითომც როსაფს რომ ვეღარსად გადაემალოს ცხენები, დაეკლას და ბოსელს ქვეშ მიწაში ჩაემარხოს. ის იყო როსაფს საპყრობილიდან უშვებდენ, მაგრამ ამ მეორე შეწამების გამო ისევ დააკავეს. მის ბოსელში ჭერი აჰყარეს, მიწა ღრმათ გათხარეს, მაგრამ მაინც ვერა იპოვეს-რა.

ამ გვარი მოქმედებით როსაფი ბარე ნახევარი წელიწადი საპყრობილეში იყო გამომწყვდეული და ოთარის საქმეს თვალ-ყური ვეღარ ადევნა. თვითონ ასმათმა-კი თავდებ ქვეშ მოახერხა ოთარის გამოშვება და ცდილობდა, გლეხების მოკვლის საქმე მისთვის თავიდან გადაეცილებინა. თუმცა საქმე ხუთ წელს გაჭიანურდა, მაგრამ თავიდანვე ეტყობოდა, რომ ოთარს კარგი დღე არ დაადგებოდა. მით უმეტესად შეიქნა ოთარი დაუძინებელი მტერი როსაფისა.

VII.

მარიამობა მოახლოვდა. ზურუკეთის გლეხი და აზნაური სულ საწვეულოდ ემზადებოდა. დღესასწაული იცოდენ ოფოთას სოფელში. ის იყო ზურუკეთიდან ერთი საათის საავალზე. ოფოთა კიდევ უფრო მაღლიდან გადმოჰყურებდა, ვიდრე ზურუკეთი. იმ სოფლის საყდარი აწეულ კონცხზე იყო დადგმული. ბზების ბუჩქები და ნაძვის ხეები გარშემო უსხდენ და შორიდან შავს არშიათ მოჩანდენ. ამის გამო კირით შეფეთქილი საყდარი კიდევ უფრო ნათელს შუქს ისხამდა საყდრის გალავანში კარგა მოზდილი მინდორი იყო. მარიამობას იმდენი ხალხი გროვდებოდა ამ მინდორში, რომ ტევა აღარ იყო. აქ ჩინებული თემობა იცოდენ. თემში ფერხული, სუდრული, მაყრული, იმერული „ორიდელა" და მრავალი სხვა ჰანგის სიმღერა გაუწყვეტლივ ისმოდა. ხან-და-ხან სროლაც იყო ხოლმე. მთელი ოფოთა ამ დღესასწაულს დიდათ მიეხარებოდა. გლეხი და აზნაური ერთ კვირაზე ადრე შეუდგებოდენ დღესასწაულისათვის მზადებას. ლავაშს, მურასას, შოთას და თორნეულს კოდობით აცხობდენ. იმ ხანებში ვინც-კი იყო ხაბაზი ან მზარეული იმ კუთხეში, სულ იქ მიისწრაფოდა. კარგი ნაშოერობაც იყო ხოლმე იმათთვის. ერთ ჩანახ ჭირნახულის გამოცხობაში თითო აბაზს, ხან-და-ხან ხუთ-ხუთ შაურსაც აძლევდენ. ამას გარდა ხარჯიც მასპინძლისა იყო ღვინო თავსა სდიოდათ. მარიამობის წინა ღამეს ოფოთას სოფელში, განსაკუთრებით გლეხობაში გაისმოდა ნასუქი ღორების ჭყივილი, რომელიც უფრო შეძლებული აზნაური იყო, ის ღორს არ დაჯერდებოდა საკლავათ, უშობელსაც ზედ მიაყოლებდა. ვინც ძალიან ღარიბი და ხელ-მოკლე მოსახლე იყო — ორი მესამედი სულ ამ წრეს ეკუთვნოდა, — იმათთვის სოფლელი საერთო ხარჯით ხოცდენ საკლავებს და მუშტრები ასო-ასოთ დაიტაცებდენ. ზოგიერთი ჩანახს სიმიდათ ურიგდებოდა, ზოგი კოდსაც აძლევდა, — ეს იმაზე იყო დამოკიდებული, ვინ რა ასოს აიღებდა.

წინა ღამეს მამიდა ასმათისას შეგროვდენ ოთარი დ სამი მისი ამხანაგი.

— რა კარგი დრო გიდგებათ, ოთარი, ჩვენი განზრახვის ასასრულებლათ, რომ იცოდეთ!.. — უთხრა ყმაწვილებს ასმათმა.

— რა დროს საქმეა, მე ხვალ ოფოთას მივდივარ დღესასწაულზე. — სთქვა ოთარმა.

— შენ და როსაფი, მგონია, ერთ ოჯახში ხართ დაპატიჟებული.

— ჩხუბი ხომ არ გინდა, რომ ავუტეხო და თავი გადავფრიწო?

— არა, მაგას არ გეუბნები, შვილო. ანდერძზე რაც გითხარი, აღარ გახსოვს? არ იცი, რომ თუ ის ანდერძი ხელში არ გვექნა, შენი საქმე ცუდათ არის? ჩვენ იმ ანდერძით უნდა დავამტკიცოთ, რომ ყანა შენი სამოდო, საიჯარო იყო და როსაფის გლეხები შენ მოგიხტენ და არა თქვენ იმათ. უამისოთ, ხომ იცი, გლეხების გაწყვეტას თავზე ვერ გადივლებ, ციმბირს აქეთ ადგილი არ გექნება!

— ბიჭო, ანდერძს გარდა ფული?.. ამას აღარ ანგარიშობ?.. — წამოიძახა აღტაცებით ერთმა აზნაურმა. — ხვალ სწორედ კარგი დრო გვაქვს, რადგან როსაფი შინ არ იქნება.

— აი, მე რას გირჩევთ!.. — განაგრძო ასმათმა. — ოთარმა ხვალ სადილზე ჩხუბი აუტეხოს როსაფს. შეიქნება ერთი მითქმა-მოთქმა. ამ ამბავს მთელი ოფოთა შეიტყობს. საღამოს ყველა მთვრალი. იქნება. ვინ რას გაიგებს ოთარის უკან დაბრუნებას? ჩამოირბინოს ღამით ოთარმა ზურუკეთში და ცეცხლი მისცეს როსაფის ოდასა. მერე ისევ გაბრუნდეს ოფოთას. მარიამობის ღამე თავის ნათლიმამისას გაატაროს. მთელი ზურუკეთის სოფელი ცეცხლს მიაშურებს. ამ ყმაწვილებმაც დაუწყონ ცეცხლს ქრობა და ოჯახის ავეჯეულობის გარეთ გამოტანა. უეჭველია, იმ ყუთს ნახავენ, რომელიც მე გითხარით; გადამალონ და მერე აქ მომიტანონ. გავტეხოთ, ყუთი ცეცხლში დავწვათ, ანდერძს და ნივთებს მე წავიღებ, ფული თქვენ გქონდესთ. გაკეთდება ამით საქმე.

— კარგა არ მოისაზრა ასმათმა! — მოწონებით წამოიძახეს აზნაურებმა.

— ბატონი ბძანდები! როგორც შენ თქვი, დედილო, ისე მოვიქცევი.

— თუ ის ანდერძი არ ჩავიგდეთ ხელში, გლეხების მოკვლისათვის ყველას დაგკარგვენ, — დაჰკრა კვერი ასმათმა.

ამ მოგონებამ, ცოტა არ იყოს, უსიამოვნოთ იმოქმედა ოთარზე და მის ამხანაგებზე. მით უფრო ბეჯითათ გადასწყვიტეს გულში მარიამობის ღამეს როსაფის სახლის დაწვა და ყუთის ხელში ჩაგდება.

მარიამობას ჩინებული დარი დაუდგათ ოფოთლებს. ხალხიც ბევრი შეგროვდა საყდარზე. ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებლები ქალიან-კაციანა სულ ოფოთას მიაწყდენ. შარა-გზები, გზა-წვრილები და ბილიკები ქვეითი-ცხენოსნებით იყვნენ აჭრელებული. გლეხის მანდილოსნები წითელ-ყვითელ ტანისამოსში გამოწყობილები ისხდენ ცხენებზე და წინ ნათესავები ქვეითათ მიუძღოდენ. ზოგ მათგანს ძუძუ-მწოვარი ბავშვი ჰყავდა ატოტებული, ზოგს შვიდი წლის ქალი ან ეაჟი ცხენს უკან ჰყავდა შემოსმული, ზოგს ცხენს უკან გაფუცქნული

ღორიც ეკრა. ესეც, რასაკვირველია, მოყვრის ძღვენი იყო. ზოგს გლეხს ცხენის სადავე ეჭირა და ცოლს წინ მიუძღოდა, თვითონ სავსე ხურჯინი ჰქონდა მხრებზე გადაგდებული ყოველნაირი სამზადისით და საგზლით: იმაში იყო შოფები, ერთი დოქი ღვინო, მოხარშული ქათმები, კვერცხები და სხვა.

აი, აგერ, მოშორებით ერთი გროვა მშვენივრად მორთული ქალები და კაცები ცხენებს მოათქიფინებენ. რახტიანი ცხენები ლამაზი მანდილოსნებისა ვერცხლის ფარფლებს მოარაჩხუნებენ. ესენი იყვნენ დამამშვენებელნი შეძლებულის მასპინძლისა. ნაწირევს ხალხი გაიუანტა სხვა-და-სხვა ოჯახში. ცოტა ხანს იქით მთელი ოფოთა გაცოცხლდა. ყოველს ოჯახში შეიქნა ლხინი, სიმღერა და თოფის სროლა.

ოთარის და როსაფის მასპინძელს ბევრი სტუმარი ჰყავდა. იქ კარგი ნადიმიც იყო.

მზე გადიხარა დასავლეთისკენ. სტუმრები შეღვინიანდნენ. დიდი ჯიხვის ყანწები ჩამოატარეს. ოთარმა დალია ერთი ჯიხვის ყანწი და დაულია როსაფისა. ეს რადგან ოთარზე გულნაკლულად იყო, გაჯინდა, აღარ დალია. ოთარმა შეურაცხყოფათ მიიღო და ჭინჭყული ასტეხა. შეიქნა ხმაურობა. ბოლოს ოთარმა შესძახა:

— დალიე, თორემ კისერში ჩაგასხამ!

— შენ შეგარცხვინა და ისიც, ვისთვისაც შენ კისერში ღვინო ჩაგესხას! — უპასუხა როსაფმა.

— დალიე, თორემ წელებს აგათრევინებ! — განუმეორა ოთარმა.

— აბა, მობრძანდი, შე წუწკო! — შესძახა როსაფმა და ხანჯალზე ხელი დაიდვა: — მე შენ იმისთანები ნუ გგონიავარ, ღამით საქათმეში და ქვევრების თავზე რომ დაგყავს!

— როგორ თუ ქვევრების თავზე?! — და ხანჯალ-ამოღებული გადუხტა როსაფს.

მასპინძელმა სტაცა ხელი ოთარს და შეაჩერა. ამას წამოეშვეელენ სხვა სტუმრებიცა.

— გამიშვით! — იძახოდა გაცოფებული ოთარი.

— გამოუშვით, ეგ მხდალი, ქათმების ქურდი! — უპასუხებდა როსაფი.

ატყდა დიდი ალიაქოთი. ოთარი ჯიგლიგით გამოიყვანეს გარეთ და ხანჯალი ისევ ჩააგებინეს. ის კიდევ დიდხანს ილანძღებოდა მასპინძლის ეზოში. ბოლოს გაჰყვა სხვებს თემში.

საღამოს ჟამი მოიწია. თემში მთელი ოფოთა ამ ჩხუბზე ლაპარაკობდა. საყდრის გალავანი ისევ ხალხით გაივსო. ზოგ ალაგას ჯირითობდენ, ზოგგან ფერხული დაებათ, ზოგგან მანდილოსნები შეგ-

როვილიყვნენ და ლეკურს თამაშობდენ. ამ გვარი მხიარულობა თან-და-თან მატულობდა. თემობის ღრეობა და თოფის სროლა ოფოთის საყდრიდან შორს ვრცელდებოდა.

დღე და ღამე გაიყარა, მაგრამ როსაფის მასპინძლისას ჯერ კი-დევ სუფრის აღებას არ აპირებდენ ,თუმცა როსაფს ჩხუბის შემდეგ ბევრი აღარ უსვამს. ის-კი არა, უფროც გამოფხიზლდა, მისი სუფ-რულის მოძახილი ქვემო ქალებამდის ისმოდა. ამ დროს უეცრად შე-მოვარდა ერთი კაცი ღა დაიძახა: ზურუკეთში ვიღაც დაიწვაო, გარ-გვალებული ცეცხლი მოჩანსო. ამ ამბავმა ერთბაშათ წამოჰყარა სტუმ-რები. ყველაზედ უმალ როსაფი გამოვარდა გარეთ. ზურუკეთს რომ გახედა, იფიქრა: ვაი თუ ჩემი სახლი იწვოდესო. მაშინვე მოახტა ზურგზე ცხენს და დაეშვა ზურუკეთისკენ. ჩამოირბინა თუ არა სერი. იქვი არ ჰქონდა, რომ მისი სახლი იწვოდა. მან გადაჰკრა ცხენს მათ-რახი და ცოტას ხანს იქით შეევარდა თავის ეზოში. იმას მწუხარებით გული აუტივტივდა, როცა დაინახა თავისი ცოლ-შვილი თითქოს მტრისაგან დაფორიაქებული. მათმა ჟივილ-კივილმა კურცხლები მოა-დინა თვალებზე. მისი ბარგი-ბარხანა სულ ეზოში იყო მოქიაქებული: აქ ზანდუკი ეგდო გამტვრეული, იქ ქვეშსაგები, ხალები და ბალიშები ეყარა უპატრონოთ.. საზამთრო მომზადებულს თხილს, კაკალს და წაბლს გაჰქონდა ცეცხლში ტკიცი-ტკიცინი. ხალხი ჭიანჭველივით ირეოდა სახლის გარშემო. მაგრამ მაინც ვეღარა ეშველებინათ-რა. მხოლოდ დრო-გამოშვებით ჩვენი ნაცნობი აზნაურები, ზურგ-დატ-ვირთულები, ხან ძველს სკივრს გამოიტანდენ, ხან ფარდაგებს და ჭილობებს, ხან ქალის ტანთ-საცმელებს. როსაფი მადლობას ეუბნე-ბოდა მათ. ის ცდილობდა, იქნება ნახევრათ დამწვარი კედლები კე-ტებით წაექციათ, რომ აღი ძირს დაშვებულიყო და ნაკვერცხლები სხვა სახურავებზე მაინც აღარ გადაცვინულიყვენ. ამ ყოფით გასტანეს შუაღამემდის. ცეცხლი დანელდა. ნაყმევებმა დაუწყეს გაფორიაქე-ბულს საოჯახო ნივთებს ბოსლის ოთახში შეზიდვა. როსაფის სახლო-ბას მამლის ყივილამდის არ დაუძინია.

ცეცხლმა ოფოთის მცხოვრებლებს მარიამობა ჩაამწარა, ნახე-ვარი სტუმრები ზურუკეთისკენ გაიხვეწენ. ზურუკეთელები ფიქრობ-დენ, არა ჩემი სახლი იწვისო და არა ჩემიო. ვინლა მოიცდიდა ოფო-თას. აღარც სიმღერას, აღარც მოლხენას იმ ღამეს ხალისი აღარ ჰქონ-ნებია ოფოთაში.

მეორე დღეს წირვის დროს ოფოთაში ოთარს გამოეღვიძა ნათ-ლიმამისას და თვალების ფშვნეტა დაიწყო. ეტყობოდა, მარიამობა

ღამეს იმას აქ ძალიან დაელია. ნათლიმამამ კიდეც ესაყვედურა: რატომ ჩემთან არ წამოხვედი, რა გინდოდა როსაფის მასპინძლისასო. სოფლის სადილობა წამოიწია. ოთარი ზოზმანით ადგა ზეზე და ხელებ-დაკაპიწებული წყაროს წყალზე მივიდა. ის იქვე ნათლიმამის ეზოში ღარზე გადმოჩუხჩუხებდა. სხვა სტუმრებიც მოგროვდენ იქ ხელ-პირის დასაბანათ.

— ბიქო, წუხელი ,მგონია, ვინღაც დამწვარა ზურუკეთში? — იკითხა ერთმა.

—ასე ამბობენ, როსაფს გასჩენია ცეცხლიო, — სთქვა მეორემ.

— ამბობენ-კი არა, ნამდვილათ როსაფი დაუწვავთ, — სთქვა მესამემ. — ეს არის, ახლა მოვიდა იქიდან ბიქი და იმან ილაპარაკა.

— მის მეტი ჯავრი ნუ მოგეცა! — ჩაილაპარაკა თავისთვის ოთარმა, დადგა ღარის პირდაპირ და რამდენჯერმე შეიშხაპუნა პირზე ,ცივი წყაროს წყალი.

VIII.

გავიდა რამდენიმე დღე. ერთ საღამოს ოთარი ფეხ-აკრეფით შევიდა ასმათთან. იქ იმას უცდიდენ მისი ამხანაგები. ქვრივმა დახურა კარები და ურდულით ჩაკეტა. მერე აანთო ჭრაქი, გამოიღო თახჩიდან ერთი მოზდილი ნიგვზის ყუთი, მოიტანა ჭრაქთან და მხიარულათ წამოიძახა:

— აი, ამაშია ჩემი საუნჯე და შენი ბეჯითი საბუთი, შვილო ოთარ, რომ გლეხების მოკვლის საქმე თავიდან გადიცილო.

— მაგაში ჩვენი საუნჯეც არის, — მიაძახა აზნაურებმა: — მაგაში ჩვენი ასი თუმანია!

ოთარმა დაუწყო ყუთს დანის წვერით ახდა.

— ეჰ, აქ მოიტა ერთი! შენც ნაზათ ეკიდები! — გამოჰგლიჯა ყუთი ხელიდან ერთმა აზნაურმა, დაჰკრა ხანჯალი და შუაზე გააპო. ყუთიდან გადმოცვინდენ ქაღალდები. ასმათმა დაატანა ამ ქაღალდებს ხელი და ყუთის ნამტვრევებიც თან გაიტაცა, ტახტთან მიიტანა და რჩევა დაუწყო. ყუთში აღმოჩნდა როსაფის თამასუქები, შინაური ბარათები გასესხებულ ფულებისა. აღსრულებითი ფურცლები, ბოლოს ორი ოქროს ბეჭედი, რომლებშიაც იაგუნდების მაგიერათ წითელი გამსჭვერი ციმბირის ქვები იყო ჩაყენებული. არც ერთი არ აღმოჩნდა, რასაც მოელოდნენ: არც ანდერძი, არც ასი თუმანი და არც ასმათის დედის დანატოვარი ნივთები. ქვრივი გაშტერდა. ოთარს თმა აებურძგა. მას წარმოუდგა იმ წუთას სამსჯავრო, რომელიც ნამდვი-

ლის საბუთებით სწამებდა ოთარს კაცების დახოცვას. იმას აქამდის ასმათის ანდერძის იმედი ჰქონდა, რომელსაც უნდა დაემტკიცებია ასმათის მფლობელობა და როსაფის გლეხების ძალადობა. ახლა-კი დარჩა პირ-დაღებული. ქვრივი კიდევ უფრო გულ-შეწუხებული შეიქნა: ანდერძი აღარსად გამოჩნდა და საყანეც ხელიდან წაუვიდა. ამ მდგომარეობით აზნაურებმა ისარგებლეს, ბექდები ჯიბეში ჩაიდვეს, გააღეს ნელა კარი და გაილალენ.

ბოლოს ოთარი გამოერკვა მწუხარებიდან, წამოვარდა ზეზე, ამოიღო ხანჯალი, დაადგა თავზე ასმათს და მრისხანეთ შესძახა.

— სულ შენი ბრალია, შე კუდიანო, ამდენი ჩემი ცუდი საქმეები! რას მიპირებ ახლა? რომ რაიმე შემემთხვეს იმ გლეხების დახოცვით, შუაზე გაგჩეხავ. როსაფი შენ დამაწვევინე — რისთვის, ჰა რა მიზეზით? ამ ქალალდების ნაფლეთების გულისათვის?.. ოჰ, ღმერთმა დაგწყევლოს, შე კუდიანო! — იმან საჩქაროთ დააგდო ასმათის სახლი.

ქვრივმა ხმა ვეღარ ამოიღო. ერთხანს ასმათი, თითქოს გაბრუებული, დაეშვა ტახტზე უძრავათ. ამ დროს ნათელას ძიძა შემოვიდა და ასმათი, რომ ამ მდგომარეობაში დაინახა, შესძახა:

— ქალბატონო, რა დაგემართათ, ავად ხომ არ ბრძანდებით?

— კი, შვილო, რაღაც ქარმა გამკრა ფერდებში. — ის საჩქაროთ ზეზე წამოვარდა, დაავლო ხელი ქალალდებს, ყუთის ნამტვრევებს და სკივრში ჩაკეტა. მეორე ღამეს იმან ესეები სულ-ერთიანად დაწვა.

ცოტა ხანს იქით ზურუკეთში ხმა გავრეცლდა, როსაფის სახლი ოთარის დამწვარიაო. მარიამობას რომ ოთარსა და როსაფს ჩხუბი მოსვლოდათ, იმის გამოჯავრებული ოთარი ჩამოვარდნილა ზურუკეთში და ცეცხლი წაუკიდებია როსაფის სახლისათვისაო. ზოგიერთები ამბობდენ, მარიამობა ღამეს ეახშმობისას ოთარი ენახეთ, რომ ზურუკეთიდან ისევ ოფოთას მიისწრაფოდაო... როსაფმა შეიტანა არზა გამომძიებელთან. ეს მაშინვე ფიცხლად შეუდგა საქმის გამოძიებას, მაგრამ რაც უფრო უკვირდებოდა ამ საიდუმლო ბოროტ-მოქმედებას, იმდენათ უფრო რწმუნდებოდა, რომ ოთარი სრულებით უბრალო უნდა ყოფილიყო. უტყუარი საბუთებით აღმოჩნდა, რომ იმ დღეს, როცა როსაფის სახლი დამწვარიყო, ოთარი ოფოთას ყოფილიყო მარიამობას. იმ ღამეს და მეორე დღესაც ოთარი ოფოთიდან არ დაძრულა. რაკი გამომძიებელი ამაზე დარწმუნდა, მაშინვე იფიქრა, რომ ეს დაწამება სულ მტრობით არის შედგენილიო და საქმე წარადგინა პროკურორთან მოსასპობლათ.

IX.

როსაფი იყო ერთი იმ აზნაურთაგანი, რომელსაც 1850 წელს გაეთავებინა ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებელი და შემდეგ შორაპნის უეზდის გამგეობაში შესულიყო მწერლად. თავის დროს ის ჩინებული მკვირცხლი ახალგაზრდა იყო. კარგი მომღერალი. ქეიფის მოყვარე და ქართულად არზის დამწერი. ეინც ძღვენს მიართმევდა, ისეთს არზას დაწერდა, „ქვას გახთქდაო". იტყოდენ გლეხები. ის მალე დაიახლოვა უეზდის სასამართლოს სეკრეტარმა. ეს ისეთი სეკრეტარი იყო, რომ უიმისოთ უეზდში არც არა გაკეთდებოდა-რა. არც არა წახდებოდა-რა. გასამგებო იყო თუ სამოსამართლო — ყოველივე საქმე მის ხელთ იყო. უეზდის მმართველათ ერთი ეინღაც რუსეთიდან გადმოსული შტაბს-კაპიტანი ბრძანდებოდა: არც ქართული ენა ესმოდა, არც არა ჩვენი ქვეყნის ვითარებისა გაეგებოდა. ის დრო იყო, როცა ჯერ კიდევ ქართულად იწერებოდა არზები და ზოგჯერ განჩინებაც ქართულად დგებოდა. ამის გამო ყოველივე საქმე უეზდის გამგეობისა სეკრეტარს ჰქონდა ჩაბარებული და მის უდასტუროთ არა გადაწყდებოდა-რა. თვით უეზდის მმართველმა მალე იგრძნო, რომ სეკრეტარი მისი მარჯვენა ხელი იყო, მისი მოსიამე .მრჩეველი. მოურავი, სახლთ-ხუცესი, ხორაგის მყიდველი. ოჯახის გამგე. სამზარეულოში რიგის მიმცემი. სასამართლოში მისი ქაღალდის დამწერი. ერთი სიტყვით, შინ და გარეთ სეკრეტარი იყო უეზდის მმართველის გაჭირვების ტალ-კვესი. შტაბს-კაპიტანი ქაღალდებზე ხელის მოწერის მეტს არას აკეთებდა. სეკრეტარმა მალე დააჯერა უეზდის მმართველი. რომ იმერლებმა მთავრობის წინაშე ძღვნით ხელის დაშვება იციანო და თუ მთავრობის კაცმა მათი ძღვენი არ მიიღო, დრტვინვას დაუწყებენ, აღარ მიეკარებიან და, შეიძლება, ბოლოს საჩივრებიც გაუმართონო. ძღვენი წმინდა იოანეს მოწყალებაო. შტაბს-კაპიტანმა მალე დაიეჯრა თავის სეკრეტრის მოძღვრება. ბოლოს ამ ძღვენს ისე მიეჩვია, რომ როცა ხურჯინიანი კაცი ჭიშკარს არ შეაღებდა. ის დღე დღეთ აღარ მიაჩნდა, ცუდ გუნებაზე შეიქნებოდა და სევდის გასაქარვებლათ სეკრეტარს დაუძახებდა: „Ну, брат, св. Іоанн забыл нас. Свечку бы надо поставить". ეს ამბავი მით უფრო სტკენდა გულს უეზდის მმართველს, რომ ფურცხუნა ღვინოებს მიჩეოდა და. რადგან ოტკის სმა გადაეგდო, ახალ-ახალი ჭაშნიკებით გულს იოხებდა. წყალს აღარ იკარებდა და სამწყურვალოთ სხვა-და-სხვა ღვინოები ედგა ღრაფინებით: ცოლიკაური, მწვანე, კრახუნა. საფერი და რკოს ღვინო. თუ რომელიმე გამოელეოდა, მაშინვე წმინდა იოანეს დაუწყებდა საყვედურს დავიწყების გულისათვის.

როსაფი მალე შეიქნა სეკრეტრის მესაიდუმლე, იმის შემწეობით ძალიან გაიწაფა არზების წერაში .ერთი მოზდილი სკიერი სულ სხვადა-სხვა ფორმის არზებით და აპელაციებით ჰქონდა გავსებული. ვისაც უეზდის სასამართლოში საქმე ექნებოდა, ყველანი როსაფთან მიდიოდენ, რადგან იცოდენ, რომ იმის არზებს თვით სეკრეტარი ასწორებდა. შრომის გულისთვის წითლიანი და ცისფრიანი ქაღალდები სცვიოდენ როსაფის ხელში. მაგრამ სეკრეტარს ერთი ახირებული საქმე სჭირდა: რაც უნდა მიეტანა როსაფს იმისთვის გინდა წითლიანი, გინდა ცისფერიანი, ის ყველას ჯაჩიბამდა ამ სიტყვებით.

ჩემო როსაფ, ამას ნუ გამიტეხ, ეს ჩემი იყოს, შენ სხვა გამოართვი კიდევ.

— შე, დალოცვილო, აღარ მომცეს მეტი, დავრჩი მე ყოველთვის ვირის მიმდევი! — უსაყვედურებდა ხან-და-ხან როსაფი. მაგრამ სეკრეტარი იტყოდა გულში: „ყურსა ბამბისასაო„, და ჩაივლიდა.

მეტი რა ჩარა იყო, როსაფი ისევ უნდა დატრიალებოდა მთხოვნელს და თავის გასამრჯელო ცალკე მოეთხოვა. ხშირად მოხდებოდა, რომ გლეხი გაწიწმატდებოდა და შეექნებოდათ დავა. ზოგჯერ ლაწანიც ისმოდა გლეხის ყბაზე. ატყდებოდა ხოლმე ერთი ალიაქოთი უეზდის სასამართლოს დერეფანში. საცა არ გინდა. სეკრეტარი უცბად იქ გაჩნდებოდა, შეარიგებდა მოჩხუბრებს და გასამრიგლოთ ორი-სამი მანეთი მაინც კიდევ ამოვარდებოდა გალახულის გლეხის ჯიბიდან როსაფის სასარგებლოთ. ამ ყოფნით გაატარა როსაფმა რამდენიმე წელიწადი უეზდის სასამართლოში.

ის თავის ტოლ-ამხანაგში პირველი დარდიმანდი იყო. ტანს ეცვა ბუზმენტებით გამოწყობილი ქართული ყურთმაჯებიანი კაბა, წითელი ხავერდის ბეწვ-მოვლებული ქულაჯა. განიერი შარვალი, ბუსრის ქუდი, იჯდა ყოველთვის მატარებელს ბედაურზე და ყელზე ჩამოგდებული აბრეშუმის ბაღდადი ლამაზათ მიფარფაშებდა. არც ერთს დღეობას არ დააკლდებოდა, ყოველგან ლხინის თავი იყო. თემში რომ გამოვიდოდა, მანდილოსნებს მაზედ რჩებოდათ თვალები. ეაგრამ ყოველთვის ერთი დრო არ შერჩება კაცს. მოხდა უბედურება. რევიზიის კლანჭი შორაპნის უეზდის სასამართლოსაც მისწვდა. თურმე ხაზინის ფულს ოთხასი თუმანი დააკლდა. სეკრეტარს საპყრობილეში ამოაყოფინეს თავი. შტაბს-კაპიტანს ფეხი აადგმევინეს და ისევ პოლკში გაგზავნეს. როსაფმა ძლივს დააღწია თავი ამ საქმეს და მიბრუნდა თავის ოჯახში.

მამის სიკვდილის შემდეგ მას დარჩა ოცდა-ხუთი კომლი გლეხი: ბლომათ ადგილ-მამული და ხუთასი მანეთი გავალებული.

ის მაინც გამოჩენილი ოჯახის აზნაურიშვილი იყო თავის კუთ-ხეში. კარგი პურადი და სტუმრის მიმღები. მტრებიც ჰყავდა. მაგრამ მეგობრები კიდევ უფრო ბევრი. არავის შიში არ ჰქონდა, მხოლოდ თავის დას ასმათს ვერა მოუხერხა-რა და ბევრი სიმწარეც გამოსცადა მისი ქიშპობით ცხოვრებაში. როსაფს ის უფრო აწუხებდა, რომ მისი სააპეკუნო ძმისწული ნათელა მის დას მიეთვისებინა და ვერას ღონის-ძიებით ველარ დაგჰლიჯა ხელიდან. როსაფი მაინც და მაინც არ იყო დიდი ხნის: ასე ორმოცდა რვა წლის თუ იქნებოდა, მაგრამ ასმათის მტრობას უდროოდ გაეთეთრებინა.

მისი ძმისწული ნათელა მეთორმეტე წელში იყო ჩამდგარი და ყური მოეკრა, რომ ასმათი ქართლისკენ უპირებდა გათხოვებასა: „მართლა, რომ იმ კუდიანმა ხელიდან გამომაცალოს ის ბავში, და-ვიღუპები, ვინ იცის, რა კაცს მიათხოვებს. სიძემ რომ სააპეკუნო ანგა-რიშები მომთხოვოს სამართლის წესით, ჩემი საცხოვრებელიც ველარ აუდგებაო“.

ბოლოს, მტრობით რომ ვერა მოუხერხა-რა, თათბირი გაუმარ-თა. მან განაზრახა თავისი ცოლი მზეხათუნი, რომ ის რამენაირათ თა-ვის მულს ასმათს დაახლოვებოდა. დროც კარგი შეურჩიეს. იმ დროს ასმათს ოთარი შემომწყრალი ჰყავდა და ქერიეი ძალიან დანაღვლია-ნებული იყო. ამ ხანებში ასმათს ცხოვრება ჰქონდა გამწარებული. ის გრძნობდა თავის თავს უბედურათ. ერთი ქერივ-ოხერი დედა-კაცი იყო. ხანში შესული, უპატრონო; მეზობელი და მოყვარე-კი არა. სა-ნადელო გლეხებიც აღარას უჯერებდენ. რაც სიავე ექმნა თავისი დღენი არასფერი აღარ წადგომოდა: მეზობლები არ ეკარებოდენ, მოყვრები შემოცლოდენ. ერთი ძმა დარჩენოდა ცოცხალი... ისიც გადამტერე-ბული. ერთად-ერთი მისი ნუგეში პატარა ნათელა იყო. მაგრამ აღარც იმისი იმედი ჰქონდა, მუდამ შიშში იყო. ძმამ არ მომტაცოს და არ გამითხოვოსო. ხან-და-ხან, როცა ასმათი ნათელას წინდების ქსოვა-ში ჩაფიქრდებოდა, გულ გახეთქილი წამოიძახებდა: „ვაი. ჩემი ბრალი! რომ მოვკვდე, საყდარზე მიმტანი კაციც არავინ გამიჩნდებაო!“. ამ უნუგეშობის დროს რძლისაგან კაცი მოუვიდა, ბარათი მოუტანა. ნა-თელასათვის ერთი ხელი ტანისამოსი გამოეგზავნა და ერთი ცისფერი თაეშალიც თვითონ მულისთვის.

„საყვარელო მულო! — სწერდა მზეხათუნ: — ეს არის როსაფი ქუთაისიდან დაბრუნდა, ბავშვისთვის ერთი ხელი ტანისამოსი ეყიდნა და თქვენთვისაც ერთი თაეშალი. მართალია. დიდი არაფერია. მაგრამ ღვიძლის ძმისგან მაინც გიამება. ვისურვებ თქვენს ბედნიერ ცხოვ-რებას თქვენის ნათელათი. როსაფმა შემომჩიელა. მე მოვხუცდი და ნა-თელას მამულს ველარ ვუვლიო. რა აქვს ჩემს დას ან საჩხუბარი, ან

გასაოფი, რომ ჩემი არა უნდა-რაო. იმ ბავშვის მამულს მაინც მოუ-
როსო. იქნება გული მაზედ აკლია, რომ ვითომც მამაჩვენს რაღაც
ანდერძი დარჩენოდეს. აშოროს ღმერთმა, არაფერი ანდერძი იმას აო
ლაუტოვებია-რაო. მაგრამ გაღმა სერზე რომ საყანე მაქვს, თუ უნდა —
ბიირთვასო. განა ღირდაო იმის გულისთვის, რომ საწყალი გლეხები
ოთარს დაახოცვინაო?.. მეც, ჩემო ძვირფასო მულო, ძალიან გთხოვ.
რომ გადმოხვიდე და რძალ-მულის სიყვარულით მოგვიკითხო. შენი
მოყვარული რძალი მზეხათუნ".

ამ წიგნმა ძალიან სალავათი მისცა მის გამქისებულს გულს.
წიგნს რომ კითხულობდა, გული აუჩვილდა და ორი კურცხალი ბა-
რათზე გადმოაგდო...უცბათ დაკეცა წიგნი, თვალები ამოიწმინდა, რომ
იმ კაცს არა შეენიშნა-რა, მერე წიგნის მომტანს დაუწყო შეპატიჟება:
„შვილო, დაღალული იქნები. ღვინის დასალევს მოგართმევო". რო-
საფის ნაყმევმა თავი გაიქნია უარის სათქმელად, მაგრამ ასმათი მაინც
არ მოეშვა, ღვინო დაალევინა. შემდეგ ბოდიშით გაისტუმრა: „უკაც-
რავათ ვარ, ჩემს რძალს ახლა წიგნს ვერ ესწერ, რადგან საწერ-კალამი
არ დამესწრო; დედა-შვილობას. ჩემი რძალი მზეხა სიყვარულით მო-
მიკითხე. ასე უთხარი, ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ მნახავთ-
თქო. მე, შვილო, ფეხებში ვარ დახუთული, სიარული არ შემიძლია.
არც ცხენზე ჯდომა... ამ დროს ასმათმა ხელი იტაცა ფერდებზე და
დაიწყო კრუსუნი: „ვაი, ვაი, ქვლები, ქვლები აღარ მაძლევენ მოს-
ვენებას. თავის ტკივილისაგან წელიც ვეღარ ამიტანია". როცა რო-
საფის ნაყმევი გაისტუმრა, მერე-კი სხვა ჰანგზე შესცვალა ლაპარაკი:
„ვერ უყურებ ჩემს რძალს, როგორ თავს გასვლია? ჩემთან არ უკად-
რებია მომბრძანება. პირველად მე უნდა ვეახლო! მანამდის არ ადგა
ბისი გკერდები! თუ შერიგება უნდა, თვითონ იკადროს მობრძანება.
მისი დაბადება მახსოვს. რომ კიდეც მაზე უფროსი არ ვიყო, ის მამი-
ჩემის ოჯახში მოთრეულია და მე მკვიდრი ოჯახის ასული ვარ... ჯერ
დაიცადეთ!... შენ-კი არა, შენ ქმარსაც დავამუხლისთავებ, თუ ჩემი
ნათელა კარგად მეყოლა. ერთი გავათხოვო, მერე მე ვიცი. ამოვიყრი
თქვენს გულის ჯავრს. არ შევარჩენინებ ჩემს სიძეს ობლის მამულის
კვრეხას... დიდი რამე ყოფილა წლითი-წლობამდე თუ ერთი ჩითის
ან მირიზონის კაბა შეუკერა ჩემს ნათელას, ან მე თუ ერთი თავშალი
მომიგდო!.. ობლის მამულს წელიწადში ასი თუმანი აქვს შემოსავალი.
ამაებს სულ როსაფი იყრის ჯიბაში. არ შეარგოს ნათესაობის
გამჩენმა!.."

ამ ლაპარაკში თან-და-თან უფრო გაანჩხლდა. ბოლოს, თითქოს
რაღაც რეტი დაესხა თავზეო, მიწვა ტახტზე და ერთხანს ასე იყო გა-
ლურსული. მერე წამოჯდა და დაიწყო ისევ აღშფოთებით ძველი ამ-

ბების მოგონება: „რა საარაკო ამბავი მოხდა!.. უბედური გლეხები რა ტყუილათ დაიხოცენ! რა არ მოვიქმედე!.. სახლი არ დავაწვევინე როსაფისა? ყუთი არ გავატეხინე?.. ნეტა სად გადიმალა? მიწამ ჩაყლაპა თუ ზღვამ ჩანთქა ის ანდერძი, ის ჩემი დედის ნაქონი გულის-ქონდისთავი?.. ცოცხლათ დატანჯვის ღირსი ვარ! სხვას ვინ ჩივის, ნეტა საწყალს ოთარს არა გაუპირდეს-რა!.. სულ იმ ანდერძის პოვნაში იყო დაფუძნებული მისი გამართლება!.. ახლა რაღა ეშველება? მაგრამ იმასაც ნუ მოუშალოს ღმერთმა ყოველივე სიაეე! რაც მე იმაზე და მის ცოლ-შვილზე ამაგი და ხარჯი გავწიე, ჩემ საკუთარ ოჯახზე არ გამიწევია იმდენი. ამას მემართლებოდა? დამკრა ფეხი და აღარ გაიარა ჩემ ნიადაგზე. მაგრამ რა?.. „კარგისათვის კარგი ვის უქმნია, გველო, გველო, წაუჭირე კისერშიო...“ მაინც შენი სისხლი და ხორცი სულ სხვა არის. შენსას მაინც, რაც უნდა გულ-გატეხილი იყოს შენზე. მაინც უფრო ებრალები. აი. თუნდა ახლა მზეხას წიგნი. რა მოეპრიანა? მე როსაფისათვის მიზეზი არა მიმიცია-რა, მაგრამ ბოლოს ერთი დედამამის სისხლმა და ხორცმა მაინც იგრძნო... ძალიან მიამება ჩემი რძლის ნახვა, თუ-კი იკადრა პირველათ მობრძანება; მაშინ სწორეთ დავრწმუნდები, რომ ისინი გულ-მართლათ მექცევიან... მაგრამ ვინ იცის? იქნება ეს რამე ახალი თილისმობა იყოს ჩემის ძმის როსაფის მხრით.. ეჰ, რაც უნდა იყოს მაინც ძალიან მენატრება მისი ოჯახის ნახვა“.

ამ ფიქრებს შემდეგ თითქო ასმათს რაღაც გული აუმსუბუქდა, ადგა, აივანზე გამოვიდა და შეხედა, რომ ოდის დერეფანს სახურავი ჩამოქცეოდა. მერე ნახევრათ თავ-გადახდილს ბოსელს გადააელო თვალი. მის მოშორებით ჭისკრის ბოძები მიღმეჭილ მოღმეჭილი იყო, ცალი კარი ჩამოვარდნილი მიწაზე ეგდო; ბოსტანში თხები წიწკნიდენ ნიახურისა და შარშანდლის ხახვის ფოთლებს: დაცარიელებულის სასიმინდის კედლებში ქარი ზუზუნებდა, დამარცელულს სიმინდის ბაკლებს ქათმები ჰკენკავდენ. „ეაი, როგორ გაძაღლებით გავატარე ჩემი წუთი-სოფელი! — ამოიხრა ასმათმა: — მუდამ საასამართლოებში თრევას ამ დაქცეული ოჯახისათვის მომეელო. სახლები შემეკეთებინა, ეზო შემომეღობა. ის არ სჯობდა?.. ჩემს ბოსტანში დღეს პრასის თავსაც ვეღარ ეშოულობ!“

X

ასმათი სამზარეულოში ჩავიდა, გამდელს უთხრა. ნათელას დაბანი წყალი გაეთბო,. არ მინდა, რომ ჩემმა რძალა იფიქროს, ყმაწვილი სუფთად არა ჰყავს შენახულიო. ძარში ერთი ბურეკი ჰყავდა დამწყვდეული. რომელიც წინა დღეს ყანაში დაეჭირათ.

— მაგ ბურვაკს კარგათ აკამე, ხვალ კვირაა, იქნება სტუმარი შოგვივიდეს ვინმე. დასაკლავათ დაგვეირდება.

შემდეგ ხელოსანი მოიხმო და უთხრა:

— დიდ ნიგოზს ქვეშ რომ ოცდაათიანი ქვევრია. კრახუნის ღვინით გავსებული, მოხადე, ნახე, ხომ არ გადაბრუნებულა. ხვალ სტუმრებს მოველი, არ შემარცხვინო. თუ წამხდარი გამოდგა, ისევ ბეზობლებში ვისესხებ ორიოდე კოკას რთვლამდისა. პურიც არა გვაქვს გაკეთებული. სადილს უკან გამდელს მოეხმარე, დააკვრევინე პური და გაარეცხინე წყაროზე. საღამომდის მზეზე გაშრება. მერე ჩვენ მეთხეს გაატანე კოდის წისქვილზე. ამაღამ დააფქვევინოს და ხვალ დილით უთენიათ ამოიტანოს. ეგ, უნამუსო, ტანისამოსის ფასად არ ღირს. გუშინ წინ თხები წარა-მარა გაეშვა, თვითონ მთელი ღღე სადღაც ღრეში გდებულიყო, ძირულის პირად სძინებოდა. თხები აე ამოცვინდენ, პრასი და ნიახური სულ გადახრეს. უმისოთაც არ გვქონდა ხეირიანი ბოსტანი და ახლა, როგორც ჩემ ხელის გულზე არა არის-რა, ისე ჩემს ბოსტანში. — ამ ლაპარაკში რომ იყო, გაიხედა ჭიშკრისაკენ და დაინახა, რომ ნათელა ზუზუნით მოდიოდა.

— ნათელა, რა ამბავია? ვინ აგატირა, მოგიკვდა მამიდაშენი!

ნათელამ კიდევ უფრო უმატა ხმა მამიდის მოფერებაზე.

— ვინ დაგიკაწრა ეგ სახე? წარბთან რა არის ეგ გაპრილი?

ნათელამ ტირილით უამბო მამიდას ყოველიფერი. თურმე ოთარის ქალ-ვაჟთან თამაშობდა. ყმაწვილებს მოენდომებინათ, ნაურმალში რომ წყალი მიდიოდა, იმაზე პაწია ბორბლის აბრუნება. ოთარის ვაჟს ეშოვნა კორჩიოტას ძირი და ზედ ფრთებს ასხამდა. ნათელა იქ იყო და ყურადღებით დაჩერებოდა. ამ დროს ოთარის ვაჟს აექნია დანა, დანის წვერი უცაბედად წარბსა და წარბს შუა მოხვედროდა ნათელას და სისხლი გამოდენოდა.

— შვილო, რამდენჯერ დამიშლია შენთვის, იმ არა-წმინდებს ნუ გაეკარები-მეთქი! აბა, რა კარგები იქნებიან ოთარის შვილები, თვითონ ქურდი და ავაზაკია! ახლა ბიცოლა შენი რომ მოვიდეს და აგრე გნახოს, რას იტყვის? — ბავში დაუსახიჩრებია მამიდასო, ყურს არ უგდებსო. შენმა გაზდამ, სულ შენ ფიქრში ვარ, მაგრამ რა ვქნა, შვილო? ველარ დაგამაგრე. მთელი დღე გარეთ დარბიხარ. სად ხარ და სად არა, კაცმა არ იცის. როგორ იქნება? ორ წელიწადს იქით გასხოვარი შეიქნები. აწ შენ სულ შინ უნდა იჯდე, გარეშე კაცს ალარ უნდა ეჩვენო. აგრე-კი არას იტყვიან, სახელი გაგიტყდება. ღღეს რომ წინდის ჩხირები და დართული ღაზლის გვრიპა მოგეცი, რა უყავი? აკი წინდის ქსოვა დაგაწყებინე?.. ერთი თითის დადებაც არ მოგექსოვა, ისე მალე მოგწყენოდა. გვრიპა და წინდის საქსოვი ლო-

გინზე დაგეყარა, შენ-კი გამქრალიყავი. — ასმათმა თავის ხელით დაბანა პირი, სისხლის ლაქები მოაცილა. გაჭრილზე აბლაბუდას ქსელი დაადვა და შუბლი შეუკრა. მერე დედა-შვილურის სიყვარულით გაჰკოცნა, დასვა სავარძელზე, ხელში მისცა ბეჭი და ბატის ფრთა.

— აბა, შვილო. შენი ტოლი ქალები ტფილისსა და ქუთაისს დღეს რუსულსა და ფრანციულს კითხულობენ, შენ-კი ნ — დინაც (ნარამდის) წერას ვერ მიჩვევიხარ.

— ვერ მივეჩვიე, მამიდა. და მე რა ვუყო. ბეჭზე არ მეხერხება. ქალალდი რომ იყოს, ის სულ სხვა არის.

— შვილო. სანამდის ისწავლიდე, მასე უნდა სწერო. ბეჭზე რამდენიც უნდა სწერო მაინც გადირეცხება. როცა ანბანების წერას მიეჩვევი, ამოსაღებს დაიწყებ, აი, მაშინ გიყიდი ქალალდს და საყერ-კალამსაც მოგიტანინებ. ცალკე პაწია საკუჭნაო ყუთს გავაკეთებინებ შენთვის, რომ შენი ხელ-საწყო სულ იმაში გქონდეს.

— როდის მიყიდი, მამიდა?

— როცა ანბანების წერას დაისწავლი.

აბა. კარგი, ვეცდები. მალე გავათავო.

— მეც მალე გიყიდი მამიდაშვილობამ!

ნათელამ ბეჭი უცბად განზე გააგდო და ჩაეკრა გულში ასმათს. მერე აიღო ისევ ბეჭი, ბატის ფრთა და მიუბრუნდა გულმოდგინეთ ქართული ასოების ჯღაბნას.

რვა წლის რომ გახდა, მამიდამ ქალალდის ნაწიბურზე დაუწერა ანბანი და მისცა ხელში დასაზეპირებლათ. სანამდის ამ ანბანს წერა ანბანი და მისცა ხელში დასაზეპირებლათ. სანამდის ამ ანბანს ვ — მდის ჩაათავებდა, ნახევარი წელი მოანდომა. შემდეგ ისეთი ბარათები ამოურჩია, რომ გარკვეეთ იყვნენ ნაწერნი, ასო,ასოზე არ იყო გადაბმული. ამისთანა ბარათებს რომ მარცელა-მარცვლათ დააასწავლიდა, მერე ისევ ბარათებს მისცემდა ხელში, საცა ასოები ათასნაირათ იყო ერთმანეთზე გადაბმული და გადახლართული. ამისთანა სწავლებამ გასტანა წელიწად-ნახევარი.მე რე ამოსაღები დააწყებინა და ზემოთ ნახსენები ძროხის ბეჭიც მისცა ხელში საწერათ. ნათელამ წერა-კითხვა კიდეც დაისწავლა და კიდეც შეიქმნა ათის წლისა, მეთერთმეტეში გადამდგარი იყო. ამის შემდეგ ახალ მოსულს წერილებს სულ ნათელას აკითხებდა: „შვილო, მოდი ერთი ეს წერილი წამიკითხე; მე ველარ ვკითხულობ, თვალს დამაკლდაო.“

ბავშვის სისუფთავეზე ასმათს სულ თავისებური შეხედულობა ჰქონდა.

„ბავშვს თვეში ერთხელ უნდა დაბანო მიწით თავი, ორ თვეში ერთხელ — ტანი. ხშირად ბანა ტანს გაუნაზებს და დაავადმყოფებსო" მამიდა თავის ძმისწულს ორ კვირაში ერთხელ გამოუცვლიდა საცვალს. თუ პატივსაცემი სტუმარი არ მოუვიდოდა, ნათელას ფეხს არ ჩააცვამდა. თვით ბავშვიც ვერ ჰგუობდა ფეხსაცმელს. თოვლსა და ყინვაშიაც ბევრჯერ უნახავთ ნათელა, რომ ფეხ ტიტველა გარბოდა მეზობლისას. მაგრამ საკვირველი იყო. სხვისას რომ ნათელას კანფეტები ეჭამა და მამიდას ცივი ჭადის ნატეხიც ვერ ეშოვნა, მაინც ამასთან ურჩენოდა. ერთი გულ-მკერდში მამიდას ჩაკერა სულ ერჩია მთელს დედამიწას.

შაფათი ღამე იყო. ასმათმა დაბანა, დაგვრიტნა ნათელა და ადრიანათ შეახვია ლოგინში: „დაიძინე, შვილო, ხვალ ბიცოლას გამოგ'ხავნილს კაბას ჩაგაცმევ, ჩემ ბაღდათს მოგახვევ და, სააღდგომოთ რომ წითელი ჩუსტები გიყიდე, იმაში გაპრაკუნებ. არ იცი, შვილო, ხვალ დილით, როცა „მამაო ჩვენოს" და „ღირს არს ჭეშმარიტად" ილოცავ, მერე რა მოგერთმევა? მშვენიერი გოჭის შემწვარი ღვიძლი. ნათელა აღტაცებაში მოვიდა ამ ამბით, ერთხელ კიდევ ჩაუკოცნა მამიდას გულ-მკერდი ამ სიტყვებით: „ჩემი კარგი მამიდა, ჩემი!" გადაბრუნდა ლოგინში და უცებ მიიძინა.

XI.

კვირა დილა გათენდა. ასმათი ადრიანათ წამოდგა. იმ დღეს წირვაზე ემზადებოდა და ნათელაც უნდოდა თან წაეყვანა. ჩააცვა წითელი კაბა, ჭრელი ღანზლის წინდები, ზედ ახალი ნაყიდი ჩუსტები მოარგო და თავზე თეთრი სახიანი ბაღდადი მოახვია. „მაგრამ ვინ იცის, იქნება ამ დილას ჩემი რძალიც გაჩნდესო, — ფიქრობდა გულში და რაღაც სიამოვნებით იცქირებოდა ჭისკრისკენ, — სისხლმა და ხორცმა თავის ალღო აიღო, გულმა იფეთქა დაკარგული გულისთვის."

— „არაო, — ეუბნებოდა ასმათს მეორე გული: — როსაფს ეგრე ადვილათ ნათესაობრიკი გრძნობა ვერ მოდრეკს. რომ კიდეც სურვილი ჰქონოდა ჩემს რძალს ჩემი ნახვისა, განა ჩემი კერპი ძმაკი გამოუ'შვებდა. მეც რაებს ვფიქრობ! სულ გავყმაწვილდი ამ სიბერის დროს". ასმათი თუმცა ამისთანა მოსაზრებაში იყო გართული, მაგრამ თვალი მაინც ჭისკოისკენ ეჭირა. ხან ადგებოდა, ეზოში მიივლ-მოივლიდა, ხან გამდელს რასმეს უშარებდა. ერთი სიტყვით, ყოველნაირს მიზეზს ეძებდა, რომ შეეგვიანებია წირვაზე წასვლა. ნათელას სულ სხვა დარდი ჰქონდა გულზე.

— მამიდა, წირვაზე ?ასვლა დაგვიანდა! — იმას უნდოდა საჩქაროთ საყდარზე გასულიყო და ტოლ-ამხანაგებისათვის ეჩვენებინა ოავისი ლამაზი მორთულობა.

— რა გეჩქარება, შვილო. ჯერ არ დაურეკიათ.

— როგორ არა, ბარე ორჯერაც დარეკეს.

—ცოტა კიდო მოვიცადოთ, შვილო, საქმე მაქვს.

— უჰ, ამდენი მოცდაც არ გამიგონია! თუ წირვა გამოვა, ?ერე რაღა გვინდა საყდარზე!

ამ დროს ?ეშკარში შეეოვიდა სამი ცხენოსანი: ერთი ქალი და ორი კაცი, მისი ხლებელი.

— ნეტა თუ მართლა ეს ჩემი რძალია — გაივლო გულში ასმათმა და აჩქარებით გასწია ოდისკენ.

— ნათელა, სტუმრები ?ოდიან, იქნება ბიცოლა-შენიც იყოს. საყდარზე ეველარ წავალთ.

— არა, მამიდა,, მე მაინც წავალ და მაინც...

ამ დროს მისი რძალი ორი ცხენოსნიანა კიბეს მოადგა.

ასმათი სიხარულისაგან გაფოცდა, ბიჭს უყვირა, ცხენები ჩამოართვიო. თვითონ ჩამოეგება კიბეზე, რძალს გადაეხვია და გადაჰკოცნა.

— მობძანდი, გენაცვალე, ეს რა კარგი დღე გამითენდა? ამდენის ხნის თქვენს უნახავს რა სული შემრჩა, როგორ გაეძელი ამ ჩემს მინგრეულ-მონგრეულს ქოხში! მობძანდი, ჩემო რძალო, აგერ საავარძელზე დაბრძანდი.

ნათელა იქვე იდგა, წირვაზე წასასვლელად გამოწყობილი.

— უი, ამას ვის ვხედავ! — გაიოცა მზეხათუნმა, როცა შეხედა ნათელას, რომელსაც დიდ-ძალი ტანი აეყარა მას აქეთ, რაც მზეხათუნს არ ენახა. თვალ-წყაზარი ნათელა ახალ ტანისამოსში სასიამოვნო შესახედავი იყო. მის რგვალ პირს მშვენივრად უხდებოდა შუბლზე დაყრილი წაბლის ფერი ხუჭუჭი თმა.

— ჩემი ლამაზი გოგონა, როგორ გაზდილა! გამოგოგმანებულა, ავი თვალით არ ინახება. ჯვარი დაგწერა ბიცოლა-შენმა! — თან ალერსიანს სიტყვებს ეუბნებოდა, თან იხუტებდა და ჰკოცნიდა.

— აბა, გენაცვალე, გადექი განზე, ერთი კიდეე შემოგხედო.

ნათელა ადგა, მორცხვობით თვალები ძირს დახარა და ისე გაიარა.

— გასათხოვარი შექნილა, ჩემი გოგონა! ვინ იქნება იმისთანა ახალგაზდა, რომ შენ საცოლოდ დაგიწუნოს! — ამ სიტყვებით მზეხათუნმა თვალები გააპარა იმის ხლებულის ახალგაზდა კაცისკენ. იმან თითქოს იგრძნოვო მზეხათუნის გულის-პასუხი, სახე განზე წაიღო და თვალები მოარიდა. ის იყო ოც-და-ხუთის წლის მოხდენილი

ვაჟკაცი. შავი წვერი მის თეთრ-ყირმიზს სახეს არშიასავით ჰქონდა შემოვლებული და შავი კოკობი ულვაშები ლამაზად უხდებოდა.

ნათელა უცებ მივარდა მამიდას და ჩუმათ უსაყვედურა.

— წირვა კიდეც გამოვა აწ, როდის უნდა წავიდეთ?

— რა დროს წასვლაა, გენაცვალე, ბიცოლა მოგიყვიდა!

— არა, არა, — იუარა ნათელამ წარბების შეკმუხვნით: — უნდა წავიდე წირვაზე, უნდა წავიდე!..

— ნათელა, ძენ ხომ არ იცი, მე რა გაპრიალებული პოლსაპოჟეები მოგიტანე, მაღალ ქუსლებიანი? — უთხრა მზეხათუნმა. — ივანე! — მიუბრუნდა მოურავს, რომელსაც ცხენები ეჭირა: — ფუთა ამომიღე ხვირჯინიდან და აქ მომიტანე!

— უი, ჩემს თვალებს! — დაიძახა ასმათმა. — ჩვენი ივანე-კი ვეღარ ვიცანი! როგორ ხარ, ჩემო ივანე, ან შენი ცოლ-შვილი რასა იქს?..

— ღმერთმა თქვენი სიცოცხლე ნუ მომაკლოს! კარგათ გახლავართ. დაგვიძვირდით, ქალბატონო. რამდენი ხანია, მამის თქვენის ოჯახში არ მობძანებულხართ. როგორ გეკადრებათ ოჯახის დავიწყება.

— ალბათ ჩემს ძმას არ ნებავდა.

— მაგას როგორ ბძანებ, ქალბატონო? როსაფი ნუ მომიკვდება. ბევრჯელ უთქვამს, ნეტა რა დავუშავე ჩემს დას, რომ აღარ გამიტანაო?

— ბევრი, ჩემო ივანე, ბევრი, თორემ შენც კარგათ გეცოდინება...

— უკაცრავათ, ჩემო ბატონო! — მიუბრუნდა ასმათი იმ ახალგაზდას, რომელიც აქამდის ფეხზე იდგა და ნათელას ჩუმ-ჩუმათ თვალებს ესროდა: — ისე გამახარა ჩემი რძლის ნახვამ, რომ გონება ვეღარ მოვიკრიფე. დაბძანდით, შენი ჭირიმე, ამ სკამზე.

— არა მიშავს-რა, ბატონო! — თავდაბლათ მიუგო ვაჟკაცმა, ჩამოართვა სკამი ასმათს და დაჯდა.

— ჩემო მულო, იჭნება არ იცნობ ჩემს ძმისწულს ილიკოს?

— აბა, სად გავიცნობდი, გენაცვალე! — უპასუხა ასმათმა.

ამ დროს მზეხათუნმა ამოიღო ფუთიდან აპრიალებული მაღალ-ქუსლებიანი პოლსაპოჟეები, ჩააცვა ნათელას და უთხრა:

— გაიარე, გენაცვალე, ხომ არ გიჭერს?..

ნათელა კიდევ უფრო მაღალი გამოჩნდა.

ის სიხარულისაგან იღიმებოდა.

— ახლა ეს კურტკაც ჩაიცვი, ეგენი ბიძა შენმა მოგიტანა, გენაცვალე, ქუთაისიდან.

ასმათი სულ აჭყლოპინდა.

— შენ შემოგეევლოს მამიდა-შენი, როგორ კარგათ გიბდება ყოველიფერი!..

ამ საზოგადო მხიარულობაში ილიკოც დიდ მონაწილეობას იღებდა, თუმცა ძალიან ცდილობდა, სიამოვნება სახეზე არ დაემჩნია. მზეხათუნმა შეატყო, თუ რა ვერცხლის წყალი დაკრთოდა ილიკოს სახეს, და თვითონაც სიხარული გააორკეცა.

ნათელას აწ კიდეე უფრო მოუნდა ტოლ-ამხანაგებში გაფრიალება და ჩასჩურჩულებდა მამიდას, წირვაზე გამიშვიო.

— გაუშვი, ჩემო მულო, — სთხოვა მზეხათუნმა: — ჩემ ცხენზე შევსვათ და ილიკო ვაახლოთ.

— დიდი სიამოვნებით! — დააატანა ილიკომ.

ნათელა აიბუზა, მოხვია მამიდას კისერზე ხელები და ჩასჩურჩულა:

— არ მინდა იმასთან წასვლა.

მზეხათუნი მიუხვდა.

— რატომ არ გინდა. გენაცვალე? ილიკო შენი ძმა არის. რისი გეკრძალება? სპყდარზე უფრო მალე მიხვალთ. ფეხით რომ წახვიდე, ვეღარც-კი მიუსწრებ წირვას.

ამ უკანასკნელმა საბუთმა ნათელას უარობას ლოჯი მოსტეხა. იმ წუთას ის თუნდ კაცის მკამელსაც გაჰყვებოდა, ოღონდ წირვაზე მიესწრო და ტოლ-ამხანაგებში თავი მოეწონებინა.

ასმათმა რომ დაინახა ნათელა ცხენზე შემჯდარი და იმის გვერდით ახალგაზდა ვაჟი, სიხარულისაგან ტაშის ცემა მორთო: „როგორ მოუხდა ცხენზე ჯდომა, სულ გასათხოვარს ქალს დაემზგავსა!" მერე გულში გაივლო: „ქართლს უნდა ვაფრინო კაცი, ბარემც საქმე გაათავონო." ასმათი რომ ამ ოცნებაში იყო გართული, მზეხას ფიქრები ნათელას შესახებ სულ სხვა ნიავს მიჰქონდა. იმას თვალ-წინ გაუცოცხლდა ილიკოსა და ნათელას ცოლ-ქმრობა.

XII.

ერთი თვე გავიდა. რძალ მული და წაკიდებული და-ძმა ძალიან დამეგობრდენ. ორ დღესაც არ გაუშვებდენ, რომ ერთმანეთის ამბავი არ ეკითხათ, ან ერთმანეთისას არ ყოფილიყვნენ. ასმათს მართლაც დაუბრუნეს ძირულას გაღმა რომ ყანა იყო. თვითონ როსაფი ხშირად ჰკითხავდა ხოლმე რჩევას თავის დას სააპეკუნო საქმეებზე. ერთი ორი სააპეკუნო გლეხი, თვით ასმათის მეზობლათ რომელიც ესახლენ, მას მიუჩინა. „რადგან ნათელა შენთან არისო, — უთხრა

როსაფმა: — სჯობია ის გლეხები შენ დაიჭირო ხელში და, როგორც ვინდა, ისე მოიხმარო.“ ამისთანა მოქმედების გამო ასმათმა გული დაანდო როსაფს. ნათელაც ძალიან დაუმეგობრდა როსაფის ქალს, რომელიც მისი ხნის იყო. როცა ასმათი და ნათელა როსაფისას გავიდოდენ ხოლმე, ყმაწვილები სულ ერთად იყენენ, ერთად სწავლობდენ, ერთად ქსოვდენ, ერთად კერავდენ და მეზობლებშიაც ერთად დაიარებოდენ. მზეხათუნი მუდამ თვალებში შესცქეროდა ნათელას და მის სიტყვას მიწაზე არ დააგდებდა. ეს მეოთხე წელია იყო ასმათისა და ნათელასი როსაფისას. მზეხამ ახალი საკაბე დაუჭრა ნათელას და თან დაატანა: „ეს საკაბე ნათელამ და ჩემმა ქალმა ერთად უნდა გააწყონო.“ ნათელას ძალიან მოეწონა ხელოსნისი ფერი კაბისა და საკუთარი ხელით თავის კაბის შეკერვა მეტად იოლა, რადგან პირველი შემთხვევა იყო.

— მაგდენს ხანს სად მოკალდით? — დაატანა ასმათმა. — ამ საღამოს ისევ შინ უნდა დავბრუნდეთ, ხომ ნათელა?...

— მე კაბის შეკერვა მინდა! — უპასუხა ნათელამ.

— მე რომ წამიყვანდ, მერე შენ უჩემოდ დარჩები აქ?

— ბეჩა. ეს იქნება მერე, ორი დღე რომ თავის ბიძისას დარჩეს? კაბას შეიკერავს და მერე მე თვითონ ჩამოგიყვან.

ასმათს. ცოტა არ იყოს. გულზე ეკლათ ეჩხვლიტა ეს ამბავი. იმას არ იამა, რომ ნათელა შინისაკენ აღარ იწევდა.

— შენმა სიცოცხლემ, ასმათო. ისე მოვუელი. აი, იმ ჩემს შვილზე უკეთ. თვალ-წინ არ მოვიცილებ; ღამით ჩემთან დავიწვენ. ფიქრი ნუ გაქვს ნათელასი, ისე გეგულებოდეს, როგორც შენ თავთან.

— ნათელა, არ წამოხვალ? — განუმეორა ასმათმა. ამ დროს თვითონ როსაფის ქალი გადაეხვია ქვრივს:

— ჩემო მამიდა, დაანარჩუნე ნათელა ორი-სამი დღე ჩვენთან; ერთად ვისწავლით ჭრა-კერვას. ამ ახალი კაბით გამოვაწყობთ და მერე ერთად გეწვევით.

— კარგი, გენაცვალე, იყოს. მერე მოეხვია ნათელას და დაეწყო გაშმაგებულმა კოცნა, თითქოს საუკუნოთ ეთხოვებოდა, თვალებში ცრემლი მოერია და ერთი კურცხალი ნათელას ლოყაზედაც დააღინა. ძმისწულიც თანაბრათ ჰკოცნიდა მამიდას და თან ანუგეშებდა:

— ჩემი ჯავრი ნუ გაქვს, მალე წამოვალ.

ასმათი წავიდა შინ მარტოდ-მარტო. მაგრამ ნათელას ჯავრი მაინც გულში ნაღვლათ ჩაიყოლა. გზაზე რაღაც გამოურკვეველი ზაფრა დააწვა გულზე.

— ჰე, დასწყევლოს ღმერთმა ჩვენი გაჩენის დღე! — წამოიძახა ბოლოს ასმათმა, როცა თავის ეზოში შემოდგა ფეხი: — არაფერი

მკვიდრი ამ სოფლათ არ არის. ვინ იცის. იქნებ. ნათელას აწ სულაც დავავიწყდე. ჩიტის ბახალაც ასეა. ფრთებს რომ შეისხამს. ბუდიდან გადაფრინდება და მწვანე ტყეში შეიმალება. მერე ბუდისკენ პირს ვეღარ აქნევინებ.

XIII.

ასმათმა ნათელა რამდენჯერმე მოიკითხა,მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზები მოუდვეს, ყმაწვილი არ გაუგზავნეს. ერთ საღამოს ასმათი საჯალაბო სახლში კერას მიფიცხებოდა და მოწყენილი იყო, ამ დროს ერთმა ოთარის ამხანაგმა აზნაურმა ფეხი შემოდგა საჯალაბო სახლში. ასმათს ძალიან იამა მისი დანახვა.

— უი, შენ გაგახარა ღმერთმა. როგორც მე შენი მოსვლა მიამა! რასა იქ, საიდან მოდიხარ?.. რა ღმერთი გაგიწყრათ. რომ ჩემს ნიადაგზე აღარ გაიჭაჭანეთ. მოგძულდათ განა ქვრივ-ოხერი?

— ღმერთს ნუ შეძულდი. ასმათ, შენ ჩვენ არ გვძულდე. ძაგრამ ხომ იცი, ჩვენი გვარის კაცის ამბავი. ხან აქეთ კლდეს უნდა ეეცეთ, ხან იქით, რომ მშიერი მგლებივით რასმე წავაწყდეთ. შინ რა შავი ქვა ვაკეთოთ? აქ არც არა გვიცხელდება-რა, არც არა გვიციცდება-რა. — ის დაჯდა სკამზე არხეინად და ჰკითხა ასმათს. — ახალი ამბავი არა გაგიგონია რა?

— როგორ, რა? — შეუტია ასმათმა: — მე რას გავიგონებდი. მუდამ შინ ვგდივარ. უნათელოთ თავი მკვდარი მგონია. ვუთელი და არ მიგზავნიან. მინდა. ხვალ წავიდე და წამოვიყვანო.

— გვიანლაა, შენ იმას აღარავინ დაგანებებს.

— როგორ თუ არავინ დამანებებს?

— ათხოვებენ.

— უი ჩემს თავს!..

— უი არა მაქვს მე... დღეის სწორს აქვთ ხადილი. — ასმათმა ერთი ასეთი იტკვლიცა, რომ გეგონებოდათ, ყბა მოექცაო.

— ვის აძლევენ?

— მზეხას ძმისწულს, ილიკოს.

— ის დღე რატომ ბნელად არ მექცა, ჩემი ნათელა რომ მე იმას საყდარში გავატანე. თუ ამის გულისთვის გამეგენ ფეხქვეშ ის არაწმინდები!... ბრიქა. დედა-შვილობას, ახლავე გაფრინდი, ჩემი ოთარი მომგვარე! აწ მე ვიცი. რასაც ვიზამ.

ასმათი გალომდა, მისი თვალები ბუდიდგან ამოვარდნას აპირებდენ. ის აზნაური მაშინვე გამოვარდა გარეთ და გაიქცა ოთარის მოსაყვანათ.

— როსაფის წინ უნდა დავიკლა დანით ჩემი თავი. უმალ ამ ჩემი სისხლით შევღებავ მის წვერებს, სანამდის ის ნათელას გამითხოვებდეს! — ქადაგებდა ასმათი თავისთვის. იმან ოდასა და საჯალაბო სახლს შუა დაიწყო რბენა... ძუ ლომს რომ ლეკვს მოპარვენ, იმასაც ასე სჭირს აქეთ-იქით რბენა და უმიზნოთ ხტომა, თითქოს სურდეს მტაცებელს ფეალში ჩაუდგესო, თუ მტერი შეხვდა ამ დროს იმას წინ, ყოველსავე დაფხრეწს.

გამდელი საჩეხში საქონელს უვლიდა. ის რომ საჯალაბო სახლში შემოვიდა, ასმათი კერას გარემო დათარეშობდა. გამდელს ძალიან გაუკვირდა მისი აღელვებული ბროტიალი.

— ქალბატონო, რა ამბავია, ცუდი ხომ ძრა შეგიტყვიათ-რა? — ასმათი შედგა და მსხვილი თვალები დააშტერა მოხუცებულს. ასე ეგონებოდა კაცს, ნახტომი უნდა ქმნას და დაფხრიწოსო.

— ქალბატონო დამშვიდდით! ეგ რა ამბავია? — კრძალვით განუმეორა გამდელმა.

— რა დროს დამშვიდებაა, დანა რომ გულზე დამცე, წვეთი სისხლი არ გამომივა!

— ბარემც ბძანეთ. ქალბატონო, თორემ შიშისაგან ლამის გადვირიო?

— რალა რა ამბავია, ჩემი ნათელა მომტაცეს!

— ნათელა აკი როსაფთან იყო, ვინ მოიტაცებდა?

— ათხოვებენ....

— ვის აძლევენ?

— ილიკოს, ჩემი რძლის ძმისწულს!

— ისემც კარგი დაგემართოს, კარგი ახალგაზდა ის იყოს!..

— ჩუმათ, ბებრუცუნა! თავი ხომ არ მოგძულებია?..

ეს უკანასკნელი სიტყვები ისეთი კილოთი წარმოსთქვა ასმათმა, რომ გამდელს შიშისაგან ენა ჩაუვარდა. მაგრამ გულში მაინც ასე ფიქრობდა:

—..რამ გადარია ეს ქალბატონი? იმისთანა ბიჭს, ახალგაზდას, მდიდარს, კარგს ოჯახის შვილს სხვას ვის იშოვნის ნათელასთვინ?"

ჩამოვარდა სიჩუმე.... ამ დროს ოთარი შემოვიდა. თან შემოჰყვა ამხანაგიც. ასმათი მივარდა ოთარს:

— მოდი, ჩემო შვილზე უტკბესო შვილო! შენ იყავი და შენ იქნები ყოველთვის ჩემი გაჭირების ტალკვესი. — ოთარი სრულებით არ ფიქრობდა ასე სიამით შეხვედრას. ის, მართალია მოდიოდა ასმათის სანახავათ, მაგრამ, ცოტა არ იყოს, კიდეც შიშობდა: რა ვუთხრა, რა პასუხი მივცე, როგორ ვიმართლო თავიო?.. იმ ღამეს რომ შემოწ-

ურა, მას აქეთ დედობილი საუკუნოთ დაკარგული ეგონა. ასმათის ალეგსიანმა სიტყვებმა ერთბაშათ მოხსნა ოთარს ზურგიდან მძიმე ტვირთი.

— წამოდით ჩემთან ოდაში, — წაუძღვა წინ ასმათი.

დღე და ღამე იყრებოდა. ვარსკვლავები ცაზე დაენთენ. თექვსმეტი წლის ქალწული ვერ აირბენდა ისე სწრაფათ, ასმათმა რომ კიბის საფეხურები შეიარა. ის დადგა აივანზე ორთავეს წინ.

— ოთარ, შენზეა დღეს ჩემი სიცოცხლე დამოკიდებული. დროს ნულარ კარგავთ. შენ ჩემი საჯდომი ცხენი შეიკაზმე. შენ, — მიუბრუნდა აზნაურს: — მეორე ცხენი. დილით უთენიათ მოჰკურცხლეთ ქართლისაკენ. მიიჭერით თანდილაანთსა და უთხარით: თუ შაფათს საღამოს არ მოსულხართ და ქალი არ მოგიტაცებიათ, კვირა დილას ქალს გაათხოვებენ-თქო. შაფათს ვახშმობისას ძირულის პირას უნდა იყონ. იქიდან უნდა დაადგენ გზას. ნელ-ნელა შემოუდგენ შემოღმართს ძირულის ჭალებზე. მეც ჩემი ნათელათი. იმ დროს იმ გზითვე წამოვალთ და დავეშვებით დაღმართზე. ქალს ხელში მივცემ და წაიყვანონ. მაგრამ წინ-და-წინ პარასკევს დილას ეს ჩემთან უნდა მოიკრას. — უჩვენა აზნაურზე: — ამან უნდა შემატყობინოს. მოდიან თუ არა?.. დანარჩენი მე ვიცი. აბა წადით ახლა შინ და მამლის ყიულზე გამოეწყვეთ.

იმ ღამეს ასმათს არ უძინია. მეორე დღეს ჩავარდა საწოლში და პარასკევამდის ლოგინი აღარ აუღია. ასმათი თავს იტკენდა მეტის-მეტად. გამდელი ქალბატონს აღარ მოცილებია. ის მალ-მალ ჩაჰკითხავდა. ან რა წამალი მოუხდებოდა. ან რა იამებოდა. მაგრამ ჭერივი კრინტს არ იღებდა... მხოლოდ ხან-და-ხან ეტყოდა ჭარხლის ფოთლების მოტანას. თავის ტკივილს შველისო. ამ სამს დღეში მას სამი ლუკმა პირში არ ჩაუდეეს. გათენდა პარასკევი. წირვის დროამდის აზნაურიც გაჩნდა. ასმათს გულზე ელხინა. მაშინვე წამოდგა ლოგინიდან და გამდელს უბძანა. ქათამი შეგვიწვიო. აზნაური შევიდა ასმათის ოთახში მხიარული სახით. ის მაშინვე მიხვდა. საქმე კარგათ იყო. მართლაც, აზნაურმა მოუტანა ამბავი: „ოთარი და თანდილაანნი შაფათს პირველს ძილზე ძირულის სერს ამოუდგებიანო თხუთმეტი ცხენოსნითა.“ ასმათს მეტი არა უნდოდა-რა. სახეზე გამხიარულდა. ისინი ერთად დანაყრდენ, ღვინოც კარგათ დალიეს. ასმათს გულზე მოეშვა. ჯანზე მოვიდა. ნახევარ საათს შემდეგ ცხენზე იჯდა და როსაფისას მიემგზავრებოდა. აზნაურიც თან იახლა.

XIV.

ჯერ ჭიშკარშიაც არ შესულიყო, მზეხათუნმა იცნო ასმათი ღ: ნათელას აცნობა მამიდას მოსვლა. ახალგაზდა ქალი უეცრად წამო-ვარდა ზეზე, და ხელ-საქნარი იქით მიაგდო. ცხენიდან ჩამოხტომაც ვერ მოასწრო ასმათმა, რომ ნათელა ყელზე ჩამოეკიდა. არც ათის წლის გაშორებული დედა-შვილი შეხვდებოდენ ერთმანეთს ასე აღ-ტაცებით. ნათელას მთელი თავისი სიყმაწვილე მოაგონდა ამ წუთას. მამიდას კალთაში გატარებული. „ჩემი მამიდა, ჩემი!..“ უალერსებდა ნათელა და თან ყოველ ნაწილს პირისახისას ცალკე უკოცნიდა. ასმათს სიხარულისაგან ცრემლები მოერია თვალებში.

— ნათელა, აქამდის რამ გაგაძლებინა აქ უჩემოთ? მაგას მო-ველოდი შენგან?

— მინდოდა წამოსვლა, მაგრამ შენგან კაცი არ მომივიდა.

— რამდენჯერ მოვწერე მზეხას...

— მე არც ერთი წერილი არ მინახავს. ახლა წავიდეთ. გადია რას შვრება?.. ჩემი თეთრი ქოჩორა ქათმები არ დაიზარდნენ?..

— კი, გენაცვალე, ყველანი კარგათ არიან.

მამიდა-ძმისწული მხიარულათ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ამოვი-დენ კიბეზე. აივანზე რძალ-მული ჩვეულებრივის სიყვარულით შეე-გებენ ერთმანეთს. ასმათი ისე გულ-ღიათ ექცეოდა თავის ძმას რო-საფს და მის ცოლს, რომ მთელი დღე ერთს ძარღვსაც არ აღმოუჩე-ნია მის პირის სახეზე. თუ რა განზრახვით მოვიდა ის თავის ძმის ოჯახში, არც ამათ შეუნიშნინებიათ-რა ქვრივისათვის. რომ მეორე ღღეს სიშნობას აპირებდენ. ნათელა სრულებით არას გრძნობდა. ის ახლა მხოლოდ შინ წასვლის ფიქრებში იყო გართული. ისწრაფოდა მალე ენახა თავისი ნაცნობი კუთხეები. გარეოდა მეზობლის ტოლ-ამხანაგებში. დილით გადიასთან ერთად დაეძახნა „ჯურრ!..“ თავის ქოჩორა ქათმებისათვის და მერე საუზმე მიერთმია. მისი ნორჩი ყმა-წვილური გამოხატულება სულ ამისთანა სურათებს დასტრიალებ-და გარს. იმ დღეს მამიდას გვერდით აღარ მოსცილებია.

არც როსაფს და არც მზეხას არაფრათ ეჭაშნიკა ნათელას ამ გვარი განაზება, მაგრამ ცდილობდენ ასმათისათვის არა შეენიშნე-ბინათ-რა. სადილის უკან ასმათმა აზნაური შინ დაითხოვა ცხენებიანა. მის ძმას ეს კიდეც იამა, ეგონა. ასმათი ნათელას წაყვანას მოინდომებ-და, ეშინოდა, გაძალების დროს რაიმე უსიამოვნება არ შემთხვეოდა. თუმცა ასმათის დარჩენა სასიამოვნოთ მიიღო ცოლ-ქმარმა, მაგრამ გულში დაფარული მაინც ვერ განუცხადეს.

ამასობაში ასმათი და ნათელა დარჩენ აივანზე მარტოდ-მარტო.

— შვილო, შენ სად წვები? — ჰკითხა მამიდამ ნათელას...

— მე ბიცოლასა და ჩემ ბიძაშვილს შუა ვწვები, მარა ამაღ.) შენ გვერდით მინდა დავწვე, — უთხრა ნათელამ.

— არა, შვილო, ისევ შენ ბიცოლას გვერდით დაწექი. მე რაც გითხრა, დამიჯერე. არავისთან გაამხილო. ბიცოლა შენს როდი უნდა შენი გაშვება, თუ ჩუმათ არ წაგიყვანე. ამაღამ ისევ ბიცოლასთან დაწექი და როცა ფეხზე ხელი მოგისვა, უცებ ჩამოძვერი ლოგინიდან. ბიცოლა არ გააღვიძო. ტანისამოსი რომ გაიძრო, ჩემსკენ დაალაგ). თვითონ მე ჩაგაცმევ. მერე ჩუმათ გავიაროთ კარი და წავიდეთ შინისაკენ.

— კარგი, მამიდა, ამაღამ სულ არ დამეძინება. ისე გამოვძვერები საბნიდან, რწყილმაც ვერ შეკბიტყოს.

— აგრე, შვილო.

ამ დროს კარებში გამოჩნდა მზეხათუნი. მამიდა-ძმისწულმა უცებ შესწყვიტეს საუბარი. მზეხას არა შეუმჩნევია-რა.

— უკაცრავათ, ჩემო მულო, რომ მარტო დაგტოვე. ოჯახის საქმეებისაგან მოცლა აღარ მაქვს. ხვალ სტუმრებს მოველი, ნათესავები მომბრელენ, ხომ იცი, თუ თვითონ არ გააკეთე ყველაფერი, მოჯამაგირე არას დაგეძებს.

— განა არ ვიცი, ჩემო რძალო, — უპასუხა ასმათმა: — ახლა იმისთანა დროა, თუ მოჯამაგირეებს ნიადაგ არ მიყვებ-მოყვები, არაფერი გაკეთდება. ერთი თხის მწყემსი მოჯამაგირე მყავს და იმისმა ქალმა თავში ტვინი ამომართვა. ორიოდე თხა მყავდა და იმ დღეს ერთი შენი მოწონებული დედალი თხა მგელს შეაჭამა თუ ვუთხარი რამე, ასე მეტყვის: ქალბატონო, თუ არ გინდებვარ, დამითხოვე. ანგარიში გამისწორე და შინ წავალო.. ორი კვალი ბოსტანი მქონდა. ისიც თხებს გადააკერეხინა. შენი მოძულებული მოვკვდე, ჩემო რძალო, თუ ახლა პრასის კვიჭიჭი ჩემს ბარობაზედ მოიძებნებოდეს.

— ჩემი მტერი ჩავარდა მოჯამაგირეების ხელში! — დასცა დასტური მზეხათუნმა.

თუმცა ასე გულ-მარტივათ სჯიდა ასმათი, მაგრამ მის ცოცხალთვალებს მაინც არა ეპარებოდა-რა. აი, საჯალაბოს წინ შეუბეს ხარები და ტომრებით დატვირთული ურემი გაგზავნეს წისქვილზე. აი, ერთმა კაცმა მოიყვანა უშობელი, როსაფმა დაათვალიერა, შეატყო მსუქანი იყო, და უბძანა, ბოსელში დაებათ. აი, ორი ბიჭი გამოვიდა საჯინიბოდან, ჩოხის კალთები შეიკეცეს და დაუწყეს ეზოს გვა. გამ-

დელმა ხელები დაიკაპიწა და დაუწყო გძელს ხის სუფრებს დადუღერა.

„ქორწილს ემზადებიან," — გაივლო გულში ასმათმა და ჩაიქრიტინა. — სეირი იქნება, სიძე რომ მოვა, დედოფალი აღარ დაუხვდება. წაგიხდა, ძმაო როსაფ, ყოველივე სიკეთე, როგორც შენ ხვალინდელი ქორწილი წაგიხდეს!

მზე ჩადიოდა, ჭიშკარში ორი ცხენოსანი კაცი შემოვიდა.

— უი, ჩემი ბიძაშვილი! — წამოიძახა მხიარულებით მზეხათუნმა და გასწია შესაგებებლათ.

— მამიდა, გავიქცეთ შინ, იმ კაცის დანახვა არ მინდა, — ნათელამ მაგრა მოსჭიდა ხელი ასმათს კაბაში.

— ნუ გეშინია, შვილო, ამაღამ გავიპარებით.

„ესენი ალბათ მექორწილენი და მაშვალნი არიან, — სთქვა გულში ასმათმა: — უნდათ შეიტყონ, მზათ არიან ხვალისათვის თუ არა. ითათბირეთ, მოგერთმევათ ჩემი ნათელა, როგორ არა!..

ერთი სტუმართაგანი საკვირველი მსხვილი და წარმოსადეგი აზნაური იყო, განიერი მხარბეჭით, წვერ მოპარსული, და შავათ შეღებილი ულვაშები კოკობათ ჰქონდა სახეზე დაყენებული.

— უი, მამიდა, რამ სისხო კაცია!.. დევსა ჰგავს! — საიდუმლოთ წასჩურჩულა ნათელამ ასმათს.

— ჩვენ თუ ამაღამ არ გავიპარეთ, მაგ კაცს გაგატნევენ და ვინღაც დიდ წვერ-ულვაშებიანს მიგათხოვებენ, — ჩაულაპარაკა ასმათმა.

ნათელა შიშისაგან აკანკალდა.

ამ დროს მსხვილი კაცი მზეხათუნთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ამოვიდენ კიბეზე. მზეხას ბიძაშვილი, თავით ფეხებამდის შეიარაღებული, დარბაისლურათ მიესალმა ასმათსა. ნათელამ თავი ჩაღუნა; სუტუტი სქელი თმა სახეზე მობურდნოდა, ხელი ასმათის კაბაში ჩაევლო, თითქოს შიშობდა, იმ დევმა არ მომიტაცოსო. ასმათი მხიარული სახით გამოელაპარაკა იმ მსხვილს კაცს, ის-კი მისჩერებოდა ნათელას, უნდოდა მისი სახე დაენახა. ნათელამ თითქო იგრძნოვო მსხვილი კაცის განზრახვა, კიდევ უფრო ჩაქინდრა ძირს თავი.

— ნათელა, როგორ დაირცხვინე? აიღე ზევით თავი, ბავშო-კი აღარა ხარ. თორმეტი წლის გასათხოვარი ქალი ხარ. შენი ბიცოლა ჯომ გიყვარდა, რატომ აღარ მეკარები? მამიდა მოგვიდა და მიღალატე განა?.. — მოუალერსა მზეხათუნმა. ის მივიდა, ნათელას შუბლზე აკოცა, უნდოდა თავისკენ წაეყვანა, მაგრამ ქალი მამიდას კაბას მაგრა ჩაფრენოდა.

— დარცხვენილია უცხო კაცთან, — მოუბოდიშა ასმათმა. — ნათელა, როგორ სოფლის გოგოსავით ირჯები, რას ჩაგიღუნავს თავი? — ვითომ წყრომით უთხრა ასმათმა. მერე წამოდგა და ოთახში შეავლა. ნათელაც თან გაჰყვა.

მზეხამ სიცილით უთხრა ბიძაშვილს:

— ჯერ არა გვითქვამს-რა ნათელასთვის, არც ასმათისათვის გაგვიმხელია. მაგრამ, ვინ იცის. იქნებ იციან. ჩვენ დროს რომ თექვსმეტის წლისას ესმოდა. ახლა აკვნის ბავშს ესმის იმდენი.

— ისე დარცხვენილია, რომ სწორეთ შეტყობილი უნდა ქონდეს ნათელას, — დაჰკრა კვერი სიცილით მსხვილმა კაცმა.

დაღამდა. როსაფმა და ახალ მოსულმა სტუმრებმა ცალკე ოთახში შეიკეტეს კარები. „ალბათ ქორწილის რიგს აწყობენო", ფიქრობდა ასმათი. მზეხა საჯალაბო სახლში დატრიალებდა. მისი ქალიც მასთან იყო. დარჩენ ასმათი და ნათელა მარტო. ქვრივმა იფიქრა: „მართალია, ამაღამ ნათელას გავაპარებ, მაგრამ მალე რომ გაგვიგონ, უსაცილოთ დაგვეწევიანო". არ იცოდა, რა მოეგვარებინა. უეცრად ერთმა მოხერხებულმა აზრმა გაუელვა: „მოდი, ცხენების უნაგრებს და აღვირებს გადავმალავ. სანამდის მონახავდენ, ჩვენ ბინაზე მივალთო".

ეზოს გადაღმა მზეხათუნს ბოსტანი ჰქონდა შერაგვული. იქ, კვლების პირად, ღობის გაყოლება, მაღალი შამბნარი ჩაუდიოდა.

ასმათი შევარდა კარ-დაფერილს სალაროში, გამოიტანა ყველა უნაგრები სათითოვოთ და ღობეს გადაღმა შამბნარში ჩაამწკრივა ოთხი უნაგერი თავის აღვირებიანა.

ვახშამზე როსაფმა ჩვეულებრივათ მოულხინა თავის სტუმრებს. იმათაც კარგათ ასვა, თვითონაც შექეიფიანდა, სიმღერებიც თან მოაყოლეს. მერე როცა მოსასვენებლად წავიდ-წამოვიდნენ, შუაღამე შეიქმნა.

შინაურები როსაფის საწოლს ოთახში ტახტზე ჩამორიგდენ. ნათელა გაჯიუტდა, აღარ წვებოდა. მზეხა ეფერებოდა, რას არ პირდებოდა, ნათელას მაინც არ უნდოდა ბიცოლასთან დაწოლა.

— დაწექი, გენაცვალე, ბიცოლა შენთან, — არიგებდა ასმათი. — მეც, აი, აგერ მივწვები, ხელი მაინც შენთან მექნება. ჩემსა და შენ შუა მარტო შენი ბიძაშვილი იწოლება. ერთად ვიქნებით. — რითაც იქნა დაითანხმეს ნათელა. იმან გაიძრო ტანსაცმელი და შეგორდა მზეხას ლოგინში. ბიცოლამ მოუქალაჩუნა და ხელებს წელზე სდებდა. ნათელა სცდილობდა ბიცოლას ხელები იქით წაელო. ახლა მისი ალერსი აღარაფრად ეპრიანებოდა.

— კარგი, გენაცვალე, თუ არ გიამება, აღარ მოგეხვევი. მშიდობით, ძილი ნებისა! — უთხრა მზეხათუნმა, გადაბრუნდა და ცოტა ხანს

იქით ხერინვა ამოუშვა. ყველამ დაიძინა, ვინც ამ ოთახში იწვა. მხოლოდ ნათელას და ასმათს ლული არ მოჰკიდებიათ ბიქების ფეხის ხმაც მიწყნარდა. ასმათი გაინაბა, მაგრამ გარეთ ხიდან ფოთლის ჩამოვარდნაც არ ეპარებოდა. ცოტა ხანს კიდევ ასე იყო გაჩუმებული. მერე ხელი გადააპარა ნათელას. ის მაშინვე რწყილივით ჩაძვრა ლოგინიდან, ასმათმა ლანდზე ჩააცვა და მამიდა ძმის-წული ფეხ-აკრეფით გამოილალენ ოთახიდან.

XV.

შუაღამე გადასული იყო. ცა ვარსკვლავებით მოიქედა. მათი კრიალი ბნელს ღამეს ციაგსა სცემდა. გზა კარგათ იხედებოდა. სასწორი — სამი ვარსკვლავი — გადაწეული იყო, ხომლი ცის გუმბათს გადაცილებოდა. იერუსალიმის გზა რძის ნაკადულად სდიოდა ჩრდილოეთით სამხრეთისაკენ.

— შეხედე, შვილო, ცა როგორ მოქარგულა და ბრწყინვალეთ მორთულა! აი, ეგერ, პაწია მშვენიერი ვარსკვლავი რომ მოკიაფობს, იმას კუროს თვალი ჰქვია. ის არის შენი ვარსკვლავი, შენი ბედი. იერუსალიმის გზის პირს დასდგომია, ის შენსკენ მოეშურება ნათლად გატკეცილის გზითა. ჩვენც იმისკენ გვაქვს გზა, იმას უნდა შევეყაროთ. მისი საეტლო ძირს ძირულის პირათ ჩვენსკენ მოისწრაფის პირ-ტიტ-ველა, შენსავით თმა ხუჭუჭა ბიჭი. ის პაწია ბუცუცა კოკრებში ჩაგიყოფს ხელს და გაკოცებს. აბა, მაჩვენე, გენაცვალე, შენი გულ-მკერდი. ამ სიტყვებით ასმათმა ნათელას ჩაუყო ხელი უბეში და ჩაჰკოცნა. მართლაც ამ დროს ნათელას გულში იელვა რაღაც სიყვარულის შუქმა. ამის შემდეგ ის გულ-ღიად დაადგა თავის ბედის წერის გზას და წინ მიისწრაფოდა.

— მამიდა, ჩქარა გავსწიოთ, თორემ, რომ გამოიღვიძონ, მოგვეწევიან.

— გავსწიოთ, გავსწიოთ!.. იმათ გადაირბინეს ეზო და დაადგენ დაღმართს. ძაღლები დაედევნენ წკმუტუნით. ახლოს რომ მივარდენ, იცნეს ასმათი და ნათელა; იმათ გალოკეს მამიდა-ძმისწული და ჩამოცილდენ. შემდეგ ამათ იარეს ასე აჩქარებით კარგა მანძილზე ხმა გაკმენდილი. ნათელა წამის-წამ შესცქეროდა ცაზე მოკიაფე პაწია ვარსკვლავსა. ის უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ვარსკვლავი მისკენ მიისწრაფოდა. მას თითქმის იმ წუთას ჩაუვარდა გულში პირ-ტიტ-ველა ვაჟის სიყვარული.

— ხომ არ დაიღალე, ჩემო კურდღლის ბოცვერო? — ჰკითხა. ასმათმა.

— არა, მამიდა, გავუჩქაროთ, მალე მივიდეთ.

— მალე, მალე იქნება ყოველიფერი.

— ვინ მოდის? — უცებ მოისმა ბოხი ხმა უმთვარო ღამეში.

ნათელა შეკრთა, დაიხია უკან და გაეხვა ასმათის კალთაში.

— ნუ გეშინიან, გენაცვალე, ისინი სოფლის გზირები არიან.

— ვინ ხართ, ამ დროს რომ მოდიხართ? — კიდევ მოისმა წყროშის ხმა.

— ვინ ვიქნებით? ქალები ვართ, ზურუკეთლები. ყანაში ვიყავით და დაგვაგვიანდა, — უპასუხა მხნეთ ასმათმა.

გზირები დაუახლოვდენ. ერთი მათგანი სოფლის ხელოსანი იყო. ასმათის ნაცნობი. მეორე ღამეში ასმათმა ვერ იცნო. ამოიღო საჩქაროთ სამ მანეთიანი, უჩვენა ხელში და უთხრა:

— ჩუმათ იყავი, ნურავის ეტყვი, თუ ჩვენ გვნახე.

გზირებმა გაუშვეს მამიდა-ძმისწული, ისინი დაეშვენ საჩქაროთ დაღმართზე. მეორე გზირი ყოფილიყო, როსაფის ნაყმევი. იმან იცნო ასმათი და ნათელა. მაშინვე მიხვდა, გამოპარული იქნებიანო, გაექანა და როგორც მიუახლოვდა, მორთო როსაფის ეზოსკენ ყვირილი: „არიქა, ქალი გააპარეს, ქალიო!" ძაღლებმა შეჰქნეს გაბრაზებული ყეფა, გამოვარდა მოურავი და შესძახა:

— ვინ ხარ, მაგ ღამეში რომ ყვირი?

— ნათელა მოიტაცა ასმათმა.

— როგორ თუ ნათელა? — გაოცებით შესძახა მოურავმა.

— აი, ამ წამს შეგვხვდენ ისინი ძირულის დაღმართზე. — მოურავი შევარდა როსაფის საწოლს ოთახში, საცა კარები დაფელილი იყო და, როგორც შეეძლო, ისე დაიყვირა:

— ბატონო, ნათელა გააპარეს.

როსაფი წამოვარდა ფშენეტით.

— რაო, კაცო, რას ამბობ?

— ნათელა გააპარეს, ნათელა!..

როსაფმა ჰკრა ჯლინქი მზეხას.

— ქალო, ნათელა რა უყავი?

— ჰა!.. ჰა!..—წამოიკრინა მზეხათუნმა. ძილისაგან გაბურბუსალებულმა მოუსვა ხელი თავის ქალს, რომელიც ძილში დედას გვერდით მიგორებოდა:

— ბეჩა, რამ გაგაგიჟათ, აგერ არის, აგერ.

აანთეს სანთელი, გადახადეს საბანი, ნახეს... რაღას ნახავს მათი თვალები: აღარც ასმათი იყო, აღარც ნათელა. მათ მაგიერათ მხოლოდ მათი ქალი შერჩათ ხელში.

— არიქა, ცხენები! — დაიყვირა როსაფმა. ყველანი წამოცვინ-დენ: სტუმარი და მასპინძელი. გამოიყვანეს საჩქაროთ ცხენები, მერე შეევარდენ სალაროში!.. სადღაა ან უნაგირები, ან აღვირები!.. ვინ ეზო-ში დაეძებდა, ვინ ბეღელში, ვინ ბოსელში და საჯალაბო სახლში, ვერ ნახეს და ვერა.

— არიქა, ბოსტანიც დაათვალიერეთ! — შეჰყვირა ბიქებს რო-საფმა. ბიქები გადაეშვენ ბოსტანში და ერთმა მათგანმა შამბში წა-მოჰკრა ფეხი უნაგირს.

— აგერ არის, აგერ!.. — დაიყვირა ბიქმა.

დაკაზმეს ცხენები. ყველაზე უმალ მზეხას ბიძაშვილი მოახტა ცხენს და როსაფს შეჰყვირა:

— მე წინ გავსწევ, შენ უკან მომდიე შენი ხლებულებით დიდ შარაზე. მეზობლებს გადაძახეთ, იქნება ერთი ხუთიოდე ცხენო-სანი კიდევ გამოიყოლიოთ.

მზეხას ბიძაშვილს კურდღელივით კვალიც არ დაემალებოდა ზურუკეთის ახლო-მახლო. იმან იცოდა ერთი ბილიკი, მეტად ფრია-ლო და ჩაკიბული. ის იყო მარდი ცხენოსანი და თვითონ ცხენიც ნაჩვევი ჰყავდა კლდეების ღადა-ღუდაში თრევასა. ის დაადგა იმ ბი-ლიკს, იქნება ან ასმათს თავი დავურბინო, ან ცხენოსნებს დავეწიო, რომელთაც ქალი მიჰყავთო.

მზეხას ბიძაშვილი ერთ ლანდზე ჩავარდა ძირულის პირას და დაადგა შარა გზას, რომელიც ქართლის გზატკეცილზე გადიოდა. ცოტა კიდევ წინ წაიარა. უეცრად მოესმა ცხენების ფეხის ხმა. კარ-გათ ვერ შეიტყო, ქვეიდან მოდიოდა ცხენების ფეხის ბაკუნი თუ ზე-ვიდან. გადმოხტა ცხენიდან, დაადვა ყური დედამიწას და დარწმუნდა, რომ ფეხის ხმა ქართლის გზატკეცილით მოდიოდა. მან გადასწყვიტა, ასმათი და ნათელა ჯერ კიდევ უკან არიანო, გამოაბრუნა ცხენი და შემოუდგა ალმართსა. ცოტა ხანს შემდეგ შენიშნა, რომ რაღაც ლან-დივით გამოჩნდა ზევიდან მომავალი, წინ დიდ ლანდს პაწია მოუხტო-და. „თუ არიან, ესენი უნდა იყონო“, იფიქრა გულში და წამოუჩქარა.

რაკი ასმათმა დაინახა ცხენოსანი, ღამეში მისკენ მინავალი. იამა. „ეს უსათუოდ ოთარი უნდა იყოსო, წინდაწინ მოდის ნათელას წასა-ყვანათო.“ ქალს უთხრა:

— შვილო, ნუ გეშინია, ეს ჩვენი ოთარია, შეუჯექი ცხენის ტახტაზე. — ნათელა მზათ იყო გასაყოლათ. — ოთარ, შენ ხარ? — ჰკითხა მზეხას ბიძაშვილს ასმათმა. იმან პასუხის მაგიერათ ხელები გადმოუწვდინა, ნათელა ცხენზე აიტაცა, ასმათიც მოეხმარა. შემდეგ დაჰკრა მათრახი ცხენს და ოთხ-ამოღებით შეღმართში შეარბენინა.

ასმათი გაშტერდა. „თუ ოთარი იყო, ზევით რა უნდოდათ?..“ უეცრად მოისმა ჟივილ-კივილი და ცხენების თქრიალი.

— ვერ წაგვიხვალთ, ვერა! — მოისმა როსაფის რიხიანი ხმა.

ამ დროს მოვარდა ქვედა გზიდან ოთარი.

— ასმათო, ქალი რა უყავი?

— შენ აკი მოგეცი?..

— რას გაგიჟებულხარ! მე სად მომეცი?.. ეს არის მე ახლა მოვ-დივარ ქვეიდან. უკან თუთხმეტი ცხენოსანი თანდილაანთი მომდევენ.

— ვაი ჩემს უბედურებას! — იტკვლიცა ასმათმა თავში ხელი. — სწორეთ იმ წყეულებმა წაგვართვეს ნათელა!..

ზევიდან ხმაურობა უფრო და უფრო გაძლიერდა. გავარდა თო-ფი... ერთი.. ორი.. სამი.. ოთარმა იფიქრა, აქ დგომა აღარ ვარგაო, გააბრუნა ცხენი და მოკურცხლა ისევ ქვეითკენ. თანდილაანთი დარ-წმუნდენ, რომ საქმე წაგებული იყო, გააბრუნეს და დაეშვენ ძირულის მდინარის დაღმა, ამ დროს მოვარდა როსაფი. იმას გზის პირად ქალი დაუხვდა, რომლის კბილებსაც მეტი შიშისაგან წაკა-წუკი გაჰქონდა. როსაფმა იცნო ასმათი და ერთი თუ ორი უშიშელა მათრახი.

— უი!.. უი!.. უი!.. მოვკვდი!.. — იკივლა ასმათმა და იქვე მუხ-ლები ჩაეკეცა.

— ეგეც შენი ჯილდო, ჩემო დაია! — დაცინვით უთხრა რო-საფმა: — წადი ახლა და გამოუდექი შენს ნათელას. ჩემმა ცოლის ბი-ძაშვილმა მოგტაცა. ბრაწი შენს საქმეს!

— ვაიმე, ვაიმე! — გულ-გახეთქილმა წამოიკრინა ასმათმა.

როსაფს და მის ხლებულებს იქ აღარ მოუცდიათ. რაკი გული არ-ხეინად ეგულებოდათ, ჰკრეს ქუსლი ცხენებს და გაუდგნენ შინისკენ.

XVI.

მეოთხე დღეს ოთარი იახლა ასმათს და ჩავიდენ ქუთაისს. ქერიე-მა ერთი არზა ღუბერნატორს მიართვა, მეორე — პროკურორს, მესა-მე — ეპისკოპოსს. ყველა არზებში ერთნაირი საჩივარი იყო განცხა-დებული: თორმეტის წლის ქალი, მცირე-წლოვანი ობოლი, მისი ძმისწული, მოიტაცა ბიჭია გოგორიშვილმა და თავის შვილზე ჯვარი დასწერაო. ეპისკოპოსის არზაში, სხვათა შორის, ამასაც ითხოვდა ქვრივი, რომ ის მღვდელი გაეპარსათ, რომელმაც ჯვარი დასწერა. ახლათ-ახლავე განაშორონ ქალი და ისევ მე ჩამაბაროონ, მის ჭირისუ-ფალს და გამზდელსო. ეპისკოპოსი თვითონ ინახულა, მაგრამ მან ესე უთხრა:

— დედაკაცო. წადი შინ და მოუცადე განკარგულებას, მღდელი ვერ გაბედავდა უწლოვანის ჯვარის დაწერას.

— როგორ არა, შენი მუხლის ქირიმე, ჯვარი დაუწერიათ, მე ეს ნამდვილათ ვიცი. გევედრები, წმინდა მამაო, მოიღოთ განკარგულება, განაშოროთ და ქალი ისევ მე ჩამაბაროთ. — დაუჩოქა ასმათმა ტირილით.

— ეგ ჩემი საქმე არ არის. — — — — — —

— აბა, რა ვქნა? თავს მოვიკლავ, ჩემო ხელმწიფევ!

— წადი, წადი, მე შევიტყობ ყოველისფერს.

— ჩემი აქედან წასვლა მოუხერხებელია, სანამდის კმაყოფილებას არ მივიღებ.

— რას ჩივი, შე უბედურო, რაც არ გესმის? წადი!

— დამარიგე, ჩემო ხელმწიფევ

— დედაკაცო, მე შენ გატყობ, ავი უნდა იყო!

— არა, ჩემო ბატონო, ავს რა მიგავს, მაგრამ უსამართლობამ გამაბოროტა.

— წადი, ნუ დადიხარ აგრე წარამარა! ოჯახს გაუფრთხილდი.

— ღმერთმა მაგისთანა ნუგეში ნუ დაგილიოსთ! — წამოვარდა ზეზე ასმათი გაბრაზებული.

— გაიყვანეთ აქედან! — უბრძანა მრისხანეთ მთავარ-დიაკონს ეპისკოპოსმა: — ვინ ყოფილა ეგ ბოროტი დედაკაცი, მაგისთანა შეუგნებელი! — გატრიალდა უცებ და შევარდა თავის სამლოცველო ოთახში.

— მთავარ-დიაკონმა თითქმის ჯიგლიგით გაიყვანა ასმათი დერეფანში.

— ღვდელო. როგორ უზრდელათ ირჯები? ღმერთმა მაგიერი ნუგეში მოგაგოთ! მაინც არ დაგეყრებათ თქვენ ხეირი! — წყევლა-კრულვით გაშორდა ეპისკოპოსის სასახლეს ასმათი.

XVII.

ორ კვირას შემდეგ უეზდის მმართველმა გამოგზავნა პრისტავი გოგორიშვილებში, მაგრამ ქალის მოტაცების ნამდვილი ამბავი ვერა შეიტყო-რა. როსაფი, როგორც აპეკუნი, ამბობდა:

— ქალი ჩემთან არის. მე ვარ მისი ბიძა და მზურნველი, ვის რა დავა აქვს! თუ მე არ ვჩივი, ჩემს დას რა აჩივლებს!

პრისტავი გადვიდა ასმათთან. მან დაწვრილებით უამბო ყოველიფერი, თუ ქალი რა რიგათ მოსტაცეს მას გოგორიშვილებმა, ან

აპეკუნი როსაფი, მისი ძმა, რა მონაწილეობას იღებდა უწლოვანის ქალის გაყიდვაში.

— ეგ, ბატონო პრისტავო, სულ როსაფის საქმეა. იმან გააწყალა ობლის ადგილ-მამული. ნახევარზე მეტი გაყიდული და შეჭმული აქვს. რომ არა მოდებოდა-რა, თავის ცოლის ძმისწულზე გადაწერა ჯერარი. პირობა აქვთ ერთმანეთში დადებული: თუ როსაფი მოუხერხებდა ობლის მითხოვებას, ის აღარასფერს გამოედავებოდა, აღარც განაყიდს და აღარც მითვისებულს ობლის ქონებიდან.

— ქალი სად არის ახლა? — ჰკითხა პრისტავმა.

გოგირიშვილისას ჰყავთ დამალული. ღედელს მცირე წლოვანობის გამო ჯერარი არ დაუწერია.

— რატომ ქალი აპეკუნისას არ არის?

— არ დადგება მასთან, ჩემო ხელმწიფევ, ჭირივითა სძულს, მაშინვე ჩემთან გამოიქცევა. კიდეც იმიტომ გადამიხვეწეს ის ჩემი ერთად-ერთი ცხოვრება და თვალის სინათლე, გამიფუჭეს, ლაფი დამისხეს ჩემს ნათელას. გევედრები, ბატონო პრისტავო, მიშველე, მიიღე ყოველგვარი ზომა სახლი დაუჩხრიკე გოგირიშვილებს.

— კარგი, ბატონო. რაც მთავრობისაგან მაქვს მონდობილი, ყოველსავე კანონისამებრ ავასრულებ.

პრისტავმა ესე ყოველივე წინდაწინი გამოძიება დასწერა, შეადგინა პროტოკოლი და გადასცა გამომძიებელს. ჯერ-ჯერობით ამითაც გათავდა საქმე.

იმ ღამის შემდეგ ნათელა სამ დღეს არ გამორკვეულა. იმას ეგონა, როგორც ასმათმა დაარიგა, თავის თავი პატარა საქმროსას, მაგრამ ძალიან უკვირდა, რომ ვისი ნახვაც ენატრებოდა აქამდისინ არსად ჩნდებოდა. მოტაცების მეორე დღეს ნათელას შუადღემდის არ გამოღვიძებია. წინა ღამეს საშინლათ დაღალულიყო. ნაშუადღევს ნათელა ადგა და მიიხედ-მოიხედა: სულ უცხო პირები დაუხვედა სადგომში. ელა მას ესიყვარულებოდა, ეფერებოდა. ხელ-პირი დაბანეს, ჩააცვეს აქ იმას ახალი გადია დაუსვდა. რომელიც წამისწამ თავს ეელებოდა. ყოველნაირი საჭმელი მოუტანეს, რაც რომ ესიამოვნებოდა. საუზმე რომ გაათავა, შემოვიდა მზეხა თავის ქალით, რომლის ნახვა ნათელას ბევრად იამა. ცოტა ხანს იქით ილიკოც შემოვიდა. ამისმა ნახვამ ნათელა კიდევ უფრო გააშხიარულა. იმ წუთს იმან ისევ თავისიანებში იგრძნო თავი და სულით დამშვიდდა. პირველ ორ დღეს ასმათი არ მოუსაკლისებია, მით უფრო, რომ დარწმუნებული იყო, ასმათი შინ უნდა დარჩენილიყო, რადგან თავისი თავი თანდილაანთსა ეგონა. „ამამიდა

მოვა, თან საქმროს მოიყვანს და ჯვარს მაშინ დავიწერთო!“ — ფიქრობდა გულში ნათელა. იმის გარშემო მყოფნი არას უმხელდენ. მხოლოდ ეს იყო მისთვის გასაკვირველი, რომ მზეხა და იმისი ქალი იმ ოჯახს არ სცილდებოდენ. როსაფიც ხან სადილათ გადმოიელიდა, ხას ვახშმათ ღარჩებოდა.. ნათელას ერთი ვერ წარმოედგინა: „ეს რა ამბავია! მამიდამ ბიძის ოჯახიდან გამაპარა და მაშ ესენი აქ რათ უნდა იყვენო?.. რატომ სულ წყევლა-კრულვით არ იხსენებენ მამიდას?. რა ამბავია, რომ ესენიც ისე მხიარულნი არიან, როგორც თვითონ მამიდა იქნებოდა, აქ რომ ყოფილიყოვო?..“ ის როგორ წარმოიდგენდა. თუ ილიკო მისი ქმარი უნდა ყოფილიყო... მას აქეთ, რაც ილიკო პირველად საყდარზე გაჰყვა ნათელას, როგორც ძმას, ისე უყურებდა და მისი ნახვა ყოველთვის სასიამოვნოდ უჩნდა.
თვითონ ილიკოს მისი სიყვარული ღრმათ ჰქონდა გულში ჩავარდნილი, ხშირად იყო მასთან და მუდამ თვალ-წარბში შეჰყურებდა, რომ რამე ესიამოვნებინა. ჯვარის წერის მოახლოვებას წამობით ითელიდა. არავინ იცის, რანაირად მოხდა, მაგრამ ბოლოს ნათელამ მაინც შეიტყო ამ ოჯახის ვინაობა, თუ როგორ მოჰპარეს ასმათს ის უმთავრო ღამეში და იმის მაგიერათ, რომ თავის ვარსკვლავს შეხვედროდა, ისევ უკან მოაბრუნეს და ილიკოს მამის ოჯახში დააბინავეს. ეს ამბავი რომ ნათელამ ბეჯითად შეიტყო, შემდეგ აიტეხა, მამიდასთან წამიყვანეთო. ხან-და-ხან კიდეც ტიროდა, მაგრამ ილიკოს ოჯახობა არას ზოგავდა, რომ ნათელა რამენაირათ გაერთოთ და მამიდას უყოლობა გვერდით არ დასჩნეოდა. ბოლოს მაინც ნათელა შეურიგდა თავის მდგომარეობას. თუმცა ის ალარც ტიროდა, კიდეც თამაშობდა და საქმიანობდა თავის ბიძაშვილთან ერთად, მაგრამ მისი გული მას შემდეგ ველარ მოლბა ამ ოჯახისთვის. მას აქეთ, რაც ის შეიტყო, რომ ასმათს წაართვეს მისი თავი ძირულის ხეობაში, ამ ოჯახს უცხოთ უყურებდა.

XVIII

ბიჭია გოგორიშვილი ძალიან დააფიქრიანა ასმათის საჩივრებმა. სამართლის კარი თავის დღეში არ გამოეცადა, რა იყო. და ყოველ საჩივრის საქმეს სიკვდილსავით უფრთხოდა. ნათელას მოტაცების საქმე რომ აღძრულიყო და ის სასამართლოში დაებარებინათ, ეს მისთვის დანით ყელის გამოჭრა იქნებოდა. ამ საქმის ჩაქრობის გულისთვის ის არაფერს დაიშურებდა, არც ფულს, არც ჯაფას, არც ზარალს. იმან გაუგზავნა ოთარს ბიჭის ხელით სამი თუმანი და სთხოვა ასმათის გულის მონადირება. ოთარი გადავიდა ბიჭია გოგორიშვილისას, ძა-

ლიან ქეიფიც გაატარა, ბოლოს წამოიღო ასმათთან გამოტანებული წიგნი და დაბრუნდა.

„უგულითადესო დაო ასმათ, — სწერდა ბიჭია: — ღმერთმა ხომ იცის, მე თქვენთვის არა დამიშავებია-რა. თქვენ რომ ძმასთან მტრობა გქონდესთ, მე რა შუაში ვიყო. მართალია, თანდილაანთ ეკატერინეთვის გინდოდათ ნათელას მითხოვება. მაგრამ ამ ჩემს ილიკოს რათი დაიწუნებთ? ჩემი ილიკო თვალ-ტანათ ცხრას სჯობია მისთანას. გვარისშვილობა იმას ჩემზე უკეთესი არა აქვს. თვითონ მოგეხსენებათ, ზემო ქართლში ერთის კვირის გამომცხვარის პურითა და მახოხით რჩებიან. ღვინო ვინ მისცათ. მე შენს ნათელას ცხელ საქმელსა და მწვანის ღვინოს არ გამოვულევ. რაიცა შეეხება ჩაცმა-დახურვასა და საზოგადოებაში გამოყვანას. შენი ნათელა ქართველ ტეტია ქალებზე ერთი-ათად უკეთ მორთული იქნება. მობძანდით ჩემს ოჯახში. გაგვიცანით, თუ ჩვენი მოყვრობა დაგიჯდეს. ხომ კარგი, თუ არა-და, ჩვენ რა ძალა გვაქვს თქვენს ნათელაზე. მე როსაფმა მომიყვანა-შინ თქვენი ძმისწული. ძალას მატანდა, ახლაე ჯვარი დასწერეო თქვენს შვილზე, მაგრამ მე არ ვქენი; ერთი, რომ თქვენი ნება არ იყო. მეორე, რომ ჩემს შვილს მცირეწლოვანს ქალს არ შევრთავდი. რადგან არ მინდოდა, სამსჯავროთ საქმე გამხდომოდა და სამართალში ჩაებმულიყავი. თუ ჩემი მოყვრობა არ გენებებათ, კარგს მეზობლობას მაინც რას მემართლებით? თქვენს ჩემს ოჯახში მობრძანებას ისე მივიღებ. თითქოს საქართველოს დედოფალი მწვეოდეს. თუ მოყვრათ არ მიკადრებთ, თქვენი ქალი მაინც წაიყვანეთ. ამას უთქვენოთ ემძიმება აქ ყოფნა. თუმცა, ღმერთია გულთა მხილველი. ისე გვყავს დაცული და შენახული, როგორც მზეთუნახავი. თქვენ გინებებიათ ჩემზე სამსჯავრო საქმის შეყენება. რა საჭირო იყო?.. ცოლ-ქმრობა ნებაყოფლობით უნდა, ძალ დატანებით რა შნო ექნება. თქვენი ძმისწული რძლათ მიტომ უფრო მენატრება, რომ თქვენი გაზდილია. მაგის ადგილ-მამული მე არ მეხარბება. ის არ გვქონია, მაგრამ არავის უარესათ არ გახლავართ ოჯახში. ნეტავი-კი ელირსებოდეს თქვენი ნახვა ჩემს ოჯახს, თორემ მარტო თქვენ პირის სანახავათ სამოცი თუმანი სულ ცინცხალი მანათები მაქვს პარკში გამოკრული. მაგრამ ეს-კია. რომ რაკი ერთხელვე დავმოყვრდებით, ყოველივე დავა და საჩივრები ჩვენ შორის უნდა მოისპოს. ნათელა მეთოთხმეტეში გადადგა და თუ თქვენი სურვილი იქნება, ჩვენც მზათ ვართ ქორწილისათვის. მე მხოლოდ მაშინ გავხდები ბედნიერი, როცა თქვენი ანდამატის თვალები სიუხვის სხივს მოჰფენს ჩემს ოჯახს. თქვენი უმდაბლესად მორჩილი მოსამსახურე ბიჭია გოგორიშვილი.“

ოთარს ყოვლად შეწუხებული და უნუგეშო მდგომარეობაში დაუხვდა ასმათი. ქმრის სიკვდილს შემდეგ მას ამისთანა ავი არა გადაწყვეტია-რა. სამი თვე მეტი გავიდა მას აქეთ, რაც ნათელა მოსტაცეს. ეს მკვრივი, ლონიერი დედაკაცი სანთელივით ჩამომდნარიყო. ქვლისა და ტყავის მეტი აღარა იყო-რა. თავი ჩაქინდრა და წელში მოხრილიყო. ხენეშისა და ვაების მეტი პირიდან არა ამოსდიოდა-რა. ოთარის მოსვლამ ასმათი კიდევ უფრო მოაწყინა. მის უწინდელს დარდს ესეც დაერთო, რომ ოთარის ცოლისთვის ხელში მიეცათ ბრალდების ოქმი (обвинительный акт) ოთარის გადასაცემათ. მას მკვლელობის გულისთვის ციმბირს უწყვეტდენ. მისმა ცოლმა მწარეთ იმოთქმა. ოთარმა არა იცოდა-რა, რადგან ჯერ შინ არ მოსულიყო. იმან გადასცა თავის დედობილს გოგორიშვილის წიგნი.

ასმათმა გადიკითხა და წამოიძახა:

— მანამდის არ ადგა მათი გვერდები, სანამდის მათ ოჯახში არ შევიდე.

— ახლა მაინცა და მაინც ნურც შენ გადიქაჩები. ის შენი თანდილაანი გამოფშუტურებულნი ყოფილან. ცეცხლი არ უნთიათ, ისე ღარიბათ არიან: ღვინის მაგიერათ მყრალი არაყით გამხეთქეს. ღმერთმანი, ნათელას ცოდვას დაიდებდი, თანდილაანთ ვაჟისთვის რომ მიგეცა ნათელა, იქ ორ კვირას ვერ გაძლებდა. ვაჟს არ იტყვი? მამა არ წამიწყდება, ჩამოქნილი სანთლის ფერი აქვს. ერთი რაღაც დაფსხრიკულია, ნაზამთრ ხბოსავით დაათრევს ფეხებს. შენ აკი მიწერე, ათი თუმანი მიეცით ოთარსაო. შენ დედობას ვფიცავ, თხუთმეტი მანეთის მეტი არ მოეცესთ, ისიც რის ვაი-ვაგლახით. შინ რომ არ ჰქონიყოთ. სამიკიტნოში ისესხეს.

— მე მაგას ხომ არ ვამბობ, — გულ-ლმობიერათ დაიწყო პასუხი ასმათმა: — იქნება ილიკო სჯობდეს, იქნება მისი ოჯახი უკეთესი იყოს, მაგრამ როსაფმა როგორ გაბედა ნათელას გათხოვება უჩემოთ?.. ვინ ვიყავი, ვინ?.. ნათელას ზიდვით ეს მკლავები მაქვს ჩამომწყდარი.

— შე დალოცვილო, შენც ისე არ გინდოდა? შენც მის ნამალევათ არ უპირებდი გათხოვებას? იმან მოგასწრო და გაათხოვა. იმასაც ისე შესტკივოდა გული, როგორც შენ. ჩვენ შორის ითქვას, იმას უფრო არ ეკუთნოდა მისი გათხოვება?.. აპეკუნი და მზრუნველი ის იყო. შენ მამიდა იყავი მისი და ის ბიძა იყო.

— არა. მე ჩემს შეურაცხყოფას არ დავთმობ! თუ ქალი ვარ, გამოვალპობ ბიჭია გოგორიშვილს ქუთაისის ნაობახში.

— ვერც გამოალპობ და ვერც არას უზამ! ქალი აწ თოთხმეტი წლის გახდება. როსაფი, როგორც აპეკუნი, იტყვის — მე გავათხო-

ვეო. გოგორიშვილებს არაფერი ევნებათ მაგითი. შენ-კი დაგეკარგება სამოცი თუმანი და დამრჩები ცარიელზე.

ამ სიტყვებმა ძალიან ჩააფიქრა ასმათი. კარგა ხანს პასუხი აღარ გაუცია; დააყრდნო მუხლზე ნიდაყვი და ნიკაპი ხელზე ჩამოიდვა. ის იყო ორ წყალს შუა. კიდეც ამართლებდა ოთარის აზრს და ვერც მოეფიქრებინა, რანაირად უნდა შერიგებოდა ბიქია გოგორიშვილის ოჯახს.

— ჯავრობას თავი დაანებე. შეურიგდი, გამოართვი, რასაც გაძლევენ, ისა სჯობია. ნათელა რომ ილიკოს ხელში უფრო ბედნიერი იქნება, ამას ლაპარაკი აღარ უნდა.

— შენ, ჩემო ოთარ, ეს საქმე კარგათ არ გესმის. ბიქიას უნდა მიმიტყუოს, შემირიგოს, საქმე მომასპობინოს და მერე თითი პირში გამომივლოს. მაგაზე მაინც არ დაეთანხმდები, ნათელაც რომ გამიუბედურდეს.

— შენ რა გინდა?.. მე მოვახერხებ ყოველიფერს. ოღონდ დამეთანხმე, გამგზავნე. რაც წიგში მოუწერია მე მოგიტან. მაგრამ საქმე-კი უნდა მოსპო.

— აბა, რადგან აგრეა, ნახევარი წინდაწინ გამომიგზავნოს. მერე წავალ და ვნახავ.

— ბატონი ბძანდები.

მეორე დღეს ოთარმა ოც-და-ათი თუმანი მოუტანა. მესამე დღეს ასმათი დიდი პატივის ცემით მიიღეს გოგორიშვილებისას. ნათელა მამიდას ნახვით სიხარულისაგან აღარ იყო. როსაფი და მზეხაც აქვე შეურიგდენ ასმათს. ერთს კვირას შემდეგ ილიკომ ჯვარი დაიწერა ნათელაზე. ჩინებული ქორწილი გადიხადეს. ოთარმა ძალიან მოილხინა. მისი სუფრულის ხმა ზურუკეთიდან ოფოთას ადიოდა.

XIX.

5 ნოემბერს 188.. წელს ოთარის გასამართლებაზე მრავალი ხალხი დაესწრო. სასამართლოს სხდომაზე როსაფიც იყო მოწმეთ დაბარებული საქმის ასახსნელათ. ასმათმა ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ დაემტკიცებინა, ძირულას გაღმით მდებარე ყანა, რომელზედაც ჩჩუბი მომხდარიყო. ვითომც მისი ყოფილიყოს, ოთარს, როგორც მის მოურავს, ისე ემოქმედნოს, გლეხები თვითონ შესეოდენ ოთარს და მას მხოლოდ ადგილის მფლობელობა დაეცვა. მაგრამ ამისთანა ჩვენება არაფრით დამტკიცდა, რადგან ასმათმა ვერაფერი საბუთი ვერ წარადგინა, თავის უფლების გასამართლებელი.

სანამდის განჩინებას წაუკითხავდენ. ოთარი ძალიან მხნეთ იქცეოდა. ერთხელ თვით სხდომის დროს ოთარმა გადმოუყვრიალა გლეხებს თვალები და მრისხანეთ შესძახა:

— თქვენ როგორ ბედავთ სიცრუის ლაპარაკს!? — გლეხები შეკრთენ. თავმჯდომარემ შენიშნა დამნაშავეს:

— თუ წყნარათ არ იქნები, სხდომიდან გავაყვანინებ შენს თავს

— ეგ რა სამართალია! — ამაყათ წამოილაპარაკა ოთარმა:— თუ-კი უფლება არ მექნება, თავი დავიცვა, ან გასამართლება რალა საჭიროა? დამსაჯეთ და ის იქნება!

ამ სიტყვების გულისთვის სხდომიდან გაიყვანეს და მხოლოდ განჩინების მოსმენის დროს შემოიყვანეს. განჩინებამ მძიმეთ იმოქმედა ოთარზე. სახეზე ნაცრის ფერმა გადაჰკრა. ფეხზე რომ ვეღარ დადგა. მუხლები მოეკვეთა და სკამზე დაეშვა.

ასმათი მივარდა და ყველას გასაგონათ უსაყვედურა:

— აგრე რამ წაგახდინა, კაცი არა ხარ?.. როგორ არ გრცხვენია?... მარჯვეთ იყავი, ნუ გეშინია, შენს ცოლ-შვილს მე მოვუვლი.

ოთარს შემოერტყა სამი ყარაული და წაიყვანეს სატუსაღოში. გარეთ რომ გამოვიდა, ქვითინი დაიწყო. თვე ნახევარს არ გაუვლია მას აქეთ, რომ ქუთაისში ხმა გავარდა, საპყრობილიდან ტყვეები გაიქცენო. გაქცეულებში ოთარიც ერია. იმას გაევლო თავის სოფელში, ერთი დღე და ღამე ცოლ-შვილში გაეთია, ასმათიც ენახა. შემდეგ გადავარდნილიყო ქართლისკენ...

გაზაფხულზე გავარდა ხმა, რომ ცხინვალის მხარეს ყაჩაღები გაჩნდენო, ცხინვალელებს დასხმიან, რამდენიმე მოსახლე გაუცარცვავთ და ერთი სომეხი მოუკლავთო. ორ კვირას შემდეგ ქართლის მხარეზე დაეცენ მღვდელს, თვითონ მოჰკლეს და გაცარცვეს მისი სახლი. მერე დაუხვდენ გლეხებს ჭერათხევის მახლობლათ. ისინი მიდიოდენ ხატობაზე-და მიჰყავდათ ცოლ-შვილი. მოჰკლეს ერთი თექვსმეტი წლის ქალი, ერთი კამეჩი და დასჭრეს ერთი გლეხი. სულ ეს საქმეები ბრალდებოდა ახალ შედგენილს ყაჩაღების გროვას. მთავრობამ მოიხმარა სასტიკი ღონისძიება. შეჰკრეს მთიები და ქართლის გადასავალი გზები. ამბობდენ, ოთარიც ამ ყაჩაღებში ურევიაო.

ამასობაში შეიტყეს, რომ ოთარი ხან-და-ხან ღამით შინ ბუნაკობდა. მთავრობამ განაწესა ოთარის სოფელში საიდუმლო გზირები.

ერთ საღამოს ოთარი შინ მიიპარა. გზირებმა გაიგეს და პოლიციის პრისტავს შეატყობინეს. მან იმავე წამს მოახდინა განკარგულება. გასცა ბრძანება, შეეკრიბათ სამოცი კაცი მახლობელი სამძმასახლისოდან. ამ გროვაში რამდენიმე გლეხი, ოთარისაგან დაჭრილი, ერია. იმათ უხაროდათ ოთარის ხელ-მეორეთ გაძაგვერა. თვი-

თონ-კი ექვსი დაიარაღებული ჩაფარი იახლა და მტრედის ფრად რომ ინათლა, შემოჰკრა ოთარის სახლი და ეზო. პრისტავმა მიგზავნა სახლთან მამასახლისი და ორი ჩაფარი, რომ ოთარი გაეღვიძებინათ.

იმათ ძლიერად დაურაკუნეს კარზე და იწვევდენ ოთარს, გარეთ გამოსულიყო, მთავრობას დანებებოდა. მაგრამ ბაიბურიც არ ისმოდა შიგნიდან.

კარ-ჩაკეტილს სახლობას ავი დღე დაუდგა. პირველსავე დარახუნებაზე ცოლს გამოეღვიძა და შიშის კანკალმა აიტაცა. ოთარი წამოვარდა ზეზე და ცოლს უთხრა: „ჩემი ბედის წერის დღე მოიწია, შენ იცი, შვილებს როგორ მოუვლი!“ ცოლს ამ სიტყვებზე გული შემოეყარა. ოთარი აღელდა, აქეთ ეცა, იქით ეცა, ვეღარც დოქს მიაგნო, ვეღარც წყალს, რომ დედაკაცი მოებრუნებინა. გარეთ რუზრუზი და ხმაურობა თან-და-თან მატულობდა: „გამოდი, შე მხდალო, კაცების მკვლელო!“ უყვიროდენ მისგან ჩხუბში დალახული როსაფის ნაყმევი გლეხები. ოთარმა იშიშვლა ხმალი, გააღო უცებ კარები: „აბა, დადექით, ვინც ვაჟკაცი ხართ!“ შესძახა მამაცურად და შურდულივით გამოვარდა შინიდან. მამასახლისმა და ჩაფრებმა უნებურად გზა უტიეს. ოთარი თვალის დაფახურებამდის შეხტა ღობეზე. ამ დროს ესროლა თოფი ჩაფარმა. ტყვია მოხვდა ოთარს იმ ხელში, რომელიც ღობის სარზე ჰქონდა მოჭიდებული. იმან უშვა ხელი უნებურად და ძირს ჩამოვარდა. პრისტავმაც მოუსწრო და უბძანა ჩაფრებს დაემორჩილებიათ. ერთმა ჩაფარმა დაჰკრა კეტი თავში, მეორემ ხმალი გააგდებინა ხელიდან. შემდეგ შეუდგენ მის შეკვრა-შეკოჭვას. ოთარს სისხლი ლაფ-ლაფათ გადმოდიოდა. თავი შეუხვიეს, ტრიალობა დაუკეს, დასდეს საკაცეზე და წაიღეს უეზდის სასამართლოში.

ამ ალიაქოთზე გამოეღვიძათ ოთარის ქალსა და ვაჟსა. ქალი იყო რვა წლისა, ვაჟი თერთმეტისა, ძალიან მკვირცხლი და დაუდგრომელის ხასიათისა. იმას პაწია ოთარს ეძახდენ; ის გამოვარდა გარეთ, შეხედა, რომ ხალხი მამა-მისს მისეოდა, თავსა და ხელებს უკრავდენ, ისიც დაინახა, რომ მამა-მისი სისხლის ღვარში ცურავდა.

იმან უეცრად დაიწყო რბენა და უსიამოვნო ხმით ძახილი:

— მამა-ჩემი დაჩეხეს! დაკუწეს, დაჩეხეს, დაკუწეს!..

სახლის შიგნით რვა წლის ოთარის ქალი მოჯდომოდა მწოლიარე დედას და საცოდავი ხმით ტიროდა. დედა მისი გულ-შემოყრილობისაგან მობრუნებულიყო, მაგრამ ხელ-ფეხი ვეღარ მოეხმარა, ვეღარც წელი აეთრია. იმას ეთქვა პაწია ქალისთვის ჩურჩულით, მეტი ხმა აღარ ჰქონოდა: „მამაშენი მოჰკლეს!“ ქალი მაშინვე

ატირებულიყო ლოგინში და დედას აღარ ცილდებოდა. ოთარი კარგა ხანი იყო მას აქეთ, რაც წაეყვანათ, მაგრამ მისი ვაჟი მაინც კიდევ ასე დარბოდა და დაჰყვიროდა თავის ეზოში:

— მამაჩემი დაჩეხეს, დაკუწეს, დაჩეხეს, დაკუწეს!..

ასმათი გულ-გახეთქილი გადმოიჭრა შინიდან. იმან დაინახა, რომ ოთარი ჭალებზე მიჰქონდათ საკაცით და უკან ხალხი მისდევდა. შინ მის ცოლს დამბლა დასცემოდა, პაწია ქალი საცოდავად ტიროდა და ვაჟი გაგიჟებულიყო. ამ სამწუხარო სურათის შამხედვარემ მოსთქვა ტირილით ოთარის უბედურება. მეზობლები ყველანი იქ მიცვინდენ და ყველას სდიოდა თვალებზე ცრემლის ნაკადული.

XX.

სამი წელი მეტია მას აქეთ, რაც ილიკო გოგორიშვილი სტკბება თავის ძვირფასი ცოლ-შვილის შემხედვარე. ის ძალიან მარჯვე ახალგაზდა შეიქნა და ოჯახის ერთგული. მამა მისი ბიჭია გოგორიშვილი იმდენათ მოხუცდა, რომ გარეთ აღარ გამოდის. ოჯახის საქმეები თავის შვილს ილიკოს გადასცა. ესეც მომჭირნეთ შრომობს და დღითი-დღე იცდება ცხოვრებაში. ილიკო თავის სოფელში მოწონებული ვაჟკაცი დადგა, თავ-მდაბალი, უწყინარი, ტოლსა და ამხანაგში პატივცემული. შეუძლებელია, რომ ან ლხინში მომეტებული ღვინო დალიოს. ან ვისმე წაეჩხუბოს. მან ძველს მამის ოდას სამი ახალი ოთახი მიადგა და იქ გაიკეთა საკუთარი ბინა.

ბიჭია გოგორიშვილს დიდ ბატონს ეძახიან. ზალაში დიდი ტახტი აქვს გაშლილი. სხვა-და-სხვა ნაირი გძელ-ტარიანი ჩიბუხები აქვს გაწყობილი და ბოლთასაც სცემს. რა დღესაც სტუმარი არ მოუვა, იმ დღეს მოწყენილია. მისი მხიარულება მაშინ არის, როცა როსაფი ესტუმრება ხოლმე. ისინი ზამთარში ზალაში იშლიან ხოლმე სუფრას. ზაფხულში დიდ მუხის ძირში, სმენ აურაცხელ ღვინოს და მუდამ გაჯიბრებული არიან: ვინ ვის დაათრობსო. როცა კარგათ შეზარხოშდებიან, ბიჭია მოითხოვს ჩიბუხს და დაიწყებს ძველის დროის ამბებს. დიდ სასიამოვნოდ მიაჩნია ერთი ამბავი თავადის რომანოზ ერისთავისა, რომელსაც ყაბახის გადმოგდების გულისთვის ერთი ქულაჯა ეჩუქებია ბიჭიასთვის და ერთი ბუხრული ქუდი. ის ბუხრული ქუდი დღესაც აკოსია თავზე, მაგამ მეტის სიძველისაგან ბეწვი გასცლია და მარტო ტყაპუჭა დარჩენილა. ბიჭია სულ იმ დროს ქებაშია და ახლანდელი დრო აღარ მოსწონს.

— ეჰ, კარგია. თუ ღმერთი გწამს, ბიჭია, ნუ იცი ეგ ტრაბახი! ის დრო ახლანდელს დროს როგორ სჯობდა: მზე რო ჩავიდოდა, გარეთ

ველარ გამოხვიდოდი და ჩექმის მაგიერათ ქალამნები გეცვა! — ეტყვის გასაჯავრებლად როსაფი და ეშმაკურად გაუღიმებს. ბიჭია წყრომის ნიშნათ თავს გაიქნევს, ბოლს გამოუშვებს ჩიბუხიდან.

— ეჰ, რა ეშველებოდა ამ წუთისოფელს, ბიჭია, მე და შენ რომ არ გავჩენოდით, — წაუხუმრებს როსაფი და მიაწოდებს ღვინით სავსე დიდ-ყურიანს სტაქანს.

მოყვრები ისევ შერიგდებიან და განაგრძობენ მხიარულებას...

ოთარის ცოლმა თქვენი ჭირი წაიღო. იმის ვაჟი-შვილი ტყე-ველათ დარბის. ტანისამოსს ტანზე არ იყენებს. არ იცის კაცმა, ან რითი რჩება, ან სად ათევს ღამეს. ხან-და-ხან მგელივით ჩამოირბენს სოფელში. ყველას ებრალება, ზოგი მჭადს მიაწვდენს, ზოგი ხორცს. ღვინოს არა სვამს. ოთარის ქალი ასმათს ჰყავს აყვანილი შვილათ და ისე ზრდის, როგორც ოდესმე ნათელას ზრდიდა.

მამიდა ასმათმა თავისი ადგილ-მამული ნათელას დაუმტკიცა. ის დგას იქვე ბიჭია გოგორიშვილის ეზოში. ორ-ოთახიანი ოდა აქვს გაკეთებული. ერთი გოგო ჰყავს ხელზე მოსამსახურე. რაც ბიჭია გოგორიშვილისაგან ფული აიღო, ოთარის ქალის სამზითოთ აქვს გავალებული. თვითონ-კი ბიჭია გოგორიშვილის ხარჯზე სცხოვრობს; ჰმართებს კიდეც, რადგან მთელი თავის ადგილ-მამული ნათელას ამკვიდრა.

ასმათი ძვირად თუ ვისმე ეჩვენება. ხან-დახან შეძერება მხოლოდ ნათელას ოთახში, როცა ილიკო შინ არ არის, და უალერსებს მის ვაჟს. ნათელას უწინდულათვე უყვარს მამიდა და ისე დღეს როგორ დაალამებს, სამჯერ, ოთხჯერ რომ არ ნახოს თავის საყვარელი მამიდა. ნათელას ყველა თავს ევლება და მისი პატივისცემით ასმათსაც მოწიწებით და მორჩილებით ექცევიან. მამიდა ასმათი ძალიან დაბერდა; მისი დიდრონი თვალები აღარ სცემენ უწინდელ სინათლეს, კიდეც ჩასცვენიან. თვითონ გამხმარა, შვილდივით წელში მოხრილა. მისი წითური ლოყები დამჭკნარი ვაშლის ჩირსავით ჩამოჭმუნვილა და ყვითელი ფერი დასდებია. ოთარის ცოლის მოსახსენებლად წელიწადში სამჯერ გზავნის საკურთხს ზურუკეთის საყდარზე. იმას აქვს პატარა დაუჯდომელი ლოცვანი და დაეთნი; დღეში სამჯერ ლოცულობს. რადგან თვალებს დაჰკლებია, სათვალეებს ხმარობს, რომელიც ბამბის ძაფით აქვს შეკრული და ლოცვანში უძევს.

ილიკო, როცა მოიცლის საქმეებისაგან, მუდამ შინ არის. მაშინ არის მისი აღდგომა. ის მუდამ თავის ცოლს ნათელას და მის ვაჟს შეტრფის. ესენი არიან მისი განუსაზღვრელი ბედნიერების წყარო. ნათელა, რ ოგორც მანამდის, ისე ეხლა ექცევა თავის ქმარს ილიკოს. პატივს სცემს, მისი ნახვა ყოველთვის გაამხიარულებს, მაგრამ საკვირველია, რი ჰ აქამდის უწინდელი გრძნობა არ შეცვლია მაზე, თუმცა

მასთან უკვე ვაჟი ჰყავს. ის იმას ძმური სიყვარულით უფრო ექცევა, ვიდრე ცოლ-ქმრობის სიყვარულითა.

ნათელამ ამ სამ წელიწადს შოლტივით ააგდო ტანი. მაღალი, გაშლილი გულ-მკერდით და შავი თვალ-წარბით; სქელი შავი თმა წელზე სცემს; მისი წითური ლოყები ორი თურაშაული ვაშლია. როცა ვაჟი ჰყავს აყვანილი ხელში, მისი მოხარული და მცინარე სახე ჯარსკვლავებივით მოკრიალებულს ცასა ჰგავს. აი, ის ხშირად შეჰყურებს უმთვარო მოწმენდილს ღამეში იმ მოქედილს ცას, იმიტომ რომ მას იქ ეგულება „თავისი ბედის ვარსკვლავი" კუროს თვალი. აქამდის ელის მას და ჯერ კიდევ ვერ შეხვედრია. თავის პირველი ვაჟი იმ კუროს თვალისთვის დაუმსგავსებია. ნეტა როდის იქნება, რომ ამ ვარსკვლავის „საეტლო, ის პირ-ტიტველა, მის ვაჟსავით თმა ხუჭუჭი ბიჭი", ნათელას ბედის-წერა, ძირს, ამ ქვეყანაში მას შეხვდეს სადმე და მხოლოდ მას დაარქვას ნამდვილი თავისი ქმარი?!

1888 წ. 22 დეკემბერი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
პირველი ნაბიჯი .	5
კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა	. 217
რუხი მგელი	. 365
მამიდა ასმათი	. 391